მერაბ მამარდაშვილი

ცნობიერების ტოპოლოგია

წიგნი მომზადდა და გამოიცა სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის მიერ ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

© ელენე მამარდაშვილი

სარედაქციო საბჭო:
ნათელა სახოკია
ზაზა შათირიშვილი

მთარგმნელები:
დოდო ლაბუჩიძე-ხოფერია
გაგა ლომიძე
ანა ჯეგნარაძე

სტილის რედაქტორი
რევაზ გოგია

ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2011

ISBN 978-9941-9220-6-0

მერაბ მამარდაშვილი

ცნობიერების ტოპოლოგია

ლექციები
მოხსენებები
ინტერვიუები
სტატიები

შინაარსი

რედაქციისაგან 5

ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი. ალექსანდრ პიატიგორსკი 6

- **გზის ფსიქოლოგიური ტოპოლოგია (ლექციები პრუსტზე)** 18

  ლექცია 1 19
  ლექცია 2 40
  ლექცია 3 65
  ლექცია 4 91
  ლექცია 5 114
  ლექცია 6 140
  ლექცია 7 162

- **მერაბ მამარდაშვილის „ფრანგული არქივიდან“ (ლექციები, მოხსენებები, ინტერვიუები)** 188

  „აზროვნებისა და ენის განსაბჭოება“ 189
  ევროპული პასუხისმგებლობა 196
  აზროვნების სტატუსი და ინტელექტუალები 201
  „დემოკრატია ნაციონალისტურ ლოზუნგებს ვერ დაეფუძნება...“ .. 210
  რეალობა და პერსპექტივები აღმოსავლეთ ევროპასა
  და საბჭოთა კავშირში 213
  ნაციონალიზმი და პოსტტოტალიტარული საზოგადოება 243
  ინტერვიუ გაზეთისათვის „Le monde“ 247

- **ცნობიერება და ცივილიზაცია (სტატიები და მოხსენებები)** 268

  ცნობიერება და ცივილიზაცია 269
  „მესამე მდგომარეობა“ 288
  აზრი კულტურის სივრცეში 299

სახელთა საძიებელი 315

რედაქციისაგან

წინამდებარე წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი წარმოადგენს მერაბ მამარდაშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მარსელ პრუსტის ეპოპეაზე წაკითხული სალექციო კურსის (1984/85 წწ.) პირველი 7 ლექციის თარგმანს. თარგმანი შეასრულა გაგა ლომიძემ შემდეგი გამოცემის მიხედვით: Мераб Мамардашвили. „Психологическая топология пути“ (М. Пруст, „В Поисках утраченного времени“). Тбилиси, 1996, გვ.5-137.

მეორე ნაწილს, პირობითად ვუწოდეთ „მამარდაშვილის ფრანგული არქივიდან“. აქ მკითხველი გაეცნობა 1989/90 წლებში მერაბ მამარდაშვილის მიერ პარიზსა და ბარსელონაში წაკითხულ ლექციებს, მოხსენებებს და სხვადასხვა ფრანგულენოვანი გაზეთებისა თუ ჟურნალებისადმი მიცემულ ინტერვიუებს. თარგმანი შესრულებულია დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიას მიერ.

მესამე ნაწილი შედგება მერაბ მამარდაშვილის სამი ტექსტისაგან, რომელიც ცნობიერებისა და კულტურის პრობლემებს ეხება. სამივე სტატია თარგმნილია გაგა ლომიძის მიერ შემდეგი გამოცემის მიხედვით: Мераб Мамардашвили. „Как я понимаю философию“, М.: „Прогресс“ – „Культура“, 1992, გვ. 107-122, 143-155, 163-172.

წიგნს წინასიტყვაობის სახით ერთვის მერაბ მამარდაშვილის მეგობრის, კოლეგისა და თანაავტორის, ფილოსოფოს ალექსანდრ პიატიგორსკის (1929-2009) ნაშრომი მერაბ მამარდაშვილისა და მისი ფილოსოფიის შესახებ. ტექსტი თარგმნილია ანა ჯეგნარაძის მიერ.

წიგნი ეძღვნება მერაბ მამარდაშვილის (1930-1990) დაბადებიდან 80 წლისთავს.

ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი[1]

ფილოსოფოსობა არ არის პროფესია. უფრო სწორად, ის სრულიად განსაზღვრული აზროვნების წყობაა, რომელიც შეიძლება დაემთხვეს ან არ დაემთხვეს პროფესიას. მერაბის შემთხვევაში სწორედ ასეთ დამთხვევასთან გვაქვს საქმე. არსებობს ასეთი გამოთქმა: „ფილოსოფიური სიმშვიდე", თუმცა, ფილოსოფოსს ყველაფერი – სიმშვიდეც და შფოთვაც ფილოსოფიური აქვს. მათ შორის, შესაძლოა, – სიყვარულიც. მაგრამ ზიზღი და სიძულვილი შეუძლებელია იყოს ფილოსოფიური, რადგან, როცა გეზიზღება და გძულს, გეზიზღება და გძულს საკუთარი თავი ისე, რომ ამის შესახებ არაფერი იცი, რაც საშინელი ფილოსოფიური შეცდომაა, რამდენადაც შენ თავიდანვე მოცემულ ცნობიერებას წარმოადგენ.

ოცდაათწლიანი მეგობრობა მერაბთან ჩემთვის, და არა მხოლოდ ჩემთვის, პირველ რიგში იყო საკუთარ თავთან ურთიერთობის სკოლა. მახსოვს ჩემი პირველი გაკვეთილი, რომელიც „ფილოსოფიის ზნეობაში" მივიღე. ორმოცდაათიანი წლების ბოლოს მერაბთან საუბრისას ვახსენე ჩვენი ყოფილი კოლეგა ფილოსოფიის ფაკულტეტიდან და დავძინე, რომ „მას არავინ უწვდის ხელს ჩამოსართმევად" („ხელისარჩამოსართმევი" – იმ დროის ინტელიგენტურ ჟარგონზე). მერაბმა კი, ღმერთო ჩემო, ის ხომ მაშინ ოცდაათი წლისაც არ იყო, უბრალოდ თქვა: „როგორ შემიძლია მას ხელი არ ჩამოვართვა, თუკი ის მე ვარ?". ეს ის დრო იყო, როდესაც საბჭოთა რეჟიმი სახელს უტეხდა ინტელიგენციას, რასაც ეს უკანასკნელი ზნეობრივი ქედმაღლობითა და ჯგუფური სნობიზმით პასუხობდა.

გორიდან მოსკოვში სასწავლებლად ჩამოსული ქართველი ბიჭი, ყველაზე პარტიულ-იდეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი უნი-

[1] ალექსანდრ პიატიგორსკის ტექსტი მამარდაშვილისადმი მიძღვნილი მისი სამი სტატიისაგან შედგება. თარგმნილია შემდეგი გამოცემის მიხედვით: А. Пятигорский. Избранные труды. М.: «Языки русской культуры», 1996, გვ. 1997-207.

ვერსიტეტში, ასპირანტი, შემდეგ კიდევ უფრო პარტიულ-იდეოლოგიური ჟურნალის – „მსოფლიო და სოციალიზმის პრობლემების“ მუშაკი, ჟურნალის „ფილოსოფიის საკითხები“ მთავარი რედაქტორის მოადგილე – მერაბი ყველაფერ ამასთან ერთად მიიჩნეოდა ქვეყანაში ერთადერთ ადამიანად, ვინც ფლობდა დასავლური ფილოსოფიური აზროვნების სრულ აპარატს. სამოციანი წლების შუა პერიოდში ის უკვე საკუთარ ფილოსოფიას ასწავლის უნივერსიტეტში და „ყველგან, სადაც კი შესაძლებელია“ (მისივე თქმით). საკუთარ, უკიდურესად ინდივიდუალურ ფენომენოლოგიურ მიდგომას ცნობიერებისა და აზროვნებისადმი ასობით შემთხვევითი და, როგორც წესი, სავსებით ახალგაზრდა ხალხის საკუთრებად აქცევს. „ჩვენს დროში, – უყვარდა მას თქმა, – ცნობიერების ფილოსოფიის გაგების გაცილებით მეტი შანსი აქვს შემთხვევით მოუმზადებელ ადამიანს, ვიდრე – პროფესიონალ ფილოსოფოსს“. გაცილებით გვიან ის ამბობდა, რომ ოფიციალური მარქსიზმი და ჩახშობილი ფარული ანტიმარქსიზმი რუსეთში (ზუსტად ისევე, როგორც „მემარცხენე“ მარქსიზმი და გვიანი ეგზისტენციალიზმი დასავლეთში) ფილოსოფიიდან ყველაზე ნიჭიერ ადამიანებს აძევებს და მათ „რიგით მოწინავე ინტელექტუალებად“ აქცევს.

1986 წელს ის აქვეყნებს წიგნს ჰეგელის ფილოსოფიაზე და აღარასდროს დაუბრუნდება ამ ფილოსოფოსს: „ნორმალური ფილოსოფიური მუშაობა მოითხოვს უკუმიმართულებით მოძრაობას – ჰეგელიდან კანტამდე და ამ უკანასკნელიდან – დეკარტამდე. დეკარტს აუცილებლობით მოსდევს ჰუსერლი. ჰეგელიდან დაწყება ხელსაყრელია, როგორც ტრადიციის მცდარი დაგვირგვინებიდან, რომლის მწვერვალი – კანტი, მარადიული საფუძველი კი დეკარტია. ახლა იდეალურ ფილოსოფიურ სემინარს შეადგენდა ხუთი-ექვსი ადამიანი, რომელთაც ჰუსერლი ესმით, როგორც განვითარებული ევროპული, უფრო ზუსტად, დეკარტულ-კანტური ფილოსოფიის ერთადერთი პროდუქტიული ხაზი. ამ სემინარის კრიტერიუმების მიხედვით მარკუზე და ალტიუსერი ვერ მიაღწევდნენ მესამე კურსამდე, გვიანი სარტრი ჩაფლავდებოდა გამოსაშვებ გამოცდებზე, ლაკანი ჩაიჭრებოდა ასპირანტურის გამოცდებზე, ხოლო ჟაკ დერიდას დისერტაცია ჩაუვარდებოდა. აქ აუცილებელია სრულიად ახალი (ან ძალიან ძველი) აზროვნების ტიპი“. როდესაც მე ვკითხე: „და იმათ რა ვუყოთ (მე, რა თქმა უნდა, საკუთარ თავს ვგულისხმობდი), ვისაც ჰუსერ-

ლის გაგება არ შეუძლია?“ მან მიპასუხა, რომ მაშინ „შენ თვითონ უნდა იფილოსოფოსო და არ დაიმოწმო და არ მიმართო არავის. ასე შეიძლება რაღაც გამოვიდეს კიდეც. ხომ ხდება... დამთხვევა“.

დამთხვევას ის უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდა. როდესაც სამოცდაათიანი წლების შუა ხანებში ყველა დაწესებულებიდან გამოაგდეს და საქართველოში დაბრუნდა, ლონდონში დამირეკა და მხიარულად მითხრა: „აი, ხომ ხედავ, ჩემი მოსკოვიდან „განდევნა“ როგორ კარგად დაემთხვა შინაგანი იმპულსის გაჩენას – პრუსტში წასვლას“. პრუსტი ესთეტიკური განხორციელებაა (ობიექტური, რასაკვირველია, რადგანაც საეჭვოა, რომ პრუსტს ჰუსერლი ჰქონოდა წაკითხული) ჰუსერლისეული ფენომენოლოგიისა. მერაბს მიაჩნდა, რომ უკვე ჰუსერლთან დასრულებული ევროპული ფილოსოფია ობიექტურად განხორციელდა სამ დიდ მწერალთან – ჯოისთან, კაფკასა და პრუსტთან („მაგრამ პრუსტი ჩემთან, როგორც სამხრეთელი სამხრეთელთან, ყველაზე ახლოსაა“).

ამის შემდეგ მერაბი უკვე საქართველოში ცხოვრობს და ფილოსოფოსობს. ოთხმოციან წლებში რამდენიმე წიგნსა და სტატიას აქვეყნებს, თუმცა, პრუსტი – „ფილოსოფოსი, რომელმაც არ იცის, რომ ფილოსოფოსია“, მის ძირითად საქმიანობად რჩება. დაიწერა ათასი გვერდი დროის შესახებ პრუსტთან, დასრულდა წიგნები კანტსა და დეკარტზე. იმპერიის დაშლის ახალმა ერამ მერაბს „ადუღებულ“ თბილისში მოუსწრო, სადაც ის ცდილობს, აუხსნას თანამემამულეებს, რომ მათთვის გაცილებით მნიშვნელოვანია *გახდნენ ევროპელები*, ვიდრე დარჩნენ ანტირუსებად. მისი აზრით, ეს ჭეშმარიტება სპეციალურ ფილოსოფიურ მომზადებას არ მოითხოვს. ვფიქრობ, რომ აქ ის შეცდა: მოითხოვს. როგორც სრულიად სამართლიანად შეეპასუხა მას პარიზში მცხოვრები ქართველი მსახიობი, თავად რუსები რომ ყოფილიყვნენ ევროპელები, ქართული ანტირუსობაც არ იარსებებდა, რაც ასევე მართალია. მაგრამ ეს ყველაფერი, სხვა არაფერია, თუ არა – „ასე რომ ყოფილიყო“, „ისე რომ ყოფილიყო“... იმ საზარელ ღამეს თბილისში რუსულმა ხელკეტებმა და სასანგრე ნიჩბებმა დიდად შეუწყო ხელი „კეთილი გრძნობების“ გაჩენას კავკასიაში, სადაც ჯერ კიდევ ცოცხლობს მოგონება 1921 წლის დარბევაზე (უფრო ზუსტად, პოგრომზე). მაშინ მან დამირეკა და მითხრა, რომ კეთილი დამთხვევების რიცხვი შემცირდა, საზარელ დამთხვევებს კი ბოლო არ უჩანს. რომ ყველაფერზე უკეთესი

ის იქნება, თუ რუსები თავს დაანებებენ საქართველოს და დატოვებენ მას „პირისპირ საკუთარ თავთან“ (სწორედე მაშინ გადაიტანა მან გულის პირველი მძიმე შეტევა).

ამავე წლის ივლისში ის ჩემს კოლეჯში, ლონდონში ჩამოვიდა კავკასიურ-შუააზიურ კონფერენციაზე. ცდილობდა, შეერიგებინა სომხები აზერბაიჯანელებთან, ქართველები – რუსებთან, ნებისმიერი – ნებისმიერთან. მერაბი არასდროს ყოფილა პაციფისტი. მას, უბრალოდ, მიაჩნდა, რომ „ის ვინც ფიქრობს, საკუთარ თავს ებრძვის და არა – სხვებს და როდესაც ყველას ერთნაირად ერევა გული, – რუსებს, სომხებს, ქართველებს, ებრაელებს, – საჭიროა ამ გაუსაძლისი გულისრევის მდგომარეობიდან გამოსავლის ძიება და არა იმის გარკვევა, ვის მეტად ერევა გული და ვის – ნაკლებად“. და კიდევ ის ამბობდა, რომ სანამ ოქტომბრის რევოლუცია არ გაუქმებულა, როგორც რუსეთის (და არა მხოლოდ რუსული) ისტორიული ცნობიერების ფაქტი, მანამდე ჩვენი შანსი, რომ ვიცხოვროთ ნორმალური გონიერი ცხოვრებით, მინიმალურია“.

დიახ, ფილოსოფოსი გარდაიცვალა. ის მესამე ინფარქტმა იმსხვერპლა აეროპორტში, როცა ის მოსკოვიდან თბილისისკენ მიფრინავდა, რათა იქიდან ათ დღეში ლონდონში ჩამოფრენილიყო. ცოტათი სიმბოლურია. არა მგონია, რომ მისნაირად ბევრს ეაზროვნა. მაგრამ ეს ხომ ასეც უნდა იყოს, თუკი ადამიანი ფილოსოფოსია.

* * *

ეს მცირე ჩანაწერი არ არის მერაბზე, როგორც ადამიანზე, ფილოსოფოსზე და ა.შ. ის, უბრალოდ, მერაბის ერთი ქართული ინტერვიუს პირველი ფრაზის პირველი ოთხი სიტყვის კომენტარს წარმოადგენს. სიტყვასიტყვით ეს ფრაზა გვეუბნება, რომ აზრი *თავისთავად არაფერს უპყრია*. მისი მანიქეველური გაგებით (მერაბისთვის არ იყო უცხო მანიქეველობა), ვიღაცას არ სურს, რომ აზრი არსებობდეს და შენარჩუნდეს. მაგრამ სამყარო ისეა მოწყობილი, რომ აზრი არსებობს და ამ ფაქტთან ეს ვიღაც ვერაფერს გააწყობს. მაგრამ მას შეუძლია, მე შემიშალოს ხელი აზრის შენარჩუნებაში, უფრო სწორად – შემიშალოს ხელი იმაში, რომ მსურდეს აზრის არსებობა და ის, რომ აზრი ჩემი საშუალებით შენარჩუნდეს. ამ ვი-

ღაცას მე არ უნდა მივაწერო ჩემი სისუსტე, ეს სისუსტე – ჩემია. ის, ეს ვიღაც, არის კიდეც ჩემი სისუსტე (არც ჩემთვისაა უცხო მანიქეველობა). ამ ვიღაცას ვერ დაასაბუთებ, ვერ დააფუძნებ თვითდაფუძნების გარეშე. იქ, სადაც საკუთარ თავს ვაფუძნებ, ის ვიღაც უკვე დაფუძნებულია, როგოც ჩემი ბატონი, არ-აზროვნების დემონი.

აზრი ნარჩუნდება ჩემით, არა როგორც პიროვნების საშუალებით, არამედ, როგორც – აზრისა აზრით. დიახ, ის ჩემში ნარჩუნდება, მაგრამ მე ამ შემთხვევაში ოდენ ფიქრის ცარიელ სივრცეს წარმოვადგენ, საიდანაც ის მაშინვე წავა, როგორც კი აღარ ვიქნები აზრისათვის ამგვარი ცარიელი სივრცე. თავად „აზრი უსაყრდენოა, არაფერზეა დაფუძნებული და არაფრითაა დაფუძნებული, დასაბუთებული". ეს უკვე აღარ არის მანიქეველობა, არამედ ციტატაა ბუდისტური სუტრებიდან. მეტაფორულად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ თითოეული კონკრეტული, ანუ შესრულებული ან გამოთქმული აზრი (გარეთ გამოტანილი თუ საკუთარ თავთან ნაფიქრი) – სიცარიელის ფორმაა და არა შინაარსი – იმ მატერიისა, რომელშიც ის შესრულდა – იქნება ეს ენა, კულტურა თუ ტექსტი.

როდესაც მე (სიტყვა „მე" ამ ჩანაწერში გამოიყენება სიტყვების – „მე", „შენ", „ჩვენ", „ის, ვინც" – ნაცვლად) აზრს იმ მასალასთან ვაიგივებთ, რომელშიც ის შესრულდა – ენასთან, კულტურასთან, „პიროვნებასთან" და ა.შ. – მაშინ ის უკვე აღარ იმყოფება იქ, ჩემს „სივრცეში". აზრების ნაცვლად ხელში შეგვრჩება – არა აქვს მნიშვნელობა ნიჭიერად მოხდება ეს თუ უნიჭოდ, – აზრებით და საგნებით, როგორც სიტყვებით ოპერირება. ასე უქმდება ფენომენოლოგია, რომელსაც ლინგვისტიკა, ლინგვისტური ფილოსოფია და ლოგიკური ანალიზი ანაცვლებს.

როდესაც ცნობიერად ან არაცნობიერად (გაცილებით ხშირია ეს უკანასკნელი!) ვანადგურებ აზრის ამ „საშემსრულებლო მასალას" – უარვყოფ კულტურას, ვახშობ პიროვნულობას, კლიშედ ვაქცევ ენას – ამით მე ეშმაკისეულ ჩანაცვლებას წარმოვშობ – აზროვნების ცარიელ ველში შინაგანი მუშაობის ნაცვლად ეს „სიცარიელის პრინციპი" გარეთ – საზოგადოებაში, ქვეყანაში, ხალხში, კოლექტივში გამაქვს, როგორც ყველაფერი „არა-საკუთრივისაგან" გაწმენდილი, აზროვნების დამახინჯებული იდეალი (გარეთ შინაგანის ნებისმიერი გამოყენება დამახინჯებას წარმოადგენს). ამ მიმართულებით მუშაობდა და მუშაობს ყველა ტოტალიტარული იდეოლოგია.

თვით კულტურული ნიჰილიზმის კლასიკური ფენომენი, არსებითად, გვევლინება მრუდე ანარეკლად იმისა, რაც მოფიქრალს შეუძლია (შეუძლია, რადგან – თავისუფალია) საკუთარი აზროვნების ველში ჩაიდინოს, კერძოდ – გააცნობიეროს აზრი, როგორც *სხვა* („არა – ეს ის არ არის“).

და ბოლოს, როდესაც მე „აზრის პყრობისას“, უარვყოფ აზრის თანამედროვე „საშემსრულებლო“ მასალას, როგორც *არა მისეულს*, მისთვის შეუფერებელსა და რაღაც ისეთს, რასაც ჩემში შესრულება არ უწერია, ეს უარყოფა ობიექტურად (იმ ფილოსოფოსის პოზიციიდან, რომელიც ჩემს აზროვნებასთან ერთად თვითონ მეც მაკვირდება), ემპირიულად იღებს ინდივიდუალური ამბოხის ფორმას – ამბოხისა საკუთარი (და არა სხვა!) კულტურის, ენისა და... ფილოლოგიის წინააღმდეგ. სწორედ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს ფრიდრიხ ნიცშეს მხიარული მეცნიერება. კლასიკური ფილოლოგიის ბრწყინვალე ახალგაზრდა პროფესორმა გააუქმა ფილოლოგია, როგორც გერმანული ქრისტიანული კულტურის ელემენტი, მაგრამ ჩვენი დროის ყველაზე რადიკალური პროფესორებისგან განსხვავებით, ნიცშემ საკუთარი პროფესორობაც გააუქმა. ფილოლოგია წარმოადგენდა გერმანული კულტურის სიამაყეს ისევე, როგორც ნიცშედან ორმოცდაათი წლის შემდეგ რუსული კულტურის სიამაყე გახდა (ჩემმა უფროსმა მეგობარმა, რუსული ფილოლოგიის პროფესორმა მოსკოვის უნივერსიტეტში, ბორის უსპენსკიმ ერთხელ თქვა, რომ რუსეთი მსოფლიოში საუკეთესო ფილოლოგიის ქვეყანაა. ამასთან დაკავშირებით ჩემმა მეორე მეგობარმა, ერთ-ერთი გერმანული უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის პროფესორმა იგორ სმირნოვმა დოქტორ სემუელ ჯონსონის პერიფრაზირებით შენიშნა, რომ ფილოლოგია რუსეთში პატრიოტების უკანასკნელი თავშესაფარია).

ნიცშეს რეაქცია წარმართული ტექსტების შემსწავლელ გერმანულ ქრისტიანულ კულტურაზე ფილოსოფოსის რეაქციას წარმოადგენდა, რომელიც უარყოფს საკუთარი კულტურის მიერ მისთვის თავს მოხვეულ მეორეულ (მესამეულ?) კულტურულ ენას. მკაცრად რომ ვთქვათ, ის იმდენად გერმანიაში ქრისტიანობის წინააღმდეგი არ იყო, რამდენადაც ქრისტიანიზმისა და გერმანიზმისა, როგორც ერთმანეთში ჩასმული ორი კულტურის ჩარჩოში, როგორც ორი ჟარგონისა, რომელთა მასალაში მისი (ნიცშეს) აზროვნება ვერ სრულდებოდა. მაგრამ, აქვე მსურს შევნიშნო, რომ ნიცშეს დროს

გერმანიაში ჯერ კიდევ არსებობდა ქრისტიანული კულტურა. და, ამდენად, არსებობდა ფილოსოფიური კრიტიკის მასალაც. მერაბის მიბრუნება ევროპული ქრისტიანული კულტურისკენ ნიცშედან ასი წლის მერე სწორედ მაშინ ხდება, როცა ეს კულტურა არც რუსეთსა და არც საქართველოში უკვე აღარ არსებობს. ნიცშესგან განსხვავებით, მერაბს საკუთარ აზროვნებაში არ უარუყვია ფილოლოგია (სტრუქტურალიზმისა და ფორმალური ლიტერატურათმცოდნეობის ჩათვლით) – ის ობიექტურად აღმოჩნდა ამ ფილოლოგიის მიღმა. ზუსტად ასევე, მერაბი პოზიტივისტური და ეგზისტენციალური ფილოსოფიური მიმართულებების მიღმაც აღმოჩნდა. და ვინ იცის, იქნებ მის აზროვნებაში პირველადი მასალის როლი ისევე შეასრულა რუსულმა და ფრანგულმა პოეზიამ, როგორც ნიცშესთან – ბერძენმა პოეტებმა და ტრაგიკოსებმა, ხოლო ნიცშეს მიერ გამოგონილი ზარათუშტრას როლი მერაბთან... პრუსტმა იტვირთა?

მაგრამ ეს – ხუმრობით. აზრი მანამდე ნარჩუნდება, სანამ ჩვენ არ დაგვვიწყებია მისი შენარჩუნება. მოაზროვნის მთავარი პრობლემა არა იმდენად უკვე ათვისებული აზრის დამახსოვრებაა (ეს ვულგარული მნემოტექნიკის საქმეა), რამდენადაც იმის არდავიწყება, რასაც ახლა აკეთებ. მერაბის კვალდაკვალ მეც ვიმეორებ, რომ აქ არ იგულისხმება აზროვნების ობიექტები. ისინი კი სულ ორია – სიყვარული და სიკვდილი, ან იქნებ სულაც ერთი – სიკვდილი – გააზრებადი სიკვდილი, რომლისკენაც მგზავრი „კულტურის წყვდიადიდან, ყოველდღიური ცხოვრების წყვდიადიან აზროვნების სხივის მეშვეობით“ მიემართება (მერაბის არაზუსტი ციტირება). ეს კი ნიშნავს მუდმივად ახლა აზროვნებას, აზროვნებას ახლა, რომელსაც უპყრია საკუთარი დრო, დრო, რომელიც განსხვავდება ჩემი და სხვათა ცხოვრების დროისაგან. ეს განსხვავება კი არსებობს, როგორც ჩემი აზროვნება.

* * *

XVII საუკუნის ერთმა ნაკლებად ცნობილმა გერმანელმა ფილოსოფოსმა ვალენტინ ანდრეემ თქვა, რომ „ყველა ქალაქს როდი ჰყავს საკუთარი ფილოსოფოსი“. მე კი დავამატებდი, რომ არც ყველა ქვეყანას ან ხალხს ჰყავს საკუთარი ფილოსოფოსი. ფილოსოფოსობა

უკიდურესად არასავალდებულო საქმიანობაა. ბუნებრივად და ორგანულად ის არც ეროვნულ ნიადაგზე და არც ყველაზე უფრო განვითარებული კულტურიდან აღმოცენდება. ფილოსოფია შემთხვევითობაა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ფილოსოფია ფილოსოფოსის გარეშე ვერ იარსებებს. როგორც პროფესია, როგორც მხოლოდ სპეციალობა, ის წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც ქმნის ლექციებს, მონოგრაფიებს, დისერტაციებს, სტატიებს... – უცხო, არა-საკუთარ აზროვნებაზე – ამ შემთხვევაში ესაა ადგილი, სადაც კულტურა ავად თუ კარგად, ნიჭიერად თუ უნიჭოდ სხვა მუშაობას აღადგენს და იმეორებს. უფრო ზუსტად – უცხოს მუშაობას. საქმე ისაა, რომ ვისაც მოუწია ფილოსოფოსად ყოფნა, ის უკვე თავისთავად უცხოა. ყველა ქალაქს როდი შეუძლია ჰყავდეს საკუთარი, თავისი ფილოსოფოსი, მაგრამ თვითონ ფილოსოფოსი ვერასოდეს იქნება ამ ქალაქში „თავისი კაცი“ – „ჩვენებური“. სადაც „ჩვენებური“ და „საჩვენო“ მეფობს, იქ ნამდვილი ფილოსოფოსი ვერ იცხოვრებს. თუმცა, მას შეიძლება უყვარდეს „ჩვენი სამშობლო“, „ჩვენი ქალაქი“ (ანუ – „საკუთარი სამშობლო“, „საკუთარი ქალაქი“) და კიდევ ვინ მოთვლის რა არა... მაგრამ საკუთარ ფილოსოფიურ აზროვნებაში ფილოსოფოსი ყოველთვის გამოყოფილია ნებისმიერი ჯგუფისაგან, ნებისმიერი გარემოსაგან, ნებისმიერი ერთობისაგან, რადგანაც მისი მუშაობის საგანი – ესაა აზროვნება (უპირველეს ყოვლისა, მისი საკუთარი აზროვნება) სწორედ ამ ობიქტების შესახებ (ჯგუფი, გარემო, ერთობა და სხვ.) და არა – თვითონ ეს ობიექტები. ფილოსოფოსი „ამ საგნებზე“ კი არ აზროვნებს, არამედ აზროვნებს ამ საგნებზე აზროვნების შესახებ; ის სწორედ ფილოსოფიური აზროვნებითაა დაცილებული „ამ (და სხვა) საგნებიდან“.

სწორედ ასეთი ფილოსოფოსი იყო ორი კვირის წინ გარდაცვლილი მერაბ მამარდაშვილი. დავიწყებას მიეცემა ყველა ჩინი, წოდება და თანამდებობა, როგორც ფილოსოფოსთან და მის ფილოსოფიასთან არაფრით დაკავშირებული რამ. თუ საჭიროა, სხვებმა დაწერონ ამის შესახებ. ჩემს მეგობარს უყვარდა თქმა, რომ აზროვნება იწყება, როგორც შენი, ასევე, სხვის მიერ გამოყენებული სიტყვებისაგან დისტანცირებით. მახსოვს, ოცი წლის წინ (და არა ხუთი წლის წინ, გთხოვთ, გაითვალისწინოთ!), როგორ დაიწყო ლექცია მარქსის ისტორიის ფილოსოფიის შესახებ – „მარქსი ამბობდა, რომ ისტორიის შინაარსს კლასთა ბრძოლა წარმოადგენს. მაგრამ თქვენ ხომ გესმით,

რომ ერთმანეთს ებრძვიან ადამიანები და არა კლასები. კლასობრივი ბრძოლა იყო მარქსის მიერ არჩეული ფორმა ისტორიაზე აზროვნებისათვის, ეს იყო საგანზე აზროვნების ფორმა და არა – თავად საგანი". მოსკოვურ ინტელიგენციას გული აუჩუყდა და აღფრთოვანდა (გულის აჩუყება და აღფრთოვანება, აღშფოთების მსგავსად, ინტელიგენტებისა და, საზოგადოდ, ხალხის მიერ ასეულობით წლის მანძილზე გამოცდილ იარაღს წარმოადგენს საკუთარ აზროვნებასთან ბრძოლაში – იარაღს, რომელიც ბოლომდე დღესაც არ გამოსულა ხმარებიდან). მისი ფილოსოფოსობის არე უჩვეულოდ ფართო იყო – ესთეტიკა, დროის ფილოსოფიური თეორია, ფსიქოანალიზი, სიმბოლოს ფილოსოფია. თუ მისი „პრაქტიკული გონების" ძირითად თემაზე ვისაუბრებთ, მაშინ ეს „ადამიანის მიერ ისტორიაში საკუთარი თავის გააზრება" იქნება. „შენი დაბადება შემთხვევითია, – უყვარდა ხოლმე დეკარტის პერიფრაზირება, – და ის შემთხვევით კავშირშია შენი აზროვნების ფაქტთან, თუ მათი დაკავშირება გადაწყვიტე. მაგრამ მას შემდეგ, რაც ფიქრსა და ლაპარაკს დაიწყებ, შეუძლებელია, არ გააცნობიერო საკუთარი თავი ისტორიულად, როგორც რაღაც სხვისი გამგრძელებელი პიროვნული ძალა, როგორც წარსულიდან მომავლისკენ გაგრძელებული ინდივიდუალური იმპულსი, როგორც ისტორიის სხვა წერტილებში სხვა ინდივიდუალური იმპულსების გავლით უკვე გამოხატული ცნობიერების ობიექტურობა. ისტორიისგან მოწყვეტისა და გამოყოფის ნებისმიერი ცდა გამორჩეულობისა და უნიკალობის გამო – სულერთია, კარგი თუ ცუდი გაგებით – საუკეთესო შემთხვევაში სულიერი გაღატაკებით, ხოლო, უარეს შემთხვევაში, ცხოვრების სრული კრახით მთავრდება".

მერაბი ხშირად იმოწმებდა, მისივე თქმით, „რუსეთის უდიდეს ისტორიულ პირებს" – პუშკინს, ჩაადაევსა და სოლოვიოვს. პუშკინი მისთვის რუსული კულტურულ-ისტორიული ყოფიერების სისავსეს განასახიერებდა. პუშკინს, მერაბის თვალთახედვით, არ სჭირდებოდა დასავლეთი და აღმოსავლეთი, მედასავლეთეობა და სლავოფილობა, როგორც ცალ-ცალკე აღებული ელემენტები („პუშკინი– ეს დასავლეთია, მაგრამ ოდენ როგორც დრო, როგორც ისტორიის პერიოდი და პიროვნების ტიპი და არა როგორც – ადგილი"). ჩაადაევი კი, მისივე აზრით, განასახიერებს ევროპული (უფრო სწორად საერთო, ერთიანი) ისტორიიდან რუსული „გამოსვლის" რუსულსავე

კრიტიკას, სასოწარკვეთას იმის გამო, რომ რუსული კულტურა არ დაეყრდნო პუშკინისეულ მაგალითს. სოლოვიოვი კი წარმოადგენდა ნიმუშს ესქატოლოგიური ცნობიერებისა, რომელიც ჩასწვდა ამ „ისტორიული უიღბლობის“ სიღრმეს და რომელიც არა შეცდომის გამოსწორებისკენ, არა „ისტორიასთან დაპირისპირებისკენ“, არამედ საყოველთაო დასასრულისკენ მიისწრაფოდა, რაც, მერაბის აზრით, თავისთავად იყო ღირებული ისტორიული გამოცდილება, რომელიც რუსეთმა სრულიად უგულებელყო.

„კარგი, – სუსტად ვეწინააღმდეგებოდი მე, – მაგრამ გერმანული კულტურა დაეყრდნო კი თანამიმდევრულად გოეთესეულ ნიმუშს? XX საუკუნეში, როგორც ჩანს არა“. „XX საუკუნემ ყველა კარტი აურია, – მეწინააღმდეგებოდა მერაბი, – ეს არის საუკუნე საოცარი ზიზღისა, რომელსაც მოაზროვნე ადამიანები ცნობიერებისადმი განიცდიან. მაგრამ ახლა მნიშვნელოვანია, რომ როგორმე ამ საუკუნიდან გამოვიდეთ, რათა საკუთარი თავი ისტორიულ ცნობიერებაში აღვადგინოთ. ამის ნაცვლად კი ჩვენ, უბრალოდ, უკან, გუშინწინდელი დღისკენ ვიყურებით, ვტოვებთ რა გუშინდელ დღეს, ვესწრაფვით ანგარიშსწორებას და გამუდმებით გვავიწყდება, რომ ის ერთადერთი, ვისთანაც აუცილებლობით სწორდება ანგარიში – შენ თვითონ ხარ. გუშინდელი დღეც შენ გეკუთვნოდა და არა – ვიღაც სხვას. ამის კარგად გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია ხვალინდელ დღეზე გადასვლა.“

ასე ვსაუბრობდით რვა თვის წინ ლონდონში, როდესაც უეცრად ბლუმსბერიში სვედენბორგის საზოგადოების სახლს მივუახლოვდით. მაშინ გამახსენდა, რომ შესანიშნავი შვედი ფილოსოფოსი და მისტიკოსი სვედენბორგი დაახლოებით 1770 წელს ამბობდა, რომ XVIII საუკუნის ადამიანისთვის მთავარია, როგორმე გააღწიოს ამ იდიოტურ საუკუნეს ისე, რომ „ცნობიერება შეინარჩუნოს“. დიახ, პრაქტიკული გონების კრიტიკის პრობლემები სინამდვილეში არ იცვლება, იქნება ეს XVIII საუკუნე, XX საუკუნე თუ – XVIII საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

იმ დროს მერაბი ჩამოსული იყო კავკასიურ-შუააზიურ კონფერენციაზე, რომელიც ჩემს კოლეჯში მიმდინარეობდა. სწავლულები საბჭოთა კავშირის განაპირა რესპუბლიკებიდან ერთ სასტუმროში ცხოვრობდნენ, მაგრამ საუზმის დროს ეროვნული ნიშნით ჯგუფდებოდნენ ხოლმე: სომხები – თავიანთ მაგიდასთან, აზერბაიჯანელები

– თავიანთ მაგიდასთან და ა.შ. მახსოვს, მერაბი სერიოჟა არუთინოვთან და ერთ აზერბაიჯანელთან ერთად, რომლის სახელი დამავიწყდა, მაგიდებს შორის დადიოდა და ცდილობდა მოეხსნა ვიწრო ნაციონალიზმის მიჯნები (ფართო კი არ არსებობს). მე ირონიულად შევნიშნავდი: „ფილოსოფოსი ტომებს შეარიგებს“. მერაბმა ძალიან სერიოზულად მიპასუხა, რომ არა ტომები, არამედ თითოეული ტომი და ადამიანი თვითონ უნდა დაუზავდეს საკუთარ თავს. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ადამიანმა მანამდე საკუთარ თავს ომი გამოუცხადოს, რათა შემდეგ აუცილებლობით მიიღოს საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ის არის და სხვებს აღარ ებრძოლოს. საკუთარი თავის არმიღება კი ადამიანს ომისკენ, რევოლუციისკენ და „პოგრომისკენ“ უბიძგებს. სინამდვილეში, ადამიანს სხვისი კი არა, საკუთარი თავის ატანა არ შეუძლია. ცხადია, რომ ფილოსოფოსი ამასთან ვერაფერს გააწყობს. მაგრამ მან მაინც უნდა გააკეთოს რაღაც – ეს მისი ერთადერთი პრაქტიკული ამოცანაა, რისთვისაც ის უნდა წამოდგეს მაგიდიდან და სახლიდან გავიდეს.

დიახაც, რუსი ადამიანი ბოლშევიკებსა და ებრაელებს დაადანაშაულებს რევოლუციისა და სისხლიანი სამოქალაქო ომის მოწყობაში, ებრაელი რუსებს დასდებს ბრალს ანტისემიტიზმში, ქართველი – რუსებსა და სომხებს ხანმოკლე დამოუკიდებლობის დანგრევასა და 1921 წელს მე-11 არმიის მიერ თბილისში მოწყობილ სისხლისღვრაში და ა.შ. დაუსრულებლად. და ყველა მხარე მართალი იქნება! უბრალოდ, ამ სიმართლით „არაფერი დაიძვრება მკვდარი წერტილიდან“. მერაბი იმეორებდა: „ჩვენ უნდა გავხდეთ ევროპელები ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. ჩვენი ხალხების თვითმყოფადობა ევროპული უნდა გახდეს და თუ ეს არ მოხდა, ჯანდაბაში წავალთ. ევროპელი ქართველი იოლად მოელაპარაკება ევროპელ რუსს, ხოლო ევროპელ რუსს თავში აზრად არ მოუვა ევროპელ რუს ებრაელთან დაპირისპირება, მაგრამ ეს ევროპელებად ჩამოყალიბება, შინაგან თუ გარეგან მუშაობას მოითხოვს“. როგორაა ეს შესაძლებელი?

3 წლის წინ პარიზში გამართულ სემინარზე „ევროპის ადამიანი“ მერაბმა თქვა: „ევროპელი არის ადამიანი, რომელმაც იცის, რომ ღმერთთან პირისპირ დგას. იცის, რომ მის საქმეს გაიაზრებენ, ნაშობი აზრი კი მას საქმის სახით დაუბრუნდება. და მან იცის, რომ როგორც არ უნდა ჟღერდეს **მცნება** მოცემულ სიტუაციაში, **მცნება**

ყოველთვის სიტუაციაზე მაღლა დგას“. როდესაც სემინარის ერთმა ესპანელმა მონაწილემ მას ჰკითხა, ბევრს იცნობდა თუ არა ასეთ ევროპელს, მერაბმა უპასუხა, რომ მეტისმეტად ცოტას იცნობდა ასეთს, მაგრამ ამას არ აქვს არავითარი მნიშვნელობა, როდესაც იცი, რომ ასეთი ადამიანი არსებობს, და რომ ესპანელიც იცნობს ასეთ ევროპელს, რაკი სვამს კითხვას, ბევრნი არიან ისინი თუ ცოტანი. მერაბისთვის ასეთი ევროპელობის ნიმუში იყო მისი საყვარელი ფილოსოფოსი დეკარტი.

ევროპის ისტორიაში ყველაზე საზარელ 30-წლიან ომში, რომელშიც დეკარტი როგორც ოფიცერი მონაწილეობდა, სწავლული ხალხი იკრიბებოდა და საუბრობდა (ფრანგულად, გერმანულად, ლათინურად თუ სხვა ენაზე), როგორც „სწავლული“. „სწავლულობა“ მათი ნაციის, მოდგმისა და ოჯახის სახელი იყო. გერმანიამ საკუთარი მოსახლეობის თითქმის მესამედი დაკარგა და ნანგრევებში იწვა. ინგლისში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. კრომველის „რკინის სალდათები“ სიამოვნებით ამტვრევდნენ ოქსფორდის კოლეჯის შესანიშნავ ვიტრაჟებს და წვავდნენ ღირებულ ხელნაწერებს, ხოლო „სწავლულები“ წერილებს იღებდნენ დეკარტისგან და მას პასუხობდნენ. ეს არ არის ელიტიზმი, ან – ესკაპიზმი. ეს ფილოსოფოსების *სხვა ცხოვრებაა*. რომ არა ეს ხალხი – დეკარტი, სპინოზა, ბერკლი, იუმი, კანტი – ევროპა არ იქნებოდა ისეთი, როგორსაც დღეს ვიცნობთ. ცხოვრებისგან დისტანცირების გარეშე არ არსებობენ არც მოაზროვნეები და არც მათი ცხოვრება. მერაბ მამარდაშვილი იყო ასეთი მოაზროვნე. ის იყო ქართველი, რუსი, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ის იყო ევროპელი. თავისუფალი აზროვნება იყო მისი ცხოვრება.

ალექსანდრ პიატიგორსკი

გზის ფსიქოლოგიური ტოპოლოგია

(ლექციები პრუსტზე)

ლექცია 1

ჩვენ ვისაუბრებთ რომანის – „დაკარგული დროის ძიებაში“ – ტექსტზე. ეს იქნება ჩვენთვის მასალა, ხოლო თემა – „დრო და ცხოვრება“. იკითხავთ, ალბათ, რატომ შევარჩიეთ ეს თემა. გიპასუხებთ, რომ მიზეზი მარტივია: ცხოვრება – მართლაც, პრუსტი სწორედ ასე განსაზღვრავდა მას – დროში ძალისხმევაა.[1] მაშასადამე, საჭიროა ძალისხმევა, რომ ცოცხალი დარჩე. ჩვენ ხომ ინტუიციის დონეზე ვიცით, რომ ყველაფერი, რაც ცოცხალი გვეჩვენება, არ არის ცოცხალი. ბევრი რამ, რასაც განვიცდით, ვფიქრობთ და ვაკეთებთ, – მკვდარია. მკვდარია (უბრალო, საწყისი მნიშვნელობით. უფრო რთულ მნიშვნელობებზე ჯერ არ ვისაუბრებ), – იმიტომ, რომ სხვა რაიმეს მიბაძვა უკვე საკუთარი აზრი კი აღარ არის, არამედ სხვისია. მკვდარია იმიტომ, რომ ჭეშმარიტი, საკუთარი გრძნობა კი არ არის, არამედ სტერეოტიპული, სტანდარტულია და არა ის, რომელსაც თვითონ განიცდი. რაღაც ისეთია, რასაც მხოლოდ სიტყვიერად წარმოვთქვამთ და ამ სიტყვიერ გარსში ჩვენი ჭეშმარიტი, პირადი განცდა არ არის. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ მკვდარი არც იმქვეყნად არსებობს, არც მას შემდეგ, რაც გარდავიცვლებით, – მკვდარი ჩვენი ცხოვრების თანამონაწილეა, ჩვენი ცხოვრების ნაწილია. ფილოსოფოსებმა ყოველთვის იცოდნენ (მაგალითად, ჰერაკლიტემ), რომ ცხოვრება იგივე სიკვდილია[2] და ა.შ. (ჩვეულებრივ, ამას უწოდებენ დიალექტიკას, მაგრამ ეს სიტყვა საკითხის არსის გაგებას ხელს უშლის).

---

[1] T.R. გვ. 1046. – აქ და შემდგომში პრუსტის რომანის ციტატები მოხმობილია მ. მამარდაშვილის თარგმანიდან, გამოცემა: Proust, Marsel. A la recherche du Temps perdu. T. I – III. «Bibliothèque de la Pléiade». Paris, 1954 (რომანის შემოკლებული სათაურის და გვერდის მითითებით).

[2] „ყველაფერი ერთია ჩვენში – ცოცხალიც და მკვდარიც, ფხიზელიც და მძინარეც, ახალგაზრდაც და მოხუციც, რადგანაც ესენი (წინააღმდეგობრიობები) ერთმანეთთან შერევისას, არსით მეორენი ხდებიან, ხოლო მეორენი ხელახალი შერევისას – პირველნი“. (Фрагменты ранних греческих философов. М., 1989. გვ. 213.)

ამგვარად, ფილოსოფოსები ამბობენ, რომ სიცოცხლე ყოველწამს გადაჯაჭვულია სიკვდილთან. სიკვდილი სიცოცხლის შემდეგ კი არ დგება – მას თვით ცხოვრებაში უდევს წილი. ჩვენს სულიერ ცხოვრებაში ყოველთვის არსებობს ყოველდღიური ცხოვრების მკვდარი ნარჩენები ან მკვდარი პროდუქტები. და ხშირად ადამიანი აღმოაჩენს, რომ ეს მკვდარი ნარჩენები ცხოვრების მთელ სივრცეშია განფენილი და ცოცხალი გრძნობისთვის, ცოცხალი აზრისთვის, ჭეშმარიტი ცხოვრებისთვის ადგილს არ ტოვებს. მართლაც, სიტყვათშეთანხმება „ჭეშმარიტი ცხოვრება“ ერთ-ერთია მათგან, რაც ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება პრუსტის ტექსტში[3]. „ჩემი ჭეშმარიტი ცხოვრება“ – თვით ამ კონსტრუქციის ინტენსიობა, მისი საჭიროება მიუთითებს იმაზე, რომ ცოცხლის გარჩევა მკვდრისგან ძალიან ძნელია. ნებისმიერ ჩვენს ცხოვრებისეულ მდგომარეობას ყოველთვის თავისი დუბლი ახლავს. მკვდარი დუბლი. თქვენ ხომ საკუთარი გამოცდილებით იცით, რამდენად რთულია იმის გარჩევა, რაზეც ადამიანი სიტყვიერად ლაპარაკობს, მაგრამ არ შეიგრძნობს, იმავე ოღონდ ცოცხალი საუბრისგან. რატომ არის რთული? იმიტომ, რომ სიტყვები ერთი და იგივეა. ალბათ, ხშირად გქონიათ შემთხვევა, როდესაც გარემოებები ისე აეწყობა, რომ სიტყვა, რომელიც ენაზე გქონდათ მომდგარი, არ წარმოგითქვამთ, ვინაიდან სწორედ იმავე წუთს, როდესაც ამის თქმას აპირებდით, გრძნობდით, რომ ნათქვამი ტყუილს დაემსგავსებოდა. ზოგჯერ, სხვათა შორის, იმიტომაც სდუმხართ, რომ თქმული უკვე თქვენზე აღარ არის დამოკიდებული, ის რაღაც მექანიზმში ხვდება და ტყუილს ემთხვევა (თუმცა, შეიძლება სიმართლეც იყოს). დანტეს შესანიშნავი სტრიქონი აქვს „ღვთაებრივ კომედიაში“ და მართლაც, ურიგო არ იქნებოდა, პრუსტის ტექსტის პარალელურად დანტეც რომ წაგეკითხათ, ვინაიდან პრუსტის ტექსტი სულის ისეთივე მოგზაურობაა, როგორც „ღვთაებრივი კომედია“ – სულის შინაგანი მოგზაურობის ერთ-ერთი პირველი და ყველაზე დიდებული ჩანაწერი. შემთხვევითი არ არის, რომ ბევრი დანტესეული სიმბოლო, სიტყვები და კონსტრუქციები პრუსტისეულ კონსტრუქციებს ემთხვევა, თუმცა პრუსტს სულაც არ დაუსახავს მიზნად დანტეს ციტირება. ერთი სიტყვით, დანტემ, რომელსაც მიუძღვებოდა ვერგილიუსი, დაინახა სიცრუის ურჩხული გერიონი გვე-

[3] იხ.: T.R. – გვ. 881, გვ. 895; J.F. გვ. 718.

ლის ტანით (რომელიც წყვდიადში იყო დამალული) და ადამიანის თავით. ადამიანი, მაგრამ სინამდვილეში – გველი. და დანტე ამბობს, რომ იხილა სიმართლე (ეს სიმბოლიკაა), ადამიანთა სიცრუის განსახიერება, მაგრამ ამის (სიმართლის) თქმა ადამიანს შეუძლებლად მიაჩნია. „ჭეშმარიტება, რომელიც სიცრუეს ჰგავს, ბაგეებშეკრულებმა უნდა შევინახოთ“[4]. ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე ჩვეული ფსიქოლოგიური ვითარებაა. ეს მაგალითი კი იმისთვის მოვიხმე, რომ ცოცხალისა და მკვდრის, სიცრუისა და ჭეშმარიტების გამიჯვნისთვის განგაწყოთ, ვინაიდან აღნიშვნის თვალსაზრისით, ისინი ერთმანეთის მსგავსია და, რაც ყველაზე მთავარია, სიცრუესა და ჭეშმარიტებას შორის შინაგანი სხვაობა, რაც გარეგნულად არ არსებობს (არ არსებობს სიტყვებსა და საგნებში; სიცრუისა და ჭეშმარიტების საგნები ერთმანეთს ჰგავს, ერთმანეთისგან განურჩეველია), მთლიანად რაღაც განსაკუთრებული შინაგანი აქტის ანაბარა რჩება, რომელსაც ყველა საკუთარი რისკის ფასად სჩადის. ამ აქტს შეგვიძლია ცნობიერების გამძაფრებული შეგრძნება ვუწოდოთ.

მაშასადამე არის შინაგანი აქტი. ესე იგი განსხვავებას ვადგენ მე და ეს საგნებში თავისთავად მოცემული როდია. ის ჩემგან დამოუკიდებლად არ არსებობს. ის, ვინც იტყუება, იმავე სიტყვებით მეტყველებს, როგორც ის, ვინც სიმართლეს ამბობს. სიტყვებში არ არის ჭეშმარიტება და, ამ გაგებით, მათი ჩაწერა შეუძლებელია. სიცრუის და ჭეშმარიტების ნიშნები ერთი და იგივეა. და სწორედ გარეგნულად მოუხელთებელი ეს განსხვავებაა შინაგანი აქტი. მაგრამ ვინაიდან სამყარო მას არ ახორციელებს, მისი გამაგრება შეუძლებელია, შეუძლებელია ითქვას: ეს უკვე გაკეთებულია და არსებობს; ისევე, როგორც, ვთქვათ, შესაძლებელია რომელიმე ფორმულის დამახსოვრება, სიმბოლოთი აღნიშვნა და შემდეგ მხოლოდ სიმბოლოს გამოყენება ისე, რომ მთელი შინაარსი არ აღვადგინოთ. მოგიწოდებთ, რომ ეს აქტი პრუსტის ტექსტის მიმართ განახორციელოთ. პატარა ციტატას მოვიხმობ. პრუსტისეული ტექსტი, ვინაიდან ის სიტყვის დიდოსტატია, ძალიან ლამაზია, კარგად შერჩეული და კარგად დაკავშირებული სიტყვებისგან შედგება; სტილი უშუალო სილამაზითაა გამორჩეული და იმდენად ხელშესახებია, რომ ზოგ-

[4] Данте Алигьери. Божественная комедия. М., 1967. Ад, XVI, გვ. 75. (Пер. М.Лозинского.) ორიგინალში: “Sempre a quel ver c’ha faccia di menzogna / de’ l’uom chiuder le labbra fin ch’el pote,/ però che sanza colpa fa vergogna”.

ჯერ სწორედ ამიტომაც არ ვუფიქრდებით ნათქვამს. თითქმის ყველა სიტყვა მრავალმნიშვნელოვანია, ღრმაა, მათში გარკვეული ანარეკლია. ზოგჯერ პრუსტი კარგ სტილს ხავერდს ადარებს (ქსოვილს, რომელიც შესახებად სასიამოვნოა და, იმავდროულად, მოუხელთებელი სიღრმის შეგრძნებას ტოვებს)[5]. ავიღოთ უბრალო ციტატა – რომანში არიან გმირის ბებიდები (საქართველოში ძალიან გავრცელებულია ამ ტიპის, ხშირ შემთხვევაში, დიდგვაროვანი წარმომავლობის ქალები; ანუ ისინი სოფლის დიდგვაროვანთა ფაქტობრივად გაკოტრებულ წრეს განეკუთვნებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში ერის ხერხემალს შეადგენდნენ, რომელიც რევოლუციის წლებში ყველაზე მეტად დაზარალდა; ისინი იყვნენ განმანათლებლობის, გარკვეული ზნეობრივი ნორმების, ტრადიციების მატარებლები) პრუსტი ამბობს, რომ ბებიდები ფიქრობდნენ, რომ ბავშვებს ყოველთვის უნდა აჩვენონ ის ნაწარმოებები, რომლებიც აღფრთოვანების ღირსია. მათ ეგონათ, რომ ესთეტიკური თვისებები არსებულ მატერიალურ საგნებს ჰგავს (ვთქვათ, „ლამაზი“ – რომელიმე საგნის მატერიალური თვისებაა, ან კიდევ – „კეთილშობილი“, „ამაღლებული“, „პატიოსანი“; ისევე, როგორც თქვენ არ შეგიძლიათ, რომ არ დამინახოთ, ვინაიდან მე – მატერიალური საგანი – თქვენს წინაშე ვდგავარ). და თუკი ბავშვს ამგვარი საგნების – მათ შორის კარგი წიგნების – გარემოცვაში გავზრდით, ამით მას განათლებას ვაძლევთ.

და უცბად პრუსტი შენიშნავს: *„ესე იგი, ისინი ფიქრობდნენ, რომ შეუძლებელია ესთეტიკური თვისებების არ დანახვა* („ესთეტიკურის“ ნაცვლად ნებისმიერი სხვა სიტყვა ჩასვით: ზნეობრივი, ინტელექტუალური), *ასე ფიქრობდნენ და არ ესმოდათ, რომ ეს შეუძლებელია (ანუ დანახვა) ამ თვისების ექვივალენტის საკუთარ სულში ნელ-ნელა მომწიფების გარეშე*“[6]. ანუ გააკეთო ის, რასაც ზემოთ შინაგანი აქტი ვუწოდე. აი, ახლაც თითქოს პრუსტისეულ მიმზიდველ, უმნიშვნელო ფრაზას ვუტრიალებ, მაგრამ ამის მიღმა გარკვეული სტრუქტურაა. პრუსტისთვის ადამიანი აღზრდის სუბიექტი როდია, ის განვითარების სუბიექტია, რომელიც საკუთარი რისკის ფასად შინაგანი აქტებისთვისაა განწირული, რომ მის სულში მომწიფდეს იმის ექვივალენტები, რომლებიც გარეგნული თვალსაზრი-

[5] T.R. – გვ. 898.

[6] Sw. – გვ. 146.

სით, თითქოსდა, უკვე არსებობს საგნების და ადამიანური მონაპოვრების სახით. ასე რომ, ადამიანთა აღზრდა თითქოს შესაძლებელია, თუკი მათ, მაგალითად, კაცობრიობის ყველაზე დიდი და კეთილშობილური ნაზრევის გარემოცვაში ვამყოფებთ, რომლებიც კლდეებზეა გამოკვეთილი ან გამონათქვამების სახით სახლების კედლებზეა გამოსახული, რომ ადამიანმა, სადაც არ უნდა გაიხედოს, თვალწინ ყოველთვის დიადი გამონათქვამი ხვდებოდეს და ამ გზით ჩამოყალიბდეს. სავალალო ისაა, რომ ხშირად წიგნების მიმართაც ამგვარი დამოკიდებულება გვაქვს. პრუსტისთვის კი წიგნში არ არსებობს ის შინაარსი, რომელთან კონტაქტშიც თქვენ და მე უნდა შევიდეთ: ის შეიძლება, მხოლოდ ჩვენი შინაგანი აქტებიდან გამომდინარე გაჩნდეს. წიგნი პრუსტისთვის სულიერი იარაღი იყო, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია (ან შეუძლებელია) საკუთარ სულში ჩახედვა და მასში ექვივალენტის მომწიფება. წიგნიდან დიადი ნაზრევის ან მდგომარეობის სხვა ადამიანზე გადატანა კი შეუძლებელია. მაშასადამე, პრუსტისთვის წიგნი ცხოვრების ნაწილი გახლდათ. რა გაგებით? არა იმ გაგებით, რომ თავისუფალ დროს ზოგჯერ წიგნებს ვკითხულობთ ხოლმე, არამედ იმას გულისხმობდა, რომ რაღაც არსებითი ხდება ჩვენში, როდესაც კითხვის აქტი მჭიდროდაა ჩაწნული ჩვენი ცხოვრებისეული გამოვლინებების, ცხოვრებისეული ქმედებების ერთობლიობასთან, იმის მიხედვით, თუ როგორ დაკრისტალდება, გასაგებ ფორმაში ის, რაც თავს გადაგვხდა, რაც განვიცადეთ, დავინახეთ, რაც გვითხრეს და რაც წავიკითხეთ. აი, ამგვარად უნდა შევეცადოთ, რომ მივუდგეთ თვით პრუსტის ტექსტს. ის ამის საშუალებას გვაძლევს. პრუსტი ფიქრობდა, რომ წიგნები, ბოლოს და ბოლოს, არც ისეთი საპატიო რამ არის, ისინი დიდად არ განსხვავდებიან კაბისგან, რომლის გამოჭრაც ასეც შეიძლება და ისეც, საკუთარ ტანთან მისადაგებით[7]. ამიტომაც საჭირო არ არის, რომ წიგნების წინაშე ქედი მოვიხაროთ. ასეთია პრუსტის აზრების მიმდევრობა.

და ვინაიდან უკვე გამოვიყენე სიტყვა „ცხოვრება“, მინდა, ჩავეჭიდო მას. როგორ გამოვხატავდი პრუსტის ძირითად მდგომარეობას წიგნში, რომელზეც უნდა ვისაუბროთ? კაცმა რომ თქვას, ეს სურვილების და მოტივების რომანია. ფსიქოლოგიაში არის ასეთი ტერ-

[7] T.R. – გვ. 911, 1033.

მინი – „მოტივი“, რომელიც გულისხმობს ამა თუ იმ საქმის ან ქმედების ფსიქოლოგიურ მიზეზს. მაგრამ პრუსტი სიტყვა „მოტივს“ (და მასთან ერთად მეც) მუსიკალური მნიშვნელობით იყენებს – ამბობს, რომ არსებობს რომელიღაც უცვლელი ნოტი, რომელიც მუსიკალური ნაწარმოების საკმაოდ დიდ სივრცეზე ვრცელდება.[8] ცხოვრებასაც აქვს თავისი მოტივი, რაღაც ნოტი, რომელიც ცხოვრების დიდ სივრცეს და დროს მსჭვალავს. და ეს მოტივი ყველაზე ხშირად სურვილს უკავშირდება. ერთი, ძალიან მარტივი გაგებით: ჩვენ ხომ მხოლოდ და მხოლოდ სურვილის მქონე არსებები ვართ. და მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე დიდი სურვილი – სიცოცხლის სურვილია. მაგრამ როგორი სიცოცხლის? რომ თავი ცოცხალ არსებებად ვიგრძნოთ! სწორედ სურვილების წყალობით ვგრძნობთ თავს ცოცხალ არსებებად. ეს ყველაზე დიდი ფასეულობაა. ცხოვრებას საკუთარი თავის გარეშე არ აქვს ფასეულობები, ამ გაგებით ის თავისთავად ფასეულობაა. იმ გაგებით არა, რომ უნდა გავუფრთხილდეთ სიცოცხლეს, როგორც ფიზიკურ ფაქტს, – ფიზიკური თვალსაზრისით ხომ ვიცით, რომ ვიღაც მოკვდა, ვიღაც – ცოცხალია. არა, აქ ის იგულისხმება, რომ, ვიმეორებ, სურვილები ჩვენი ისეთი გამოვლინებები ან თავისებურებებია, რომლებშიც საკუთარ თავს ცოცხალ არსებებად შევიგრძნობთ და ამიტომაც მათი განხორციელებისკენ ვისწრაფვით. აქედან გამომდინარე, ჩვენი მთავარი სურვილია, რომ ვიცოცხლოთ. სიცოცხლე კი, როგორც ჩანს, არ არის იოლი და არა მხოლოდ იმ მიზეზების გამო, რომლებზეც ვისაუბრე. ვამბობდი, რომ სიცოცხლე გადაჯაჭვულია სიკვდილთან და იქ ძალიან ბევრი რთული ელემენტებია, რომლებიც ჩვენი ცხოვრებისეული აქტების უკან დგას. იმ სიტუაციათა (და ასეთი რამ მრავლადაა) უკან დგას, რომლებიც ჩვენგან მხოლოდ ერთ რამეს მოითხოვენ: რომ ჩვენი მხრიდან შინაგანი აქტი განვახორციელოთ. ახლავე განვმარტავ, რასაც ვგულისხმობ. ყველაზე ტიპურ მაგალითს მოვიხმობ, რომელიც ამგვარ ქმედებას საჭიროებს. პრუსტთან ამგვარი მდგომარეობაა (ჩემთან ერთად გონებაში გაშიფრეთ ეს მდგომარეობა სიტყვა „სურვილთან“, „თავს ცოცხალ არსებად ვგრძნობ“-თან და ა.შ. მიმართებაში) – პირობითად მას ადგილის მდგომარეობას დავარქმევ. კერძოდ: სად ვარ? ის სიტუაცია, როდესაც ვიცი ან არ

[8] იხ.: Sw. – გვ. 390; C.G. – გვ. 143, გვ. 159; S.B. – გვ. 559.

ვიცი საკუთარი ჭეშმარიტი მდგომარეობა. პირობითად რომ ვთქვათ, რომელ სამყაროში ვარ? სად ვარ რაიმესთან მიმართებით? რა ხდება სინამდვილეში ჩემს თავს? იმიტომ, რომ ის, რაც ჩემს თავს ნამდვილად ხდება, შეიძლება განსხვავდებოდეს იმისგან, რაც ჩემს თვალწინ ხდება. რას ვგრძნობ სინამდვილეში? ვინაიდან ძალიან ხშირად მგონია, რომ მიყვარს, მაგრამ ფაქტობრივად მძულს. ეს არა მხოლოდ ცხოვრებისეული გამოცდილებიდან იცით, არამედ ელემენტარული ფსიქოლოგიური ცოდნიდანაც. ასე მგონია, რომ მიყვარს ალბერტინა (პრუსტის რომანის გმირი), სინამდვილეში კი მუსიკის მოსმენა მინდა. რატომ? უბრალოდ, გარკვეული მიზეზების გამო, ალბერტინა ჩემთვის ამ სურვილის მატარებლად იქცა – ანუ რაღაც მექანიზმის წყალობით, რომელიც ჩემთვის უცნობია, მუსიკისადმი ჩემი ლტოლვა ალბერტინასადმი სწრაფვაში გადაიზარდა. საკუთარ ცნობიერებაში ალბერტინასკენ ვისწრაფვი, სინამდვილეში კი კარგი მუსიკის მოსმენა მინდა. ან: ქალთან პაემანზე მივდივარ იმაში დარწმუნებული, რომ სწორედ მასთან შეხვედრა მაინტერესებს, სინამდვილეში რაღაც სხვა გრძნობებს ვემორჩილები, და, ის ფაქტი, რომ ეს გრძნობები სხვაა, ძალიან ხშირად ვლინდება ხოლმე პაემანის დროს, ვინაიდან ზოგჯერ პაემანზე მირბენის ჩემი სურვილი იმ მოწყენილობის პირდაპირპროპორციულია, რომელიც ამიტანს ხოლმე პაემანზე და სურვილი მიჩნდება, რომ იგი მალე დასრულდეს. თან, ეს მოწყენილობა გაურკვეველია, ვინაიდან პაემანზე მისვლისას, ვხედავ ადამიანს, რომელსაც ყველა ის თვისება შერჩა, – და ეს თვისებები არ შეცვლილა, – რის გამოც, თითქოსდა, ამ პაემანზე მოვისწრაფოდი. მაგრამ რაღაც შფოთვა, სევდა გიპყრობს, რომელსაც გერმანელები Unbehagen-ს უწოდებენ და როგორც პრუსტი ამბობს, საყვარელი ქალის ნაკვთებსაც კი ვეღარ იხსენებ[9]. არადა, გეგონა, რომ სწორედ ეს ნაკვთები იყო სიყვარულის საგანი ან მიზეზი, მაგრამ, ჩანს, ასე არ ყოფილა, რადგან პაემანის შემდეგ აღარც კი გახსოვს ისინი. და ის, რაც არ გახსოვს, შეუძლებელია სწრაფვის მდგომარეობის მიზეზად იქცეს.

ეს მაგალითები იმის განსამარტავად მოვიხმე, რომ როცა ჩნდება კითხვა: რას ვგრძნობ სინამდვილეში, ეს არ გახლავთ თავისთავად ცხადი კითხვა, რომელსაც ასეთივე ცხადი პასუხი აქვს. შეგახსე-

[9] J.F. – გვ. 490.

ნებთ, რომ თავის დროს, ამაზე მიუთითებდა ფოლკნერი... მართლაც, იმან, რასაც ახლა ვამბობ, რომანის რადიკალურად შეცვლილ, ან, გნებავთ, რევოლუციურ ფორმაზე მოახდინა გავლენა. როგორც ჩანს, გამოცდის ის ტიპი, რომლის გავლაც პირველ რიგში სურდათ ფოლკნერს და პრუსტს, მათი გამოცდილების სახე კლასიკურ ფორმაში ვერ მოთავსდებოდა, დაანგრევდა მას და საჭირო გახდა ახალი, განსხვავებული ფორმის მოძებნა.

არც პრუსტს და არც ფოლკნერს, ფაქტობრივად, არ ჰყავთ სახელდებული სიუჟეტური გმირი, არის გმირი, რომლის გვარი, შეიძლება, არც ვიცოდეთ, მათთან დროის ყველა შრე ერთმანეთშია გადახლართული, თხრობა ერთი დროდან თავისუფლად ხტება სხვა დროზე, ყოველგვარი თანმიმდევრული კავშირის გარეშე, რომელსაც კლასიკური რომანების კითხვისას მივეჩვიეთ. არავითარი საზოგადოება, სოციალური მოძრაობა, გნებავთ, ობიექტური სურათი არ არის ასახული. ყველაფერი სრულიად სხვაგვარადაა აგებული. რატომ? და აი, აქ დავუბრუნდები ფოლკნერის ფრაზას, რომლის მოხმობასაც ვაპირებდი. ფოლკნერი ამბობდა, რომ ადამიანის ყველაზე დიდი ტრაგედია არის ის, როცა მან არ იცის, როგორია მისი ნამდვილი მდგომარეობა.[10] სად არის ის და რა ხდება მის თავს? უფრო სწორად – როგორ და როდის დაიწყო ის, რაც ახლა ხდება. მაგალითად, როგორ და როდის დაიწყო ის, რომ სანატრელ პაემანზე მისული, სულ იმაზე ვფიქრობ, რომ ის მალე დასრულდეს. რა ხდება? გამოდის, რომ ყველა ამ მდგომარეობას ერთი თავისებურება აქვს: უნდა გამოვარკვიოთ ყველაფერი, კვანძი გავხსნათ. რომანის ფორმაც ისეთი უნდა იყოს, რომ ამ ცხოვრებისეული გამოცდილების გარკვევაში დაგვეხმაროს. და აქვე, ჯერჯერობით, მოვინიშნავ ერთ მნიშვნელოვან მოსაზრებას. ლიტერატურა, ან ტექსტი არ არის ცხოვრების აღწერა, ან უბრალოდ ისეთი რამ, რაც გარეგანი თვალსაზრისით (თვით ცხოვრებასთან მიმართებაში) მისი სამშვენისია; ის არც ჩვენი საქმიანობის სფეროა, – მნიშვნელობა არა აქვს, ვწერთ, თუ ვკითხულობთ თავისუფალ დროს, არამედ ეს არის იმის ნაწილი, როგორც აეწყობა ან არ აეწყობა ცხოვრება. იმიტომ, რომ საჭიროა გავერკვეთ გამოცდილებაში და ამისთვის აუცილებელია ინსტრუმენ-

[10] იხ.: Фолкнер У. Собрание рассказов. М., 1977. С. 573; его же: Статьи и интервью. М., 1985. გვ. 244.

ტი. მაგალითად, პრუსტისთვის – და ქვემოთ შევეცდები დაგანახოთ ეს – ტექსტი, ანუ რაიმე წარმოსახვითი სტრუქტურის შედგენა გამოცდილებაში გარკვევის ერთადერთი საშუალებაა; როდესაც საკუთარ ცხოვრებაში რაღაცის გაგებას ვიწყებთ და კონტურები იკვეთება იმის მიხედვით, თუ რამდენად მონაწილეობს ტექსტი მასში, ცხოვრებაში. ცნობილ ფაქტს მოვიხმობ: კაცმა რომ თქვას, პრუსტი თავის რომანს წერდა სიკვდილთან შეჯიბრის პირობებში, ვინაიდან ასთმით მძიმედ იყო დაავადებული და, მოგეხსენებათ, ასთმა ფსიქოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე რთული დაავადებაა. ასეთი ავადმყოფი ფიზიკურად იტანჯება, რაც ყველაზე მეტად სიკვდილის შეგრძნებას ჰგავს, ვინაიდან სული გეხუთება და სიკვდილიც სადღაც შორს კი არა, აქვეა. სწორედ ეს დაავადება არგუნა ბედმა პრუსტს (მაპატიეთ, რომ ასოციაციებს მივმართავ და სხვადასხვა გზით მივდივარ, მაგრამ, მგონია, ასე საუბარი სჯობს მეტისმეტად მწყობრ და თანმიმდევრულ ლაპარაკს). ერთი სიტყვით, მოგეხსენებათ, რომ, თუკი ტექსტი ცხოვრების ნაწილია, – არა იმ გაგებით, რომ მას იგივე ადამიანი წერს, რომელიც ამავე დროს ცხოვრობს, სამსახურში დადის, ჰყავს მეუღლე, შვილები და ა.შ. – არა, სხვა რამეს ვგულისხმობ: რაიმეს გარკვევისთვის, საჭიროა, ეს ვითარება რაღაც განსაკუთრებულ სივრცეში, ტექსტის სივრცეში წარმოვიდგინოთ, და მაშინ (თუკი ეს ტექსტი შედგა) ვითარება იცვლება. მართლაც, ნაბოკოვმაც ზუსტად იგივე გააკეთა – რუსულ ლიტერატურაში საერთოდ არ გვხვდება ამგვარი რამ, მე ვიტყოდი, მსოფლიო ლიტერატურისგან მისი პროვინციულ-პატრიარქალური ჩამორჩენილობის გამო, – ნაბოკოვი კი ამგვარ ექსპერიმენტებს ატარებდა. მაგალითად, ის აღწერს ვითარებას, რომელშიც მისი პერსონაჟი მოხვდა, მან სიტუაციის გამოსარკვევად შეადგინა ტექსტი, საკუთარ არსებას ჩაუღრმავდა და თავისი ცხოვრების ჭეშმარიტი ფაქტი დაადგინა – უახლოესი მეგობარი მისი ცოლის საყვარელია. ამასთანავე, ბუნებრივია, თუკი ცხოვრება ტექსტის მიხედვით იცვლება, მაშინ ეს ტექსტი უსასრულოა. მისი ბოლომდე დაწერა შეუძლებელია – გასაგებია, რაც ახლა ვთქვი? – ამ აზრით, მაგალითად, ის ვერ იქნება დასრულებული, სრულყოფილი რომანი. და აი, პრუსტს დაწერილი ჰქონდა რომანის დასაწყისი და დასასრული: რომანის დასაწყისში უკვე მოცემულია დასასრულიც. პრუსტი საკუთარი რომა-

ნის აგების პროცესს ტაძარს ადარებდა[11]; მასში ყოველთვის არის ერთი ნაწილის მეორესთან გადაძახილი. თქვენ ხომ ტაძარს თანმიმდევრობით ათვალიერებთ, ერთი შეხედვით შეუძლებელია მთელი ტაძრის აღქმა; ვთქვათ, ჯერ ერთ ნაწილს და იქ რაღაც გამოსახულებას უყურებთ, რომელიც, მართალია, მას ცალკე ადევნებთ თვალს, მაგრამ ცალკე კი არ არსებობს, არამედ ის ტაძრის სხვა ნაწილთან გადაძახილია, რომელსაც რამდენიმე ხანში ნახავთ. პირობითად ამ გადაძახილს სიმბოლური, ანუ ის ტერმინი ვუწოდოთ, რომლითაც სიმბოლისტები სარგებლობდნენ, – correspondances, შესაბამისობანი. (მგონი, თქვენთვის ნაცნობი სიმბოლური შესაბამისობების თემა შემომაქვს.) ვთქვათ, 50-ე გვერდზე რომელიღაც სცენა აზრობრივი გადაძახილის მატარებელია და თავისი საბოლოო მნიშვნელობით გაუგებარი იქნება იმის გარეშე, რაც 3000-ე გვერდზეა (დაახლოებით რომანის ბოლოს). ასე რომ, დასასრული უკვე დაწერილია. შესაბამისად, დასასრული და დასაწყისი რომანის შიგნით დასაბამს აძლევს თვით პრუსტის ცხოვრების მოვლენებს. მათ შორის სახელგანთქმულ ალბერტინას „სიყვარულის წიგნს“; რომანის ორ ნაწილში ის განსაკუთრებულადაა გამოყოფილი – „ტყვე ქალი“ და „გაქცეული ქალი“. ეს ნაწილები ცოცხლადაა დაწერილი. პრუსტს მოფიქრებული ჰქონდა რომანის დასაწყისიც და დასასრულიც და საკუთარ რეალური სიყვარულის ისტორიას ხელახლა, სხვა თარგზე ჭრიდა, – სიყვარულს, რომელიც ცხოვრებაში ჰქონდა: მას უყვარდა თავისივე მდივანი ალფრედ აგოსტინელი, რომელიც დაიღუპა, სხვათა შორის, ისევე, როგორც რომანში – ალბერტინა. მინდა აქვე შევნიშნო, რომ მერე ამ საკითხს აღარ დავუბრუნდე. ალბათ, იცით, რომ პრუსტი ნორმალური სექსუალური ტემპერამენტის მქონე ადამიანი არ ყოფილა. ის ჰომოსექსუალისტი გახლდათ. მაგრამ ის იყო ერთერთი იმ მცირეთაგანი, რომელსაც სიმამაცე ჰყოფნიდა, პირობითად რომ ვთქვათ, თავისი ამ ახირებიდან, ადამიანისთვის დამახასიათებელ ძიებისადმი დაუოკებელ სწრაფვაში, სიყვარულის საერთო და არა ჰომოსექსუალურ ბუნებამდე მისულიყო. ეს პრობლემა გახლდათ სიყვარული – როგორც ასეთი (ანუ ნორმალური სქესობრივი სიყვარული). მან მოახერხა ზღვრის გადალახვა, გარკვევა და გაგება. ეს იმიტომ, რომ, კაცმა რომ თქვას, იქაც იგივე კანონები მოქმედებს და

[11] T.R. – გვ. 1044 – 45.

ზოგჯერ ჰომოსექსუალურ სიყვარულში უკეთ ჩანს სიყვარულის საერთო კანონზომიერებები (ამ უკანასკნელ, ასე ვთქვათ, მიზეზს მოგვიანებით ისევ დავუბრუნდები, გადახრებზე კი აღარ ვისაუბრებ, ვინაიდან მათი ანალიზი სრულიადაც არ არის საინტერესო და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს). ვიმეორებ, პრუსტმა თავისი ძლიერი გრძნობის მთელი ეს მარათონი რომანში კალმით ხელში გაირბინა და თავს ართმევდა ამ ყველაფერს; მოგვიანებით დაინახავთ, როგორ დაძლია პრუსტმა სიყვარულის ძირითადი ელემენტი, რომლის გამოც შეყვარებული ადამიანი ადამიანური კავშირის უნარს კარგავს, კერძოდ კი – მესაკუთრის მანიას ვგულისხმობ. ის მიხვდა, რომ სიყვარული ურჩხულად გვაქცევს, თუკი ჩვენში მფლობელის ბუნება იღვიძებს. სწორედ ამისგან თავისუფლდებოდა ის. ტექსტის საშუალებით გამოდის, რომ ტექსტი რეალურ ცხოვრებაში მონაწილეობს.

დავუბრუნდეთ იმას, რაც აღვნიშნე, – სიტუაციას. საკუთარი თავის და ნამდვილი მდგომარეობის არცოდნის ყველაზე ტიპური სიტუაცია; მაშასადამე, მთავარი ამოცანა საკუთარი „მე“-ს ნამდვილი მდგომარეობის გარკვევაა. პრუსტის რომანი, პირდაპირ რომ ვთქვათ, აჭრელებულია ამგვარი სიტუაციებითაც, სიტყვებითაც, რომლებიც მათ აღწერას ითვალისწინებს. ეს გახლდათ, ასე ვთქვათ, მისი მანია, ის ასე ხედავდა სამყაროს – ამ ინტენსივობის ნიშნით. მოგეხსენებათ, რომ თითოეულ ჩვენგანს აქვს მანიები. ამის გარეშე ვერ დაინახავ იმას, რაც ყოველგვარი მანიის გარეშე, თავისთავად არსებობს. პრუსტის ტექსტიდან ცხადად ჩანს ჩვენი ცხოვრების ერთი ფუნდამენტური კანონი. ის შემდგომში მდგომარეობს: სამწუხაროდ, თითქმის ვერასდროს განვიცდით იმდენად, რომ დავინახოთ, სინამდვილეში რა ხდება. რეალობის სახე დავინახოთ. მაგალითად, პრუსტისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განცდა ის არის, რომ სიყვარულით ვანადგურებთ მათ, ვინც გვიყვარს, რადგანაც ეგოისტური ბუნება გვაქვს, გვინდა დავეუფლოთ და ა.შ. მეორე მხრივ კი ყოველთვის არსებობს მოარული ფრაზები, რომლებიც ხელს გვიშლის, რომ რაიმე ინტენსიურად განვიცადოთ. საკუთარ თავს ვეუბნებით: ეს ყველაფერი ასე არ არის; ეს იმას არ ჰგავს, რაც წინათ იყო, ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა, ყველაფერი გაივლის, მოგვარდება; იმედი ხელს გვიშლის, რომ ახლანდელი მომენტი ინტენსიურად განვიცადოთ და გადავყავართ მომავალში, ხვალინდელში. ხვალინდელი დღისთვის გადავდებთ ხოლმე. იმედი ხელს გვიშლის –

რაში? – რომ ინტენსიურად აღვიქვათ ის, რაც არის. ამავე დროს, ამიტომაა, რომ მსოფლიო ხელოვნებაში დასაბამიდანვე არის ის, რასაც სინამდვილის წმიდათაწმიდა შიშს უწოდებდნენ. როდესაც რეალობა, ან ის, რაც სინამდვილეში არსებობს, გარკვეული ტრავმის შემდეგ წარმოგვიდგება (სამწუხაროდ, ბოლო დროს პოეტებმა დაკარგეს ჩვენში რეალობის წინაშე წმიდათაწმიდა შიშის აღძვრის უნარი); ანუ პოეტი საკმაოდ გრძნობამორეული ან შეძრული უნდა იყოს, რომ სინამდვილე დაინახოს, – ვთქვათ, დედის სახის რეალობა პრუსტის რომანში. ჩვენ ხომ სინამდვილეში საკუთარ დედებს ვკლავთ. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ვერასდროს განვიცდით საკმარისად, ამას ვერ ვხედავთ. მაგრამ ზოგჯერ პოეტები საშინელ ფიგურებს ხატავენ, რომლებიც ჩვენი განცდის უუნარობას ბოლოს უღებს და ვხედავთ სინამდვილეს. ამავე დროს, იმის თქმაც მინდა, რომ პოეტის ამოცანა ჩვენთვის განცდის მოგვრა კი არაა, არამედ იმის დანახვება, რაც სინამდვილეშია – ჩვენი ნამდვილი მდგომარეობის, ან იმის, რასაც სინამდვილეში ვაკეთებთ.

განწყობისთვის, კამერტონისთვის მინდა მოვიხმო პრუსტის კიდევ ერთი ციტატა.

„რა კეთილშობილურია ბუნების კანონი, რომლის თანახმადაც არასდროს ვუწყით ის, რაც გვიყვარს“[12]. მასთან ხშირად მეორდება ასეთი სახე: შეყვარებული თითქოს შუშის სამანს მიღმა, ერთ მხარესაა, როგორც აკვარიუმში, რომლის კედლითაც გამიჯნულია სამყაროსგან, და მისთვის მხოლოდ ერთი სამყაროა, ის აკვარიუმში არსებულ საგნებს ხედავს. ჩვენ ვერ გვხედავს. ის საგნებს საკუთარი თვალით ხედავს და ისინი უსასრულოა. ჩვენი თვალსაწიერიც ხომ უსასრულოა, და ამ თვალსაწიერში ვხედავთ, იმას, რასაც თვალი ხედავს. მაგრამ წარმოიდგინეთ აკვარიუმის კედელი, რომელზეც უსასრულოდ ირეკლება თვით აკვარიუმის წყალი, – თევზი კედელს ვერ ხედავს, ის უსასრულო წყალს ხედავს მხოლოდ. ამიტომაც, მას რომ კედელი დაენახა, იმასაც დაინახავდა, რომ აკვარიუმშია. მან კი არ იცის, რომ აკვარიუმშია. (ახლა ჩემთვის პრუსტისეულ სახეებს ვალაგებ, ვაკავშირებ, ისინი რომანის სხვადასხვა ეპიზოდში ჩნდებიან.[13]) და მისთვის ეს სამყარო ერთადერთია. სინამდვილე კი იჭრე-

---

[12] C.G. – გვ. 282.

[13] იხ.: S.G. – გვ. 1049; C.G. – გვ. 282.

ბა აკვარიუმში ან თევზის სამყაროში, ან შეყვარებულის სამყაროში, იმის მსგავსად, როგორც ნამდვილ, რეალურ აკვარიუმში ადამიანის ხელი ჩნდება და თევზი ამოჰყავს წყლიდან, რომელიც მას ერთადერთი და უსასრულო ეგონა. საითაც არ უნდა გაეხედა – ყველგან წყალი იყო, აქ კი უცებ გამოჩნდა ხელი და აკვარიუმიდან ამოიყვანა. ასე რომ, პრუსტისთვის ამ შუშის სამანების სიტუაცია არსებობს, რომლის მიღმა გასვლაც შეუძლებელია. ანუ ის, რაც შუშის ამ მხარესაა, უხილავია იქედანაც და მხოლოდ გარკვეულ მოვლენებს, რომლებსაც რეალობას უწოდებენ, შეუძლიათ ერთი სამყაროს მეორეში გადატანა. მაგალითად, ძალიან გამოკვეთილი ფიგურა – ბარონი შარლიუ თევზის მსგავსად ცხოვრობდა. ვთქვი, რომ წყალი შუშაში უსასრულოდ ირეკლება, მაშინ, როცა გვერდით, ჩრდილში, მეთევზე, pisciculteur, თვალს ადევნებს მის მოძრაობას, – შარლიუსთვის კი ასეთი მეთევზე გახლდათ მადამ ვერდიურენი, იმ სალონის დიასახლისი, სადაც ის დადიოდა. ამ სალონში შარლიუ არისტოკრატიული სამყაროს წარმომადგენელი იყო; მას სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა, რომ სალონის ყველა სტუმარმა იცოდა, რომ ის საფრანგეთში ერთ-ერთი ყველაზე ძველი არისტოკრატული გვარის შთამომავალი იყო. არადა, სინამდვილეში სრულიად სხვაგვარად აღიქვამდნენ. პრუსტი ამბობს, რომ ის ასევე გაოცდებოდა, თუკი გაიგებდა, როგორი იყო სხვების თვალში, ისევე, როგორც ჩვენ გვაოცებს, როცა რაიმე შემთხვევითი მიზეზის გამო სათადარიგო კიბეზე ჩავდივართ, რომ გარეთ გავიდეთ და მოსამსახურეების მიერ ჩვენს შესახებ დაწერილ წარწერებს ვხედავთ.[14] (იმიტომ, რომ მოსამსახურეებს მათთვის ჩვეულ სამყაროში ვხედავთ.) „*უფრო მეტიც*, – შენიშნავს პრუსტი, – *ხალხები, იმდენად, რამდენადაც ისინი ინდივიდების კოლექციაა* (ანუ საზოგადოება ინდივიდების კოლექციაა და, შესაბამისად, ინდივიდების კანონებიც, ოღონდ, განსხვავებულ მასშტაბში, საერთო კანონებიცაა; ეს გახლავთ პრუსტის სოციოლოგიური თუ, გნებავთ, პოლიტიკური ხასიათის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაზრევი), *ამ ჯიუტი და გამაოგნებელი სიბრმავის უფრო მომცველ, მაგრამ ინდივიდთა იდენტურ მაგალითებს გვთავაზობენ*[15]“. ჯიუტი და გამაოგნებელი სიბრმავე – მოდით, ამ სიტყვებ-

[14] იხ.: S.G. – გვ. 1049.

[15] იქვე.

ზე შევჩერდეთ. რადგანაც საკუთარი გამოცდილების წაკითხვას პრუსტის საშუალებით საკუთარ სულშიც ვცდილობდი, შემიძლია ვაღიარო, რომ ერთ-ერთი ჩემი განცდა (რის გამოც დავიწყე კიდეც, ალბათ, ფილოსოფიის შესწავლა) სწორედ ეს განცდა გახლდათ — არსებულის წინაშე ადამიანთა სიბრმავე სრულიად გაურკვეველი იყო ჩემთვის და თავგზას მიბნევდა. ეს გამაოგნებელი ფენომენი მართლაც იწვევს დაბნეულობას. და ეს ფენომენი განსაზღვრავს რომანის ფორმას: ის ისეა დაწერილი, რომ, როგორც ფილოსოფოსი იტყოდა ასეთ შემთხვევაში (მაპატიეთ, ტერმინის გამო. როგორც ხედავთ, გავურბივარ რომელიმე საგანგებო ფილოსოფიურ ტერმინს, მაგრამ ერთს გამოვიყენებ, რომ უბრალოდ შეგაშინოთ), ონტოლოგიურ მდგომარეობას გაუმკლავდეს. ადამიანის ონტოლოგიური მდგომარეობა ჯიუტი სიბრმავის მდგომარეობაა. ერებს ცხვირწინ აქვთ რაღაც და ვერ ხედავენ. რა თქმა უნდა, ადამიანებიც ასე არიან; ერები, როგორც მოგახსენეთ, — ინდივიდების კოლექციებია. მაგალითად, საკმარისია დავუკვირდეთ რუსეთის ისტორიის ზოგიერთ ეპიზოდს, რომ დავინახოთ: ეს არის მდგომარეობა — ახლა მას სხვა სახელით მოვიხსენიებ, — როდესაც გამოცდილებას ვერ ვიძენთ. როდესაც ჩვენს თავს რაღაც ხდება, გამოცდილებას ვერ ვიღებთ და ეს დაუსრულებლად მეორდება. მართლაც, პრუსტთან ძალიან ხშირად ვხვდებით ჯოჯოხეთის სახეს. სიტყვა „ჯოჯოხეთს“ ვიყენებთ, როგორც ყოველდღიურობასთან დაკავშირებულ ან რელიგიიდან ნასესხებ სიტყვას, მაგრამ მისი საწყისი სიმბოლიზმი გვავიწყდება. ჯოჯოხეთი — ეს არის სიტყვა, რომელიც სიმბოლოა იმის, რაც სიცოცხლეშივე ვიცით და ყველაზე საშინელია — მარადიული სიკვდილი. სიკვდილი, რომელიც მუდმივად ხდება. წარმოიდგინეთ, მუდმივად რომ ვღეჭავდეთ ლუკმას და ეს აღარ მთავრდებოდეს. და ეს არის სიკვდილი, რომელსაც არა აქვს დასასრული. ეს ყველაფერი უხეიროდ მეორდება. ჩვენს ცხოვრებასა თუ ისტორიაში ისევ და ისევ ვუშვებთ ერთსა და იმავე შეცდომას, ვიქცევით ისე, რასაც ვინანიებთ. რატომ? იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, არ არსებობს სტრუქტურა, რომლის ფარგლებშიც ერთხელ და სამუდამოდ მივიღებდით გამოცდილებას იმის გამო, რისთვისაც მონანიება მოგვიწია. და თუკი ასე არ მოვქცეულვართ, ვერ გაგვიგია; თუკი გამოცდილება ვერ მივიღეთ, ეს მუდმივად განმეორდება. ვთქვათ, რუსეთის ისტორიაში, ვიტყოდი, თავისუფლად დათარეშობდა უხეირო გამეორებების გენია.

შეეცადეთ, თვითონვე დაძებნოთ ამის მაგალითები. მათ ადვილად იპოვით.

სიბრმავის მდგომარეობას დავუბრუნდები. სიბრმავეს თავისი კანონები აქვს. თვალის ახელასაც აქვს კანონები. ახლა კი სიბრმავის ამ ძირითად მდგომარეობას ასე გამოვხატავ და მოგახსენებთ „სიბრმავისა და თვალის ახელის კანონებს“. ძირითადი, რის გარკვევასაც პრუსტი ცდილობს და რის გამოც ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო და რომანისტი გახდა, არის შემდეგი საკითხი, რომელიც რეალურ ადამიანურ განცდას უკავშირდება. რატომ ვხედავთ ერთ რამეს და ვერ ვხედავთ მეორეს? რატომ ვიცით ერთი რაღაც და არ ვიცით მეორე? თან, ეს „რაღაც“ ყოველთვის უკვე არსებულს განეკუთვნება. მხედველობაში მაქვს ადამიანის მიმართება უკვე არსებულ ჭეშმარიტებასთან, რომლის წინაშეც ის აღმოჩნდება და არსებობს გარკვეული კანონები, რომელთა წყალობითაც ის ბრმაა და ვერ ხედავს. მას პირობითად ვუწოდებ – გადაკვეთის და გადაუკვეთელობის მდგომარეობას. შეხვედრას. მოვიხსენიებ წიგნს, რომელიც, ალბათ, წაკითხული არ გაქვთ, ან, უფრო ზუსტად, წაკითხვას ვერ მოახერხებდით, ვინაიდან მისი შოვნა შეუძლებელია; ახლა კი მინდა ეს წაუკითხავი წიგნი განგიმარტოთ და კიდევ ერთი წაუკითხავი წიგნი დავასახელო, რომლის წაკითხვასაც მით უმეტეს ვერ შეძლებდით, იმიტომ, რომ ის, პირობითად რომ ვთქვათ, აკრძალულია, თუმცა კულტურის სფეროში ადამიანური ღირსებისთვის აკრძალული წიგნები არ არსებობს. ყველაფერი, რაც ადამიანის შექმნილია, წესით, ჩვენ გვეკუთვნის და მისი წართმევა არავის შეუძლია. მხედველობაში მაქვს პასტერნაკის რომანი „ექიმი ჟივაგო“, რომელიც შექმნილია, როგორც რომანი-თვალის ახელა, ოღონდ ნაკლებად წარმატებულია, ვიდრე პრუსტის რომანი, მაგრამ ესეც თვითგამორკვევის რომანია. ჰოდა, იქ არის ასეთი მაგიური შეხვედრები. აი, სადღაც, რომელიღაც სადგურში ერთმანეთისთვის შექმნილი ადამიანები ურთიერთს ხვდებიან, მაგრამ ვერ ცნობენ ერთმანეთს. თითქოს ბედისწერით ერთმანეთს ეკუთვნიან, მაგრამ ამ შეხვედრისას ერთმანეთს გვერდით ჩაუვლიან. შეხვედრამ, თითქოსდა ნიშანივით გაიელვა რკინიგზის სადგურზე, მატარებელმა შემდეგ გუგუნით გაიარა ათასობით კილომეტრი და ათობით წელიწადი და სადღაც ეს შეხვედრა ისევ გადაიკვეთება მათსავე სხვა შეხვედრასთან, როდესაც ისინი ერთმანეთს იცნობენ და ერთმანეთს ეხსნებიან. ერთმანეთისგან გამიჯნუ-

ლია გზების გადაკვეთის თუ გადაუკვეთელობის მდგომარეობა და სარკეში მზერათა რაღაც თამაში, რომლებიც ერთმანეთს ერთ წერტილში ხვდება ან არ ხვდება. ნათელი რომ იყოს, რაზეც ვსაუბრობ, ციტატას წაგიკითხავთ. მაშასადამე — პრუსტის რომანის ერთ-ერთი გადამწყვეტი სცენა, შინაგანი სულიერი ღერძი, რომელზეც ასხმულია სხვა ეპიზოდები. აღქმის გამარტივების მიზნით, ოდნავ განსხვავებულად, უფრო ზედაპირულად, აგიწერთ ვითარებას, რომელზეც ვსაუბრობდი. აი, ვთქვათ, არ მიწერია ჩემი ცხოვრებიდან სწორედ რაღაც ისეთის გაგება, რაც ამ ცხოვრების ნაწილია და უნდა მცოდნოდა, მაგრამ იცის მან, ვისაც საერთოდ არ სჭირდება ამის ცოდნა. ვთქვათ, ასეთი ვითარებაა პრუსტთან — მზერები იქაც გადაიკვეთება (წარმოიდგინეთ, რომ ყველანი ცას ვუყურებთ და მზერათა გადაკვეთაში, გადაკვეთის ბოლო წერტილში ჩნდება ან არ ჩნდება რაღაც ფიგურები, სახეები, მოვლენები, ცოდნა; ეს ყველაფერი, ფიგურები, სახეები და ზოგჯერ სახეების ნაცვლად ჩრდილებია), — ორი პერსონაჟი: მარსელი, ანუ რომანის გმირი, და მარკიზ სენ-ლუ — მარსელის ახალგაზრდობის მეგობარი, მისთვის მიმზიდველი პიროვნება, როგორც არისტოკრატიზმის განსახიერება. (არისტოკრატია შემთხვევით როდი იზიდავდა თვითონ პრუსტსაც და რომანის გმირსაც. და ეს არა რაღაც სნობიზმის გამო, არამედ იმიტომ, რომ არისტოკრატია, ასე ვთქვათ, ყოველივე დასრულებულის, შემდგარის სიმბოლო ან რეალური მატერიალური ყოფიერებაა. და აი, იმ სრულყოფილ განსახიერებათა სახით, რომლებიც შედგა, — ადამიანები, რომელთაც ისტორიაში რაღაც გააკეთეს და საკუთარი სიმამაცით სახელი დაიმკვიდრეს. რა თქმა უნდა, ამ სახელმა შემდგომში, შეიძლება, მნიშვნელობა დაკარგოს. მაგრამ ამის წინასწარ გამოცნობაც საჭიროა.) მაშასადამე — სენ-ლუ და მარსელი. ისე ხდება, რომ მარსელმა რაღაც იცის სენ-ლუს შეყვარებულის შესახებ, ანუ ბედმა მას არგუნა იმის ცოდნა, რაც სწორედ სენ-ლუს სჭირდება, ხოლო მარსელისთვის სულერთია, — ბედისწერის შემთხვევითობის წყალობით, ის სენ-ლუს შეყვარებულს საროსკიპოში ხვდება, სადაც ამ ქალის დაუფლება შეეძლო ოც ფრანკად, სანამ სენ-ლუს შეუყვარდებოდა და ა.შ. შესაბამისად, მარსელმა იცის, როგორია ის. ქალს რახილი ჰქვია და თან რომანში მას ზედმეტი სახელი აქვს. ასაკის მიხედვით თქვენს ასაკს არ ემთხვევა; „ასაკი“ იმიტომ ვახსენე, რომ არის მელოდიები, რომლებიც ტალღებივით არსებობენ. არის წლები, როცა

რომელიღაც მელოდია იყო პოპულარული და ის გამუდმებით ისმის რადიოში თუ სხვაგან და ამ ტალღამ შეიძლება ათწლეულები მოიცვას, შემდეგ კიდევ ათწლეულები რაღაც ახალი მელოდია ჩნდება. მახსოვს, ჩემს დროს, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, არ არსებობდა ტრანზისტორები, არამედ იყო რეპროდუქტორის შავი თეფში და იქიდან ხშირად ისმოდა არია ალევის ოპერიდან „ებრაელი ქალი“ – „რახილ, შენი თავი ზეციურმა განგებამ მარგუნა“ (ფრანგულად – „Rachel quand du Seigneur“). გოგონას მეტსახელი, რომელიც საროსკიპოში სხეულით ვაჭრობდა, იყო „რახილ, შენი თავი ზეციურმა განგებამ მარგუნა“. მარსელს კი თავისი მეგობრისგან – სენ-ლუსგან, გაგონილი ჰქონდა რომელიღაც ღვთაებრივი ქალის შესახებ, რომელიც თავისი ინტელექტუალური, ზნეობრივი და ფიზიკური თვისებებით, უბრალოდ, დედოფალია. და აი, ქუჩაში ერთმანეთს იცნობენ და უცებ მარსელი ხედავს სწორედ იმ რახილს... „ზეციურ განგებას“ და სწორედ ის არის სენ-ლუს შეყვარებული და მისთვისვე „დედამიწის გულისგული“. თავისი ზნეობრივი, ფიზიკური და ინტელექტუალური ღირსებებით – დედოფალია. და პრუსტი წერს: „ეჭვგარეშეა (გმირი უყურებს რახილს, მის სახეს და შენიშნავს), ეს სწორედ ის გამხდარი და ვიწრო სახე იყო, რომელიც ვნახეთ რობერმაც (ასე ერქვა სენ-ლუს) და მეც. მაგრამ ჩვენ მასთან (ამ სახესთან – ჩვენი ნააზრევი თითქოსდა რაღაც გზა არის, ან ჩვენი მზერაც – გზა არის ამ ზეცისკენ, სადაც მზერები ერთმანეთს გადაკვეთს) საპირისპირო გზებით მივედით (ჩვენს სულს აქვს გზები, რომლითაც დავდივართ), რომლებიც არასდროს დაუკავშირდება ერთმანეთს“.[16]

მაშასადამე, კიდევ ერთი სახე. უპირველესად, არსებობს გზები, მეორეც, შეუკავშირებელი გზები. და ჩვენ ვერასოდეს დავინახავთ ერთსა და იმავე სახეს. იმ გაგებით, რომ მხარეებია განსხვავებული, – ანუ არა ფიზიკურად განსხვავებული მხრიდან, იმიტომ, რომ ფიზიკურად, როგორც პრუსტი ამბობს, ეს ერთი და იგივე გამხდარი და ვიწრო სახეა. ფიზიკურად ის ერთია, მასთან მიმავალი გზებია განსხვავებული. ანუ ჩვენი სულის მიმართულებებს ხშირად, უბრალოდ, შემთხვევითი შეხვედრები განაპირობებს. პრუსტს ბედმა შემთხვევით არგუნა მისთვის უსარგებლო ცოდნა, – იმიტომ, რომ ეს

[16] C.G. – გვ. 159.

ქალი მის ცხოვრებაში არ არსებობს, ის, უბრალოდ, ქალია, რომ-ლის ჩანაცვლებაც ნებისმიერი ქალით შეიძლება. მათი გზები გადა-იკვეთა საროსკიპოში, სენ-ლუმ კი რახილი პირველად თეატრის სცენაზე ნახა. სენ-ლუ პარტერში იჯდა და რახილს, რომელიც მან პირველად დაინახა სცენაზე, სახეზე იმ კეთილშობილურ გრძნობებზე დიადი ოცნების შუქი ეფინებოდა, რომლებსაც გამოხატავს ხელოვ-ნება; ყველაფერი, რასაც ხელოვნება ასვამს დაღს – კერძოდ, რას? – როლს, და ამ შუქში, ამ როლის ათინათში მის წინაშე იდგა რე-ალური ქალი. სენ-ლუსთვის ამოსავალი წერტილი, შემთხვევითობის წყალობით, სხვა რამ იყო. ანუ რომელიღაც გზის საწყისი წერტილი განსხვავებული გახლდათ. სენ-ლუს მზერა რომელიღაც წერტილის-კენ იყო მიმართული, რომელზეც პროეცირებული გახლდათ არა ქალის რეალური თვისებები, არამედ ხელოვნების თვისებები, ან ჩვენს დიად მისწრაფებათა თვისებები. ყველაფერი დიადი, ამაღლე-ბული, მშვენიერი და ა.შ. (რომანში სხვა ადგილას პრუსტი ისევ საუბრობს შეხვედრების გადაკვეთაზე, რომლებსაც ფიზიკური გზის თუ ფიზიკური დროის მრავალი კილომეტრი აშორებს[17].) ერთი სიტყვით, სენ-ლუმ თეატრში რახილი ნახა და მოეჩვენა, რომ ის იყო წერტილი, რომელზეც პროეცირებულია მაღალი შეგრძნებები, რომლებსაც ჩვენში ხელოვნება აღძრავს, და ისინი სენ-ლუში უკვე მშვენიერი ქალის სახედ ირეკლებოდა; შესვენების დროს, კულისებს მიღმა, ის წარუდგინეს რახილს, მაგრამ მან სრულიად უემოციო, გადარეცხილი სახე დაინახა (ვინაიდან კულისებს მიღმა იყო და არა სცენაზე), „მაგრამ სხვა დროისთვის გადადო იმის გარკვევა, თუ როგორია რახილი სინამდვილეში“.[18] რა იყო ეს – ცარიელი სახე გადარეცხილი ნაკვთებით თუ მშვენიერება, რომელსაც ის წარმოდ-გენის დროს ხედავდა. საგანგებოდ მოვიხმე ეს პასაჟი და პრუსტის კვალად, გამოვიყენე სიტყვები – სხვა დროისთვის გადადო იმის გარკვევა, თუ როგორია რახილი სინამდვილეში, – სიტყვაში „გადა-დო“ პრუსტის მთელი ფილოსოფიაა ჩადებული. მაშასადამე – სიბ-რმავის მდგომარეობა, ანუ ის მდგომარეობა, რომ არის რაღაც, რაც უნდა ვიცოდეთ და არ ვიცით; რაღაც, რასაც ვხვდებით და ჩვენ გვეკუთვნის, მაგრამ ვერ ვაცნობიერებთ. კიდევ ერთ სახეს, მსოფ-

[17] იხ.: Ibid. გვ. 176.

[18] იხ.: Ibid. გვ. 175.

ლიო ლიტერატურიდან, რომ ზუსტად განეწყოთ ამ მდგომარეობისთვის. მოგეხსენებათ, არცოდნის და სიბრმავის მდგომარეობის ერთ-ერთი ანტიკური განსახიერებაა ტრაგედია „ოიდიპოს მეფე". ოიდიპოსი ხომ წევს ქალთან, რომელიც სინამდვილეში დედამისია. და გზად, შემთხვევითი ჩხუბის დროს კლავს გამვლელს, რომელიც სინამდვილეში უბრალო გამვლელი კი არა, მამამისია. ეს მისი ცხოვრების ნაწილებია, რაიმე უმნიშვნელო საგნები კი არა, მისი ცხოვრების ნაწილები – მამა და დედაა. ის მათ გადაკვეთს, მაგრამ ვერ ცნობს. დედამისში ის ხედავს ქალს, ცოლს, მამამისში კი გამვლელს, რომელმაც გაანაწყენა. აი, სინამდვილეში რას ეთმობა პრუსტის რომანის მთელი გვერდები. ვიმეორებ, რომ სიბრმავე ჩვენს შესაძლებლობებზე არ არის დამოკიდებული. აქ სიტყვა „სიბრმავე" არ გულისხმობს იმას, გონიერები ვართ თუ უგუნურები. ვთქვათ ბერძნები ხომ არ მსჯელობდნენ იმაზე, ოიდიპოს მეფე – გონიერია თუ უგუნური. ის უგუნურების გამო კი ვერ ხედავს თავის მეუღლეში დედას. ყველა ეს პრობლემა ჩვენი საზრიანობის პრობლემებს მიღმაა. აი, რა უნდა გავიგოთ. საზრიანობასთან, გონიერებასთან თუ უგუნურებასთან ამას არავითარი კავშირი არ აქვს. მაგრამ ერთ რამეს უკავშირდება. როგორც ვთქვი, საკითხის გარკვევა გადავდე, და იმასაც ვიტყვი: ამ ყველაფერს არავითარი საერთო არ აქვს გონიერებასთან ან უგუნურებასთან, არამედ შრომას უკავშირდება. ეს მეორე სიტყვა უკავშირდება „გადადების" გაგებას. მაშასადამე, პრუსტისეული სამყარო, ან სიბრმავის სამყარო, ისეთი სამყაროა, რომელშიც, თუკი წამით რაიმე შთაბეჭდილება გაგვიჩნდა – ისევე როგორც სენ-ლუს, როდესაც მან მოულოდნელად გადარეცხილი და უემოციო სახე დაინახა, – აი, როცა გვექმნება რაღაც შთაბეჭდილება – არაფრის გადადება არ შეიძლება. შთაბეჭდილების წამი არის ჩვენდამი მომართული წამი, რომელიც მოგვიწოდებს – „იმუშავე", ნუ გადადებ. ზემოთ ვამბობდი, რომ იმ იმედით გადავდებთ ყველაფერს, რომ ხვალ სხვაგვარად იქნება, მოვიცადოთ, მოგვარდება. ასევე, სიზარმაცითაც გადავდებთ ხოლმე. სიზარმაცე, ხშირ შემთხვევაში, ასევე, ყველაფრის ისე დანახვის შიშითაა განპირობებული, როგორც სინამდვილეშია. ანუ სიზარმაცის მიზეზი ფსიქოლოგიური არ არის, თუმცა, სიზარმაცე და იმედი ფსიქოლოგიური მექანიზმებია, მაგრამ მათი სტრუქტურა (მათ მიზეზებიც აქვს) ფსიქოლოგიური არ არის.

პატარა ეპიზოდი, რომელიც პრუსტს გადახდა, პრუსტის შეცდომის ეპიზოდი[19]. ამის საშუალებით განვმარტავ, რას ნიშნავს „მუშაობა“. ეს არის რაღაც უნიკალური, რომლის გაკეთებაც მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია. უპირველესად, ცოდნის გადაცემა შეუძლებელია (მარსელს არ შეუძლია, რომ სენ-ლუს რახილის შესახებ თავისი ცოდნა გადასცეს), ცოდნათა შეჯამებაც შეუძლებელია. სენ-ლუ ვერ გამდიდრდება იმ ცოდნით, რომელიც აქვს მარსელს და საკუთარ ცოდნას ვერ დაუმატებს მარსელისას. მათი შეკავშირება შეუძლებელია. ეს ერთი. მეორეც – დროის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. საჭიროა წამის გამოყენება, სწორედ წამიერი შთაბეჭდილების შიგნით მუშაობა. და აი, ანეგდოტიც, რომლის მოყოლაც მინდოდა, ანეგდოტი სახარებიდან. პრუსტი ორჯერ – რომანის ძირითადი იდეის განმარტებისას, მეორედ კი მეგობრისადმი – ჟორჟ დე ლორისისადმი მიწერილ წერილში, – საგულისხმო შეცდომას უშვებს, როდესაც კანონიკურ ტექსტს მოიხმობს, რომელიც, წესით, ზეპირად უნდა სცოდნოდა (ზეპირად მან ბევრი ტექსტი იცოდა, შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა), ამიტომაც შეცდომა აქ მეხსიერების ნაკლებობით კი არ არის განპირობებული, არამედ იმით, რომ შეცდომამ თვითონვე გამოხატა სულის გარკვეული შინაგანი ჟინი, ტიპური შეცდომა (ან, როგორც ფსიქოანალიტიკოსები ამბობენ, „სიმპტომური“, არაშემთხვევითი, ანუ ისეთი შეცდომა, რომლის წყალობითაც რაღაცის გაგება შესაძლებელია, თუკი შეცდომად განვიხილავთ). პრუსტი მოიხმობს სიტყვებს იოანეს სახარებიდან, რომლებიც ახლა ჩვენთვის თავისთავად მნიშვნელოვანია, შეცდომის მიუხედავად: „კიდევ მცირე ხანს არის თქვენს შორის ნათელი. იარეთ, სანამ ნათელი გაქვთ, რათა ბნელმა არ მოგიცვათ“ (**იოანე, 12:35**). აქ ნათქვამია, რომ ჭეშმარიტებას აქვს თავის გამოვლენის ისეთი თვისება ან ისეთი კანონი, რომ მხოლოდ ელვის სახით ჩნდება (ჭეშმარიტების გამოვლენა – მაგალითად შეუძლებელია, ჭეშმარიტება მზესავით მთელი დღე ანათებდეს). ერთი სიტყვით, სანამ ის არსებობს, – იარეთ, ნათქვამია სახარებაში. მე ასე ვიტყოდი – ჩვენს პრობლემებთან ახლოს რომ იყოს და სახარებისეული ტექსტიც რომ განვმარტოთ – გაინძერით ან ამოძრავდით, სანამ გაიელვა სინათლემ. ეს „კორექტირება“ ჩემი მხრიდან შემთხვევითი როდია, თუმცა, ამგვარი ტექსტე-

[19] იხ.: S.B. – p. 219; lettre à Georges de Lauris (Claude Mauriac. Proust. 1953, გვ. 127).

ბის კორექტირებას აზრი არ აქვს. პრუსტი კი ორივე შემთხვევაში უნებლიეთ, არაცნობიერად მოიხმობს ტექსტს შეცდომით. კიდევ ცოტა ხნით იქნება სინათლე თქვენთან, სანამ ანათებს – იმუშავეთ. Travaillez – წერს ის. უნებლიე შეცდომაა, არატიპური, ვინაიდან საუბარია შრომის დროზე, რომლის ნიშანია წამი, წამის წილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჭეშმარიტების სივრცის გაფართოება მხოლოდ შრომის გზითაა შესაძლებელი, თავისთავად კი ის – წამია და თუკი ხელიდან გაუშვი... მორჩა – ქაოსი და ნგრევა დაიწყება, აღარაფერი განმეორდება – და სამყარო არყოფნაში გადავა; მათ შორის ჯოჯოხეთის უსასრულო განმეორებაში. ეს იქნება შენი გაურკვეველი, დაუსრულებელი, მანკიერი მდგომარეობა, ის უსასრულოდ განმეორდება და ვერასოდეს მიიღებ გამოცდილებას, ამავე დროს იმიტომაც, რომ ყოველ ჯერზე ხელიდან უშვებდი წამს – არ ყოვნდებოდი შრომაში. მოდით, ამას პირობითად ცხოვრებისეული შრომა ვუწოდოთ, რომელიც ელვის ნიშნითაა გამოხატული. მართლაც, ჯერ კიდევ ჰერაკლიტე ამბობდა, რომ სამყაროს მართავს ელვა.[20] და კიდევ, უკანასკნელი ფრაზა. ფრანგ პოეტს – სენ-ჟონ პერსს აქვს ასეთი კონსტრუქცია, რომელიც, რა თქმა უნდა, პარადოქსული მოგეჩვენებათ, მაგრამ გამოხატავს იმას, რაზეც ვსაუბრობდით. ერთ თავის ლექსში პოეტი იყენებს სიტყვათშეთანხმებას: ელვის სინტაქსი.[21] განსაზღვრების თანახმად, ელვას არ შეიძლება გააჩნდეს სინტაქსი, – მას, რაც წამის წილს მოიცავს, შეუძლებელია ჰქონდეს სინტაქსი, რომელსაც სივრცე სჭირდება. და მაინც, პოეტმა ეს გამოთქმა გამოიყენა: ელვის სინტაქსი.

---

[20] „ყოველივეს მართავს მარადიული ცეცხლი, ყველა და ყოველივე ცეცხლით განისჯება და მასში დაინთქმება, ოდეს ის უმალ თავს დაესხმება“. (Фрагменты ранних греческих философов. М., 1989. გვ. 239).

[21] Saint John Perse – Exil, 1942 (Poètes français XIX-XX siecles. M., Progres, 1982. გვ. 481).

ლექცია 2

შეგახსენებთ, რომ ტექსტი, რომელსაც ვარჩევთ, – როგორც გითხარით, სურვილების და მოტივის, ადამიანური არსის თვითფორმირების, გრძნობების აღზრდის რომანია. მოგეხსენებათ, რომ ევროპულ ლიტერატურაში (და არა მხოლოდ ევროპულ ლიტერატურაში) არსებობს რომანის ასეთი ტრადიციული ფორმა – გოეთეს რომანი „ვერთერი“ ან ფლობერის რომანი, რომელსაც ასევე ეწოდება: „გრძნობების აღზრდა“ (ან მგრძნობელობის). თანამედროვე ტექსტისთვის უფრო გასაგები ენით რომ ვთქვათ, ტერმინ „გრძნობების აღზრდის რომანს“ არ გამოვიყენებ, რადგანაც ეს ტერმინი რაღაც ძალიან პედაგოგიურად ჟღერს, ხოლო ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ძალიან შორსაა პედაგოგიკისა და ლიტერატურათმცოდნეობისგანაც. ამ რომანს გზის რომანს ან გათავისუფლების რომანს ვუწოდებ, რომ თქვენს გონებასა და სულში არსებულ ტრადიციებთან ასოციაცია აღვძრა. ვთქვათ, რელიგიურ ტრადიციასთან, სადაც გვხვდება ტერმინი „ხსნა“, ან „გათავისუფლება“. სიტყვა „გზას“ არა მხოლოდ ცხოვრების ყოველდღიური გზის მნიშვნელობა აქვს – ხსნის გზა. ან, გნებავთ, გამოსყიდვის გზა. და რაც უფრო მეტ წმინდად წოდებულ ტექსტებში არსებულ ტრადიციულ ტერმინს შეუსაბამებთ მას, მით უფრო მალე შეგიმსუბუქებთ იმის გათავისების სამუშაოს, რაზეც მოგითხრობთ. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ასოციაციები, მეტაფორები იქნება, მაგრამ ისინი გამოგვადგება იმის გასაგებად, რაზეც იქნება საუბარი. მაშ ასე – საკუთარ თავთან მისვლა. ან, შეიძლება, ენის შესაძლებლობები გავათამაშოთ და ასე ვთქვათ: ცხოვრების იმგვარი გზა, რომლის შედეგადაც ადამიანი საკუთარ თავთან მიდის და საკუთარი თავის რეალიზებას ახდენს. პრუსტისთვის მთავარი მამოძრავებელი მოტივი, პათოსი და სწრაფვა იყო ის, რაც შეგვიძლია მოვათავსოთ სიტყვებში – „საკუთარი თავის რეალიზება“. საკუთარი თავის რეალიზება საკუთარი სურვილების მთელი მრავალ-

ფეროვნებით, რომლებიც კი გაგაჩნია, მაგრამ არაფერი იცი მათ შესახებ, მათი ბუნება შენთვის გაუგებარია. არადა, შეუძლებელია იმის რეალიზება, რისი ბუნებაც გაუგებარია. თუკი ვერ გაიგებ საკუთარ სურვილებს, საკუთარი თავის რეალიზაციას ვერ შეძლებ. ამიტომაც პრუსტისთვის, და, ალბათ, ნებისმიერი ადამიანისთვის, სიტყვა „საკუთარი თავის რეალიზება" ემთხვევა სიტყვებს „იმის გაგება, რა ხარ სინამდვილეში და როგორია შენი ნამდვილი მდგომარეობა". ლექციაში ფოლკნერი უკვე ვახსენე, რომელიც ამბობდა, რომ ადამიანის ყველაზე დიდი ტრაგედია ისაა, როცა მან არ იცის, ვინ არის და რა ადგილი უკავია. ისიც მოგეხსენებათ, რომ ფოლკნერს ტექსტის მეტისტმეტად გართულებული ფორმა დაჭირდა, რომ განსხვავებულ დროით პლასტებში იმ შეგრძნებების და მდგომარეობების ნამდვილი მნიშვნელობა აღედგინა, რომლებსაც ადამიანი ახლა, ამწუთას განიცდის. მაგრამ ისინი თავისი ბუნებით, თავისი აზრით, თავისი მნიშვნელობით გაუგებარია, თუკი მათ არ გარდაქმნი რეკონსტრუირებულ პლასტებად და ძირებად, რომლებიც შენგან ძალიან შორს მიდის. პოლ ვალერი ამბობდა: „ჩემი გრძნობები ჩემამდე შორიდან მოდიან"[1]. ან: ჩემი მდგომარეობები ჩემამდე ძალიან შორი გზიდან მოდიან. საერთოდ, ადამიანი შორეული პერსპექტივის მქონე არსებაა. ის, რასაც ის განიცდის ახლა, აქ და ის, რაც მას თვითკმარი ეჩვენება, მაგალითად, მეჩვენება, რომ ბლოკნოტს ვხედავ, მაშასადამე, ეს არის აქტი, რომლის მიღმა წასვლა საჭირო არ არის, ის საკუთარ თავს თვითონვე ამოწურავს – გასაგებად გადმოვცემ? – ის თვითკმარია. ასე მეჩვენება. სინამდვილეში კი ისიც, რომ ახლა ბლოკნოტს ვხედავ, ჩემი ახლანდელი მდგომარეობის მსგავსად, ამწუთას შორიდან მოდის. რომ შევაჯამო, გაიხსენეთ მაგალითი, რომელიც მოვიხმე: სენ-ლუ რახილს ისევე უყურებს, როგორც მე ვუყურებ ამ ბლოკნოტს. მაგრამ ის, როგორც სენ-ლუ ხედავს რახილს, მომდინარეობს არა ამ ვითარებიდან, თუ რას ხედავს ახლა, არამედ შორიდან მოდის მასთან. მათ შორის ოცნებების, დიადი ზმანებების სამყაროდან, რომლებიც თავიანთ შუქს ფენენ რახილის თავისთავად ცარიელ სახეს და ამ ათინათში მას ეჩვენება, რომ რაღაც თვითკმარს უყურებს; რეალურ რახილს ხედავს, რომელიც თითქოს იმ თვისებების მატარებელია, რომლებსაც სენ-ლუ ხედავს და ის მშვე-

[1] Valéry, Paul. Euvres. «Bibliothèque de la Pléiade». T. II. Paris, 1960. გვ. 1514.

ნიერ ქალს ხედავს. მაშასადამე, სენ-ლუ – რახილის დასანახად თავისი სიშორიდან მოდის, მარსელი კი, რომელიც რახილს უყურებს, ისიც თავისი, სხვა სიშორიდან მოდის. და ამ „სიშორეში“ ოცფრანკიან მეძავს ხედავს – იმ სახის ნაცვლად, რაშიც სენ-ლუ ღვთაებრივ ქალს – „სამყაროს ცენტრს“ ჭვრეტს. ასე რომ, ვიმეორებ – როგორც აღმოჩნდა, მარტივი არ არის იმის ცნობა, რასაც ვხედავთ. ამიტომაც, როცა ვამბობ: პრუსტისეული მანია საკუთარი თავის რეალიზებაა-მეთქი, პრუსტთან ის თითქმის იგივეობრივია მეორე ფრაზის, რომელიც ასევე ძალიან ხშირად მეორდება მთელი რომანის მანძილზე, და უცბად ვერ ჩაწვდებით, რატომ შეიძლება, რომ ეს ფრაზები იგივეობრივი იყოს. ახლავე წარმოვთქვამ ამ ფრაზას. ესე იგი, პირველია: საკუთარი თავის რეალიზება. მეორე ფრაზა ასეთია, დაახლოებით ასე ჟღერს (პრუსტი მას სხვადასხვა კონტექსტში იმეორებს, მაგრამ მნიშვნელობა ყოველთვის დაახლოებით ერთი და იგივეა): მწერლის მოვალეობა, ამავე ფორმულით რომ ვთქვათ, შთაბეჭდილების რეალიზებაა[2]. რა კავშირი შეიძლება იყოს „საკუთარი თავის რეალიზაციასა“ (რომელსაც საერთო მნიშვნელობას ვანიჭებთ (ვთქვათ, ადამიანად ფორმირება, ზრდასრულად გახდომა და ა.შ.) და „შთაბეჭდილების რეალიზაციას“ შორის? ისინი ემთხვევა იმაში, რასაც სინამდვილეს ვუწოდებ. პრუსტი ამბობდა, რომ ერთადერთი ნამდვილი ფილოსოფია არის ის, რომელიც მდგომარეობს „იმის აღდგენასა და გამოცნობაში, რაც სინამდვილეშია“.[3] ანუ ფილოსოფია გარკვეული სწავლება ან სწავლული წიგნიერი საქმიანობა კი არ არის, არამედ ჩვენი ცხოვრების ნაწილია, ვინაიდან, თუკი იმის დადგენის ჩვენეულ უნარს, რაც სინამდვილეშია (მათ შორის ჩვენს გრძნობებში), ფილოსოფია ეწოდება, მაშინ, შესაბამისად, ფილოსოფია არის იმის ელემენტიც, როგორი იქნება ჩვენი გრძნობები ან მდგომარეობა მას შემდეგ, რაც დავადგინეთ, სინამდვილეში რას ნიშნავს ისინი. საკუთარი თავის რეალიზება – შთაბეჭდილების რეალიზება. ვთქვათ, პრუსტის და ჩვენი თვალსაზრისითაც, – ამ სიტყვებს მუდმივად შევათავსებ, ვინაიდან ჩემი ამოცანაა ვაჩვენო, რომ, რასაც პრუსტი ამბობს, იმის თქმა ჩვენც შეგვეძლო, რომ დავფიქრებულიყავით. უბრალოდ, ის ცოტა ადრე და-

[2] T.R. – გვ. 890, გვ. 1514.

[3] S.B. – გვ. 309.

ფიქრდა და მთელი წიგნი დაწერა, ჩვენ კი ცოტა მოგვიანებით ვფიქრობთ. მაგრამ ამ სულიერი ინსტრუმენტის გამოყენება შეგვიძლია, რათა ამ ოპტიკური ინსტრუმენტის საშუალებით საკუთარ სულში და საკუთარ გამოცდილებაში ჩავიხედოთ. მაშასადამე, სენ-ლუმ, რომელსაც რახილის შესახებ შთაბეჭდილება ჰქონდა, პრუსტის აზრით, ვერ შეძლო შთაბეჭდილების რეალიზება. არ ახსნა ის, ამავე დროს არც იმ შორეულში გადავიდა, საიდანაც რახილი ჩანს ისე, როგორც ჩანს, ანუ – როგორც ამქვეყნად უმშვენიერესი ქალი. შთაბეჭდილების არრეალიზებით მან საკუთარ გრძნობებში საკუთარი თავის რეალიზებაც ვერ შეძლო. და რად იქცა ის? სრულიად შემთხვევითი ვითარების მარიონეტად. საკუთარი მდგომარეობის მონად. ნებისმიერი ფილოსოფია კი, ისევე როგორც ნებისმიერი აზრი, თავისუფალი ადამიანის საქმეა. მათ შორის მოჩვენებებისგან თავისუფალისაც, რომლებიც საკუთარი სულიდანვე მომდინარეობს. ამიტომაც ფილოსოფოსები თვლიან, რომ ადამიანი, ადამიანური არსება თავისუფალია, ამ სიტყვის აბსოლუტური მნიშვნელობით. რატომ? იმიტომ, რომ, თუკი ის რაიმეზეა დამოკიდებული ან მონაა, მხოლოდ საკუთარი მოჩვენებების მონაა, რომლებიც საკუთარი სულიდანვე მომდინარეობს. მას გარემო კი არ აქცევს მონად – გარემოსთან მიმართებით ადამიანი აბსოლუტურად თავისუფალია, – მისი მონობის ძირები თვით მისივე არსების სიღრმეშია. სენ-ლუს მონობის ძირები (ამ შემთხვევაში მონობა იგივეა, რაც საკუთარი თავის რეალიზაციის შეუძლებლობა) საკუთარი შთაბეჭდილების რეალიზების, იმის გარკვევის უუნარობიდან მომდინარეობს, რასაც სინამდვილეში გრძნობს. შეიძლება თუ არა მის მიერ განცდილი გრძნობა რახილის თვისებებს მივაწეროთ – რომ ის ასეთია აბსოლუტური გაგებით, რომ თავისი ღირსებებით შეუძლებელია საკუთარი თავის მიმართ სიყვარული არ გამოიწვიოს, თუ არ არის ასეთი. პრუსტის მთელი ფილოსოფია იმის დასაბუთებას ითვალისწინებს, რომ ასეთი რამ შეუძლებელია. არ არსებობს ადამიანური თვისებები, რომლიდანაც გამომდინარეობს ჩვენი მათდამი (ამ ადამიანებისადმი) დამოკიდებულება. ნებისმიერი ქალის, როგორც სიყვარულის ობიექტის, ჩანაცვლება ხომ მინიმუმ ათასობით სხვა ქალით შეიძლება. და რომ მიგახვედროთ, რას ვგულისხმობ, არისტოტელეს ერთ ფრაზას შეგახსენებთ. თავის დროზე, მან ძალიან კარგად თქვა, რომ მიზეზი, რის გამოც გვიყვარს, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიყვა-

რულის ობიექტი. ის გულისხმობდა, რომ, როცა ადამიანი გვიყვარს, სინამდვილეში რაღაც სხვა გვიყვარს, რომელიც თვისებებით ამ ადამიანს არ ემთხვევა. შესაბამისად, პირიქით: იმ ადამიანის თვისებათაგან, რომელიც გვიყვარს, ჩვენი მდგომარეობა არ გამომდინარეობს. ეს მდგომარეობა მისგან არ მომდინარეობს. ეს რომ სხვაგვარად ყოფილიყო, სამყარო სრულიად გაუგებარი იქნებოდა. ცხადია, არავითარი ლოგიკა არ არის იმაში (რომ დავფიქრდეთ), რომ თუკი რომელიღაც ადამიან A-ს B-ს თვისებები აქვს, ამიტომ მე – C-ს მის მიმართ სიყვარული უნდა მამოძრავებდეს. მხოლოდ იმიტომ, რომ შემიძლია მიყვარდეს ადამიანი A და თქვენ არ გიყვართ ის, თუმცა, მას იგივე თვისებები აქვს, და ა.შ.

მაშასადამე, ისევ ვიმეორებ, სხვა კუთხით განვმარტავ სიტყვა „რეალიზაციას“. საკუთარი თავის რეალიზაცია, ან – საკუთარ თავთან მიახლოება. მართლაც, ეს ყველაფერი შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ სხვა, ასევე ძალიან საინტერესო საკითხის გათვალისწინებით, რომელიც, შესაძლოა, ბანალური მოგეჩვენოთ. საკითხი ამგვარია: პრუსტის რომანის მთელი თემა გულისხმობს იმის დადგენას, თუ როგორ ვყალიბდებით და ვყალიბდებით თუ არა საერთოდ. ანუ ვხდებით თუ არა, საერთოდ, ზრდასრულები, მამაკაცები. აქ, როგორც ჩანს, ქალთა საზოგადოება ჭარბობს, მაგრამ ამასწინათ უკვე გამოვიყენე ტერმინი „მამაკაცი“ ადამიანურ სიმამაცესთან მიმართებით და თავს უფლებას მივცემ, კვლავაც გამოვიყენო. პრუსტისთვის, როგორც უკვე ვთქვი, მთავარი პრობლემა არის – ზრდა, მამაკაცად გახდომა. და ეს საკითხი იქამდე დადის, განაწყენებული ვართ თუ არა სამყაროზე. ვინაიდან, რას ნიშნავს, რომ არ იყო ზრდასრული, მამაკაცი? ჩათვალო, რომ სამყაროს „ცენტრი“ ჩვენ ვართ და ის იმისთვისაა შექმნილი, რომ ან გაგვანაწყენოს ან თავზე ხელი გადაგვისვას. მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ბავშვთა ფსიქოლოგია სწორედ ამ ეგოცენტრიზმს გულისხმობს, როდესაც ბავშვი საკუთარ თავს სამყაროს ცენტრად წარმოიდგენს იმ გაგებით, რომ ყველაფერი, რაც სამყაროში ხდება, იმისთვის ხდება, რომ ან სიამოვნება მიანიჭოს მას, ან გაანაწყენოს. და ყველა მოვლენას მისთვის, ასე ვთქვათ, ნიშნური ბუნება აქვს, მასთან დამოკიდებულებაში ყველაფერი რაღაცას ნიშნავს. ამიტომაც ვამბობთ (თუმცა ეს ტავტოლოგიაა): ბავშვი ინფანტილურია. ბავშვი არის ბავშვი. მაგრამ როდესაც საქმე ზრდასრულს ეხება? ირგვლივ მიმოიხედეთ და დაინახავთ სა-

ზოგადოებას, მდგომარეობას – მე ვიტყოდი... ასაკგადაცილებულ დებილებს, რომლებიც ბავშვობის ასაკში ჩარჩნენ და მთელ გარემომცველ სამყაროს ისე აღიქვამენ, თითქოს მასში რაღაც მათთან მიმართებით ხდება და არა – თავისთავად. ბავშვის თვალსაზრისით, ყვავილიც კი სამყაროში თავისთავად არ იზრდება – როგორც ცხოვრების ავტონომიური მოვლენა. ან – ირგვლივ ბნელა და დემონები ფუთფუთებენ, რომლებიც მათ ნათელ კუნძულს ალყაში აქცევენ, – კონსპირაციები, შეთქმულებები, მათ მიმართ გარკვეული ჩანაფიქრები. ჩამოყალიბების, ზრდასრულობის პირველი ფილოსოფიური აქტი კი შემდეგს გულისხმობს – მართლაც, ახლა გამახსენდა ფრაზა, რომელიც თავის დროზე ლუდვიგ ვიტგენშტაინმა თქვა: სამყაროს ჩვენს მიმართ არავითარი განზრახვა არ გააჩნია. ეს ზრდასრულის თვალსაზრისია. მაგრამ ზრდასრულებიც შეიძლება ბავშვებივით იქცეოდნენ – გაიხსენეთ, რომ სპარსეთის ერთმა მეფემ, რომელსაც საბერძნეთის დაპყრობა სურდა, ფლოტილია გააგზავნა საბერძნეთში, ამ დროს ზღვა აღელდა და მთელი მისი ფლოტილია დაიღუპა. და მან ზღვის გაროზგვა ბრძანა. სასაცილო აქტია. ახლა საკუთარ თავზე დაფიქრდით, რამდენჯერ ვროზგავთ ზღვას ან სამყაროს, იმიტომ, რომ გვეჩვენება, სამყაროს ჩვენს მიმართ გარკვეული გადაწყვეტილებები ჰქონდა – ისევე, როგორც ზღვას ქსერქსესთან მიმართებით.

სწორედ ამ „ჩამოყალიბება-არჩამოყალიბების“ თემას მოგვიანებით დავინახავთ არსებით დეტალებში – ვთქვათ, პრუსტის ტექსტიდან პატარა სცენა, რომელიც თითქოსდა სრულიად, როგორც ფრანგები იტყოდნენ – anodin, უფერული, აზრს მოკლებულია და ვერ ვხედავთ, არადა, საჭიროა ვხედავდეთ, თუნდაც იმიტომ, რომ პრუსტმა სწორედ ამიტომ დაწერა ეს ტექსტი. სცენა ოტელში: ბიჭი, რომელიც მიეჩვია, რომ მუდმივად შინ იყო, დედის კალთას ამოფარებული, აღმოჩნდება ოტელში და დაძინებას ვერ ახერხებს, იმიტომ, რომ ყველა ნივთი – კარადა, საწოლი, ფანჯარა – მისკენ მოიწევენ, თავიანთი იქ ყოფნით სულს უხუთავენ მას, ეს ნივთები ცოცხალ არსებებად და მისდამი მტრულად განწყობილად წარმოუდგება. და ამის მიღმა მთელი ფილოსოფიაა, მე კი ორ პუნქტს გამოვყოფ. პირველი, რისი თქმაც მინდა: საქმე გვაქვს ისეთ ადამიანთან, რომელმაც ფიქრით იშრომა, ხოლო გადმოტანილი ტექსტი – ფიქრის ისტორიაა და, ამავე დროს, შესანიშნავი, მშვენიერი ფრანგული ტრადიციაა. თავის დროზე კიდევ ერთმა დიდმა ფილოსოფოსმა, სახელად

დეკარტმა, დაწერა ტრაქტატი „მსჯელობა მეთოდის შესახებ“, ნაშრომს ასევე ეწოდება, მაგრამ ის იწერებოდა (და დეკარტი თვითონვე ამბობდა ამაზე), როგორც „ჩემი ფიქრის ისტორია“.[4] ან, გნებავთ, გრძნობების აღზრდის ისტორია. ან რომანი „გრძნობების აღზრდა“ – საკუთარი თავის რეალიზაციის, გზის გავლის რომანი, რომელიც ცოცხალი გამოცდილების სახითაა ჩაწერილი. მოცემულ შემთხვევაში – ფიქრის ცოცხალი გამოცდილება. ესაა შთაბეჭდილების რეალიზებაც. პრუსტისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ შთაბეჭდილების აღწერა მიზანშეწონილია, თუკი მას იღებ, როგორც რაიმე დაფარული და სიღრმისეული კანონის ნიშანს, რომელიც ამ შთაბეჭდილების მიღმაა. მათ შორის, პრუსტის თვალსაზრისით, ეს ისიც არის, თუ როგორ ვახდენთ საკუთარი თავის რეალიზებას. მაგალითად, გარკვეულ უხერხულობას ვგრძნობ ოთახში და, თუკი ბავშვი ვარ, რასაკვირველია, ვთვლი, რომ კარადაა ცუდი და უხერხულობის მიზეზი ისაა. პრუსტი კი, რომელსაც ჩამოყალიბება უნდა, ჩამოყალიბების მართებულ გზას პოულობს: როგორს? მოცემული მდგომარეობა მიიღოს არა როგორც უხერხულობა, გამაღიზიანებელი ფაქტორი, რომელსაც ადვილად მივაწერთ ობიექტის თვისებებს. ისევეა, როგორც სიყვარულში – შემიძლია ცუდ კარადას მივაწერო ის, რომ იმ ოთახში ვერ ვიძინებ, სადაც ის დგას, – ისევე, როგორც სიყვარულის ობიექტი ქალის თვისებებს შემიძლია მივაწერო ის, რომ მიყვარს. ერთი და იგივე მდგომარეობაა. უფრო მეტიც, ფაქტობრივად, იმით, რაც ვთქვი, ლიტერატურის ამოცანა ჩამოვაყალიბე. პრუსტისთვის მოსაწყენი იქნებოდა იმ შეგრძნებების, როგორც ლიტერატურული შრომის აღწერა, რომლებსაც ჩვენ განვიცდით, მდგომარეობა, რომელშიც ვიმყოფებით, თუკი ამ აღწერას არ ექნებოდა ამოცანა, რომელიც ცხოვრების მოწესრიგების ამოცანას დაემთხვეოდა, თუკი არ ვისახავ ამოცანას, დავადგინო იმის დაფარული მნიშვნელობა, რასაც ვგრძნობ, ან კანონი, რომელიც პრუსტთან დროის და იმის ბუნების გაგებას, ამოხსნას უკავშირდება, რასაც ცხოვრებისეული შრომა ვუწოდე. და მეორე – რაც კანონის თემას უკავშირდება: თუკი არსებობს შთაბეჭდილება (რომლის რეალიზებაც ჩვენზეა), მაშინ შთაბეჭდილების რეალიზაცია ფარული კანონის (და

[4] Descartes. Euvres et Lettres. «Bibliothèque de la Plèiade». Paris, 1953. Discours de la méthode. გვ. 126 – 127.

ის ყოველთვის ფარულია) დადგენას ნიშნავს. ზუსტად ისევე, როგორც იმის მიღმა, რაც გვიზიდავს ადამიანში და სიყვარული ეწოდება, გარკვეული კანონი იმალება. იმის მიღმაც, რაც კარადასავით გვადგას თავს, გარკვეული კანონი იმალება და მაშინ ამ აღწერასაც აზრი აქვს. ანუ ის საინტერესოა, როგორც ლიტერატურული აღწერაც და როგორც გზის გავლის ელემენტიც. ხსნა ან გათავისუფლება. მოგეხსენებათ, რომ, თუკი ადამიანი ასე ძლიერ არის დამოკიდებული კარადაზე, მაშინ, რა თქმა უნდა, ის არ არის თავისუფალი. არადა, ცუდი არ არის, როცა ადამიანი თავისუფალია.

მაშასადამე, პრუსტთან ჯიუტად მეორდება, მხოლოდ ტერმინებზე რომ ვისაუბროთ, სიტყვა „კანონი“ (ამ სიტყვას ათეულობით ვარიაციაში შეხვდებით), ის სხვა პოეტებსა და მწერლებზე მსჯელობისასაც კი მხოლოდ ამ თემით ინტერესდებოდა. კანონი – რამდენად აღმოაჩინა სხვამ ფსიქოლოგიური ცხოვრების რომელიმე კანონი. ვთქვათ, ნერვალის შესახებ ამბობდა (ჟერარ დე ნერვალი – მე–19 საუკუნის რომანტიკოსი პოეტი, პრუსტს ძალიან უყვარდა ეს პოეტი, ბოდლერთან ერთად); „..შემიძლია დავასახელო, სულ მცირე, ექვსი კანონი, რომლებიც ნერვალმა დაადგინა“.[5] „კანონებში“ პრუსტი, რასაკვირველია, დაფარულ მნიშვნელობას ან იმის ფარულ მექანიზმს გულისხმობდა, რომელსაც ზედაპირზე, გარეგნულად განვიცდი სიყვარულის, გაღიზიანების, აღფრთოვანების, სიხარულის და ა.შ. სახით. ამავე დროს, სიხარულს აზრი აქვს მხოლოდ მაშინ – რატომ მიხარია? – როცა შემიძლია, რომ მის მიღმა რაიმე დაფარული აზრი დავინახო, დავადგინო. და მეორე, რაც ასევე ხშირად მეორდება და უცნაური მოგეჩვენებათ, ეს გახლავთ თემა ან სიტყვა „ტელესკოპი“ (მართლაც, ის, რისი თქმაც მინდა, პრუსტის ტექსტის წაკითხვასთან დაკავშირებით, თქვენთვისაც შესანიშნავი წინასწარი შეტყობინება იქნება. ყოველთვის დასრულებულად ვვარაუდობ იმას, რისი შემდგარად ცნობის გარანტიაც თითქმის არ არსებობს, იმიტომ, რომ, მართალია ტექსტის ორი მესამედის რუსული თარგმანი გვაქვს, თქვენთვის მაინც არ არის ხელმისაწვდომი, ვინაიდან წიგნის მაღაზიაში მას ვერ იყიდით.) მაშ ასე, კიდევ ერთი წინასწარი გაფრთხილება. რომანის გამოსვლის დღიდან დღემდე გრძელდება ტრადიცია, რომლის თანახმადაც პრუსტს დეტალების ოსტატად გა-

[5] S.B. – გვ. 239.

ნიხილავენ. მაგალითად, თუკი ის რაიმეს გრძნობს, ესე იგი, ის დეტალურად აღწერს მას, იმდენად, რომ ზოგჯერ ეს შეიძლება მოსაწყენი მოგეჩვენოთ. თვალთახედვის როგორღაც განსაკუთრებული წყობა, რომლის წყალობითაც უმცირესი დეტალების ჩათვლით ხედავს იმას, რასაც ჩვენ მსხვილ პლანში აღვიქვამთ. საბრალო პრუსტი მთელი ცხოვრება ებრძოდა ამ აჩრდილს, რომელიც მის წინაშე გაჩნდა და რომელსაც ასევე, პრუსტი ეწოდებოდა. ცოცხალი, ნამდვილი პრუსტი პრუსტის აჩრდილს ებრძოდა, რომელიც დეტალების მწერალი, წვრილმანების, ნიუანსების და ა.შ. ოსტატია. ის აცხადებდა: რას ამბობთ, არავითარი დეტალი არ მაინტერესებს. რაიმე მხოლოდ იმდენად მიტაცებს, რამდენადაც ამა თუ იმ მოვლენის მიღმა გარკვეული ზოგადი კანონია. მეტიც, პრუსტმა სწორედ ამ პუნქტში მოახდინა ისეთი ერთგვარი რევოლუცია, ან დასვა ის[6] პრობლემა, რომელიც მე–20 საუკუნის ლიტერატურის სტილისტიკის პრობლემად რჩება დღემდე. მე მას აღწერის უაზრო უსასრულობის პრობლემას ვუწოდებდი. საქმე ის გახლავთ, რომ აღწერას, თავისთავად, არ გააჩნია კრიტერიუმები, რომლებიც გვიკარნახებდა, სად უნდა შეგვეწყვიტა აღწერა. ამა თუ იმ საგნის აღწერა უსასრულოდ შეიძლება. ეს გახლავთ აღწერის უსასრულობის ფენომენი. და, უფრო მეტიც, ყველა საგნის აღწერა ნებისმიერი სახით შეიძლება. მე–20 საუკუნის ყველა ლიტერატორს სიმშვიდე დაურღვია ფრაზამ, რომელიც მე–19 და სხვა საუკუნეებში უწყინარად და თავისთავად მისაღებად ეჩვენებოდათ: „მარკიზის ასული სახლიდან ნაშუადღევის ხუთ საათზე გავიდა“. ან საღამოს ხუთ საათზე. – რატომ ხუთ საათზე? რატომ არა ექვს საათზე? ან, ვთქვათ, გმირი X სახლიდან გავიდა და ქუჩის მარჯვენა მხარეს წავიდა (ეს აღწერის მაგალითია). რატომ მაინცდამაინც მარჯვენა მხარეს? იმავე წარმატებით შეეძლო მარცხენა მხარესაც წასულიყო. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ რუსულ ლიტერატურაში ეს თემა ნაბოკოვთან ჩნდება. ბევრი მისი ტექსტი აგებულია ისეთი ლიტერატურული ტექსტის სახით, რომლის შიგნითაც თამაშდება ზოგადად ლიტერატურული ტექსტის აგების თავისებურებები. ის დასცინის სხვების წერის მანერას; ეს ერთგვარი ტექსტია კვადრატში, მეორე ხარისხში. ტექსტი ტექსტის შესახებ. მას მართლაც ეცინებოდა: კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა

[6] იხ.: Ibid. გვ. 640.

აღვწერო, რა აზრი აქვს იმის აღწერას, რომ ტრამვაიმ მარცხნიდან მარჯვნივ შეუხვია, როცა თავისუფლად შემიძლია დავწერო, რამდენადაც ეს ტექსტია და არა რეალური მოვლენა, რომ ის მარჯვნიდან მარცხნივ წავიდა, ან: გმირი წავიდა არა მარცხენა მხარეს, არამედ მარჯვენა მხარეს. რა აზრი აქვს ასეთ აღწერებს? და, უფრო მეტიც, რა კრიტერიუმებს ატარებენ ისინი თავისთავში, რომ წერტილი დავსვა, რომ აღწერა ამოვწურე? თუკი, ვთქვათ, მეათე დეტალი მოვიხმე, ყოველთვის შემიძლია მეთერთმეტეც დავასახელო და მეათეს დავუმატო, ხოლო მეთერთმეტეს – მეთორმეტე და ა.შ. ამ ყველაფერს აზრი არ აქვს. მართლაც, საკმაოდ საინტერესო საკითხია, მაგრამ მეტისმეტად ლიტერატურათმცოდნეობითი, მე კი ეგზისტენციასთან ახლოს მდგომი, ან ეგზისტენციალური პრობლემები მაინტერესებს (მაპატიეთ, სპეციალური ფილოსოფიური ტერმინის კიდევ ერთი, იშვიათი გამოყენების შემთხვევის გამო). დავუბრუნდები, რისი თქმაც მინდოდა. პრუსტი ასეთ შემთხვევებში ამბობს: „მე დეტალებს კი არ აღვწერ, ჩემი აღწერის ინსტრუმენტი არის არა მიკროსკოპი, არამედ ტელესკოპი“.[7] კი მაგრამ, რა არის ტელესკოპი? ტელესკოპი არის იმის დანახვის საშუალება, რაც სინამდვილეში დიდია, მსხვილია, მაგრამ პატარა, ერთი ციდა გვეჩვენება. მაგალითად, ტელესკოპში ვხედავთ მზეს, ის ხომ მონეტისხელა პატარა წრე არ არის ცაზე, არამედ უზარმაზარი ვარსკვლავია, მნათობია. ჩვენ კი მას მცირეს ვხედავთ. ასეთივე მცირე გვეჩვენება... აი, ვტრიალებ საწოლში და ვერ ვიძინებ ოტელში, სადაც საგნები ბოროტი განზრახვით მოემართებიან ჩემკენ, მათ თითქმის მტრული ადამიანური ნაკვთები აქვთ, – ეს ხომ წვრილმანია, ანუ მდგომარეობის თვალსაზრისით, წვრილმანია, მაგრამ მისი აღწერა შესაძლებელია, თუკი მას ტელესკოპის საშუალებით უყურებ: ხედავ დიდს იქ, სადაც სხვები მცირეს ხედავენ. წვრილმანს, სისულელეს და აქვე ვიტყვი, რომ, საერთოდ, ეს ფილოსოფიური აზროვნების ბუნებას ემთხვევა. ფილოსოფიური აზროვნება, როგორც ასეთი, იმის დანახვას გულისხმობს, რასაც სხვები უყურებენ, მაგრამ მის მიღმა უფრო დიდი რამის დანახვას ცდილობენ. ამიტომაც, ვთქვათ, პრუსტისმაგვარი ლიტერატურული ნიჭის მსგავსად, ფილოსოფიის სწავლება შეუძლებელია. აი, წარმოიდგინეთ, რომ არსებობდეს სკოლა, რომელსაც

[7] T.R. – გვ. 1041.

მასხარების სკოლა ერქმეოდა.. რით განსხვავდება მასხარა ადამიანისგან? – ცირკში ჩვენც და მასხარაც ერთსა და იმავე საგანს ვხედავთ. მაგრამ ის მას ხედავს ისე, როგორც მასხარა დაინახავდა. ისიც იგივეს ხედავს, რასაც ჩვენ, მაგრამ მის მიღმა რაღაც სხვას ამჩნევს. ამის სწავლება შეუძლებელია, მხოლოდ გაგება და გათავისებაა შესაძლებელი. მაშასადამე – როგორც ტელესკოპი, ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას მაძლევს, დავინახო ნებისმიერი მდგომარეობა, როგორც რაღაც სხვა მდგომარეობათა ნიშანი. მათ შორის ისიც, თუ როგორ ხედავს სენ-ლუ რახილს, – უმნიშვნელო მოვლენა ცხოვრებაში. მაგრამ ამის მიღმა შესაძლებელია იმ კანონის დანახვა, თუ ჩვენ თვითონ, როგორ ვართ მოწყობილი: როგორაა მოწყობილი ჩვენი ფსიქოლოგიური ცხოვრება, როგორ მუშაობს ჩვენი ცნობიერების მექანიზმი. აი, რას ეწოდება ტელესკოპი. რასაკვირველია, ეს განსაკუთრებული უნარია, პრუსტის ხედვის გამორჩეული თავისებურებაა. ისევე, როგორც მასხარასეული უნარი, რომელიც იმავე საგანში, რომელსაც ჩვენც თვალს ვადევნებთ, ხედავს იმას, რასაც ხედავს, და – უცბად სიცილი გვიტყდება, მოულოდნელად ვიცინით, იმიტომ, რომ დიდი რამე მოულოდნელად დავინახეთ (მოგეხსენებათ, სიცილის მექანიზმი პირველ რიგში მოულოდნელობაა).

ბოლოს დავადგინეთ, რომ თითოეულ მოვლენას, ყოველ რაიმეს გარკვეული აზრი უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის „ცარიელი ბგერაა“ – არ აღიქმება. ახლა, მართალია, უფრო რთულად გამოვთქვამ საკუთარ აზრს, მაგრამ უფრო ეფექტურად, ამიტომაც უფრო გასაგები იქნება. წარმოიდგინეთ, რომ განვიხილავთ ორ სივრცეს: სივრცე 1-ს და სივრცე 2-ს. სივრცე 1 – ეს ის სივრცეა, რომელშიც შესაძლებელია ადამიანური მოვლენების არსებობა. სივრცე 2 – ის სივრცეა, რომელშიც ადამიანური მოვლენების არსებობა შეუძლებელია და არც ხდება. მეორე სივრცეს ვუწოდოთ განურჩეველი. ვთქვათ, სენ-ლუ თეატრში (ადგილი, სადაც ის პირველად ნახავს რახილს) უყურებს რახილს. რახილი – ფიზიკური მოვლენაა, ანუ ადამიანური არსებაა, რომელსაც გარკვეული ფიზიკური თვისებები აქვს და ამ თვისებების დანახვა შესაძლებელია. მაგრამ სენ-ლუს მზერა მიპყრობილია არა ფიზიკურ საგანზე, არამედ სახეზე, რომელიც სავსეა ამაღლებული ოცნებების ანარეკლით. ოცნებებით მშვენიერზე, რომელსაც ვუკავშირებთ თეატრს და ა.შ. მაშასადამე, ეს არის სივრცე 1, სადაც შესაძლებელია მოვლენა, მოცემულ შემ-

თხვევაში – სენ-ლუს აღელვება: იგი რახილის მიმართ გულგრილი არ არის. მაგრამ „გულგრილი არ არის“, „ცარიელი ბგერა არ არის“ – იმიტომ, რომ მან ის თეატრის სივრცეში დაინახა. და ამ სივრცეში მოხდა სენ-ლუს ემოციური ცხოვრების მოვლენა. ყურადღება მიაქციეთ, რომ ტერმინ „მოვლენას“ შემთხვევით არ ვიყენებ. ყველაფერი, რასაც განვიცდით, მოვლენებია; ისინი მიბმულია თავიანთ პატარა ძაფებზე, რომელთა მიხედვითაც ისინი ხდება ან არ ხდება. ჩვენი ღელვაც ხომ მოვლენათა კანონზომიერებაზეა დამოკიდებული. ჩვენ ხომ ყოველთვის არ ვღელავთ და, მართლაც, აღელვება ადამიანისთვის ხომ საკმაოდ დიდი ფასეულობაა?! ხშირად ვითარებებში, როცა ფორმალური ან საგნობრივი კრიტერიუმების მიხედვით უნდა გვეღელვა, ქვასავით ცივები ვართ. გულგრილები ვართ. ამის მიღმა რაღაც კანონზომიერებაა. ამის უბრალო უგულებელყოფა შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ მასზეა დამოკიდებული. ისევ გთავაზობთ პრუსტისეულ ტელესკოპს. უმნიშვნელოს მიღმა შეიძლება დავინახოთ ის, რაც უფრო უმნიშვნელოა, ვიდრე ის, თუ როგორ, განვიცდით, როცა განვიცდით და ა.შ., ხოლო იმ ფაქტის მიღმა, რომ გრძნობამორეული არ ვარ, შეიძლება, ჩვენს ცხოვრებაში საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი კანონზომიერება დავინახოთ. ვუბრუნდები იმას, რაც ვთქვი: სენ-ლუ – მოვლენათა სივრცეშია, პრუსტი კი - მოვლენათა სივრცეში არ არის. ანუ მოცემულ შემთხვევაში, მარსელია რომანის გმირი (მთავარია არა მწერალი, არამედ რომანის გმირი, რომელიც ნაწილობრივ მწერალსაც ემთხვევა, ახლა ეს არ არის არსებითი, ვუწოდოთ მას მარსელი; მას, ფაქტობრივად, სახელიც კი არ აქვს რომანში.) პრუსტისთვის ის ხედავს რახილს – არავითარი მოვლენა არ ხდება. და თუკი ხდება რამე მოვლენა, სულ სხვაგვარი ტიპისაა, რაც უკავშირდება იმას, რომ ის იწყებს ფიქრს, თუ რატომ ღელავს სენ-ლუ და ამ მოვლენიდან გამომდინარე ხედავს რახილს. მაგრამ თვითონ ის რახილის მიმართ გულგრილია იმ სივრცეში, რომელსაც განურჩეველი ვუწოდეთ. ანუ რახილს მასში მნიშვნელობა აქვს, როგორც პრუსტი ამბობს, მხოლოდ „საერთო მნიშვნელობების“[8] გაგებით. ამ განურჩეველ სივრცეში ის ხომ აბსოლუტურად განურჩეველი არ არის, ის განურჩეველია მხოლოდ ჩვენი პრობლემის თვალსაზრისით – ჩვენ ყველას

[8] C.G. – გვ. 159.

გვაქვს საერთო მნიშვნელობები. არსებობს სახის გამომეტყველება (ზოგადადამიანურ ცხოვრებაში), თვალების მიმიკა, სილამაზე ან სიმახინჯე – რაღაც, ასე ვთქვათ, რასაც აქვს აზრი, ოღონდ ზოგადი აქტების გაგებით. სილამაზე შეიძლება ჰქონდეს A-საც B-საც და C-საც. სახის ესა თუ ის გამომეტყველება შეიძლება ჰქონდეს ერთ ადამიანსაც, მესამესაც, მეოთხესაც და მემილიონესაც – ყველაფერს, რასაც აქვს მნიშვნელობა ზოგადი აქტების გაგებით, რომლებიც მოცემულია სიტყვებით, ანუ აღწერის სახით. წინ რომ გავუსწრო, მცირე მინიშნებას მოგცემთ, რომლის ახსნაც ახლა არ შემიძლია. ყველა ეს მოვლენა განურჩეველია, ვინაიდან ისინი არაინდივიდუალიზებულია. მათ მნიშვნელობა აქვს ზოგადი კანონზომიერების ან ზოგადი აქტების გაგებით. მათ მიღმა ინდივიდები არ დგანან. სენ-ლუსთვის კი რახილი უნიკალურია. მისი სახე გარკვეული ზოგადი მოვლენების მატარებელი კი არ არის, მნიშვნელობის მქონე, ზოგადი აქტების გაგებით, არამედ გარკვეული სრულიად უნიკალური აქტების მატარებელია, რომლებსაც, სხვათა შორის, სიტყვა „შარმს“ ვუწოდებთ. შარმი არის ისეთი რამ, რაც მხოლოდ ინდივიდისთვისაა დამახასიათებელი და მისი გამოხატვა შეუძლებელია. ის, რისი გადმოცემაც ზოგადი სიტყვების ან ზოგადი მნიშვნელობების შეხამებით შეუძლებელია. როგორც არ უნდა აღწეროთ, აღწერა ყოველთვის ზოგადი სიტყვებით ხდება და ვერასდროს შეძლებთ შარმის გადმოცემას. შარმი უნდა იგრძნო. მაშასადამე, დავადგინეთ, რომ არის რაღაც, რასაც მნიშვნელობა არ გააჩნია თავისთავად და შემდეგი გაგებით: „ზოგადი მნიშვნელობა“ არ არსებობს მოვლენების სივრცეში. ეს ისევეა, როგორც – ამ მეტაფორას პრუსტიც მოიხმობს[9] – „ცარიელი სახე“ კუბისტურ ფერწერაში. შემთხვევითი ხომ არ არის, რომ კუბისტურ ფერწერაში უცბად ჩნდება მყარი ხატი, რომელიც მე-20 საუკუნის ძალიან ბევრ ნაწარმოებს გასდევს, ადამიანის სახის ოვალი, რომელსაც არავითარი ნაკვთები არ ავსებს. დავუშვათ, მარსელ პრუსტისთვის რახილი კუბისტური ოვალია, რომელსაც არავითარი ნაკვთები არ ავსებს. ეს, რასაკვირველია, უკვე აბსტრაქციაა. თუკი ქალის სახის ყურებისას მარსელი მხოლოდ ზოგად მნიშვნელობებს ხედავს, მაშინ ის ვერ ხედავს სახეს. კუბიზმისთვის სახე არ არის ზოგადი მნიშვნელობა. მგონი, რთულად გამოვთქვი. ვიმეო-

[9] იხ.: Ibid. გვ. 175.

რებ ამ აზრს: მხატვარს სურს გვითხრას, რომ, თუკი ვხედავთ სახეს სიტყვის ზოგადი მნიშვნელობით (მართალია, ყველა ცხვირი განსხვავდება, მაგრამ ისინი ხომ მაინც ცხვირებია და ყველა თვალი – თვალია), ეს იმას ნიშნავს, რომ ვერაფერს ვხედავთ. თუკი ამას ვხედავთ, ესე იგი ვერ ვხედავთ სახეს. ანუ ფერწერა არის იმ რაღაცის ნიშანი, რომელსაც ვერ ვხედავთ...

მაშასადამე, მე ვახსენე: მოვლენის სივრცე და გულგრილი სივრცე. ერთშია სენ-ლუ, მეორეში – მარსელი. ამ სივრცეთა შეხების წერტილშია რახილის სახე. ის სენ-ლუს სივრცეს ავსებს, მაგრამ (სწორედ ამაზე ვსაუბრობდით ბოლოს), რომ ჩვენც და სენ-ლუსაც, ანუ იმას, ვინც არაგულგრილობის სივრცეშია, უნდა აინტერესებდეს, რა ხდება სინამდვილეში. იმიტომ, რომ სენ-ლუს ბედი უხილავი გზებით და ძაფებით წამოედება სინამდვილის მექანიზმის ბორბალს და არა საკუთარი წარმოდგენების მექანიზმის ბორბალს. სინამდვილეს ხომ ის შედეგები მოყვება, რომ რახილი სწორედ ასეთია. არა ისეთი, როგორსაც სენ-ლუ ხედავს. უკვე აღვნიშნე: დასადგენია, რა ხდება სინამდვილეში. საქმე ისაა, რომ აზრის გამოტანას, იმის დადგენას, რაც სინამდვილეშია, შევძლებთ, თუკი ამისთვის ავაგებთ ტექსტს. ლიტერატურა კი, როგორც ტექსტის კერძო შემთხვევა, ჩვენი ცხოვრების ნაწილია; იმისთვის, რომ გავიგოთ, რა არის სინამდვილეში, ამისთვის რამე უნდა გავაკეთოთ. მოცემულ შემთხვევაში: უნდა ავაგოთ ტექსტი, რომელიც შობს ჭეშმარიტებას. რას ნიშნავს ჭეშმარიტების შობა? მივანიჭოთ მნიშვნელობა ინფორმაციის ან მოვლენის განცალკევებულ ნაწილებს. ვთქვათ, სენ-ლუს არ შეუძლია რახილის შესახებ სიმართლის გაგება, იმიტომ, რომ მას არ ძალუძს რახილის მარსელის თვალით ყურება. ან სხვაგვარად ვთქვათ: ამის გაკეთება არ შეუძლია, ანუ არ ძალუძს გაგება, ვინაიდან სივრცის ამ წერტილშია და არა სხვაში. უბედურება ისაა, რომ – ამიტომ ვსაუბრობთ ტექსტზე, რომელიც ჭეშმარიტებამდე მიგვიყვანს, – ეს სივრცე გაყოფილია. შეუძლებელია, ერთმანეთს დაემთხვეს წერტილი, რომლიდანაც მარსელი იყურება და წერტილი, რომლიდანაც ვიყურები მე, თუკი მე – სენ-ლუ ვარ. ისინი გამიჯნულია. აი, აქ თავმოყრილია იმის საგნობრივი ხედვები, რასაც ყველა ხედავს, ვინაიდან სენ-ლუ ხომ იმავე ნაკვთებს ჭვრეტს (ამ სიტყვის ფიზიკური გაგებით), რომელსაც მარსელი, უბრალოდ, მისთვის შინაარსი სხვაა, მარსელისთვის კი – სხვა. საქმე ისაა, რომ ისინი

გამიჯნულია და მათი გაერთიანება შეუძლებელია. ტექსტი კი არის ის, რაც მათ აერთიანებს, – სინამდვილეში ლიტერატურული ტექსტის დაწერა ცხოვრებისგან გამიჯნული საქმიანობა არ არის; ნაბოკოვის მაგალითზე მოგახსენეთ: თავისთავად გარკვეული პირობითი, წარმოსახვითი კონსტრუქციის აგება პირველად ანიჭებს ლოგიკას იმას, რასაც დანაწევრებულად ხედავდით საკუთარ ცხოვრებაში და ამ ლოგიკით შეიტყობთ, რომ სინამდვილეში თქვენი მეგობარი თქვენი ცოლის საყვარელია. ეს ფაქტი იმის კერძო მაგალითის სახით მოვიხმე, რაც განაპირობა ტექსტის დაწერამ. ან ასეთი კონსტრუქცია – შეიძლება, ტექსტი არ დაწეროთ, შეიძლება, თავში გქონდეთ. მაგრამ ტექსტის ხსენებისას, ამ შემთხვევაში ლიტერატურული ტექსტის ხსენებისას, მხედველობაში მქონდა გარკვეული მოვლენა, ხდომილება, რომელიც იმისთვის იგება, რომ რაღაცამ პირველად მიიღოს გააზრებული სახე. რომ ყველაფერი თავის ადგილას დალაგდეს. ვთქვათ, ჩემი ცოლის სახის რაღაც გამომეტყველება დავინახე, დავინახე ან უფრო სწორად გავიგონე ჩემი მეგობრის ხმაში გარკვეული ინტონაცია, ან მათ ერთად შევხვდი ქუჩაში – შემეძლო ეს ყველაფერი სრულიად სხვადასხვა მიზეზისთვის მიმეწერა, რასაც სინამდვილესთან არავითარი საერთო არ ექნებოდა. ისევე, როგორც ოიდიპოსი თავის საქციელს, რაც მამამისის მკვლელობაში გამოიხატა, შემთხვევით გადაყრილი მგზავრის ცუდ ხასიათს მიაწერს. გარკვეული შეურაცხმყოფელი (ან ოიდიპოსის წარმოსახვაში შეურაცხმყოფელი) სიტყვები, რომელიც მამამისმა თქვა, – გარკვეული მოვლენებია. არსებობს რაღაც სხვა მოვლენებიც, ისინი განცალკევებულია, მხოლოდ გარკვეული შინაგანი კავშირი გააჩნიათ, რაც სწორედაც რომ არ ვიცი. ამიტომაც პრუსტი ძალიან ხშირად საუბრობს იმაზე, რომ ზოგიერთები წარმოიდგენენ, წარმოისახავენ ისეთ ფსიქოლოგიას (ან ისეთ ლიტერატურას; ამ შემთხვევაში ეს საგნები ურთიერთჩანაცვლებადია), რომელიც ემოციის ლოგიკის შესახებ ერთგვარი „მეცნიერება“ იქნებოდა[10], ან ემოციური ლოგიკა, სენტიმენტების ლოგიკა. ამ შემთხვევაში „ლოგიკა“ – არა სილოგიზმების და დასკვნის გამოტანის წესების გაგებით, რასაც, ჩვეულებისამებრ, უწოდებენ ლოგიკას, არამედ იმ გაგებით, რომ ცალკეულ ნაწილს აზრი გააჩნია და არ იფანტება. აი, ამ ნაწილებს შეგვიძლია ვუწო-

[10] იხ.: Centenaire de Marcel Proust. Europe, revue mensuelle. 1970. გვ. 64.

დოთ შეკრება. „შეკრებას“ შემთხვევით არ ვუწოდებ, ვინაიდან ეს სიტყვა ბერძნული „ლოგოსის“ რუსული ეკვივალენტია. ყველაფერს, რაც საქმესთანაა დაკავშირებული, აქვს ლოგოსი, რომელიც, როგორც ძველი ბერძნები (ამ შემთხვევაში, ჰერაკლიტე) ამბობდნენ, შეგვიძლია გავიგონოთ ან არ გავიგონოთ.[11] აი, ვთქვათ, გვესმის 2 და 2, მაგრამ არ გამოგვყავს 4; გეუბნებოდით, რომ ადამიანის ძირითადი მდგომარეობა არის ის, როცა ის უკვე არსებულ ჭეშმარიტებას ეხება, მათ შორის თვით საკუთარი თავის შესახებ, მაგრამ ვერ ხედავს მას. ანუ ის ხედავს 2-ს და 2-ს, ხოლო ადამიანურ შესაძლებლობებს მიღმაა ოპერაცია 2X2=4-ს. არ ხორციელდება ეს ოპერაცია. ამ ოპერაციის შესასრულებლად საჭიროა გარკვეული ორგანო.

ასე რომ, როცა ვამბობ „ტექსტი“, ფაქტობრივად, ვგულისხმობ არა ლიტერატურულ ტექსტს, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, არამედ ორგანოს, ანუ რაღაცას, რომლის საშუალებითაც ჩვენ ვხედავთ. ბუნებრივია, ორგანო იმით გამოირჩევა, რომ ის ბუნებრივად, ჩვენი ძალისხმევის გარეშე, ხედავს იმას, რასაც ხედავს. ორგანო ბუნებრივად ქმნის მას, რისი ორგანოც არის. ვთქვათ, თვალი ქმნის მხედველობას – და აი, წარმოიდგინეთ ისეთი აზრები ან მდგომარეობები, რომლებსაც წარმოქმნიან ტექსტები, როგორც ორგანოები. რაღაც, რომლის საშუალებითაც ვხედავთ. ვთქვათ, სეზანის ვაშლები. თუკი კარგად დავფიქრდებით, ხომ ცხადია, რომ სეზანის ფერწერა სულაც არ ასახავს ვაშლებს. თუკი ვხედავთ იმას, რაც დახატა სეზანმა, ეს ნიშნავს, რომ ვხედავთ ამ ვაშლების საშუალებით. ანუ ისინი ჩვენს ორგანოებად იქცევა, რომელთა საშუალებითაც ვხედავთ იმას, რასაც საკუთარი თვალით ვერ ვხედავთ. იქ ვაშლები კი არ არის გამოსახული, არამედ აგებულია კონსტრუქცია, რომლის საშუალებითაც ვხედავთ ისეთ რამეს, რასაც ხეზე ჩამოკიდებული ვაშლების ყურებისას საერთოდ ვერ ვხედავთ. მაშასადამე, როცა ვამბობ „ტექსტი“, მის გამოსახულებით მხარეს კი არ ვგულისხმობ, არამედ – სხვას. და, მოდით, ახლა გავარკვიოთ ეს სხვა მხარე. ჩვენ ვამბობთ: ტექსტი არის ის, რასაც ვკითხულობთ. მე კი სხვა რამეს გთავაზობთ. ტექსტი არის ისეთი რამ, რისი საშუალებითაც რაღაც

[11] „ეს - აი ამ სიტყვას (ლოგოსს) ჭეშმარიტს ვერასდროს წვდება ადამიანი...“ (Фрагменты ранних греческих философов. გვ. 189).

სხვას ვკითხულობთ. ტექსტი არის ისეთი რამ, რომლის საშუალებითაც მოვლენას ვკითხულობთ. სეზანის „ვაშლები“ არის ვაშლები, რომელთა საშუალებითაც ვხედავთ იმას, რასაც ამ კონსტრუქციის გარეშე ვერ დავინახავდით. მოცემულ შემთხვევაში რომანის კონსტრუქცია საშუალებას მაძლევს დავინახო (როგორც ნაბოკოვის შემთხვევაში), რომ ყველა მოვლენას აქვს ლოგიკა. თუკი დავუშვებ, რომ ჩემი მეგობარი ჩემი ცოლის საყვარელია ყველაფერი საკუთარ ადგილას დადგება. მორჩა – გავიგონე ლოგოსი, ანუ ის, რასაც ამბობს შეკრება. „ორი“ და „ორი“ ამბობს, „ოთხიო“. ხომ ვამბობდი, რომ შეიძლება ვერც გავიგონოთ ეს. იმ მარტივ მიზეზს, რაც მაიძულებს ვთქვა „ოთხი“, დავარქვათ შინაგანი აზრი, შინაგანი ლოგიკა, – ასე ყველაფერი თავის ადგილას დადგა. აი, მაგალითად, რაღაც, რაც მაიძულებს, რომ ვთქვა: ეს მართლაც ასეა, – არის ლოგოსი, რომელიც მე გავიგონე. მაგრამ ლოგოსის მატერიალურ ნაწილში არაფერია ისეთი, რაც თავისთავად გვეტყოდა, რომ „ორი“ და „ორი“, თითოეული მათგანი ცალ-ცალკეა, – რომ მათი ჯამი არის „ოთხი“.

და აი, აქ მივედით ძალიან რთულ პუნქტამდე, რომელიც აჯამებს იმას, რაზეც აქამდე ვსაუბრობდით. საქმე ის გახლავთ, რომ ლოგოსი ნიშნავს: ასე უნდა იყოს, სამყარო ასეა მოწყობილი, თუმცა, ამას ჩვენ ვერ ვამჩნევთ. მე ვერ ვხედავ, რომ ჩემი მეგობარი ჩემი ცოლის საყვარელია. ყველაფერს, რასაც ვხედავ, აქვს, ან შეიძლება ჰქონდეს სხვა ახსნა. ხაზს ვუსვამ: ყველაფერს, რასაც ვხედავ, შეიძლება სხვა ახსნა ჰქონდეს. ყველაზე ხშირად სწორედ ამ სხვა ახსნისკენ ვიხრებით. ისინი ხილულია. ქუჩაში შევხვდი ცოლს, რომელსაც ეჩქარებოდა და აღელვებული იყო და მეც, იმის გამო, რომ, ღმერთო მიხსენი, ამ საკითხზე ბევრი არ ვიფიქრო, ვიღებ მის განმარტებას – მას მკერავთან ეჩქარება, თუმცა, მის სახეზე მღელვარების ხარისხი სულაც არ აიხსნება მკერავთან ბანალური ვიზიტით, მაგრამ ამის მისაღებად მზად ვარ. რისი თქმა მინდა ამით? უპირველესად, ასე უნდა იყოს, სამყარო ასეა მოწყობილი, ვითარება, მისი ლოგოსი ასეთია, ანუ ყველაფერი თავის ადგილას დგება, თუკი დაიჯერებ; მეორეც, – იმას, რაც დავიჯერე, ვერ ვხედავ. ეს ხომ საგანი არ არის, ეს – ლოგოსია. ეს არ არის „ორი“ და „ორი“, არამედ არის ის, რაც „ოთხის“ თქმას მაიძულებს. მესამე და, შესაძლოა, ყველაზე მთავარი, ეს ჩვენთვის საშინელია. ჩვენს არსებაში ყველაფერი ამბო-

ხებულია და წინააღმდეგობას გვიწევს, გვიჯანყდება იმის წინააღმ-
დეგ, რომ ვთქვათ: ეს ასეა. ძალიან დიდი სიმამაცეა საჭირო, მით
უფრო დიდი სიმამაცე, ვინაიდან ის უსაგნოა, მისი დასაბუთება შე-
უძლებელია, თუმცა, ლოგიკურად მხოლოდ ასე შეიძლება იყოს,
მაგრამ ამის დამტკიცება ხომ შეუძლებელია, და ამის დაჯერებაც
შეუძლებელია. მაინც რა გაგებით? ფსიქოლოგიური თვალსაზრისით,
ადამიანი ამ ყველაფერს ეწინააღმდეგება. მოგეხსენებათ, არსებობს
ასეთი ფსიქოლოგიური კანონზომიერება, რომ ტყუილის თქმის ყვე-
ლაზე ეფექტური ხერხი სიმართლის თქმაა, მაგრამ ისეთ ვითარება-
ში, რომელშიც თითქმის გამორიცხულია (როგორც ქართველები
იტყვიან, ვარიანტი არ არსებობს), რომ ის დაიჯერონ. მოვიხმობ
მაგალითს, რომელიც თვალნათლივ აჩვენებს იმას, რისი თქმაც მინ-
და და იმასაც, როგორია პრუსტის და ზოგადად ფილოსოფიური
შეხედულების მექანიზმი, ანუ წვრილმანის მიღმა – ტელესკოპით
– კანონზომიერების დანახვა, ან დიდის დანახვა (ფილოსოფოსი ყუ-
რადღებას ამახვილებს, ჩვენ კი – არა; ზოგჯერ ყურადღების მიქცე-
ვა გვშველის, უგულებელყოფა კი გვღუპავს). ვთქვათ, ქალი სას-
ტუმროს ოთახშია საყვარელთან ერთად და რაღაც საქმის გამო
ქმარს ურეკავს. ქმარი ეკითხება: „სად ხარ?“ ცოლი პასუხობს:
„საყვარელთან“. როგორია ქმრის რეაქცია? „რატომ ამბობ ხოლმე
სულ ასეთ სისულელეებს...“ – ის არ დაიჯერებს. არადა, ცოლმა
სიმართლე უთხრა. აი, მთელ ამ კომპლექსს, რის გამოც ქმარმა არ
დაიჯერა, დავარქვათ ფსიქოლოგია, ანუ ვერ ვხედავთ იმიტომ, რომ
ფსიქოლოგიური არსებები ვართ. ფსიქოლოგიური არსებები რომ არ
ვიყოთ, ანუ – ფილოსოფიის ენაზე რომ ვთქვათ – ონტოლოგიური
არსებები ვიქნებოდით.... როგორც ხშირად ხდებოდა პრუსტის შემ-
თხვევაში: როცა ე.წ. უნებლიე სიმართლის ფენომენი არსებობს, მას
ყოფნის სიმამაცე, დაიჯეროს, რომ სამყაროში მხოლოდ ამ სიმამა-
ცის აქტი არსებობს. სხვა შინაარსი არაა. ქმარს რომ დაეჯერებინა,
ეს წმინდა წყლის სიმამაცის აქტი იქნებოდა, რაც ადამიანურ ფსი-
ქოლოგიას ეწინააღმდეგება. შესაბამისად, იმას, რასაც პირობითად
ტექსტს ვუწოდებ, ანტიფსიქოლოგიური მუხტი გააჩნია; ვიმეორებ –
ის, რასაც ტექსტს ვუწოდებ, ანუ ის, რასაც იძულებით ვაგებთ, რომ
მან აზრი წარმოშვას, ვინაიდან აზრს არ წარმოშობს ფსიქოლოგია.
ფსიქოლოგია სწორედაც რომ ეწინააღმდეგება ლოგოსს, არ უშვებს,
რომ ჩვენ გვამოძრავებდეს ის, რაც გვაიძულებს ვთქვათ „ორჯერ

ორი ოთხია“, თუმცა, როცა ადამიანი გეუბნება: „ოთახში საყვარელთან ერთად ვარ,“ – ეს არის კიდეც „ორჯერ ორი ოთხია“. პრუსტთან ასეთ სიტყვათშეთანხმებას ვხვდებით: ერთადერთი რეალობა (ჩვენ ხომ სულ რეალობაზე ვსაუბრობთ, არა? აღვნიშნეთ, რომ რეალობისკენ გზა ტექსტზე გადის). ის ასე ამბობს: ერთადერთი რეალობა არის ის, რასაც ვფიქრობთ.[12] გაიხსენეთ, ძალიან ხშირად ვფიქრობთ სიმართლეს, მაგრამ თავიდან ვიშორებთ, ვინაიდან გვაშინებს ის. და აი, პრუსტი, თითქოსდა, გვეუბნება, რომ სწორედ ის, რასაც ვფიქრობთ არის კიდეც სიმართლე. აქ სიტყვას „ვფიქრობთ“ აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან ვფიქრობთ, მაგრამ ვერ ვხედავთ. ვინაიდან ის, რასაც ვფიქრობთ, არის ის, რაც მნიშვნელობას იძენს; ის, რის გამოც ათ საგანს, ოც საგანს, ათას საგანს შეუძლია თანაარსებობა. ერთმანეთთან დაკავშირებული, ყველაფერი თავის ადგილას დგება. მაგრამ თვით „ფიქრადი“ ცალკეული საგნის სახით არ არსებობს. პრუსტი წერს: ათასი ეჭვიანობაა და თითოეული მათგანი სიმართლეა.[13] ეჭვიანობა, ერთი არ არის; ის იმ განცალკევებულ სივრცეშია (რომელზეც ვსაუბრობდი), სადაც ორი წერტილი ერთმანეთს გამორიცხავს, – შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს ორ წერტილში ყოფნა, შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს სენ-ლუს და მარსელის თვალით ყურება, თუკი ისეთ წერტილში მოხვდით, საიდანაც ყველაფერს სენ-ლუს თვალით უყურებ. ჩვენ ხომ ქალის მიმართ სიყვარულის არა ერთ, არამედ ათასობით სახესხვაობას განვიცდით, რომელიც ათასობით მოვლენაში, სხვადასხვა სივრცეებსა და დროებშია განფენილი. და იქვე არსებობს ათასობით ეჭვიანობები. ასე, მაგალითად, პრუსტი ამბობს: ჩვენ ხომ ვერ ვამჩნევთ, რომ ყველა ეს ათასობით ეჭვიანობა სიმართლე იყო, ანუ პირობითად რომ ვთქვათ, ჩვენ „ცუდს“ ვვარაუდობდით. მაგრამ შეუძლებელია, რეალობა ცუდი იყოს, ის არის ის, რაც არის, – თუკი ინფანტილურები არ ვართ, რასაკვირველია. ასეთ შემთხვევაში რეალობა ან ცუდია ან კარგია.

მაშასადამე, რეალობა – ეს არის ის, რასაც ვფიქრობდით და რაც არის კიდეც სიმართლე. ერთადერთი რეალობა არის ის, რომელიც აზრად მოგვივიდა, რომელზეც ვიფიქრეთ და რომელსაც, როგორც

---

[12] S.G. – გვ. 1126.

[13] Fug. – გვ. 489.

პრუსტი ამბობს, ამსუბუქებს, მაგალითად, ყოფნა.[14] საყვარელი ქალის ყოფნა, რომელზეც ფიქრით სიმართლე იცით, მაგრამ მისი უეჭველი, რეალური ყოფნა, თავისი მომხიბვლელობით, ამსუბუქებს სიმართლეს იცილებს და სადღაც შორს წევს. ერთად ყოფნა ემოციური და სულიერი მონობის ერთ-ერთი მექანიზმია; ის გვეხმარება, რომ არ დავინახოთ სიმართლე. ისევე, როგორც ჩვენი შიში, მაგალითად, გვეხმარება, რომ პირდაპირ ჩვენ თვალწინ ვერ დავინახოთ რეალობა. შესაბამისად, რისი თქმა მინდა? იმის, რომ აზრით ვგებულობთ – აზრი ხომ უნდა გაჩნდეს. გაჩვენეთ, რომ აზრს წარმოშობს არა ფსიქოლოგია, არამედ გარკვეული კონსტრუქცია; მაგრამ ის, რაც ჩნდება, არ არსებობს. არსებობს ყველაფერი დანარჩენი, რაც სხვაგვარად აიხსნება, მაგრამ ის, რასაც ვფიქრობთ, – არ არსებობს. ერთი სიტყვით, ისეთ ვითარებაში აღმოვჩნდებით, რომ – ასე გამოვხატავდი, – უფრო იმას უნდა ვხედავდეთ და იმის გვჯეროდეს, რაც არ არსებობს, ვიდრე იმის, რაც არსებობს და რასაც ვხედავთ. ვიმეორებ, მთელი სირთულე ისაა, რომ უფრო ის უნდა დავინახოთ და იმის გვჯეროდეს, რაც არ არსებობს, ვიდრე იმის, რაც არსებობს. ამავე დროს, ამ დაგრეხილი ფრაზით, განვმარტე, თითქოსდა, კრისტალურად ნათელი, მაგრამ თავისი სიცხადით შეცდომაში შემყვანი ფრაზა სახარებიდან: „იწამეთ ნათელი, რათა იყოთ ძენი ნათლისა“. აქ ორი ამოსავალი წერტილია. პირველია: „იწამეთ ნათელი“. სწორედ რწმენაა საჭირო, ვინაიდან ის ხომ არ არსებობს. ის მხოლოდ ერთი წამით გაიელვებს. მაშასადამე, გვაიძულებენ გვწამდეს ის, რაც არ არსებობს და, როგორც ვთქვი, ამის უფრო მეტად უნდა გვწამდეს, ვიდრე იმის, რაც არსებობს. „რათა იყოთ ძენი ნათლისა“ – მეორე აკორდია. ანუ იყავით იმის შვილები, რასაც ვერ ხედავთ, მაგრამ რისიც გწამთ და უკვე გითხარით, რომ ტექსტის კონსტრუქციის ძალით გწამთ და არა ფსიქოლოგიის წყალობით. მაშასადამე, იბადებით – რისგან? თქვენი ამ ფიქრებისგან? სინტაქსისგან (გაიხსენეთ „ელვის სინტაქსი“), ან ფორმისგან. ლოგოსი არის რაღაც ფორმალური. ფლობერი ამბობდა, რომ იდეა (გარკვეული შინაარსის მქონე მდგომარეობა თქვენს თავში) არის ის, რაც ფორმის წყალობით არსებობს.[15] მიდი და გაიგე. ამას, შეიძლება, ფორმალიზმი უწო-

[14] იხ.: Ibid. გვ. 490.

[15] იხ.: Poulet Georges – Études sur le temps humain. 1952. Flaubert. გვ. 360 – 363.

დო. მაგრამ სინამდვილეში ამაზე საუბარი არ არის და არც არავითარი ფორმალიზმია აქ. რა თქმა უნდა, – მხოლოდ ფორმის ძალით, ვინაიდან, რასაც ვფიქრობ და რაც არ არსებობს, მხოლოდ ფორმალური შეიძლება იყოს. როდესაც ვთქვი: აზრის მინიჭება, ლოგოსის მინიჭება – ლოგიკა ხომ თავისი შინაარსით რაღაც ფორმალურია, – იმას ვგულისხმობდი, რომ შეგვიძლია ამ შინაარსის ყველა ელემენტი, როგორც ინგლისელები იტყვიან, explained away განვმარტოთ. ანუ ჩვენს ცხოვრებაში მოქმედებს ფსიქოლოგიური კანონზომიერება: როდესაც განმარტების პროცედურას ვიყენებთ როგორც ისეთ რამეს, რომლის წყალობითაც ვთავისუფლდებით იმისგან, რისი განმარტებაც საჭირო იქნებოდა. ან როგორც რაღაცას, რისი საშუალებითაც ვახერხებთ, რომ არ დავინახოთ ის, რაც უნდა დაგვენახა (მკერავთან მიდიოდა ჩემი ცოლი. – განმარტების თავიდან აცილების მაგალითია; უფრო რთული ხასიათის თავის გამართლებებიც არსებობს.). მოვიხმობ სოციალურ მაგალითს; ის გვიჩვენებს, როგორ მოქმედებს ჩვენი აზროვნება, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ეს 1950 წელს ხდებოდა; როდესაც სკოლა დავამთავრე თბილისში, მოსკოვს გავემგზავრე, უნივერსიტეტში და ჩემთვის მოულოდნელ – ინტენსიური კომკავშირული ცხოვრების ვითარებაში აღმოვჩნდი, რაც თბილისის სკოლის მოსწავლისთვის რაღაც გაურკვეველი მისტიკური მოვლენა იყო; საერთოდ არ მესმოდა, რა ხდებოდა, როგორ შეიძლებოდა შეკრებებზე ჯდომა, კინოში კოლექტიური სიარული და ა.შ. სრული მისტერია და, ბუნებრივია, ხშირად ვიღებდი საყვედურებს. მახსოვს, მოსკოვში საშინელი ზამთარი იყო, სველი და თოვლჭყაპიანი; გორკის ქუჩაზე მივდივართ და გვერდით მომყვება ჩვენი ჯგუფის კომკავშირის მდივანი. მე ქუჩაშიც კი მორიგი კომკავშირული გაკიცხვის ობიექტი აღმოვჩნდი. ჩემი ამხანაგის ამაღლებული სიტყვების დროს, ჩვენთან ათიოდე წლის უპოვარი ბიჭი მოვიდა და დახმარება გვთხოვა. ნორმალური ადამიანი, უპოვრის დანახვაზე არ დაიწყებს ფიქრს, რომ ის სინამდვილეში შენზე გაცილებით მდიდარია, შენ ხედავ რეალობას. მაგრამ ჩემმა ამხანაგმა ეს ბიჭი ვერ აღიქვა, ვინაიდან იგი მისი სივრცისთვის დამახასიათებელი მოვლენა არ გახლდათ. რატომ? ერთი მარტივი მიზეზის გამო: ამ ბიჭს საზოგადოების ჩემი ამხანაგისეულ თეორიულ იერარქიაში უკვე თავისი ადგილი ეჭირა. რა ადგილი? – ახლა კომუნიზმის პირველ ეტაპზე ვართ და ამ ეტაპზე ადამიანებს შორის განსხვავებაა. ერთნი

უფრო ღარიბი არიან, მეორენი – უფრო მდიდარი და ვინაიდან ბიჭი მან უკვე ახსნა, უკვე შეიძლებოდა, რომ ის აღარ დაენახა. ანუ ესაა საკუთარ ცნობიერებაში, შეგრძნების და განცდის საკუთარ უნარში იმ მოვლენის არდაშვება, რომელიც შენს თვალწინაა (ეს ხომ ფიზიკურად ხდება, მაგრამ ვერ ხედავ). არსებობს გარკვეული მაგნიტური ველები, რომლებშიც შეგვიძლია ვიყოთ და ვხედავდეთ ან არ ვხედავდეთ იმას, რაც ამ ველს მიღმაა. ველი ასე მართავს ჩვენს ტვინს, თუმცა, თითქოსდა, ვერდანახვა შეუძლებელია. როგორ შეიძლება, ვერ დაინახო დატანჯული, გაყინული, უპოვარი, მშიერი ბიჭი? როგორც ჩანს, შეიძლება, რომ ვერ დაინახო (ახლა შეეცადეთ, ეს სტრუქტურა გაცილებით მეტ ცხოვრებისეულ შემთხვევაზე გადაიტანოთ – ჩვენს მიერ წიგნების კითხვაზე, სიყვარულზე, სიძულვილზე და ა.შ. ხომ ხედავთ, როგორ შორს მივდივართ პრუსტის განხილვისას. თითქოსდა, ვშორდები მას, მაგრამ სინამდვილეში პრუსტს თითქმის ტექსტუალურად მივყვები.). მაშასადამე, კიდევ ერთხელ ვაყალიბებ: არის მდგომარეობანი, რომლებსაც იდეებს ვუწოდებთ და რომლებიც ფორმის ძალით არსებობენ. ფორმა კი, მოგეხსენებათ, კონსტრუქციული ბუნებისაა, ანუ ის იგება. ფორმები თავისით არ დარბიან, ფორმებს ცხოვრება ბადებს, მაგრამ მათ ადამიანებიც ქმნიან. მათ შორის ფორმებს გამოიგონებენ ხოლმე ხელოვნებაში, ლიტერატურაში.

ახლა ცოტა შორს წავიდეთ. ჰო, მართლა, ერთი დეტალი გამომრჩა, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია. მაშასადამე, ისედაც რთული საკითხია, მაგრამ კიდევ ერთი გამართულებელი დეტალიც არის მაგნიტური ხაფანგების ან კონსტრუქციების მთელ ამ ვითარებაში, რომელშიც ვცხოვრობთ. არსებობს კონსტრუქციები, რომლებიც საშუალებას არ გვაძლევს დავინახოთ (ჩემი ამხანაგის კონსტრუქცია) და არსებობს კონსტრუქციები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ; მოდით, მათ პრუსტის კონსტრუქციები ვუწოდოთ. ან – სეზანის მაგალითი მოგიყვანეთ – ვაშლები, რომელთა საშუალებითაც ვხედავთ. ტექსტი, რომლის საშუალებითაც ვკითხულობთ ჩვენს გამოცდილებას. და ჩვენი გამოცდილების ამ წაკითხვის დროს, რომელიც ანტიფსიქოლოგიური ხასიათისაა, ანუ ჩვენი ფსიქიკის, ჩვენი, როგორც ადამიანური არსებების, ფსიქოლოგიის ძირითადი ტენდენციების წინააღმდეგაა მიმართული, – არის კიდევ ერთი სირთულე. უპირველესად, მოვნიშნოთ შემდეგი: ვერ ვხედავ, რადგანაც

მინდა, თავი ავარიდო შიშს, ანუ გავექცე იმ აზრს, რომ მეშინია. ჭეშმარიტება კი არის ის, რისიც მეშინია, – მისი დანახვა, და მერე მავიწყდება კიდეც ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების მრავალშრიანობიდან გამომდინარე, რომ არც მინახავს ის, რადგანაც მეშინოდა; მერე კი, მომდევნო სართულებზე, იმის გაცნობიერებაც ქრება, რომ ჭეშმარიტებას შიშის გამო გავურბოდი. იმედის ეს ფსიქოლოგიური მექანიზმები – სამყარო ხომ თავის ნებაზე დაგვატარებს, მათ შორის იმედის ფსიქოლოგიური მექანიზმის წყალობითაც: ხვალ ყველაფერი მოწესრიგდება, სასწაულის გზით შესაძლებელი გახდება სახლის, რომელიც გაიბზარა, შეკეთება, – აი, მთელი უბედურება ისაა, რომ ეს ფსიქოლოგიური მექანიზმები მშვენივრად აკომოდირდება – კი არ ასიმილირდება, არამედ აკომოდირდება, ანუ არ ეწინააღმდეგება ჩვენს ლოგიკურ ოპერაციებს, ჩვენს რაციონალურ სააზროვნო ოპერაციებს. რაციონალური სააზროვნო ოპერაციები საკმაოდ კარგად ეგუება ფსიქოლოგიურ მექანიზმებს (შიშის, იმედის მექანიზმებს და ა.შ. განმარტების თავიდან აცილებაც მექანიზმია). და აი, ვარაუდის უნარის მქონე ჩვენი აზროვნების ყველა ოპერაცია (მოდით, მათ ლოგიკური ვუწოდოთ) – როცა ჩვენ რაღაცას ვაკვირდებით, აღვწერთ, დასკვნები გამოგვაქვს, – ეგუება ფსიქოლოგიურ მექანიზმებს და არ ეწინააღმდეგება მათ. შეგვიძლია ვიფიქროთ, ანუ ლოგიკური ოპერაციები შევასრულოთ და ისევ იმ არარეალობაში დავრჩეთ ისე, რომ რეალობასთან არ მივიდეთ. ლოგიკა (რაციონალური აზროვნების ლოგიკური ოპერაციების გაგებით), თავისთავად, ჭეშმარიტების გზისკენ არ გვიბიძგებს, იმისკენ, რაც სინამდვილეშია. ამ გაგებით შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენს რეალობას სიზმრის სტრუქტურა აქვს. ესეც ერთ-ერთი პრუსტისეული პრობლემაა. ის ამბობდა, რომ ის რაღაც, რასაც ცხოვრებას ვუწოდებთ, – დაგლეჯილია, უწესრიგოა, გაურკვეველ ტკივილებს, სიხარულს იწვევს და უფრო სიზმარს ჰგავს. ჩვენი სიცოცხლე – როგორც სიზმარი. მართლაც, მას, რასაც რეალობას ვუწოდებთ, ყველაზე ხშირად სიზმრის სტრუქტურა აქვს. რა გაგებით? როგორია სიზმრის სტრუქტურა? (მართალია, გამარტივებული სახით, თავს ვერ დავდებ, რომ ეს საკითხი ნამდვილად მარტივია და ჩვენ ის გვესმის.) არსებობს სიზმრის კანონზომიერება: თავისი ხილვების შინაარსით, სიზმარი იმგვარად იგება, რომ ამ ხილვებმა გამოღვიძების საშუალება არ მოგვცენ; სიზმარს, ერთგვარად, განმარტების თავიდან აცილების სტრუქტურა აქვს. ვთქვათ,

რეკავს მაღვიძარა, არ მინდა გავიღვიძო და სულ რაღაც უმცირეს წამებში, სანამ ჯერ კიდევ რეკავს ზარი (სინამდვილეში ხანმოკლეა, სიზმარში გრძლად გვეჩვენება), სიზმარში მთელი სცენა თამაშდება, რომელიც ამ ხმას ისეთ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ ეს მნიშვნელობა ამართლებს იმას, რომ არ გავიღვიძო. და ის, რასაც რეალობას ვეძახით, ხშირ შემთხვევაში, სწორედ იმგვარი წარმოდგენებისგან, იმგვარი სახეებისგან და მდგომარეობებისგან შედგება, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, რომ ძილი გავაგრძელოთ. ამ შემთხვევაში სიტყვა „ძილი“ რეალობის არცოდნას და არდანახვას ნიშნავს. და ამ გაგებით, რეალობას აქვს ძილის სტრუქტურა. ცხოვრება სიზმარია – სიტყვის ამ მნიშვნელობით. აი, ასეთი ფსიქოლოგიური ხრიკია. მეტიც, აქ კიდევ ერთი პრობლემაა, რომელზეც მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო.

ფაქტობრივად ვთქვით, რომ ფორმა, ტექსტი არის ისეთი რამ, რაც უნდა აიგოს, რომ ჩემში კონსტრუქციულად წარმოშვას გარკვეული გაგება, იმიტომ, რომ ეს გაგება ბუნებრივი ფსიქოლოგიური გზით ვერ გაჩნდება. კერძოდ, გაგების ამგვარი მდგომარეობის წარმოქმნას ემსახურება ლიტერატურული ტექსტები, ან ცხოვრების ტექსტი. მაგალითად, ქრისტეს სახე და ცხოვრება არის ტექსტი, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია (ან არ შეგვიძლია) წავიკითხოთ ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილება. ტექსტი გარკვეულმა ლოგოსმა მოაწესრიგა, რომლის სივრცეშიც მოვლენებს გააზრებული და გამართული და არა დაბნეული და გაფანტული სახე ენიჭება (ზოგჯერ რელიგიურ მეტაფორიკას შეუძლია დაგვეხმაროს ჩვენი ცხოვრების და ჩვენი ცნობიერების მოწყობის კანონზომიერებებში გასარკვევად.) ამგვარად, ყველაფერი ეს, ფაქტობრივად, შემდეგს ნიშნავს: რაღაც წარმოიქმნება ჩვენში (რაღაც – ჩვენი გაგება) არა შემთხვევით ჩვენი, როგორც ფსიქოლოგიური არსებების მიერ, არამედ გარკვეული კანონზომიერების წყალობით – ფორმის წყალობით. ვთქვათ, იდეა ფორმის წყალობით არსებობს. და აი, პრუსტი წერს სენ-ლუზე – და ახლა ყველა ეს საგანი ერთმანეთთან უნდა დავაკავშიროთ: „...ყველაფერი, რაც არ უნდა გაეგო რახილის შესახებ (ანუ მარსელს რომ მისთვის ეთქვა: მომისმინე, რახილი საროსკიპოში ვნახე, ოც ფრანკად ყიდდა სხეულს; მაგრამ მთელი ხრიკი ის არის, რომ სენ-ლუმ ეს ყველაფერი ვერ აღიქვა, ეს ცოდნა მისთვის არ არსებობდა; მთელ ამ ცნობებს – „შეიძლებოდა გაეგო“ – ცოდნა ვუწო-

დოთ და მინდა ახლა გაჩვენოთ, რომ ცოდნა ერთ-ერთი იმ საგანთა-განია, რომელიც ამ წერტილში, ამ სივრცეში არ აღწევს; ამიტომაც ჩვენთვის სივრცის ეს წერტილი იქნება მნიშვნელოვანი, მისი თავი-სებურებები უნდა აღვწეროთ, რომ საკუთარ თავს გავუგოთ), – ვერ აიძულებდა, რომ იმ გზიდან გადაეხვია, რომელზეც იდგა და რო-მელზეც ეს სახე (რახილის სახე) ოცნებების სახით ეცხადებოდა, ოცნებების, რომლებიც მის გონებაში იბადებოდა"[16]. აი, ეს გახლავთ მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური დეტალი პრუსტის ტექსტის ჩვენე-ული ანალიზის მთელ მანძილზე. ჭეშმარიტება, თითქოსდა, არსე-ბობს; პრუსტი ამბობს: მისთვის რომ ეთქვათ, ანუ თუკი მას გარკ-ვეული ცოდნის სახით ამცნობდნენ ამას, – „იმ გზიდან აღარ გადა-ახვევინებდა, რომელზეც ეს სახე მის მიერვე წარმოსახული ოცნე-ბების საბურველში გახვეული წარმოუდგებოდა".

[16] C.G. – გვ. 160.

ლექცია 3

მინდა ერთგვარი გაფრთხილებით დავიწყო. უპირველესად, ეს სტილს ეხება – არა ჩემი ლექციების, არამედ ქცევის და აზროვნების სტილს, რომლის გამოკვეთასაც ვცდილობ. ალბათ, უკვე მიხვდით, რომ ჩემი ამოცანაა არა ლიტერატურული სამშვენისების აღწერა, არამედ ადამიანის აზროვნების სტილის გამოვლენა, იმ ადამიანის, რომელმაც ჩაატარა ცდა. მისი შეგრძნება, თავისი ბუნებით, არ განსხვავდება იმისგან, რისი შეგრძნებაც ჩვენ შეგვიძლია. უბრალოდ, ჩვენ შეიძლება განვიცადოთ და ვერ გავიგოთ, სხვა ადამიანმა კი გაიგო და ჩაინიშნა. ამიტომაც, საინტერესოა, მას მივმართოთ. ამ გამოცდილების წიაღში მოქმედებს აზროვნების გარკვეული მეთოდი, რომელზეც მინდა გავამახვილო ყურადღება. აზროვნების ამგვარი მეთოდი იმის ნაწილია, რა ფიგურას, რა ნახატს ან რა კონტურსაც იღებს ადამიანის ცხოვრება, რომელიც ამ ხედვას ეზიარა. თვით ეს ხედვა გარკვეულწილად ცვლის ცხოვრებას, ბედისწერას. მოგვიანებით იმაზეც ვისაუბრებთ, რომ თვით ბედისწერის შეგრძნება და ბედისწერის წარმოდგენა ჩვენი ცნობიერი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტებია. დასაწყისისთვის ასე ვიტყვი, ძალიან უხეშად, რომ სწორედ იმდენად ვართ ადამიანები, რამდენადაც ბედისწერის შვილები ვართ. ანუ, თუკი ბედისწერაში ვცხოვრობთ, მაშინ – ადამიანები ვართ და, თუკი ბედისწერის მიღმა ვცხოვრობთ, და ხშირ შემთხვევაში ეს ასეც არის, მაშინ – ნახევრად ცხოველები ვართ; ან, როგორც პრუსტი ამბობდა, demi esprits[1], ანუ ნახევრად სულიერები ვართ. ყველაფერი გვაქვს – აზროვნებაც, გრძნობებიც, მაგრამ ეს ყველაფერი ნაწილობრივ გაგვაჩნია. მაშასადამე, როდესაც აზროვნების ასეთ სტილზე ვსაუბრობ, ვცდილობ, ამ სტილის ძირითადი ღერძი გაგრძნობინოთ. კერძოდ: სამყაროს, მასში მიმდინარე მოვლენების ისეთი ხედვა, რომ საგნები თვითკმარ დეტალებად კი

[1] T.R. – გვ. 894.

არ აღვიქვათ (რასაც პრუსტი დეტალებს უწოდებს), არამედ დავინახოთ ის, რასაც ფიგურის ან კანონზომიერების ელემენტად აღვიქვამთ; ელემენტი, რომელიც ტელესკოპს მოითხოვს. შემთხვევით არ დამისახელებია მაგალითი ჩემს თანაკურსელზე: ის ვერ ხედავდა უპოვარ ბიჭს, – ეს, მართალია, უმნიშვნელო ფაქტია, – რომელსაც ყველანი ვხედავთ. პრობლემა ისაა, რომ ამ ფაქტის მიღმა არსებითი კანონზომიერება დავინახოთ. არა მხოლოდ შემთხვევითობა – აღვიქვი-არ აღმიქვამს, ასეთი შემთხვევა ათასობით, მილიონობითაა... ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ ამ დეტალებს, წვრილმანებს მიღმა არის რაღაც და თვით დეტალიც არ არის თვითკმარი, თავისთავადი საგანი – სახის გამომეტყველება, ცის ფერი, არამედ რაღაცის ელემენტია. და დეტალის მიღმა სხვა რამის დანახვა არის კიდეც ის, რასაც პრუსტი ტელესკოპს უწოდებდა. არა მიკროსკოპით დათვალიერება, რასაც, როგორც წესი, მიაწერდნენ პრუსტს, არამედ ტელესკოპით იმის მოახლოვება, რაც სინამდვილეში დიდია, მაგრამ, უბრალოდ, ჩვენი სულიერი დაშორების გამო, – იმიტომ, რომ ფიზიკური მანძილის გარდა (და ამაშია პრუსტის სიღრმისეული შეგრძნების უნარი), არსებობს სულიერი მანძილიც, და ეს მანძილები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ, პრუსტის თქმით, შეიძლება შეყვარებულს ეხუტებოდე და ამავე დროს, მისგან ისე შორს გრძნობდე თავს, თითქოს ის ყველაზე შორეულ ვარსკვლავზე – სირიუსზე იყოს.[2] და საგნები ჩვენს წინაშე წარმოჩნდება არა ფიზიკურ, არამედ სულიერ, ან სამშვინველისეულ მანძილზე. დიდ მანძილზე – ის, რაც მცირე გვეჩვენება, სინამდვილეში შეიძლება ერთი დიდი ვარსკვლავი, თანავარსკვლავედი ან ფიგურა იყოს. ანუ ეს დეტალები ფიგურების ელემენტებია, ფიგურა კი შეიძლება იყოს უზარმაზარი; მოგვიანებით შევეცდები გაჩვენოთ, რომ ეს ფიგურები, საერთოდ, სრულიად სხვა სივრცესა და სხვა დროშია, რომლებიც ჩვენი ინდივიდუალური ცხოვრების სივრცესა და დროს არ ემთხვევა და ბევრად აღემატება მათ (ჩვენი ინდივიდუალური ცხოვრება კი ბედისწერის ხაზების მიხედვით მოძრაობს, სწორედ იმ ხაზების მიხედვით, რომლებიც ამ სივრცეების და დროის ხაზებია). და ამის შემდეგ მათ კონფიგურაციულ სივრცეებს, ანუ ფიგურების სივრცეებს ვუწოდებ. და ამიტომაც, როცა ვამბობ „ფიგურა“, იგულისხმება – სახე, მეტყველების ნაწილი,

[2] იხ.: J.R. – გვ. 529; S.B. – გვ. 170.

უბრალოდ, მნიშვნელობის განსამარტავად. მაგრამ, მეორე მხრივ, მას, როგორც ტერმინს, ან პროფესიონალების სიტყვით რომ ვთქვათ, როგორც ცნებას, ჩემთვის გარკვეული შინაარსის მქონე მნიშვნელობა აქვს. სიტყვა „ცნებამ“ არ შეგაშინოთ, ამაში საშიში არაფერია. მართალია, ვაზროვნებთ, მაგრამ უნდა შეგახსენოთ, რომ ფიქრში გამოცდილი ადამიანები, – მაგალითად, გოეთე, რომლის ციტირებაც მინდა, ამბობდა, რომ ნებისმიერი აზროვნება ვერ წაადგება აზროვნებას[3], ანუ აზროვნება რაღაც სხვა გზით ხდება და ამიტომაც ნებისმიერ აზროვნებას არ შეუძლია წაადგეს აზროვნებას. კიდევ სხვაგვარი აზროვნებაც უნდა არსებობდეს. და ცხოვრებაში თვით ცხოვრების მიერ დაკანონებული ამ განსხვავებული აზროვნების გაგებას შევეცდებით.

ასე, მაგალითად, მინდოდა გამეფრთხილებინეთ: როდესაც რომელიმე მოვლენას, რომელიმე დეტალს ვასახელებ – არა თავისთავადი თვისების, არამედ ფიგურების ელემენტების სახით, – ამ დროს გარკვეული მაგალითებით ვსარგებლობ. ხელმისაწვდომი მაგალითები უნდა გამოვიყენო, ანუ არა სირთულის მიხედვით ხელმისაწვდომი, არამედ უბრალოდ ისეთები, რომლებიც იმ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეფუძნება, რაც თითოეული ჩვენგანისთვის ახლობელია. და ამაში არის კანონზომიერება. მე უნდა მოვიხმო მაგალითები, ვინაიდან ასეა აგებული ჩვენი ენა და ის გვაიძულებს, რომ გარკვეული გზით ვიაროთ. თუკი ადამიანს რაიმე საქმიანის თქმა უნდა, მაგალითების მოხმობაა საჭირო, რადგანაც ფიგურები ელემენტების, დეტალების გარეშე არ არსებობს. ეს, ასე ვთქვათ, ადამიანური ენის კანონია. სიტყვა „ადამიანურს“, ასევე, ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. რა გაგებით? მოგეხსენებათ, როცა ადამიანურ ენაზე ვსაუბრობ, არ შემიძლია, მოვიტყუო, არ შემიძლია, მინიშნებებით ვილაპარაკო. სწორედ ამას ეხება ჩემი გაფრთხილება. ვიმეორებ, ჩვენს ენას აქვს კანონები. მაგალითად, ჩვენს ენაში ყველაფერი ჩვენ გვეკუთვნის. ყველაფერი, რაც ადამიანის შექმნილია, ჩვენი საკუთრებაა და თუკი პასტერნაკის სიტყვებს ვიყენებ, არა იმიტომ, რომ უკანონო ქმედების ჩადენა მინდა. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ენა მაიძულებს. სხვაგვარად გამოხატვა შეუძლებელია, – თუკი ენის, ადამიანური ენის კანონებს იცავ. ყველაფერი, რაც სამყაროში შექ-

[3] იხ.: Valeri P. Euvres. T. I. Discours en l'honneur du Goethe, გვ. 542.

მნილა, ჩვენ გვეკუთვნის და შეგვიძლია ყველა მათგანი გამოვიყენოთ. ამიტომაც, ამის საპირისპიროდ, თუკი რაიმე მაგალითს მოვიხმობ, ნუ იფიქრებთ, რომ ამით რაიმე ანტიმილიციურ აქტს ჩავდივარ. თავის დროზე, იმის გასარკვევად, თუ რა არის ადამიანური ენა, მე-19 საუკუნის საკმაოდ ცნობილმა პუბლიცისტმა ვარფოლომეი ზაიცევმა (მცირერიცხოვან რუს ემიგრანტთაგანი გახლდათ, რომელიც დაახლოებით 80-იან წლებში ჟენევაში გამოსცემდა გაზეთს, აღარ მახსოვს, რა ერქვა. ჰოდა, ძალიან მწარე პამფლეტებს წერდა; როგორც პამფლეტისტი, მართლაც, ნამდვილად გესლიანი ვინმე იყო) შესანიშნავი პამფლეტი დაწერა, სახელწოდებით „ძაღლის კუდის გამო, ანუ რუსული პრესის ხასიათის შესახებ". ზაიცევი ამბობს, სეისმოგრაფის (სეისმოგრაფიული ჩანაწერის) საშუალებით რომ აღვრიცხოთ პატრონის წინაშე ძაღლის კუდის ქიცინი, მიღებული დიაგრამა აბსოლუტურად ემსგავსება იმ ენას, რომელსაც რუსული პრესა იყენებს. მაგრამ ამისგან განსხვავებით, ჩვენ ვცდილობთ, ადამიანურ ენაზე ვისაუბროთ უბრალოდ იმიტომ, რომ ასეთია კულტურის ბუნება, ასეთია კულტურის კანონი. და ვინაიდან ასეთია კანონი, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კულტურის ნაყოფი ვინმეს გასახარად ან გულგასატეხად მწიფდება. ის თავისი კანონების მიხედვით მწიფდება. შესაბამისად, ვიმეორებ, აქედან ნუ დაასკვნით, რომ, თითქოს, საგანგებოდ გადავწყვიტე ქუჩაში მოძრაობის წესების ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა ან ჯიბიდან ვიღერებ მუშტს. უბრალოდ, მეტყველების კანონებს ვემორჩილები, იმ კანონებს, რომელთა მიხედვითაც იგება კულტურა. და აქ კიდევ ერთი არსებითი საკითხია (რომელიც პრუსტთან დაკავშირებით გვჭირდება). საქმე ისაა, რომ, როდესაც რაიმე გარეგანის შესახებ ვსაუბრობთ, – ვთქვათ, ვამბობ „ძაღლის ენა" და მე-19-მე-20 საუკუნეების რუსულ პრესას ვგულისხმობ, – ისევ და ისევ უნდა გაიგოთ, რომ ეს ფიგურის ელემენტებია. ფიგურის ელემენტების, ანუ ისეთი რამის დასანახავად, რაც უბრალოდ კარგი ან საზიანო კი არ არის, არამედ ფიგურის ელემენტებია, საკუთარ თავში უნდა ჩავიხედოთ. ასე ყალიბდება ადამიანის მეტყველება, რამეთუ ჩვენ მარადიულნი ვართ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუკი საკუთარ თავში არ ვიყურებით, ჩვენს არსებაში მარადიულად იქნება ყოველგვარი ნაგავი, ვინაიდან ის ჩვენი გრძნობების მატერიით იკვებება, ჩვენგან მომდინარეობს. შემდეგ ის ჩანაცვლდება. დღეს ერთი უმსგავსობა იქნება, ხვალ – მეორე. ამიტომაც

თავისთავად უმსგავსობას მნიშვნელობა არ აქვს. თუკი მას გონებაში „გვიჭედავენ“ და საკუთარ თავში არ ვიყურებით, სხვა უმსგავსობებიც წარმოიქმნება. ისინი თავისთავად არასაინტერესოა. სხვების გაკიცხვა არ არის საჭირო, საკუთარ თავში უნდა ჩავიხედოთ, და ისევ და ისევ – ეს ყველაფერი ენის კანონების შესაბამისად უნდა გავაკეთოთ, რომელსაც ეფუძნება ნებისმიერი კულტურული აქტი, ნებისმიერი აქტი კულტურაში. ეს იმასაც ნიშნავს (რასაც ახლა ვიტყვი, პრუსტისეული თემაა), როგორც წინათ გითხარით, რომ სიმამაცეა საჭირო (ოღონდ არა მილიციის წინაშე. არ უნდა გვეშინოდეს მილიციის, რადგან მასზე საშიში რამეებიც არსებობს – დღეს მილიციაა, ხვალ პოლიცია, ზეგ კიდევ სხვა სახელი დაერქმევა; ვთქვი, რომ ეს ყველაფერი ისევ და ისევ წარმოიქმნება, განმეორდება, თავისთავად ეს ყველაფერი არასაინტერესოა), – საკუთარ თავში უნდა ვიპოვოთ სიმამაცე, ჩვენ ხომ სიმართლის დანახვა გვაშინებს. პრუსტი ამბობს: მე დეტალებს კი არ განვიხილავ, რადიოგრაფიით ვარ დაკავებული (მაპატიეთ, რუსულ მეტყველებაში გალიციზმი დავუშვი, უნდა მეთქვა – რენტგენოსკოპიით ვარ დაკავებული)[4]. მაგალითად, ვხედავ გლუვ, ხავერდოვან ქალის მუცელს, მაგრამ, თუკი ვიცი, რომ ეს ქალი კიბოთია დაავადებული და ამ მუცელში კიბოს სიმსივნე იმალება (გლუვი ზედაპირის ქვეშ), ვერაფერს ვიზამ: კიბოს სიმსივნეს ვხედავ. პრუსტი ამბობს, რომ ამ გაგებით რენტგენოსკოპია მაქვსო. საკმაოდ რთული საქმიანობაა; პირობითად მას „სისასტიკის ფილოსოფიას“ ვუწოდებ.

პრუსტს, ისევე როგორც ნებისმიერ ადამიანს, რომელმაც ინტენსიური სულიერი ცხოვრება განვლო, აქვს ფილოსოფია და ამ ფილოსოფიას შეგვიძლია სისასტიკის ფილოსოფია ვუწოდოთ. ერთ მაგალითს მოვიხმობ, რომელიც თავისი შინაარსით, შესაძლოა, თქვენთვის უფრო ახლოს იყოს, ვინაიდან ის თეატრის სფეროს განეკუთვნება, თუმცა, ავტორი ნაკლებად ცნობილია და მისი სპექტაკლები არ იდგმებოდა (მგონი, თვით ფრანგებისთვისაც მაინცდამაინც ცნობილი არ არის); ფრანგ მსახიობს, რეჟისორს და თეატრის თეორეტიკოს ანტონენ არტოს ვგულისხმობ, რომელმაც თავის თეატრს „სისასტიკის თეატრი“ უწოდა. სწორედ ამასთან ანალოგიით შეგიძლიათ გაიგოთ სიტყვათშეთანხმება „სისასტიკის ფილოსოფია“. ეს

[4] T.R. – გვ. 718 – 719; C.G. – გვ. 548.

დაახლოებით ასე ჟღერს (პრუსტისეული ვერსია ერთ-ერთი ყველაზე უწყინარია, იმიტომ, რომ არსებობს გაცილებით უფრო სასტიკი ვერსიები): საკუთარი შიშის და რისკის ფასად, შთაბეჭდილებებიდან უნდა გამოვიტანოთ ჭეშმარიტება, ანუ გამოვიტანოთ ფიგურა; ჩვენს ენაზე გადატანისთვის უნდა ვიქონიოთ სიმამაცე და ფრაზის: „ის ძალიან სასიამოვნო ქალია“ ნაცვლად, უნდა ვთქვათ: „იმ ქალის კოცნამ სიამოვნება მომანიჭა“.[5] ყველაზე ხშირად სწორედ ასეა. ის ქალი კი არ არის სასიამოვნო, არამედ, უბრალოდ, მისმა კოცნამ მომანიჭა სიამოვნება. ესაა და ეს. რამდენად ხშირად შეგვიძლია ამის თქმა საკუთარი თავისთვის? მართალია, ხშირ შემთხვევაში ასეა, მაგრამ ყველაზე იშვიათად ვბედავთ საკუთარი თავისთვის ამის გამხელას, ვინაიდან საკუთარ წარმოსახვაში ამ სასიამოვნო ქალთან მთელ რომანს ვაგებთ. ამ პასაჟს უბრალო ციტატით დავასრულებ. ისე მოხდა, რომ პრუსტი ერთ-ერთ ლიტერატურის კრიტიკოსს – კურციუსს სწერდა (კურციუსი პრუსტის შემოქმედებას იკვლევდა და მის ანალიზს ცდილობდა): „...პოლიტიკა არაფერში გვარგებს“. მართლაც, ეს ფრაზა, პრუსტისავე სიტყვებით, უკვე ტექსტობრივად ამტკიცებს, რასაც აქამდე ვამბობდი, ვინაიდან მთელი ჩემი გაფრთხილება იქამდე დაიყვანებოდა, რომ პოლიტიკა არაფერში გვარგებს, იმ გაგებით, რომ არსებობს თვით პოლიტიკაზე უფრო სერიოზული რამეები, რომლებსაც დიდი პოლიტიკური შედეგები მოჰყვება. ჩვენ ლიტერატურას ვიხილავთ. პრუსტი პირდაპირ წერს: „პოლიტიკაზე მსჯელობა არაფერს მოგვიტანს“. ანუ აქ თავისთავად უაზრო და მარად განმეორებადი დეტალები ან სიმახინჯეები იგულისხმება. ჩვენი საქმეა ლიტერატურა. „ლიტერატურა“ ამ შემთხვევაში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. ლიტერატურა – ეს არის საქმიანობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი წიგნებს წერს. პრუსტთან ლიტერატურა, ანუ ლიტერატურული აქტი, სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბების ნაწილია; იმის გაგების აქტის ჩამოყალიბების ნაწილი, რაც ამქვეყნად ხდება და რაც ამქვეყნად ადამიანის თავს ხდება. პრუსტი ამბობს: „ჩვენი საქმე ლიტერატურაა“, და შემდეგ: „...მართალია, ბევრს შეუძლია გაგვიცხოს, რომ morbo litterario-თი (ავადმყოფური სწრაფვით, ავადმყოფური გრაფომანიით, არ ვიცი, სხვაგვარად როგორ ვთარგმნო)

[5] იხ.: T.R. – გვ. 896.

ვართ დაავადებული, – არა, – ამბობს პრუსტი, – ცუდი ლიტერატურა გვამდაბლებს, დიდი ლიტერატურა კი ყოველთვის გადაგვიხსნის ხოლმე ჩვენი სულის უცნობ ნაწილს“[6]. და აი, ეს ფრაგმენტი გავიხსენე იმის გამო, რომ, შემდეგ ბრწყინვალე ფრაზა მოსდევს: „..არ უნდა შეუშინდე ძალიან შორს წასვლას“. მაგალითად, გვეშინია ვთქვათ „კიბო“; ყოველთვის არსებობს რაღაც წვრილმანი, გარკვეული მიზეზი, რასაც შეგვიძლია ჩავეჭიდოთ, რომ თავიდან ავიცილოთ იმის გაცნობიერება, რომ ეს კიბოა. პრუსტი კი ამბობს: „არასდროს უნდა შეუშინდე ძალიან შორს წასვლას, იმიტომ, რომ ჭეშმარიტება კიდევ უფრო შორსაა“[7]. მართლაც, დაფიქრდით, ვერასდროს მოვახერხებთ ძალიან შორს წასვლას, ვინაიდან ჭეშმარიტება მაინც კიდევ უფრო შორს იქნება.

ასე რომ, მე ამასწინათ შემდეგი აზრი ჩამოვაყალიბე: როდესაც სიყვარულის ილუზიას განვიცდით, ამ განცდის დროს ყველაზე არსებითია იმის გაცნობიერება, თუ სინამდვილეში როგორაა საქმე, რა ხდება; ანუ ის, რაც ჩვენი განცდისგან განსხვავდება, ყველაზე ხშირად ილუზიაა – ნაყოფიერი, მაგრამ მაინც ილუზია. ჰო, მართლა, მინდა წინასწარ აღვნიშნო, რომ სიტყვა „ილუზიას“ ხშირად გამოვიყენებ, მით უმეტეს, რომ პრუსტის რომანი შეგვიძლია ასე განვსაზღვროთ: რომანი უკანასკნელი ილუზიის განადგურებამდე, ანუ რომანი გულისხმობს ისეთი დასრულებული ან არდასრულებული გზის გავლას, რომელიც ყველაზე უკანასკნელი ილუზიის განადგურებამდე მიდის... ილუზია გასაკიცხი სიტყვა არ არის. მაგალითად, ფრანგმა ავტორებმა შესანიშნავად იცოდნენ (იმიტომ, რომ ისინი ყველა სხვაზე უკეთ იკვლევდნენ, ზოგადად, ადამიანის გულს და სულს, სხვებზე მეტი ძალისხმევა დახარჯეს ამაზე და ამ მხრივ, ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს), რომ როდესაც ამბობენ „illiusion amoureuse“ (მაგალითად, ფურიე), სასიყვარულო ილუზია, ამით არ მიუთითებენ, რომ არსებობს სიყვარული და არსებობს ილუზია ან – სიყვარული ილუზიაა. განსაზღვრების თანახმად, ამ გრძნობის არსი ილუზიისადმი მის მიდრეკილებას გულისხმობს. და ამაში, თავისთავად, არაფერია ცუდი, – თუკი ამ ილუზიის საშუალებით გარკვეულ აზრს გამოვიტანთ და იმ გზას გავივლით, რო-

---

[6] იხ.: Centenaire de Marcel Proust – გვ. 74.

[7] Ibid.

მელსაც საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან ან სხვა ადამიანების შინაგან სამყარომდე ან ქვეყნიერების ფაქტობრივ მოწყობამდე მივყავართ (ასე რომ, იმის თქმა: სასიყვარულო ილუზია და სიყვარული – ერთი და იგივეაო, – ტავტოლოგიაა). მაგალითად, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენამდე ნებელობითი და გაცნობიერებული ძალისხმევისგან დამოუკიდებლად, „რაღაც დიდი კანონის ძალით“[8] აღწევს. წინაზე გეუბნებოდით: შეიძლება თუ არა, რომ ნების გაცნობიერებით, თუნდაც როცა ვიცით, რომ ჩვენი განცდა ამაოა, საკუთარი თავი ვაიძულოთ, არ განვიცადოთ... ისიც ვთქვი, რომ თუკი სასიყვარულო პაემანზე ქვემეხიდან ნასროლი ყუმბარასავით მივიჩქარით, ცხოვრების მთელი პრობლემა სწორედაც რომ ის გახლავთ, შეგვიძლია თუ არა შევცვალოთ ჩვენი მდგომარეობა. რასაკვირველია, ის იცვლება, შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ, პრუსტის თანახმად, ეს შესაძლებელია კანონის ძალით და არა ჩემი გაცნობიერებული და ნებელობითი ძალისხმევით. შეგრძნების დაოკებისთვის მხოლოდ სურვილი საკმარისი არ არის. ასეთი რამ შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, პრუსტს ჩვენს მდგომარეობებშიც – და ჩვენს ბედისწერაშიც, ანუ იმაში, რაც გვიწერია – ცვლილებების გარკვეული კატეგორია შემოაქვს, რომელიც ცვლილებების ჩვენთვის ნაცნობ კატეგორიაში არ ხვდება.

ისევ უნდა დავადასტურო, უფრო სწორად, გაგაფრთხილოთ ჩვენი ენის თავისებურებების შესახებ. ვთქვათ, „თვითნებურისგან“ განსხვავებით, მზად ვართ (და ამაში მართალი ვართ) გამოვიყენოთ ტერმინი „არათვითნებური“. მაინც რას ვგულისხმობთ „არათვითნებურში“? ჩვენს რომელიღაც ამორფულ სულიერ მდგომარეობებს, ემოციებს და ა.შ. ზოგიერთი ინტუიციას, წარმავალი შეგრძნებები, გრძნობები, რომლებიც არათვითნებურობით ხასიათდება. მაგრამ აქ ამაზე არ ვსაუბრობთ. პრუსტისთვის და, ზოგადადაც, პრინციპში, სწორედ ამგვარი მდგომარეობები – მათ კისელისებურს, ანუ სტრუქტურის არმქონეს ვუწოდებ (ფრანგებს ამ შემთხვევისთვის კარგი სიტყვა აქვთ – velléité) – არაპროდუქტიულია და მათ სულაც არ უწოდებენ არათვითნებურს. მაგრამ ამ ტერმინს გამოვიყენებ იმიტომ, რომ ჩვენს ენაში სხვა სიტყვა არ გვაქვს. თავისი აზრის ცხადყოფის მიზნით – პრუსტთან (და სხვა ავტორებთანაც) ბევრ ადგილას შეხ-

[8] C.G. – გვ. 160.

ვდებით ასეთ გამოთქმას: „ჩემი ცხოვრება ან მისი ეპიზოდები, ჩემი ცხოვრების მოვლენები, როგორც აღმოჩნდა, ხელოვნებისთვის მასალა იყო“[9]. როგორ გვესმის ეს? ძალიან მარტივად: რაღაც მოვლენა მოხდა და ეს არის მასალა იმ გაგებით, რომ შემიძლია მისი აღწერა, მასზე თხრობა. ამ გაგებით ის (მოვლენა) რომანის მასალად და რომელიღაც სიუჟეტად იქცევა. მაგრამ საუბარი ამაზე არ გახლავთ. ზუსტად ისევე, როგორც არათვითნებური რაღაც სხვას აღნიშნავს, ვიდრე სიტყვა „არათვითნებური“, ასევეა სიტყვა „ხელოვნების მასალაც“; ისიც დაკავშირებულია არათვითნებურობასთან, – ვთქვათ, ჩემი ცხოვრება, ისევე როგორც თქვენი ცხოვრება, ეპიზოდები, თქვენი ცხოვრებისეული მოვლენები, როგორც მასალა ან მატერია ხელოვნებისთვის არ ნიშნავს იმას, რომ ეს ეპიზოდები არის ის, რის შესახებაც მოყოლა შეიძლება, – ასე, რომ, სიტყვა „მატერიას“, ამ შემთხვევაში, პირდაპირი, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა აქვს. მისი მოხელთება ძნელია. მატერია ხელოვნებისთვის – ამ სიტყვის სრულიად პირდაპირი გაგებით. არა აღსაწერი სიუჟეტი ან საგანი, არამედ თვით ხელოვნების ნიმუშის მატერია, მისი სხეული. ახლა მხოლოდ გაფრთხილებთ ამის შესახებ, რადგანაც უცბად ამ საკითხის გაშლა და გაგება რთულია. უბრალოდ, მინდა თქვენი ყურადღება თვით ენაში სიტყვების გამოყენების სირთულეზე მივაპყრო – სიტყვის გაგონებისას, არ უნდა ავჩქარდეთ და არ უნდა გავიგოთ ის იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ჩვეულებრივ გააჩნია. ამ მნიშვნელობას მას ვერ წავართმევთ და, სამწუხაროდ, იმ სიტყვებით უნდა ვისარგებლოთ, რომელთა მნიშვნელობასაც ვერ გავაუქმებთ. მაგრამ შეგვიძლია მათგან ისეთი კომპოზიცია გავაკეთოთ, რომელიც მნიშვნელობის თვალსაზრისით, ჩვენს გონებაში გარდაუვლად წარმოქმნილ ასოციაციას გაანეიტრალებს. სხვა ენა არ გაგვაჩნია. სიყვარულთან დაახლოებულ ენაზე რომ ვთარგმნოთ (და ჩვენც სულ სიყვარულს ვუტრიალებთ, რადგანაც სიყვარული პრუსტის და იმ რომანის, რომელზეც ვსაუბრობთ მთავარი სიუჟეტია), ოდნავ განსხვავებულად გამოვხატავ იმას, რაც ენის შესახებ ვთქვი და ამისთვის ფრანსუა ვიიონის ცნობილ ფრაზას მოვიხმობ, რომელიც პრინცისადმი საბოდიშო მიმართვაა; ეს ფრაზა ასე ჟღერს: „Prince, on a

[9] T.R. – გვ. 909.

les amours qu'on a"[10]. (სამწუხაროდ, რუსულ ენაში სიტყვა „სიყვარულს" არ აქვს მრავლობითი რიცხვი, რაც არა მარტო ენის სათანადო განვითარების უქონლობაზე, არამედ გრძნობების სათანადო განვითარების უქონლობაზეც მიუთითებს, რაც ენაში ვლინდება). მოდით, ასე ვთარგმნოთ: „პრინცო, ჩვენ ის სიყვარულები გვაქვს, რაც გვაქვს" (და შემდეგ ვიიონი უმატებს: „მაპატიეთ მცირედის გამო"). On è les mots qu'on a ჩვენც ის სიტყვები გვაქვს, რომლებიც გვაქვს. სხვა არ გაგვაჩნია.

ის ცვლილება, რომელზეც პრუსტი საუბრობს, ანუ ის ცვლილება, რომელიც ჩვენი მდგომარეობის ცვლილების შედეგად ხდება, გარკვეული კანონის წყალობით ხდება და ჩემი მოქმედებიდან არ გამომდინარეობს. ანუ ჩემში უნდა მომწიფდეს რაღაც კანონი, რომ თვით ჩემი ან ჩემს მიერ გაცნობიერებული და თვითნებური ძალისხმევის მიუხედავადაც კი შეცვალოს ჩემი მდგომარეობა. ფაქტობრივად, პრუსტს იმის თქმა უნდა, რომ ეს რაღაც, რომელიც ამგვარ ცვლილებას იწვევს, ორგანოს მსგავსად ფუნქციონირებს, ნებისა და ცნობიერებისგან განსხვავებით (ამ ჩიბუხის დასანახავად, მე ხომ არ მჭირდება, რომ ცნობიერების და ნების ძალისხმევით მოვაწყო მხედველობის აქტი; თვალიმხედველობის ორგანოს საშუალებით, აღიქვამს იმას, რასაც ვხედავ; ეს ხომ ნათელია, არა?) და აქ, სიღრმეში, იმალება პრობლემა, რომ პრუსტისთვის – ის, რასაც ხელოვნების ნიმუში ან ტექსტი ეწოდება (გახსოვთ, სიტყვა „ტექსტს" ვიყენებდი), ცოდნა არ არის. ვთქვათ, სენ-ლუს შეიძლება გადავცეთ იმის ცოდნა, რომ მისი შეყვარებული რახილი საკუთარ სხეულს საროსკიპოში ოც ფრანკად ყიდდა. მაგრამ გაფრთხილებდით, რომ ეს ცოდნა არ არის შეტყობინება და სენ-ლუს გონებისთვის ვერშეტყობინებადია. ეს ცოდნა მის თავში ვერ შევა. მას არ შეუძლია, შეცვალოს საკუთარი დამოკიდებულება რახილის მიმართ. მან ხომ იცის, რომ რახილი ოცფრანკიანი მეძავია (თუკი შევატყობინებთ ამას) და ამ ცოდნის საშუალებით მას არაფრის შეცვლა არ შეუძლია. უფრო მეტიც, იმის ცოდნასა, რომლის თანახმადაც რახილი ოცფრანკიანი მეძავია, და მის მიმართ დამოკიდებულების შეცვლის რეზულტატს (რაც არ ხდება) შორის ის უზარმაზარი სივრცე, უზარმაზარი სამ-

[10] Villon. Euvres poétiques. Ballade de la belle Heaumière. Garnier – Flammarion, Paris, 1965.

ყარო დგას, რასაც, შეგვიძლია ფსიქოლოგიური დამუშავება ვუწოდოთ. ცოდნის ფაქტმა, რომელიც სრულიად უცხოა სენ-ლუსთვის, – ის, რომ რახილი ოც ფრანკად საროსკიპოში სხეულს ყიდდა, – მისთვის შეიძლება (დამუშავების გზით) სრულიად განსაკუთრებული, საიდუმლო მნიშვნელობა და მხოლოდ მისთვის მისაწვდომი შინაგანი, უნიკალური ხიბლი შეიძინოს. პრუსტი ამბობს, რომ ამქვეყნად არ არსებობს ყველაზე საზიზღარი არსებაც კი, რომელიც ერთი ვინმესთვის მაინც არ იყოს „ყველაზე მგრძნობიარე სინაზის და მომხიბვლელობის ნიშნით აღბეჭდილი“[11]. მეტიც, სენ-ლუ შეიძლება განსაკუთრებული სიამაყითაც კი აღივსოს – ნახეთ, ესენი როგორ ფიქრობენ, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ რახილი მშვენიერია... – გეცნობათ, რაზეც ეხლა ვლაპარაკობ? მას შინაგანი ცოდნის, აბსოლუტური შარმის განსაკუთრებული პრეროგატივაც კი ექნება, იმისა, რაც ყველაფრის მიუხედავად იცის. ყველა ხედავს გარეგნულს, მათ არ იციან და არც ესმით რახილის. ისინი გონებრივი წარმოდგენების და ილუზიების სამყაროში ცხოვრობენ, მე კი ვიცი, გარკვეული შინაგანი, განსაკუთრებული ცოდნის, იდუმალი ხიბლის წყალობით. დაახლოებით ისე, როგორც მუზილის ერთ-ერთი ნოველის გმირი იჯერებს უმანკო ორსულობის შესაძლებლობას[12] (მართლაც, ამჟამად რწმენის აქტს ვუტრიალებთ. როდესაც ამგვარი შინაგანი აქტის განხორციელება შესაძლებელია, მაშინ უმანკო ორსულობის დაჯერებაც შეიძლება, თუმცა, აქ ტერმინებს შორის წინააღმდეგობაა.) მაშასადამე, სწორედ ის, რასაც შეჯამების სახით და ჯერ კიდევ გაურკვევლად ვუწოდებთ ტექსტს, არის კიდეც რაღაც – უკვე გამოვიყენე სიტყვა „ორგანო“, – რაც იწვევს და რასაც შეუძლია ცვლილებების გამოწვევა, რომლებიც სხვაგვარად ჩვენი ძალისხმევისთვის მიუწვდომელია. და აქ პირდაპირ მივადგებით, ზოგადად, რთულ საკითხს, რომელმაც სხვა გზით უნდა მიგვიყვანოს შეპირებულ თემამდე – თემამდე, რომელსაც სულ გპირდებით და ჯერ ვერასგზით ვერ მივუახლოვდი. კერძოდ კი: ცხოვრებისეული შრომის თემა. მოვიხმობ მაგალითს, რომ განგიმარტოთ, რისი თქმაც მინდა. ჩვენ საკუთარი ცნობიერების, ფსიქოლოგიური ცხოვრების ისეთი კანონის წინაშე აღმოვჩნდებით, რომლის თანახმადაც ლოგოს-

[11] C.G. – გვ. 283.

[12] იხ.: R. Musil. Ausgewählte Prosa. Moskaw: Verlag Progress, 1980, გვ. 84.

ში (იმედი მაქვს, გახსოვთ, რა არის ლოგოსი) კონცენტრირდება გარკვეული ნაკრების მნიშვნელობა. აი, მაგალითად, არსებობს უამრავი საგანი, რომელიც პრინციპში ამა თუ იმ საქმეს ეხება და ყველაფერი ის, რაც საქმისთვის მნიშვნელოვანია, არის კიდეც „შეკრება“, რომელსაც ლოგოსი ეწოდება (ბერძნულ ენაში თვით სიტყვა „ლოგოსი“, რომელიც „ლეგეინ“-იდან მომდინარეობს, ამგვარი ეტიმოლოგიური მნიშვნელობის მატარებელია). ყველაფერი, რაც საქმეს ეხება, არა მხოლოდ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგოსში. ლოგოსი, როგორც გითხარით, ცალკე ნაკრების არც ერთ წევრში არ არის, ლოგოსი ცალკე მოცემული არ არსებობს, ლოგოსი არის ის, რაც მთელ ნაკრებს მნიშვნელობას ანიჭებს და ის, შესაბამისად, ვერ იქნება ნაკრების ერთ წევრში. ლოგოსის ყველა წევრი სიტყვებითაა აღნიშნული, მათ დასახელება აქვთ. და აქ ერთ უცნაურ კანონს მივადგებით, რომელსაც პრუსტი არაერთხელ უბრუნდებოდა. ის დაახლოებით ასე ამბობდა... ფაქტობრივად, ამ კანონის ამსახველი მასალა უკვე წარმოვადგინე – მაგალითად, რახილის სახე; მე ვთქვი, რომ ის ერთნაირად მისაწვდომია სენ-ლუსთვისაც და მარსელისთვისაც; ორივესთვის ერთნაირად მისაწვდომია რახილის სახე, როგორც პრუსტი ამბობს, „ზოგადი აქტების“ აზრით ანუ ის, რასაც ეწოდება „ცხვირი“, „თვალები“, „ლოყები“, „ტუჩები“, „სახის გამომეტყველება“ და ა.შ., – როგორც საერთო, როგორც ის, რაც შეიძლება იყოს რახილის, ფრანსუაზას და უამრავი სხვა ადამიანის სახეებზე. მოცინარი თვალები შეიძლება ერთის სახეზეც იყოს, მეორისაზეც და მეათასისაზეც. ეს ყველაფერი ხომ თითოეული ჩვენგანისთვის გასაგებია და მას სახელს ვარქმევთ. ეს არის მისაწვდომობა ზოგადი აქტების აზრით, ანუ ისეთების, როგორიც სხვებსაც აქვთ. უკვე მოვიხმე ეს ციტატა, მაგრამ შემიძლია გავიმეორო: „*ეს სახე, თავისი მზერებით, ღიმილებით, პირის მოძრაობებით, მნიშვნელოვანი მომეჩვენა მხოლოდ ზოგადი აქტების აზრით, ყოველივე ინდივიდუალურის გარეშე* (აქ შემოგვეპარება ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვა „ინდივიდუალური“, თუმცა, უცნაურია – ის ჩვენი მეტყველების კანონებს არღვევს, რადგან, როდესაც ვამბობთ სიტყვას „ცხვირი“, ჩვენ ზოგადსაც კი ვაინდივიდუალურებთ). *და არ შემეძლო, ინტერესი გამომეჩინა, რომ მათ მიღმა პერსონა მეძებნა*“.[13] სხვაგან პრუსტი, იგივე

[13] C.G. – გვ. 159.

აზრს უარყოფითი მხრიდან, სწორედ იმ მხრიდან უყურებს, რომელიც ახლა ჩემთვის მნიშვნელოვანია და ასე ამბობს: „...ჩვენი იდეების კოლექციაში („იდეები", ამ შემთხვევაში, ვუწოდოთ, უბრალოდ, ზოგად ცნებებს, სახელებს – „ცხვირი", „თვალები", „სახე" და ა.შ., ან ჩვენს წარმოდგენას სილამაზეზე, საინტერესო აზრზე და ა.შ. – ესეც იდეებია) არც ერთია ისეთი, რომელიც ინდივიდუალური შთაბეჭდილების შესაბამისი იქნებოდა"[14]. უკვე ვთქვი, რომ არსებობს პრობლემა ორგანოსი, რომელიც წარმოქმნის – მე კი არ წარმოვქმნი, თვალი ხედავს მე კი არ ვხედავ; და ორგანოს პრობლემა – მე ასე ვიტყოდი, არის იმის ლოგოსის პრობლემა, რაც ლოგოსის გარეშე განცალებულია. არსებობს თვალები ლოგოსში ან ცხვირი ლოგოსში, ან არსებობს სახის გამომეტყველება, ღიმილი ზოგადი აქტების გაგებით და ეს ყველაფერი ლოგოსის გარეშეა. ლოგოსი არის იმის ლოგოსი, რაც ლოგოსის გარეშე განცალებულია; ლოგოსის გარეშე ყოფნა ნიშნავს ზოგად აქტებს, რომელთა მიღმაც არ გაგვაჩნია „ცნობისმოყვარეობა პიროვნების ძიებისათვის". ამ ყველაფერში არაფერი არ არის – ზოგად აქტებში ან სახელდებებში, – რაც ინდივიდუალური შთაბეჭდილების შესაბამისი იქნებოდა. ახლა სიცხადისთვის მოვიხმობ მაგალითს. მაგალითად – ცნობილი, უბრალო ფაქტი, რომელსაც ინტუიციის დონეზე უნდა ჩავწვდეთ: არსებობს წყალი „წყლის" ინდივიდის გაგებით და არსებობს ის, რასაც „წყალი" ეწოდება, ინდივიდის გარეშე (ეს საკითხი ფაქიზად დაკავშირებულია იმასთან, რასაც ორგანოს ვუწოდებ). შეგიძლიათ ოკეანიდან ან ზღვიდან წყალი აიღოთ, ჩაასხათ სინჯარაში და იტყვით, რომ მკვდარი წყალი გაქვთ. ეს სხვა წყალია. მისი ელემენტები იგივეა, რაც ზღვის წყლის, აბსოლუტურად იგივე ელემენტები აქვს, და რაღაც იდუმალი გზით წყალი სინჯარაში კვდება. მკვდარი წყალი, ელემენტების მიხედვით, იგივეა, რაც ზღვის წყალი, მაგრამ იგივე წყალი აღარ არის. მათ შორის გარკვეულ სხვაობას სიტყვა „სიცოცხლით" მოვიხსენიებთ. ერთს ცოცხალს ვუწოდებთ, მეორეს – მკვდარს; ან: ერთს ინდივიდს ვუწოდებთ, ვინაიდან – რა არის ზღვის წყალი? ეს არის მილიონობით და მილიარდობით დეტალების შეხამება, ისეთი, რომელიც ნაკლებსავარაუდოა, რომ კიდევ ერთხელ, იმავე სახით შეესაბამონ ერთმანეთს, როგორითაც მოცემუ-

[14] იხ.: C.G. – გვ. 49.

ლია წყალში. ამას ეწოდება კიდეც ინდივიდუალობა. ბევრი ელემენ-ტის, ან გარემოებების, ან, უბრალოდ, ფაქტების შეთანხმება. თუმცა, ცალკე აღებული, ისინი ისევ ის არის, რაც იყო, მაგრამ დამატები-თი ფაქტია ის, რომ ისინი ერთად იყვნენ. ერთად ცხოვრობდნენ... და იძულებული ვართ, ამ ინდივიდს სახელი ვუწოდოთ, რადგან ნაკლებ-სავარაუდოა, რომ ეს მრავლის შეთანხმება კიდევ ერთხელ განმეორ-დეს. მეტიც, ის არამარტო არ განმეორდება კიდევ ერთხელ (და იმიტომაც ეწოდება ინდივიდი, რადგანაც მხოლოდ ერთხელ ხდება), არამედ არსებობს კიდევ ჯამური, შეუღლებული ელემენტების განუ-ყოფელობის ძალა. დასახელებაში არაფერია ისეთი, რომელიც შეგ-ვამზადებს იმისთვის, რომ ინდივიდუალური შთაბეჭდილება აღვიქვათ (ამ შემთხვევაში „წყლის“). როგორც ხედავთ, საკმაოდ რთულად ვიმსჯელე, რომ თქვენთვის უბრალო ფაქტი შემეხსენებინა.

პრუსტთან ხელოვნების ყველა ნაწარმოები წარმოსახვითია, თით-ქოს, ხელოვნების ქმნილების წიაღში, რომელსაც „დაკარგული დროის ძიებაში“ ჰქვია, ისევ ხელოვნების ნაწარმოებები იქმნება, რომლებიც მასშია აღწერილი. რადგანაც პრუსტისთვისაც, და თქვენ-თვისაც და ჩემთვისაც, ჩვენს ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებებში საკმაოდ არსებითი ადგილი უჭირავს ხელოვნებისგან მიღებულსაც და ისინიც იმავე კანონებს ექვემდებარებიან და მათგანაც, ისევე, რო-გორც სხვა შთაბეჭდილებებიდან, შესაძლებელი და აუცილებელია, რომ რაიმე მივიღოთ. ანუ პრუსტისთვის (და ეს არსებითია) ხელოვ-ნებისგან მიღებული შთაბეჭდილებები ცალკე გამოყოფილი კი არ არის, არამედ ჩვენი ცხოვრების ნაწილია და იმ სხვა შთაბეჭდილე-ბების ტოლფასია, რომელთაგანაც საკუთარი ძალისხმევით უნდა მივიღოთ რაიმე, ისევე, როგორც რახილის სახისგან. მაგრამ ყო-ველთვის ამას როდი ვამჩნევთ, ვინაიდან რახილი შეყვარებული სენ-ლუსთვის საბედისწეროდ მნიშვნელოვანია, წიგნი კი, თითქოსდა, არ არის მნიშვნელოვანი, მაგრამ სინამდვილეში ეს გახლავთ ჩვენი ცხოვრებისთვის ისეთივე არსებითი შთაბეჭდილებები და ისევე მო-ითხოვენ რაღაცას, რაც თვით შთაბეჭდილებებში არ არსებობს იმ დონით, რა დონითაც ისინი ზოგად მნიშვნელობებს ემთხვევა. და როდესაც პრუსტი ბერმას სიმღერას აღწერს, მუდმივად იმას ეჯა-ხება (და ამ სირთულეს თვალნათლივ ქმნის და აღწერს), რომ ბერ-

მას სიმღერის, როგორც ლამაზის, აღქმა ძალიან რთულია, ვინაიდან ის, რაც ბერმას სიმღერაა, არ შეესაბამება ზოგად წარმოდგენას იმაზე, რა არის ლამაზი. პრუსტი მუდამ ხაზს უსვამს, რომ სილამაზის შესახებ ზოგად წარმოდგენასა და ინდივიდუალურ შთაბეჭდილებას შორის არავითარი შესაბამისობა არ არსებობს[15]; ისევე, როგორც წყლის დასახელებაში არ არსებობს ისეთი რამ, რაც წყლის სიცოცხლეზე, ანუ წყლის ინდივიდუუმზე მიუთითებს. ამიტომაც ვამბობდი, რომ ლოგოსში, მისი შემადგენელი სახელების ან ზოგადი ფაქტების წარმოდგენების თვალსაზრისით, არაფერია ისეთი, რაც ინდივიდუალური შთაბეჭდილების შესაბამისი იქნებოდა. ლოგოსიდან – სახელებიდან, რომელიც ლოგოსს (ანუ საზრისს) შეადგენს, ვერავითარ ცოდნას ვერ მივიღებთ. მათ არ შეუძლია დაგვეხმარონ. რაში? იმ შთაბეჭდილების გააზრებაში, რომელმაც შეგვძრა, რომელიც თავს დაგვატყდა. მაგალითად, ბერმას სიმღერა ან რახილის სახე. მარსელი რახილის სახეს ზოგადი აქტების თვალსაზრისით უყურებს, ვინაიდან რახილი მისთვის, როგორც მოგახსენეთ, განურჩეველ სივრცეშია. მაგრამ ის ვერც ვერაფერს ხედავს და ვერც რაიმე აზრი გამოაქვს და ეს მოვლენა, რახილთან შეხვედრა, მისთვის ცხოვრებისეული მოვლენა არ არის. ეს მოვლენა არავითარ კონტურში არ ეწერება, რაც შემდგომში მის ცხოვრებისეულ გზად გამოიკვეთება. და აქ კიდევ ერთი დაფარული რამაა, რომელიც მთელ ჩვენს კონსტრუქციას დაანგრევს (შესაძლოა, თქვენთვის მოულოდნელად) და იმავდროულად, გაიძულებთ, რომ სიფრთხილით მიუდგეთ იმ სიტყვებს, რომლებიც გაგვაჩნია. ჩვენ კი მხოლოდ ის სიტყვები გაგვაჩნია, რომლებიც გაგვაჩნია. სულ დასაწყისში ვამბობდი, რომ პრუსტის რომანი გრძნობების აღზრდის რომანია. ახლა კი ძალიან სასაცილო დასკვნა მივიღეთ იმის გამო, რომ მთელ ლოგოსში არაფერია ისეთი, რაც ინდივიდუალური შთაბეჭდილების შესაბამისი იქნებოდა; ანუ იმის შესაბამისი, რაც ინდივიდუალური შთაბეჭდილებიდან შემიძლია დავასკვნა, კერძოდ – რა? რომ „გავნათლდე“. მაგალითად, ბერმას სიმღერის მშვენიერების აღქმის გზით, სილამაზის ჩვენეულ განცდაში „გავნათლდეთ“. ხოლო სიყვარულის კანონებში რომ „გავნათლდეთ“. რახილის სახის ხილვისას მიღებული შთაბეჭდილება უნდა გავშალოთ და გავხსნათ, საინტერესო დასკვნა მივი-

[15] იხ.: C.G. – გვ. 50.

ღეთ, რომ, მართალია, გრძნობების აღზრდაზე ვსაუბრობთ, მაგრამ ისეთ სფეროში აღმოვჩნდით, სადაც არავითარი ნორმა და წესი არ არსებობს; ის, რასაც შთაბეჭდილების შესაბამისობის უქონლობაზე ვამბობდი, სხვა ენაზე, უბრალოდ, იმ სფეროში ყოფნაა, სადაც არც ნორმებია და არც წესები. ანუ, ვერც ერთი ნორმა, ვერც ერთი წესი ვერ დაგვეხმარება. კი მაგრამ, რა არის აღზრდა? არადა, რა არის ახალგაზრდის აღზრდა? ახალგაზრდა აღიზრდება არსებული ნორმებისა და წესების დაუფლების გზით და ამ ნორმების და წესების საკუთარი ცხოვრებისეული ქაოსისადმი, საკუთარი განცდებისადმი მისადაგების უნარის განვითარების გზით... ესაა ნორმებისა და წესების საშუალებით საკუთარი განცდებისა და სულიერი ქაოსის მოთოკვა. ჩვენ კი დავადგინეთ, რომ ნორმები და წესები არ არსებობს. ნორმებისა და წესების სამყაროში არაფერია ისეთი, რაც ინდივიდუალური შთაბეჭდილების შესაბამისი იქნებოდა. ვიმეორებ: ჩვენი იდეების კოლექციაში არ არსებობს არც ერთი იდეა, რომელიც ინდივიდუალური შთაბეჭდილების შესაბამისი იქნებოდა; ანუ ნორმების და წესების არქონა ძალიან უცნაურ აღზრდაზე მიგვითითებს, რაც არ ემთხვევა იმას, რასაც, ჩვეულებრივ, აღზრდად მივიჩნევთ და იმაზე მიგვანიშნებს, რომ იმ სფეროში, სადაც არ არსებობს ნორმები და წესები, ჩვენ ერთი შემზარავი ფაქტის წინაშე აღმოვჩნდებით ხოლმე: არსებობს გარკვეული რამ, რისი ცოდნაც არ შეიძლება. მოდი, თავიდან ვთქვათ, რომ არ შეიძლება იცოდე წინასწარ. ის, რაც ბერმას სიმღერაში ან რახილის სახეშია, შეუძლებელია, იცოდე ან განიცადო ცოდნის მეშვეობით. აი, მე ვიცი და ამ ცოდნის წყალობით, განვიცდი იმას, რასაც ვხედავ ან რასაც შევხვდები, შეუძლებელია იცოდე. და ეს „შეუძლებელია იცოდე“ ჩვენთან ხშირად გამეორდება. მინდა კიდევ ერთი რამ დავამატო. საქმე ისაა, რომ უცნაური გრძნობების აღზრდაა. არ არსებობს ნორმები და წესები, ნორმებით და წესებით საკუთარ თავს ვერ აღვზრდით — სწორედ ეს არის, მეორე მხრივ, ზუსტად ის უპირველესი, რასაც, როგორც ცოცხალი არსებები, განვიცდით. ჩაატარეთ რეფლექსიის პატარა აქტი, საკუთარ თავზე დაფიქრდით: ვინაიდან სწორედ ის, რასაც ნორმებსა და წესებში, ან „საზოგადოდ, ზოგადი აქტების საერთო წარმოდგენებში“ არავითარი ეკვივალენტი არ მოეძებნება, — სწორედ ესაა ჩვენი ცხოვრება. ამაში ვართ ცოცხლები, იმიტომ, რომ ყველაფერ დანარჩენში, რაც წესებისა და ნორმების მიხედვით ვიცით,

მკვდარნი ვართ; ან სხვაგვარად – ჯერჯერობით მხოლოდ ინტუიციაც გვყოფნის – თავს ცოცხალ არსებებად სწორედ ამგვარ რამეებში ვგრძნობთ.

და კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამ, რომ უფრო გავამყარო, რომ სწორედ ის, რაც არ შედის ლოგოსში ან ამ დასახელებებში, არც იმ სფეროში შედის, სადაც ინდივიდუალური შთაბეჭდილებებისთვის ეკვივალენტი არ მოიძებნება, ის, რაც საკუთარი თავის ცოცხალ არსებად შეგრძნების მხარეს გვრჩება. სწორედ ეს არის ცნობიერება (ცოდნისგან და ბევრი სხვა რამისგან განსხვავებით). არის გარკვეული დაძაბულობა საკუთარი თავის ცოცხალ არსებად შემაგრძნობელ ცნობიერებასა (როგორც ახლახანს ვუწოდე მას, მაგრამ ის ჯერჯერობით მხოლოდ გაურკვეველი რამაა) და ემპირიულ ცნობიერებას შორის, რომლის ნაწილიც ჩვენი ცოდნაა (მათ შორის ნორმების და წესების ცოდნა). მათ შორის გარკვეული დაძაბულობა წარმოიშვა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ცოდნის, ნორმების და წესების სამყაროში არაფერია ისეთი, რაც ამას შეესაბამება და რის განცდასაც შევძლებდი, – ნორმების და წესების სამყაროდან მიღებული ცოდნა რომ დავურთო ჩემს განცდას და ის ამგვარად განვიცადო. ერთი პატარა დასკვნა გავაკეთოთ: ის, რასაც შემდგომშიც ტექსტს ან ორგანოს ვუწოდებთ, არ არის ცოდნა. შესაბამისად, ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც წავაწყდებით, არ არის ცოდნის გზით წარმოებული ცვლილება. როცა რახილის შესახებ რაიმეს გავიგებ, ცოდნით ვერაფერს შევცვლი. თუკი მეცოდინება, არსებითად, როგორი ვოკალი ითვლება მშვენიერად, ვერაფერს გამოვიტან ბერმას სიმღერის ცოცხალი აღქმით. და ამ საკითხის გონებაში განმტკიცებით ერთ ძალიან საინტერესო პრობლემას მივადგებით. წელან, სენ-ლუს მაგალითის მოხმობისას, საგანგებოდ არ მიხსენებია ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი, რომლის მოხმობაც დროულია იმ აზრის კონტექსტში, რომ ტექსტი არ არის ცოდნა. ერთი სიტყვით, ისე ვიტყვი, რომ აზრთა მსვლელობას მივყვეთ: ჩვენ ვდგავართ გრძნობების აღზრდის, ან საკუთარი თავის ფორმირების, ან თვითრეალიზაციის სფეროში, – სფეროში, სადაც არსებობს იმის შეცნობის პრობლემა, რაც ლოგოსის ელემენტებში არ არის – შეცნობის და ვერშეცნობის პრობლემა, რადგან, როდესაც ბერმას სიმღერას ვისმენ ან რახილის სახეს ვხედავ, ჩემს წინაშე პირველ შემთხვევაში სიმღერის სილამაზეა, მეორეში – რახილის ცხოვრებაში რეალუ-

რი ბიოგრაფიული გარემოების ფაქტის ცოდნა; კერძოდ ის, რომ რახილი ოცფრანკიანი მეძავია. შეიძლება ეს ყველაფერი თავს გადამხდეს და ვერ შევიცნო; ვერ შევიცნო, რადგან თავში მექნება ზოგადი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მშვენიერი სიმღერა, როგორია კარგი სიმღერა, როგორია ცუდი სიმღერა; ან ვიცოდე, როგორები არიან ქალები. ვიმეორებ – იმის შეცნობის პრობლემა, რაც არის. პრუსტი ზოგჯერ ასე ამბობდა: „მეგობრის ვერშეცნობა“ ან „ღმერთის ვერშეცნობა“[16]. ხომ შეიძლება, კაცი ღმერთს შეხვდეს და მასში ღმერთი ვერ შეიცნოს; ან მეგობარს შეხვდეს და მასში მეგობარი ვერ შეიცნოს. ვიმეორებ: უნდა ჩავიბეჭდოთ, რომ ეს უბრალო შემთხვევითობა არ არის, ამაში ჩართულია კანონები. არსებობს კანონები იმისა თუ რატომ ვერ შევიცნობთ, ზუსტად ასევე არსებობს კანონები იმისა, თუ რატომ შევიცნობთ. ანუ პირობები და კანონები, რატომ შეგვიძლია შევიცნოთ ის, რაც შეგვეძლო ვერც შეგვეცნო. აი, ასეთი ერთგვარი, გნებავთ, გაუგებრობამდე დასული ტრაგედია და კომედია გვაქვს, როდესაც ერთი მონათესავე სული შეხვედრისას მეორეს ვერ ცნობს. უკვე თითქოს სრულიად ჩვეულებრივი ენით გადმოვცემ იმას, რაზეც როგორც აბსტრაქტულ საგნებზე ვლაპარაკობდი, სილამაზეზე, სილამაზის ცნებაზე იმაზე, რომ სილამაზის გაგება არასდროს შეესაბამება ინდივიდუალურ შთაბეჭდილებას. არა, საქმეც ისაა, რომ ეს ყველაფერი ერთი და იგივეა. ერთი სიტყვით, ამ საკითხს გუმილიოვის ლექსის სტრიქონის საშუალებით გამოვხატავ (პრუსტის ერთ-ერთი გენიალური თემა და ზოგადადაც – პოეზიის თემაა): „ო, რა ღვთაებრივია შეერთება ერთურთისათვის ქმნილთა!“[17]. ანუ, შესაძლოა, რაღაც იმთავითვე ერთმანეთისთვის იყოს შექმნილი, მაგრამ არ შეერთდეს, ემპირიული შეხვედრის დროსაც კი. გასაგებია, რომ შეიძლება, უბრალოდ, იმიტომ არ შეერთდნენ, რომ ერთმანეთს ვერასდროს ვერ შეხვდნენ, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ შეხვდნენ და ვერ შეერთდნენ. და თუკი შეერთდნენ – „ო, რა ღვთაებრივია შეერთება ერთურთისათვის ქმნილთა!“ ესე იგი შეიძლება იყოს რაღაც დასაბამიდან ერთმანეთისათვის შექმნილი და არ შეერთებული ემპირიული შეხვედრისასაც კი. გასაგებია, რომ შეიძლება არ შეერთდე, უბრალოდ

[16] J.F. – გვ. 719.

[17] “О как божественно соединение извечно созданного друг для друга”. Гумилев Н. Стихи. Поэмы. Тбилиси: Мерани, 1989. გვ. 296.

იმიტომ, რომ არასოდეს არ შეხვდით, მაგრამ არა... შეიძლება შეხვდე და ვერ შეერთდე. მაგრამ თუ შეერთდი, მაშინ „ო, რა ღვთაებრივია შეერთება ერთურთისათვის ქმნილთა!“

მაშასადამე, შეერთება-ვერშეერთებაზე, მეტიც, ასე ვთქვათ, ადამიანის ტრაგიკულ სასრულობაზე ვსაურბობთ. საქმე ისაა, რომ არ შეგვიძლია, ვინაიდან სასრულნი ვართ, უსასრულო დრო არ გაგვაჩნია, ემპირიულად შევხვდეთ ყველაფერს, რაც ჩვენთვისაა შექმნილი. არ შეგვიძლია იმიტომ, რომ ჩვენი ცხოვრებისეული სივრცე შეზღუდულია, გეოგრაფიული თვალსაზრისითაც კი. საიდან იცით, რომ ახლა ვინმე პარიზში არ გელოდებათ? და ახლავე რომც შეძლოთ პარიზში გაქცევა, გეტყოდით: „იქნებ სწორედ ლონდონში გელოდებიან და არა ახლა, არამედ რამდენიმე წლის შემდეგ?“ უფრო მეტიც, შემიძლია საკუთარ თავს ვკითხო: ნუთუ ყველაფერი, რაც ჩვენი ცხოვრებაა, ჩვენსავე ცხოვრებაში ხდება? ტყუილად ხომ არ მოუგონიათ ადამიანებს უკვდავების იდეა და ამის იმედით არსებობდნენ. ამ მეტაფორის საშუალებით, მათ გარკვეული გარემოება მოიხელთეს, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში მოქმედებდა. მათ შორის ეს სასრულობაც მოიხელთეს. გარწმუნებთ, ჩემ თავზე ზუსტად ვიცი, რომ არსებობს რაღაც წიგნი, რომელიც თქვენთვისაა დაწერილი და რომელსაც ვერასდროს წაიკითხავთ, ვინაიდან ყველა წიგნის წაკითხვა შეუძლებელია. წიგნების რაოდენობა არ შეესაბამება ჩვენი აქტების დასაშვებ რაოდენობას. აღარაფერს ვამბობ ემპირიულ შემთხვევითობაზე, რომ ზუსტად იმ ბიბლიოთეკაში ან იმ წიგნის მაღაზიაში მოხვდეთ, სადაც ეს წიგნია. ეს ხომ შემთხვევითობათა თვალუწვდენელი ზღვაა, რომელშიც ვერ გავალთ. მაგრამ საინტერესოა შემდეგი: მართალია, თქვენ ვერასდროს წაიკითხავთ იმ წიგნს, რომელშიც თქვენი გამოცდილების მსგავსი რამ წერია და, თუკი ამ წიგნის საშუალებით საკუთარ არსებაში ჩაიხედავდით, ამით ნაბიჯს წინ გადადგამთ და ეს არის წიგნის ამოცანა, — მაინც, ამ წიგნში აღწერილი მოვლენები შეიძლება თქვენს სულში მოხდეს. სიმბოლისტები ხომ ამბობდნენ, რომ არსებობს სიმბოლური შესაბამისობები; რომ რაღაც მოსაზრება, რომელიც წიგნშია წარმოდგენილი, რომელსაც ვერასდროს წაიკითხავთ მხოლოდ იმიტომ, რომ ემპირიულად შეზღუდული, სასრული ხართ, — ეს აზრი მაინც შეიძლება მოგვიდეთ თავში. ანუ არსებობს ისეთი რამ, რაც ადამიანის შეზღუდულობის, მისი სასრულობის წინააღმდეგ მოქმედებს. ამგვარი მოქმედი

ინსტრუმენტებია ის საგნები, რომლებსაც ტექსტები ვუწოდე. ფილოსოფოსები მას პროდუქტულ წარმოსახვას უწოდებდნენ – რაღაც გამანეიტრალებელს, რაც იმ შემთხვევითობისგან მაზღვევს, რასაც ემპირიულად არ შემიძლია შევხვდე, დავინახო. არსებობს გარკვეული დამატებითი უნარები – დავუშვათ, მათ ადამიანის წარმოსახვას უწოდებენ, რომელიც აგებს კონსტრუქციებს, რასაც ტექსტები ჰქვია. ტექსტები ჩვენში წარმოქმნიან მოვლენებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული ამ მოვლენების მატარებლებთან ან მატერიალურ, ასე ვთქვათ, განმახორციელებლებთან შეხვედრის ემპირიულ შესაძლებლობაზე ან შეუძლებლობაზე. მეტიც, არ შეგვიძლია ყველაფრის ცოდნა ერთი ფუნდამენტური კანონის მიხედვით. მოდით, დავუშვათ: შეიძლებოდა, ყველაფერი გვცოდნოდა და, მიუხედავად იმისა, რომ სასრული ვართ, მაინც ტექსტებით შეგვევსო საკუთარი უსასრულობის შეუძლებლობა. მაინც რას ნიშნავს „ყველაფრის ცოდნა“? სივრცის და დროის ყველა წერტილში ყოფნას. დავუშვათ, შესაძლებელია მთელი სივრცის და დროის მოხელთების გარკვეული „ღვთაებრივი“ უნარის ფლობა და მასში ჩემი მონაწილეობა. მათემატიკოსები და ფიზიკოსები ე. წ. ზღვრულ გადასვლას ახორციელებენ, ანუ ზღვარზე განიხილავენ. შეგვიძლია, ზღვარზე ავიღოთ წარმოსახვა, მაგრამ იმ პირობით, რომ იმ სამყაროს ნაწილი არ ხართ, რომელსაც ხედავთ და აღწერთ. თუკი თავად მსახიობი ხართ – არა მხოლოდ სპექტაკლს უყურებთ, არამედ მისი მონაწილეც ხართ, ანუ სპექტაკლში საკუთარი მონაწილეობით ყველა მოვლენას ცვლით, ეს მოვლენები კი თქვენთანაა დაკავშირებული, – მაშინ, არსებითად, ყველაფრის ცოდნა თქვენთვის, მართლაც. შეუძლებელია, ვინაიდან ამ ცხოვრებაში თვითონ მონაწილეობთ. გამოდის, რომ კიდევ ერთი შეზღუდვა გვაქვს. და აქ მიგიყვანეთ იქამდე, რისი თქმაც ცვლილების საკითხთან დაკავშირებით მინდოდა.

ერთი სიტყვით, ცვლილება ჩვენთვის მიუწვდომელია, თუკი გარკვეულ პირობებს არ ვასრულებთ. ცვლილება, თავისთავად, მარტივი გზით მიუწვდომელია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის, რაზეც ვსაუბრობდი, ჩვენს ნებას და ცნობიერებას არ ექვემდებარება, არამედ – სხვა გზით ხდება; ასევე იმიტომაც (და ამას უხეშად ჩამოვაყალიბებ), რომ იძულებული ვხდებით, უკვე შეცვლილი შევცვალოთ. და „უკვე შეცვლილის“ შეცვლა ძალიან რთულია. ახლა განვმარტავ ამ ბუნდოვან ფრაზას: საქმე ისაა, რომ ადამიანი თავის ცნობიერებასა

და წარმოსახვაში გარკვეულ ემპირიულ გარემოებებს თავისი მაღალი იდეალების შესაბამისად ცვლის, გარდაქმნის ისე, რომ იმაში, რასაც ხედავს და უყვარს, რასაც აღიარებს, საკუთარი თავისა და სამყაროს მიმართ მისი გარკვეული მოთხოვნები შესრულდეს. ვთქვათ, სენ-ლუმ დაინახა რახილი, ემპირიული რახილი (ქალი ბრტყელი სახით) სენ-ლუს ვნების ობიექტად იქცა, იმიტომ, რომ ის შეიცვალა, გარდაიქმნა მის თვალში; სენ-ლუ რახილს, ასე ვიტყოდი, „მაღალი", ანუ იდეალების და ოცნებების წერტილიდან უმზერდა, რომელსაც ხელოვნება აღძრავს. სენ-ლუმ ხომ რახილი თეატრში დაინახა. და სამყარომ, რომელსაც თეატრს ვუკავშირებთ – არა შენობას, არა თეატრს, როგორც ასეთს, ამ სიტყვის ფიზიკური გაგებით, არამედ ადამიანური კეთილშობილების, მაღალადამიანური სიყვარულის და ა.შ. შესახებ წარმოდგენებს – ამ ყველაფერმა გარდაქმნა ემპირიულად ხილული. თავის დამოკიდებულებაში მშვენიერი რახილის მიმართ, არა ოცფრანკიანი მეძავის, არამედ მშვენიერი რახილის მიმართ, – სენ-ლუმ საკუთარი თავის რეალიზება მოახდინა ისეთ ადამიანად, რომელთანაც მშვიდობიანად თანაცხოვრება შეუძლია. ანუ მან ეს თავისთვის დაუშვა. რატომ? იმიტომ, რომ ის თვითონ ქველი იდეალების თაყვანისმცემელია, რახილი კი ქველია და მას, რახილის სიყვარულით, სიქველეც უყვარს (ახლა სიტყვა „სიქველით" ჩავანაცვლე ბევრი სიტყვა, რადგან, როცა აზრის ჩამოყალიბება გინდა, ჩქარობ და ყველა ტერმინს აღარ ეძებ). მაშასადამე, ყურადღებას ვამახვილებ იმაზე, რომ სენ-ლუს დამოკიდებულება რახილისადმი (როგორც თვითონ ხედავს მას), თავისი არსით, რა თქმა უნდა, საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულებაა. რა გაგებით? ამ ურთიერთობაში უნდა რეალიზდეს და არ დაირღვეს საკუთარ თავთან მშვიდობიანი თანაცხოვრების, საკუთარი თავის პატივისცემის უნარი. ხომ ასეა? შესაბამისად, ის უკვე იქცა ადამიანად. და „უკვე ადამიანის" „კიდევ ადამიანად" გარდაქმნა თითქმის შეუძლებელია. შესაძლებელია, მაგრამ რთულია. თუკი გახსოვთ, არისტოტელეს ფრაზა მოვიხმე, რომ მიზეზი, რის გამოც რაიმე მიყვარს, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რაც მიყვარს. მაგრამ საქმე ისაა, რომ არსებობს კანონზომიერება და ახლა, ფაქტობრივად, ჩამოვაყალიბე კიდეც ის: ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ცნობიერება და ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ შეუძლებელია შემდეგ გქონდეს ის, რის გამოც გიყვარს იმის გარეშე, რაც გიყვარს. ანუ, ის, რის გამოც გიყვარს,

გაქვს მას შემდეგ, როცა გაქვს ის, რაც გიყვარს. შემდეგ უკვე – რახილის საშუალებით – სენ-ლუს გრძნობები იძენს ფორმას და მოძრაობის სფეროს, რომლებიც მიმართულია ამაღლებულისკენ, მშვენიერისკენ, სიქველისკენ და ა.შ. გასაგებია? და ამ სფეროში ცვლილებით შეჭრა თითქმის შეუძლებელია.

ეს კანონი სოციალურ ცხოვრებაშიც მოქმედებს, ათასგზის ვაწყდებით ამ კანონზომიერების გამოვლინების მაგალითებს. ძალიან ხშირად ამგვარ განუვითარებელ ველურებს ვერაფერს ვუხერხებთ (ისევე, როგორც მარსელი თვლიდა სენ-ლუს ველურად, ვინაიდან მარსელმა იცის, რომ რახილი მეძავია და, ამ გაგებით, თვითონ უფრო მეტად გაცნობიერებულია ვიდრე სენ-ლუ): საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ არ გვაქვს ცივილიზაცია (არაცივილიზებულები ვართ, მართლაც, დაახლოებით ისევე, როგორც რუსები) და ხშირად გვიჩნდება სურვილი, გარკვეული რაციონალური ცვლილებები დავნერგოთ, მაგრამ ეს ცვლილებები ყოველთვის იმ კანონის მოქმედებას უპირისპირდება ხოლმე, რომელსაც ასე გამოვთქვამ: რუსები ვერ ახერხებენ, რომ ადამიანებად იქცნენ, რადგანაც ისინი უკვე იქცნენ ადამიანებად, ისე, როგორც იქცნენ. იმიტომ, რომ ისინი იმად, როგორებიც არიან, ჩამოყალიბდნენ მათთვის მისაწვდომ ფარგლებში (ეს ჩვენც გვეხება, სხვათა შორის, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, დავასახელე „რუსები", მაგრამ მე ხომ სხვა გამოცდილებაც მაქვს – ჩვენი საკუთარი, ქართული) უკვე ჩამოყალიბდნენ. ამას გააჩნია ისეთი ინერცია, რომელიც ძნელად ექვემდებარება ცვილილებას და მით უმეტეს, არ ექვემდებარება გაცნობიერებულ ნებელობით აქტს. იქ, ორგანოებიდან დაბადებული ცვლილების გარკვეული ბუნებრივი პროცესი უნდა მიმდინარეობდეს. მუსკულატურის რეალური სინთეზისა და განვითარების გზით და არა – გარედან. გარედან ნებისმიერი ქმედება იმისთვისაა განწირული, რომ „შეცვლილის" შეცვლა უკვე რთულია. სწორედ იმიტომ, რომ ის შეცვლილია. და აქ ჩნდება პრობლემა, რომელსაც ფსიქოლოგიაში identity-ს პრობლემას უწოდებენ. საკუთარ თავთან იგივეობა, თუკი ადამიანმა მას მიაღწია, მისი რღვევა შეუძლებელია. ის, თითქოსდა, რაღაც ცეცხლოვან აფეთქებას შეუერთდა და გამოიძერწა; რაციონალური აქტების გზით მისი გამოხსნა, დაშორება შეუძლებელია. ის, რის გამოც მიყვარს, ჩემთვის იმის საშუალებით არსებობს, რაც მიყვარს. მაგალითად, პრუსტთან არის ტერმინი, რომელიც ფრანგულ

ტრადიციაში, ძირითადად, სტენდალიდან მომდინარეობს, – გრძნობების კრისტალიზაცია.[18] მაშასადამე, თუკი კრისტალიზაციის კანონების თანახმად ისე მოხდა, რომ სინაზე სამყაროში ალბერტინას გზით გახდა ხილული, მაშინ სინაზის შეგრძნობისთვის, მისი განცდისთვის (ადამიანში კი არსებობს ამის განცდის მოთხოვნილება), ამ მოთხოვნილების საგნისგან დამოუკიდებლადაც კი, – სინაზის შესაგრძნობად საჭიროა ალბერტინა.[19] და მაინც, როგორია ეს ალბერტინა? იქნებ, დემონია და მხოლოდ ალბერტინას საშუალებით განცდილი სინაზის გამო, წარმოიდგინეთ, რა შეიძლება მოხდეს ჩემს ცხოვრებაში?! როგორი ჯოჯოხეთური ეჭვიანობის რბოლაა! ჩვენი რომანის გმირი გამუდმებით ეჭვიანობს, სულ უნდა დაადგინოს, ვისთან და სად უღალატა ალბერტინამ; და ყველაზე საშინელია, როცა დანამდვილებით რწმუნდება, რომ ალბერტინა ლესბოსელია და ქალებთან ღალატობს... და აი, ძიების ეს ინფერნალური ციკლი სივრცის და დროის ყველა წერტილში, სადაც შეუძლებელია, რომ იყო და სივრცის და დროის ყველა წერტილი მოიცვა, ამ დროს გარბიხარ. თუ გახსოვთ, დანტეს ჯოჯოხეთში არის მორბენალთა სახე, რომლებიც მუდმივად თავქუდმოგლეჯილი სირბილით არიან დასჯილი. არსებობს ასეთი სირბილი, შინაგანი სირბილი, რომელიც ფიზიკურ, გარეგან სირბილზე მეტად გვაცლის არაქათს.

ის, რომ შეცვლილი შეცვლას, პირდაპირ შეცვლას აღარ ექვემდებარება, კიდევ უფრო ცხადყოფს იმას, რასაც საკუთარ თავთან იგივეობა ვუწოდე. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს არის ემპირიულის, ანუ ფაქტების გარდაქმნა. რახილის სახე – როგორია ის სინამდვილეში, როგორი თვალები აქვს და ა.შ., მაგრამ ეს ყველაფერი გარდაიქმნა წარმოსახვის სხივში, იმ წერტილის სხივში, საიდანაც სენ-ლუ იყურებოდა. ხომ ასეა? შემდეგ გაიგივდა საგანთან, რომლის საშუალებითაც ადამიანის მაღალი მისწრაფებები რეალიზებას პოულობს და ამ გზით საკუთარ თავთან ღირსეული დამოკიდებულებაც ხორციელდება. ისევე, როგორც სამყაროში საკუთარ ადგილთან და ა.შ. ამას იგივეობა, ანუ identity ვუწოდე. და ცხადია, ეს ცვლილების შედეგია, რომ სახეცვლილში საქმე გვაქვს იმასთან, რაც ფაქტებიდან არ გამომდინარეობს. სახეცვლილი რახილი ხომ მისი თვისებე-

[18] იხ.: C.G. – გვ. 53, გვ. 115; T.R. – გვ. 992.

[19] Fug. – გვ. 556.

ბის, ფიზიკური თვისებების შედეგი არ გახლავთ?! ფიზიკური თვისებები, როგორც ვიცით, მხოლოდ ბლინივით ბრტყელი სახეა. მაშასადამე, ფაქტების შედეგი არ არის; და აი, უნდა ჩამოვაყალიბოთ კანონზომიერება, რომ ფაქტები ვერ აღწევს იმ სფეროში, რომელიც ფაქტებიდან არ მომდინარეობს. ვიმეორებ: ფაქტები ვერ აღწევს იმ სფეროში, რომელიც ფაქტებიდან არ მომდინარეობს. მაგალითად, ფაქტი, რომ საროსკიპოში რახილი ვნახე, ვერ აღწევს ამ სფეროში მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სფერო ფაქტებიდან არ მომდინარეობს. ამიტომ ფაქტებს იქ შეღწევა არ შეუძლიათ. ეს სულ სხვა რამის შესახებაა – ეს სფერო, თუმცაღა, ის მთლიანად ფარავს ფაქტებს. სენ-ლუს უყვარს რახილი, მაგრამ ეს არის ფაქტი, რომელსაც ეს სფერო ფარავს და არა თავისთავადი ფაქტი, ეს სფერო ფაქტებიდან არ მომდინარეობს. ის ფაქტებიდან არ დაბადებულა და ფაქტები მას ვერ მოკლავს. რამდენიც გენებოთ, უთხარით სენ-ლუს, როგორია „სინამდვილეში" რახილი, ვერ გააგებინებ. მაშასადამე, როგორც სხვა კუთხით აღვნიშნეთ, ეს არის ინდივიდუალური განცდის სინგულარული წერტილი, რომლის შიგნითაც სენ-ლუ არა მხოლოდ ცოცხალია, არამედ საკუთარი თავის რეალიზაციაც შეძლო თავის ადამიანურ ღირსებაში, მაღალ კრიტერიუმებში, საკუთარ თავთან გაიგივდა და, როგორც ვთქვი, ამის შეცვლა შეუძლებელია. ბევრჯერ მქონია შემთხვევა, დავრწმუნებულიყავი, რომ აქ ფაქტები ვერ აღწევენ (ფაქტების ნაცვლად შეგვიძლია ვთქვათ: რაციონალური არგუმენტები. რაციონალური არგუმენტები ყოველთვის ფაქტებს უთითებს), უბრალოდ იმიტომ, რომ ფაქტებიდან კი არა, სხვა ფსიქოლოგიური პროცესიდან გაჩნდა. იმ პროცესიდან, რომელსაც საკუთარ თავთან, საკუთარ „მე"-სთან გაიგივება ვუწოდე. საკუთარ თავთან თანხმობაში უნდა ვიცხოვრო და ამქვეყნად მხოლოდ ის უნდა მივიღო, რაც საკუთარ თავთან თანხმობაში ცხოვრების საშუალებას მომცემს. და თუკი ადამიანმა საკუთარ თავთან იგივეობა ფაქტის არცოდნით ან გაუაზრებლობის ხარჯზე მოიპოვა, ის ვერასდროს შეძლებს ფაქტის აღქმას; მეტიც, შენში სახიფათო ადამიანს დაინახავს, რომელსაც მისთვის ყველაზე ძვირფასის, კერძოდ – identity-ს დანგრევა სურს. საკუთარ თავთან იგივეობის დანგრევა.

ასეთი რამ ხშირად ხდება ეგრეთწოდებული იდეოლოგიების თუ მსოფლმხედველობების შემთხვევაში. მსოფლმხედველობა, ან იდეოლოგიები, არის სფერო, სადაც ადამიანი საკუთარ თავთან მიმართე-

ბაშია შეზრდილი. და ამაშია იდეოლოგიის ძალა, მისი ნგრევის შეუძლებლობა და მომაკვდინებელი ბუნება. ვინაიდან ადამიანისთვის ყველაზე დიდი ხიფათი საკუთარ თავთან თანხმობის, საკუთარი თავის პატივისცემის დაკარგვაა. მაგრამ თუკი თავდაპირველად გარკვეულ ფასად მოიპოვე პატივისცემა, მერე ეს ფასი უზრუნველყოფს პატივისცემას. ანუ ის, რის გამოც გიყვარს, ჩაანაცვლებს მას, რაც გიყვარს. რაც გიყვარს, იმის პირობად იქცევა, რის გამოც გიყვარს. ვთქვათ, რახილი სიქველის წინაპირობად იქცევა და სიქველე, თითქოსდა, თავისთავად გიყვარს. გასაგებია? ასე რომ, მსოფლმხედველობების შემთხვევაში ძალიან ხშირად ასე ხდება; ერთხელ, როგორღაც, ჰაიტელებისთვის, ნამდვილი ჰაიტელებისათვის ფილოსოფიის ლექციის ჩატარება მომიწია, ერთგვარი განმანათლებლური ხასიათის ლექცია იყო. თან ფორმალურად იქიდან გამოვდიოდი, რომ საქმე განათლებულ ადამიანებთან მაქვს, რადგანაც საუბარი ფრანგულ ენაზე მიმდინარეობდა და უკვე თვით ფრანგული ენის ცოდნის ფაქტი განათლების გარკვეულ დონეზე და აზროვნების მოქნილი სტრუქტურის გარკვეული მინიმუმის არსებობაზე მიუთითებდა, რაც ადამიანებს, უბრალოდ, ენის ცოდნის წყალობით გამოუმუშავდებათ. თუ კაცმა ფრანგული ლიცეუმი დაამთავრა, ესე იგი, რაღაც უნდა იცოდეს. მე შევეჯახე მაგარ გაქვავებულ პუნქტებს იქ, სადაც ვცდილობდი, უბრალოდ, გარკვეული ფაქტები, მსჯელობები მომეხმო... შემდეგ მივხვდი, რომ აქ მთავარი არც უგუნურება და არც გონიერება არ ყოფილა, არამედ მათ ჰქონდათ სამყაროს უმარტივესი კლასობრივი სქემა, სადაც არსებობენ მდიდრები და ღარიბები, იმპერიალისტები, მუშები და გლეხები; რამდენადაც სქემა ძალიან მარტივია და ადამიანი ძალისხმევის გარეშე ითვისებს მას, მასზე დახარჯული გონებრივი შრომა ისეთია, რომ მან ეს ადამიანები დაკმაყოფილა საკუთარ თავთან მიმართებაში (ისინი სამყაროს გაგების მატარებლები გახდნენ, მათ სამყარო შეიცნეს); და ამიტომაც ისინი ამ სქემაზე უარს არასდროს იტყვიან. მხოლოდ თავიანთი პიროვნების სრულად გარდაქმნის ფასად. ეს კი ძალიან რთული რამ არის ადამიანისთვის. ადამიანი ზარმაცი არსებაა. სამყარო რთულადაა მოწყობილი, ტვინის ჭყლეტა, მუდმივად საკუთარ არსებაში ჩაღრმავება, საკუთარი თავის შეცვლაა საჭირო (აი, ჩვენი რომანი, პრუსტის რომანი, – საკუთარი თავის გარდაქმნის რომანია. და ამაშია ავადმყოფი, უბედური ავტორის გმირობა. პრუსტი საკუთარ თავს

გარდაქმნით სამუშაოებს უტარებდა სიმამაცის ზღვარზე. მისი რომანი საკუთარი თავის შეცვლის და საკუთარი რეალური ბედისწერის მოხელთების ორგანოა.) იმ ადამიანებს კი, რომლებზეც ვსაუბრობ, იშვიათი გამონაკლისების გარდა ასეთ შრომაზე წასვლა არ სურთ (ვინაიდან ადამიანი ზარმაცია). სამყარო მათ თავშია მოქცეული, ამ სამყაროში მათ სამყაროს შემმეცნებელი ადამიანის ადგილი უკავიათ და ყველაფერი მარტივად ეჩვენებათ: არსებობენ იმპერიალისტები, არსებობენ სხვები და სხვები. არსებობენ მდიდრები, რადგანაც ღარიბებიც არსებობენ, ღარიბები კი იმიტომ არსებობენ, რომ მდიდრებიც არსებობენ; და რა უნდა გავაკეთოთ, რომ ღარიბები აღარ იყვნენ? – უნდა გავანადგუროთ მდიდრები და მორჩა, სამყაროც მოწესრიგდება. და ამ სფეროში ფაქტები და არგუმენტები ვერ მოხვდება. აი, ხომ ხედავთ, რას ვაკეთებ ახლა? შეცვლილის შეუცვლელობის (ან ძნელად შეცვლის) კანონი ჩამოვაყალიბე, რომელიც ჩვენს ფსიქოლოგიურ და ცნობიერ ცხოვრებაში მოქმედებს. უფრო მეტიც, წვრილმანები დავასახელე, რომლის მიღმაც თვალი (ამ შემთხვევაში ფილოსოფოსის თვალი) ფიგურებს ხედავს. ამიტომაც ეს უკვე წვრილმანები კი აღარ არის, არამედ – საკმაოდ მსხვილი ფიგურების ელემენტები, იმ ფიგურების, რომლებსაც დიდი სივრცე და დრო უკავიათ; იმდენად დიდი, რომ ჰაიტიც კი ჩვენი მსჯელობის საგნად იქცა. მაშასადამე, სადღაც არსებობს რაღაც, რაც მოცემულ მომენტში ჰაიტელებთან გვაერთიანებს ან გვაზიარებს მათთან. გაზიარება კი მხოლოდ გაერთიანებულის, რაც შენთვის სულერთი არ არის, იმის შეიძლება. ის, რაც ჰაიტელების თავს ხდება, იმას, როგორც ისინი ცხოვრობენ და აზროვნებენ, მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ისინი ჩინელებივით მილიარდი რომ ყოფილიყვნენ, მაშინ უშუალოდ დავრწმუნდებოდით, რომ ამას მნიშვნელობა აქვს.

ნათქვამის შეჯამების სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ: ჩვენ განვიხილავთ იმას, რასაც პრუსტი ყველაზე ხშირად შთაბეჭდილებას უწოდებს (სიტყვა, რომელიც რომანის თითქმის ყველა გვერდზე მეორდება), მაგრამ ეს შთაბეჭდილება, როგორც ჩანს, რაღაც განსაკუთრებულია. ის შეიძლება შევუთავსოთ წერტილს, რომელსაც ახლა უკვე შეგვიძლია სინგულარული (ეს ტერმინი უკვე გამოვიყენე) ვუწოდოთ, ანუ ისეთ წერტილს, რომელშიც, მაგალითად, ფაქტები ვერ აღწევს. რომელშიც შეუძლებელია ცოდნის გადატანა: ის შეუვალია, მისი გაერთიანება შეუძლებელია. და აქვე, პრუსტთან, აღმოცენდება სამყაროთა სიმრავლის თემა.

ლექცია 4

დღევანდელი შეხვედრის მოლოდინში ისეთ რამეებზე ვფიქრობდი, რომლებიც თქვენ მოგხიბლავდათ და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ყველა ადამიანი, რომელსაც რაღაც უყვარს, თუკი ის ნორმალურია, რა თქმა უნდა, სურს, თავისი სიყვარულის საგანი სხვასაც გაუზიაროს, რომ ეს რაღაც სხვებსაც უყვარდეთ. და მომეჩვენა, რომ პრუსტის ტექსტს ისე უნდა მივუდგეთ, როგორი დამოკიდებულებაც მას ჰქონდა ცხოვრებისეული შთაბეჭდილებების მიმართ, – შემდეგი თვალსაზრისით – რომანში ერთ ადგილას არის ასეთი სცენა[1]: მარსელი მაღალ მთებში ბილიკზე ცხენით მიდის. ამ გზით წასვლა მას ჰერცოგის ასულმა გერმანტმა ურჩია და უთხრა, რომ ეგზოტიკურ პეიზაჟს ნახავდა; და, მართლაც, კლდეებში ცხენით მიდის და კლდეებს შორის ხან გამოჩნდება ზღვა, ხანაც – მიიმალება; და ამ ხან ხილულ და ხანაც თვალსმიფარებულ ზღვაში ის ელსტირის პეიზაჟებს ამოიცნობს (პრუსტის მიერ გამოგონილი მხატვარი; თანაც პრუსტმა არა მარტო მხატვარი გამოიგონა, არამედ ამ მხატვრის ნახატიც, რომელიც სხვა ნახატებთან ერთად აღწერილია რომანში). ელსტირის პეიზაჟებში (აშკარაა, რომ პრუსტმა შექმნა ერთ-ერთი პირველი წარმოსახვითი იმპრესიონისტის ოდნავ გაუმჯობესებული სახე) ყოველთვის ერთმანეთს ერწყმოდა ზღვა, შუა საუკუნეების ქალაქები, მიწა, ისე, რომ რთული გასარჩევი იყო, სად იყო მიწა, სად – წყალი და სად – ქვის სახლები. მარსელი, თითქოს, კლდეებს შორის ნაპრალიდან ხედავს ამ პეიზაჟებს და უცბად მოულოდნელი ხმა ცხენს დააფრთხობს. მარსელი ძლივს იჭერს ცხენსაც და საკუთარ თავსაც, რომ არ ჩამოვარდეს და იქით იხედება, საიდანაც ხმა ესმის და – ასეთი რამ მის ცხოვრებაში პირველად ხდება – პირდაპირ თავს ზემოთ აეროპლანს დაინახავს. აეროპლანი მის თავზე, დაახლოებით, ას მეტრში ლივლივებს. ილივლივებს, ფრთებს დააქ-

[1] S.G. – გვ. 1028 – 1029.

ნევს და გაუჩინარდება. მარსელის სული კი განსხვავებული ცხოვრების გაურკვეველი და, იმავდროულად, ცხადი შეგრძნებით ივსება. არა ისეთი ცხოვრების შეგრძნებით, როგორითაც თვითონ ცხოვრობდა, რომელიც მისთვის ჩვეულებრივი იყო და არც ისეთი ცხოვრების შეგრძნებით, რომლის გამოცნობაც შესაძლებელია, ვინაიდან ჩვენ ჩვენი წარმოსახვით გამოვიცნობთ ხოლმე იმას, რასაც სხვა ცხოვრებას ვუწოდებთ, მაგრამ სინამდვილეში ეს არა სხვა ცხოვრება, არამედ ჩვენი წარმოსახვის გაგრძელებაა. ჩვენს წარმოსახვას, როგორც ხშირად ამბობდა პრუსტი, ვერ წარმოუდგენია უცნობი სიტუაცია, რადგანაც ჩვენი უცნობი წარმოსახვა ნაცნობი ელემენტებისგან შედგება და ჩვენ, არსებითად, არ ძალგვიძს, რომ ნაცნობი ელემენტების ხლართებს თავი დავაღწიოთ (ბუნებრივად არ ძალგვიძს თავის დაღწევა; რაღაც უნდა დაგვეხმაროს, ან საკუთარ თავს თვითონვე უნდა დავეხმაროთ).[2] ასე რომ, ეს წარმოსახვა „სხვა“ არ არის. იმ შეგრძნებაში კი, რომელიც მარსელმა მოლივლივე თვითმფრინავის ხმას დაუკავშირა, სრულიად აბსტრაქტული, გაურკვეველი, მაგრამ უზომო სიხარულის მომგვრელი სხვა ცხოვრება, სხვა „მე“, ანუ განსხვავებული საკუთარი თავი წარმოიდგინა.[3]

ამას იმიტომ გიყვებით, რომ ეს გრძნობა გადმოგედოთ – პრუსტის, ან, შესაძლოა, ჩემი უგერგილო და, რასაკვირველია, პრუსტის ტექსტთან შედარებით, უნიჭო მონათხრობის საშუალებით, – იმის შეგრძნება, რომ, შეიძლება სხვა ადამიანი ყოფილიყავით. და, თუკი სხვა ადამიანად არ იქცევით, თვითონ ამ შეგრძნებამ, შესაძლოა, გავლენა იქონიოს იმაზე, რაც ამ ცხოვრებაში თქვენს თავს ხდება. ბოლოს ხომ გეუბნებოდით, რომ „ცხოვრებას“ სრულიად განსხვავებულ რამეებს ვუწოდებთ, თუმცა, სიტყვა „ცხოვრებას“ საკმაოდ ზუსტი მნიშვნელობა აქვს, რასაც ზოგიერთ განსაკუთრებულ, გადამწყვეტ წუთებში ვწვდებით. პირობითად მათ გამოუთქმელის მომენტები დავარქვი – როდესაც მტკიცედ ვგრძნობთ, რომ ეს ასეა, მაგრამ ამის გამოთქმა შეუძლებელია. და სწორედ ის, რისი „გამოთქმაც შეუძლებელია“, გვაგრძნობინებს თავს ცოცხალ არსებად. ანუ ცოცხალ არსებებად ვგრძნობთ თავს ჭეშმარიტებაში, რომელიც სიცრუეს ჰგავს, როგორც დანტეს ციტირებისას მოგახსენეთ – იმ

[2] Fug. – გვ. 424.

[3] S.G. – გვ. 1028 – 1029.

ჭეშმარიტებაში, რომელსაც ბაგედამუწულები უნდა გავუფრთხილ-
დეთ, რადგანაც პირის დაღება უშედეგოა, მაინც ვერაფერს იტყვით.
თქვენი ნათქვამი სიცრუეს დაემსგავსება. ცხოვრების ამგვარი შეგრ-
ძნება კი თავისთავად ფასეულია. ის არაფრისთვისაა. ის ყველაზე
ძვირფასია ჩვენთვის და ყველაფერში, რასაც უნდა ვაკეთებდეთ,
სწორედ ამ შეგრძნებას ვეძებთ. თუკი იმაში, რასაც ვაკეთებთ ან
განვიცდით, ეს შეგრძნება მონაწილეობს, მაშინ ამას აზრი ჰქონია.
ერთი სიტყვით, ჩვენს ყველა სურვილს შორის უდიდესია, რომ
ცოცხალი ვიყოთ. სიცოცხლე გვინდა. სიცოცხლის ორი მნიშვნელო-
ბა არსებობს. სიცოცხლე, პირველი გაგებით, არის გამოუთქმელი;
არსებობს სიცოცხლე მეორე გაგებით, რომელიც პირველს ჰგავს,
მაგრამ ზოგჯერ ცხოვრებისეული საზრისის ამ შეგრძნებას მოკლე-
ბულია. პრუსტი, მე ვიტყოდი, სიცოცხლითაა შეპყრობილი. და ყვე-
ლაფერში, რასაც აღწერს, ყოველთვის ცხოვრების ამ შეგრძნების
ძიებაა მოცემული; იმის ძიება, რომ ცოცხალი ხარ. ამიტომაც, ხში-
რად შეხვდებით ფრაზას: ყველაფერი, რაც მე ვიცი, არ ვარ მე,
ყველაფერი, რაც საკუთარი გამოცდილებიდან არ მიმიღია – ჩემი
გაგება არ არის[4]; ანუ – არ არის ცხოვრება. პრუსტთან ყოველთვის
წარმოდგენილია გარკვეული ტოლობები, განტოლებები (განტოლე-
ბები – მათემატიკური გაგებით). ვთქვათ, სიტყვა „ცხოვრება“: თვით
ცხოვრების ფაქტი უცნაურად უტოლდება იდეას; ანუ ცხოვრება
იდეის ტოლია.[5] ცხოვრება არსის ტოლია, ცხოვრება კანონის ტო-
ლია. ძალიან უჩვეულო განტოლებებია. მაგრამ ერთ პატარა განმარ-
ტებას გავაკეთებ. არის ერთი მაგალითი, რომლის მოხმობაც მიწევ-
და ხოლმე (პირადად მე, ამგვარი განმეორებები მეზიზღება, მაგრამ
არსებობს ინტუიციური თვალსაზრისით ზუსტი მაგალითები, მათი
შეცვლა შეუძლებელია, რაც არ უნდა ტვინი ვიჭყლიტოთ, ვერაფერს
მოვიფიქრებთ). იცით, ერთხელ, როგორღაც ცხოვრების ძალიან
მარტივი, ინტუიციური განმარტება მოვიფიქრე, ანუ ცოცხალი
მკვდრისგან, არაცოცხლისგან გავმიჯნე. ცოცხალი არაცოცხალისგან
იმით განსხვავდება, რომ მას ყოველთვის შეუძლია რაღაც სხვა.
მკვდარს კი უკვე აღარაფერი შეუძლია იმის გარდა, რაც არის. ამი-
ტომაც, საბრალო პუშკინი, სხვათა შორის, თავის დროზე ამბობდა,

---

[4] იხ.: S.G. – გვ. 399 – 402; T.R. – გვ. 876 – 877.

[5] T.R. – გვ. 872, 876, 906, 1044.

რომ რუსეთში მხოლოდ მკვდრები უყვართო. შეამჩნევდით, რომ, თუ-კი ვინმე უყვართ, მხოლოდ მკვდარი პოეტებია. ამას ერთი მარტივი მიზეზი აქვს – მკვდარი პოეტები ვეღარ აუხირდებიან მათ; ვეღარ „უხიმანდრებენ“, როგორც რუსები იტყვიან. მარტივია. ცოცხალს კი ყოველთვის სხვა რაღაც შეუძლია. მაშასადამე, ისევ დავუბრუნდი იმას, რისთვისაც მინდოდა განმეწყვეთ; პრუსტთან უმთავრესი შეგრძნება, რომელიც უნდა მოიხელთო და საკუთარ თავსა და ტექსტზე გადაიტანო, – ბგერაში, მუსიკაში, ყვავილში, ადამიანის საქციელში ან ადამიანის სახეში იმის დანახვაა, რომ სხვა ცხოვრებით ცხოვრება შესაძლებელია. ანუ – იმის შესაძლებლობა, რომ ცოცხალი ხართ. ამიტომაც, როდესაც პრუსტი თავის ტიპურ შთაბეჭდილებებს ჩამოთვლის (ისინი ხომ ყველას აქვს), ვთქვათ, ნამცხვარი „მადლენი“, მარტენვილის სამრეკლოს ხედი, ვენეციაში ხიდის ფილები, – ეს ყველაფერი გაანალიზებულია თვითმფრინავის სიმბოლური გაფრენისგან განსხვავებით, რომელიც მგრძნობიარე პოეტისთვის სხვა ცხოვრების, სხვაგვარად ცხოვრების კოდის მატარებელი აღმოჩნდა. და როდესაც ვამბობდი, რომ არსებობს ცხოვრება შთაბეჭდილების გაგებით და არსებობს ცხოვრება (სიტყვის სხვა მნიშვნელობით), რომელიც ცხოვრებას ჰგავს, მაშინ ჩემ მიერ ჩამოთვლილი განტოლებების გასაშიფრავად ვიტყვი, რომ იყო ცოცხალი, სიტყვის პირველი მნიშვნელობით, ანუ იყო ნამდვილად ცოცხალი, ძალიან რთულია. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს (ის, რაზეც სულ დასაწყისში ვსაუბრობდი), რომ ცხოვრება დროში ძალისხმევაა. ძალიან ზუსტი განსაზღვრებაა. კიდევ დავუმატებ – ახლა უკვე პრუსტისეული განტოლების განსამარტავად: ცხოვრება იდეის ტოლია, ცხოვრება არსის, კანონის ტოლია, – ცოცხალი არსება კანონებით ან არსით სულდგმულობს. გარკვეული ასოციაციები რომ გაგიჩნდეთ და უცბად არ დაგაფრთხოთ ამ ფრაზამ, მინდა შეგახსენოთ ფიზიკოსი, გვარად შრედინგერი, კვანტური მექანიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი; თავის დროზე, როდესაც გენეტიკა (მხედველობაში მაქვს ბიოლოგიური თეორია) ჯერ კიდევ ფეხზე დგებოდა, მან თავის სხვა წიგნებს შორის, ასევე, დაწერა წიგნი გენეტიკის შესახებ; წიგნი მიზნად ისახავდა იმ დროისთვის, 40-იანი წლებისთვის გენეტიკის ახალი მიღწევების პოპულარიზაციას. წიგნს ასე ეწოდებოდა: „რა არის სიცოცხლე?“. ენტროპიისა და მოწესრიგებულობის (არსებობს ორი დაპირისპირება – მოუწესრიგებელი მდგომარეობები, რომელ-

თაც ახასიათებს ენტროპია ან მაქსიმუმ-ენტროპია და მოწესრიგებული მდგომარეობები) საკითხთან დაკავშირებით სიცოცხლეზე მსჯელობისას, შრედინგერს გაუჩნდა კითხვა: აი, ამბობენ, რომ სიცოცხლე ნივთიერებათა ცვლაა. სიცოცხლეს განსაზღვრავენ, როგორც ნივთიერებათა ცვლას. მაგრამ რა აზრი აქვს, ვთქვათ, ჟანგბადის ერთი ატომის ჩანაცვლებას ჟანგბადის მეორე ატომით, ისინი ხომ საკმაოდ იგივეობრივი და ერთნაირი არიან? როგორც ჩანს, გაცვლის პროცესი ამას არ გულისხმობს, თუკი ეს პროცესი სიცოცხლის არსია. როგორც ის ამბობს, აშკარაა, რომ ცხოვრება მართლაც მაინც გაცვლას გულისხმობს და ცხოვრებისეული არსი პროცესია, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სიცოცხლე წესრიგით იკვებება; ანუ სიცოცხლე წესრიგის მოპოვების პროცესია – ცოცხალი ცოცხლობს წესრიგის მოპოვების გზით და, თუკი სიცოცხლე არ გულისხმობს წესრიგს, ის არ ცოცხლობს. სიტყვა „წესრიგის“ ნაცვლად ჩასვით სიტყვა „არსი“ ან „კანონი“. ვუბრუნდები ჩვენს თემას: პრუსტის ღრმა რწმენით, ამიტომაცაა საჭირო მხატვრის მთელი ის „ანალიტიკური“ სამუშაო, რომელსაც ის თავის მოწოდებად თვლიდა, აუცილებელია სიცოცხლის აქტის აღდგენა დროის მომდევნო მონაკვეთში. სიცოცხლის აქტის აღდგენა დროის მომდევნო მონაკვეთში თავისთავად არ იგულისხმება; სიცოცხლის აქტის აღდგენა დროის მომდევნო მონაკვეთში გულისხმობს შრომას ან წესრიგის დასამყარებლად გაწეულ შრომას. მათ შორის, მნიშვნელობების, კანონების, არსის გარკვევას; ხოლო ამ ყველაფერს თუ ჩვენს ენაზე გადმოვიტანთ (რომელიც უკვე შემოვიტანეთ), ეს ნიშნავს იმაში გარკვევას, რაც ჩვენს თავს ხდება. რას ვგრძნობ სინამდვილეში? იმიტომ, რომ ჩვენ ხომ საკუთარ თავთან მიმართებაში ვკვდებით. მაგალითად, ვერ ვცნობ მეგობარს. ჩემი ენით რომ გამოვთქვა, რომელსაც ახლა გთავაზობთ, ეს იმას ნიშნავს, რომ „სული საკუთარი თავის მიმართ მოკვდა“[6]. საკუთარი თავისთვის მოკვდა. ანუ ეს არის ერთგვარი ცოცხალი ოპერაცია, რომელიც სულს ეხება, – და ჩვენც, პრუსტთან ერთად, ვვარაუდობთ, რომ სული, ან გონება, ასევე არის სიცოცხლე, ცოცხალი რამ, – და ის მოკვდა საკუთარ თავთან მიმართებაში. ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაბნეულობის და დაცემის მდგომარეობაში, ან შრედინგერისეულ ენტროპიაში აღმოჩნდა. მაშა-

[6] იხ.: T.R. – გვ. 899.

სადამე, გვაქვს ორი პოლუსი: ცოცხალი, ანუ მოწესრიგებული იმ გაგებით, რომ ცოცხალია წესებიდან და კანონებიდან დასკვნების გამოტანის ფასად, მეორე მხრივ კი, გვაქვს გაბნეულობა და რღვევა – ის, რაც არ არის ცოცხალი.

ახლა კი დავუბრუნდეთ იმ თემას, რომელიც წინა ჯერზე ჰაერში გამოკიდებული დავტოვეთ. ჩვენ იმ აზრამდე მივედით, რომ გვაქვს ცნობიერების უცნაური ფენომენი. ის, რაც უდავოდ არსებობს და არავითარი გარეგანი ეკვივალენტი არ აქვს, – თუკი გარეგან ეკვივალენტად მივიჩნევთ სიტყვას, – რომელსაც სახელი არ აქვს. აი, ჩვენ ერთსა და იმავეს ვუყურებთ, ანუ იმას, რასაც ჩვენთვის ერთი და იგივე სახელი ჰქვია, და ის, რითაც განსხვავდება ჩემი დანახული და ამ სიტყვაში არ თავსდება, არის კიდეც ცნობიერება. ერთი სიტყვით, ის, რასაც ეკვივალენტი არ გააჩნია, ცხადია, მაგრამ გამოუთქმელია. ამასთანავე, გაფრთხილებდით, რომ ნურავითარ ასოციაციას ნუ მიუსადაგებთ. ინტუიცია, ირაციონალური და ა.შ., სანამ ეს ყველაფერი არ გვაქვს და არ ვიცით. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ ვიცით – ცხადია, მაგრამ ეკვივალენტი არ გააჩნია. ახლა მას ცხოვრებას დავუკავშირებ და ციტატას წაგიკითხავთ (სამწუხაროდ, ისევ ფურცლიდან მომიწევს თარგმნა) და გაფრთხილებთ, კითხვის შემდეგი წესით უნდა იხელმძღვანელოთ: საკუთარ თავში შეაჩერეთ, დაბლოკეთ სილამაზეზე რეაგირების ბუნებრივი, უნებლიე ზრახვები, რომელსაც, რა თქმა უნდა, ჩემი კი არა, პრუსტის ტექსტი იწვევს, ვინაიდან გამონათქვამის სილამაზე აზრის შემჩნევის საშუალებას არ გვაძლევს. პრუსტი დამაბრმავებელ სინათლეზე საუბრობს, რომელიც მას ეწვია; კერძოდ კი იმას ამბობს, რომ „*ხელოვნების ნაწარმოები“ – დაკარგული დროის აღდგენის ერთადერთი საშუალებაა*“[7]. დასაწყისისთვის პირველ გაფრთხილებას მოგცემთ, რაც სიტყვებისადმი ჩვენს დამოკიდებულებას ეხება. თითქოს, გასაგები ფრაზაა, არა? დაკარგული დრო – მაშასადამე, რაღაც დაგავიწყდათ. ხომ ასეა? ან – დაკარგული დრო ვთქვათ, იმის ნაცვლად, რომ გუშინ გემუშავათ, არაფერი გაგიკეთებიათ. ან – იმის ნაცვლად, რომ ჭკვიანურად გესაუბრათ, პაემანზე წახვედით, – სხვათა შორის, პრუსტის აზრით, პაემანი დაკარგული დრო არ იქნებოდა. დაკარგული დრო ჭკვიანური საუბარი იქნებოდა (მათ შორის ინტელექტუალური საუბრები) ერთი მარტივი მიზეზის გამო: იქ, სა-

[7] იხ.: T.R. – გვ. 1032.

დაც რისკზე არ მივდივართ, სადაც ჩვენს განცდებში, აღქმებში და ბედისწერაში რისკზე არ მივდივართ, დრო დაკარგულია. თავის დროზე, პრუსტი ამბობდა (ის ძალიან ეწინააღმდეგებოდა სნობიზმს, რომელიც ჭკვიან და შინაარსიან ადამიანებთან შეხვედრისა და, აგრეთვე, მათ გარემოცვაში ყოფნის წადილს გულისხმობს): გონიერ ადამიანებთან საუბარი იგივეა, სტუმრად რომ მიხვიდე და მოსალოდნელი თავგადასავლის ნაცვლად მაღალი საზოგადოების სალონში აღმოჩნდე, სადაც ხელში ოჯახური ფოტოების ალბომს გაჩეჩებენ, რომელიც დაინტერესებული გამომეტყველებით უნდა ათვალიერო. ან, ვთქვათ, ალბათ, ხშირად გადაგხდენიათ, ბნელ ოთახში დიაპოზიტივების თვალიერება.[8] ასე რომ, დაკარგული დრო – ყველა უსიცოცხლო მომენტის დროა. სხვაგვარად, დაკარგული დრო არის დრო, როდესაც შეგეძლო გეცხოვრა ამ სიტყვის პირველი მნიშვნელობით, როგორც ადრე აღვნიშნე, მაგრამ ასე არ გიცხოვრია. ნიშანი მოგეცა, მაგრამ ხელიდან გაუშვი. ხელიდან გაუშვი, რადგან არ შეჩერდი და არ შრომობდი. ნიშანი კი ვიცით როგორიცაა, თუკი გახსოვთ. გთხოვთ, ეს ნიშანი ყოველთვის გახსოვდეთ, რადგან ჩირაღდანმა ჩვენი სამუშაო უნდა გაგვინათოს. ვინაიდან ის, რასაც ვაკეთებთ – ჩემი სამუშაოცაა (ყველაფერი თავიდანვე რომ მცოდნოდა, რასაც ვამბობ, მოსაწყენი იქნებოდა), თქვენც უნდა იმუშაოთ იმისთვის, რომ საკუთარ თავში ყველაფერი გაარკვიოთ. ნიშანი მარტივია – როგორც წმინდა იოანე იტყოდა: ვიდრე სინათლე გინათებთ – სინათლე სულში არეკლილი ნებისმიერი შთაბეჭდილებაა – ხვალისთვის ან ზეგისთვის არ უნდა გადადოთ. არც სხვებს უნდა გადააბაროთ, რადგან თქვენს გარდა ამაში ვერავინ გაერკვევა. ჩვენი და პრუსტისეული შრომის ამოსავალი არის ის, რომ შეგვიძლია მხოლოდ მე და თქვენ. ამ შემთხვევაში, „მე“ ჩვენი საერთო „მე“-ა.

პრუსტი ასე წერს: „*მივხვდი* (უკვე მეორე სინათლე, რომელიც პირველ გამონათებას მოჰყვა), *რომ ხელოვნების ნაწარმოები დაკარგული დროის აღდგენის ერთადერთი საშუალებაა*“[9]. შესაბამისად, „ხელოვნების ნაწარმოები“ არა ტრადიციული გაგებით, არამედ სამუშაო, რომლის გაკეთება მხოლოდ მე შემიძლია, რომ გავარკვიო, რა მოხდა ჩემს თავს, რას ნიშნავდა შთაბეჭდილება, რას ნიშნავდა

[8] J.F. – გვ. 872, გვ. 892.

[9] T.R. – გვ. 899.

ნიშანი, – ღმერთმა მანიშნა და ერთი წამით განათდა, მერე იწყება ქაოსი და სიბნელე და როცა ბნელა, მუშაობა შეუძლებელია. სხვათა შორის, აუცილებელი არ არის, რომ ეს შთაბეჭდილებები შიშისმომგვრელი იყოს, ანუ, შეიძლება, არ შეიცავდნენ მნიშვნელოვან რელიგიურ ჭეშმარიტებას; მაგალითად, ასეთი შთაბეჭდილება შეიძლება აღძრას ტბის ხილვამ. პრუსტი ასე ამბობს, იმის მსგავსად, როცა მხატვარი მთაზე ადის და მთებს შორის ნაპრალებიდან მის თვალწინ იშლება ტბა, რომელიც მას გარკვეული შთაბეჭდილებით ავსებს, – ის უმალვე იღებს მოლბერტს, ფუნჯს, „*მაგრამ უკვე ბნელა და მუშაობა შეუძლებელია*“[10]. ასე რომ, წიგნში შესული ეს მასალები (მას შემდეგ, რაც ის მიხვდა, რომ ხელოვნების ნაწარმოები მუშაობის, დაუკარგავი დროის რეკონსტრუქციის შედეგია, როცა ტბა გამოჩნდა – და მან დაბნელებამდე მოასწრო), – ჭეშმარიტების აღმოჩენაა: რომ „*ერთნი განცდებში, სხვები – საკმაოდ უფერულ სიამოვნებებში*“[11]. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს ყველაფერი საგანგებოდაა ნათქვამი: უფერული სიამოვნებების გზით ჭეშმარიტებების აღმოჩენა; ტანჯვა (ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტია, რომელსაც ისევ მივუბრუნდებით) – უფერულ სიამოვნებებში; ანუ ჭეშმარიტებების აღმოჩენა არა წიგნების, ჭკვიან ადამიანებთან საუბრის საშუალებით, არამედ ყველაზე ბანალური რამეების გზით, ოღონდ მხოლოდ ერთი პირობით: თუკი ადამიანი საკუთარ თავს უღრმავდებოდა, დროს არ კარგავდა და რისკავდა. ყველაზე უბადრუკი ქალიც კი ყველაზე ჭკვიან და გენიალურ თანამოსაუბრეს ჯობია, ვინაიდან გენიალურ თანამოსაუბრესთან სალონური საუბრისთვის დამახასიათებელი ურთიერთობა მაქვს, ხოლო უბადრუკ ქალთან რისკზე მივდივარ და მასთან ურთიერთობისას ერთვება სურვილები და მხოლოდ მათი გზით, მხოლოდ სურვილებისა და ტკივილის გზით შემიძლია შევიცნო სამყარო, სხვები და საკუთარი თავი. უფრო მეტიც, პრუსტი ასეთ შემთხვევებში უმატებდა, რომ ნამდვილად ღრმა და ინტენსიური შინაგანი ცხოვრების მქონე ადამიანებს, ამ მდგომარეობიდან გამოსვლისას, ფრივოლური საუბრების მოთხოვნილება უჩნდებათ[12] (ეს ჭეშმარიტება, ალბათ, საკუთარი გამოცდილებიდან მოგეხსენებათ.

---

[10] იხ.: T.R. – გვ. 1035.

[11] იხ.: T.R. – გვ. 899.

[12] იხ.: T.R. – გვ. 899, S.B. – გვ. 307; გვ. 215 – 216.

თუკი თქვენს არსებაში რაიმე სერიოზული მოხდა და თქვენ საკუთარ თავზე იმუშავეთ, ამ მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ, ფრივოლური საუბრების აუცილებლობას გრძნობთ და არა ჭკვიანური მსჯელობებისას.). ასე რომ, საკმაოდ უფერულ ან ზოგჯერ მდაბალ სიამოვნებათა გზით აღმოჩენილი ჭეშმარიტებანი, მხატვრული ნაწარმოების მთელი ეს მასალა, – ყველაფერი *„ეს ჩემი წარსული ცხოვრება გახლდათ“*[13]. ანუ ნაწარმოებისთვის განსაზღვრული მასალა ცხოვრებისეული მასალისგან იქმნებოდა, – და აქ ყურადღება, რა თქმა უნდა, გაგვეფანტება (რასაც გაფრთხილებდით კიდეც). მართლაც, მწერალი იმაზე წერს, რომ ის თვალს ადევნებდა სიუჟეტებს, ან, რასაც ხედავდა, სიუჟეტად გარდაქმნიდა; და ის, რისი გადმოცემაც მსურს, ტექსტის კითხვით უნდა გაამყაროთ და მაშინ თქვენს თვალწინ საკმაოდ მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება გადაიშლება, – ეს არ მაქვს მხედველობაში. ამ სიტყვის პირდაპირი, მატერიალური მნიშვნელობით – ის, რასაც ნაწარმოები ეწოდება, ჩვენი ცხოვრებისეული მასალისგან შედგება. ეს იყო განვლილი ცხოვრება, რომელშიც – კუნელის ბუჩქთან ჩავლა ან ნამცხვარ „მადლენის“ ჭამა (ცნობილი სცენა), – კუნელის ბუჩქთან უბრალო ჩავლა კი არ იგულისხმება, არამედ მასთან შეჩერება. ეს ეპიზოდი ხელოვნების ნაწარმოებისთვის მასალაა. და, თითქოსდა, უმნიშვნელოა. სხვა კრიტერიუმებით, ის ხელოვნების ვერცერთ ნაწარმოებში ვერ მოხვდებოდა; დამისახელეთ მწერალი, რომლის რომანშიც ნამცხვრის ჭამის სცენა ასეთ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებდა. ასეთი არ არსებობს.

„მივხვდი, რომ ეს მასალა ჩემამდე ფრივოლური სიამოვნებების, სიზარმაცის საშუალებით მოვიდა“ – ეზარებოდა იმაზე წერა, რასაც ყველა ხედავს და რასაც მისი თვალები თავისთავად უმზერენ, წყინდებოდა (რომანის ზოგიერთ ადგილას პრუსტი ამბობს, რომ სიზარმაცემ ის ცუდი რაღაცეების დაწერისგან იხსნა.[14]). მაშასადამე, *„...ჩემამდე სიზარმაცის, სინაზის განცდის დროს, ტკივილისას მოდიოდა, ლაგდებოდა და ილექებოდა ჩემში, ისე, რომ არ მესმოდა ამ მასალების არსი, არც ის ვიცოდი, რომ ეს მასალები იცოცხლებდნენ, ისევე, როგორც არც მარცვალმა იცის, საზრდოს გადანახვისას რომ ამით მცენარე იკვებება. მეც შემეძლო მოვმკვდარიყავი, ისევე*

[13] იხ.: T.R. – გვ. 899.

[14] იხ.: Centenaire de Marcel Proust, lettre à Robert Dreyfus, გვ. 64.

როგორც მარცვალი კვდება მცენარის აყვავებისას და მაშინ გამოვიდოდა, რომ ამ მცენარისთვის ვცოცხლობდი ისე, რომ არც კი ვიცოდი ეს; ვერც ჩემი ცხოვრება დაუკავშირდებოდა ოდესმე იმ წიგნებს, რომლების დაწერაც მინდოდა და რომელთა გამოც მაგიდასთან ვჯდებოდი ხოლმე, მაგრამ სიუჟეტს ვერ ვპოულობდი" (ისევ – იმ სიფრთხილეზე საუბრობს, რასაც ნაწარმოების მასალა ეწოდება; ცხოვრებისეული მოვლენები კი არ არის ნაწარმოების მასალა, ვინაიდან მოვლენები რომ ნაწარმოების მასალა ყოფილიყო, მაგიდასთან ჯდომისას, აუცილებლად იპოვიდა სიუჟეტს. ამ დროს ის ვერც კი ხვდება, რომ ნამცხვრის ჭამა არის კიდეც მასალა ხელოვნების ნიმუშისთვის; მას ლიტერატურულ საქმიანობაზე ჯერ კიდევ განსხვავებული წარმოდგენა აქვს; მაგიდასთან ჯდება, თავში კი... სიცარიელეა, არ მოუფიქრებია სიუჟეტი, ან აქვს ისეთი სიუჟეტები, რომელთა ასახვაც ეზარება და ამიტომაც არ აქვს წერის სურვილი.). „*და, ამგვარად, მთელი ჩემი ცხოვრება დღევანდლამდე შეიძლებოდა კიდეც და არც შეიძლებოდა, რომ შემდეგი სახელწოდებით შეჯამებულიყო: მოწოდება. არ შეიძლებოდა იმ გაგებით, რომ ლიტერატურა არავითარ როლს არ ასრულებდა ჩემს ცხოვრებაში...*" ისევ ჩემს გასაფრთხილებლად, ასეთ რამეს წერს: ლიტერატურა არავითარ როლს არ ასრულებდა ჩემს ცხოვრებაში; ასე რომ, როცა ეს ადამიანი ამტკიცებს, რომ ხელოვნების ნიმუში ერთადერთი რეალობაა, ერთადერთი ნამდვილი ცხოვრებაა და ა.შ., ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს; არა ჩვეულებრივი მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენ მასში ვდებთ; მაშასადამე, ლიტერატურა, ჩვეულებრივი გაგებით, მის ცხოვრებაში არავითარ როლს არ ასრულებდა. მეორე მხრივ: „*...ჩემი ცხოვრება შეიძლებოდა შემეჯამებინა ამ სახელწოდებით, ვინაიდან მრავალი სევდის და სიხარულის მოგონებები ერთგვარ მარაგად იქცეოდა, იმ ცილის მსგავსად, რომელიც მცენარის ჩანასახოვან უჯრედშია და რომელშიც ეს უჯრედი მოიპოვებს თავისთვის საკვებს, რომ მარცვლად იქცეს და, ამავე დროს, არაფერი იცის, რომ ამ მარცვლიდან აყვავდება მცენარე, თუმცაღა, სწორედ ეს მარცვალია ის ადგილი, სადაც ძალზე იდუმალი, მაგრამ აქტიური ქიმიური და მშვინვიერი ფენომენები იყრის თავს* (მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო შემდეგ სიტყვათშეთანხმებას, რომელიც ყოველგვარი ძალდატანების გარეშეა წარმოდგენილი: „ადგილი", le lien, და „აქტივობა", ერთგვარი ფარული და იდუმალი აქტივობა;

პრუსტი ამ შემთხვევაში მეტაფორას მიმართავს და ამიტომაც ამ-ბობს – „აქტიური ქიმიური და მშვინვიერი ფენომენები“, მაგრამ ჩვენ გამოვყოთ სიტყვები და ავიღოთ „აქტივობა და ადგილი“.)[15].

ახლა კი დავუბრუნდეთ ძველ თემას, როდესაც სიცოცხლეზე და ორგანოზე ვსაუბრობდი. მოგეხსენებათ, ბიოლოგებისთვის თითქმის შეუძლებელია სიცოცხლის არსის განსაზღვრა. საბოლოოდ, ისინი, ხშირ შემთხვევაში, ინტუიციურ განსაზღვრებას გვთავაზობენ, რომელიც, სხვათა შორის, ემთხვევა იმას, რასაც, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, გვთავაზობს პრუსტი. აქ იგულისხმება, რომ გარკვეულ ადგილას, ე.წ. ორგანოში, ყოველთვის შეიმჩნევა გარკვეული საგნების განსაკუთრებული, სპეციფიკური აქტივობა, ხოლო მათ მიღმა ასეთი აქტივობა არ ხდება იმის მიუხედავად, რომ ამ ორგანოს მიღმაც შეიძლება არსებობდეს იგივე საგნები. ვიმეორებ: იმ ადგილას, რომელსაც ორგანო ეწოდება, ვლინდება გარკვეული ელემენტების რაღაც განსაკუთრებული ტიპის აქტივობა, ხოლო იგივე ელემენტები ამ აქტივობის მიღმა არ ავლენენ თავს. პირველ შემთხვევაში ამას სიცოცხლე ეწოდება, ხოლო ადგილს – ორგანო. მეორე შემთხვევაში კი – არა. ასე რომ, ის, რასაც ცნობიერება ვუწოდე, არის ადგილი, სადაც გარკვეული აქტივობა ვლინდება. ეს აქტივობა ამ ადგილის – ცნობიერების, მიღმა არ ვლინდება. ვთქვათ, ამ ადგილის გარეშე არსებობს სიტყვები. თუკი ისინი ამ ადგილის მიღმა არსებობენ, მაშინ, უბრალოდ, სიტყვებად რჩებიან. და აი, პრუსტის მთელი რომანი განსაკუთრებული ტიპის გამოცდილებაა, ცნობიერების გამოცდილებაა, სრულიად გამორჩეული ტიპის აქტივობის გამოცდილებაა. აქ სიტყვებიც ძალიან ორაზროვანია. ვთქვათ, ვამბობთ: ცნობიერების გამოცდილება. მაგალითად, სიყვარულის გამოცდილება, სიძულვილის გამოცდილება, საზოგადოების გამოცდილება, ომის გამოცდილება და ა.შ. და ამ ყველაფერში მონაწილეობს ცნობიერება. მე კი ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ცნობიერების გამოცდილება, სადაც ცნობიერება რაღაც სრულიად ცალკე მდგომი რამაა. აქ იგულისხმება არა გაცნობიერებული შინაარსი და საგნები (ჩვენ ხომ ცნობიერების საშუალებით შევიმეცნებთ; შევიმეცნებთ ომს, სიყვარულს, სიძულვილს, სურვილებს და ა.შ.), არამედ გამორჩეული, ცალკე მდგომი ცნობიერებისმიერი მოვლენები და ჩვენც, ჩვენი

[15] იხ.: T.R. – გვ. 899.

მხრივ, შეგვიძლია, რომ ცნობიერება, შევიგრძნოთ როგორც ცალკე მდგომი.

ამ მოულოდნელი ბიოლოგიური ციტატის საშუალებით ჩვენი წინა საუბრის თემის შეხსენების შემდეგ გავაგრძელებ აზრს. ჩვენ ვამბობდით, რომ არსებობს რაღაც წერტილი (რომელსაც სინგულარული ვუწოდე), რომელსაც თავისი, ძალიან უცნაური კანონები აქვს. ფაქტობრივად, ამ წერტილისთვის ახალი სიტყვის – „ადგილის" – მოძებნით და ამ ადგილას განსაკუთრებული, მხოლოდ აქ, ამ ადგილას მიმდინარე აქტივობის მოთავსებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ წერტილში ან ამ ადგილში ვერაფერი აღწევს და ვერც იქიდან გამოდის რაიმე. აი, ასეთია ჩვენი ცნობიერების ამგვარი უცნაური წერტილი თუ ადგილი. მაშასადამე, ცნობიერება არის ის, რაც ჩვენს ცხოვრებას ემთხვევა (რაშიც თავს ცოცხალ არსებებად ვთვლით), – მასში ვერაფერი აღწევს და მისგანაც არაფერი გამოდის გარეთ. ვერ აღწევს, ვინაიდან, როგორც ვიცით, იქ ცოდნის გადაცემა შეუძლებელია და ცნობიერება უკავშირდება იმას, რისი ცოდნაც, საერთოდ, შეუძლებელია. ხომ შეუძლებელია, რომ სენლუმ იცოდეს, როგორია რახილი?! ხომ შეუძლებელია, რომ მას გადავცეთ ცოდნა, თუ როგორია მისი სიყვარულის ობიექტი. უკვე ვიცით, რომ ეს შეუძლებელია. ანუ ამით რა დავადგინეთ? დავადგინეთ ის, რომ ჩვენი აზროვნება ან აზრი, ვიმეორებ, აზროვნება ლოგიკურ აზროვნებასთან ასოცირდება; ამიტომაც სიტყვა „აზრს" გამოვიყენებ, რომ კლასიფიცირება არ დავიწყოთ, რადგანაც ჩვენ ისეთ სფეროს განვიხილავთ, რომელიც, როგორც ბუდისტები იტყოდნენ, სრულიად არ ექვემდებარება კლასიფიკაციას. მაშასადამე, იმას, რაზეც ვსაუბრობთ, ვერ ვუწოდებთ ვერც აზრს, ვერც გრძნობას, ვერც ნებას, ვერც ინსტინქტს, ვერც ინტუიციას. ახლახან მას „აზრი" ვუწოდე, მაგრამ ეს არ არის აზროვნება, ჩვენეული კლასიფიკაციების გაგებით. თან გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი კლასიფიკაცია ჩვენეული კლასიფიკაციებია, ჩვენეული კატეგორიებია. მაგრამ ჩვენს თავს ყოველთვის ხდება რაღაც, რაც საკმაოდ უცნაურად და დამახინჯებულად გამოიხატება ჩვენსავე კატეგორიებში, მათ შორის აზროვნების, შეგრძნების, ცნობიერების და ა.შ. ჩვენეულ კატეგორიებში. ვუბრუნდები იმას, რაზეც ვსაუბრობდი, – მაშასადამე, ცნობიერება ანუ აზრი არ არის ისე აგებული, როგორც (ჩვენი ვარაუდით) აზროვნება. აზროვნება ხომ ისეა აგებული, რომ შეგვიძლია მივუთი-

თოთ გარკვეულ ფაქტებზე, სახელი ვუწოდოთ მათ, მათ შორის ლოგიკური კავშირების მიხედვით დავალაგოთ, გადავცეთ სხვას, რომელსაც შეუძლია ამ მსჯელობას მიჰყვეს, თავის გონებაში აღადგინოს და ასეთი გზით ეს ცოდნა მას გადაეცემა. ცხადია, ასე სენ-ლუ ვერაფერს შეიტყობს რახილის შესახებ, ხოლო რაღაც აბსტრაქტულად არსებული ცოდნა რახილის შესახებ ვერ მოხვდება იმ წერტილში, რომელშიც სენ-ლუ იმყოფება და რომელსაც საკუთარ აღქმის ორგანოში თავისი ცნობიერება (ან აქტივობა) აქვს. იქ ამ ცოდნის გადაცემა შეუძლებელია. სენ-ლუს ცნობიერებიდან რაიმეს გამოსვლაც შეუძლებელია. მიზეზი ნათელია. აი, ამ წუთას სრულიად ახალი სიტყვებით ავხსენი ის, რაზეც აქამდე სხვა სიტყვებით ვსაუბრობდი; ვამბობდი კიდეც, მას [ცნობიერებას] გარეგნული ეკვივალენტი არ გააჩნია, ის უნიკალურია და ყველაფრისგან ცხადად განირჩევა, მათ შორის, სიტყვისგანაც. ჩვენ კი რაიმეს სათქმელად სიტყვები გვჭირდება! არადა, ცნობირება სიტყვებისგან განსხვავებული რამაა. შესაბამისად, სიტყვებს ვერ გამოვიყენებთ და ეს ყველაფერი სიტყვებით ვერ გამოითქმის, იმ წერტილიდან ვერ გამოაღწევს. მოკლედ, უცნაური ადგილია... ცნობიერების ის გამოცდილება, რომელზეც ვსაუბრობდი და რომლის პირისპირაც პრუსტი აღმოჩნდა, არის კიდეც ამ ფაქტის, ან ისეთი ადგილის გამოცდილება, სადაც ვერაფერი შეაღწევს და საიდანაც ვერაფერი გამოაღწევს. და ამ ადგილს, როგორც, ასე ვთქვათ, ორმაგ ვარსკვლავს, პრუსტი უთავსებს იმას, რასაც შთაბეჭდილებას უწოდებს. შთაბეჭდილება პრუსტთან ყოველთვის ჩვენს მგრძნობელობაზე მიყენებული რაღაც დარტყმების განსაკუთრებული კატეგორიაა, რომელთა თავისებურებების წყალობით ჩვენი მგრძნობელობა გარკვეულ არამდგრად წინააღმდეგობაში მოდის, რაც საკუთარი სიცოცხლის (ან რისკის) ფასად უნდა მოვაგვაროთ, ან, სულაც, – ბედისწერის ფასად. აი, რას გულისხმობს პრუსტისეული შთაბეჭდილება. ამავე დროს, შთაბეჭდილება ყოველთვის უკავშირდება იმ წერტილს ან ადგილს, რომელშიც ვერაფერი შეაღწევს და საიდანაც ვერაფერი გამოაღწევს. თითქოს, შთაბეჭდილება ვარსკვლავივით, ორმაგი ვარსკვლავივითაა გამოკიდებული, რომელთაგან ერთია ადგილი და მისი ორეულია – შთაბეჭდილება. ამ ადგილას რა მხარესაც მიდიხარ, იმ მხარეს ესა თუ ის სამყარო ჩნდება, რომელიც სხვებისგან რადიკალურად განსხვავდება. მარტივ მაგალითს მოვიხმობ.

რომანში ასეთ პასაჟს ვხვდებით: სასტუმროსთან შიკრიკები და მსახურები დგანან და რაღაცაზე ბჭობენ. მათ გვერდით ჩაივლის მომხიბვლელთა შორის ყველაზე მომხიბვლელი ქალი, ჰერცოგის ასული გერმანტი, რომელზეც დიდხანს და ხშირად ფიქრობდა რომანის გმირი, მისი წარმომავლობის (გერმანტი საფრანგეთში ერთ-ერთი ყველაზე არისტოკრატული გვარია, ამ გვარის უკან მთელი ფეოდალური სახელმწიფო დგას) და ქალური ღირსებების გამო, რომანის გმირს ერთხანს ჰერცოგის ასული გერმანტი უყვარდა. სწორედ ეს მომხიბვლელი ქალი ჩაუვლის შიკრიკებს და მოსამსახურეებს და უცბად ერთ-ერთი მათგანი სხვებს ეუბნება: „ამ პრანჭიას შეხედე, ნახე რას ჰგავს, თან, ალბათ, სამოცდაათი წლისაა“[16]. ისინი ასე ხედავდნენ. ვიმეორებ, ადგილებზე ვსაუბრობთ და არა ფსიქიკურ თავისებურებებზე და საკუთარ თავში უნდა შევაკავოთ ამა თუ იმ გამოვლინების მიმართ ადამიანური თვისებების – უგუნურების ან გონიერების – მიწერის გარდაუვალი მიდრეკილება. მოცემულ შემთხვევაში ვთქვათ, რომ შიკრიკები საკუთარი უგუნურების გამო ვერ ხედავენ. არა, სინამდვილეში ეს არის (პირობითად ვიტყვი და ამას დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ) ტოპოლოგია და არა გონიერება ან უგუნურება. შემთხვევით არ მიხსენებია სიტყვა „ადგილი“. ისინი კონკრეტულ ადგილას არიან და არც უგუნურები არიან და არც გონიერები. რა ადგილია ეს? კიდევ ერთ განმარტებით მასალას მოვიხმობ. ამას მოჰყვება პრუსტის საინტერესო მსჯელობა. ის ასეთ რამეს ამბობს: „როგორ განსხვავებულია სამყაროები...“ და ნაწილობრივ განმარტავს, რომ შიკრიკები და მსახურები ჰერცოგის ასულს ასე ხედავდნენ, რადგანაც მათ თვალში ქალის გამოჩენას სურვილის ღრუბელი არ უძღოდა წინ. სურვილი კი საიდუმლოს ტოლფასია – ჩვენი ადამიანური ბუნების კანონების თანახმად. შესაბამისად, „საიდუმლოს ღრუბელი არ უძღოდა წინ“. და არსებობს არა ერთი, ორი ან სამი სამყარო, არამედ „სამყარო იმდენია, რამდენი გონება და თვალიც იღვიძებს ყოველ დილას“[17]. რომანის პირველი გვერდიც გამოღვიძებით იწყება. ეს ძალიან არსებითია, ვინაიდან მთელი ჩვენი ცნობიერების გამოცდილება გამოღვიძების გამოცდილების მოდელის მიხედვითაა აგებული. ეს ძალიან საინტერესო

[16] Pr. – გვ. 191.

[17] Ibid.

მოდელია. უკვე აღვნიშნე: თავისთავად სრულებითაც არ იგულისხმება, რომ დროის მომდევნო მონაკვეთში მეორდება სიცოცხლე. ვთქვათ, მომენტ A-ში რაღაც ცოცხალია და ვვარაუდობთ, რომ მომენტ A1-შიც ის აგრძელებს სიცოცხლეს. ფილოსოფოსი (და სხვა ადამიანი – პრუსტი, რომელმაც ცნობიერების გამოცდა ჩაატარა) ამტკიცებს, რომ თავისთავად ცხადი როდია, რომ მომენტ A1-ში A უკვე A1-ში ცხოვრობს (მეორე მომენტი გამოღვიძების მომენტია). პრუსტმა ეს ძალიან მარტივად, არათავსმოხვეული გზით ჩამოაყალიბა. ახლა კვაზიმეცნიერულ ენაზე ვსაუბრობ, მაგრამ ეს სიმწირითაა გაპირობებული. პრუსტი კი მდიდარი ხელოვანია და მან გაცილებით მარტივად და დახვეწილად გამოთქვა ეს. მაგრამ რა იმალება დახვეწილობის მიღმა? ახლავე განვმარტავ და საკითხს დავხურავ. აი, იღვიძებს ადამიანი. პრუსტი კითხულობს, საიდან ვიცი, რომ სწორედ მე ვიღვიძებ?[18] ანუ რა საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ გაღვიძებისას, საკუთარ არსებას ხელს ვტაცებ და ეს მე ვარ? საიდან ვიცი? შესაძლებელია თუ არა დავუშვათ თავისთავად ნაგულისხმევი ხანგრძლივობა, რომ საგანი A A1 მომენტში იგივე საგანი A არის, თუკი ცოცხალზე ან ცნობიერზე ვსაუბრობთ? რა საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ A1 მომენტში გაღვიძებული ადამიანი A-ს, ანუ იმ სახით გაიღვიძებდა, რაც მანამდე იყო? რა საფუძველი გვაქვს ამისთვის? იქნებ, სულ სხვა ადამიანის სახით გავიღვიძე? და როდესაც ამას არ ვუფიქრდებით, პრობლემაც არ წამოიჭრება. საკმარისია დავფიქრდეთ, რომ წინა პლანზე გამოდის საკმაოდ დიდი პრობლემა. სწორედ მისგან (არა მისი გადაწყვეტიდან, რა თქმა უნდა, არამედ თუნდაც მასზე დაფიქრებით) ძალიან ბევრი რამის გარკვევა შეიძლება. რასაკვირველია, გაღვიძებისას „მე ვარ მე“-ს თქმა რომ შევძლო, არჩევანის აქტს ვახორციელებ. ხომ ასეა? არჩევანის აქტის განსახორციელებლად საჭიროა სუბიექტის არსებობა, რომელიც ირჩევს. მაგრამ არჩევანის სუბიექტი, ანუ სუბიექტი, რომელიც ირჩევს, მხოლოდ მას შემდეგ არსებობს, რაც არჩევანი გაკეთებულია. პრუსტი ასევე წერს: როდესაც ძილის მდგომარეობიდან გამოვდივართ, „ჩვენ – არარა ვართ“. „*მაშინ, საკუთარი აზრის ძიებისას* (ჩვენ ხომ საკუთარი აზრი უნდა ვიპოვოთ, რომ ის განვავრცოთ და გავახანგრძლივოთ; ხანგრძლივობა, პრუსტის თქმით, მოიცავს საა-

[18] C.G. – გვ. 88.

თებს, დღეებს, თვეებს, წლებს), *საკუთარი პიროვნების ძიებისას ისევე, როგორც დაკარგულ ობიექტს ეძებენ* (ძილის მდგომარეობიდან გამოსვლისას, საკუთარ თავს ისევე ვეძებთ, როგორც დაკარგულ ობიექტს). *როგორღა ხდება ისე, რომ საკუთარ „მე“-ს უფრო სწრაფად პოულობენ, ვიდრე სხვას. რატომ ხდება, რომ, როდესაც ისევ ვიწყებთ ფიქრს, არა სხვა პიროვნების განსახიერება ვართ, არამედ სწორედ საკუთარი თავის, საკუთარი წინამორბედის? არ მესმის, რა გვკარნახობს ამ არჩევანს და რატომ ხდება, რომ მილიონობით ადამიანის ნაცვლად, რომელთა არჩევაც შემეძლო, სწორედ მასზე ჩერდება ჩემი არჩევანი, ვინც მანამდე ვიყავი*“[19]. ამას საინტერესო თემა მოსდევს, რომელსაც ჯერ არ განვავრცობ: „კეთილისმყოფელი გონებრივი განკერძოებიდან (რაც არის კიდეც ძილი) გამოფხიზლების მომენტში საკუთარი თავის აღორძინება, წესით, უნდა ჰგავდეს იმ პროცესს, როცა დავიწყებულ სიტყვას, ლექსს ან მელოდიას ვიგონებთ. და, შესაძლოა, სიკვდილის შემდეგ სულის აღდგომა წარმოვიდგინოთ კიდეც მეხსიერების ფენომენის მსგავსად“[20].

მაშასადამე, ჩვენ ვაგებთ სიტუაციას, როდესაც არსებობს გარკვეული სამუშაო კონკრეტულ ადგილას, რასაც ცნობიერება ვუწოდეთ. ამ სამუშაოზეა დამოკიდებული, რომელი მიმართულებით გადავიხრებით – აქეთ თუ იქით. თავისი საფუძველი უნდა ჰქონდეს იმას, თუ რატომ უნდა გადავიხაროთ მაინცდამაინც „აქეთ“. ეს თავისთავად არ იგულისხმება. მეტიც, რაღაც რომ მოხდეს იქ, იმ წერტილში, რომელზეც ვსაუბრობდი, რომ იქ, მასში ვერაფერი აღწევს და იქედანაც ვერაფერი გამოაღწევს – ამ ადგილის თუ წერტილის კიდევ ერთი ძალიან უცნაური თავისებურება, ეს ერთგვარი სიცარიელის კანონი თუ წესი, – ის ცარიელი უნდა იყოს. ფაქტობრივად, ნათელია, რომ ეს წერტილი (რომელზეც ასე ამაღლებული სიტყვებით ვსაუბრობ და ტოპოლოგიას, ბიოლოგიასა და ფსიქოლოგიას თუ კიდევ სხვა რამეებს ერთმანეთში ვურევ) ჩვენი სამუშაოს ჩატარების ადგილია, შთაბეჭდილების ნიშნით, ან წმინდა იოანეს სიტყვების ნიშნით. ეს არის წერტილი, რომელშიც უნდა შეაღწიოს სინათლემ. ოღონდ ამ პროცესს ერთი წინაპირობა აქვს: წერტილში სიცარიელე, ან წყვდიადი უნდა იყოს. იქ არც სინათლე უნდა არსე-

[19] Ibid.

[20] Ibid.

ბობდეს და არც ნახევრად სინათლე. შიკრიკები, რომლებიც ჰერცოგის ასულ გერმანტს უყურებდნენ და ვერ ხედავდნენ მას, ისინი, სხვათაშორის იმიტომაც ვერ ხედავდნენ მას, რომ მათ მზერასა და ჰერცოგის ასულ გერმანტის სილუეტს შორის არ ყოფილა წყვდიადი. სურვილის წყვდიადი (წინათ მას იდუმალი სურვილი ვუწოდე). პრობლემის წყვდიადი. მაშასადამე, საკუთარ არსებაში სინათლის შემოსაშვებად ძალიან გადაღლილი უნდა იყოთ და არაფერი არ უნდა იცოდეთ. ჩვენ კი ყოველთვის მეტისმეტად ბევრი ვიცით წყვდიადამდე. ერთი სიტყვით, ჩვენი წერტილი არის არა მარტო წერტილი, რომელშიც ვერ აღწევს ცოდნა, არამედ ადგილი, სადაც აკრძალულია რაიმეს ცოდნა. ახლა სხვა მაგალითს მოვიხმობ, რომელიც საბოლოოდ ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. მოგეხსენებათ, ფილოსოფიის შენობის ფრონტონზე უნდა დაიწეროს ან შესაძლოა დაიწეროს (რადგანაც შენობა წარმოსახვითია და მასზე ყველაფრის დაწერა შეიძლება) ერთი ფრაზა: „მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი“. ეს ფრაზა იმაზე როდი მიგვანიშნებს, რომ ჩვენ ადამიანები, ანუ სასრული არსებები ვართ და ბევრის ცოდნა ჩვენ არც გვჭირდება და რომ, რამდენიც არ უნდა ვიცოდეთ, მაინც ცოტა ვიცით. არა, ამ ფრაზაში მთავარი მახვილი პირველ ნაწილზე მოდის: „მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი“. იმის ცოდნა კი, რომ არ იცი, ძალიან რთულია, თითქმის შეუძლებელია. გაიხსენეთ, სენ-ლუს რახილის დანახვა არ შეეძლო, რადგანაც მისი წერტილი უკვე შევსებული იყო სინათლით თუ ნახევარსინათლით. იქ ჯერ კიდევ არ იყო წყვდიადი. მან ეს იცოდა. ანუ იცოდა, რომ იცოდა. ვამბობდი, რომ მან გააქტიურა წინასწარ მოცემული წარმოდგენები სილამაზის, მშვენიერის შესახებ; ამ წარმოდგენებმა თავი მოიყარეს თეატრში შემთხვევით დანახულ ქალში, ამ ქალზე კრისტალიზდნენ და ამ კრისტალიზაციის დაშლა სენ-ლუს არ ძალუძს. კიდევ ერთი მაგალითი; ამ მაგალითს კირკეგორი მოიხმობს. ძალიან საინტერესოდ მსჯელობს; კირკეგორი საკუთარ თავსა და გარშემომყოფ ადამიანებზე დიდ ექსპერიმენტებს ატარებდა. ზოგჯერ მეტისმეტად ცივი იყო და გონებით მოქმედებდა, მაგრამ ხშირად მისი ცივი ისტერიკის წყალობით, რომლითაც მთელი ცხოვრება გაატარა, მას საგულისხმო დასკვნები გამოჰქონდა თავისი ცხოვრებიდან თუ იმ საგნებიდან, რომლებსაც ეხებოდა. ვის უფრო მეტი შანსი აქვს, რომ ქრისტიანი გახდეს — მას, ვინც მონათლულია თუ მას, ვინც არ არის მონათლული? პროტესტანტული

და კათოლიკური რელიგიების თანახმად, არსებობს ეგრეთ წოდებული კონფირმაცია; თუ არ ვცდები, დაახლოებით 14 წლის ადამიანი ბავშვობაში შესრულებულ ნათლობის აქტს ადასტურებს. ასე ვთქვათ, ნებაყოფლობით (კონფირმაციის აქტს ბავშვი მონათვლის გზით უახლოვდება.). კირკეგორი ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტად მორწმუნეობის უფრო დიდი შანსი აქვს იმ ადამიანებს, რომლებიც მონათლული არ არიან, ვიდრე მათ, ვინც მონათლულია, ვინაიდან მონათლულ ადამიანს აქვს ცოდნა იმის შესახებ, რომ ის მორწმუნეა; ანუ მის გონებაში არსებობს სტერეოტიპი, რომელსაც, როგორც დავრწმუნდით, ცხოვრებისგან ვერ განვასხვავებთ, მხოლოდ არსობრივი, შინაგანი სხვაობაა მათ შორის. ჩვენ ხომ ვიცით, რომ წერტილიდან გარეთ ვერაფერი აღწევს. გარეგნულად ხომ შეუძლებელია ცოცხლის გარჩევა მკვდრისგან. როგორ განვასხვავოთ, ვთქვათ, ფორმალურად ნათქვამი ფრაზა ჭეშმარიტად თქმულისგან, მაგალითად, რელიგიური რწმენის შემთხვევაში, თვით ფრაზის მიხედვით ეს შეუძლებელია. მონათლულ ადამიანს აქვს ცნობიერება, რომ მას მართლა სწამს, რადგანაც გარეგნულ რელიგიურ რიტუალებს ასრულებს. კირკეგორი ამატებს, რომ თითქმის არავითარი შანსი არ არსებობს, რომ ასეთი ადამიანი ქრისტიანი გახდეს. მართალია, გადაჭარბებული და პარადოქსული აზრია, მაგრამ აზრია.

ამ წერტილის კანონზომიერების დახასიათებისთვის კიდევ ერთ მაგალითს მოვიხმობ, წერტილს, რომელსაც სხვადასხვა კუთხით განვიხილავთ და მუდმივად უნდა დავუკავშიროთ გამოღვიძების სახეს. რატომ ვიღებთ გამოღვიძებულ ადამიანს ჩვენი სიტუაციის მაგალითად? იმიტომ, რომ გამოღვიძებულმა არ იცის, რომ ამ წერტილში შეუძლია გააცნობიეროს, რატომ გაიღვიძა მან სწორედ იმ ადამიანად, რომლადაც გაიღვიძა. ალბათ, გესმით, რომ ხელსაყრელი წერტილია. ლევ შესტოვი ამბობდა (უფრო სწორად ცნობილ ჭეშმარიტებას იმეორებდა; სამწუხაროდ, ხშირად როდი იმეორებენ ამას), რომ არსებობს ცალკეული სრულიად „საკუთარი“ ფენომენები, რომლებიც ადამიანს მხოლოდ პირადად შეიძლება ჰქონდეს, ან — შეიგრძნოს. ამგვარი სრულიად „საკუთარი“ ფენომენია სიკვდილი. როცა კვდები, კვდები მხოლოდ შენ თავად, ვერავინ შენს ნაცვლად ვერ მოკვდება, შენც ვერ მოკვდები სხვის ნაცვლად. ეს აბსოლუტურად პირადი და „საკუთარი“ ფენომენია. მეორე ასეთი „საკუთარი“ აქტია გაგება. მხოლოდ შენ თვითონ შეგიძლია გაიგო. შენს ნაცვ-

ლად სხვა ვერ გაიგებს, რაც არ უნდა მოხდეს. გაიხსენეთ უძველესი, სოკრატესეული მითოსი მონა ბიჭზე, რომელიც საკუთარი თავიდან „შობს“ პითაგორას თეორემას. ეს მითოსი გვხვდება იქ, სადაც პლატონს სურს დაამტკიცოს, რომ ცოდნა სინამდვილეში უკვე არსებობს სულში და მხოლოდ მისახვედრი კითხვების საშუალებით ვიხსენებთ მას. პლატონი აიძულებს მონას, რომ თეორემის ცოდნა „დაბადოს“. წარმოიდგინეთ, რომ ცოდნა მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვით გადაეცემა: A, B, C, D ერთმანეთთან მიზეზობრივად არიან დაკავშირებული. D (თქვენი გონება) ჯაჭვის რგოლია და A-ს, B-ს და C-ს გზით, თქვენს გონებაში უნდა გადმოვიდეს ცოდნა. სამყარო კი ისეა მოწყობილი, რომ სწავლების დეტერმინირებული ჯაჭვის უკანასკნელ რგოლსა და თქვენს გონებას შორის ნაპრალია. უწყვეტი გადასვლა შეუძლებელია. ცოდნა თქვენს გონებაში შეიძლება აენთოს მხოლოდ როგორც გაგების პირადი, საკუთარი აქტი. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ. იმას, რასაც შესტოვი ამბობდა, შემიძლია მესამე, სრულიად პირადი აქტი დავუმატო. ეს არის ჩრდილი, წყვდიადი. თითოეულ ჩვენგანს თავისი ჩრდილი აქვს. დანტე – ჩრდილების უდიდეს წრეში. დანტეს ჩვენი სულისთვის დამახასიათებელი შემდეგნაირი კანონი ჰქონდა მხედველობაში: ჩვენს სულში ძალიან დიდი ჩრდილი უნდა არსებობდეს, ჩვენი ვერგაგების ჩრდილი, და მხოლოდ მისგან შეიძლება გაჩნდეს გაგება. მხოლოდ ჩვენი ვერგაგებიდან, მხოლოდ ჩვენი ჩრდილიდან შეიძლება ამოიზარდოს სინათლე. მაშასადამე, სინათლე, რომელიც ამ წერტილისკენ მიემართება, საჭიროებს, რომ მის წინ იქ სინათლე არ ყოფილიყო, იმისთვის, რომ, როგორც ფილოსოფოსები იტყვიან, რედუქცია განხორციელდეს; რომ ყველაფერი, რაც მანამდე იყო, რედუცირდეს. ანუ ნებისმიერი ვარაუდი, წინაპირობა, ყველაფერი, რაც მანამდე შეიძლება ყოფილიყო, დაუშვებელია. მხოლოდ იმ სინათლის შემდეგ და მისგან მომავალი სინათლით (მაპატიეთ ტავტოლოგია) შეიძლება, რაიმე დაიწყოს. წყვდიადი კი გულისხმობს რისკს, ბოლომდე დახარჯვას. საჭიროა დიდი მონდომება, ბოლომდე დახარჯვა, წყვდიადში ამოძრავება ისე, რომ არაფერი იცოდეთ და არც იმას მიიჩნევდეთ, რომ რაიმე იცით. მაშინ, თუკი არსებობს რაიმეს გაგების შანსი, რაღაცას გაიგებთ. რედუცირებული ცოდნა ამ წყვდიადში, უპირველესად, საკუთარი თავის შესახებ რედუცირებული ცოდნაა, იმ გაგებით, რომ საკუთარი „მე“-ს შესახებ წარმოდგენა გვქონდეს. ეს არის ის იდენ-

ტიფიკაცია – გახსოვთ, სენ-ლუზე გეუბნებოდით, მის მამოძრავებელ ძალაზე, საკუთარ თავთან სენ-ლუს შეზრდაზე, ანუ იმაზე, ვისაც, შეიძლება, პატივი სცეთ, – რაც ყველაზე დიდი საშინელებაა, სახიფათოა. იგივე კირკეგორი (უკვე სხვა ტექსტში) ამას მომაკვდინებელ დაავადებას უწოდებდა. რა არის მომაკვდინებელი დაავადება? ცოდნა, წინასწარი ცოდნა, მათ შორის, ჩემი დაბეჯითებითი ცოდნა საკუთარი თავის შესახებ: როგორი ვარ, რა მინდა, რა პირობებში და როგორ შეიძლება მოვიპოვო საკუთარი თავის პატივისცემა. როგორი უნდა იყოს სამყარო, რომელშიც ღირსეულად ვიცხოვრებდი, რომელშიც ჩემი სახე ხორცს შეისხამდა. რადგან სამყარო უნდა მოქმედებდეს ისე, რომ მასში შეეძლოს იცხოვროს ისეთ „მე“-ს, რომლის პატივისცემასაც შევძლებდი. მომაკვდინებელი დაავადება – იმიტომ, რომ ერთგვარი „მე“ თავისთავად მოქმედი მექანიზმის სახით გამოდის.

ასეთივე მომაკვდინებელი დაავადება შეიძლება იყოს ზოგიერთი თვითმოქმედი სოციალური მექანიზმების შესახებ წარმოდგენა ან ცოდნა (იმისგან განსხვავებით, რასაც მხოლოდ თვითონ აკეთებ – შეიმეცნებ თუ კვდები). მაგალითად, ისტორია, ისტორიის მექანიზმი – მომაკვდინებელი დაავადებაა. ჩვენ ხომ ვუშვებთ, რომ არსებობს ისტორიის ერთგვარი მექანიზმი, რომელიც თავისთავად მოძრაობს და გარკვეულ პროცესებს აძლევს დასაბამს. ჩვენ არ გაგვიკეთებია, მაგრამ იქ ხდება, ვინაიდან ჩვენს გვერდით სხვებიც შრომობენ, მათაც შეაქვთ თავიანთი წვლილი. და ეს ყველაფერი მიიწევს სადღაც, ჩვენთვის უხილავ შორეთში ბრუნავს ისტორიის მქნევარა. ან ბორბალი, რატომღაც, რაღაც განგების ძალით და ადამიანისთვის სასარგებლოდ მოძრაობს, თუმცა, ვინ თქვა, ვინ დაადასტურა, რომ ამგვარი ბორბალი ადამიანის საკეთილდღეოდ მოძრაობს? – გაურკვეველია. ზოგჯერ ისტორიის ამ ბორბალს ისტორიის მექანიზმს, პროგრესს უწოდებენ, ბევრ სახელს არქმევენ და ესეც მომაკვდინებელი დაავადებაა. მაშასადამე, ეს არის მექანიზმი, რომელიც თავისთავად მოქმედებს. ჩემი გარკვეული დამოკიდებულება, ჩემი წვლილი რაღაც ნაწილაკია და იქ ყველაფერი ჯამდება. მაგრამ სუმირება ხომ არ ხდება. სწორედ ახლახანს დავრწმუნდით, რომ ცოდნის სუმირება არ არსებობს. იმას, რასაც სენ-ლუ ხედავს, ვერ დავუმატებთ მარსელის ცოდნას (მეცნიერებაში მიღებულია, რომ, ვთქვათ, ერთმა სწავლულმა დადო აგური, მეორემ კიდევ ერთი აგური და ასე აკუმულირდება

ცოდნა. სინამდვილეში კი ასე არ არის. ეს სხვადასხვა ცოდნაა). მაშასადამე, ჩვენ მიერ მოდელად აღებულ სიტუაციაში, ანუ სიტუაციაში, რომელსაც ვამუშავებთ, დანაწევრებულ მატერიას, დანაწევრებულ და დისკრეტულ, არაერთგვაროვან მატერიას ვხვდებით, სადაც შეუძლებელია ურთიერთშეკრება ან ურთიერთდამატება. აი, ახლა მეცნიერულ სიტყვებს ვიყენებ, აბსტრაქტულს, მაგრამ წინამავალი მაგალითები ამის უფლებას მაძლევს; მეორე მხრივ, ახლა უკვე გესმით, რომ, როდესაც ადამიანები ასეთი აბსტრაქტული სიტყვებით საუბრობენ, მათ მხედველობაში საკმაოდ კონკრეტული და ცხოვრებისეული საგნები აქვთ, მათ შორის ისეთებიც, როდესაც მე მომაკვდინებელ დაავადებაზე საუბრისას, მაგალითის სახით, სოციალური მექანიზმების შესახებ წარმოდგენები მოვიხმე. ვინაიდან ვიცი, რომ სოციალური მექანიზმი ასეა მოწყობილი და ამას შემიძლია დავეყრდნო. პირადი კი (ანუ ის, რაც საკუთარი ჩრდილიდან, საკუთარი ვერგაგებიდან მომდინარეობს), არ შეიძლება გადავდოთ ხვალისთვის. ჩვენ უკვე ვიცით ეს კანონი. ამ წერტილს ნათელს ფენს წმინდა იოანეს სხივი. მოდით, ასე ვთქვათ: ეს წერტილი გამონათდა და მისი ხვალინდელი დღისთვის გადადება არ შეიძლება. სამყარო შეუქცევადია და რასაც დღეს ვერ მოვიპოვებთ, ვერც ხვალ მივიღებთ. მეტიც, მოპოვება მხოლოდ შენ შეგიძლია. სხვას ვერ დაეყრდნობი, ვინაიდან მას შენი წყვდიადი არ აქვს, მოპოვება კი მხოლოდ საკუთარი წყვდიადიდან შეიძლება, – ყველას თავისი წყვდიადი აქვს, სხვის მხრებს ვერ დაეყრდნობი. შემიძლია ეს აზრი განვავრცო და ვთქვა, რომ არსებობს რაღაცეები, რაზეც პასუხს მე ვაგებ და არ შემიძლია, რომ ეს ყველაფერი კლასის, პარტიის, საზოგადოების ან ერის ანაბარა დავტოვო. და პირიქით, ის, რაც ერს დაემართება, თითოეული ჩვენგანის მიერ საკუთარ თავზე აღებული ვალდებულების ინტეგრალი იქნება. და ის, რაც მოხდება, ჩვენი სულების მდგომარეობის შესაბამისად, იმ წერტილის კანონზომიერების მიხედვით დალაგდება, რომელზეც ვსაუბრობდი, ვინაიდან ეს წერტილი (ახლა უკვე სხვა სიტყვას გამოვიყენებ) გათანაბრების წერტილია. პრუსტი ასე ამბობდა: მნიშვნელობა არ აქვს, პრინცი ხარ თუ მათხოვარი, – ვერავინ გაგათავისუფლებს სურვილის, ტანჯვის, სიყვარულისა და სიძულვილის აუცილებლობისგან. ნებისმიერი ცივილიზაციის, ან ომის შემთხვევაში, ნებისმიერი ტექნიკური საშუალებების პირობებში, ყოველთვის არსებობს წერტილი, რომელშიც ადამიანები ერთმა-

ნეთს შეებმებიან და იმარჯვებს ის, ვინც გულით უფრო ძლიერია. არსებობს წერტილი, რომელშიც ალბერტინას მიმართ ნებისმიერ ჩემს უპირატესობას (მარსელი მდიდარია, ალბერტინა – ღარიბი, ის მარსელის ხარჯზე ცხოვრობს) აზრი ეკარგება, თუკი ალბერტინას ჯიუტი ნება მოქმედებს. ასეთ დროს ყველაფერი თანაბრდება (სიტყვა „ნება“ – შინაგანი შრომის, ანუ იმის მეტაფორაა, რაც შინაგანი წყვდიადიდან, ამ შემთხვევაში ალბერტინას წყვდიადიდან ამოიზარდა). ვაგრძელებ: ომში (ანუ როდესაც არ არსებობდა ატომური ბომბი. პრუსტი სხვა მაგალითებს მოიხმობდა, მაგრამ შემიძლია ისინი შევცვალო და ატომური ბომბის შესახებ ვისაუბრო), რაც არ უნდა იყოს, როგორი პარაფერნალიებიც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის არსებობს წერტილი, რომელშიც „ერთი ადამიანი შეებმება მეორეს და იმარჯვებს ის, ვინც გულით ძლიერია“[21]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის, რაც მოხდება, შესაბამისი იქნება. მაგალითად, ის, რაც 1921 წელს მოხდა, ჩვენი სულების მდგომარეობის შესაბამისი იყო, დიდი კატასტროფების მიუხედავად. რაც დავთესეთ, ის მოვიმკეთ, დიდმა კატასტროფებმა ჩვენ დიდები ვერ გაგვხადა, ვერ გაგვზარდა. სხვათა შორის, პრუსტი არაერთხელ გაიმეორებს, რომ პოეტი, რომელიც დიდ მოვლენებს ადევნებს თვალს, მხოლოდ ამის გამო ვერ გახდება დიდი პოეტი.[22] რატომ ხდება ასე? უბრალოდ, იმიტომ, რომ არსებობს, აი, ეს წერტილი. მას პირობითად **ბუნიობის წერტილი** ვუწოდოთ. ეს ჩვენი ადგილის, ჩვენი ცნობიერების, ან ტოპოსის კიდევ ერთი თავისებურებაა. უკვე გითხარით, რომ ყველგან დანტესეულ სახეებს ვხვდებით. გეტყვით, რომ დანტესთან ამ ცარიელი წერტილისთვის ძალიან კარგ სიტყვათშეთანხმებას ვაწყდებით (წარმოიდგინეთ ცარიელი, მაგრამ დაძაბული წერტილი. ის ხომ დაძაბულია – მასში არაფერი აღწევს და არც იქედან გამოდის რაიმე, მაგრამ იქ არის ცნობიერება, ცნობიერების ინტენსივობა). „ღვთაებრივ კომედიაში“ აღწერილია წარმოსახვითი მოგზაურობა და იქ არის შემობრუნების წერტილი, სადაც დანტე და ვერგილიუსი კვლავ უბრუნდებიან მიწის ზედაპირს, ოღონდ ისე, რომ დაბრუნებისას მათ თავზე სხვა ცა არის და ეს შემობრუნება ბუნიობის წერტილში ხდება: „ჩვენ შემოვბრუნდით წერტილში, სადაც მოხდა ყველანაირი

[21] Fug. – გვ. 504.

[22] იხ.: S.G. – გვ. 756; T.R. – გვ. 918.

სიმძიმის თანხვედრა“[23]. აი, წარმოიდგინეთ, ერთ წერტილში თავმოყრილი მთელი დედამიწის, მთელი სამყაროს კონცენტრირება. სამყაროს ამგვარი მძიმე, ცარიელი წერტილი. ცარიელი იმიტომ, რომ მასში არ უნდა იყოს ჩვენი ცოდნა – წინასწარი ცოდნა. ფაქტობრივად, სწორედ ამ წერტილიდან აითვლება სამყაროსთან მიმართების დამყარების უნარი, ანუ ის, რასაც გრძნობების აღზრდა ვუწოდე. ეს არის სამყაროს ხედვის უნარი, რომლის თანახმადაც სამყაროს ჩვენ მიმართ არავითარი განზრახვა არ ამოძრავებს და უპირველესად ვხედავთ იმას, რაც ჩვენგან ამოიზრდება (და არა იმიტომ, რომ სამყარო გარკვეულად არის განწყობილი ჩვენს მიმართ). ასე რომ, ამ წერტილს, სიცარიელეს, პრუსტი კიდევ ერთი სიტყვით ახასიათებს და ეს აღზრდის ანტიინფანტილიზმის თემისთვის მნიშვნელოვანია; ეს გახლავთ შეუცნობელი, ან უცხო წერტილი. პრუსტს ღრმად სწამდა, რომ ნებისმიერ ადამიანშია ხელოვანი, – არა იმ გაგებით, რომ თითოეულ ადამიანს შეუძლია ხატოს და ა.შ. არა, მას მხედველობაში ჰქონდა შინაგანი შრომა, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში აუცილებელია და ყველა ამ საქმითაა დაკავებული, თუკი ის ცოცხლობს, მაგრამ, რასაკვირველია, ყველა როდი ცოცხლობს...

[23] „მაგრამ იმ წერტილში შემოვბრუნდი, სადაც მთელ სიმძიმეთა ტვირთმა თავი მოიყარა“. (Данте Алигьери. Божественная комедия, Ад, XXXIV, გვ. 154).

ლექცია 5

განეწყვეთ იმისთვის, რომ ჩვენი ორმაგი ვარსკვლავი (რომელზეც ვსაუბრობდი), ანუ შთაბეჭდილება, რომელიღაც შთაბეჭდილების ნათელი წერტილი (ჯერ არ ვიცით, რომლის) და წერტილი, რომელშიც ვიმყოფებოდით (მას შეუვალი ვუწოდე, ანუ ისეთი, რომელშიც გარედან ვერაფერი აღწევს), – ორმაგი ვარსკვლავია, რომელიც სინამდვილეში რაღაც პატარა ნათელი წერტილია სამყაროს სრულიად ბნელ უფსკრულებში. ეს არის ძალიან მკრთალი სინათლით განათებული უმცირესი წერტილი. ეს სახე, ალბათ, ყველაზე მეტად უხდება იმას, რასაც ადამიანურ ხვედრს, ან როგორც ფრანგები იტყვიან, condition humaine-ს ვუწოდებთ. პატარა წერტილი, ისეთივე პატარა, როგორც ტბა, რომელიც კლდეებს შორის გამოკრთა, – დასახატავად კი უკვე გვიანია, დაღამდა. ან ისეთივე პატარა, როგორც ქრისტეს სიტყვები: „იარეთ, სანამ გინათებთ, რათა არ მოგიცვათ ბნელმა: ვინაიდან ბნელში მოარულმა არ იცის, საით მიდის“. (ამ სიტყვებს, მთელი თავისი გარეგნულად ცხადი ხატოვნებით, ჩვენი სამშვინველის, ჩვენი სულის სიცოცხლისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს; ეს ჩვენი სულის რაღაც ღრმა მეტაფორებია; მომავალში, კიდევ ათასი წლის შემდეგ, რაც არ უნდა მოვიფიქროთ, თუკი ვინმე ადამიანის სულში ჩაიხედავს, იმავე მეტაფორებს იპოვის, ანუ იძულებული გახდება, დაახლოებით სახარებისეული სიტყვებით გამოთქვას ის, რასაც გრძნობს და რაც ბევრ სხვა ტექსტშიცაა.). ეს წერტილი უნდა გავაფართოვოთ, ვინაიდან მასში საკუთარი ადგილი უნდა მოვიპოვოთ შრომით, მუშაობით. მუშაობა აუცილებელია. ხელიდან არ უნდა გავუშვათ შთაბეჭდილება, ხელიდან არ უნდა გავუშვათ ელვა, უნდა წავიკითხოთ ელვის სინტაქსი – ფორმა. კანონი. კანონი რაღაცას გვეუბნება, ჩვენ ამას ვგრძნობთ; ყველაზე მნიშვნელოვანი შთაბეჭდილებები არის ის, რომლებიც (თუკი დავადგენთ, ამ მნიშვნელოვანი შთაბეჭდილებების დროს რას ვგრძნობთ) რაღა-

ცას გვეუბნებიან, ან გვიმზერენ. შემთხვევითი არ არის, რომ ბევრ მითოლოგიაში გვხვდება მზის დამაბრმავებლად მკვეთრი სინათლე, შუქი, მაგრამ მისი წაკითხვა, სიმბოლოს გაგება შეუძლებელია. პრუსტი ძველ კელტურ გადმოცემებზე საუბრობს, სადაც სამყარო, ხეები და ა.შ. სულებითაა დასახლებული, რომლებსაც სურთ რაღაც გვაცნობონ და მათი სიცოცხლე, ანუ გაცოცხლება, დამოკიდებულია იმაზე, მოვახერხებთ თუ არა მათი სიტყვის წაკითხვას.[1] ეს არის ჩვენდამი მომართული სიტყვა, რომელიც ჩვენ მიერ გაწეული გაშიფვრის შრომის გარეშე არ არსებობს. ამგვარ შთაბეჭდილებებს, პირობითად, **მოწოდების** შთაბეჭდილებები (впечатления призвания), ან გამოხმაურების შთაბეჭდილებები ვუწოდოთ. ჩვენ გვეხმაურება რაღაც უცნობი და გაუგებარი და, ამავე დროს, ვიცით, რომ ეს უცნობი დაიღუპება (არადა, ცოდოა!), თუკი ვერ გავშიფრავთ მას. ასეთი შთაბეჭდილებები შეიძლება აღგვიძრან ადამიანებმა, სახეებმა, ადგილებმა; ამ შთაბეჭდილებების კატეგორია, ინტუიციის დონეზე, საკმაოდ ცხადი გვეჩვენება, მაგრამ მისი განსაზღვრა, რასაკვირველია, შეუძლებელია. ამგვარი შთაბეჭდილების ფორმალური განსაზღვრება ჩემთვის შეუძლებელია, სხვებისგან განსხვავებით. შემიძლია, მხოლოდ ხელახლა მიგითითოთ საკუთარი ცხოვრების შეგრძნების თქვენეულ გამოცდილებაზე. დანტესეულ სახეს მოვიხმობ – ჯოჯოხეთში თვითმკვლელების სულებია. ვინ არის თვითმკვლელი? ადამიანი, რომელმაც ძალის გამოყენებით, ერთმანეთისგან დააცალკევა სული და სხეული. და დასჯის სახით, მისი სული რაღაც სხვა მატერიალურ საგანში ჩასახლდა, ვთქვათ, ხეებში. დანტესთან ხეთა სულები (რომელთა ტოტებიც, თითქოს, სულის გამოძახილის თითებია, რომლებიც ხელს გვავლებენ, თუკი შეიძლება, რომ სულის გამოძახილის თითები არსებობდნენ, სურათის პლასტიკა ამგვარი წარმოდგენის საშუალებას გვაძლევს) გოდებით გვევედრებიან, რომ მოვუსმინოთ მათ. სხვათა შორის, ჩვენთვის მნიშვნელოვანი შთაბეჭდილებები ყოველთვის მათთვის არაადეკვატურ მატერიაში თავსდება. ხეში ჩასახლებული სული, რომელსაც ჩვენთვის რაღაცის გაზიარება სურს, არ არის ტოტები, არ არის ის, რასაც ხედ აღვიქვამთ. მოსაუბრის მატერიას (სული ხომ ჩვენკენ გამოწვდილი ტოტებით, ფოთლების შრიალით გვესაუბრება) საუბრის შინაარსთან არავითა-

[1] Sw. – გვ. 44.

რი საერთო არა აქვს. შთაბეჭდილებები მათთვის უცხო მატერიალურ გარსშია მოთავსებული, რომელიც, სწორედ მისი განსხვავებულობის გამო, გვაიძულებს, რომ, თუკი ზარმაცები ვართ და გვეშინია, ჩვენი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი შთაბეჭდილებების გაშიფვრა არ დავიწყოთ. იმის გაშიფვრა, რასაც კონკრეტულად ჩვენკენ მომართული უცნობი ხმა გვეუბნებოდა. რა გაგებით? ჩვენ ხომ მტკიცედ ვგრძნობთ, რომ ჩვენზეა დამოკიდებული სულის ცხოვრება, რომელიც ხეში ჩასახლებულა და მოგვმართავს?! თუკი ვერაფერს გავიგებ, ვერ გავშიფრავ, ის საბოლოოდ გადაინაცვლებს არყოფნაში. ამიტომაც გარკვეული ზნეობრივი ვალდებულება, ადამიანური გარკვეულობის ვალდებულება ჩვენს მხრებზეა. რა გზით? შთაბეჭდილებების საშუალებით. პრუსტისთვის ამგვარ შთაბეჭდილებად იქცა ნამცხვარი „მადლენი“ – გაბერილი, აფუებული ნამცხვარი. პრუსტს ეყო გამბედაობა და სულიერი სიმამაცე, რომ ეს ხმა გაეგო, შეჩერებულიყო და, შრომის შეუწყვეტლად, ისე, რომ ხვალინდელი დღისთვის არ გადაედო, საკუთარი წარსული ამ ნამცხვრიდან, მისი ხმიდან, მისი დაძახებიდან აღედგინა.

შეწყვეტილ ფრაზას ვუბრუნდები – პატარა წერტილს ჩვენ თვითონ ვავრცობთ უცნობი, ან *უცხო* მიმართულებით. უკვე გითხარით, რომ პრუსტის რომანი, გარკვეულწილად, ტოპოგრაფიული რომანია, თვალნათელი ტოპოგრაფიაა. აი, მაგალითად, ბავშვისთვის არსებობს გარკვეული იდუმალი მხარე, რომელსაც სვანის მხარე ეწოდება, – პირობითად მას ფრანგი ერის საშუალო კლასის წარმომადგენელთა ბურჟუაზიული, მოწესრიგებული, რესპექტაბელური ყოფის ქვეყანა ვუწოდოთ. სწორედ ამ წრეს ეკუთვნის დაბადებიდან რომანის გმირიც. ეს არის იდუმალი, მაცდური ქვეყანა, მართალია ბურჟუაზიული, მაგრამ მაინც იდუმალი. არსებობს სხვა, გერმანტების მხარეც. ეს არის არისტოკრატების ქვეყანა, რომელიც განთქმულია იმ ადამიანთა სახელებით, რომლებიც საფრანგეთის მთელ ისტორიას აერთიანებს. ეს სახელები პატარა ბიჭისთვის, რომელიც ცხოვრებაში იმ ლეგენდების სამყაროდან იღვიძებს, რომლებშიც ამ სახელებს გასაოცარი დატვირთვა აქვთ, სულის მთელ მუსიკას ქმნის. ანალოგიური გამოცდილება გვქონდა ჩვენც; ჩვენს მეხსიერებაში არსებული საქართველოს გამოცდილება. და რა არის მასში? რა თქმა უნდა, ლეგენდები, ყველაზე ხშირად არისტოკრატთა ხმლებისა და სახელების ჟღარუნი. ეს პრუსტისთვისაც და ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი

თემაა, ვინაიდან ჩნდება კითხვა: რამდენად ცოცხალია ეს გამოცდილება და ცარიელი ხომ არ არის ის? იქნებ, მხოლოდ ჩვენს წარმოსახვაში ესხმება ხორცი მას? შესაძლოა, ისინი, თავისთავად, ცარიელია და არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ და ჩვენ მხოლოდ კანკალით დავდევთ ამ სახელებს, რომლებიც ჩვენივე ილუზიის ნაყოფია (ამავე დროს, სახელებით შეცდომაში შესვლის თემა შემოვიტანე). მაგალითად, საიდუმლო კუნძულის ტოპოგრაფია, სამყარო, როგორც საიდუმლო კუნძული: მარჯვნივ – სვანის მხარე, მარცხნივ – გერმანტების მხარე. სამყაროს გათავისება, ანუ ახალგაზრდა კაცის ზრდა ამ მხარეებში მოძრაობის გზით ხდება. ის ითვისებს სვანის მხარეს, იქ კი მისთვის ნაღმია გამზადებული (რომელიც, თუკი ფეხს დააბიჯებს, მოულოდნელად აფეთქდება) – ოდეტისადმი სვანის სიყვარულის არქეტიპი. ოდეტი ჩვენი ახალგაზრდა გმირისთვის სიყვარულის პირველსახედ იქცევა. მას ალბერტინაც და სხვებიც ისე ეყვარება, როგორც სვანს უყვარდა თავისი ოდეტი. ანუ ბედისწერა ამ სივრცეშია. მეორე მხრივ, გერმანტების გვარი, რომლებსაც უკავშირდება საფრანგეთის იდუმალი და გმირული, სახელოვანი ისტორია, რომელიც ამ ჰერცოგებისა და ბარონების გვარებშია აღბეჭდილი. ამ სახელების გაშიფვრას დაიწყებს ჩვენი გმირი სალონებში სიარულით, იმედგაცრუებებით, აღმოჩენებით და ეს ნაწილი ჰერცოგის ასულ გერმანტთან მეჯლისით დასრულდება (ეს მეჯლისი რომანის ორ ასეულ გვერდს დაიკავებს; პრუსტი თხრობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის პრინციპს არ იცავდა: გადახვევები, სხვა ეპოქებში დაბრუნებები და ა.შ., მაგრამ ფორმალურად ეს თემა დაახლოებით 200 გვერდზე ვრცელდება)[2]. ამ მეჯლისს შეგვიძლია „თავის ქალების მეჯლისი“, მოჩვენებათა მეჯლისი ვუწოდოთ, რომელზეც, მუსიკის ნაცვლად, ავტორის მახვილი სმენა ადამიანთა სხეულების გახევებული ნაწილების ჭრიალს დაიჭერს. სხეულები, თითქოსდა, ხორცისაა და ხისმაგვარ ხმას არ უნდა გამოსცემდნენ, მაგრამ ყველაფერი გაქვავებულია, მკვდარია. მხოლოდ მას, ვინც თავს იტყუებს, სხეული ცოცხალი ეჩვენება; დამკვირვებლისთვის კი სხეული ჭრიალებს, თითქოს ადამიანები გახევებული ნაწილებით ცდილობენ ადამიანური მიმიკის, ადამიანური მდგომარეობების, გრძნობებისა და ა.შ. გამოთქმას. მიცვალებულების, ან „თავის

[2] T.R. – გვ. 972 – 1048.

ქალების“ მეჯლისი, რომელზეც დროის დამანგრეველი ნაკვალევია აღბეჭდილი. მაგრამ ეს სიმფონიის, ასე ვთქვათ, ფინალური შტრიხებია, რომლებსაც პრუსტი გერმანტების მხარის წარმოსაჩენად აკეთებს რომანის დასასრულს.

მაგრამ გეუბნებოდით, რომ ნაყოფიერი სულის ჭეშმარიტი მოძრაობა, რომლის წყალობითაც შესაძლებელია სვანის ან გერმანტების მხარეს სხვა ილუზორული მოძრაობების დაშლა ან კორეგირება, ჭეშმარიტი მოძრაობა, სხვა მხარესაა. ეს არის უცნობ, ან *სხვა* მხარეს მოძრაობა. ვამბობ სიტყვას „უცნობი“ და მაშინვე ჩვეული ასოციაცია ჩნდება: უცნობია ის, რაც არ ვიცით და, თუკი წიგნებს ან სახელმძღვანელოებს ჩავუჯდებით, გავიგებთ. ან – უცნობია გარკვეული ამოცანა, რომელიც უნდა ამოვხსნათ. უცნობიდან ფესვის ამოღება; მაგალითად, X-ის ფესვი მათემატიკაში. სხვათა შორის, პრუსტი ასევე იყენებდა ამ გამოთქმებს, მაგრამ ის ფესვს იღებდა უცნობი სახიდან – რახილის თეთრი ლაქა, რომელზეც გეუბნებოდით. მიდი და ამოიღე რაციონალური ფესვი უცნობიდან. ამიტომაც ვიღებთ მოჩვენებით და ირაციონალურ მნიშვნელობებს; შემთხვევით არ ვამბობ ამ, თითქოსდა, უწყინარ ფრაზებს; შემთხვევით არც მათემატიკასთან პიჟონურ ანალოგიებს არ მოვიხმობ; სინამდვილეში მე-20 საუკუნის ხელოვნებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა შემომაქვს. ვთქვათ, როგორც მოგეხსენებათ, – 1-დან კვადრატული ფესვის პრობლემა არსებობს და ეს საკითხი პრუსტთანაც გამოკრთა. პრუსტს დაჟინებით არ დაუსვამს ეს პრობლემა. მუზილი კი დაჟინებით განიხილავს ამ საკითხს. მისი მთელი წიგნი („ტერლესის სიყმაწვილე“) რაციონალურის წიაღში ირაციონალური ხმაურის საკითხის გამო ახალგაზრდა ბიჭის ტანჯვას ეძღვნება, როდესაც ზოგიერთი საგნიდან რაციონალური ოპერაციის გზით შეუძლებელია ფესვის ამოღება, რომლის შედეგიც თვითონ ნამდვილი რიცხვი იქნებოდა. პრუსტი კი ამას სასხვათაშორისოდ აკეთებს. ვთქვათ, რახილის თეთრი ლაქიდან, უცნობიდან იღებს ფესვს. მაგრამ უცნობი არ არის ის, რაც დღეს არ ვიცით და ხვალ შეგვიძლია გავიგოთ. მას აქ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს – უცნობის მხარე. ახლა შევეცდები, ეს საკითხი სხვა ასოციაციებით „წარმოვადგინო“, რომ გასაგები გახდეს: უცნობის მიმართულებით მოძრაობა ჩვენს ზრდას, ანუ ჩვენს გზას უკავშირდება და ამ გზით ვვითარდებით, როგორც პიროვნებები. მაშინ ცოტას გავითამაშებ: ამ სიტყვას ინფანტილიზ-

მის თემასთან დაკავშირების გზით განვმარტავ; ინფანტილიზმთან, როგორც საკუთარ თავთან მთელი სამყაროს კონცენტრაციასთან, როდესაც ვუშვებთ, რომ სამყაროში ყველაფერი იმისთვის ხდება, რომ გავიხაროთ, ან – გვეწყინოს. გარკვეულწილად, უკვე საპირისპირო შეხედულება შემოგთავაზეთ, რომელსაც პირობითად ზრდასრულის შეხედულება ვუწოდოთ. ზრდასრული შეხედულება, რომელიც მოითხოვს სულიერ სიმამაცეს, იმის აღიარებას, რომ სამყაროში ყველაფერი თავისთავად ხდება. ჩვენთან მიმართებით მათ არ გააჩნიათ ინტენციები. ის ინტენციები კი, რომლებიც მათ აქვთ, ჩვენ მივაწერეთ. გახსოვთ, კარადა – ბოროტ კარადაზე ვსაუბრობდი, და გემრიელი ნამცხვარი „მადლენი". აი, აქ არსებითი მნიშვნელობების პირისპირ აღმოვჩნდებით, რომლებიც ნაღმებივით ფეთქდება. აი, ვთქვათ, ვთქვი: „გემრიელი ნამცხვარი", როცა გამახარა ნამცხვრის დანახვამ (სხვათა შორის, არც თუ ისე მისაწვდომ საგნებზე ვსაუბრობ; მოდით, შევეცადოთ, ერთად ვიმუშავოთ, ვინაიდან იმის ზღვარზე ვართ, რისი გაგებაც საერთოდ შესაძლებელია. ცოდნის რაიმე მზა სისტემას არ გთავაზობთ. იმ საგნებში, რომლებზეც ვსაუბრობ, ცოდნა, უბრალოდ, არ არსებობს და არც არასდროს იარსებებს. ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, აზროვნების სტილის დონეზეა. ეს გახლავთ ერთგვარი უნარი – რაიმეს ჭვრეტა ზუსტად ასე და არა სხვაგვარად, – რომლის ფორმალური კოდირება ან სხვებისთვის გადაცემა შეუძლებელია.) აღვნიშნე, რომ შთაბეჭდილება მივიღე ნამცხვრისგან (ამ პრუსტისეულ მაგალითს საგანგებოდ მოვიხმობ); აბა, რას ფიქრობთ? როგორ მოგწონთ? გემრიელია. გამიხარდა. რას ვაკეთებ, თუკი ინფანტილური, ან, უბრალოდ, ადამიანი ვარ? კიდევ მინდა ნამცხვარი, კიდევ და ა.შ. მაშინვე ცხადი ხდება (თუკი ჩემს შეგრძნებას, ცნობიერი ცხოვრების არსებით სტრუქტურას, ფსევდომეცნიერულ ენაზე გადავიყვანთ), რომ უკვე სირბილის უსასრულობაში ვარ ჩართული. ისეთი გარემო მჭირდება, სადაც სულ უფრო მეტი ნამცხვარი – ანუ კარგი რამ მექნება. ცუდ კარადას კი გავექცევი ან დავარტყამ. ქსერქსემ ხომ გაამათრახა ზღვა. ზღვა აღელდა (ადამიანის ენაზე ამას ქარიშხალი ეწოდება) და ხომალდები ჩაძირა. ქსერქსე ძალიან გაბრაზდა და გაამათრახა. სასაცილო საქციელია. რამდენ ასეთ საქციელს ჩავდივართ ჩვენც. მაშასადამე, ჩვენი სულიერი ცხოვრების ფუნდამენტური გადაბმულობების გარშემო ვტრიალებთ, რაც გარეგნულად ძალიან უბრალო საგნებითაა

გამოხატული. ნამცხვარი შეჭამა და შთაბეჭდილებებში ჩაიძირა. ჩაძირვაც ხომ შეიძლება, იმ გაგებით, რომ კიდევ მოინდომო ნამცხვრის შეჭმა და ის, რომ ირგვლივ სულ ნამცხვრები გქონდეს.

ასე რომ, ერთ ხულიგნურ მაგალითს მოვიხმობ. მასში სიტყვა „მხარე“ გვხვდება და ამიტომაც შემეძლება, რომ სიტყვების თანაჟღერადობის, კონსონანსების, ალიტერაციების გზით მაინც, გარკვეული მნიშვნელობებს მიგანიშნოთ. სხვა გზა არ გვაქვს. რუსულ ენაზე არის ერთი მოთხრობა, რომელიც რამდენიმე წლის წინ გამოვიდა. მანქანაზე გადაბეჭდილი სახით, ძალიან დიდხანს ვრცელდებოდა მოსკოვში, მერე ფრანგულ გამომცემლობაში მოხვდა და თარგმნეს კიდეც ასეთი სათაურით: „არყით მთვრალი მოსკოვი“. უფრო ზუსტი თარგმანი ასეთია: „არყის ორთქლით დაბურული მოსკოვი“. სინამდვილეში კი ამ პატარა წიგნს „მოსკოვი-პეტუშკი“ ჰქვია და მისი ავტორია ვენედიქტ ეროფეევი. მან აღწერა იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელიც ვერაფრით აღწევს კურსკის სადგურამდე, საიდანაც გამოდიოდა ელექტრომატარებელი და „პეტუშკისკენ“ მიდიოდა, უბრალოდ, იმიტომ, რომ გზად და თვითონ სადგურზე ძალიან ბევრი დუქანი ხვდებოდა. როდესაც ბოლოს და ბოლოს დანიშნულების ადგილამდე მიაღწევს, ელექტრომატარებელში თავისნაირ მთვრალ მაწანწალებთან ერთად მოგზაურობს და ყველაფერი, მთელი სამყარო ამ თვალთახედვითაა დანახული, თავზეხელაღებულად და იუმორისტულად. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ავტორი ალკოჰოლიკის საუკეთესო სასმელების მენიუს ჩამოთვლის. აქ, რა თქმა უნდა, თვითნაკეთი ალკოჰოლური სასმელების ფანტასტიკურ პრეისკურანტს ვხვდებით, ვინაიდან ლოთები, მოგეხსენებათ, ხშირად იმას არ სვამენ, რაც მაღაზიებში იყიდება. თან, ხშირ შემთხვევაში, მაღაზიები ყოველთვის დაკეტილი აღმოჩნდება ხოლმე სწორედ იმ დროს, როდესაც დალევა გინდა, დალევით კი, ვთქვათ, კბილის პასტის და კიდევ რაღაც ნივთიერების ნარევს სვამენ. მოთხრობაში გასაოცარი რეცეპტებია წარმოდგენილი. ერთ-ერთ ასეთ კოქტეილს „კომკავშირელი გოგონას ცრემლები“ ჰქვია, რომელიც კრისტალურად გამჭვირვალე სასმელია. და „კომკავშირელი გოგონას ცრემლების“ მოყვარული ორი ადამიანი ზის, ისინი უკვე გრადუსში არიან. როგორც საერთოდ ხდება ხოლმე რუსეთში, პირველი სირჩის შემდეგ, ნებისმიერი საუბარი ურთიერთობების გარკვევაში გადადის: პატივს მცემ თუ არა და ა.შ. მერე თანამოსაუბრეები ერთ დიდებულ თემაზე

გადადიან და კლასიკურ კითხვას სვამენ: პირინეის რომელ მხარეს უფრო დიდ პატივს სცემენ რუსებს? ვიმეორებ, პირინეის რომელ მხარეს – ვინ ფიქრობს პირინეებზე ამაზე? – ამა თუ იმ მხარეს. როგორ გგონია, პირინეის რომელ მხარეს უფრო პატივს სცემენ რუსებს? ეს დაახლოებით იგივეა, პრუსტი რომ დაფიქრებულიყო: ბალის ჭიშკრის რომელი მხარეა კომბრეში (მარსელის ოჯახის აგარაკი) არსებული ჭიშკარი – ჩვენი ავტორის თუ ჩვენი გმირის მთელი სულიერი ცხოვრებისთვის მრავალმნიშვნელოვანი, რადგანაც, როდესაც ზარი რეკავდა, ეს ნიშნავდა, რომ სვანი, რომელიც ხშირად მოდიოდა ხოლმე სტუმრად, წავიდა. მარსელის დედას კი შეეძლო ასულიყო მის ოთახში და ძილის წინ მისთვის ეკოცნა. ამ კოცნის გარეშე ის ვერ იძინებდა. წარმოიდგინეთ, ის რომ არ გაზრდილიყო და ასეთ რამეზე ეფიქრა ხოლმე: ჭიშკრის რომელ მხარეს – სვანის მხარეს თუ გერმანტების მხარეს – უფრო უყვარდათ ის? მაშასადამე, ის, რასაც ზრდას, ან მამაკაცურ თუ ზრდასრულ (ან რომელი სიტყვაც გნებავთ) თვალსაზრისს ვუწოდებთ, სამყაროს სრულიად განსხვავებული ხედვაა. ამ ხედვის თანახმად, სამყაროში არ არსებობს ისეთი მოვლენები, რომელთა შესახებაც შეიძლება ვიკითხოთ: რომელ მხარეს უფრო ვუყვარვართ, ამ მხარეს, თუ იმ მხარეს. კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ინფანტილურ, ფართო გაგებით რუსულ სულში ამგვარ ბავშვურ კითხვებს შემზარავად დიდი ადგილი უკავია.

ასე რომ, ახლა, ამ კონტექსტში უნდა ვისაუბროთ უცნობზე, ან *სხვაზე. სხვას*, ან უცნობს ვუწოდებთ იმას, რაც არასდროსაა ის, რასაც ვფიქრობთ. ის, რაც ყოველთვის სხვაა და ჩვენი წარმოდგენებისგან განსხვავდება, არის უცნობი. მართალია, სიტყვაში „უცნობი“ ჩადებულია სხვა, მამაკაცური თუ ზრდასრული მნიშვნელობა. ადამიანი, ცხოველისგან განსხვავებით, არის არსება, რომელიც დაკავშირებულია უცნობთან ან ძიებასთან, უცნობი მიმართულებით მოძრაობასთან. ცხოველისთვის ასეთი რამ არ არსებობს. მხოლოდ ადამიანისთვის არსებობს უცნობი. თან იმიტომ, რომ ადამიანს იმთავითვე არავითარი საზომი არ ეძლევა. არ არსებობს არავითარი საზომი, რომლის მიხედვითაც განვსაზღვრავდით, რომ, აი, ეს არის ადამიანი. ადამიანი საკუთარ თავს აღმოაჩენს განუზომლისკენ მოძრაობაში და, შესაბამისად, მხოლოდ ამგვარი მოძრაობის პროდუქტებია ესა თუ ის სამყაროები, რომლებიც მუდამ იცვლება. ადამიანში

ყველაზე ლამაზი სანახაობაა, როდესაც იგი იმ ზღვრამდე მიდის, რისი შესაძლებლობაც აქვს ზოგადად ადამიანს. რადგანაც საზღვარი თავიდანვე უცნობია, საკუთარი თავი რისკის წინაშე უნდა დააყენო და იარო. ამიტომაც „ღვთაებრივ კომედიაში“ ოდისევსი (ჩვენს ცნობიერებაში, უფრო სწორად, ჩვენი ცნობიერების სიმბოლოთა ლექსიკონში ოდისევსი ფიგურირებს, როგორც ადამიანი, რომელიც შეპყრობილი იყო, ერთ ადგილას ვერ ისვენებდა და ყოველთვის უნდოდა ენახა ის, რაც არასდროს ენახა, რაც უცნობი იყო) დანტეს წინაშე (რომელსაც ვერგილიუსი ახლავს) ცეცხლის ღრუბელში ჩნდება (ყურადღება მიაქციეთ, მატერიის თვალსაზრისით, როგორ იგება ჩვენი ცნობიერება, ანუ ის, რისი თქმაც გვინდა. სიტყვები არ გვაქვს, მაგრამ გვაქვს სახე – ცეცხლი. ცეცხლს ხომ არ აქვს კონკრეტული მოცულობა, ხომ ვერ იტყვით, რომ ცეცხლს გარკვეული ადგილი, მოცულობა უკავია, – მას მოძრავი მოცულობა უჭირავს. ცეცხლის ალს არ აქვს მატერია. როგორია ცეცხლის ალის სუბსტანცია? აქამდე სხვა, „მეცნიერული“ სიტყვებით ვსაუბრობდი: ადამიანს არ გააჩნია წინასწარ მოცემული საზომი. ეს ფრაზა, შესაძლოა, გაურკვეველი ან ფსევდომეცნიერული ჩანდა. რატომ? შეგვიძლია სხვა სიტყვებით ვისაუბროთ; მხოლოდ, რა თქმა უნდა, როცა ცეცხლის ალს გაჩვენებთ, სურათი გასაგები ხდება, მაგრამ მნიშვნელობა ყოველთვის გასაგები არ არის. იმიტომ, რომ, ვიმეორებ, სურათი მეტისმეტად ლამაზია). მაშასადამე, შემთხვევითი არ არის, რომ ოდისევსი, ანუ მოძრავი თუ მოუხელთებელი ადამიანური არსი, რომელიც არასდროს იღებს საბოლოო ფორმას, დანტეს წიგნიერი სულისთვის ცეცხლის სახით წარმოჩნდება. და ამ ცეცხლოვანი ღრუბლიდან ესმის ხმა (მისდამი, დანტესადმი მიმართული), რომელიც საკუთარი თავგადასავლების შესახებ ყვება, მათ შორის ისეთ თავგადასავლებსაც, რომლებიც „ოდისეაში“ არ შესულა (დანტეს კი აინტერესებს, რა ხდებოდა ამ ადამიანის ცხოვრებაში მას შემდეგ, ვინაიდან, ცხადია, ის ვერ დარჩებოდა პენელოპესთან). და ის ამბობს[3]: „სწორედ მზის ჩასვლამდე ჰერკულესის სვეტებს მივაღწიეთ...“ – ჰერკულესის სვეტები, ამ გეოგრაფიის მიხედვით, დასავლეთითაა (ლათინურ ენაში oriente და occidente – არის ამომავალი

[3] „როდესაც იმ შორეულ მხარეს სრუტეს მივაღწიეთ, სადაც ჰერკულესმა თავისი საზღვრები აღმართა...“ (Данте Алигьери. Божественная комедия. გვ. 119).

მზის ქვეყნის და ჩამავალი მზის ქვეყნის ალიტერაცია; არის მასში გარკვეული ხატოვნება, ეს მხოლოდ გეოგრაფია, მხოლოდ ქვეყნის მხარე როდია). გაგების მთელი ჩვენი ხელოვნება სინამდვილეში, ისევ ვაწყვეტინებ საკუთარ თავს, ცნობის ხელოვნებაა. აი, ვთქვი: სწორედ მზის ჩასვლამდე. ისევ ჩვენი შესაძლებლობების ან სიმბოლოების მოცემული ნაკრებით ვსაუბრობთ. გახსოვთ: მზის ჩასვლამდე მხატვარი მიდიოდა მთებში და მთებს შორის ნაპრალებში კრთებოდა ტბა. სანამ გამოკრთებოდა ხოლმე, შეიძლებოდა მისი დახატვა. მაგრამ მზე ჩავიდა და ხატვა შეუძლებელი გახდა. ახლა სრულიად სხვა მაგალითს მოვიხმობ, არცერთი მათგანი არ არის მეორის ციტირება. ოდისევსი ამბობს: „ნუთუ ჩვენი გრძნობების სიფხიზლის ამ უმნიშვნელო ნაპრალს მიღმა, რომელიც შემოგვრჩა, ვერასდროს გავალთ და ვერ დავინახავთ მიწას, რომელზეც ხორციელს არასდროს დაუდგამს ფეხი“[4]. ანუ რაღაცას ვერ დავინახავთ პირველი შეხედვით.

აი, არსებობს რაღაც უცნობი, რასაც პირველივე დანახვისას ვხედავთ. ეს არის არა რაღაც აღმოჩენა, არამედ რაღაც ინდივიდუალური, რომელიც მხოლოდ ამ პირველ დანახვაში არსებობს და რასაც, საზოგადოდ, ცოდნის გზით ვერ მოვიპოვებთ. ეს, დაახლოებით, სახის გახსენებას ჰგავს. რით ხასიათდება სახის გახსენება? (ახლა გვარებზე არ ვსაუბრობ, ეს ლიტერატურის კლასიკური პრობლემაა; მაგალითად, ჩეხოვის მოთხრობაში „ცხენური გვარი“). სახე იმის კლასიკური მაგალითია, რისი ცოდნაც შეუძლებელია. ამ ცოდნის შეუძლებლობის სიმპტომი სახის გახსენების მძიმე შრომაა. საქმე ისაა, რომ სახეს ვერ მივიღებთ იქედან, რაც ვიცით, არავითარი მონაცემის გზით არ შეიძლება სახის მიღება. სახის გამოყვანა შეუძლებელია, ვინაიდან მონაცემებსა და ამ მონაცემთა სახეს შორის უსასრულობაა. (დაახლოებით ისე, როგორც მათემატიკაში. უსასრულობამდე მისვლისას, მცირედი ნაწილიც კი უსასრულოა. სხვაობა უსასრულოა). სახე არის ისეთი რამ, რისი გამოყვანაც მასზე მონაცემების საშუალებით შეუძლებელია. მაგრამ, როცა ის არსებობს, ის არის ის. ეს უეჭველად ასეა. მას არ ჭირდება არც დასაბუთება, არც

[4] „ო, ძმანო... ოდეს მზის ჩასვლისას / შემოვბრუნდით მძიმე გზიდან! / ის მცირე დრო, სანამ ჯერ მიწიერ გრძნობებს არ სძინავთ, მისი მცირე ნაწილი / სიახლის შეცნობას დაუთმეთ, / რომ მზის ნაკვალევზე, უკაცური მხარე იხილოთ.“ (Данте Алигьери. Божественная комедия, Ад, XXVI, გვ. 119).

განმარტება, რომელიც მის მიღმა იქნებოდა. ის არც მის მიღმა არსებული ფაქტების მოხმობას მოითხოვს, რომელთა (ამ ფაქტების) სახის მიღმა არსებული ჯაჭვითაც თანდათანობით, უწყვეტი გზით მივიდოდით სახემდე. თვითონ სახე მისკენ მიმავალი ნებისმიერი გზისგან განყენებულია. როდესაც ის არსებობს, არავითარი კითხვა არ ჩნდება. როდესაც ის არ არსებობს, მონაცემებიდან მისი გამოყვანა შეუძლებელია. სახის ეს მეტაფორა დაუკავშირეთ იმას, რასაც ადრე და შემდეგშიც ინდივიდს ვუწოდებდი და ვუწოდებ (ვთქვათ, ზღვის წყალი არის ინდივიდი, იმ გაგებით, რომ თვით წყლის ელემენტებიდან მისი გამოყვანა შეუძლებელია. მე ცოცხალ და მკვდარ წყალს შორის შედარება მოვიხმე: ორივეს ქიმიური ანალიზი ერთსა და იმავე შედეგს იძლევა, მაგრამ ისინი განსხვავებული რამეა). ახლა უცნობის საკითხი განვიხილოთ. მაშასადამე, უცნობი, ან *სხვა*, – არის ის, რისი პოზიტიურად გადაწყვეტაც შეუძლებელია. მაგალითად, შემიძლია მივუთითო გარკვეულ ფაქტზე. ფაქტი პოზიტიურობაზე მიუთითებს. მაგრამ უკვე ვიცით, რომ იმ წერტილში, რომელზეც ვსაუბრობდით, ფაქტები ვერ აღწევს. მაშასადამე, პოზიტიურობა ჩვენი აზროვნებისთვის ან აზრისთვის, ჩვენი ცნობიერებისთვის არასაკმარისია. ამ გასაოცრად რთულ საკითხთან დაკავშირებული კიდევ ერთი მაგალითი: ფსიქოანალიზში არსებობს კლასიკური პრობლემა, ე.წ. პირველადი ეროტიკული სცენის, ან პირველი ცდუნების საკითხი. ბავშვი მისი ცდუნების ფაქტის წინაშე აღმოჩნდება, რომლის მნიშვნელობაც, ბუნებრივია, მისთვის გაუგებარია; ან ის, ვთქვათ, მშობლების სექსუალური სცენის უნებლიე თვითმხილველი ხდება (სხვათა შორის, აუცილებელი არ არის, რომ ეს სცენა ემპირიულად მოხდეს, საკმარისია, ეს სცენა წარმოსახვაშიც განხორციელდეს). ეს არის ის, რისი ცოდნაც შეუძლებელია. დავუშვათ, ბავშვი ხედავს სცენას და უფროსები მას განმარტებას სთავაზობენ; მას პოზიტიურ ცოდნას აძლევენ ამ საგნის შესახებ, რომელიც საკუთარი თვალით იხილა. პრინციპში, მას არ შეუძლია ამის გაგება. მის ცნობიერებამდე ეს ვერ მიაღწევს. სწორედ ეს არის ის წერტილი, რომელიც დახურულია იმგვარი საგნებისთვის, რომლებიც გარედან შემოდიან. თითქოსდა, არაფერია... აიღე და ერთი თავიდან მეორეს გადაეცი ცოდნა ფაქტობრივად უკვე ნანახი სცენის შესახებ. არა, ეს სცენა ბავშვისთვის გასაგები მნიშვნელობების სფეროს მიღმაა, ყველაზე მთავარი კი მნიშვნელობების მუშაობაა და მას არ შეუძლია

ამის გაგება. ამავე დროს, ეს ვერგაგება გამოწვეულია იმით, რომ ამ აქტის გაგება საკუთარი წარმომავლობის გაგებასაც ნიშნავს. ხომ ასეა? გაგება, ყველაფერთან ერთად, სამყაროში ამგვარ მოვლენებთან საკუთარი დაბადების, ქვეყნად მოვლენის ასოცირებას გულისხმობს. ხომ ცხადია, რომ მე, როგორც ბავშვი, რომელიც ამ საკითხით ვინტერესდები, შეუძლებელია, ამ აქტის ნაყოფი ვიყო. აშკარა კედელია, მასში ვერავითარი პოზიტიური ცოდნა ვერ შეაღწევს. მისი გადაცემა შეუძლებელია. ესეც იმის ერთი მაგალითია, რისი ცოდნაც შეუძლებელია. ოღონდ, ვიმეორებ, არა იმ გაგებით, რომ დღეს არ ვიცი და ხვალ გავიგებ. ის, რასაც ბავშვი შემდგომში გაიგებს, სულ სხვა რამ იქნება, რადგანაც ის ვერგაგება, რომელიც მაშინ მოხდა, როდესაც ამ აქტს ადევნებდა თვალს ან მის წარმოსახვაში თამაშდებოდა, სულ სხვა იყო. მას ვერც შემდგომში მიღებული ცოდნა გააბათილებს. მომავალში ეს, შეიძლება, სრულიად პათოგენური მოვლენების დასაბამად იქცეს, რომლებიც გათამაშდება და თავისი, უფროსისთვის შესაბამისი საქციელის ბავშვისთვის სწავლების პოზიტიური გაკვეთილებისგან სრულიად დამოუკიდებელი ისტორია ექნება.

ფაქტობრივად, ჩვენი სტილისტიკის სიტყვებს ვაგროვებთ. მაგალითში, რომელიც მოვიხმე, ტერმინ „უცნობს“ ვიყენებდი და მის დასამტკიცებლად ფსიქოანალიზს მივმართე. ახლა პრუსტისეული მაგალითი ავიღოთ: აკვარიუმი, რომელშიც ხელს ყოფენ და თევზი ამოჰყავთ. მოდით, ამ ხელს თევზის თვალით შეხედეთ. თევზი, რომელიც მისი უსასრულო სამყაროდან ხელს უყურებს, რომელიც მას აკვარიუმიდან იღებს; სამყაროდან, რომელშიც ხელი მეტეორივით იჭრება, სრულიად მიუწვდომელია თევზის სამყაროსთვის, – ასეთი თევზის თვალები იმ ბავშვის თვალებს ჰგავს, რომელიც მოულოდნელად სქესობრივ აქტს შეესწრება. აი, რა უნდა შევადაროთ ერთმანეთს (ვინაიდან ისევ სამყაროების, სამყაროთა შორის შეღწევის ან შეუღწევლობის პრობლემა წამოიჭრება): რა აღწევს წერტილში და რა ვერ აღწევს მასში. წინასწარ შეგვიძლია საკუთარ თავს ვუთხრათ, რომ წერტილში მხოლოდ ის აღწევს, რაც იმ მოძრაობის ტალღაზე ივლის, რომელშიც არის „მე“. ახლა სხვაგვარად შემიძლია ვისაუბრო იმ სირთულეზე, რომელიც სიტყვა „უცნობთანაა“ დაკავშირებული. იმას, რასაც, პრუსტის კვალად, „უცნობი“ ვუწოდე, იმავდროულად სინამდვილე ეწოდება – რაღაც, რაც სინამდვილეში არსებობს, მაგრამ მას ვერასდროს ვერავითარ კონკრეტულ

თვისებას ვერ მივანიჭებთ. ბოლოს გეუბნებოდით: რეალურია ის, რასაც ვერ ვხედავთ და რისიც უნდა გვწამდეს. მაშასადამე, რეალურია რაღაც ისეთი, რომელიც ჩვენი რწმენის გარეშე არ არსებობს. ის, რაც არ არსებობს. ჩვენი რწმენის ძალით განაგრძობს არსებობას. ის, რაც არსებობს, ჩვენს რწმენას არ საჭიროებს – ეს უკვე ფილოსოფიური ენაა, ის ასეა აგებული, ფილოსოფოსები ამ ენაზე საუბრობენ. მას თავისი გრამატიკა აქვს. ეს არის გონების მეტისმეტად უჩვეულო ახირება. ყურადღება მიაქციეთ: რაღაც, რაც ჩემს რწმენას არ საჭიროებს, – მაგალითად, ეგოს რწმენა შეუძლებელია. ამ მდგომარეობას და ამ მდგომარეობის გაგებას, უბრალოდ, აზრი არა აქვს. ჩვენ ხომ გააზრებულ ენას ვქმნით, რომელშიც სიტყვებს ჩვენგან დამოუკიდებელი აზრობრივი ძალა აქვთ. ჩვენ არ შეგვიძლია, რომ ისინი თავისუფლად განვაგოთ. ჩვენი ცნობიერი ცხოვრების ენაც ან ცნობიერების ტექსტიც (იმ მნიშვნელობით, რომელიც არც თუ ისე ნათლად განვმარტე და სულ დასაწყისში ვახსენე) ასეა აგებული. თუკი მასში სიტყვა „რწმენა“ არის, ესე იგი გვწამს მხოლოდ იმის, რაც ჩვენი რწმენის გარეშე არ არსებობს. და ისევ: რაღაც ჩვენს გარეშე არ არსებობს. სხვა სიტყვებით ვამბობდი: წერტილი, რომელსაც მხოლოდ მე თვითონ ვამოძრავებ. პრუსტი აღნიშნავს: ის, რაც ვიცი, მე არ მეკუთვნის, მე მეკუთვნის მხოლოდ ის, რაც ჩემგან ამოიზარდა. და ეს არის ერთადერთი გზა რეალობისკენ, რომელიც ყოველთვის სხვაგვარია. რას ნიშნავს „რეალობა ყოველთვის სხვაგვარია“? ის არასდროსაა უწყვეტი და ჩვენი მოლოდინების თუ შესაძლებლობების ნაბიჯ-ნაბიჯ გაგრძელება. ვთქვათ, არსებობს ასეთი დრამატული ფრაზა – მას უნდა ჩავუკვირდეთ, რადგანაც ის ადამიანმა განიცადა, შეეცადა, გადმოეცა ეს განცდა, მაგრამ ვინაიდან ეს განცდა ჩაწერილია, მისთვის განწყობა რთულია. ჩვენი გმირი წარმოიდგენს, როგორ იქნებოდა ალბერტინას გარეშე, რომელიც უყვარს, რომელიც მოიტაცა და თავისთან ჰყავს, – რა მოხდებოდა, ალბერტინას რომ მიეტოვებინა? ამ მოვლენის წარმოდგენის მცდელობისას (ალბერტინა რომ წასულიყო მისგან), ის შესაძლებლობის სახით უშვებს ამ მოვლენას. შესაძლებლობა კი არ არის რეალობა. ახლა განვმარტავ, რას ნიშნავს ეს. ადამიანი, რომელსაც გვერდით ალბერტინა ჰყავს, წარმოიდგენს, რომ ის არ არსებობს. და ამას რეალობასთან არავითარი საერთო არ აქვს, რადგანაც ადამიანი, რომელსაც გვერდით ალბერტინა ჰყავს, ამ სიტუაციის წარმოდგენას

ცდილობს. ჩვენი წარმოსახვა ისეა მოწყობილი, რომ წარმოსახვის გაგრძელების გზით, ჯერ ერთ ნაბიჯს ვდგამთ წარმოსახვაში, მერე კიდევ ერთ ნაბიჯს ვდგამთ მოჩვენებით წარმოსახვაში, და ხან ერთი შესაძლებლობა წარმოგვიდგება, ხან – სხვა და ა.შ. ჩვენ წარმოვიდგენთ, წარმოვისახავთ, როგორ მოიქცეოდა ალბერტინა ასეთ ვითარებაში, მაგრამ ამ დროს სულაც არ ვართ ისინი, ვინც შეეჯახებიან რეალობას თუ ალბერტინა წავა. მარსელი, რომელსაც გვერდით ალბერტინა ჰყავდა, მზად იყო მასთან განშორებისთვის. მოგეხსენებათ, რომ, თუკი გვყავს ქალი, იოლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ის ჩვენს გვერდით არ არის. ზოგჯერ, მის გვერდით გვწყინდება კიდეც, ხოლო ხშირად საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნა ბევრი რამის გაკეთებაში ხელს გვიშლის. და ამ რაღაცეებზე ფიქრისას, წარმოვიდგენთ, რომ საყვარელი ადამიანი რომ არ გვყოლოდა, ამ საგნებით დავტკბებოდით. „...მაგრამ, – აღნიშნავს პრუსტი, – ჩვენ არასდროს ვიცით, რას გვეუბნება გული“[5]. თუკი ასეთი რამ მართლაც მოხდება, ის სრულიად განსხვავებული იქნება იმისგან, რაც წარმოგვედგინა. აი, ეს ფაქიზი განსხვავება უნდა შევნიშნოთ. მისი მოხელთება რთულია. პრუსტი გამუდმებით იმეორებს: „...და ყველაფერს, რაც წარმომედგინა, არავითარი საერთო არ ჰქონია იმასთან, რაც მოახლე ფრანსუაზას სიტყვებში ვიგრძენი“[6] (მოახლემ უთხრა მარსელს, რომ მადმუაზელ ალბერტინა წავიდა). და ამ სიტყვებს, რაც ათასჯერ გათამაშდა მის წარმოსახვაში, – რა მოხდება, ის რომ არ იყოს, – ამ ყველაფერს, რაც წარმოსახვაში და შესაძლებლობებში დაუშვა, არავითარი საერთო არ ჰქონია ამასთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ ვერასდროს მივალთ რეალობამდე, რომელიც ყოველთვის სხვაგვარია, რასაც ჩვენს ლოგიკურ შესაძლებლობებთან არავითარი საერთო არ აქვს.

კიდევ ერთი მაგალითი (ისიც ძალიან მოქნილია): სვანი, რომელიც განიცდის მარსელის ეჭვით აღსავსე, მესაკუთრული სიყვარულის არქეტიპს, ოდეტზე ისე ეჭვიანობს, როგორც შემდგომში მარსელი იეჭვიანებს ალბერტინაზე და მის მოუხელთებელ აჩრდილს აედევნება. ჩვენ კი გვიყვარს ის, რაც ხელიდან გვისხლტება, ამბობს პრუსტი, და მოუხელთებელი საიდუმლოც გვიყვარს უკანასკნელი

[5] Fug. – გვ. 444.

[6] იხ.: Fug. – გვ. 434.

წერტილის გაშიფვრამდე.[7] სანამ არსებობს ეს საიდუმლო, სანამ ჩვენი ცხოვრებისეული რეალური განცდებით და მოვლენებით არ დავიკავებთ ყველა წერტილს, რომლებზეც განფენილია ეს საიდუმლო, ვინაიდან ნებისმიერი ადამიანი, როგორც პრუსტი ამბობს, არ არის ჩაკეტილი საკუთარ სხეულში, იმის წიაღში, რომელსაც ვხედავთ, არამედ უხილავი წამონაზარდებით სივრცისა და დროის ათასობით წერტილს მოიცავს, ანუ თავის წარსულს, მოგონებებს, კავშირებს – რომლებიც მოცემული არ არის, მაგრამ ის ფიქრით მათშია, თუმცა, მე მიღიმის – (ალბერტინას თვალები პრუსტისთვის – წახნაგოვანია, რომლებშიც ათასობით სამყაროა და ალბერტინა რომ შენი საკუთრება გახდეს, ყველა ეს სამყარო უნდა შემოიარო, რაც შეუძლებელია), – და სანამ ადამიანების სამყაროებში წვდომისკენ მივისწრაფვით (ჩვენთვის განურჩეველი ადამიანების სამყაროებში წვდომას არც ვცდილობთ, ისინი ჩვენთვის მხოლოდ ადამიანები არიან, როგორც პრუსტი ამბობს, ზოგადი აქტების გაგებით; სახე – სახე, თვალები – თვალები და ა.შ.; ხეები – ხეები, ყვავილები – ყვავილები, ტბები – ტბები და ა.შ.), არ არის ის, რის გარშემოც ვტრიალებ, არ არსებობს ინდივიდი. კარგი, დავუბრუნდები მაგალითს, რომლის მოხმობაც მინდოდა: და ამის შემდეგ, ზუსტად ასევე, სვანი, რომელმაც არქეტიპს დაუდო დასაბამი, იმის გარდა, რომ ოდეტის და სხვა მამაკაცების ურთიერთობაზე ეჭვიანობს, ვარაუდობს, რომ ოდეტს ლესბოსური მიდრეკილებები აქვს – ასე ჰგონია, რომ ოდეტმა არა მხოლოდ მამაკაცებთან, ქალებთანაც კი უღალატა, რაც ეჭვიანი ადამიანისთვის საშინელებად იქცევა, ვინაიდან მამაკაცის და ქალის ურთიერთობის სიამოვნება მისთვის ნაცნობია, მაგრამ ქალების ურთიერთობის სიამოვნება – სრულიად გაუგებარი. ამის გამო ოდეტი ათასგზის უფრო იდუმალი და მოუხელთებელია. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ ეს ნაკლია (ანუ, თუკი მოვინდომებთ, შეგვიძლია ამას გარკვეული ზნეობრივი შეფასება მოვუძებნოთ), არამედ, იმავდროულად, ეს სრულიად გაუგებარი, ჯოჯოხეთური, წარმოუდგენელი სიამოვნებაა. სვანი ცდილობდა ოდეტი სხვადასხვა ვითარებაში წარმოედგინა: ვთქვათ, რას იტყოდა ის ერთ სიტუაციაში, სახის როგორი გამომეტყველება ექნებოდა კონკრეტულ ვითარებაში, როგორ შეიძლებოდა მოქცეულიყო, მათ შორის – როგორი ცუდი საქ-

[7] Pr. – გვ. 384.

ციელი შეეძლო ჩაედინა. თავს ვერ იკავებს გამოკითხვისგან და ამით გრძნობს, რომ ოდეტს აბრაზებს (ოდეტი ბრაზდება, ისევე, როგორც ყველა ადამიანი, როდესაც მას სიმართლის თქმას აიძულებენ და სიძულვილი ეუფლებათ, ანუ თავისი ნაკლი მასზე გადააქვს, ვინც მას დაკითხვას უწყობს); სვანს თან ეშინია, რომ არ გააღიზიანოს ოდეტი, მაგრამ თავსაც ვერ იკავებს და ამბობს: „გთხოვ, სიმართლე მითხარი, ოდესმე ქალებთან წოლილხარ?“ ოდეტი პასუხობს: „კი, ალბათ, ორჯერ-სამჯერ“. შემდეგ პრუსტი წერს, რომ „როგორც ყოველთვის, რეალობას არავითარი საერთო არ აქვს შესაძლებლობებთან“[8], ანუ იმასთან, რასაც, ჩვენი წარმოდგენით, სამყაროსგან ველით. ვინაიდან ველი, რომ, თუკი ხელს გავიწვდი, ამ ფურცელს ავიღებ. ამას მოლოდინი ეწოდება. ეს არის სამყარო, რომელიც ისეა მოწყობილი, რომ ვიცი, რა იქნება, ან ველი, რომ, თუკი ასე და ასე მოვიქცევი, ესა და ეს მოხდება. ეს არის მოლოდინის სამყარო. ამის შესახებ ამბობენ, რომ ეს ირეალური, შემთხვევითი სამყაროა. რეალობა რომ დავინახოთ, სწორედ ეს თვისება, ანუ მოსალოდნელი მოვლენების ჩვეული გარკვეულობა უნდა დავანგრიოთ. ეს არის ზრდა, ან განვითარება, ან გზის გავლა. ასე რომ, „როგორც ყოველთვის, რეალობას არავითარი საერთო არ აქვს შესაძლებლობებთან, ისევე როგორც ღრუბელს, რომელსაც ვუმზერთ იმ წამს, როდესაც გულში დანას გვიყრიან“[9]. მართლაც, სად არის აქ კავშირი? ღრუბელს თვალს ვადევნებ და რა კავშირია იმ ღრუბლებს (რომელთაც ვუმზერ და მათთან დაკავშირებით მოსალოდნელ და ჩვეულ კავშირებს ვაგებ) და იმ დანას შორის, რომელიც სწორედ ამ დროს ჩემს გულში გაივლის? ან ხელს რომ ყოფენ აკვარიუმში და ამოჰყავთ თევზი. არავითარი კავშირი, არავითარი საერთო არ აქვთ ღრუბელს და დანას, რომელიც გულში მესობა და იქ „ჯვრისებურ სისხლიან ჭრილობას“ მიტოვებს (ესეც საინტერესო ხატოვანი ფენაა. სხვაგან პრუსტთან შეგვხვდება „ორმაგი სისხლიანი ხნული“, „ტანჯვის კვეთა — ჯვარი ჯვარზე“.[10]).

ისევ ხაზს ვუსვამ, რომ ჩვენს ცნობიერ სულიერ ცხოვრებაში არსებობს სტრუქტურა, რომლის სიმებიც ამოტივტივდებიან ხოლმე

---

[8] Sw. – გვ. 363.

[9] Ibid.

[10] S.G. – გვ. 759.

ჩვენს სულიერ და სამშვინველისეულ აფეთქებებში. თან, ამით, თითქოს, იმასაც ვამბობ, რომ არა მხოლოდ ჩვენს სულებს, არამედ ჩვენს მოვლენებსაც აქვთ სტრუქტურა, ანუ სულის შემადგენლობის ნაწილაკების მატარებლები არიან. „ჯვარი“ – შემთხვევითი არ არის. ქრისტეს ვნება – ჯვარს უკავშირდება. ჯვარს ახსენებ და ეს ასოციაცია ჩნდება, ვერსად გაექცევი. ისე, ყოველგვარი რელიგიური ან მეცნიერული, ერუდირებული კონტექსტის, ან ქრისტეს ცნობილ ისტორიაზე მინიშნების და ა.შ. გარეშე. არაფერი მსგავსი არ არის. ჩვენ ასე ვართ მოწყობილი. რაღაც გამოიძერწა გარკვეულ სახეებში, სახეები კი ჩვენი სულიერი ცხოვრების შესაძლებლობებია, და რეალურ მოვლენებში, განცდებში ეგო იფეთქებს ხოლმე. პრუსტმა, უბრალოდ, ვერ მოძებნა და ვერ შეძლო სხვა სიტყვების პოვნა, რადგანაც განცდილის ზუსტად გადმოცემა სურდა. ჯვარზე განცდილი ტანჯვა. ჯვრის სისხლიანი ხნული. და იმ შემთხვევაშიც, როცა ის განმარტავს ფრაზას, რომელსაც შესაძლებლობებთან არავითარი საერთო არ ჰქონია: „მადმუაზელ ადელაიდა წავიდა“ – იქაც სისხლიანი ორმაგი ხნულია, ან სულში ჯვრად გამოსახული ტანჯვის ნიშანია.[11] ყურადღება მიაქციეთ, ეს მაგალითი შევაბრუნოთ, ღრუბლებს არავითარი საერთო არ აქვთ დანასთან. მაშასადამე, ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ ღრუბლების მზერით შეუძლებელია მიხვიდეთ დანასთან, ანუ დაინახოთ დანა. რაც არ უნდა უყუროთ ღრუბლებს, ღრუბელი ღრუბელს რაც არ უნდა დაამატოთ, მაინც ვერასდროს გამოთვლით დანას. მაშასადამე, რეალური ყოველთვის *სხვაა*, უცნობია. უცნობი კი – უკვე შეგვიძლია განვსაზღვროთ – *სხვის*, ანუ იმის მძაფრი შეგრძნებაა, რაც არ ჰგავს არაფერს, რაც ვიცით, ვხედავთ, რასაც მივეჩვიეთ ან რაც არის, პოზიტიურად არსებობს. ვიმეორებ, მაშინ გამოდის, რომ უცნობი ცნობიერების მძაფრი შეგრძნებაა – მისით კი ადამიანი შეიძლება დაავადდეს, მას ზოგჯერ ნოსტალგიას, მსოფლიო სევდას უწოდებენ (უკვე საგანგებოდ შემომაქვს ასოციაციების სხვა წყება). აი, ეს ის სიტყვებია, რომლებიც შეუცნობელის შესახებ გვიამბობენ. უცნობი, შესაბამისად, მძაფრი გაცნობიერებაა რეალობისა, როგორც ისეთის, რაც ყოველთვის სხვაა, რასაც არავითარი საერთო არ აქვს, არაფრით ჰგავს იმას, რაც ვიცით, რასაც მივეჩვიეთ და ა.შ. ჩვენი სულის თვალსაზრისით,

[11] Fug. – გვ. 424.

უცნობი შეიძლება ჩვენი დაავადება იყოს – დაავადება სიტყვის ნორმალური და არა დამაკნინებელი გაგებით. ჩვენ შეიძლება უცნობის ვნებით, პათოსით ვიყოთ დაავადებული. რასაკვირველია, ის არის კიდეც უსასრულობა. ადამიანი არის არსება, რომელიც უსასრულობითაა დაავადებული. როგორც პრუსტი ამბობდა, „არაფერია იმაზე მწარე, ვიდრე უსასრულობის ნესტარი“[12]. რეალობის ნესტარი, ან შეუცნობელის გაცნობიერება არის კიდეც უსასრულობის ნესტარი.

სანამ საუბარს გავაგრძელებდეთ, წინასწარ მოვინიშნოთ, რომ ის, რასაც შთაბეჭდილებას ვუწოდებ (მათ შორის ჯვარზე განცდილი ტანჯვა ან ტანჯვის ჯვრის კვალი), – რეალობა, როგორც შთაბეჭდილება, – ყოველთვის არის ისეთი რამ, რაც ინდივიდუალობის ან უნიკალურობის ბეჭდითაა დაღდასმული. ის არასდროს ჰგავს რაღაც სხვას. თუკი ნამცხვარ „მადლენიდან“ მნიშვნელობა გამოვიტანე, მაშინ ის რიგითი ნამცხვარი კი აღარაა, არამედ მას აქვს გარკვეული მხარე, რომელსაც ჯერჯერობით ბოლომდე არ გავშიფრავთ და უნიკალურობას, ინდივიდუალურობას, ინდივიდუალურ აქცენტს ვუწოდებთ. ჩვენ კი ვიცით, რომ ინდივიდუალური არის ის, რაშიც გარედან ვერაფერი აღწევს და მისი გადმოცემა შეუძლებელია, მაგრამ მისი განსხვავება უცილობლად შესაძლებელია. შიგნიდან ასე ვხედავ და ამის ეკვივალენტი ჩემში არ არის: კუნელის ყვავილები, რომლისგანაც ის აზრის გამოტანას ცდილობს და ისინი (ყვავილები) მას გამოეხმაურნენ. მაშასადამე, საგანს, რომელიც გამოგვეხმაურა, ინდივიდუალური აქცენტი აქვს და ეს საგანი არ არის ერთი სხვათაგანი. ეს კუნელი არ ჰგავს სხვა კუნელებს, ეს არ არის კუნელისგან მიღებული შთაბეჭდილება, არც ვარდებისგან მიღებული შთაბეჭდილებაა, რომლებიც სიტყვებითაა სახელდებული. როგორც შექსპირი ამბობდა, ვარდს რომ სხვა სახელი რქმეოდა, მაინც ისევე სურნელოვანი იქნებოდა.[13] ერთი სიტყვით, დავიმახსოვროთ – უნიკალურობა. პრუსტისთვის ამგვარი უნიკალურობა სულის ინდივიდუალური რეალობის უპირობო დადასტურებაა. სული, ანუ ჩვენი სულიერი ცხოვრების წყობა, ინდივიდუალური თვალსაზრისით, რეალურადაა მოცემული და არა სხვაგვარად (თვითონვე ვგრძნობ, რომ ეს მართლაც რთული პუნქტია). ვიმეორებ, სული გარკვეული ტოტალურო-

[12] S.B. – გვ. 241.

[13] „ხომ სულერთია: ვარდს რომ ვარდი აღარ უწოდო, ტკბილსურნელება იმგვარივე იქნება მაინც“.

ბაა, მასში ბევრი რამაა. ინდივიდუალური სახით, ის მთლიანად ვლინდება, როგორც რეალური, ერთი, უნიკალური აქცენტის საშუალებით. ის ინდივიდუალურად რეალურია, ან ის რეალურია ინდივიდუალურად და უცილობელი. რეალობის უგულებელყოფა შეუძლებელია. როგორც გეუბნებოდით: შეუძლებელია, უგულებელვყოთ ის, რაც შეუვალია, შეუძლებელია, უგულებელვყოთ ის, რასაც ვხედავთ. შინაგანად ერთ სიტყვებს ვამბობთ, მაგრამ ის, რაც საგანში უკიდურესად განსხვავებულია, არის კიდეც ინდივიდუალურობა, ანუ რაღაც უფრო მეტი. სული საკუთარ თავს ინდივიდუალურად ავლენს, – დისკრეტულად, ან – ლოკალურად, ან კიდევ – ინდივიდში თავისი არსებობის მთლიანი სახით. სწორედ ამასთან დაკავშირებით წერს პრუსტი – რომანში არის მუსიკოს ვენტეილის ორი ნაწარმოები: სონატა და სეპტეტი, რომლებიც პრუსტისთვის უნიკალური აქცენტის მატარებლები იყვნენ და რომელთა მიღმაც მთელი სამყაროა, ანუ ინდივიდი, პრუსტის ტერმინოლოგიის თანახმად, **სამყარო-ინდივიდი**.[14] ეს მართლაც ასეა – ისინი იგივეობრივი ცნებებია. ინდივიდები სამყაროებია. სამყაროები კი ინდივიდებია, ან ინდივიდუალურად ვლინდებიან, ინდივიდუალურად რეალურებია. სად შეიძლებოდა, ამგვარი აქცენტი გაეგონა? – კითხულობს პრუსტი. და შემდეგ ამ რიტორიკულ კითხვას, სად შეიძლებოდა, რომ ეს უნიკალური აქცენტი გაეგონა, ასე აგრძელებს: „ასე მგონია, თითოეული ხელოვანი უცნობი სამშობლოს მოქალაქეა“[15].

მაშასადამე, დაიმახსოვრეთ: უცნობი სამშობლო, patrie inconnue. ანუ თითოეულ ხელოვანს ინდივიდუალური აქცენტის მატარებელი უნიკალური მსოფლხედვა აქვს. ის (ხილვა) თითქოს აქ, ამ სამყაროში კი არ გაუგონია, არამედ უცნობ სამშობლოში შემონახული ბგერის გამოძახილია, ან „შინაგანი სამშობლოს გახსენებაა“[16]. და ის ყოველთვის საკუთარი თავის იგივეობრივია (ეს შინაგანი სამშობლო), დამოუკიდებელია ყოველთვის, თვით ხელოვანის გადაწყვეტილებებისგან, მისი ცნობიერი ქმნილებებისაგან, თუ მისივე ქმნილებებისაგან, რომელთაც ნება და ცნობიერება აკონტროლებს. ეს იგივე კონსტრუქციებია – წიგნს თუ წერ, მის წყობას აკონტროლებ და

[14] Pr. – გვ. 256.

[15] იხ.: Pr. – გვ. 257.

[16] Ibid.

მნიშვნელობა არ აქვს სიუჟეტურ სხვაობებს, რომლებსაც ხელოვანი ამუშავებს. არც მასალას აქვს მნიშვნელობა – რომანები იქნება ეს თუ ფერწერული ტილოები, ისინი შეიძლება სხვადასხვა რამეზე მოგვითხობდნენ. ეს ყველაფერში ვლინდება სულის შემადგენელი ნაწილების სახით. სწორედ ეს ნაწილები, სულის შემადგენელი ნაწილებია, გაერთიანებული უნიკალური აქცენტით, რომელიც სიუჟეტური სხვაობის მიუხედავად ვლინდება. პრუსტის აზრით, მწერლები, რომელთაც, ვთქვათ, ასობით წიგნი დაწერეს, სინამდვილეში მხოლოდ ერთ წიგნს წერდნენ. მხატვრები, რომლებიც ასობით და ათასობით ნახატს ხატავდნენ, სინამდვილეში ერთ ნახატს ხატავდნენ. ანუ ყველგან – ის, რასაც (სხვა შემთხვევებში პრუსტი ამას სტილს დაარქმევს) პრუსტი „სულის შემადგენელ ნაწილებს“ უწოდებს და რომლებიც ცნობიერ გადაწყვეტილებებში ვლინდება, – ცნობიერი გადაწყვეტილებები კი აწესრიგებენ ამა თუ იმ, ყოველთვის განსხვავებულ შინაარსს, – მაგრამ ამასთანავე, ცნობიერად განსაზღვრულ შინაარსში უცნობ სამშობლოში დაბადებული სულის კომპოზიცია ვლინდება.[17] „და ამ ელემენტებს, – წერს პრუსტი, – მთელ ამ résidu réel-ს, მთელ ამ რეალურ დანალექს (სიტყვა „რეალური დანალექი“ ახლა უკვე დაურთეთ ყველაფერ იმას, რასაც განსაკუთრებული, შეუვალი წერტილის შესახებ ვამბობდი), რომელშიც ესა და ეს არის; ის, საგნები, რასაც მე ვხედავ და რომლებსაც მათი სახელის საშუალებით, თქვენც ხედავთ, – ეს არის კიდეც ცნობიერება; არა ცნობიერება რაიმეს შესახებ, არამედ თავისთავად ცნობიერება; აქ ეს ასოციაცია უნდა ვიპოვოთ; როგორც წესი, ვამბობთ: რაიმეს გაგება, ან რაიმეს გაცნობიერება, – არა, ცნობიერებაა, ის, რაც, თითქოსდა, შიგნიდან განასხვავებს საგანს, რომელსაც მე ვხედავ – ცნობიერება, განსხვავებით საგნებისგან, ნიშნებისგან, ანუ სახელებისგან). ..*მთელი ეს რეალური დანალექი* (ყველაფერი დანარჩენი არარეალურია, ეს არის რეალური), *რომელიც იძულებული ვართ, თან ვიქონიოთ* (ხომ ვთქვი, რომ ცნობიერება, რომელიც ცხადია, გამოუთქმელია), – *საუბარს არ შეუძლია – მეგობრიდან მეგობარს, მასწავლებლიდან მოწაფეს, საყვარლიდან საყვარელს გადასცეს ის, რაც გამოუთქმელია, რაც თვისობრივად განასხვავებს იმას, რაც სწორედ მან შეიგრძნო იმისგან, რაც იძულებულია დატოვოს*

[17] იხ.: Pr. – გვ. 375; გვ. 257; S.B. – გვ. 75.

იმ ფრაზების ზღურბლზე (ის, რისი თქმაც გვინდა, ფრაზების ზღურბლზე რჩება, რომელთა საშუალებითაც ამას ვამბობთ; ყველაფერი, რაც ვთქვით, გარკვეული თვალსაზრისით, იმ მარცხის ნამსხვრევებია, რისი თქმაც გვინდოდა), *რომლებშიც შეუძლებელია, რომ სხვებთან გაერთიანდეს ისე, რომ დახმარებისთვის მისთვის და მათთვის საერთო პუნქტებს არ მიმართოს* (ის, რაც ყველასთვის საერთოა და ყველასთვის ცნობილია და ის, რაც, განსაზღვრების თანახმად, იმისგან განსხვავდება, რისი თქმაც სურდა; სხვებისთვის კი, შესაბამისად, ოდენ ზოგადი აქტების მნიშვნელობის მატარებელია; ღიმილი – სიტყვის ზოგადი მნიშვნელობით, ყვავილი – სიტყვის ზოგადი მნიშვნელობით და ა.შ.), *ხელოვნებას შეუძლია გვაჩვენოს...*"[18] მაშასადამე, résidu réel – ეს დანალექი ჩვენი ტოპოსია, გამოუთქმელია, ჩვენი ცნობიერებაა – ის, რაც ჩვენშია და რაც მხოლოდ ჩვენ ვართ და რასაც ვერავის გადავცემთ. ვიმეორებ, რომ ისევ ადამიანური სიტყვები გვღალატობს. როდესაც ვამბობ – გამოუთქმელი, სულაც არ ვგულისხმობ რაღაც მიუწვდომელს. მისაწვდომია – ეს არის კიდეც ყველაზე მისაწვდომი, მაგრამ ის განმასხვავებს მე და თითოეულს და ჩვენი კონტაქტის ზღურბლზე რჩება. ის არის ჩემი მოწოდება ან პასუხისმგებლობა, რომლის სხვისთვის გადაცემაც, როგორც ვამბობდი, შეუძლებელია. ჩემს ან თქვენს მაგივრად ვერავინ გაიგებს. ასე რომ, გაგების აქტს ამ კუთხით მიაქციეთ ყურადღება. არავის შეუძლია გაგება. არავის შეუძლია სიკვდილი და ჩრდილზე, ანუ სიბნელეზე დაფიქრებაც არავის შეუძლია. ყველას თავისი სიბნელე აქვს. საკუთარი სიბნელიდან სინათლისკენ მივდივართ, ოღონდ მხოლოდ საკუთარი წყვდიადიდან.

ასე რომ, „...ხელოვნება, შემადგენელი საღებავების ექსტერიორიზებით, გვთავაზობს ამ სამყაროებს, რომლებსაც ინდივიდებს ვუწოდებთ და რომლებიც არ გვეცოდინებოდა, ხელოვნება რომ არ არსებობდეს"[19]. არა მხოლოდ უცნობი, როგორც ასეთი, არამედ უცნობი სამყაროებიც არსებობს, თითოეულ წერტილში არსებული ბევრი სამყარო, რომელთა შესახებ ვერც გავიგებდით, ხელოვნება რომ არ ყოფილიყო. ამ შემთხვევაში, სიტყვა „ხელოვნება" ქარაგმულად მიუთითებს იმაზე, რასაც სხვა სიტყვებით მოვიხსენიებდი, მეტისმეტად

[18] იხ.: Pr. – გვ. 257 – 258.

[19] იხ.: Pr. – გვ. 258.

ესთეტიკური ასოციაციები რომ არ აღგძროდათ, ვინაიდან უფრო მნიშვნელოვან და, იმავდროულად, უფრო ჩვეულებრივ საკითხებზე ვსაუბრობ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, ეს არის ის, რასაც შრომას, ან ტექსტს, ან სინტაქსს ვუწოდებ. მაშასადამე, მხოლოდ ამ შრომის კომპოზიციის წყალობით გვეძლევა, ფიქსირდება ინდივიდი და ამ შრომის გარეშე ვერასდროს ვიცნობდით ამ ინდივიდს. ვთქვათ, არასდროს გვეცოდინებოდა, რა არის სინდისი, სინდისის ფორმები რომ არ არსებულიყო. ვერავითარ გულახდილობას ვერ ამოვიცნობდით, გულახდილობის არსი ოსტატურად რომ არ ყოფილიყო ჩამოყალიბებული, ისე, რომ მასში ჩვენი ზრახვები კი არ ყოფილიყო გულახდილი, არამედ თვითონ გულახდილობა არსებულიყო. მისი არსებობა კი მხოლოდ ორგანიზების და მტკიცედ შეკვრის გზითაა შესაძლებელი. ადამიანის ცხოვრებაში სხვა გზა არ არსებობს. როგორც პრუსტი და სხვებიც ამბობდნენ, ზრახვები ხელოვნების ზღურბლს მიღმა რჩება.[20] და ასე ვიტყვი (არ ვახსენოთ სიტყვა „ხელოვნება“) – ზრახვები ჩვენი ნამდვილი ქმედებების და რეალობაში ჩვენი ცხოვრების ზღურბლს მიღმა რჩება. Velléité არის პატიოსნებისადმი მისწრაფება, პატიოსნება კი, უნდა ვთქვა, ხელოვნებაა, სტრუქტურა, ფორმაა, რომელიც განასახიერებს შრომას. ასეთ შემთხვევებში პრუსტი ამბობდა, რომ ეს საგნები ისევე განსხვავდება, როგორც ერთმანეთისგან განირჩევა, ვთქვათ, ფრენის სურვილი და მფრინავი მანქანა.[21] მფრინავი მანქანა კი შემდგარი, სრული არსებაა. სრული არსება კი ფორმისა და სტრუქტურის გარეშე წარმოუდგენელია. ზოგჯერ ამგვარ საგნებზე მიგვანიშნებენ რელიგიური სიმბოლოები და ჩვენი სულის წყობას შეგვახსენებენ, რომ თუკი სული არსებობს, ის ფსიქოლოგიური ზრახვებისგან არ შედგება. მასში წილი არ უდევს ფსიქოლოგიურ წადილს, განზრახვებს, velléité-ს. ვთქვათ, რელიგიაში მიჩნეულია, რომ ადამიანური მდგომარეობები უნაყოფოდ განმეორდება, თუკი ისინი სტრუქტურაში არ გაერთიანდება. მაგალითად, შესაძლოა, მოვინანიოთ ქმედება A; მონანიება ნამდვილი ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ის რეალურია, ფილოსოფიური თვალსაზრისით – ირეალური. ახლავე შეიტყობთ, რატომაც. შეიძლება მოინანიოთ, მაგრამ ეს იმას რო-

[20] T.R. – გვ. 898.

[21] იხ.: Tr. – გვ. 892.

დი ნიშნავს, რომ იმავე საქციელს არ გაიმეორებთ, რასაც ინანიებ-დით. თუკი მონანიების გზით რაიმე არ შეემატა სტრუქტურას და არ განმტკიცდა (აქ პიროვნების სტრუქტურაც იგულისხმება), მაშინ ყველაფერი განმეორდება. ათასგზის ჩავიდენ ისეთ საქციელს, რომ-ლის გამოც ათასგზის მოვინანიებ და ასე განმეორდება უსასრულოდ. მგონი, უკვე ვთქვი, რომ რუსეთის ტერიტორიაზე (რუსეთის ტერი-ტორიაში კი ჩვენი პერიფერიაც იგულისხმება), საფუძვლიანად ითა-რეშა განმეორების გენიამ. ვერასდროს ვერაფერი ვისწავლეთ, ვე-რასდროს ვერავითარი აზრი ვერ გამოვიტანეთ, ათასგზის ვიმეო-რებთ ერთსა და იმავეს და მაინც გვეჩვენება, რომ ის, რასაც ვაკე-თებთ, არ ჰგავს იმას, რაც აქამდე იყო. სწორედ ამგვარ ბრუნვას უწოდებს პრუსტი ხელიდან გაშვებულ, ან დაკარგულ დროს. ასე რომ, ეს უბრალოდ „დრო“ როდია, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგე-ბით.

ახლა კი საბოლოოდ მინდა დავადო საღებავები უცნობი ქვეყნის, უცნობის თემას. უცნობის საკითხს უკვე რაღაც დავუმატეთ. მაგა-ლითად, შემოვიტანეთ ტერმინი „სამშობლო“, „უცნობი სამშობლო“ და პრუსტის სიტყვებიდან ვიცით (და თუკი დავფიქრდებით, ეს ჩვენს გამოცდილებასაც ემთხვევა), რომ ხელოვანის სამშობლო — უცნობი სამშობლოა. არც ერთ სამშობლოს არ აქვს საკუთრების უფლება ყმა ხელოვანზე, რომელთაც მხატვრებს უწოდებენ. ხელო-ვანები მხოლოდ უცნობ სამშობლოში იბადებიან, ანუ ხელოვანებად იბადებიან ადამიანები, რომლებიც რეალობის მძაფრი შეგრძნებით არიან დაავადებულნი, ისეთი რეალობისა, რომელიც არაფერს ჰგავს (აი, ვთქვათ, თვალი ასეა მოწყობილი და ამით თავის განცდებში განშრევდება); ისინი თითქოს, სხვებისგან განშრევდებიან, მათ ყო-ველთვის რაღაც ნოსტალგია აწუხებთ იმის გამო, რაც არასდროს ყოფილა, მაგრამ რასაც განიცდიან, როგორც დაკარგულს. მაგალი-თად, დაკარგული სამოთხე (ამგვარი სიმბოლო ხშირად გვხვდება). პრუსტი შენიშნავს: ნებისმიერი სამოთხე მხოლოდ და მხოლოდ და-კარგული სამოთხეა.[22] რასაკვირველია, ეს სამოთხე არასდროს ყო-ფილა. მაგრამ მას ასე უწოდებენ — დაკარგული სამოთხე. ეს რაღაც განსხვავებული ცხოვრებაა. და იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა ის, — ჩვენ კი სწორედ იმას ვამბობთ, რომ იგი არასდროსაა მატე-

[22] იხ.: Tr. – გვ. 870; S.G. – გვ. 859.

რიალიზებული, – თვით „სხვისი“ ცნობიერების ეს კომპლექსი, თუ სტრუქტურა ჩვენი ადამიანური ცხოვრების პროდუქტიული ელემენტია, ადამიანის ყველაზე უბრალო, სულიერი ცხოვრების ელემენტია, რომელიც განიცდის სხვა საგნებს, მაგრამ სწორედ ამ კუთხით. ამიტომაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრუსტის მთელი სამუშაო ორი ყველაზე მნიშვნელოვანი საგნიდან იწყება: დაეჭვებიდან და იქიდან, რასაც ფრანგები უწოდებენ (ძნელია ამის რუსულ ან ქართულ ენაზე თარგმნა – თვით არსებითი სახელი მოძრაობის კონოტაციის მატარებელია), l'écart-ს, მოშორება, განდგომა, l'écart და – დაეჭვება. მაშასადამე, გვაქვს ორი რამ, რითაც დაკავებულია ადამიანი, რომელსაც აქვს იმის მძაფრი შეგრძნება, რასაც უცნობი ვუწოდეთ. რეალობის მძაფრ შეგრძნებას უცნობის შეგრძნება და საკუთარი უცნობი სამშობლოს ძიება, ან ამ სამშობლოს ხმების შენარჩუნების მცდელობა ვუწოდეთ, სამშობლოსი, რომელიც არ არსებობს და რომელიც არც ერთ მათგანს არ ჰგავს, სადაც ადამიანები ოფიციალურად ჩაწერილი არიან. მაშასადამე, გვაქვს დაეჭვება და აბსოლუტური l'écart-ი – ამით იწყება პრუსტისეული სამუშაო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრუსტი მიიჩნევდა, რომ სერიოზული საკითხია მხოლოდ სულის მარადიულობის, ხელოვნების რეალობისა და, საზოგადოდ, რეალობის საკითხები[23] (მაშასადამე, არსებობს სულის რეალობის, ხელოვნების ნიმუშის რეალობისა და რეალობის პრობლემა).

თუკი უცნობის მძაფრი შეგრძნება გაქვთ, მაშინ ერთი შეკითხვა გიჩნდებათ, რომლის დროსაც ისეთ ფაქტებს ამჩნევთ, რომლებიც არსებობს და, შეიძლებოდა, ვერც შეგენიშნათ. მათ შორის ამჩნევ ე.წ. ცოცხალის შეგრძნებას, სიცოცხლის შეგრძნებას (სიცოცხლის შეგრძნება ნაწილობრივ ცნობიერებასთან გავაიგივე), იმას, რაც თავს ცოცხლად გვაგრძნობინებს. ფორმალურად ამის გადმოცემა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ცხოვრების ინტუიცია გამოუთქმელია. მაგრამ ყველას შეუძლია საკუთარ თავში ამის შეგრძნება, ცოდნა. ერთი სიტყვით, საქმე ისაა, რომ მოაზროვნეს, ან ხელოვანს, შეუძლია მთელი სამყარო ამ საკითხის ნიშნით გაშალოს და გახსნას – რა საკითხის? – ამას ხომ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა – რა მნიშვნელობა? რა მნიშვნელობა აქვს, რომ თავს ცოცხალ არსებად ვგრძნობ,

[23] Pr. – გვ. 374.

თუკი ერთი შეხედვით, სამყარო ისეა მოწყობილი, რომ მასში ამას საერთოდ არ აქვს ადგილი? რა საერთო აქვს ვარდის ან კუნელის დანახვისას ჩემს ცოცხალ განცდას, ან ნამცხვრისგან მოგვრილ განცდას ნამცხვრების სამყაროსთან? ანუ როდესაც ვგრძნობ, რომ სიცოცხლის ჩემთვის უეჭველი აქტით ვერ ვეტევი სამყაროში, ამ სამყაროში ჩემი ადგილი არ არის, მაშინ ჩნდება საზრისთან დაკავშირებული პრობლემა. მათ შორის – ყველა ჩვენს მოჭარბებულ ამაღლებულ გრძნობებთან დაკავშირებული საკითხები, ალბერტინასადმი ჩემი სიყვარულის საზრისი – რა აზრი აქვს ამას, როდესაც ცხადია, რომ ალბერტინა, როგორც ადამიანი, ანუ როგორც საგანი, შეიძლება სხვებით ჩავანაცვლოთ და მხოლოდ შემთხვევითობის წყალობით დაკრისტალდა ჩემი სულიერი თუ სამშვინველისეული სამყარო ალბერტინაზე. ამ შემთხვევითობის კანონები იმგვარია, რომ, თუკი სინაზეს ალბერტინას საშუალებით ვგრძნობ, მაშინ, როგორც პრუსტი ამბობს, სინაზის მოთხოვნილებას ვგრძნობ მხოლოდ ალბერტინასადმი მოთხოვნილების სახით (ყურადღება მიაქციეთ აზრთა ამ მნიშვნელოვან სვლას; ნაწილობრივ, ეს აზრი არისტოტელეს ციტირების საშუალებით განგიმარტეთ)[24]. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ადამიანს სინაზისადმი მოთხოვნილება აქვს და მას ეს გრძნობა, როგორც ასეთი, ალბერტინასადმი მოთხოვნილების გზით უჩნდება. ერთი შეხედვით, თითქოს განსხვავდება – ალბერტინა და სინაზისადმი მოთხოვნილება. შეიძლებოდა, ისე მომხდარიყო, რომ სინაზე სრულიად სხვა საგნებში ჩაკეტილიყო და მხოლოდ ამ საგნების საშუალებით გამოვლენილიყო, რეალიზებულიყო, მაგრამ ალბერტინაში განხორციელდა. მესმის, რომ ეგო შემთხვევითია, მაგრამ მხოლოდ მისი საშუალებით ვაღწევ იმ მდგომარეობას, რომელიც ჩემთვის თავისთავად მნიშვნელოვანია. ის მნიშვნელოვანია თავისთავად, მაგრამ მხოლოდ ალბერტინას გზით ვაღწევ იქამდე. აბა რაღა აზრი აქვს ამას? რას ნიშნავს ეს ყველაფერი? რას ვგრძნობ, რატომ ხდება ეს ყველაფერი? ან, ვთქვათ, რაღაც დავინახე, – რა გაგებით შეიძლება მას ვუწოდო მომხდარი, დანახული? მაგალითად, მარსელი თვალს ადევნებს: ალბერტინა ცეკვავს თავის მეგობარ ქალთან. რა დასკვნის გამოტანა შეგვიძლია აქედან? ის, რასაც დავასკვნით, – ყურადღება მიაქციეთ, – ეს ჩვენი ცხოვრებისეული მოვლენაა, რო-

[24] Fug. – გვ. 556 – 557.

მელიც სხვა მოვლენებს უკავშირდება, გვამახსოვრდება. და რა ხდებოდა? მათი შემხედვარე მარსელის გვერდით დგას სალონიდან მისი ნაცნობი, განათლებით ექიმი კოტარი და სასხვათაშორისოდ, თითქოს თავისთავად ცხად რამეს ამბობს, მაგრამ ამ შემთხვევაში ის აკვარიუმში ხელის მოფათურე ადამიანს ემსგავსება, რომელსაც იქედან თევზის წყლიდან ამოყვანა უნდა: – ამ შემთხვევაში თევზი მარსელია – „იცით, ქალები, პირველ რიგში, მკერდით შეხებისგან იღებენ სექსუალურ კმაყოფილებას“[25]. ორი გოგონა კი, რომლებიც ცეკვავენ, მკერდით ეხებიან ერთმანეთს. აქ ლესბოსური სიყვარულის დიდ თემას წამოჭრის პრუსტი, რასაც სვანთან დაკავშირებითაც გადაათამაშებს და მარსელთან მიმართებით. და რა დავინახე? ეს ფრაზა სხვა სამყაროდან გაჩნდა. მან საგონებელში ჩააგდო მარსელი, როგორც აკვარიუმში შეჭრილმა ხელმა. ეს სრულიად სხვაგვარი მოვლენა იყო ადამიანის უსასრულო სამყაროში. გოგონებმა ჩვეულებრივად იცეკვეს. შეგვიძლია დავიმახსოვროთ, შეგვიძლია მეხსიერებაში დავუბრუნდეთ ამ თემას, მოგვიანებით ეს თემა შინაგანი იდუმალი ძაფებით დაუკავშირდება კიდევ სხვა მოვლენას, მაგრამ იქ ჩამოყალიბდა აზრი.

[25] S.G. – გვ. 796.

ლექცია 6

მაშასადამე, რადიკალური დაეჭვების და écart absolu-ს (ის, რაც ფრანგულიდან რუსულ ენაზე ვერ ვთარგმნე და შევთანხმდით, რომ ქართულად მას, პირობითად, „განდგომა“ ვუწოდეთ) წინაშე ვართ. ერთიც და მეორეც – აბსოლუტურია. ვიცით, რომ საკუთარი თავი უცნობის მხარეს მოვათავსეთ. მოდით, დავფიქრდეთ. ძალიან უცნაურია ეს რეალობა. ჩვენ ხომ რაღაცას რეალობას ვუწოდებთ იმისგან განსხვავებით, რასაც ვხედავთ. რაღაც არის რეალობა და ის, რასაც რეალობას ვუწოდებთ, სვანის ან გერმანტების მხარეს კი არ მოვათავსეთ, არამედ – უცნობის მხარეს. იმაზეც შევთანხმდით, რომ ნებისმიერი ხელოვანი, ნებისმიერი ფილოსოფოსი და პიროვნება – აუცილებელი არ არის, რომ პიროვნება ფილოსოფოსი ან ხელოვანი იყოს, – ისეა მოწყობილი, რომ თვით მის კონსტიტუციაში ყოველთვის ჩაწნულია გარკვეული ქმედება, რომელსაც პოსტფაქტუმ – მას შემდეგ, რაც ის მოხდება (აღწერისთვის გარკვეულ სიტყვებს ვეძებთ), – ფილოსოფიური, ან მხატვრული აქტი ეწოდება (მაგრამ ეს ჩვენი ენის სიღატაკესთან დაკავშირებული სიტყვები ან სახელწოდებებია და ჩვენვე უნდა მივაქციოთ ყურადღება და იმისთვის განვეწყოთ, რომ ყველაფერი, რასაც ხან ფილოსოფიას, ხან ხელოვნებას ვუწოდებ – ადამიანის პიროვნების მაკონსტიტუირებელი გარკვეული ფუნდამენტური აქტების უხეირო ადამიანური აღწერებია) – მაშასადამე, ადამიანის პიროვნება (როგორც ხელოვანის და როგორც ფილოსოფოსის) უცნობ სამშობლოში მოვათავსეთ. პიროვნების ერთადერთი სამშობლო – უცნობი სამშობლოა. შესაბამისად, არც საქართველო, არც საფრანგეთი, არც რუსეთია ჩვენი სამშობლო და აქედან გამომდინარე, არც გარკვეული ვალდებულებები გვაქვს მათ წინაშე, ვინაიდან სამშობლო ყოველთვის ვალდებულებებს გვიწესებს და, თუკი აღმოვაჩენთ, რომ ამა თუ იმ სამშობლოს სულაც არ ვეკუთვნით, ზოგიერთი ვალდებულება გვიქრება კიდეც. სამაგიე-

როდ სხვა ვალდებულებები გვიჩნდება – ვალდებულებები საკუთარი დანიშნულების, ადამიანური მოწოდების, ანუ იმის წინაშე, რითაც პრუსტი იყო შეპყრობილი და ის, რისი ძახილის პასუხადაც ამ მომაკვდინებელ გზას დაადგა, ცოდვის, გამოცდის, ტანჯვის, ავადმყოფობის და სიკვდილის გზას. ამ უცნობ სამშობლოზე იმიტომაც დავიწყე საუბარი, რომ თვით იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ, როგორც პიროვნებები გარკვეულ სამშობლოს, ანუ იმას ვეკუთვნით, რომელსაც კონკრეტულ გეოგრაფიულ მოხაზულობას ვერ მივანიჭებთ, თუნდაც ამ დროს თავი ამ უცნობი სამშობლოს სრულუფლებიან მოქალაქეებად ვიგრძნოთ, – ის მაინც უცნობი უნდა დარჩეს, ის არ შეიძლება იყოს რომელიმე კონკრეტული სამშობლო და სანამ მას არ ექნება კონკრეტულობა, ის ჩვენი სულიერი ცხოვრებისთვის ნაყოფიერი მნიშვნელობის მატარებელი დარჩება.

ასე რომ, ამ აზრის გაცნობიერება უჩვეულო მდგომარეობაში გვაყენებს. მე ასე გამოვხატავ მას (ოღონდ შეეცადეთ ზუსტად გაიგოთ, ვინაიდან ისევ და ისევ იმ სიტყვებს ვიყენებ, რაც გაგვაჩნია): ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რომ გარკვეულწილად ჯაშუშებს უნდა დავემსგავსოთ. წარმოიდგინეთ ადამიანი-ჯაშუში, ეჭვის ანტენებით.[1] პრუსტიც ასევე ამბობს: ეჭვის ანტენები . რატომ ჯაშუშები? იმიტომ, რომ, როგორც ახლა გავიგეთ ნაწილობრივ, ყველაფერი ჩვენს წინაშეა – საიდუმლოც და ნაგლეჯებიც და ამ ნაგლეჯების საშუალებით რაღაც უნდა წავიკითხოთ (რაც საკმაოდ ჰგავს ჯაშუშის საქმიანობას). უცნობი სამშობლოს ჯაშუშები. საერთოდაც, უნდა ვაღიარო, რომ ყველა პიროვნებას, იმდენად, რამდენადაც ე.წ. ფილოსოფოსობის აქტს სჩადის, რასაკვირველია, ჯაშუშის თვისებები აქვს. ყოველი ფილოსოფოსი ჯაშუშია (ყოველ შემთხვევაში, საკუთარ თავს ასე შევიგრძნობ) – ოღონდ უცნობია, – ვისი. ამავდროულად, ჯაშუშის კიდევ ერთი თვისება ხელოვანსაც აქვს და ფილოსოფოსსაც. პრუსტის რომანი – ეს არის ეჭვიანის რომანი; რომანი ადამიანზე, რომელიც უიღბლო, ეჭვიანი სიყვარულის ნიჭითაა დაჯილდოებული. ყველა ეჭვიანი ადამიანი კი, მოგეხსენებათ, – ჯაშუშია. მან ნაგლეჯების – ჩანაწერები, შთაბეჭდილებები – გზით უნდა აღადგინოს სიმართლე. მისი ანტენები ყოველთვის მომართული უნდა იყოს იმისთვის, რომ თქმულისგან განსხვავებული

[1] Pr. – გვ. 356.

რამ დაიჭიროს. გითხრეს ერთი, უნდა დაიჭირო სხვა; დაინახე ერთი, უნდა დაინახო სხვა და ა.შ. ამ საქმიანობას კიდევ ერთი თვისება აქვს: ჯაშუში ნორმალურ მოქალაქეს უნდა ჰგავდეს. მას ცნობიერება უნდა ჰქონდეს ჯაშუშისა (ჩვეულებრივ, ჯაშუშები არიან ბუღალტრები, ინჟინრები, მესაათეები და ა.შ. ზოგჯერ ფილოსოფოსები). ის, რასაც ვამბობ, ერთ ძალიან მნიშვნელოვან რამეს გულისხმობს. ხელოვანს და ფილოსოფოსს (უკვე აღვნიშნე, რომ ხელოვანი უცნობ სამშობლოს ეკუთვნის) ყოველთვის ამოძრავებთ ცდუნება, რომ იმ თავიანთი სამშობლოს ქუდი დაიხურონ. საკუთარი დანიშნულების ჭეშმარიტი ფილოსოფიური გაგება ხელოვანისგან მოითხოვს, რომ ცხოვრებაში ისეთივე იყოს, როგორიც სხვები. კარგი ჯაშუში ისეთივე უნდა იყოს, როგორც ყველა დანარჩენი. ფლობერი ამბობდა, რომ ნორმალურ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი რესპექტაბელური ბურჟუა უნდა იყოს, საკუთარ ხელოვნებაში სრულიად რომ გათავისუფლდეს. უბრალოდ, გაიხსენეთ თქვენი შთაბეჭდილებებიდან და პირადი ცხოვრებიდან, რამდენად ხშირად გაქვთ ცდუნება, რომ გარეგნულადაც ხელოვანს ჰგავდეთ და რამდენად ხშირად ახორციელებთ ამას. პრუსტის თვალსაზრისით, ეს არტისტული მსოფლაღქმის ზოგიერთი ჰიგიენური წესის დარღვევას გულისხმობს.[2] პრუსტთან ერთი ძალიან სახალისო სცენა გვხვდება, რომელიც, ალბათ, საშუალებას მოგცემთ, ნებისმიერ ხედვაში ჯაშუშური მხარე გააცნობიეროთ. რეალობის ხედვას ვგულისხმობ (ფაქტობრივად, ვამბობ, რომ რეალობის დანახვა მხოლოდ ჯაშუშს შეუძლია, ანუ ადამიანს, რომელიც კონკრეტულ სამშობლოს არ ეკუთვნის.). პრუსტი აღწერს შარლიუს (როდესაც პირველად ხედავს მას) – ის თითქმის ეპიკური, არისტოკრატის გიგანტური ფიგურაა, რომელიც მჭევრმეტყველების და ექსპანსიურ-გამომხატველობითი აზროვნების საოცარი უნარით და, იმავდროულად, გასაოცარი მანკიერებითაა დაჯილდოებული და სიცოცხლის ბოლოს ის იმ მრუდე გზას გაივლის, სადამდეც ადამიანი მანკიერებას მიჰყავს და ამბობს, რომ შარლიუს ისეთი მზერა ჰქონდა, როგორიც აქვთ ადამიანებს, რომლებიც იმას შენიშნავენ, რასაც სხვები ვერ ხედავენ. პრუსტი აღნიშნავს, რომ ამგვარი მზერა შეშლილებს ან ჯაშუშებს ახასიათებს.[3] აი, მაგალითად, ვი-

---

[2] J.F. – გვ. 580.

[3] იხ.: J.F. – გვ. 751.

ჭერთ ადამიანის მზერას, რომელიც იმავეს უყურებს, რასაც ჩვენ და ჩვენ ვხედავთ, რომ ეს მზერა იმაში, რასაც ჩვენც ვხედავთ, იმას ამჩნევს, რასაც ჩვენ ვერ შევნიშნავთ. ეს არის მზერა უცნობი სამ-შობლოდან.

იმედი მაქვს, მიხვდით, რომ ჩვენი სულიერი მეტყველების მეტა-ფორებით ვსაუბრობ და არა სიტყვასიტყვით, მილიციელებისთვის დამახასიათებელი კლასიფიკაციებით. ერთი სიტყვით, ამ (ჯაშუშურ) მზერაში არის ის, რაზეც უნდა შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება, და-ნარჩენზე აქამდე უკვე ვისაუბრეთ. ვთქვათ, არსებითია, რომ საჭირო არ არის უცნობი სამშობლოს ქუდის დახურვა. საჭიროა იმ ქვეყნის ქუდის დახურვა, რომელშიც ცხოვრობ, როგორც ჩვეულებრივ მოქა-ლაქეს შეეფერება, ვინაიდან უცნობი სამშობლოს ქუდის დახურვის მცდელობას ადამიანის არტისტული და ფილოსოფიური ნიჭის გა-დაგვარება მოჰყვება. ასეთ დროს, რეალობის დანახვის ნაცვლად, ადამიანი ყოველთვის მხოლოდ საკუთარ თავს ხედავს და, როგორც პრუსტი იტყოდა, ,,საკუთარი თავისადმი სიყვარულით წერას იწყებ". აქედან არაფერი გამოვა. ასე რომ, ამ მზერაში დაეჭვების მხარეს უნდა შევჩერდეთ. ეს რაიმე კონკრეტულში თუ განსაზღვრულში უბ-რალო დაეჭვება როდია. რადიკალური დაეჭვებაა. ამ დაეჭვების ნიშ-ნები უკვე დავინახეთ, როცა ვცდილობდი, აღმეწერა პრუსტის და-მოკიდებულება იმის მიმართ, რასაც ის რეალობას უწოდებს. რეა-ლური ან ყველაზე მეტად რეალური არის ის, რაც არ არსებობს, ემპირიული თვალსაზრისით არ არსებობს. ჩვენ ამას კი არ ვხედავთ, სხვა რამეს ვხედავთ, მაგრამ რასაც ვხედავთ, არარეალურია, ხოლო რაც არ არსებობს, რეალურია. ვხედავ მახინჯ კარადას, რომელიც ნერვებს მიშლის, ვგრძნობ საკუთარ უხერხულ მდგომარეობას, რო-მელიც, თითქოსდა, კარადის დამსახურებაა, მე ასე აღვიქვამ ამას, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა რამ ხდება. და ეს ,,სულ სხვა რამ", რაც წინა პლანზე არ ჩანს, მაგრამ ხდება, არის კიდეც რეა-ლობა, ხოლო ის, რაც ხდება, არ არსებობს. არ არსებობს ბოროტი კარადები. ისევე როგორც პირინეების არც ერთ მხარეს არ ფიქრო-ბენ რუს ადამიანზე. სამყაროში ხდება, რეალურად ხდება არა ჩვენს მიმართ ბოროტად ან კეთილგანწყობილი მოვლენები, არამედ რაღაც სხვა. მაშასადამე, ეს იქნება კიდეც დაეჭვება. ანუ დაეჭვება ერთგვა-რი დაბრუნებული ბილეთია, თუკი დოსტოევსკის სიტყვებს ოდნავ

შევცვლით.[4] ალბათ, გახსოვთ დოსტოევსკის თემა (იქ, მართალია, ბილეთს სხვა სიტყვებით და სხვა მიზეზებით აბრუნებდნენ): ის უკან უბრუნებდა ღმერთს სამყაროს ბილეთს, რადგანაც ღმერთი უშვებდა, რომ ამ სამყაროში უცოდველი ბავშვის ცრემლი დაღვრილიყო. ამის საფუძველზე აბრუნებდა ბილეთს. ჩვენც ვაბრუნებთ ბილეთს, ემპირიის ბილეთს. ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ: ის, რაც არსებობს – ბოროტი კარადა ან ესპანელები პირინეებში, რომლებიც ჩვენზე ფიქრობენ, – სინამდვილეში სულაც არ არსებობს და არც შეიძლება, რომ არსებობდეს. სამყარო სხვაგვარადაა მოწყობილი. მაშასადამე, ნებისმიერი არგუმენტი, რომლის თანახმადაც, სამყაროს წყობა უპირისპირდება იმას, რასაც ვხედავთ, არის კიდეც დაეჭვების არგუმენტი, რადიკალური დაეჭვების არგუმენტი, ან განდგომის არგუმენტი – მე განზე გავდექი. მაშასადამე, მე უნდა ამოვხტე კავშირებიდან: ჩემთვის ჩვეული ტყავიდან, საკუთარი ოჯახიდან, განათლებიდან, ქვეყნიდან, ვინაიდან სანამ ამ წიაღში ვარ, მათ ისე ვიღებ, როგორც რაღაც თავისთავად ცხადს ან ჭეშმარიტს. ჭეშმარიტად ქართველად ყოფნა, ანუ ქართველად ყოფნის თავისთავადი სიცხადე. საკუთარი ცოლის ჭეშმარიტი მეუღლეობა მონოგამიურ ოჯახში. რომელიმე საზოგადოების, ამ შემთხვევაში, სოციალისტური საზოგადოების ჭეშმარიტი წევრობა. მაგრამ პიროვნებად ფორმირების გზაზე ნებისმიერი პირველი ნაბიჯი მათზე უარის თქმას უკავშირდება. ეს არ არსებობს. მართლაც, რატომ უნდა იყოს ოჯახი მონოგამიური? რა, ასეა დაწესებული რომელიმე კოსმიური კანონით? ცხადია, ეს შემთხვევითი სოციალური ფორმაა. ან რატომ უნდა ვიყოთ იმ საზოგადოებაში, რომელშიც ვართ? ამის არავითარი კოსმიური საფუძველი არ არსებობს. და როდესაც საკუთარ ბილეთს ვაბრუნებთ, გონების თვალის წინაშე ადამიანური ბუნების სხვა შესაძლებლობები გვეშლება, რომლებიც ბილეთი რომც არ დავაბრუნოთ, ისედაც არსებობს. ისინი არსებობს, მაგრამ ვერასდროს დავინახავთ მათ, თუკი ბილეთს არ დავაბრუნებთ. პრუსტიც ამით იწყებს.

ყველაფერი იმით იწყება, რომ ადამიანი იღვიძებს და არ იცის, აქვს თუ არა უფლება ან საფუძველი იფიქროს, რომ სწორედ მან

---

[4] „თან, მეტისმეტად ძვირად დააფასეთ ჰარმონია, ჩვენი ჯიბე ვერ გასწვდება, რომ შესვლისთვის ამდენი გადავიხადოთ. ამიტომაც ვჩქარობ, რომ საკუთარი ბილეთი უკან დაგიბრუნოთ“. (Достоевский Ф. Братья Карамазовы: Собр. соч.: В 10 т. Т. 9. М., 1958. გვ. 309).

გაიღვიძა. ან თვითონ იმ პიროვნებად იღვიძებს, რომელსაც შეუძლია უწოდოს „მე“. საკუთარ თავს ეკითხება: კერძოდ, ამის რა საფუძველი არსებობს? პირველი, რაც თავში მომდის – საკუთარ თავს, როგორც ამის გამფიქრებელ სუბიექტს, ქეჩოში ვავლებ ხელს – რატომ? დაეჭვების უნარი მამოძრავებს – არა რაიმე კონკრეტული საგნების მიმართ, არამედ რადიკალურ დაეჭვებას ვგულისხმობ. აი, ეს უნარი ჩვენი ჯაშუშური ნიჭისგან განუყოფელია, ჯაშუშური ნიჭი კი გაგების და დანახვის უნარისგან განუყრელია. რეალობის დანახვა და გაგება. ეს არის ის, რისი მხოლოდ რწმენა შეიძლება, რადგანაც ეს ან არ არსებობს, ან არსებობს, თუკი მისი მწამს. ცნობილი გამონათქვამიც ხომ არის: მწამს, რამეთუ აბსურდულია. ხომ გეცნობათ? მწამს, რამეთუ აბსურდულია. მთელი უბედურებაც ისაა, რომ ეს გამონათქვამი აბსოლუტურად ზუსტია და იმის ფუნდამენტურ თავისებურებას გამოხატავს, თუ ვინ ვართ ჩვენ, ადამიანები, როგორ ვართ მოწყობილი და როგორაა მოწყობილი სამყარო. მხოლოდ იმის რწმენაა შესაძლებელი, რაც არ არსებობს, ან აბსურდულია. ეს ერთი და იგივეა. ის, რაც აბსურდული არ არის, შეუძლებელია, რწმენის საგანი იყოს. რა არის „აბსურდული“? – მხედველობაში არმიღება. იმის მხედველობაში არმიღება, რაც ხილულია, რასაც ვხედავ, რაც რეალობად ითვლება. აი, ის, რაც ამგვარი „მხედველობაში არმიღების“ რწმენის გარეშეა, შეუძლებელია, რწმენის ობიექტად იქცეს. ახლა კი ამ უკან დაბრუნებული ბილეთით უნდა დავუბრუნდეთ იმ წერტილს, რომელზეც ვსაუბრობდით; წერტილს, რომელშიც გარედან ვერაფერი აღწევს. ეს წერტილი ჩაანაცვლეთ ახლად გამოღვიძებული ადამიანის სახით, რომელიც უკვე ისე იღვიძებს, რომ ეს დაეჭვების საკმაოდ რთულ პროცედურას გულისხმობს; ვიღვიძებთ და თავისთავად ცხადი გვეჩვენება, რომ ეს ჩვენ გავიღვიძეთ: თითქოს, ჩვენს ცნობიერ ცხოვრებას შეუძლია, რომ თავისთავად გაგრძელდეს, როგორც რაღაც საგანი, – დაეჭვება კი იმას ნიშნავს, რომ თავისთავად არაფერი გრძელდება. დროის მონაკვეთ A-სა და A1-ს შორის ერთსა და იმავე საგანში არის გარკვეული ნაპრალი, რომელიც თავისთავად არ იგულისხმება და რაღაცითაა შევსებული (შემდგომში დავინახავთ, რომ ამ ნაპრალს ჩვენი ძალისხმევისა და სამყაროში ჩვენი ჩართულობის მთელი სამყარო ავსებს). კიდევ ერთი სახეც დავამატოთ. მაშასადამე, ერთი მხრივ – ახლად გამოღვიძებული ადამიანის სახე (ადამიანის, რომელსაც გამოღვიძე-

ბისას არ აქვს საფუძველი იფიქროს, რომ იმ ადამიანად გაიღვიძა, რადაც გაიღვიძა), მეორე მხრივ – სიკვდილის სახე, რომელიც ძალიან კარგად ცხადყოფს ცნობიერების ზოგიერთ ფუნდამენტურ თავისებურებას (რომელსაც ვუტრიალებ), რომელიც ჯერჯერობით ასე აღვნიშნე: დროის მონაკვეთ A-ში შემცნობ საგანსა და დროის მონაკვეთ A1-ში იმავე საგანს ან შინაარსს შორის არ არსებობს თავისთავად ცხადი უწყვეტი გადასვლა. აი, მაგალითად, სიკვდილი ამას შეგვახსენებს. ყველამ ვიცით, რომ მოვკვდებით, მაგრამ არ ვიცით, როდის მოხდება ეს. და ნებისმიერი ცხოვრებისეული მომენტი იმისგან შედგება, რომ მომავალზე ვართ პროეცირებული. რომელიღაც A წერტილიდან, რომელშიც ახლა ვარ, მივიწევ B წერტილისკენ, მაგრამ ეს B წერტილი არ მომდინარეობს წინამავალი წერტილიდან თუნდაც იმიტომ, რომ A-სა და B-ს შორის შუალედში შეიძლება მოვკვდე. ზუსტად ასევეა აზროვნების შემთხვევაშიც – სიკვდილის ზემოხსენებული მხარე იმ აზრობრივი მდგომარეობების ზოგიერთი თვისების სიმბოლოა, რომლებსაც ჩვეულებრივ განვიცდით. ვთქვათ, აზროვნების მდგომარეობა. თუკი რომელიმე აზროვნების მიმართულებით ვმოძრაობ, – მთელი აზროვნება, მათ შორის შემეცნებაც, ხომ მოძრაობაა: ვმოძრაობ და უამრავი ნაბიჯის შემდეგ რაღაცას ვიგებ. ასე რომ, მთელი უბედურება ისაა, რომ ის, რაც რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ არის, წინამავალი ნაბიჯებიდან არ გამომდინარეობს. როგორც ჩანს, ამას სხვაგვარი მიზეზი უნდა ჰქონდეს (კარგი, ეს ძალიან რთული პუნქტია და გულს ნუ გაიტეხთ, თუკი ერთბაშად ვერ წვდებით; ჩემთვისაც კი თითქმის შეუძლებელია ამის წვდომა). უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რა შეგვიძლია გვქონდეს საკუთარი ნებით და რა – არა. ის, რაც საკუთარი ნებით გვაქვს, სწორედ იმას გულისხმობს, რომ როგორღაც გარანტირებულია, რომ, თუკი A-დან დავიწყე და მხედველობაში მაქვს B, ამ B-სთან A-დან მივალ. საჭიროა A, რომ მერე იყოს B-ც. ხომ ასეა? მაშინ ასეთ კითხვას დაგისვამთ: თუკი მოვისურვებ, შესაძლებელია თუ არა, – ანუ, როცა წინამავალ მომენტში რაიმეს გავაკეთებ – სურვილიც ხომ ეს არის? – A იმ შინაარსითაა დატვირთული, რომ ამ შინაარსიდან A დროის მონაკვეთში უნდა მივიღოთ B დროის მონაკვეთი, ანუ დროის მომდევნო მონაკვეთი, – შემიძლია თუ არა, რომ, თუკი მოვისურვებ, რომ მქონდეს აზრი, ეს სურვილი საკმარისი იქნება დროის მომდევნო მონაკვეთში მის მისაღებად? ან შევძლებ

თუ არა აღელვებას, თუკი მოვინდომებ? ან შთაგონების მიღებას, თუკი მოვინდომებ? სამყაროში უამრავი მოვლენაა, რომლებსაც ამ გზით ვერ მივიღებთ. შეუძლებელია აზრის მიღება მხოლოდ სურვილის გზით, არც აღელვებაა შესაძლებელი მხოლოდ მონდომებით. ის, რაც მომდევნო წამს მოხდება, შესაბამისად, არ გამომდინარეობს იმისგან, რაც მანამდე იყო. სიკვდილი ამაზე ძალიან მარტივად მიგვითითებს. სიკვდილი შეგვახსენებს, რომ ჩვენი ცნობიერი ცხოვრების ზოგიერთ ფუნდამენტურ პროცესში არ არსებობს უწყვეტობა. არ არსებობს თავისთავად მოქმედი ხანგრძლივობა (თითქოს, მილია — ამ და მომდევნო წამს გრძელდება. და ეს სიგრძე არის კიდეც ამ მილის თვისება. თვისება დროში. ანუ: ვიძინებ და ვიღვიძებ მერაბ მამარდაშვილის სახით, თითქოს ეს არის ჩემი, თავისთავად ცხადი თვისება. არა, ვიმეორებ, სამყარო ასე არ არის მოწყობილი). ამიტომაც გვიჩნდება დაეჭვება, რაც იმ სფეროს მოხაზვის მცდელობაა, რომელშიც — რაღაც საფუძველზე და არა თავისთავად და თან, პირველად — რაღაც იბადება და ჩნდება. ერთი სიტყვით, ასე ვთქვათ: როდესაც რაღაცას ეჭვის თვალით ვუყურებ, განსაკუთრებული სახის ცდას ვატარებ, რაც შემდეგს გულისხმობს: როგორც სუბიექტი (ანუ ის, ვინც ამ ცდის შედეგად რაღაცას გაიგებს, ექნება განცდები, დარჩება მეხსიერება და ა.შ.), მე წინ არ ვუსწრებ ცდას. ვიმეორებ, მე წინ არ ვუსწრებ ცდას, და საქმე გვექნება მხოლოდ ისეთ „მე“-სთან, რომელიც თვით ცდაშივე იბადება. მაგალითად, ჩვენ ხომ ვვარაუდობთ, რომ ისტორიის მიერ უკვე განსაზღვრული გარკვეული თავისებურებების, ანუ მეხსიერების, და განცდების გარკვეული ნაკრების მქონე ადამიანი (თითოეულ ჩვენგანს აქვს თავისი ისტორია, გვაქვს გარკვეული თვისებები და თავისებურებები და ის, ვინც რაიმე ახალს ან განსხვავებულს გაიგებს, არის კიდეც ამა თუ იმ თვისების მატარებელი ადამიანი), — რაღაცას გაიგებს. მუზილის ენაზე რომ ვთქვათ, — ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ადამიანი, ვინც რაღაცას იგებს, გარკვეული თვისებების მატარებელი ადამიანია. ანუ, ადამიანი, რომელსაც გარკვეული თვისებები აქვს, არის კიდეც ადამიანი, რომელმაც რაღაც გაიგო, დაინახა, რაღაცას მიხვდა და ა.შ. მუზილის რომანს კი „უთვისებო კაცი“ ეწოდება. მაშასადამე, დაეჭვება პირობითი პროცედურა, საგანგებო პროცედურაა, ამოცანაა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ რაიმეს გაგების სურვილის მქონე ადამიანი უთვისებო ადამიანად, ანუ იმ თვისებების არმქონედ აქციოს, რომლებიც მოცემულ ცდამდე ჰქონდა.

ახლა უხეშად აღვნიშნავ, უბრალოდ აღნიშვნის სახით დავტოვებ, რადგან მერე სხვა გზებით დავუბრუნდეთ ამას, – და ეს არის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გზა, რომელსაც შეგვიძლია ინდივიდუალური მეტაფიზიკის გზა ვუწოდოთ. ამგვარი პროცედურის განხორციელებას მეტაფიზიკა ეწოდება. იმ წერტილში, რომელზეც ვსაუბრობდი, არის გარკვეული „მე", რომელშიც არაფერია ისეთი, რაც წინ უსწრებდა იმას, რაც ამ წერტილში მოხდება. დეკარტი, რომელიც არის კიდეც, ასე ვთქვათ, ჩვენი ახალი ევროპული აზროვნების, დაეჭვების ამ პროცედურის ავტორი, პროცედურის, რომელიც, როგორც წესი, ძალიან ზედაპირულად ესმით: ეჭვით შეხედე ყველა კონკრეტულ ცნობას (მაგრამ, როგორც ხვდებით, ლაპარაკია სხვა რამეზე), – ერთი სიტყვით, დეკარტმა, რომელმაც საკუთარ თავში აზრის გამოღვიძების ერთგვარი ეგზისტენციალური გამოცდილება სრულად გაიარა და იწვნია და საკუთარი შიშის და რისკის ფასად შეეცადა სხვებისთვის გადაეცა ის, რითაც ის იყო დაკავებული, – ეს პროცედურა ამგვარი სიტყვებით გადმოსცა: იმის გარდა, რომ მე ვარ საგანი, ამბობს ის, ამავე დროს – მოაზროვნე არსება ვარ. მაშასადამე, ადამიანი, როგორც გარკვეული თვისებების მატარებელი საგანი, რაღაც მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის რგოლია. ის – ეს ნივთი – გარკვეულ დროშია მოქცეული, გარკვეულმა მშობლებმა შობეს და ა.შ. და მას აქვს თავისებურებები და თვისებები. მაგრამ ის, რასაც „მე"-ს, „მოაზროვნე მე"-ს ან „კოგიტოს" ვუწოდებ, დეკარტის თქმით, არის რაღაც ისეთი, რაც ამ მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვიდან ამოვარდნილია, თითქოს, ის ჩემამდე არარა ყოფილიყო. ვიმეორებ: თითქოს, ჩემამდე არაფერი ყოფილიყო. რასაკვირველია, ვიცი, რომ „მე" – დაბადებათა და გარდაცვალებათა გრძელი ჯაჭვის რგოლია და ისიც ვიცი, რომ გარკვეული მშობლებისგან ვიშვი და ა.შ., მაგრამ აზროვნების აქტი, ანუ გაგების აქტი გულისხმობს იმ წინაპირობას, თითქოს, ჩემამდე არაფერი არსებობდა; მათ შორის, არც მე ვარსებობდი. მე ხომ ჯერ კიდევ უნდა დავიბადო. მე თვითონ, ვინაიდან, განსაზღვრების თანახმად, „მე თვითონ" არის ვიღაც კონკრეტული და განსაზღვრული, რომელსაც გარკვეული თვისებები და თავისებურებები ახასიათებს. მეტიც, დეკარტი ამატებს: თითქოს, ღმერთმა მხოლოდ მე შემქმნა. საქმე ისაა, რომ ჩვენი ენა და ცნობიერება, იმდენად, რამდენადაც არსებობენ, ისეა მოწყობილი, რომ მხოლოდ ასე შეიძლება ითქვას. ყველას შეუძლია თქვას, რომ ღმერ-

თმა მხოლოდ ის შექმნა და ღმერთისადმი ჩვენი მიმართება თითოეული ჩვენგანის მისდამი დამოკიდებულების ერთგვარი ჯამია; თითოეულის – ვინც ფიქრობს, რომ ღმერთმა მხოლოდ ის შექმნა. ამგვარი განწყობის გარეშე – ადამიანთა მოდგმის ამ დამოკიდებულების გარეშე გარკვეული არსებისადმი ან ძალისადმი, რომელსაც ღმერთს უწოდებენ, მსგავსი – ჭეშმარიტი – განცდა შეუძლებელია. აი, შეეცადეთ, ჩაწვდეთ: თვით ამ განცდის არსი გულისხმობს იმას, რომ ეს განცდა არის ცალ-ცალკე თითოეული ადამიანის მტკიცებათა ჯამი, რომ ღმერთმა მხოლოდ ის შექმნა. ესაა მოძრაობის, ჩვენი სულიერი თუ სამშვინველისმიერი ცხოვრების, გაგების და განვითარების ამოსავალი წერტილი. ამიტომაც ვუწოდე მას „ინდივიდუალური მეტაფიზიკის გზა“ (მოგეხსენებათ, მეტაფიზიკა არის სწავლება ზოგიერთი ცდის გარეშე არსებული საგნის შესახებ, რომლებიც არასდროს გვეძლევა ცდის გზით. ამგვარი საგნებია ღმერთი, სული და უკვდავება. მაგალითად, პრუსტს მტკიცედ სწამდა, რომ ის უკვდავია[5], არა როგორც ემპირიული ადამიანი, რომელსაც ესა თუ ის გვარი აქვს, არამედ როგორც ადამიანი, რომელმაც ჩაატარა ცდა და ეს ცდა თავის რომანში, – „დაკარგული დროის ძიებაში“ აღნუსხა.) როგორც ხედავთ, ამ წერტილში უნდა მოვათავსოთ უცნაური საგნები. მაგრამ დაგვიგროვდა ზოგიერთი სიტყვა იმის გასარკვევად, რაც იქ ხდება; რაღაც, რაც მხოლოდ იქ ხდება, – რასაც არაფერი უსწრებს წინ და რაც არაფრიდან არ გამომდინარეობს. არც თავისთავად იგულისხმება, რომ დროის მონაკვეთის ერთი შინაარსიდან მომდევნო დროის მონაკვეთის შინაარსი მომდინარეობს. ყველაზე საინტერესო შუალედში ხდება და ამით ეს ყველაზე საინტერესო შეგვიძლია განვიხილოთ ისე, თითქოს მანამდე არაფერი ხდებოდა. მათ შორის არც ჩემი „მე“ არსებობს. მას არავითარი თვისება, არავითარი თავისებურება არ აქვს და, თუკი ექნება, – მხოლოდ ისინი, რომლებსაც ჩვენ შევიტანთ მომხდართან, იმ ცდასთან ერთად, რომელიც ამ წერტილში ტარდება, – ანუ თავიდან არსებობს უთვისებო ადამიანი და მაშინ, შესაძლოა, გაჩნდეს ადამიანი, რომელიც თავისუფალია. რასაკვირველია, მას შემდგომში გარკვეული თვისებები ექნება, მაგრამ ეს იქნება თავისუფალი ადამიანი. მაშასადამე, ეს ერთსა და იმავე დროს ინდივიდუალური მეტაფიზიკის გზაცაა და

[5] T.R. – გვ. 1037 – 1038.

თავისუფლებისაც. საშინელი და რთული მექანიზმია, რაც ადამიანისთვის მძიმე ტვირთად იქცევა. მაგრამ ადამიანს სხვა გზა არ აქვს, უნდა ზიდოს ეს ტვირთი. ადამიანი ხომ საკმაოდ უსუსური არსებაა და ბევრი რამ არც ხელეწიფება. მაგრამ მხოლოდ თავისუფლება თუ დაეხმარება მას. ვიტყოდი, რომ თავისუფალ ადამიანებსაც კი არ ძალუძთ ბევრი რამ, მონებს ხომ სულაც არაფერი შეუძლიათ?! ახლა კი ეს ყველაფერი რომ უცნობ ქვეყანას დავუკავშირო, მინდა ერთი ძალიან ტევადი იტალიური გამოთქმა მოვიხმო (უფრო სწორად, იტალიური სიტყვაა, მისი თარგმნა შეუძლებელია, უფრო სწორად შესაძლებელია, მაგრამ სიტყვის ენერგია იკარგება, ვინაიდან ერთი სიტყვის ნაცვლად რამდენიმეთი უნდა გადმოვცეთ.). მაშასადამე, ამ წერტილში სამშობლოს – spaesemente-ს გარეშე აღმოვჩნდებით. სამშობლოსთან კუთვნილების გრძნობას ვკარგავთ; საცხოვრებლის, ადგილის, მისამართის გარეშე ვრჩებით, სრულ ყარიბად... სიცოცხლით სავსე ვართ, სიცოცხლის სისავსე კი არის კიდეც ჩვენი პრობლემა, საკუთარი „მე“-ს შეგროვების პრობლემა, რომელიც მკვდარი ნაწილების სახით, მიმოფანტულია მთელ გარემოში. სრულიად ცოცხალი – იმავდროულად ყოველთვის გაუცხოებულია. Spaesato. შესაბამისად, უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენი წერტილი გარკვეული ცოცხალი წერტილის სახით, ვინაიდან ჩვენი პრობლემა ცოცხლად დარჩენაა და ერთადერთი რამ, რაც გვინდა, არის ის, რომ ცოცხალი ვიყოთ.

ასე რომ, ეს ცოცხალი წერტილი რომელიღაც მრუდე ხაზზეა მოთავსებული. წარმოიდგინეთ მრუდე ხაზი და მასზე წერტილი, რომელიც თქვენს ქვეშ ისევე თავბრუდამხვევად მოძრაობს, როგორც უნაგირზე ჯდომისას ჩანს მიწა. და ამ უნაგირზე თავი უნდა შეიმაგროთ. უნდა შეაერთოთ ორი ბოლო, რომლებიც თავისთავად არ ერთდება; ისევე, როგორც არ ერთდება დროის წინამავალი მონაკვეთი მომდევნოსთან. სიკვდილი შეგვახსენებს, რომ ასეთი, თავისთავად ცხადი ხანგრძლივობა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. უკვე დავაგროვეთ რამდენიმე სიტყვა იმისთვის, რომ როგორღაც წარმოვიდგინოთ ამ წერტილის თავისებურებები. მაგალითად, ამ წერტილში მოვათავსეთ წყვდიადი. როგორც ვთქვი, ამ წერტილში წყვდიადს წინ არ უნდა უსწრებდეს სინათლე. ფაქტობრივად, დღეს ხელახლა, სხვა, შესაძლოა, უფრო გასაგები სიტყვებით ვსაუბრობდი იმაზე, რომ ჩვენი ამოსავალი უნდა იყოს ის, რომ, თითქოს, არაფე-

რი არსებობს და არც მე ვარსებობდი მანამდე, სანამ ამ წერტილში რამე მოხდებოდა. დაეჭვება მაიძულებს ამგვარი პოზიცია დავიკავო. მაშასადამე, ეს არის მასში არსებული წყვდიადი. ვამბობდი: წყვდიადი პირადულია, ყველას თავისი ჩრდილი აქვს, ისევე, როგორც ის, რომ ყველა თვითონ კვდება, სხვის ნაცვლად სიკვდილი შეუძლებელია; ყველას თვითონ ესმის, ისევე როგორც ჩრდილიც ყველას თავისი აქვს, რომელსაც დანტემ „ჩრდილის დიდი წრე“[6] უწოდა. ჩრდილი – საკუთარი ვერგაგებაა, წინამავალი ცოდნის არქონა (როგორც კირკეგორის მაგალითშია), ვინაიდან არსებული ცოდნა ყველაზე ხშირად უკვე სტერეოტიპია და ჩვენს ცოცხალ აზრს, ცოცხალ გრძნობას მოკლებულია. ეს არის დაავადება, რომელიც სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. სასიცოცხლოდ სახიფათოა წარმოდგენა ისტორიის მსვლელობაზე, როგორც გარკვეულ სოციო-ისტორიულ მექანიზმზე (ეგრეთ წოდებული პროგრესის იდეა), რომელშიც, თითქოს, ჩვენი ძალისხმევა უერთდება რაღაც თავისთავად მიმდინარეს. ისტორია, როგორც თავისთავად მიმდინარე – დროის A მონაკვეთს და მომდევნო B მონაკვეთს არ გააჩნიათ თავისთავად ცხადი ხანგრძლივობა. ასევეა საზოგადოებაშიც – მე დავდე აგური და სხვამაც დადო და ეს ყველაფერი თავისთავად გვარდება და გრძელდება. რატომღაც ყველა თვლის, რომ ეს ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ ხდება, თითქოს, რომელიღაც პროვიდენციალური ხელი არსებობს, რომელიც აწესრიგებს ამ მექანიზმს. რომელ მექანიზმს? თვითმოძრაობის მექანიზმს, თვითმოძრავ მექანიზმს. რა არის თვითმოძრავი მექანიზმი? ეს არის მექანიზმი ჩემს გარეშე, ის ჩემს გარეშე მუშაობს, მე მხოლოდ ვუმატებ და ყველაფერი ისე გამოდის, როგორც საჭიროა. სამყარო ასე არ არის მოწყობილი. შემიძლია მარტივი მათემატიკური პარადოქსითაც კი განგიმარტოთ ეს (ოდნავ გადავუხვევ). ვთქვათ, მეცნიერი ვარ. მეცნიერი აკეთებს რაღაცას, რაც დროის მომდევნო მონაკვეთში შეიძლება უგულებელყონ (და მეცნიერი ამისთვის მზად უნდა იყოს). ვიღაც აღმოაჩენს რაღაცას, რაც ხაზს გადაუსვამს თქვენს წინამორბედ აღმოჩენას. და მომდევნო ცოდნა ყოველთვის დღეს დაგროვებულის ჯამია. ეს ჯამი უგულებელყოფს რაღაცას, ამ „რაღაცის“ ნაცვლად სხვას სვამს და ა.შ. ანუ, როგორც მეცნიერი, ვმონაწილეობ გარკვეულ კოლექტიურ საქმიანობაში, რო-

[6] Данте Алигьери. Божественная комедия. Ад, IV, გვ. 24.

მელშიც ძალისხმევები ჯამდება. იგივე შეიძლება ითქვას ისტორიული საზრისის, ერთგვარი სოციო-ისტორიული მექანიზმის შესახებ, რომელიც თავისთავად ბრუნავს, როგორც ისტორიის ბორბალი. შემთხვევითი არ არის, რომ სოციალურ იდიოტებთან გაჩნდა „ისტორიის ბორბლის“ სახე, რომელიც გვავალდებულებს, რომ მისი მოძრაობის მიმართულებით ვიღვაწოთ. იგივე შეიძლება ითქვას იმის შესახებ, რასაც საზრისს, ან ზნეობრივ საზრისს ვუწოდებთ.

ხშირად ვამბობთ, რომ ის, რასაც დღეს ვაკეთებთ, საზრისს ხვალ შეიძენს. რა გაგებით? აი: რომ, რასაც ვაკეთებ, იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც დღეს, ხვალ, ზეგ მას სხვა ძალისხმევები დაემატება და საზრისს მიანიჭებენ იმას, რასაც დღეს ვაკეთებ. მაგალითად, თუკი დღევანდელი ჩემი ქმედების აზრს მე ვხედავ იმაში, რაც საზოგადოების სახით 50 წლის მერე შედგება, სრულიად ცხადია, რომ იმის ზნეობრივი და სულიერი საზრისი, რასაც დღეს ვაკეთებ, მხოლოდ 50 წლის შემდეგ იქნება, ვინაიდან, თუკი ჩემს ძალისხმევას საზრისი ენიჭება კოლექტიური საქმიანობის წარმატებიდან გამომდინარე, რომელიც გარკვეულ დროში იგულისხმება, მაშინ დღეს ვინმეს მოკვლაც შემიძლია, თუკი თავისი მნიშვნელობით ეს მკვლელობა გამართლდება იმით, რაც 50 წლის შემდეგ იქნება. ერთი სიტყვით, სამყარო ისეა მოწყობილი, რომ ყველაფერს მნიშვნელობა ხვალინდელი დღის გადმოსახედიდან რომ ჰქონოდა, ამწამიერს არაფერს ექნებოდა აზრი, ვინაიდან, თუკი ვამბობ, რომ ის, რასაც ვაკეთებ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იქნება ხვალ, მაშინ აიღეთ ხვალინდელი დღისკენ მოძრაობის ეს უსასრულობა და გამოყავით მასში დღევანდელი დღე და მიხვდებით, რომ ყველაფერი აზრს დაკარგავს. რამდენადაც ხვალიდნელი დღე დღევანდელობისგან შედგება, ანუ ხვალაც იქნება დღეს, ხომ? – მაშინ იქაც კარგავს მნიშვნელობას.

იგივე შეიძლება ითქვას ცოდნაზეც. თუკი ის, რასაც როგორც მეცნიერი ვაკეთებ, დღეს შეიძენს მნიშვნელობას, მხოლოდ ამ შეჯამებაში უსასრულო მომავალში, მაშინ ნებისმიერ მოცემულ მომენტში არაფერი ვიცი. თუკი შემეცნება ამგვარი შეჯამებაა, მაშინ ცოდნა არცერთ ნებისმიერ მომენტში არ გვაქვს. შეუძლებელია ცოდნის ერთეულის მიღება უსასრულობაზე მისი გაყოფით. ასეთ შემთხვევაში ნულს ვიღებთ და თითოეულ წერტილშიც ნულია. ეს შეუძლებელია. მართლაც, ტოლსტოიმ, როდესაც ის პროგრესის თეორიის აჩრდილს

ებრძოდა, ასეთი მეტაფორა მოიგონა. მან ეს დროის გლეხის მიერ (თანამედროვე ადამიანისგან განსხვავებულ) შეგრძნებას შეადარა და იმის მიუხედავად, რომ მისი შედარებები მოიკოჭლებს, მაინც საინტერესო მსჯელობა შემოგვთავაზა: ყოველთვის არის მასთან რაღაც საზრისი, ჭეშმარიტი ზუსტი განცდის რაღაც ამოსავალი წერტილი, რომელიც შემდეგ განსჯაში იკარგება, ვინაიდან ის ფილოსოფიაში დიდად გათვითცნობიერებული არ გახლდათ, მაგრამ წერტილი ყოველთვის არის; შექსპირის შესახებ მსჯელობებშიც კი, თქვენთვის, რასაკვირველია, ცნობილ ხელოვნების უარყოფაში და ა.შ. – ყველაფერი ეს ჩვენგან დიდსულოვნებას მოითხოვს. გაუთვითცნობიერებელი ადამიანის აზრების ძონძებს მიღმა უნდა დავინახოთ ჭეშმარიტი პრობლემები, განცდათა ჭეშმარიტი საფუძველი, რომელიც ჰქონდა ტოლსტოის, სხვა ჭკუის კოლოფებისაგან განსხვავებით, რომლებიც, შესაძლოა, უფრო ჭკვიანებიც იყვნენ და გათვითცნობიერებულნიც, მაგრამ ამის დანახვას ვერ ახერხებდნენ და ვერ გრძნობდნენ. და, საერთოდ, აზრისადმი დამოკიდებულება ჩვენგან სულის განსაკუთრებულ თვისებებს ან იმას მოითხოვს, რასაც დიდსულოვნება ვუწოდე. ეს არის ადამიანის სულის განსაკუთრებული თვისება – თუკი ადამიანი დიდსულოვანია, შეუძლია, უგუნურებასთანაც იმეზობლოს. არ მოვითხოვ, რომ მას ჭკვიანური სახე ჰქონდეს, ვხედავ, რაც მის მიღმაა და უგუნურებას ვპატიობ. მართლაც, ის ამოსავალი, სოციალისტურ იდეათა ასეთი ჰუმანური თუ ჰუმანისტური შინაარსი, რომელიც ამ მოძრაობის აღმოცენებისას იყო, ასევე უკავშირდება იმას, რაზეც ახლა ვსაუბრობ. მარტივ მაგალითს მოვიხმობ. საუკუნის დასაწყისში ერთმა ფრანგმა სოციალისტმა, პარლამენტში გამოსვლისას, – ამ დროს განიხილავდნენ გაფიცვების საკითხს, რომელშიც გაუბედურებული, ძონძებში გახვეული, მშიერი ადამიანები მონაწილეობდნენ, მათ ლანძღავდნენ, რომ ისინი უპოვარები და გაუნათლებლები იყვნენ, არაფერი ესმოდათ და, უბრალოდ, სოციალურ ამბოხში იყვნენ ჩართული, – ასეთი რამ თქვა: „ამ უბედური ადამიანებისგან სრულყოფილებასაც კი მოითხოვენ“. დიდსულოვნების საკითხი იმას გულისხმობს, რომ უგუნურების ძონძებსა თუ პირდაპირი მნიშვნელობით ძონძებს მიღმა დავინახოთ ის რეალური ადამიანური მდგომარეობა, რომელიც სხვა ადამიანებთან გვაერთიანებს, რამდენად კარგად ან ცუდადაც არ უნდა გამოხატავდნენ თავიანთ მდგომარეობას. ჩვენ სულაც არ დაგვაკნინებს ამის შეგრძნება. არ

შეიძლება უბედური ადამიანებისგან სრულყოფილების მოთხოვნა. მაგრამ აზროვნების სფეროში სხვა მხარეცაა. ადამიანები ისე არიან მოწყობილი, რომ დიდი მონდომებით და სიხარულით ეჭიდებიან უხეირო გამონათქვამებს, რომ ვერ იგრძნონ ის, რასაც საკუთარი თავის გამოხატვა სურდა. მაშინვე საბაბს გამოვნახავთ და არ გვესმის. ამიტომაც, როდესაც ადამიანს რაიმეს გამოხატვა სურს, მაინც სრულყოფილად უნდა გამოხატოს ის. არა იმიტომ, რომ ასე უნდა იყოს, — უბრალოდ, ადამიანები საბაბს მოძებნიან და მოსმენას არ მოინდომებენ. ფაქტობრივად, მხოლოდ ღმერთის წინაშე შეიძლება ძონძებში წარდგომა, ვინაიდან ის არ არის ფორმალისტი, მიხვდება, რასაც გულისხმობ და ყურადღებას არ მიაქცევს იმას, რომ ჩამოძონძილი ხარ. ადამიანების წინაშე კი მთელი იარაღით უნდა წარდგე, ანუ აზრის სამოსი კარგად უნდა მოირგო და თანაც, უქუდოდ, ჩაჩის გარეშე უნდა იყო.

შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: წერტილიდან, რომელშიც ვიმყოფებით, სამომავლოდ ვერაფერს გადავიტანთ. თუკი არსებობს საზრისი, მხოლოდ მასშია და თუკი ხვალინდელი დღისთვის შეიძლება გადადება ან სხვებისთვის გადაბარება, მაშინ აზრი არ ექნება არც აქ და არც იქ. აი, ასეთი უცნაური წყვდიადის წერტილია, საკუთარი წყვდიადის წერტილი. მასში შეიძლება შეაღწიოს სინათლემ, არსებობს ამის შანსი. ნახევრად სინათლეში სინათლე ვერ შეაღწევს. აქ გზას მას ის უღობავს, რასაც კირკეგორმა სასიკვდილო დაავადება უწოდა. ამას დავუმატოთ სიტყვა „წყვდიადი“ — ხომ გახსოვთ პრუსტის ციტატა, სადაც ის ერთგვარ იდუმალ „აქტივობაზე“ საუბრობს, რომელიც თესლში მიმდინარეობს, — ის უნდა გავაერთიანოთ „წყვდიადთან“. პარადოქსულია: ჩვენი წყვდიადი იმავდროულად იდუმალი აქტივობაა, ან შრომაა, რომელსაც ვერაფრით ჩავანაცვლებთ. შეუძლებელია ცხოვრებისეული შრომის, ან იდუმალი აქტივობის, ან წყვდიადის ჩანაცვლება რომელიმე განსჯისმიერი აქტით. ანუ შეუძლებელია საკუთარი თავის (ვინც განსჯისეულ ელემენტებს ერთმანეთს უკავშირებს) დაყენება იმის ნაცვლად, რაც იდუმალი აქტივობის გზით კეთდება. თესლს საკუთარი თავით ვერ ჩაანაცვლებთ. თქვენ ვარაუდობთ, რომ თესლი აკეთებს იმას, რაც არ არის თქვენი აზრის ან თეორიის რეალიზაცია, — ის ამას იდუმალი შრომის გზით აკეთებს. მაშასადამე, ჩვენს წერტილში გარკვეული იდუმალი შრომა მიმდინარეობს. შემდეგ გვახსოვს, რომ ამ წერტილ-

ში თავი მოიყარა ყველა ტვირთმა და სიმძიმემ. წონასწორობის წერტილი. დანტესეული წერტილი. უკვე „ღვთაებრივ კომედიაში“ კი არა, დანტეს პროზაულ ტექსტში (კინაღამ პრუსტი ვახსენე, სიმპტომური წამოცდენა იქნებოდა), რომელსაც „ახალი ცხოვრება“ ეწოდება, ამგვარი მდგომარეობის აღწერას ვხვდებით. დანტე ამბობს, რომ მას რომელიღაც ციური ხმა მიმართავს, რომელიც, თითქოსდა, სიზმარში ესაუბრება: „სხვა ყველა ჩემგან თანაბარ მანძილზეა დაშორებული, მაგრამ არა შენ“[7]. ანუ ის, თითქოს არ იმყოფება იმ წერტილში, საიდანაც მას ხედავენ. ამ მზერას კი ისეთი თვისება აქვს, რომ ყველაფერი, რასაც ის ხედავს, მისგან თანაბარი მანძილითაა დაშორებული (ეს ახლა არც თუ ისე გასაგებია, მაგრამ, უბრალოდ, დაუკავშირეთ იმ მასალას, რომელიც მოვიხმე). ვამბობდი, რომ არსებობს რაღაც წერტილი, რომელშიც არ არსებობს სხვაობა მათხოვარსა და უფლისწულს შორის. თუკი ისინი იმ წერტილში იმყოფებიან, გარკვეული მზერის მანძილიდან თანაბრად არიან დაშორებული. მოდით, ამ მზერას დანიშნულების მზერა ვუწოდოთ. მაშასადამე, წყვდიადის წერტილი, იდუმალი შრომის წერტილი, ამავე დროს, „თანაბარი დაშორების“ წერტილიცაა: მასში სრულიად განსხვავებული ადამიანები ერთნაირად ახლოს და შორს არიან გარკვეული ცენტრისგან, რომელიც, რასაკვირველია, გეოგრაფიულად არც ერთ მხარეს არ ეკუთვნის. ვამბობდი, რომ არსებობს რომელიღაც წერტილი, რომლის მოქმედების ძალითაც თითოეული ჩვენგანის ბედი ჩვენი სულის დონეზე დგინდება. ის ყველაფერს ჩვენი სულის დონეზე ათანაბრებს, მნიშვნელობა არ აქვს ამ მზერის ცენტრში ვიყავით თუ, როგორც დანტე ამბობდა – „რატომღაც შორს ხარ“, არათანაბარ მანძილზე.

პრუსტისეული თემა – გათანაბრების მუდმივი თემაა. ეს არის რომელიღაც წერტილთან გათანაბრება, რომელიც ერთგვარი ნეიტრალური წერტილია. უფრო მეტი სიცხადისთვის პრუსტის ამგვარ მსჯელობას მოვიხმობ. მსჯელობა ეხება იმას, რომ არსებობს რაღაც, რაშიც არის სწორედ „მე“ ნებისმიერი წინამავალი თვისებების გარეშე. ეს გახლავთ გათანაბრების ან ნულოვანი წერტილი, რომელშიც – როგორც ვამბობდი – ადამიანს არ გააჩნია თვისებები,

[7] „წრის შუაგულივით ვარ,რომლის მიმართაც ყველა წერტილი ირგვლივ თანაბრადაა დაშორებული, ოღონდ არა შენ“. (Данте Алигьери. Новая жизнь. М.,1965. გვ. 15).

თავისებურებები, არ არსებობს არაფერი, რაც წინ უსწრებს ცდას და მხოლოდ ის არის, რაც მის წიაღში გაჩნდება. ეს შიშვლად სიარულს ჰგავს. ასე რომ, ამ „სიშიშვლეში“ ყველა თანაბარი ვართ და მასში მხოლოდ ერთი რამაა: ის, რასაც თვითონ ვაკეთებთ. ვთქვათ, მე მდიდარი ვარ, ალბერტინა – ღარიბია, ამბობს პრუსტი (ვიმეორებ მაგალითს, რომელიც უკვე მოვიხმე), ტექნიკის და ცივილიზაციის ყველა უპირატესობა ჩემს განკარგულებაშია, ვინაიდან საშუალებებს ვფლობ, შემიძლია დავრეკო, შემიძლია მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში დეპეშები დავაგზავნო, ჩემი აგენტები მივავლინო და ვკითხო მათ, სად ნახეს ალბერტინა, შევიდა თუ არა ის ამ საროსკიპოში და მართლაც შეხვდა თუ არა წყვილს. და პრუსტი ამბობს: რასაკვირველია, მთელი ტელეგრაფი, კავშირის საშუალებები ჩემს განკარგულებაში იყო, რომელთა წყალობითაც თვალის დახამხამებაში შეიძლებოდა ცნობების შეგროვება ყველა იმ სხვადასხვა წერტილის შესახებ, რომლებშიც ალბერტინა იყო და ამგვარ ტექნიკურ საშუალებებს არამდიდარი ადამიანი არ ფლობს, მდიდარს კი აქვს ის, მაგრამ ყველაფერი ეს ნულზე დაიყვანებოდა იმ წერტილში, სადაც საუბარი თვითონ ადამიანის სიყვარულსა და ტანჯვას ეხებოდა და სადაც ალბერტინასაც თვითონ უყვარდა და იტანჯებოდა და სადაც ჩემი ნება ალბერტინას ნება-სურვილს ან ნების უქონლობას თანხვდებოდა. ალბერტინას სურვილის გამოწვევა ხომ შეუძლებელია საკუთარი ცოდნით, საკუთარი ტექნიკური საშუალებებით?! მას სურს ან არ სურს და ამას ვერსად გავექცევით. ყურადღება მიაქციეთ, რომ აქ ყველა თავისებურება მოხსნილია. უფლისწული ვარ, მაგრამ მათხოვარი ვარ ამ წერტილში, ალბერტინას ურყევი სურვილის ან სურვილის უქონლობის წინაშე. მეტიც, პრუსტი ამბობს, რომ ჩვენი გარკვეული განცდის ან მდგომარეობის მატერიალურ შემადგენლობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. შეიძლება, ამაღლებული ან მდაბალი მდგომარეობა გვქონდეს: შეიძლება, გენიალურ წიგნს ვკითხულობდე, შეიძლება, ყვავილს ვუყურებდე. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ, ასე ვთქვათ, გარდასახვის ხარისხს ან გრადიენტს. გარდასახვა კი ამ ნულოვანი წერტილიდან მომდინარეობს. ორ მაგალითს მოვიხმობ. პირველი[8]: იმის მიხედვით, თუ როგორი ცდა ჩაატარეთ, ანუ რამდენად ჩადეთ თქვენი ენერგია ან ჩაერთეთ განცდაში

[8] Fug. – გვ. 504, 543.

საკუთარი შიშის და რისკის ფასად (მაგალითად, არა ტელეგრაფის ხარჯზე, არამედ ალბერტინას ურყევ ნებასთან პირისპირ აღმოჩენის გზით), იმ წერტილში, რომელშიც უნდა იყო შენ და არა შენ – უფლისწული ან შენ, რომელიც თანამედროვე კავშირის ყველა საშუალებას ფლობ (ისინი ვერაფერში დაგეხმარება); იმდენად, რამდენადაც საკუთარი ენერგია ჩადეთ მასში, – თქვენს წინაშე მთელი სამყარო ერთნაირად მდიდარია (მაღალი და დაბალი საგნები ერთმანეთისგან არ განირჩევიან) და ერთნაირად სახიფათო. საფრთხე კი ჩვენთვის რაღაც მნიშვნელოვანის პირველი მაუწყებელია. საფრთხე იმას ნიშნავს, რომ საკუთარ თავს რისკის ფასად ვწირავთ.

და ეს სამყარო უკვე იმდენად გაჯერებულია ჩვენით, რადგან საკუთარ ძალისხმევას ვდებთ მასში, რომ ის, რაც ჩვენს თავს ხდება, ჩვენი დაბანდების შესაბამისად მოდის; საპნის რეკლამის კითხვითაც კი შეიძლება არანაკლებ ამაღლებული აზრები გამოვიტანოთ, ვიდრე პასკალის „აზრების“ კითხვით, ან – დავუმატებდი – სახარების კითხვით. გაგაფრთხილეთ, რომ ჩვენ ვართ წერტილში, რომელშიც წიგნებიც კი ვერ აღწევენ. ამ წერტილში სახარებისეული სიტყვაც კი (იმდენად, რამდენადაც ის აღებულია ტექსტიდან, წიგნიდან, რომელსაც სახარება ეწოდება) ვერ აღწევს. ვერც პასკალის წიგნის აზრები შეაღწევს მასში, ხოლო ის, რასაც შეღწევა შეუძლია, შეიძლება პასკალის „აზრებიდანაც“ იყოს და საპნის რეკლამიდანაც. აი, ამ ნეიტრალიზაციის წვდომაა ძალიან მნიშვნელოვანი. მეორე მაგალითი, რომელიც დაგვეხმარება[9]: ფანჯრიდან ბენზინის სუნი შემოდიოდა და ზოგიერთი ადამიანი, რომლებიც სინამდვილეში ერთგვარი მატერიალისტები არიან, თვლის, რომ ამაღლებული მდგომარეობა ან სილამაზის განცდა შეიძლება ჩვენამდე ლამაზი საგნებიდან მოვიდეს და სიცოცხლე გაცილებით ლამაზი იქნებოდა (ადამიანის მიერ განცდილი სილამაზის ჯამის გაგებით), ირგვლივ მხოლოდ ლამაზ სამოსში გამოწყობილ ადამიანებს რომ ევლოთ (პრუსტი მე-16-მე-17 საუკუნის სამოსს გულისხმობს, როდესაც მამაკაცები ჭრელი პეპლებივით დადიოდნენ). და ყურადღება მიაქციეთ, რომ ასეთ ადამიანებს პრუსტი თავისებურ მატერიალისტებს, სულის მატერიალისტებს უწოდებს. ფაქტობრივად, ის იმასვე ამბობს, რასაც მე, როდესაც საპონი და პასკალის „აზრები“ ვახსენე. სილამაზის განც-

[9] Pr. – გვ. 411.

და არ ნიშნავს ლამაზი საგნებით გარშემორტყმას. სილამაზე ლამაზ საგანში კი არ არის, არამედ გარდასახვაში, ამ გარდასახვის ინგრედიენტშია და ამას ბენზინის სუნი ხელს ვერ შეუშლის. გარდასახვის უნარის მქონე სულს ან დიდსულოვან ადამიანს თავის ირგვლივ ბენზინის მონელებაც შეუძლია, ვინაიდან ზნეობრივი და სულიერი მოძრაობის წყარო გარემოზე არ არის დამოკიდებული. სინამდვილეში ჩვენი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ესთეტიკურსა და ზნეობრივ განცდაში ერთსა და იმავე სტრუქტურას ვხვდებით. ახლა ამ ყველაფერს სრულიად სხვა ენაზე გადავიტან. შესანიშნავად იცით ფრაზა, რომ გარემო აყალიბებს და განსაზღვრავს ადამიანს. ხომ ასეა? როგორ შეგვიძლია კარგი, ან ისეთი ადამიანის შექმნა, ვინც კეთილშობილური, ლამაზი გრძნობების, აზრების და ა.შ. განცდას შეძლებს? ძალიან მარტივად. საჭიროა, როგორღაც შევქმნათ გარემო, ლამაზი ან იდეალური, სამართლიანი, ჰარმონიული გარემო და საბოლოოდ (ვინაიდან გარემო განაპირობებს ადამიანს), მანქანასავით დაარიგებს ადამიანის კარგ მდგომარეობებს. შეიქმნება კარგი ადამიანი. რუსი რაზნოჩინელები ამას გადმობრუნებული სახით, ორსიტყვიანი ფრაზით გამოხატავდნენ: „გარემომ იმსხვერპლა“. ანუ თავისთავად კარგი, დიდი, გენიალური, ლამაზი, ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ გარემომ მიმსხვერპლა. ამ ყველაფრის მიღმა სხვა მსოფლხედვა, სხვა მეტაფიზიკა დგას (პრუსტის შემთხვევაში). პრუსტისთვის შეუძლებელია, რომ ჩემს მიერ განცდილი დამოკიდებული იყოს საგანთა თვისებებზე ან თვისებათა განსხვავებებზე. რა თქმა უნდა, ბენზინი არ არის ვარდი, მაგრამ არც ვარდებიდან მომდინარეობს სილამაზე და არც ბენზინიდან. ამიტომაც შეიძლება, ბენზინის გარემოცვაში იცხოვრო და არ უნდა თქვა, რომ გარემომ გიმსხვერპლა. პიროვნული წყარო სხვაგანაა, იმ წერტილშია, რომელზეც ვსაუბრობ – და იქ ის დამოკიდებული არ არის არც ბენზინზე და არც ვარდზე, – იმ წერტილშია თანასწორობა. ის, რასაც განვიცდი ბენზინის გამონაბოლქვით გარშემორტყმული და ის, რასაც ვარდის ხილვისას განვიცდი, თანაბარ მანძილზე უნდა იყოს რომელიღაც წერტილიდან, რომელზეც ვსაუბრობდი. სწორედ მაშინ არის მთელი ეს სივრცე სიცოცხლით სავსე. ადამიანი ცოცხალია! იმის მოლოდინი კი, რომ მთელი გარემო სამართლიანი საზოგადოებრივი ურთიერთობებისგან, ლამაზი საგნებისგან, პეპლებივით ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანებით იქნება შემდგარი და ისინი თვალს გაახარებენ,

უაზრო მოლოდინია. ვიმეორებ, სამყარო ასე არ არის მოწყობილი, მათ შორის ჩვენი სიხარულის და სიცოცხლის წყარო, ჩვენი ცოცხალი მდგომარეობა სხვაგვარადაა მოწყობილი. მეტიც, ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ დასაშვებია, რომ ისეთივე წარმატებით შეგვიძლია ძალიან ამაღლებული რამის გაგება რეკლამიდან, როგორც პასკალის „აზრებიდან". გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში, შესაძლოა, პრუსტი, უბრალოდ, საკუთარი მანიის კარნახით მოქმედებს, რაც ლიტერატურული, ინტელექტუალური შრომისთვის იმ ფეტიშისტური გარსის ჩამოცილებას გულისხმობს, როგორადაც ჩვენ მას წარმოვიდგენთ. ინტელექტუალური შრომა აუცილებლად ამაღლებულია ჩვენს თვალში. ამ გაგებით პრუსტი ხულიგანია. სწორედ ეს აღიზიანებდა მას და ამის ნგრევას ცდილობდა და, მართლაც, იმ ციტატებში, რომლებიც მოვიხმე, ის ამბობდა, რომ მის ცხოვრებაში არაფერი ყოფილა დაკავშირებული ლიტერატურასთან. ამას ამბობს ადამიანი, რომელიც იქვე აცხადებს, რომ ლიტერატურა არის კიდეც „ნამდვილი ცხოვრება"[10]. როგორ დავაკავშიროთ ეს სიტყვები? აი, ახლა უკვე მეტ-ნაკლებად თანდათან გვესმის, როგორ უკავშირდება ეს სიტყვები ერთმანეთს. ის, რაც შეგვიძლია პასკალის შესახებ დავუშვათ, რასაკვირველია, ვერ ვიტყვით ტექსტზე, რომელსაც არაადამიანურ წარმოშობას მიაწერენ – სახარებას ვგულისხმობ. მაგრამ ჩვენი გაგება ან აზროვნება ისეა მოწყობილი, რომ ტექსტიდან, თუნდაც ის სახარებისეული იყოს, ჩვენამდე ვერაფერი მოაღწევს. მოაღწევს, თუკი ჩვენში გამოცდის არავერბალური ძირი არსებობს, თუკი თვითონვე გამოვცადეთ. აი, ამის ახსნა ძალიან რთულია. დეკარტი ამბობდა: „..მხოლოდ მან იცის, რა არის დაეჭვება და აზრი, რომელიც თვითონ ეჭვდებოდა და აზროვნებდა"[11]. მაგრამ როგორ უნდა გადმოვცეთ ეს?

დავუშვათ, წიგნს ვკითხულობ შემეცნების თეორიის შესახებ, სადაც ასეთი რამ წერია (რაც, ფაქტობრივად, მოვლენის ვერბალური ასლია): შემეცნება იწყება პირველი ეტაპიდან – აღქმიდან. შემდეგ, სხვადასხვა საგნის შედარების გზით, განზოგადებას მივმართავთ, ამ სხვადასხვა საგნის ზოგად ნიშანს გამოვყოფთ და ვქმნით გაგებას. ეს არის მეორე ნაბიჯი. და ა.შ. ყველა სიტყვა სწორია. მაგრამ ის,

[10] T.R. – გვ. 895.

[11] იხ.: Descartes. Recherche de la vérité par la lumière naturelle, გვ. 899.

ვინც ეს დაწერა, შემიძლია გითხრათ, თვითონ არასდროს შეუმეცნებია. ის იმ რაღაცის სიტყვიერ აღწერას გვთავაზობს, რის შესახებაც მხოლოდ სიტყვიერად, ანუ ვერბალურად იცის. სიტყვები კი ყველაფრისთვისაა. სიტყვები ყველაფერს ფარავს. მას რომ ოდესმე შეემეცნებინა, მაგალითად, იმაში მაინც დარწმუნდებოდა, რომ არასდროს არავითარი აღქმა წინ არ უსწრებს არავითარ გაგებას, – მიმდევრობა სრულიად სხვაგვარია. ყველაფერი სხვაგვარად ხდება: თუკი არ ვართ ანგაჟირებულნი, რისკზე არ მივდივართ, თუკი არ გამოგვეცხადა ფენომენი, ან, როგორც ჯოისი ამბობდა, ეპიფანია, სრულიად არაფერს არ შევიმეცნებთ. ანუ თუ არ გვეწვია ის, რაც საკუთარ თავში საკუთარ თავზე საუბრობს. პრუსტი კი იტყოდა: თუკი არ გვაქვს შთაბეჭდილებაო. ესთეტიკური აქტი სხვაგვარადაა მოწყობილი. მაგრამ ყველა აქტისთვის არსებობს სიტყვიერი ეკვივალენტი. ჩვენ ერთმანეთთან ურთიერთობა ამ სიტყვიერი ეკვივალენტების გადაცემის გზით გვაქვს. მაგრამ მის მიღმა ან დგას ან არ დგას არავერბალური გამოცდილება, აზრის თვით ყოფნა, ან სილამაზის ესთეტიკური განცდა; პირადი განცდა – აი, ეს არავერბალური განცდა, – და აქ პარადოქსული სიტყვათშეთანხმება უნდა შემოვიტანო – არავერბალური შინაგანი სიტყვა. თქვენ, რასაკვირველია, გესმით, რომ შეუძლებელია, სიტყვა არავერბალური იყოს, – და რა დავარქვა ამ რაღაც არავერბალურ ფორმას, რომელიც შენშია, და მაშინ შენთან მოვა ის, რაც სახარებაში წერია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახარებიდანაც ვერ შეძლებ ამის სესხებას, თუკი შენ პირადად, საკუთარი რისკის ფასად, საკუთარი სიცოცხლის ფასად არ გადაგხდა თავს. მოდით, ამას საგნების, ან აზრების, გრძნობების ან, რაც გნებავთ, იმის, გარკვეული განცდების არავერბალური არსებობა ვუწოდოთ. და აი, ათვლის წერტილი, ანუ ის, რის წინაშეც საბოლოოდ აღმოჩნდება დაეჭვება, როგორც სიცხადის რაღაც ურყევი კლდის წინაშე, არის ის, რასაც ახლა „არავერბალური“ ვუწოდე, ანუ გარკვეული თავისთავად მყოფი განცდა ანუ აზრების მდგომარეობა. ეს ერთი და იგივეა. გაფრთხილებდით, რომ არ განვასხვავებ ემოციებს, აზრებს, – ლოგიკურს, არალოგიკურს, ეს ჯერჯერობით არ გვაინტერესებს. ახლა თქვენთვის და პირადად ჩემთვის მოქმედებს სწორედ ის კანონი, რომელსაც გაუწყებთ; მათ შორის იმას, რასაც ვამბობ, ვერ გადმოგცემთ, თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ არავერბალურად აღიდგინოთ ის. მიჭირს ამის გამოხატვა, ვინაიდან

ვერბალურად უნდა „გამოვხატო“. შესაბამისად, – რადგანაც ვლაპარაკობ, მაშასადამე, სიტყვებით ვლაპარაკობ. ამრიგად, სიტყვებთან მაინც იმის სიტყვიერი ასლის დონეზე ვრჩები, რაც არასიტყვიერად, არავერბალურად უნდა ყოფილიყო. ამას დეკარტმა სიცხადის მდგომარეობა უწოდა. დაეჭვება ყველაფერში შეიძლება, მაგრამ დაეჭვება, საბოლოოდ, დეკარტთან ნების დამოუკიდებელ ფენომენს თანხვდება, ანუ – ისევ სიტყვას მოვიხმობ – ცხოვრების გამოვლინების არავერბალური შემთხვევა, რომლის შეცვლა სხვა არაფრით არ შეიძლება; ანუ ძალის ფენომენი, რომელიც ნების ტოლფასია. ის, რასაც არავერბალურს ვუწოდებ, შეიძლება დავარქვათ ნება და მისი სხვა რამით ჩანაცვლება შეუძლებელია. ის თავისთავად უნდა არსებობდეს. დეკარტმა მას სიცხადე უწოდა, პრუსტმა კი – სიხარული. მან ამას განსაკუთრებული განცდის სახელი დაარქვა, რომლითაც დაინტერესებული იყო კიდეც. მართლაც, პრუსტმა, რომელიც მაინც ფარული მეტაფიზიკოსი, ანუ ფილოსოფოსი იყო, მშვენივრად იცოდა, რომ ეს ძალიან ჰგავდა იმას, რასაც ფრანგულ კულტურაში ერთხელ უკვე ჰქონდა ადგილი. ის რამდენჯერმე უბრუნდებოდა ამ აზრს და ამბობდა, რომ შესაძლოა, ის, რასაც აღწერს, როგორც იმ უეჭველობას, რომელიც სიხარულის სრულიად აუხსნელ მდგომარეობაში გვეძლევა, არის ის, რასაც დეკარტმა სიცხადე[12] უწოდა (თავის cogito ergo sum-ში.) შესაძლოა, ეს აზრი პრუსტთან ორ-სამჯერ მეორდებოდეს და ეს შემთხვევითი როდია.

მაშასადამე, ძაფებს ამგვარად დავაკავშირებ – უკვე ვთქვით: წერტილში არის წყვდიადი, იდუმალი შრომა და სანამ გავაგრძელებდე, მიგანიშნებთ, რომ იდუმალი შრომა ყველაზე ხშირად არის შრომა, რომელსაც ტანჯვის შრომას უწოდებენ.

[12] იხ.: J.S. – გვ. 703; გვ. 490; S.B. – გვ. 132.

ლექცია 7

ასე რომ, იმ სიტყვებს, რომლებიც უკვე გვქონდა (სიტყვებს და ტერმინებს ვაგროვებთ), სხვებიც დაემატა, რა თქმა უნდა, ყველა მათგანი გასაგები არ არის – მაგალითად, „სევდა“, „ტანჯვა“, „ცხოვრებისეული შრომა“, „განდგომა“. მართალია, არც ერთი ამ სიტყვათაგანი არ მიუთითებს დროზე, მაგრამ ისინი სინამდვილეში მოიცავენ დროის გაგებას და ამაში დავრწმუნდებით. პრუსტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დროის პრობლემა ძალიან უცნაური მხრიდან იჭრება. საქმე ისაა, რომ დროსთან დაკავშირებით, ჩვეულებრივ, არ ვუშვებთ, რომ ის უძრავია. დრო არის სწორედ ის, რაც მოძრაობს, რისი მოხელთებაც არ შეგვიძლია, რაც მქროლავია და ქრება. წამი, თვალისდახამხამება, ერთიმეორის მონაცვლეობის უწყვეტი მიმდევრობა. ის სიტყვები კი, რომლებიც ჩამოვთვალე, ვხედავთ, რომ დაკავშირებული არიან დროსთან, როგორც ერთგვარ შეყოვნებასთან, დგომასთან. შემთხვევით არ მიხსენებია სიტყვა „ადგილი“ (მიგანიშნებდით კიდეც, რომ ის გარკვეულად მოგვაგონებს ტოპოლოგიას, ტოპოლოგია კი, მოგეხსენებათ, არის მეცნიერება ადგილების, ან როგორც ლათინები ამბობდნენ, analysis situs-ის შესახებ), როდესაც ცნობიერებაზე ვსაუბრობდი, – ის, რაც შეუვალია, არსებობს, ცხადია, მაგრამ მისი გამოთქმა ძნელია. ამას ცნობიერება ვუწოდე. ისეთივე წარმატებით შემიძლია მას ადგილი ვუწოდო. ადგილი. დრო, რომელზეც ვისაუბრებთ და რომლის პირისპირაც აღმოჩნდა პრუსტი, როდესაც ადამიანის სულში ღრმად ჩაიხედა, ამ ადგილის დროა, ან დრო-სივრცე, დრო-ადგილი. რასაკვირველია, ეს ახლა ჩვენთვის გაუგებარია. მაგრამ, მოდით, ვცადოთ ამის გარკვევა.

ცხოვრების საიდუმლო ქიმია გარკვეული აქტივობაა, რომლის აღდგენაც თანმიმდევრული ჯაჭვის რგოლების სახით, საკუთარი აზროვნებისა და წარმოდგენების თუ წარმოსახვების საშუალებით არ შეგვიძლია. ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ, თანმიმდევრულად ვაკე-

თებთ. ჩვენ ვამბობთ: არსებობს A, A-ს მივყავართ B-მდე, B-ს მივყავართ C-მდე, ან A დაკავშირებულია B-სთან, B დაკავშირებულია C-სთან და ა.შ., მაგრამ იმავეს ვერ გავაკეთებთ – რასთან მიმართებით? – იმასთან მიმართებით, რაც მარცვლის ფუნქციას გულისხმობს. ეს არის ცხოვრების საიდუმლო. ანუ ცხოვრებაში ხდება რაღაც აქტი, რომლის დანაწევრებაც ადამიანს არ ძალუძს. შეუძლებელია დანაწევრება ადამიანური შესაძლებლობის მოდელის მიხედვით – ამის გაკეთება არ შემიძლია. ადამიანური მოდელი ხომ იმის მოდელია, რისი გაკეთებაც შეგვიძლია?! ჩვენ კი ყოველთვის, ვიმეორებ, თანმიმდევრულად ვაკეთებთ ყველაფერს. აი, ამგვარ დანაწევრებას არ ექვემდებარება ის, რაც იმავდროულად, უეჭველად, არის აქტი. ჩვენ არ შეგვიძლია საკუთარი აზრით, როგორც გითხარით, ამ აქტის ადგილას დავდგეთ, ხოლო ყველაფერი, რაც გვესმის, როგორც წესი, გულისხმობს იმას, რომ ჩვენ იმის ადგილას ვდგებით, რაც გვესმის და გონებაში აღვიდგენთ საკუთარი აქტის სახით. გასაგებია, ხომ? ერთი სიტყვით, ცხოვრების აქტთან, ან იმასთან დაკავშირებით, რასაც ცხოვრების საიდუმლო ქიმია ვუწოდე, იმავეს გაკეთება შეუძლებელია. ის ან არსებობს, ან – არა. რაღაც შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ან არსებობს, ან – არა. იგივე მდგომარეობაა ადამიანური გაგების აქტებთან დაკავშირებითაც. გაგების აქტი, ასევე, ცხოვრების საიდუმლო ქიმიაა, ვინაიდან ან გესმით, ან – არ გესმით. ის, რაც გავიგე, შეიძლება თავისთავად მოხდეს და ჩემს თავში მისი გადმონერგვა შეუძლებელია. წარმოიდგინეთ უწყვეტი მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი, რომელიც ადამიანის ფსიქიკას და გაგების აქტებს განაპირობებს. როგორ წარვმართავთ მსჯელობას სწავლებისას? ვიღებთ A-ს, რომ A-დან გაჩნდეს B, ხოლო B-დან – C და ვვარაუდობთ, რომ ის, რაც გვესმის, მაგალითად თეორემა, ამგვარი ჯაჭვის რგოლი იქნება. შესაბამისად, ამ ჯაჭვის რგოლზე უწყვეტად გადავდივართ. ჩემი სწავლების უკანასკნელი რგოლიდან იმაზე გადასვლა, რაც ჩემს გონებაში მოხდება, – თითქოსდა, მთლიანი, უწყვეტი პროცესია. ასე მიიჩნევა. მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ვერ ვათავსებთ ამ ჯაჭვში იმას, რაც ჩემს ან თქვენს გონებაში გაჩნდება, ვერ ჩაჯდება. ამას მხოლოდ შენ თვითონ გაიგებ. აი, როდესაც სიტყვას „თვითონ“ ვიყენებ, ეს არის საიდუმლო ქიმია. მაგრამ როგორი გარეგნული გამოხატულება აქვს მას? სხვაგან სწორედ ამას ვუწოდებდი „ადგილს“. მე ამ ადგილას

ვარ და მხოლოდ იმიტომ, რომ მე ვარ ამ ადგილას, ან ჩემს გაგებას უკავია ეს ადგილი, რაღაც ხდება, რაღაც არის. სხვა მიზეზი არ არსებობს.

გეუბნებოდით, რომ ყველა გარეგანი ზედმეტობების მიუხედავად, ტოლსტოისთან ყოველთვის არის რაღაც პუნქტი, რომელსაც ის გრძნობს. და, როგორც უკვე მოგახსენეთ, უბედურებს სრულყოფილებას ვერ მოთხოვთ, უწესრიგო ფორმის და ცუდად შეფუთული აზრის მიღმა უნდა შევძლოთ და დავინახოთ ადამიანის ლამაზი სხეული, რომელიც ზოგჯერ ძონძებში იმალება. აზრებიც სხეულია და ზოგჯერ ის სიტყვების ძონძებს მიღმაა დამალული; ძალიან არაზუსტ, მცდარ და ა.შ. სიტყვებს მიღმა. და, აი, ის ცდილობდა ჩამოეყალიბებინა თავისი აზრი პროგრესის თეორიის წინააღმდეგ და ამბობდა, რომ სიკვდილის საზრისი გლეხისთვის სხვაა (გლეხი, რასაკვირველია – ტოლსტოისთან იდეალური წარმოსახული გმირია; აქ არ იგულისხმება, რომ გლეხი ნამდვილად იდეალურია; ამგვარი ტიპის მსჯელობებში რომელიმე რეალური პიროვნებები სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ რიტორიკული ფიგურებია) და პროგრესის მოძრაობაში ჩართული ქალაქელისთვის – სხვა. მინდოდა, ეს ჩემი მაგალითი მომეხმო, რომ ნებისმიერი საზრისის ერთი თავისებურება განმემარტა: საზრისი თანმიმდევრულობაში არ არის და, თუმცა, ის დროშია, მაგრამ ის რაღაც უძრავის დროშია, ანუ ადგილის დროშია. ამით იმის თქმა მინდა (ტოლსტოი სწორედ ასეთი მაგალითით სარგებლობს, მაგრამ მე მას სხვაგვარად გავშიფრავ), რომ, თუკი კოლექტიური საქმიანობის რაიმე პროცესში ვარ ჩართული, რომელშიც, თვით მეცნიერების თანახმად, შემდეგი აქტი ხორციელდება: ვაკეთებ რაღაცას იმ ვარაუდით, რომ ხვალ ვინმე სხვა უკეთესს გამოიგონებს, – მაშინ გამოდის, რომ მუდმივად მომავალისკენ ვარ მიმართული. მუდმივად, თითქოსდა, ნაბიჯის გადასადგმელად ვემზადები. წარმოიდგინეთ, რომ ვკვდები. დღეს არაფერს აქვს აზრი, მხოლოდ ხვალ ექნება. და უცბად ხვალამდე მოვკვდი. მაშინ ჩემი სიცოცხლე აზრს კარგავს. რატომაა სიცოცხლე უაზრო? – კითხულობს ტოლსტოი. იმიტომ, რომ სიკვდილია უაზრობა. რას გულისხმობს სიკვდილის უაზრობა? ის დასანანი შემთხვევითობაა, უაზრობა და აბსურდია. რატომ? ცნობიერების სტრუქტურაში, რომელიც „გადასადგმელად მომზადებული ნაბიჯით“ წარმოგვიდგება, მთელი დრო წინაა. მაშასადამე, სიკვდილი დასანანი შემთხვევითო-

ბაა, რომელმაც მომცელა, ან, როგორც მანდელშტამი ამბობდა, „სიკ-ვდილი მონეტასავით წელში მღუნავს“. აი, წარმოიდგინეთ, – ერთი – და წელში მოგხარათ: მაგრამ, თუკი საკუთარ სულიერ ცხოვრე-ბას ამგვარად წარვმართავდი, მაშინ სიკვდილი, თავისი აბსურდუ-ლობით და უაზრო შემთხვევითობით, თვით სიცოცხლესაც აზრს აცლის, ვინაიდან დღეს მას არ ჰქონდა აზრი. მნიშვნელობა მას მხო-ლოდ ხვალ უნდა მინიჭებოდა. მაშასადამე, ტოლსტოი იმ ფაქტის კონსტატაციას ცდილობს, რომ ჩვენი სულიერი ცხოვრება, იმდენად, რამდენადაც აწარმოებს მნიშვნელობებს, სხვაგვარადაა მოწყობილი. მაგრამ აზრები ასე არ არსებობს. ანუ აზრები ერთიმეორეზე დამა-ტების თანმიმდევრობით არ არსებობს, ისე, რომ დღევანდელი მნიშ-ვნელობას მხოლოდ ხვალინდელი გადმოსახედიდან იძენს (ამ მაგა-ლითზე გაამახვილეთ ყურადღება, ვინაიდან მნიშვნელოვანია). ეს სტრუქტურა მოქმედებს ჩვენს სოციალურ, ზნეობრივ აზროვნებაშიც. წარმოიდგინეთ, რომ ზნეობა დამოკიდებულია სოციალური საქმის წარმატებაზე, რომელშიც იმდენად ვმონაწილეობთ, რამდენადაც ოფიციალური სიტყვები და დოქტრინები გვაქვს ამ ზნეობის ჩამო-საყალიბებლად, – ზნეობრივია ის, რაც რაღაცას ემსახურება, ხომ ასეა? მაგრამ ის, რასაც ის ემსახურება, იქნება ხვალ და არა დღეს (განსაზღვრების თანახმად, ნათელ მომავალს ვაშენებთ). ასე რომ, თუკი დღევანდელი მნიშვნელობის გამოვლინება ან გამოჩენა, დაბა-დება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ და როდის დადგება ეს ნათელი მომავალი, მაშინ, ბოდიში მომითხოვია, ჩვენ დღეს უზნეო არსებები ვართ, მნიშვნელობა არ აქვს, ემპირიულ ბოროტებას ჩავ-დივართ თუ არა. უბრალოდ, გამოდის, რომ ზნეობრიობის სტრუქ-ტურა არ გვქონია. და ვინაიდან ზნეობრიობის სტრუქტურა მაინც გვაქვს, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ნამდვილი ზნეობრიობა, თავისი სტრუქტურით, სხვაგვარადაა აგებული (თუკი ის არსებობს). გამო-დის, რომ ის დროის თანმიმდევრულობაში არ არის.

ახლა უკვე გასაგებია, რომ ორი განსხვავებული რამ არსებობს. არის დრო, როგორც თანმიმდევრობა და არსებობს ადგილის დრო, დრო – წამი. ჩვენი დრო არის წამი, ოღონდ ძალიან უცნაურია, – საკუთარ წიაღში მთელ სამყაროს იტევს. სახარებისეული ლოცვის დრო არის წამი – მცირე ხნით არის ჩვენთან სინათლე. და ყველა-ფერი, რაც არის, რაც ჩვენს თავს მოხდება, ამ დროშია მოქცეული – აქ და ახლა. ძველად ამბობდნენ: hic et nunc (აქ და ახლა). პრუს-

ტმაც აღმოაჩინა, რომ ჩვენი აღქმა, ჩენი სულიერი ცხოვრების უმარტივესი აქტებიც ამგვარადაა მოწყობილი. გამუდმებით მანიაკალურად გამოვავლენ ერთსა და იმავე სტრუქტურას სრულიად სხვადასხვა სფეროში. თითქოსდა, რა საერთო უნდა ჰქონდეს ზნეობას ესთეტიკასთან, მხატვრულ შემოქმედებასთან? როგორც შენიშნეთ, საერთოდ არ ვიყენებ სიტყვებს „მხატვრული", „მხატვრული შემოქმედება", „ესთეტიკა". მართალი გითხრათ, არ ვიცი, რა არის ეს. ესთეტიკური თეორიის არც ერთი ტერმინი არ ვიცი და არ მესმის. უბრალოდ, ვცდილობ გადმოგცეთ ის, რასაც, როგორც მკითხველი, ვხედავ. ანუ სწორედ თქვენი პოზიციიდან ვუყურებ. თქვენ ხომ მოვალე არ ხართ, ესთეტიკურ თეორიებს გაეცნოთ?! თქვენ მკითხველები ხართ და წიგნები შემოდის თქვენს ცხოვრებაში, ისევე როგორც – ჩემსაშიც, იმ განცდების სახით, რომელიც უტოლდება საპნის რეკლამისას მიღებულ შთაბეჭდილებას. და ამ წერტილში, სადაც აღმოვჩნდით – hic et nunc, აქ და ახლა, – ვიმეორებ, ეს ყველაფერი ეხება აღქმასაც და შემოქმედებასაც. რატომ? იმიტომ, რომ ნებისმიერი ჩვენი ქმედება საკუთარ თავში მოიცავს აქტების თანმიმდევრობას. ხაზს ვუსვამ: აქტების თანმიმდევრობა. მე კი ვამტკიცებ, რომ (პრუსტის კვალად) ჩემს გაგებაში რაღაც არსებითი უნდა მოხდეს (თუკი მოხდება) ამ თანმიმდევრობისგან დამოუკიდებლად.

ახლა სხვა მხრიდან შევეცდები განვმარტო, მანამდე კი მინდა, ერთი პუნქტი შემოვიტანო (ბევრი სხვადასხვა ციტატის მოხმობა შეიძლება პრუსტიდანაც და სხვა ავტორების ტექსტებიდანაც, ეს ძალიან ძველი რამაა, რაც ადამიანისთვის ჯერ კიდევ იმ დროიდან გახდა ცნობილი, როცა საკუთარ თავზე დაფიქრდა). შესანიშნავად მოგეხსენებათ, რომ ადამიანისთვის ყველაზე დიდი გამოცანა საკუთარი თავია. და ამ გამოცანის ამოხსნისას, ადამიანს რაღაცაზე წარმოდგენა ჰქონდა, ვინაიდან ხომ უნდა ეცხოვრა?! ანუ ისე უნდა ეცხოვრა, რომ თავმოყვარეობის გრძნობა ჰქონოდა. არა მხოლოდ, უბრალოდ, ეცხოვრა, არამედ საკუთარ თავთან რაღაც დამოკიდებულება ჰქონოდა. უცნაურ ციტატას მოვიხმობ მანდელშტამის შემოქმედებიდან და მისი საშუალებით შევეცდები განვმარტო, რისი თქმა მინდა და რას ამბობს პრუსტი, თავისი რომანის პირველივე გვერდებიდან, ბოლო გვერდით დამთავრებული:

დაე, აყვავებული ქალაქების სახელებმა
დაატკბოს სმენა წარმავალი მნიშვნელოვნებით,
ქალაქი რომი კი არ არსებობს საუკუნეებში,
არამედ – ადამიანის ადგილი სამყაროში.

მის დაპყრობას მეფეები ესწრაფვიან,
მღვდლები კი ომებს ამართლებენ,
და მის გარეშე ზიზღის ღირსია,
როგორც უბადრუკი ნაგავი,
ასევე სახლებიცა და საკურთხევლებიც.

ჩვენი სულიერი ცხოვრება ისე უცნაურად ერთნაირადაა მოწყობილი რომელიღაც თავის სიღრმისეულ ფენაში, რომ, როგორც უკვე ერთხელ აღვნიშნე, აზრის გამოხატვისას, თუკი ეს აზრია, სწორედ ერთი და იგივე სიტყვები გვახსენდება. როგორ გგონიათ, მანდელშტამთან შემთხვევით გაჩნდა სიტყვები „ადამიანის ადგილი სამყაროში“? არა. სიტყვების უბრალო არჩევანიც კი აქ შემთხვევითი არ არის. აი, ნახეთ: „დაე, აყვავებული ქალაქების სახელებმა დაატკბოს სმენა წარმავალი მნიშვნელოვნებით“.

მაშასადამე, ადგილი, რომელშიც ვიმყოფებით (მას შეგვიძლია ვუწოდოთ ადამიანის ადგილი სამყაროში, ცნობიერების ადგილი, შეგვიძლია ვუწოდოთ დრო, როგორც შეყოვნება, შეჩერებული წამი) – ერთი სიტყვით, ამ ადგილას ახლა არ შემიძლია ვიყო მამაცი, ვინაიდან გუშინ ვიყავი მამაცი. გუშინ, დავუშვათ, მე ან თქვენ ვიყავით მამაცი. რას ნიშნავს ეს? რაღაც გავაკეთეთ. რაღაც გაკეთებულია. „გაკეთებულია“ – ყოველთვის კონკრეტულია და „მნიშვნელოვნების“ მატარებელია. მაგრამ მანდელშტამი უმატებს სიტყვას: „წარმავალი“. გაკეთებული, ერთი მხრივ, ჩაივლის და, მეორე მხრივ, დროისთვის ის თანმიმდევრულობის განსახიერებაა. რომი კი არ ცოცხლობს, არამედ – ადამიანის ადგილი. რომი განადგურდება, ყველაფერი, რაც გაკეთებულა, განადგურდება. ახლა შეაბრუნეთ ეს აზრი, – თუკი ახლა რაიმე არსებობს, ვთქვათ, იგივე რომი, არა იმიტომ, რომ ის გუშინ იყო. ისევ იმ მსჯელობასთან დაგაბრუნეთ, თუ როგორ მივალთ A–დან B–მდე. არსებობს თუ არა B, რადგან მანამდე იყო A? გახსოვთ? ძალიან აბსტრაქტული მსჯელობა იყო, არა? ამიტომაც პრუსტის ტექსტიდან მოვიხმობ სცენას. საკმაოდ

საშინელი სცენაა და ემოციურად მოქმედებს. ბუნებრივია, ის სიკვდილს უკავშირდება: ჩვენი რომანის გმირს ბებია გარდაეცვლება. ჰერცოგი გერმანტი კი მარსელის მოსანახულებლადაა მისული. ჩვეულებრივი ადამიანური თანაგრძნობის გამოსახატავად მივიდა. მწუხარებით განადგურებულ ადამიანს თანაგრძნობის და სხვა ნიშნები არ აინტერესებს, როგორც ნიშნები, ის მთლიანად შინაარსზეა ორიენტირებული: ის განიცდის, რომ ბებია გარდაეცვალა. და მასთან მიდის ადამიანი, რომელიც თანაუგრძნობს, ეს ადამიანი დგას და – რა ხდება? – დაუსრულებლად ლაპარაკობს და არისტოკრატული ზრდილობის მთელ რიტუალს სიმფონიასავით შლის. ის წარსულის სიმფონიას ასრულებს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში იმ ადამიანის მოუთმენლობას ეჯახება, რომელსაც ერთი სული აქვს ბებიამისის საწოლთან მივიდეს, ეს უსასრულო სიტყვები არ ისმინოს და არისტოკრატის ამ გაუთავებელ რევერანსებს თავი დააღწიოს. ეს სიტყვები ხომ ოდესღაც შეითხზა, რომ ამით მწუხარებისას თანაგრძნობა გამოეხატათ. ანუ ეს – წარსულია. ასე რომ, შეუძლებელია, ის იყოს გერმანტის თანაგრძნობის მიზეზი. თანაგრძნობის ეს მოვლენა სამყაროში არ ხდება, ვინაიდან მას უკვე ჰქონდა ადგილი. მეტიც, პრუსტი აქ საინტერესო სვლას აკეთებს, რაც ბრწყინვალეა თვით ფსიქოლოგიური და მხატვრული აღწერის ხასიათის თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, ვამბობთ (თუკი ვხედავთ), რომ ეს ფორმალური რიტუალია და არა თანაგრძნობა; განვმარტავთ, რომ გერმანტი უგრძნობი ადამიანია, ბოროტია, უარყოფითია. პრუსტი ასე არ იქცევა. ის იმ გზას არ ირჩევს, რომელზეც თითქმის ყველა მწერალი მიდის. მწერლები ხომ სულის და ფსიქოლოგიის საუკეთესო მცოდნენი არიან?! მათ ერთგვარი მონოპოლია აქვთ ამაზე და ხშირად ყველაფერი იქამდე დაიყვანება, რომ ვიღაც ცუდი ადამიანისთვის მწუხარება გაუგებარია. პრუსტი კი ამით არ ინტერესდება, მას უფრო მექანიზმი იზიდავს და მომხდარს ის გერმანტის ბოროტებას ან სიკეთეს, ანუ რეალური მწუხარების მიმართ მის უგრძნობელობას კი არ მიაწერს. პრუსტი ასე ამბობს: ის, როგორც ჰერცოგი გერმანტი, თითქოსდა, დაემორჩილა „საკუთარ მუხლებში რევერანსების დაუხარჯავ მარაგს“[1]. ანუ პრუსტმა წარსულის მთელი მექანიზმი დაინახა, რომელიც მოქმედებს და რომელიც ჭეშ-

[1] C.G. – გვ. 339.

მარიტი ფსიქოლოგიაა, თვისებების ფსევდოფსიქოლოგიისგან განსხვავებით, რომლებიც არაფერს ხსნიან. მაინც რა გავიგეთ იქედან, როცა ვთქვით – ეს ბოროტია, ეს – კეთილი? ვერაფერი გავიგეთ. ასეთ შემთხვევებში პრუსტი ამბობდა, რომ ის, ვინც ფაქტებს აქცევს ყურადღებას, იმ საფრთხის წინაშეა, რომ კანონებს ვერ დაინახავს.[2] ფაქტი ამ შემთხვევაში ბოროტების შემცველი ფაქტია. როცა ადამიანი უგრძნობია, ბოროტებაა, ხომ ასეა? აი, თუკი ასე ვხედავ, შეიძლება, ვერ დავინახო კანონი. კანონის დანახვა კი უსასრულობის შეყოვნებას ნიშნავს. რა გაგებით? იმ გაგებით, რომ ფაქტები, თუკი მხოლოდ მათ ვხედავ, უსასრულოა. ერთ ფაქტზე სხვა ფაქტი მოდის და ყველა ფაქტი ჭეშმარიტია, ვინაიდან სამყაროში არავითარი ბოროტება არ ხდება კეთილი ინტენციის გარეშე. მოგეხსენებათ, ბოროტი ადამიანი თავს არასდროს თვლის ბოროტად. თავის სამყაროში ის ყოველთვის რაღაც ჭეშმარიტებას მიჰყვება. ბოროტების ძალა ყოველთვის მისდევს ბოროტების წიაღში არსებულ ჭეშმარიტებას, იმას, რომელიც ხილულია. აზრი არა აქვს ქადაგებას, სამყაროს უსასრულოდ დაყოფას ბოროტებად და კეთილებად, თუკი ვერ დავინახავთ კანონებს.

მაშასადამე, უკვე დროის ორი გაგება გვაქვს. კანონი გულისხმობს ადგილის, ანუ უძრავად მყოფი რაღაცის დანახვის უნარს (ყურადღება მიაქციეთ აზრის ამ რთულ მიმდევრობას). წარსულის მექანიზმი – რევერანსების დაუხარჯავი მექანიზმი, რომელსაც ემორჩილება გერმანტი, – ის ადგილზე დგას, უძრავია. ეს არის დრო, დრო – კანონის, ან დრო – წამის გაგებით. ემპირიული დრო მანკიერი უსასრულობაა, ფაქტების მანკიერი უსასრულობა. შეგვიძლია უსასრულოდ დავუპირისპიროთ ერთმანეთს ბოროტი ფაქტი და კეთილი ფაქტი. მოგეხსენებათ, ომში ყველა მართალია. არ არსებობს არც ერთი მებრძოლი მხარე, რომელიც მართალი არ იყოს. მაგრამ ამის მიუხედავად, ომი ბოროტებაა, რაც ცხადია. მიდი და გაარკვიე. ამ პასაჟს შემდეგი მტკიცებით დავასრულებ. ესე იგი, ამ წერტილში, ვიმეორებ, შეუძლებელია, ახლა რაიმე იყოს, – ვთქვათ, გერმანტის სიკეთე, ვინაიდან გუშინ ის კეთილი იყო. ეს რიტუალი სიკეთის რიტუალის სახით აღმოცენდა. მაგრამ ის, რაც დღეს იქნება, იქნება არა იმიტომ, რომ გუშინ იყო. საჭიროა – რა? – ცოცხალი ძალა,

[2] J.S. – გვ. 536.

აღორძინებული ცოცხალი ძალა. საჭიროა ადამიანის ადგილი სამყაროში და არა აშენებული რომი. მანდელშტამი ხომ ამბობს: „მის გარეშე ზიზღის ღირსია“, ანუ თუკი სამყაროში განახლებული ცოცხალი ადამიანური მდგომარეობა არ იქნება, ამის გარეშე – „როგორც უბადრუკი ნაგავი, ზიზღის ღირსია სახლებიც და საკურთხევლებიც“. რამდენიც გნებავთ ილოცეთ საკურთხეველთან – აზრი არ ექნება, თუკი რაღაც სხვა არ იქნება. და ამ „სხვას“ არა მხოლოდ არ აქვს წარსული მიზეზები, მას საერთოდ არ გააჩნია მიზეზები. ერთბაშად ორ ფენომენს ავიღებ – გაგებას და სიკეთეს. სიკეთით დავიწყოთ. სიკეთის შესახებ ძალიან მოკლედ ვიტყვი, ვინაიდან ეს თავისთავად ცხადია და მაშინვე გაიგებთ. აი ჩვენ ვამბობთ: ადამიანი სიკეთისკენ ისწრაფვის. მთელი ფილოსოფია, იმ დროიდან, რაც ის გაჩნდა, დარწმუნდა, რომ სიკეთის ან სიკეთისკენ სწრაფვის ფაქტის განმარტება შეუძლებელია ნებისმიერი მოსაზრებებით და ინტერესებით. მათ შორის არც ადამიანის ჯიშის გადარჩენის ინტერესით, არც მიზანშეწონილობის ინტერესებით, არავითარი პრაქტიკული და ფსიქოლოგიური მოტივებით, ვთქვათ, კმაყოფილების ან უკმაყოფილების ფსიქოლოგიური მოტივებით. არა, მანკიერი უსასრულობა გამოდის. ერთნაირად შეიძლება იმის მტკიცება, რომ სიკეთეს მოაქვს უკმაყოფილება ან სიკეთის კეთებას მოაქვს კმაყოფილება. აქ ვერაფერს დაამტკიცებ. სწორედ ამგვარადვე – რას ემსახურება სიკეთე? არავითარი დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს. აზრთა მსვლელობა ძალიან მარტივია, რომელიც მაშინვე ნათელს ჰფენს ფენომენს: სიკეთისკენ სწრაფვისთვის ადამიანი შინაგანად სიკეთის მატარებელი უნდა იყოს. ადამიანის სწრაფვა სიკეთისკენ რაღაც ძალის მოქმედების გამოხატულებაა, რომელიც საკუთარი თავისკენ ისწრაფვის. ის ან არის, ან – არა. ამისთვის გარეგანი მიზეზები არ არსებობს. უფრო მეტიც, მიზეზები საერთოდაც არ არსებობს. მიზეზი არსებობს ბოროტებისთვის, მაგრამ სიკეთისთვის მიზეზი არ არსებობს. რატომ? შეეცადეთ ეს ამოცანა თვითონ ამოხსნათ. რა შეიძლება იყოს სიკეთის მიზეზი? განმარტების თანახმად, სიკეთის, ან ზნეობრიობის სფეროში, მისთვის არავითარი მიზეზი არ არსებობს, ან არ არსებობს ზნეობრიობის სხვა მიზეზი. ზნეობრივი ვარ და მორჩა. ყოველგვარი მიზეზის გარეშე. და, თუკი არსებობს სხვა მიზეზები, მაშინ ეს უკვე ფილოსოფიური მტკიცებაა – თუკი არსებობს მიზეზები, მაშინ ჩვენ საერთოდ ზნეობრიობის სფეროს მიღმა ვართ. ეს

რაღაც სხვა ფენომენია და არა ზნეობის ფენომენი: ზნეობის ფენომენი ისეთი მოვლენებითაა დაღდასმული, რომლებშიც ზნეობისთვის არ არსებობს მიზეზები. იქ, სადაც არ არსებობს მიზეზები, არის კიდეც მორალი. თუკი რაღაც არაფრის გამო ხდება, იქ არის სინდისი. მაგრამ თქვენ ხომ თქვენს ენაში იმავეზე საუბრობთ – მაგალითად, გარკვეული რთული ვითარებაა, რომელსაც აღწერთ, როდესაც ადამიანთა საქციელის სურათს აკვირდებით და ახარისხებთ მათ: ეს ასე მოიქცა, იმიტომ, რომ შეეშინდა, ეს მშიერი იყო და ამიტომაც მოიპარა პური, ან ამან ამა და ამ მიზეზის გამო არ გააკეთა რაღაც ან გააკეთა რაღაც. ყოველ ჯერზე არის მიზეზი. ვერ ამჩნევთ, რომ ამორალური ქმედებებისას ყოველთვის მიზეზობრივი განმარტება გჭირდებათ, ხოლო როდესაც ზნეობრივ საქციელს სჩადით, რომელიც მიზეზებით არ აიხსნება, მხრებს იჩეჩავთ და ამბობთ – არა, იმიტომ კი არა, უბრალოდ, სინდისიერად მოიქცა. ესე იგი, რა გააკეთეთ? ენაში უკვე ფიქსირებულია, ცხოვრებაში ძალიან ბევრჯერ ამბობთ ამას, უბრალოდ ვერ ამჩნევთ. ასეთ საქციელს კი სინდისი გკარნახობთ. სიცარიელე, რომელშიც არ არსებობს მიზეზი, „სინდისი“ უწოდეთ და ამით მიზეზის არმქონე ტერმინი გამოიყენეთ. გასაგებია, ხომ? უბრალოდ, ენის გენიის წყალობით ხდება ასე. როგორც ჩანს, ის ჩვენზე ჭკვიანია. ცხადია, ენის პლასტებში და იმ კანონებში, რომლებსაც ენა გვკარნახობს, არსებობს სიტყვის არჩევანი, აზრის მსვლელობის არჩევანი, ვინაიდან ადამიანი ზნეობრივ არსებად დაიბადა, ენა კი ადამიანის ენაა. ენას აქვს კანონები და ისინი – ადამიანის კანონებია. იგივე შეიძლება ითქვას გაგებაზეც. აი, წარმოიდგინეთ, რომ ვიღაცასთან ურთიერთობებს არკვევთ და არგუმენტებს მოიხმობთ. არგუმენტების მოხმობა იგივეა, რაც მიზეზების მოხმობა. არგუმენტი მიზეზია, რომელმაც იმ სხვა ადამიანის გონებაში, რომელსაც მიმართავთ, გარკვეული გაგება ან მდგომარეობა უნდა გამოიწვიოს. ხომ ასეა? არგუმენტი იგივე მიზეზია. საკუთარი გამოცდილებიდან ხომ დაბეჯითებით იცით, რომ არგუმენტებს მხოლოდ ისეთ ვითარებაში მოიხმობენ, როდესაც ურთიერთგაგება ქრება და გაგების უქონლობას გარკვეული მიზეზები აქვს. თუკი გაგება არსებობს, მაშინ ეს ყველაფერი საჭირო აღარ არის. როდესაც ურთიერთობების გარკვევა და დასაბუთებაა საჭირო, მაშინ ჩნდება მანკიერი უსასრულობის სახე, რომლის გზაზეც დავრბივართ და დანტესეულ მორბენალებს ვემსგავსებით, რომლებიც ჯოჯოხეთში იმით

იხდიან სასჯელს, რომ სულ დარბიან. და ენაგადმოვარდნილი ვირბენთ, ვინაიდან ვამტკიცებთ და ვერასდროს ვერაფერს დავამტკიცებთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიზეზები და ემპირიული ფაქტები მხოლოდ ვერგაგებისთვისაა, გაგებისთვის კი მიზეზები არ არსებობს. გაგება რაღაც უძრავია, გასაგებია? ამ დროს ჩვენ არ ვმოძრაობთ.

ისევ საბრალო მანდელშტამის ციტატას მოვიხმობ:

გარეგანი პირობებისგან
შემიძლია სულის გათავისუფლება:
სიმღერა – სულის დუღილი
მესმის – და სწრაფად ვთვრები.
.....
იქ, მიუკერძოებელ ეთერში,
აწონილია ჩვენი რაობა,
დაგდებულია ვარსკვლავური საწონები
აცახცახებულ პინებზე.

და ზღვრულ ზეიმში
არის ცხოვრებისეული აღტაცება –
სხეულის მოგონება
უცვლელ სამშობლოზე.

ეს არის ჩვენი სულის უცვლელი ტოპოლოგიური წყობის ილუსტრაცია. გახსოვთ, სრულიად სხვა საკითხებზე ვლაპარაკობდი და – უცნობ სამშობლოზე. ახლა ხედავთ – სიტყვა დამცდა, გგონიათ, რომ ციტატა მოვიხმე, მაგრამ ლექსი სულაც არ მომიხმია, ციტატის სახით. უბრალოდ, ერთისა და იმავეს სიმბოლური შესატყვისობა იყო და არა, ვთქვათ, ჩემი ერუდიციის ნაყოფი, – ვიცოდი მანდელშტამი და ამიტომაც მეხსიერების სიღრმეში მქონდა გადამალული, ჯერ „უცნობი სამშობლო“ ვახსენე, მერე, ვითომც არაფერი, მანდელშტამის ლექსი მოვიხმე. დამერწმუნეთ, ეს არ განმიზრახავს. თუკი არ დამიჯერებთ, თქვენი საქმეა. თუკი არ დამიჯერებთ, საკუთარი თავის და იმის შესახებ, თუ როგორ ვართ მოწყობილი, რაღაცას ვერ შეიტყობთ. მაშ ასე, უცბად ჩნდება – „სხეულის მოგონება უცვლელ სამშობლოზე“. მაშასადამე, ის უცნობი სამშობლო, რომელიც ყველა მხატვრისთვის სამშობლოა – ანუ ყველა მხატვარი უცნობი სამშობლოს მოქალაქეა, – სწორედაც რომ „უცვლელია“.

გვაქვს სხეულის მოგონება უცვლელ სამშობლოზე. ეს „ცხოვრებისეული აღტაცებაცაა“. არა რომი, არამედ – ადამიანის ადგილი, ანუ არა აგებული საკურთხეველი, არამედ შენ საკუთარი ცოცხალი ძალისხმევით ამაგრებ ყველაფერს. ყველაფერი, რაც კონკრეტული და შესრულებული, განხორციელებულია, – ქრება, შენ ხარ მარადიული. წინა თემას დავუბრუნდით: ძალიან უცნაური უწყვეტობაა, რაც მარადიულ დგომას გულისხმობს. ეს არის რომელიღაც მარადიული აქტი, რომელშიც არაფერია შესრულებული, ვინაიდან ყველაფერი, რაც შესრულებულია, შეიძლება წავიდეს და წარმავალია. ვთქვათ, ბერძნები მთელ სამყაროს შიშის ზარს სცემდნენ და სად არის მათი იმპერია? სად გაქრა ალექსანდრე მაკედონელის იმპერია? ალექსანდრე მაკედონელი ჩვენს სულებში ერთი მარტივი მიზეზის გამო ცოცხლობს – ვინაიდან მას ადამიანური ძალისხმევა ეპყრა. მათ იმპერიის მშენებლობა კი არ სჭირდებოდათ – ადამიანური ძალისხმევა ეპყრათ. ზუსტად იგივეს ამბობენ მისტიკოსები რწმენის შესახებ: ჭეშმარიტი რწმენის საგანი თვით რწმენაა. მე ხომ ტავტოლოგიებს განვსაზღვრავ – აი, ახლა განვსაზღვრე რწმენა ისევე, როგორც მანამდე განვსაზღვრე გაგება. ვთქვი, რომ გაგება ან არსებობს ან არ არსებობს. მას არ გააჩნია მიზეზები. ის თვითონვე ქმნის აზრების სივრცეს. ხომ გასაგებია? ასე რომ, მე ვთქვი, ან მისტიკოსი იტყვის (არა რელიგიური ადამიანი, რომელიც ეკლესიაში დადის, არამედ მისტიკოსი, – ისინი სხვადასხვაა), რომ რელიგიის საგანი თვით რწმენა, ანუ რწმენის ქონაა და არა რომელიღაც ობიექტები. ამავე სტრუქტურის მიხედვით, იგივე შემიძლია ვთქვა პოეზიაზე. და პრუსტის ციტატას მოვიხმობ, სადაც ასეთი სტრიქონებია: „...პოეზია საკუთარი არსებობის შეგრძნებას გულისხმობს“[3]. ჩაუკვირდით: პოეზია საკუთარი არსებობის შეგრძნება და გრძნობაა. ხომ გასაგებია? იმედი მაქვს, გაიგებთ, რადგანაც ამგვარი ობიექტები, ჩვენი შესაძლებლობებისგან სრულიად დამოუკიდებლად – ამ სიტყვის ფსიქოლოგიური მნიშვნელობით (რომელია უფრო ჭკვიანი და რომელი – უჭკუო), – არის ზღვარი, რისი გაგებაც ადამიანებს შეუძლიათ. ეს არის ფილოსოფიური და ზნეობრივი აბსტრაქციების ზღვარი. პრუსტმა ამგვარი ცდა ჩაატარა, მაგრამ, ჩემგან განსხვავებით, პლასტიკურად ჩაატარა – არის სიუჟეტი, არის აღწერები და რისი გაკეთე-

[3] იხ.: J.S. – გვ. 536.

ბაც გაგების დონეზე არ შეეძლო, გამოსახულების დონეზე აკეთებდა. მაგალითად, შესაძლებელია აზრის ბრძოლაში დამარცხება, მაგრამ – ესთეტიკურ ბრძოლაში გამარჯვება. თან, საქმის მსვლელობის მიხედვით, პოეზიის ლამაზი ნაპერწკლის დაკვესებაც შეიძლება. პოეზიას აქვს მატერია, მატერია რჩება, აზრი კი, შეიძლება, დანიშნულების ადგილამდე ბოლომდე ვერ მივიდეს. ასე რომ, როდესაც ვფილოსოფოსობთ (და ახლა ვფილოსოფოსობთ), არავითარი საშუალება არ გაგვაჩნია, არავითარი დახმარების იმედი არ შეიძლება გვქონდეს, ლამაზი სიტყვა ვერ გადაგვარჩენს – დამამცირებელი გაგებით არ ვამბობ, – მას ვერ დავეყრდნობით, ვინაიდან აზრი ბოლომდე უნდა მივიყვანოთ, მისი ბოლომდე მიყვანა კი თითქმის შეუძლებელია. ისევ სიცოცხლის განსაზღვრებას ვუბრუნდები: ეს არის საკუთარი არსებობის შეგრძნება, ანუ ისე, თითქოს პოეზია პოეზიის საგანია. უცნაურია. მაგრამ ეს არის კიდეც ადამიანში არსებული პოეზიის განსაზღვრება. ახლა თეოლოგიურ განსაზღვრებას მოვიხმობ. ვთქვათ, არსებობს რაღაც, რისი სახელიც არის კიდეც მისი არსებობა. ჩვენ ხომ საგნებს, როგორც წესი, სახელებს ვარქმევთ. არსებობს რაღაც, რისი სახელიც არის კიდეც მისი არსებობა. სხვათა შორის, თეოლოგიაში ასე განსაზღვრავენ ღმერთს. მაგრამ ყურადღება მიაქციეთ, რომ პოეზიაც ზუსტად ასე განვსაზღვრე, ამ სტრუქტურის მიხედვით. ვთქვი: პოეზია არის გრძნობა (ან მის ადგილას ჩასვით – სახელი) – რისი? – პოეზიის. არის მისი არსებობაც. ანუ პოეზიის შეგრძნება მისი საკუთარი არსებობის შეგრძნებაა. მაშასადამე, რაღაც განსაკუთრებულ ობიექტებზე ვსაუბრობთ. მოდით, ამას პირობითად უსასრულო ობიექტები ვუწოდოთ. ამგვარ უსასრულო ობიექტებს ჩვენ გაგების სფეროშიც კი ვაწყდებით. გაგება ამ სახის უსასრულო ობიექტია. ასევეა ურთიერთგაგებაც კი. ის, რომ ეს ასეა, ჩვენი ცხოვრებისთვის არსებითია. ვთქვათ, გაუცნობიერებლად უსასრულოდ დავიწყებთ ურთიერთობების გარკვევას, იმის ნაცვლად, რომ ამ პროცესიდან ამოვვარდეთ, ვინაიდან, თუკი ურთიერთობების გარკვევა საჭიროა, გარკვევა შეუძლებელია. ეს – კანონია.

ამ უსასრულო ობიექტებში ვრთავთ „მე“-ს, ანუ თითოეული ამ უსასრულო ობიექტის მხარე არის „მე“. ის ამ უსასრულობისგან განუყოფელია. ახლა საინტერესოა გავარკვიოთ, რა არის ეს „მე“? ერთი პატარა ნაბიჯი გადავდგათ წინ. ცხადია, რომ ამ „მე“-ს გარ-

კვეული მიმართება აქვს იმასთან, რასაც გათანაბრების წერტილი ვუწოდე, სადაც, დანტეს თანახმად, ყველა ტვირთის სიმძიმემ თავი მოიყარა, ან ყველა ტვირთი შეიყარა. ეს არის, როგორც გითხარით, ნულოვანი, მაგრამ იმავდროულად, ინტენსიური წერტილი. იცით, რაზე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო? იმაზე, რომ სინამდვილეში რაღაც უცნაურ ხანგრძლივობაზე ან უწყვეტობაზე ვსაუბრობთ, რომელიც ემპირიული ხანგრძლივობისა და უწყვეტობისგან განსხვავდება. ამ უცნაურ უწყვეტობას „მე"-ს, რომელიღაც „მე"-ს და ძალისხმევას ვუკავშირებთ; იმას, რომლის წყალობითაც არსებობს რომი. თვითონ რომი ქრება, მაგრამ ძალისხმევა აჩერებს მას და ეს არის კიდეც მისი ხანგრძლივობის და უწყვეტობის საგანი. ასევე, პოეზიაშიც არსებობს თვით პოეზიის ხანგრძლივობა და მისი ძალისხმევა თვითონ პოეზიაა. არსებობს რაღაც, რომლის სახელიც არის კიდეც არსებობა. და ეს არსებობა არის გარკვეული უცნაური უწყვეტობა და ხანგრძლივობა. სანამ რაიმე საკმაოდ თვალშისაცემ სიმბოლოს მოვიხმობდე (იძულებული ვარ, გავიმეორო და ეს შემთხვევითი როდია, ვინაიდან სიმბოლოების გამოგონება შეუძლებელია; მაგალითის გამოგონება შეიძლება, სიმბოლოს გამოგონება კი არ შეიძლება, იძულებული ვართ, ისინი გავიმეოროთ), რომელსაც შეუძლია, რომ ბევრი რამ ამ სფეროში თავის ადგილას დააყენოს, სფეროში, რომელიც ძალიან რთულია და რომელშიც ვმოძრაობთ, მინდა, თქვენი ყურადღება ერთ ტერმინოლოგიურ საკითხს მივაპყრო. რამდენჯერმე გითხარით, რომ სიცოცხლე შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც დროში ძალისხმევა. სიცოცხლე დროში ძალისხმევაა. აი ასე, გაკვრით. პრუსტი ამბობს: ძალისხმევა დროში. და სანამ არსებობს ძალისხმევა, – მაგალითად, სანამ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც არ შეუძლიათ ისე იცხოვრონ, რომ მოქალაქეები არ იყვნენ, – სამოქალაქო კანონიც იარსებებს. მაშასადამე, კანონს მართავს ადამიანი და არა, პირიქით. შეუძლებელია კანონის შექმნა და მერე არხეინად ყოფნა; იმ კანონის მიხედვით, რომელზეც ვსაუბრობდით: რაღაც წარსულში რომ იყო, იმიტომ კი არ განმეორდება დღეს. მაშასადამე, გვაქვს კანონი; როგორც კონკრეტული შესრულების, როგორც კონკრეტული რეალიზაციის საგანი, ის შეიძლება დავიწყებას მიეცეს, მაგრამ მისი ძალისხმევა უნდა გაგრძელდეს. ძალისხმევა კი ხალხში, „მე"-ში გრძელდება. რაღაც უცნაური „მე" გვაქვს. მოდით, დროებით მას „აბსოლუტური" ვუწოდოთ. მინდა

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით მიაქციოთ ყურადღება იმას, რომ ტერმინი „დრო“ ფრაზაში: „სიცოცხლე არის დროში ძალისხმევა“ – ჩვენს ცხოვრებისეულ დროს არ გულისხმობს, ისევე როგორც არ გულისხმობს თანმიმდევრობის შედეგად მიღებულ რაღაც განსხვავებულს. მაგალითად, შემიძლია ასე ვთქვა: არსებობს ეს ცხოვრება და არსებობს სხვა ცხოვრება, სადაც მხედველობაში მექნება, რომ ამ ცხოვრების შემდეგ დგება გარკვეული მომენტი, რომელსაც მოსდევს სხვა ცხოვრება – ვთქვათ, საიქიო, თუკი ის არსებობს (ეს პრუსტისთვის ერთ–ერთი რეალური პრობლემაა, ის ჩამოთვლიდა: რეალობის პრობლემა, ნაწარმოების რეალობის პრობლემა და სულის რეალობის ან უკვდავების პრობლემა. ერთადერთი სერიოზული პრობლემებია. ასე თვლიდა პრუსტი). ჯერჯერობით მხოლოდ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ვამახვილებ თქვენს ყურადღებას იმაზე, რომ დრო ამ ცხოვრებისეულ დროს არ გულისხმობს; სწორედ ისევე, როგორც არც სხვას გულისხმობს (რომ სხვა ცხოვრება არის ის, რაც ამ ცხოვრების შემდეგ დგება). პრუსტი ამბობს (მეგობრისადმი მიწერილ წერილში), რომ „ჩვენი რეალური ცხოვრება ის ცხოვრება კი არ არის, რომელიც ამ ცხოვრებაშია, არც ისაა, რომელიც მას მოსდევს, არამედ ისაა, რომელიც ამ ცხოვრების მიღმაა. თუკი ტერმინს, რომელიც სივრცობრივი ტერმინოლოგიიდანაა ნასესხები, რაიმე მნიშვნელობა აქვს ამ სფეროში“[4] (ეს ციტატა იმიტომ მოვიხმე, რომ ყურადღებით იყოთ და ტერმინ „დრო“-ს რაიმე მნიშვნელობები არ მიაწეროთ).

მაშასადამე – სიმბოლო, რომლის საშუალებითაც „მე“-სთან (რომელსაც „აბსოლუტური“ ვუწოდე), „ძალისხმევასთან“ და ა.შ. დაკავშირებული ამ უცნაური უწყვეტობის თუ ხანგრძლივობის ახსნა მინდა. ჩვენ ვსაუბრობთ გარკვეულ აქტებსა თუ ობიექტებზე, რომლებსაც შეგვიძლია მარადიული ობიექტები ან აქტები ვუწოდოთ. ამიტომაც გთხოვეთ, რომ სიტყვა „დროსთვის“ ან „ხანგრძლივობისთვის“ ჩვენი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი დროის გაგება არ მიგენიჭებინათ. აქ რაღაც სხვა ჭრილია. პასკალს სრულიად გენიალური ფრაზა აქვს. რასაკვირველია, ის მისი ძალიან ღრმა რელიგიური გამოცდილებიდან მომდინარეობს, რელიგიური გამოცდილება კი ზოგადადამიანური გამოცდილების ერთგვარი სიტყვიერი გაფორ-

[4] იხ.: Mauriac Claude. Proust, გვ. 127, lettre a Georges de Lauris.

მებაა, რომლის გამოთქმაც არარელიგიური ტერმინებითაც შეიძლება (ანუ რელიგიამ რაღაც იცის ჩვენი სამშვინველისეული ცხოვრების შესახებ. თავისი მიზნებისთვის ის ამას გარკვეული სახით გამოთქვამს, მაგრამ იგივე არსებობს და სხვა ენითაც გამოითქმის). ამ ღრმა რელიგიური გამოცდილებიდან პასკალმა ასეთი ფრაზა წარმოთქვა. ის ორიგინალურია მხოლოდ როგორც ფრაზა და არა როგორც აზრი, ვინაიდან ეს აზრი, საერთოდ, ჩვენს სულშიცაა, და – მით უმეტეს – რელიგიურ გამოცდილებაშიც თუ ზნეობრივ გამოცდილებაშიც. პასკალი ამბობს: „ქრისტეს აგონია მარადიულად გრძელდება და ამ დროს ძილი არ შეიძლება“[5]. აი, ეს ძალიან ხატოვანი სიტყვები განათლებულ მკითხველში მაშინვე აღძრავს სახარების ზოგიერთ სცენასთან ასოციაციას. ხომ გახსოვთ სცენა, რომელიც, მგონი, სამჯერ მეორდება, როდესაც ქრისტე, რომელმაც უკვე იცის, რომ მისი დრო დადგა, მოციქულებს სთხოვს, მის გვერდით იყვნენ და არ დაიძინონ (ისინი კი იძინებენ)[6]. ამ ფრაზას იმდენად ბრწყინვალე, პრიალა ზედაპირი აქვს, რომ ჩვენი ყურადღება და აზრი ამ ზედაპირიდან ჩამოცურდება, თავს ვერ იმაგრებს, მის სიღრმეში ვერ აღწევს. რა თქვა სინამდვილეში პასკალმა ამ ფრაზით... და, სხვათა შორის, მას შემდგომში ლევ შესტოვი იმეორებდა – ისე, რომ ამ სიმბოლოს კი არ იყენებდა, არამედ მხედველობაში ჰქონდა წმინდად ფილოსოფიური და ზნეობრივი ამოცანები. შეგვიძლია ასე ვთქვათ: რაღაც მოხდა, ქრისტე ჯვარს აცვეს და ის აგონიაში ჩავარდა. პასკალი თავის ფრაზაში იმაზე მიუთითებს, რომ არსებობს საგნები, რომლებიც კი არ მოხდა, არამედ ხდება, მარადიულად ხდება. მაშასადამე, ჩვენს სამშვინველისმიერ ცხოვრებაში არ შეგვიძლია ამ მოვლენის, როგორც უკვე მომხდარის, მიღება, არამედ საკუთარი თავი მის წიაღში უნდა ვიგულვოთ – როგორც მიმდინარე და, ამასთანავე, არ უნდა დავიძინოთ. ეს არის კიდეც იმ ობიექტების ხანგრძლივობა, რომლებზეც ვსაუბრობდი. ვიმეორებ, არსებობს ისეთი მოვლენები, რომლებიც მუდამ თანაყოფიერებაში არიან. წარმოიდგინეთ, რომ მთელი სამყარო ერთი მოსაუბრე, მაგრამ ბოლომდე უთქ-

---

[5] იხ.: Pascal. Euvres completes. Le Nouveau Testament. «Bibliotheque de la Pléiade», 1954; გვ. 1313. Шестов, Лев. На весах Иова. Гефсиманская ночь. Paris: Ymca Press, 1957.

[6] „ფრთხილად იყავით, იფხიზლეთ და ილოცეთ, რადგან არ იცით, როდის მოაწევს ჟამი.“ (მარკოზი: 13, 33).

მელი ფრაზა ან სიტყვაა და ჩვენც, იმასთან ერთად, რაც ჩვენს თავს ხდება ან არ ხდება, მის – ამ ფრაზის წიაღში ვართ. მართალია, ჩვენი ენა გვეუბნება: ჯვარს აცვეს. კეისარმა გადალახა რუბიკონი. ქრისტე ჯვარს აცვეს. ფოლკნერთან ჩრდილოელებსა და სამხრეთელებს შორის გადამწყვეტ ბრძოლაში ქვემეხებმა გაისროლეს და სამხრეთელები დამარცხდნენ. ფოლკნერი კი ამბობს, რომ ნებისმიერი 14 წლის (სამხრეთელი) ყმაწვილისთვის სამყარო არსებობს იმ წამში, როდესაც გაშლილია ბაირაღები და ბაირაღს არ გაჰყვა პოლკი.[7] ჯერ კიდევ შეიძლება, რომ ბრძოლა არ შედგეს. ამ წუთის გარეშე ყმაწვილი საკუთარ სულში ვერ აღიდგენს საკუთარ წარსულს და ვერ გაიგებს, ვინ არის ის. ადამიანისთვის ყველაზე დიდი ტრაგედია ისაა, როცა არ იცის, ვინ არის სინამდვილეში. რა ხდება შენს თავს. სად ხარ ცენტრთან მიმართებაში. ახლა უკვე ვიცით, რა არის ცენტრი, – მარადიულად განგრძობადი აქტები, რომლებიც მომხდარად არ ითვლება; უცნაური მოვლენები, რომლებიც მოვლენებია (მოვლენაში ყოველთვის არის ის, რაც მოხდა), მაგრამ მარადიულად ხდება. მოვლენები, რომლებიც მარადიულად ხდება. გაგების, სიკეთის ჩვენეული აქტები გახანგრძლივებული, ან მარადიული აქტის ამ სტრუქტურის წიაღში არსებობს. როგორც არაბი მისტიკოსები ამბობდნენ, ატრიბუტს სხვა მომენტი არ გააჩნია. დეკარტი კი, მათგან სრულიად დამოუკიდებლად, იმეორებდა ამ თეორიას, ვინაიდან ის, ალბათ, არავის ეკუთვნის, როგორც არავის არ ეკუთვნის სამყარო; ის ისეთია, როგორიც არის და, თუკი დაინახავ, ის არსებობს (ისევე როგორც ვხედავ მზეს, – იმას ხომ ვერ იტყვით, რომ „მზე“ ვახსენე და ეს რომელიღაც წიგნიდან მოხმობილი ციტატაა, სადაც წერია, რომ ეს არის მზე. მე ვხედავ მზეს და ვამბობ, რომ ეს – მზეა). ისევ იმ თემასთან გაბრუნებთ, რომელსაც მანამდე განვიხილავდი: მართლაც თავისთავად გრძელდება თუ არა A და დროის მომდევნო მონაკვეთშიც იქნება თუ არა ის? არა, თუკი ის რომელი-

---

[7] „თითოეული 14 წლის ჩრდილოელი მოზარდისთვის – არა ერთხელ, არამედ რამდენჯერაც მოისურვებს, – დგება წუთი, როდესაც ჯერ კიდევ არ დამდგარა 1863 წლის ივლისის იმ დღის ორი საათი: გალავანს მიღმა დივიზიები მზადყოფნაშია, ტყეში დამალული ქვემეხები დამიზნებულია, დაკეცილი ბაირაღები გაშლილია, მყისვე რომ აფრიალდეს... ახლა ყველაფერი სასწორზე დევს, ჯერ არ მომხდარა, არც კი დაწყებულა, და არა მარტო არ დაწყებულა, არამედ კიდევ არის დრო, რომ არ დაიწყოს“ (Фолкнер У. Собрание рассказов. М., 1977. გვ. 573).

ღაც პირველად აქტივობასთან ზიარებული არ არის; თუკი განგრძობითი აქტის წიაღში არსებობ და, თან, არ გძინავს, მაშინ დროის მომდევნო ეტაპზე რაღაც იქნება – თუკი ამ განგრძობითი აქტის წიაღში ხარ. ატრიბუტს, თავისთავად, დროის მეორე მომენტი არ გააჩნია და არც ექნება. საკმარისია, ჩავთვალოთ, რომ ქრისტეს აგონია უკვე შედგა, ანუ ობიექტი დასრულდა და ის, თითქოს, გაგრძელდება, აღმოჩნდება, რომ სამყაროში ქრისტიანები აღარ იარსებებენ. ისინი აღარ იქნებიან. მაშასადამე, ის, რასაც არ აქვს მიზეზი, მაგრამ გრძელდება, ამ ტიპის ობიექტების წიაღშია მოთავსებული. აი, ასე უნდა წარმოვიდგინოთ – ასეთია სამყაროს სტრუქტურა.

ამიტომაც, ასე ვთქვათ, პრუსტის თვალსაზრისი შემდეგს გულისხმობს: ის, რაც ახლა ხდება არის კიდეც მარადიული სიცოცხლე. შესაბამისად, მარადისობა არა ამ სიცოცხლის შემდეგაა, არამედ მარადისობა ვერტიკალური ჭრილია ჩვენი ცხოვრების თანმიმდევრული ჰორიზონტალის მიმართ. გამუდმებით წინ მივიწევთ და გვეჩვენება, რომ მარადისობა, ან, ვთქვათ, სხვა სიცოცხლე ან უკვდავება და ა.შ. სადღაც ამის შემდეგაა. ფილოსოფოსი და პრუსტი ამტკიცებენ, რომ სინამდვილეში ვერტიკალური ჭრილი მარაოს ერთმანეთზე გადაბმულ ფენებს უნდა მივამსგავსოთ (ბერგსონი იტყოდა, მანდელშტამი მის კვალად გაიმეორებდა). გაშალეთ მარაო, ის თანმიმდევრულადაა დაკავშირებული, მარაოსებური კავშირი აქვს, ანუ ეს არის ვერტიკალური კავშირი მარაოს მთელ გაშლაზე, მთელ განფენილობაზე; თვით მარაოს ვერტიკალური კავშირი. აი, რა იგულისხმება, როდესაც პრუსტი მოპოვებულ დროზე საუბრობს. მთელი დანარჩენი დრო, იმ დროსთან მიმართებით, რომელსაც ახლა აღვწერ, დაკარგული დროა. მოპოვებული დრო კი არის დრო, რომელიც ამ მარადიულად მიმდინარეშია და, ამიტომაც, პრუსტი ამაზე იტყოდა, რომ ის, რაც ახლა ხდება, არის კიდეც მარადიული სიცოცხლე, თუკი ცოცხალი ხარ, ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრუსტის სამყაროში არ არსებობს სიცოცხლისშემდგომი აღდგომა. თუკი აღდგები – მხოლოდ ამ სიცოცხლეში და თუკი არ აღდგები ამ ცხოვრებაში, მაშინ არასდროს აღდგები, – თუკი ამ განგრძობით აქტში ცოცხალი მდგომარეობები არ აღადგინე. მაგალითად, თუ მოციქულების მსგავსად დაგეძინა, – მათ რომ სამუდამოდ დაეძინათ, ანუ ამ აქტიდან ბოლომდე რომ ამოვარდნილიყვნენ, აღარც აღდგებოდნენ. ჩვენი სულიერი ცხოვრების ამ ტოპოგრაფიაში აღდგომა სიცოცხ-

ლის შემდეგ კი არ ხდება, არამედ ამავე სიცოცხლეში. ამიტომაც პრუსტი ფრთხილად ამბობს, რომ სხვა ცხოვრება ამ ცხოვრების შემდეგ კი არ არის, არამედ მის მიღმაა. მიღმაში სწორედ ეს ვერტიკალური ჭრილი იგულისხმება. აი, წარმოიდგინეთ: ვიყურები წინ, ჰორიზონტის მიმართულებით და ამ დროს ხდება მოვლენა, ჩემი ჰორიზონტალური მზერის, მოძრაობის მიმართ ვერტიკალურ მდგომარეობაში, ვინაიდან თანმიმდევრულობიდან ჩანს, რომ ქრისტეს ჯვარცმის მოვლენა უკვე მოხდა. ის განხორციელდა – ოღონდ ამ თანმიმდევრულობაშია თუ არა ჩემი სულიერი ცხოვრება? ვამტკიცებ, რომ ჩვენს სულიერ ცხოვრებაში არსებითი მნიშვნელობის მოვლენები ამ თანმიმდევრულობაში არ არიან. მასში ხდება რაღაც, რაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ჩვენს ადამიანურ ენაზე, ოღონდ ვერტიკალური მიმართულებით, მარაოსებურად. ჩაადაევიც იმავეს იმეორებდა (ერთადერთი რუსი მოაზროვნე მთელს მე-19 საუკუნეში, ვინაიდან ყველა დანარჩენის მოაზროვნედ ჩათვლა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ისინი ყველაფერი დანარჩენი იყვნენ, რაც გნებავთ – ხალხის მოყვარეები და ა.შ., მაგრამ არცერთი მათგანი არ იყო მოაზროვნე. მხოლოდ ერთი ადამიანი აზროვნებდა მე-19 საუკუნეში – ჩაადაევი.) ორლოვისადმი წერილში ის ამბობდა, რომ სამი ქრისტიანული სიქველიდან – რწმენა, იმედი, სიყვარული – სამწუხაროდ, ერთ-ერთ მათგანზე, კერძოდ, იმედზე, უარი უნდა ვთქვათ, ვინაიდან ჩვენს ვითარებაში რისი იმედიც არ უნდა გვქონდეს (ჩვენ მხოლოდ იმედით შეგვიძლია რაიმეს დაწყება), რაც უფრო მეტს ვიწყებთ, მით უფრო ვეფლობით ჭაობში. წარმოიდგინეთ: ჭაობში მოძრაობთ, რაღაცას აკეთებთ და რაც უფრო მეტს მოძრაობთ, მით უფრო სწრაფად ეფლობით მასში. როგორც ჩაადაევი ამბობს, იმედზე უარი უნდა თქვათ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ გააკეთებთ, ვინაიდან გწამთ, რომ სხვა ცხოვრებისგან მესაფლავის ნიჩაბი გაშორებთ, ანუ ცხოვრობთ საკუთარი ცხოვრებით და იქ, თქვენი სიკვდილის შემდეგ, რაღაც სხვა ცხოვრებაა. არაფერი მსგავსი, ამბობს ჩაადაევი, ეს სამყარო და ეს სამეფო აქ არსებობს. თუკი სხვას ვანგრევთ, რასაკვირველია, სულიერად ვანგრევთ ამ სხვას და არსებითად გადავერთვებით – სად? აი, ამ სხვა სამეფოში, რომელიც ამავე სიცოცხლის ჭრილია. ჩაადაევისთვის არავითარი იმქვეყნიურობა არ არსებობს. არსებობს მხოლოდ იმის განსაკუთრებული ჭრილი, რაც აქ, ახლა ხდება. ამ ჭრილშია ცხოვრება, ცოცხალი და სავსე

ცხოვრება, მაგრამ უფრო რეალური, ვიდრე ჩვენი ყოველდღიური ერთფეროვანი ცხოვრება.

ვთქვი, რომ ეს წერტილი, იმავდროულად, რომელიღაც აბსოლუტური „მე“-ს წერტილია, რომელიც ჩვენი ფსიქოლოგიური „მე“-სგან განსხვავდება. აბსოლუტური „მე“-ს ფსიქოლოგიური „მე“-სგან განსხვავება პრუსტის რომანის მთელი ფორმის ღერძია. ეს ფორმა თანამედროვე და რევოლუციურია რომანის ტრადიციულ ფორმასთან მიმართებით, ვინაიდან სულიერი ცხოვრების შრეებს შორის განსხვავებაა — ესაა, ერთი მხრივ, სულიერი ცხოვრება, რომელიც აბსოლუტური „მე“-ს, ან განგრძობით აქტთან შეზრდილი აბსოლუტური „მე“-ს და, მეორე მხრივ, ფსიქოლოგიური „მეები“-ს განზომილებაში მიმდინარეობს. შემთხვევით არ მიხსენებია „მე“ მრავლობით რიცხვში: პრუსტთან არის ერთი აბსოლუტური „მე“, ან როგორც პრუსტი ამბობს, ჩვენი, როგორც აბსოლუტური არსებების, ინტუიცია. ბუნებრივია, რა თქმა უნდა, რომ არსება, რომელმაც საკუთარი თავი განგრძობითი აქტის წიაღში მოათავსა, საკუთარი თავის, როგორც აბსოლუტურის, ინტუიცია აქვს. ასე რომ, მასთან მიმართებით არსებობს ჩვენი სულიერი ცხოვრების სხვა შრეები, რომლებშიც „მე“ მრავალრიცხოვანია. იქ ბევრი „მე“-ა. მაშასადამე, პრუსტის რომანი „მრავალმეიანი“ რომანია. აქ უამრავი „მე“ გვხვდება ერთსა და იმავე პიროვნებაში (სრულიად სხვა მაგალითს მოვიხმობ; შესაძლოა, სიტყვიერი მეტაფორის სახით დაგეხმაროთ; სხვა სფეროა — ეროტიკულ-სასიყვარულო. ბლოკი, რომელიც ქალებთან ურთიერთობაში უამრავი კომპლექსით იტანჯებოდა, შეპყრობილი იყო ერთგვარი ზესიყვარულის, ერთგვარი ზეჩახუტებების შესახებ წარმოდგენით, რომლებიც განსხვავდებოდნენ იმისგან, რაც ცხოვრებაშია შესაძლებელი და ამით მაქსიმალურად გაირთულა პირადი ცხოვრება, რადგანაც სხვადასხვა ექსპერიმენტს მიმართავდა. მას რეალური ურთიერთობები ჰქონდა სხვა ქალებთან და არა საყვარელ ცოლთან. მის უბის წიგნაკში უცნაური ფრაზა იყო, რომელიც სტრუქტურული თვალსაზრისით არის ის, რასაც ჩვენ ვიკვლევთ. ის წერს: „ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ ორი ქალი არსებობს. ერთია — ლუბა, მეორე — ყველა დანარჩენი“. შეგიძლიათ „მე“-ს პრობლემა ამგვარად წარმოიდგინოთ). და აი, მისი „მე“-ს ამ წარმოდგენაში, ამ პრობლემაში პრუსტისეულ სვლას ვხედავთ, ანუ ესაა წარმოდგენა განცდის ან რომანის სუბიექტზე, რომელიც თვითონ წერს მას. ეს არის კიდეც

ის, რასაც ჩვენი ყოფიერების არავერბალური საფუძველი ვუწოდე, რომელსაც თვითონვე განიცდი და საკუთარი განცდიდან, იმით, რომ განგრძობითი აქტის წიაღში თვითონვე ჩადექი, დასკვნის სახით გამოგაქვს. ამ აქტის მსვლელობისას არ გძინავს და ეს აქტი მარადიულად გრძელდება. ქრისტეს აგონია მარადიულად გრძელდება. მასში მოხვედრა მხოლოდ საკუთარი ნებით შემიძლია. ეს არის ის, რასაც არავერბალური ვუწოდე. და ეს „არავერბალური" არის ადამიანური ყოფიერების საერთო საფუძველი, – თუკი ამ აქტის წიაღში საკუთარ აბსოლუტურ „მე"-ს ვიცავ, ამით ვიცავ საფუძველს, რომლიდანაც სხვა ადამიანებიც იზრდებიან, ანუ ადამიანურის საერთო საფუძველს ვიცავ. თქვენი ცხოვრებაც აქედან მომდინარეობს. და ეს ყველაფერი ახლა ხდება. რაღაც გაგებით, ეს პრუსტისეული მსოფლმხედველობა, უფრო სწორად, მსოფლაღქმა იმის შეგრძნებაა, რომ სიცოცხლე ერთია, ანუ ყველას ერთი სიცოცხლე ეძლევა. სიცოცხლის ერთეული. და თუკი ვცოცხლობთ, მხოლოდ ერთი სიცოცხლით. მაგრამ თუკი ერთი სიცოცხლით არ ვცოცხლობთ, მაშინ ეს სიცოცხლე აღარ არის.

იმ თემასთან გაბრუნებთ, რომელზეც მანამდე ვსაუბრობდი: ამ რაღაც აბსოლუტური „მე"-ს შეგრძნება, რომელიც ჩვენი მდგომარეობების სიცხადის, სიცოცხლისუნარიანობის კრიტერიუმია, – ღმერთმა ხალხი კი არა, მე შემქმნა. ყველა ამას ამბობს, ყველა ასე გრძნობს, ვინაიდან, თუკი ღმერთმა ხალხი შექმნა, საგნები შექმნა, ანუ უნდა წარმოვიდგინოთ ისეთი ნატურალური აქტი, რომ ღმერთმა ხალხი, რაღაც არსებები შექმნა. არა, ღმერთმა მე შემქმნა, ანუ „მე", რომელზეც ვსაუბრობ, რომელსაც არ გააჩნია მიზეზები. მიზეზების უქონლობას ამიტომაც ჰქვია ღმერთი. ეს იგივეა, რომ ვთქვათ: „სინდისი, რომელიც საკუთარი თავის მიზეზია". როდესაც არაფერი სხვა არ არსებობს და ადგილს იკავებს სინდისის ფენომენი, ვამბობთ: „სინდისის კარნახით". მაშასადამე, „არაფრის გამო" არის კიდეც „მე", ან „მე", რომელიც შექმნა ღმერთმა. სულაც არ განვიხილავ ღმერთს, როგორც ისეთ განსაკუთრებულ საგანს, რომელიც, თავის მხრივ, რაღაც საგნებს ქმნის, რომლებსაც ადამიანები ეწოდება. არა, ღმერთს ადამიანები არ შეუქმნია, მან მე შემქმნა. ისიც კი შემიძლია ჩავთვალო, რომ ჩემამდე არც არავინ ყოფილა, ისევე როგორც ადამიანისთვის, რომელსაც ჩვენი ფსიქოლოგიის გაგება სურს, არ არსებობს ისეთი რამ, რაც თვით ამ ფსიქოლოგიამდე, ანუ იქამ-

დე იწყება, სანამ გაიღვიძებს. გამოღვიძებულმა ხომ არც კი იცის სიტყვები – სიტყვებში უკვე არის ძაფები, რომლებიც მის გარეშე გაიბა. არა, მას თვითონ სურს გაბმა. შესაბამისად, ის თვლის, რომ, თითქოს, სამყარო აქედან იწყება, რასაკვირველია, თვლის იმიტომ, რომ რაღაც გაიგოს. თან, ამით საკუთარი თავი უნდა გააცოცხლოს, ვინაიდან ამის გარეშე, მარადიულ, განგრძობით აქტში, უწყვეტობაში ვერ ჩაერთვები, ანუ ვერ მოხვდები ცენტრში. როგორც დანტე ამბობდა – ჩემგან ყველაფერი თანაბარი მანძილითაა დაშორებული და შენ, რატომღაც, – არა; ყველაფერი თანაბარი მანძილითაა დაშორებული საკუთარი აბსოლუტური „მე"-დან ცენტრისადმი მიმართებით, რომელიც მარადიულად განგრძობითი აქტი, ობიექტია. ის გრძელდება, ადგილზე არ დგას. მაგრამ, ამასთან ერთად, ეს არის განსაკუთრებული ადგილი, რომელიც დგას კიდეც და არც დგას. ქრისტეს აგონია მარადიულად გრძელდება. ის მომხდარი მოვლენაა, მაგრამ ის (მოვლენა) ისევ პროცესშია, ხდება. მასზე ვერ ვიტყვით, რომ მოხდა. ფოლკნერთან ქვემეხებს არ გაუსვრიათ. და განგრძობისა და აღსრულების ამ წუთში მოქცეულია კიდეც ფოლკნერის მთელი მიკროკოსმოსი. გაღვიძების ამ წუთში მოქცეულია პრუსტის მთელი მიკროკოსმოსი.

ახლა კი მინდა ოდნავ შეგიმსუბუქოთ საქმე და განსხვავებული გზით დაგანახოთ აზრების აღმოცენება (რაზეც ახლა ვლაპარაკობდი) უფრო მისაწვდომ და ტევად საგნებში. ჩაადაევის სიტყვებს მოვიხმობ. თავის თანამედროვეებს ასე მიმართავდა ჩაადაევი: „მოგიწევთ, რომ თვითონვე შექმნათ ყველაფერი: თვით ჰაერიც კი, რომ ისუნთქოთ, თვით ნიადაგიც კი, რომ მასზე ფეხი დადგათ". აი, წარმოიდგინეთ ამგვარი ზნეობრივი ამოცანა. მე-19 საუკუნის რუსი ადამიანის სოციალური და სულიერი – ზნეობრივი პრობლემები არსებობს იმ ნიადაგზე, რომელიც მისი შექმნილი არ არის. ეს ნიადაგი მაქსიმალურად გაჯერებულია ბატონყმობის ანაორთქლით. ადამიანს შეუძლია აირჩიოს A, ვთქვათ – იყოს ბატონყმობის მომხრე და შეუძლია აირჩიოს B, იყოს ბატონყმობის მოწინააღმდეგე და იბრძოლოს. მაგრამ ადამიანი ზოგადი ნიადაგიდან მომდინარეობს. რაც არ უნდა აკეთო, ამ ნიადაგის ანაორთქლი ისეთია, რომ თქვენს ნებისმიერ გულისწადილს, ჩანაფიქრს შეცვლის და დაამახინჯებს. ჩაადაევი ოცნებობს – ჰაერიც კი საკუთარი თავისთვის თვითონვე უნდა შექმნა და ნიადაგიც, რომელზეც ფეხი გიდგას. ამ ფრაზას უმატებ-

და, რომ აუცილებელია, ხალხების საშინაო ზნეობრიობის შემუშავებით დავკავდეთ, რომელიც მათი პოლიტიკური ზნეობრიობისგან განსხვავდება. ნიადაგი დასაბამს აძლევს პოლიტიკურ ამოცანებს. არსებული პოლიტიკური შეხედულებებიც ნიადაგია. საშინაო ზნეობრიობა კი არის კიდეც ის აბსოლუტური „მე", რომელზეც ახლახანს ვლაპარაკობდი. ამ საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი რუსი პოლიტიკური მოღვაწე სტოლიპინი, რომელიც თვლიდა, რომ რუსეთში სამოქალაქო კანონი არასაკმარისია (მოგეხსენებათ, რუსეთის მიკროკოსმოსისთვის მაქსიმალურად უჩვეულოა კანონმორჩილების შეგრძნება; მათ, შესაძლოა, სამართლიანობის შეგრძნება ჰქონდეთ, მაგრამ კანონმორჩილების შეგრძნება არ აქვთ) ამბობდა (ეს იყო უდაბნოსა შინა მღაღადებლის ხმა), რომ უნდა შეიქმნას მოქალაქე, რომელიც სამოქალაქო კანონების საფუძვლების მატარებელი იქნებოდა. თითქოს სრულიად სხვა პრობლემაა, მე კი მანდელშტამის სიტყვებით გავიმეორებ: „არა ქალაქი რომი არსებობს საუკუნეები, არამედ ადამიანის ადგილი სამყაროში." სხვათა შორის, კანონის მოწინააღმდეგეებმა, რომლებიც ჩქარობდნენ და საკუთარ თავს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ, მოკლეს კიდეც სტოლიპინი, როგორც ჩვენთან – ჭავჭავაძე, დაახლოებით იმავე მიზეზებით და იმავე მექანიზმებით, ანუ სოციალური ცხოვრების დაახლოებით იგივე მექანიზმი ამუშავდა, საზოგადოებრივი ცნობიერების იგივე განუვითარებლობის გამო მოხდა ეს ყველაფერი; მეორე მხრივ, დემაგოგების მხრიდან პროგრესის დაჩქარება, რომლებიც ყველაფერს იმავე წუთში, თვალის დახამხამებაში გვპირდებიან და ადამიანები, რომლებსაც ამ ყველაფრის გადატანა უხდებათ, კვდებიან; ვინაიდან სამოქალაქო კანონებისთვის საჭიროა მოქალაქე, მოქალაქე კი რომელიღაც ადამიანური მასალიდან უნდა დაიბადოს. სტოლიპინს თემის განადგურებით მოქალაქისთვის მასალის გამოთავისუფლება სურდა. მოქალაქის შექმნა კი გულისხმობს – რას? – დროს, ხანგრძლივობას, მაგრამ არა სოციალური საქმის ხანგრძლივობას, არა სოციალურ მშენებლობას, არამედ ადამიანის ცხოვრების ხანგრძლივობას ზუსტად იმ ვერტიკალურ განზომილებაში, რომელშიც ჩვენი ძალისხმევა ცხოვრობს. სხვა ყველაფერი ძალისხმევის მწვერვალზე დგას. მის გარეშე „ზიზღის ღირსია სახლებიცა და საკურთხევლებიც". რამდენიც გინდა, იმდენი კანონი მოიფიქრე, – თუკი ადამიანები არ იარსებებენ, რომლებიც მათ დაიცავენ, არაფერი არ იქნება. ჩემს ნათქვამში ზო-

გიერთი ზოგადი სტრუქტურა გამოსჭვივის. სტოლიპინის მაგალითი მოვიხმე, – რასაკვირველია, ამ კაცმა საკუთარ თავზე აიღო დანაშაული (მოგეხსენებათ, რომ 1905 წელს ადამიანებს ხვრეტდნენ) და საქმე ისაა, რომ დანაშაულის გარეშე შეუძლებელია, ვინაიდან თუკი გინდა უდანაშაულო დარჩე, ვერ შეძლებ შეაჩერო „ცოცხალი ქრისტეები და ღვთისმშობლები", რომლებსაც ახლავე უნდათ ყველაფრის გადატრიალება. ისინი ჩქარობენ, ეშინიათ, რომ მათ გარეშე სხვები გააკეთებენ საქმეს; დროში ვიღაც სხვა გააკეთებს. საქმის გაკეთება კი თვითონ მათ სურთ, – თან უნდათ, ცოცხალი ქრისტეებად, ანუ წმინდა ადამიანებად დარჩნენ. სხვათა შორის, ადამიანების ამგვარი დაყოფა წმინდა და უწმინდურ ადამიანებად ტრადიციიდან მომდინარეობს, რომელიც ქრისტიანული აზრის წიაღში აღმოცენდა, როგორც ერეტიკული (მხედველობაში მაქვს იოახიმ ფლორელი). მასში სიტყვებიც კი აღმოცენდა, რომლებიც „ათასწლოვან მეფობაზე" მიუთითებდა. წმინდანების მეფობაზე (შემთხვევითი არ არის, რომ ნაცისტებთანაც იგივე სიტყვები გაჩნდა – „ათასწლოვანი რაიხი". ესეც ცხოვრებისეული კანონია, რომლის მიხედვითაც ჩვენი ტოპოგრაფიის ერთსა და იმავე ადგილას – არა ემპირიულ ადგილას – ერთი და იგივე სიტყვები ჩნდება. აი, გერმანელებთან გაჩნდა წმინდანების „ათასწლოვანი რაიხი").

ასე რომ, მინდა შემდეგი რამ ვთქვა: უპირველესად, საქმე გვაქვს – მე-20 საუკუნის დასაწყისის მთელ მანძილზე – ადამიანის რაღაც გაღვიძებასთან, რომელსაც, ნებისმიერი სხვა გაღვიძების მსგავსად, დრო სჭირდება, და სინამდვილეში 1984 წელს კი არ ვცხოვრობთ – დროის ის გაგება რომ გამოვიყენოთ, რომელიც ახლა შემოვიტანეთ (თუკი მას შეიძლება გაგება ვუწოდოთ), – იმ წერტილში ვიმყოფებით, რომელშიც 1895-1905 წლებში ცხოვრობდნენ, ანუ პირველ მსოფლიო ომამდელ წერტილში. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს პრობლემები, რომლებიც ჩვენს წინაშეა, იგივე პრობლემები. მათ შორისაა შინაგანი ადამიანის პრობლემა, რომელსაც შეუძლია საკუთარი შიშის და რისკის ფასად, თავისი ძალისხმევის შესაბამისად, საკუთარი ნებით დაიცვას კანონი. მე-19 საუკუნის დასასრულისთვის გამოვლინდა, რომ ნორმები და წესები, კანონები თავისთავად არ მუშაობენ, რომ ცივილიზაციის წესები და კანონები მხოლოდ და მხოლოდ ცხოვრების საკმაოდ ბრწყინვალე, მაგრამ თხელი საბურველია, რომ მის მიღმა იმალება ქაოსი (ამის შესახებ ნიცშე

გვაფრთხილებდა) და ეს ქაოსი შეიძლება აფეთქდეს; რომ ადამიანები, რომლებიც ნორმებს იმიტომ ასრულებენ, რომ ნორმებია, ამ ნორმების და კანონების არასანდო მატარებლები არიან; ეს ასეა, თუკი ეს ნორმები საკუთარი, პირადი გამოცდილების შინაგანი არავერბალური ფესვიდან არ ამოიზარდა. ის, რაც პირადი, საკუთარი გამოცდილების გზით არ არის მოპოვებული, – მყიფეა, არამყარია, შეიძლება დაინგრეს, და – დაინგრა კიდეც პირველ მსოფლიო ომში და დღემდე ინგრევა. ესეც უარყოფითი, მაგრამ განგრძობითი აქტია, რომლის წიაღშიც ვიმყოფებით და ამ გაგებით არა 1984 წელს ვცხოვრობთ, არამედ, შინაგანი ცხოვრების გამოთვლის თანახმად, მე-19 და მე-20 საკუნეების გარდატეხის წერტილში ვცხოვრობთ. გამოდის, რომ ჩვენც იმავე პრობლემის – შინაგანი ადამიანის პრობლემის წინაშე ვართ (და ის ირიბად გამოიხატებოდა სხვადასხვა რამეში). ხელოვნების სფეროში ის ამ თვალსაზრისით თავდაპირველად ძალიან ზუსტად გაათამაშეს სიმბოლისტებმა (მათ შორის ქართველმა სიმბოლისტებმაც). ეს არის შინაგანი ადამიანის პრობლემა, რომელსაც დამოუკიდებლად (არა ნორმების ან წარსული მიზეზების გამო) – თვითონვე უპყრია სამყარო. სამყაროს სამართავად მისთვის აუცილებელია თუნდაც აზრობრივ დონეზე ჩამოიშოროს პირვანდელი, მყარი; კულტურის საფარქვეშ აღმოაჩინოს ცოცხალი პლასტი – აი, ამით იყვნენ ისინი დაკავებული. შემდეგ, სიმბოლისტების კვალად, ამ საკითხებით დაკავებული იყვნენ სიურრეალისტები, აკმეისტები (სახელწოდებები სხვადასხვაა, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სიმბოლიზმიდან დაიწყო). სიმბოლისტები პირველები იყვნენ, რომლებიც ხელოვნებას რელიგიური სერიოზულობით მიუდგნენ, როგორც ამ ცხოვრებაში ცხოვრების შეცვლისთვის აუცილებელ ელემენტს და არა ცხოვრების სოციალურ მშენებლობას, რომელიც ემპირიული თანმიმდევრობიდან იღებს სათავეს. მოგეხსენებათ, პროგრამის თანახმად, 1980 წელს კომუნიზმში უნდა გვეცხოვრა. ეს თარიღი სახელდებოდა. წარმოიდგინეთ, 1960 წელს რაღაცას აკეთებდით ზნეობრიობის ან უზნეობის ტერმინების ფარგლებში, რაც ზნეობრივ მნიშვნელობას 1980 წელს შეიძენდა, როდესაც აშენდებოდა კომუნიზმი. ამიტომაც გეკითხებით: მაშინ, როდესაც რაიმეს აკეთებდით და საზრისის პროეცირებას 1980 წლისთვის საზღვრავდით, იქედან რომ გაენათებინა თქვენი საქციელი და ქმედებანი 1960 წელს, – ზნეობრივად იქცეოდით თუ არა? თუკი ასე შენდებოდა,

მაშინ, რასაკვირველია, ზნეობრიობაზე ლაპარაკიც ზედმეტია (ჩვენი გაგების, სიყვარულის აქტებშიც ანალოგიური სტრუქტურა მოქმედებს). ამ შინაგან ადამიანზე, როგორც საუკუნის პრობლემაზე საუბრისას, იმაზეც მივუთითებ, რომ ეს პრობლემა აღორძინების ხანაშიც არსებობდა. მოდით, პირობითად ასე ვთქვათ: სახარებისეული ადამიანის პრობლემა; სახარებისეული ადამიანის და არა – ეკლესიის. სახარების შინაგანი ადამიანის პრობლემა, ადამიანის, რომელსაც თავის სამყაროში ტექსტებიდან კი არ შეაქვს რაღაც კანონები, ნორმები, წესები, არამედ თვითონვე შობს მათ, გამოცდის საკუთარი არავერბალური ძირით. გამოცდა სახიფათოა, სამყაროს პირისპირ მარტო ხარ (აღორძინების ხანის ადამიანის შეგრძნებას აღვწერ). საკუთარი რისკის და შიშის ფასად გადიხარ გამოცდის გზას. და ეს გამოცდა უსასრულოდ ფასეულია. კანტი ამაზე იტყოდა: ზნეობრივი სახის უსასრულო ფასეულობა. ისევ უსასრულო ობიექტი მივიღეთ. კერძოდ: ზნეობრივი სახე, უსასრულო ობიექტი, რომლის წიაღშიც გრძელდება რაღაც. ეს არის ჩვევის ატმოსფერული სვეტის გაუქმების და რისკის, ან როგორც პრუსტი იტყოდა, Engagment-ის, ანგაჟირების არავერბალური ცოცხალი ფესვის აღდგენის მცდელობა. მაშინ გაიგებ იმას, რისი გაგებაც სხვა გზით შეუძლებელია (ვამბობდით, რომ არსებობს რაღაც, რისი ცოდნაც შეუძლებელია). ზნეობრივი სახე არის ის, რომელიც რაღაცას სახედ აქცევს, ანუ საკუთარი შიშის და რისკის ფასად ატარებს ცდას. თვითონ. და ამ უსასრულო ფასეულობის გამოცდილებას სხვა სიტყვებით ვუწოდე „ის, რისი ცოდნაც შეუძლებელია“.

მერაბ მამარდაშვილის „ფრანგული არქივიდან“

(ლექციები, მოხსენებები, ინტერვიუები)

„აზროვნებისა და ენის განსაბჭოება“ [1]

„იცხოვრო დროის შესაბამისად“

როგორც საბჭოთა ადამიანთა მთელი ერთობლიობა, ჩვენც იმდენ ხანს ვთვლემდით, ისე გავიყინეთ, რომ დღეს ხელახლა უნდა ვისწავლოთ სიცოცხლის გარჩევა სიკვდილისაგან, ოცნებისა – რეალობისაგან. ქართველებმა უნდა იმუშაონ საკუთარ თავზე, განდევნონ უვიცობა და ისტორიული წყვდიადი მათ ზნეში, საქმიანობაში, ცოდნაში რომ დაგროვდა. საბჭოურად დაპატარავებულებმა, ენერგიადაშრეტილებმა დავკარგეთ პოლიტიკის შეგრძნების უნარი, აღარ ვიცით, როგორ ვიცხოვროთ რთულ საზოგადოებაში.

სამოქალაქო საზოგადოება იქმნება კერძო პირთა ავტონომიურობის საფუძველზე, ავტონომიურობისა – ამ სიტყვის ონტოლოგიური მნიშვნელობით. საბჭოთა კავშირის სინამდვილეში ჩამოყალიბდა გამჭვირვალობის ისეთი მეტაფიზიკური გრძნობა, რომ კერძო პირთათვის დამახასიათებელი ხელშეუხებელი სიღრმე, ეს უკუმშვადი სიღრმე, რომელიც ჩემშია, რომელიც არსებობს „მე-სა“ და „ჩემს“ შორის და რჩება მარად შეუვალი, დაინგრა სამოქალაქო საზოგადოების ნგრევასთან ერთად. ნივთთა ფანტომურობა და ადამიანთა ფანტომური, ზომბის ხასიათი ცხოვრების წესად იქცა. რაციონალური კრიტიკით ამის დანგრევა შეუძლებელია. ცხოვრების ასეთი ფორმა ისევე, როგორც ნიებისმიერი პათოსი, დაყოფას არ ექვემდებარება; ზემოქმედება უშედეგოა. საჭიროა, შეიქმნას ერთი „გვერდითი“ ცენტრი, ფიზიკურ ძალთა მიზიდულობის სხვა ცენტრი, საითკენაც უნდა იქნეს მობილიზებული მთელი საზოგადოება. საქართველოში და სხვაგანაც ვერ დააფუძნებენ სამართლებრივ სახელმწიფოს, თუ საკუთარ თავს არ გამოცდიან, თუნდაც ეს გამოცდა გადიოდეს სიძულვილზე საკუთარი თავის მიმართ. საჭიროა, საკუთარი თავის წინაშე აღმართო ღირსებისა და პატივის იდეალი და გეყოს ვაჟკა-

[1] L'Autre Journal, 1990, Juillet/Août, №3.

ცობა, გაიარო საკუთარი თავის მიმართ უკიდურესი სიძულვილის გზაზე. აი, ისტორიული აუცილებლობა მილიონობით ადამიანისათვის. თუ პიროვნებებს არ შესწევთ უნარი, წინ სარკე დაიდგან და საკუთარ ანარეკლს გულის არევამდე უყურონ, საკუთარ თავში ვერ აღმოაჩენენ აუცილებელ შინაგან ძალას რაიმე ცვლილებისათვის; კვლავ გააგრძელებენ ცხოვრებას ლანდების სამყაროში, რომელიც სისხლით საზრდოობს. საკუთარი თავისა და წარსულის მკაცრი გამოცდის დრო ჯერ არ დამდგარა, ჯერ ისევ სურთ ურთიერთობის განახლება რუსულ აზროვნებასთან, მართლმადიდებელ ქრისტიანობასთან, მაგრამ რუსულმა აზროვნებამაც და მართლმადიდებელმა ქრისტიანობამაც ჩვენ უფსკრულში გადაგვჩეხა. კვლავ აგრძელებენ პატივმოყვარეობის მაამებელი ხატების შექმნას: ოჰ! რა კარგად ვიყავით, კულტურაც გვქონდა, სოფელიც ყვაოდა!.. მაგრამ თავად გლეხობის ნაწილმა მოსპო ნამდვილი გლეხები. ვიდრე ამ ყალბ ნუგეშისცემას გააგრძელებენ, დაუსრულებლად იტრიალებენ წრეში, როგორც დანტეს გმირები – ჯოჯოხეთში.

დღეს თბილისში მეტისმეტად აღგზნებული ადამიანები ჩანან მანიფესტაციებზე, დამოუკიდებლობის საკითხზე გაღიზიანებით რომ ლაპარაკობენ. ზოგი მიელტვის სიმბოლოებს, ლოზუნგებს და არ ფიქრობს, რომ ყველაფრის მოპოვებას სწავლა სჭირდება. ჩვენში არსებობს საფრთხე, რომ ეროვნულმა მოძრაობებმა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების გამოღვიძების ერთ-ერთმა ფორმამ, ჩვენი ხალხი ჩაძიროს განუვითარებელი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მორევში და ხელახლა დაუბრუნოს მას მიწისა და სისხლის მძაფრი ვნებები, რომლებიც წარმოქმნიან ყველაზე ულმობელ მხეცს ადამიანურ მხეცთაგან. ქართველი ახალგაზრდობა, ყოველ შემთხვევაში, ერთი ნაწილი მაინც, ორ ცეცხლს შუაა – ერთი მხრივ, ისინი სწავლისაკენ ისწრაფვიან, რეფლექსიისთვის დროს ელიან, მაგრამ, მეორე მხრივ, ვეღარ იტანენ მოზრდილებს, უარს ამბობენ მათ საღ აზრზე; ახალგაზრდობას ეს აზრები არ მიაჩნია არც ვაჟკაცურად, არც ჰეროიკულად – ისინი ხომ რაინდობის იდეალებით არიან შეპყრობილნი და ჰგონიათ, რომ ისტორიას მხოლოდ ლეგენდები ქმნიან. ასეთ დროს არავის ძალუძს მათი დახმარება, არც რაიმეს გაკეთება მათ მაგივრად. ამგვარი დახმარების ილუზიიდან გამოსვლა კი აუცილებელია, რადგან მას ტოტალიტარული შედეგები მოჰყვება. რა არის ტოტალიტარიზმი თუ არა პატერნალიზმი?!

დახმარება ჩვენი არსების ნაწილია

ჩვენ გვეხმარებიან, დახმარება ჩვენი არსებობის ნაწილია. ჩვენ ხომ არასოდეს გვიგემია „განმანათლებლობა“, რეალური ძალა საკუთარი აზროვნებით აზროვნებისა, როცა ფლობ შინაგან უნარს, თავად გაერკვე და გაუძღვე საკუთარ თავს ჩირაღდანის, ან იმ ხელების გარეშე, რომლებსაც დავეყრდნობოდით.

XVI საუკუნიდან მოყოლებული, ფრანგებს შესწევთ გახსნილი ცხოვრების უნარი, ისინი გამბედავი, მოქმედი და ძლიერი ადამიანები არიან. გერმანელებს კი ამ ტიპის ცხოვრება ძალზე გვიან დაუდგათ. ყველა დაგვიანებული მოვლენა საშიშია. დიდი ხნის განმავლობაში გერმანელებმა იცხოვრეს ინტენსიური ცხოვრების მოთხოვნილების დაუკმაყოფილებელი გრძნობით. სწორედ ამიტომ წარმოიშვა ფაშიზმი, რომელიც გერმანელებს ჰპირდებოდა დიად, სისხლსავსე ცოდნასა და გამოცდილებას. საქართველოში და, საზოგადოდ, რუსეთშიც, იგივე დრამა გათამაშდა, განსაკუთრებით – ახალგაზრდობისათვის. ამ უკანასკნელთ როგორც კი უჩნდებათ კითხვა, თუ სად ცხოვრობენ, რას აკეთებენ, ამჩნევენ, რომ მათ ირგვლივ ფეხზე მდგომი გვამების უღრანია, სული ეხუთებათ იმ ადამიანებისაგან, რომლებიც, თითქოს, ცოცხლობენ, მაგრამ მკვდრები არიან – სიცრუით, ფანტომებით, ჩაგვრა-შევიწროებით, უაზრობითა და უვიცობით.

ჩემთვის თავისუფლება არის შემდეგი: ადამიანმა უნდა მოიპოვოს თავისი შინაგანი თავისუფლება საკუთარ თავთან და ადამიანთა საზოგადოებასთან ბრძოლაში. ამას მე ვხედავ დეკარტთან და პრუსტთან, რომლებიც უფრო მეტს მასწავლიან, ვიდრე მონობის მწარე თუ ნაღვლიანი მხილებაა. აი, ამიტომ არის ფილოსოფიის სწავლება ჩემთვის ის იშვიათი შესაძლებლობა, რომ მივაღწიო იმას, რასაც ამბობს მონტენი: „ყველაზე უმაღლესი – ეს არის იცხოვრო დროის შესაბამისად“. ადამიანები არსებობას ფიზიკური დაწოლით აღიქვამენ, რეაგირებენ სწორედ იმ ბიძგებზე, თავად არსებობის რისკით რომ არის გამოწვეული. როდესაც შენ რაიმეს წერ, შეგიძლია დაუბრუნდე ამ სამუშაოს, მოსაფიქრებელი დრო მისცე საკუთარ თავს, დროის კვალდაკვალ იმუშაო. მაგრამ ლაპარაკის დროს ეს გამორიცხულია; შენ ამ დროს მოქმედებ, არ შეგიძლია, ხელახლა დაიბრუნო, რამე შეცვალო ამ მომენტში; შენ უნდა ძალ-ღონე მოიკრიბო და ეს მოცემული წამი დაიჭირო. სწორედ ამიტომ, პეგი წერდა დეკარტზე: ის იყო რაინდი, რომელიც ქვეყნად მტკიცე ნაბიჯით დადიოდა.

საჭიროა, მიაღწიოთ სწავლებას სწავლების გარეშე, უშუალოდ

ლექციის დროს ფიზიკურად არ შემიძლია ტექსტის წაკითხვა, ენა მებმის, ვიბნევი, თავს ვგრძნობ სრულ იდიოტად. თქვენ იცით, რომ ერთ მშვენიერ დღეს, პლატონმა მიატოვა ტირანი, რომელიც ჩემულობდა მის მოწაფეობას და ავრცელებდა მის მოძღვრებას. პლატონს – ისევე როგორც დეკარტს ან კანტს – ამ ჭეშმარიტ მებრძოლ მოაზროვნეს, ახასიათებდა საოცარი ვაჟკაცობა, სხვათა წინაშე ემხილებინა საკუთარი თავი, დაენებებინა თავისი პირადი არსებობა სხვისი განსჯისათვის ისე, რომ თავი არ დაეცვა.

პლატონი ეუბნება ტირანს: არავინ შეიძლება იყოს ჩემი მოწაფე, რადგან მე არასდროს არაფერი დამიწერია, არც ვინმესთვის მისწავლებია რაიმე.

აი, უდავო ამოცანა! პლატონმა ხომ ბევრი რამ დაწერა, მაგრამ დახეთ, – არავის შეუძლია იქონიოს პრეტენზია, რომ იგი მისი მოწაფეა, მაშინაც კი, თუ პლატონი მას ასწავლის. საჭიროა, ვასწავლოთ სწავლების გარეშე, შიშვლად, უბრალოდ და უშუალოდ.

დეკარტი და რასტინიაკი

მეტყველებისეულ ცდაში უნდა გავბედოთ არავერბალური არსებობა, უშუალოდ და უბრალოდ – სიტყვის გარეშე. თუ ფლობთ მხოლოდ ლოგიკურ კონსტრუქციებს გარკვეული ნაპერწკლის გარეშე, შესაძლებელია ნებისმიერი რამის მტკიცება. მაგრამ რა გამბედაობაა საჭირო, გჯეროდეთ ამ პატარა, ცთომილი ნაპერწკლისა, – რაც, თითქოს, არც არაფერია – რათა ისაუბროთ რაიმე ნიღბის გარეშე, ისე, რომ ბრძენთა აზრები მოწიწებით არ წარმოაჩინოთ და გაიმეოროთ. ყოველთვის შეიძლება დარბაისლური, შთამბეჭდავი ხმით ცოდნის სხაპა-სხუპით, გზნებით დეკლამირება, როგორც ამას კარგი მოწაფე აკეთებს; შეიძლება სხვისი აზრების, მოძღვრებისა და ტრადიციის პატივისცემის გამოხატვა. მაგრამ განა ფილოსოფია მხოლოდ კარგი მოწაფეების შექმნას ემსახურება? ის, რაც მე მიზიდავს ფრანგული აზრის ისტორიაში, ეს გახლავთ მოაზროვნეთა დიდი რაოდენობა, რომელთაც გაბედეს საკუთარი ნაჭუჭის გამომსხვრევა და გამოსვლა და შეიცნეს სიცოცხლის საფრთხე. მათ გაბედეს, ესწავლათ უმალ სამყაროს წიგნიდან, ვიდრე ელაპარაკათ იმ

წიგნების მიხედვით, რომლებიც მათ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ. იცით, როდესაც მე ვკითხულობ ლექციებს რუსეთში ან საქართველოში დეკარტის მედიტაციების შესახებ, ყოველთვის ვიმოწმებ რასტინიაკს, რომელმაც, როცა დაინახა ბორცვიდან პარიზი, წამოიძახა: „ან მე, ან – შენ, პარიზო!“ აქ მნიშვნელოვანია არა პირადი ამბიცია, არამედ „მე“-ს გაბედული, არავერბალური სიცხადე.

მე მონაწილეობა მივიღე საქართველოს სახალხო ფრონტის შექმნაში, ვარ აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, თუმცა, არ ვმონაწილეობ მის ყოველდღიურ საქმიანობაში. ფილოსოფია გამორიცხავს პოლიტიკურ ხმაურს, მას ესაჭიროება მარტოობა და სიჩუმე – აი, რა აუცილებლობა მკარნახობს ჩემი ვალდებულებისა თუ სამსახურის საზღვრებს. საჭიროა, რომ ფილოსოფია თავის თავთან კონფრონტაციაში იყოს მარადიულად განახლებადი. პასკალი ამბობდა, რომ სიყვარულს ასაკი არა აქვს და არსებობს მუდმივად წარმოშობის მდგომარეობაში. ფილოსოფიას შესწევს უნარი, გამოთქვას ისეთი ჭეშმარიტება, რომელიც ეწინააღმდეგება ყოფით მეტყველებას. მეტყველება სასრულია, მაგრამ, რადგან კაცობრიობის თვითქმნადობაში არის ისეთი განზომილება, რასაც მე ვუწოდებ უსასრულობას და უხილავს, ეს უნდა იქნეს განმარტებული. როგორ გადმოვცეთ სასრული სიტყვებით უსასრულობა? სწორედ ეს არის ფილოსოფიის უნარი: გამოიყენოს სიტყვები იმგვარად, რომ წარმოაჩინოს გარდუვალი სასრულობები. თუ თქვენ გესმით, რომ სიყვარულს არა აქვს ასაკი, თქვენ ფილოსოფოსობთ და ეხებით სულის სიჯანსაღეს – ეს აქტი აუცილებელია; სხვაგვარად – კისერს მოიტეხთ, გადაგვარდებით, დაიბნევით, შეიცნობთ ფარულ სიკვდილს და, მაშასადამე, არ შეგეძლებათ ერთად ცხოვრება, ე. ი. საზოგადოება არ იარსებებს. უფრო ნათლად და უფრო შორს ხედვას აღწევენ მას შემდეგ, რაც სიტყვების წიაღში, სიტყვების შუაგულში გადალახავენ იმ წერტილს, რომლის იქითაც ხდება სიტყვის პოვნა, გამოგონება. ფილოსოფია გაქვავებულსა და უძრავს გარდაქმნის დინებად, მოძრაობად, რათა იგი დაუბრუნოს თავისივე გაუხევებელ მდგომარეობას. კავკასიონზე სიკვდილმისჯილი პრომეთე არის ფილოსოფიის სიმბოლო, პირველი ფილოსოფოსი; იგი ცნობიერების მგზნებარე მდგომარეობაა, რომელიც შეუძლებელია, დაიჭიროთ ან ჩაიდოთ ჯიბეში, ელვარებაა, რომელიც ხელებს გიდაღავს; იგი აგიზგიზებული ყოფიერებაა!

არაფერი დიდი არ იბადება არქივებიდან

ფილოსოფოსად ჩემი ჩამოყალიბების დროს რუსული აზროვნება უკვე აღარ არსებობდა და მრავალი ჩემი თანამედროვის მსგავსად მეც აღმოვჩნდი წარსულის უწყვეტი გაგრძელების, თუნდაც ფარულის, მიღმა. 1917 წელს რუსეთმა განიცადა დიდი ანთროპოლოგიური კატარსტროფა. დაიმსხვრა შინაგანი მიმართება წარსული დროის მოაზროვნეებთან. ორმა დიდმა პოეტმა, მანდელშტამმა და პასტერნაკმა – ეს ისეთი სახით გამოხატეს, რომ დამეხმარნენ, მეცხოვრა ამ უბედურებაში. განგებამ დამიცვა იმ დროს, როდესაც სიცოცხლე საშიში იყო, იმდენად საშიში, რომ სიფრთხილეს აზრი არ ჰქონდა. საუკეთესო გზა იყო, ყოფილიყავი უგუნური, რათა ნორმალურად დარჩენილიყავი, გეცინა, გყვარებოდა, რაღაც გაგეგო. იმისათვის რომ გეარსება, საჭირო იყო განდობოდი, გული გაგეხსნა სხვებისათვის, თუნდაც ისინი დამსმენები ყოფილიყვნენ.

მანდელშტამი და პასტერნაკი ამბობდნენ, რომ, თუ რაღაც დიდი უნდა დაიბადოს, მას აღმოაჩენენ არა არქივებში, არამედ იმ ადამიანებში, ჩვენს ირგვლივ რომ არიან. მანდელშტამი წერდა: „სწორედ წითელი არმიის ამ ჯარისკაცებიდან, რომელთაც მე მივყავარ, ამ უბირი, გულქვა და მონურად მორჩილი ჯარისკაცებიდან, რომლებიც მე მიკრძალავენ პუშკინის კითხვას, შეიძლება იშვას რაღაც დიდი რამ. ყოველ შემთხვევაში, უმალ მათგან, ვიდრე პუშკინისაგან, რადგან ძაფები, რომლებიც დიდ პოეტს გვაკავშირებდა, ამიერიდან გაწყვეტილია“.

დღეს ვხედავთ, თუ რაოდენ მართალი იყო იგი: ცენზურა მოხსნეს და ბევრს ჰგონია, რომ გადაილახა 1917 წლის კატასტროფა, რომ შეიძლება განახლდეს კავშირი, მაგალითად, ბერდიაევთან; ეს ყველაფერი უპრობლემოდ მოხდეს და თავს საერთოდ არ დაუსვან კითხვა – რატომ დასრულდა ყველაფერი ასე ცუდად. დღეს, ენისა და მეტყველების სოვიეტიზაციის შემდეგ, ჩვენ გვესაჭიროება, ხელახლა ვიპოვოთ თიოეული სიტყვის მნიშვნელობა. კვლავ მანდელშტამს მოვიხმობ – იგი განმარტავს ჩაადაევის ერთ-ერთ ფრაზას, რომელშიც ნათქვამია: რუსეთი ისტორიის მიღმაა, მაგრამ არსებობს ენა, დიდი რუსული ენა. ის, თითქოს, წინასწარ გრძნობდა საფრთხეს. მანდელშტამი დასძენს: „თუ ამას დაივიწყებენ, თუ ენის ისტორიულობა შეილახება, ნიჰილიზმის უფსკრულში ჩაიძირებიან“.

ამრიგად, დღეს ძალზე ძნელია გადმოსცე ყველა ტექსტი, რის გაცნობასაც ჩვენ გვიკრძალავდა ცენზურა. ეს იყო კატასტროფის შედეგი. ეს არ არის ცოდნისა თუ ნიჭის საკითხი, არამედ ეს სივრცის კანონია — სამყაროები შორდებიან ერთმანეთს, საგნები იცვლებიან და ძაფი, რომელიც ჩვენ გვაკავშირებდა ამ თხზულებებთან, საბოლოოდ გაწყვეტილია. ამჟამად ამ ტექსტებს არაფრის თქმა არ ძალუძთ ჩვენთვის.

არ მოკვდე სიკვდილამდე

როდესაც დასავლეთში ჩამოვდივარ, ვამჩნევ, რომ ყველაფერი, რაც მე მაწუხებს, ეს არის ის, რაც აწუხებს სიცოცხლეს. ისეც ხდება, რომ კვდებიან სიკვდილამდე. ვინც საკუთარ სულს უფრთხილდება, მას მაინც დაკარგავს და ვინც მას გაიღებს, შემდეგ მოიპოვებს. ჩვენში ისეთი მდგომარეობაა, გეგონებათ, ცოცხალი ადამიანები ქმნიდნენ შენობის წყობას. მსგავსი მიდის მსგავსთან და სიცოცხლე — სიცოცხლესთან. მაგალითად, ვინმე სახაროვისათვის არსებითი არის აზრის ამბოხი ისეთი საზოგადოების წინააღმდეგ, სადაც ადგილი არ არის აზროვნებისათვის; სადაც აზროვნებისა და პატიოსნების, ღირსების სანაცვლოდ, ცხოვრების წესად უგუნურება დადგენილა. ჩვენს სახელმწიფოს სჭირდება მეცნიერები, რომლებიც ფუტკრებივით თავიანთი პატარა საქმით იქნებიან დაკავებული და მეცნიერს სჭირდება დიდი სიმამაცე, რათა გახდეს მოაზროვნე.

ევროპული პასუხისმგებლობა[1]

თავდაპირველად, გთხოვთ, მომიტევოთ უცილობელი ენობრივი შეცდომები (ფრანგული ენა არ გახლავთ ჩემი მშობლიური ენა) და, ასევე, ის გარემოებაც, რომ ფსიქიკურად უნარი არ შემწევს, წინასწარ დაწერილი ტექსტი წავიკითხო; მე ვამჯობინებ, რომ ვმუშაობდე თვით ლაპარაკის დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ ტურენის გამოსვლის შემდეგ მინდოდა რუსულად მელაპარაკა (რუსული ენა კი ჩემთვის, ქართველისათვის, ესპანურია); მე მაინც „ჩვენ ესპანურს" ვარჩიე ფრანგული ენა – მაშ ასე, ვილაპარაკებ ფრანგულად.

მინდა ცოტა რამ ვთქვა, კონცეპტებზე, რომლებიც ჩემში ჩამოყალიბდა ჩემი, ანუ იმ კაცის, ახალგაზრდული, პირადი გამოცდილების საფუძველზე, რომელიც არა ევროპაში, არამედ სხვაგან იღვიძებდა – ერთ პროვინციულ ქვეყანაში, სადაც იგი აცნობიერებდა საკუთარ თავს, თავის ქვეყანასა და კულტურას. ამ გამოცდილებისა და ჭკუის სწავლების მიმზიდველობა გახლდათ ის, რომ ჩემ წინაშე იყო პრივილეგია, – დაკვირვებისა და აწონ-დაწონის უმაღლესი წერტილი, საიდანაც მოვლენებს ვაკვირდებოდი. ამგვარი მოვლენები ევროპელმა, შესაძლოა, ვერ დაინახოს. თქვენთვის, ევროპელებისათვის, მრავალი რამაა ისეთი, რაც თავისთავად ხდება, რაც თითქმის ბუნებრივია; იშვიათად უწევენ ანგარიშს საკუთარი არსებობის საფუძველს, მძაფრად არ აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ ადამიანი არის დროში შეჩერებული, დროში დაკიდებული ძალისხმევა, მუდმივი, შეუნელებელი მცდელობა ადამიანად გახდომისა. ადამიანი – ეს არ არის ბუნებრივი მდგომარეობა, ეს არ არის ბუნების მდგომარეობა; ეს ისეთი მდგომარეობაა, რომელიც განუწყვეტლივ იქმნება.

სწორედ ჩემმა პირადმა გამოცდილებამ აღმაგზნო და ჩამომაყალიბა სამარადჟამოდ; ვიმედოვნებ, რომ ეს იყო ფილოსოფია, როგორც თეორია უწყვეტი შემოქმედებისა, ქმნადობისა. ეს იყო ჭეშმარიტად კარტე-

[1] მოხსენება წაკითხულია ბარსელონაში 1989 წელს.

ზიული ფილოსოფია და მე ვაღიარებ, – მართლაც, ეს არის ფრანგული კულტურა ან ფილოსოფია, რომელთაც მე შემქმნეს მენტალურად. ჩემი აზრის გადმოსაცემად მე გამოვიყენებ იმ განსაზღვრებას, რითაც პასკალი განსაზღვრავს სიყვარულს. ერთხელ მან თქვა, რომ სიყვარულს საერთოდ არ აქვს ასაკი, იგი ყოველთვის *დაბადების* მდგომარეობაშია. იგივე შეიძლება ითქვას ევროპულ იდენტობაზე, – მას საერთოდ არ გააჩნია ასაკი, იგი მუდამ *დაბადების* მდგომარეობაშია.

სწორედ ეს არის ევროპის პასუხისმგებლობა, ევროპული პასუხისმგებლობა საკუთარი თავის წინაშე. ამ აზრით, მე განვიცდიდი რაღაცის უკმარისობის გრძნობას, რაც მე მიმაჩნდა არსებითად ცვლილებათა თუ ევოლუციის პროცესში, და ეს უკმარობა კარგად მიჩვენებდა ჩემი მოთხოვნილებების ბუნებას, მიბიძგებდა, უფრო მეტად გამეცნობიერებინა ეს ბუნება, ვიდრე – ევროპელს, რომელიც ბუნებრივ მდგომარეობად იღებს ევროპულ მდგომარეობას. ე. ი. უკმარობის წყალობით, შესაძლოა, ჩვენ უკეთ ვიგებთ – და სწორედ ამიტომ ჩემი დაკვირვების, აწონ-დაწონის ამოსავალ წერტილს განვსაზღვრავ როგორც პრივილეგირებულ წერტილს, – ევროპული საზოგადოების არსსა და კულტურის ბუნებას.

ჩემთვის კულტურა, როგორც ასეთი, ეს არის შესაძლებლობა ან უნარი, ცხოვრებაში განახორციელო სირთულე და მრავალფეროვნება. მე განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ სიტყვას – „განხორციელება“. კულტურა არ არის „ცოდნა“; კულტურული არიან მაშინ, როდესაც აქვთ ნიჭი პრაქტიკულად განახორციელონ სირთულე და სხვადასხვაობა ცოდნის გარეშე, ყველაფრის ცოდნის გარეშე და (რეალობასა და ქმედებასთან მიმართებაში) ერთი იდეის ან ერთი აბსტრაქტული კონცეპტის გამოყენების შესაძლებლობის გარეშე.

რენესანსიდან მოყოლებული, ჩვენ შეუქცევადად თანამედროვენი, ახალი დროის წარმომადგენლები ვართ. კარგად უნდა გავითვალისწინოთ, რისი აღორძინება ან ხელახლა დაბადება ხდებოდა რენესანსის დროს. რისი რენესანსი იყო ეს? ჩემთვის რენესანსი არის ჩვენი მოდერნულობის საფუძველი, თვით მისი უწყვეტობა, და შედგება სწორედ რენესანსის დროის ხელახლა დაბადებული შეუქცევადი ორი ელემენტისაგან.

პირველი ელემენტი ბერძნულ-რომაული სამყაროა, – სოციალური ან სამოქალაქო იდეა, ე. ი. სოციალური ფორმა, კონკრეტული საზოგადოება – შეიძლება განხორციელდეს რეალურად მიწაზე რა-

ღაც უსასრულო იდეალის სახით. სასრული ფორმა შეიძლება იყოს *მატარებელი* უსასრულობისა. ამას გამოხატავს რომაული, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმის საფუძველი. ამ აზრით, მე შემიძლია ჩემი ქვეყანა აღვიქვა, როგორც პოსტკოლონიური (აქ გამოიყენეს ეს სიტყვა). მე ვიცოდი, რომ ქვეყანა, სადაც მე დავიბადე, არის ექს-იმპერიის მოხეტიალე პარადოქსი და, იმავდროულად, პოსტკოლონიური იმ აზრით, რომ ჩემი ქვეყანა არასოდეს ყოფილა რომაული ოიკუმენის ნაწილი.

მეორე ელემენტი არის სახარება; იგი ადამიანში არის როგორც იდეა, ის, რასაც ეწოდება შინაგანი *ხმა* ან *სიტყვა*. ადამიანისათვის საკმარისია, კარგად გაიგონოს ამ სიტყვის ხმა და გაჰყვეს მას, რომ იგრძნოს, ღმერთი როგორ ეხმარება გზაში. საჭიროა პრაქტიკული მხარდაჭერის, რაიმე გარანტიის გარეშე სიარული, სვლა მხოლოდ შინაგანი ხმის კვალდაკვალ. ასე ვლინდება ადამიანი როგორც სიმშვიდის დამრღვევი ელემენტი, როგორც მოქმედი ელემენტი, როგორც ელემენტი, რომელიც ქმნის ისტორიას.

ჩემთვის ევროპა არის ის სამყარო, სადაც კარგად ხედავენ, რომ სიცოცხლის საშუალება, ადამიანის არსებობის იარაღი არის ისტორია. მაშასადამე, რენესანსი ჩემთვის არის ისტორია, როგორც *სიცოცხლის იარაღი*. ეს შეიძლება აღორძინდეს და ამის საფუძველზე შეიქმნას სამოქალაქო საზოგადოება, – ორგანიზაცია შემდგარი იმ განსხვავებული ელემენტებისაგან, რომლებიც ხელს უწყობენ მისი, როგორც ერთიანის, მთლიანის ფუნქციონირებას. ჩვენ, ვისაც არ გაგვაჩნია არსებობის ისეთივე განვითარებული სხეული, არ გვახასიათებს ისეთივე სირთულე და სტრუქტურული აღნაგობა სამოქალაქო საზოგადოებისა, მაინც ძალზე კარგად გვესმის, რომ ზუსტად ეს არის ის, რაც უნდა გვქონდეს. მაგრამ, შესაძლოა, ეს გვქონდეს მხოლოდ ისტორიული ფორმით, ე. ი. დავიწყოთ ძალისხმევის შეჩერება ან შენარჩუნება. დაველოდოთ, რომ მოვლენები წარმოიშობიან სივრცეში, რომელიც შეზღუდულია თავად ამ ძალისხმევით.

მაგრამ, ასევე, არსებობს უძლურება ან დავიწყება ამ დასაბამისა. არ შეგიძლია, ამ ძალისხმევას დაუჭირო მხარი და სწორედ ეს არის ევროპული საფრთხე; ე. ი. ევროპული საშიშროება ეს არის უძლურება უნარისა – მხარი დაუჭიროს ძალისხმევას, რათა ყოველ წუთს ხელახლა ააღორძინოს საკუთარი არსებობის საფუძვლები ან შეაჩეროს იგი გარანტიისა და იერარქიის გარეშე.

ამასთანავე, მე ვლაპარაკობდი სახარებისეულ ელემენტზე და მსურდა საუბარი იმ სხვაობაზე, რაც დამახასიათებელია ევროპული კულტურისათვის; მკაფიო სხვაობაზე – შინაგან პრინციპზე, მთავარ რწმენაზე თითოეულში, რასაც უწოდებენ „მეტყველების ძალას“. ეს არის სხვაობა მეტყველების ძალასა და გარეგან კანონს შორის. მაშ ასე, ამ აზრით, ჩემთვის ევროპული კულტურა არის ანტიმორალის მქადაგებელი და იმის წინააღმდეგი, ვინც აბსოლუტურად პატივს სცემს რელიგიურ კანონს. ენის, მეტყველების უფლებამოსილება, რომელიც გამომდინარეობს შინაგანი პრინციპიდან, არის ყველაზე არსებითი რამ, რაც მართავს ადამიანის ძალისხმევასა და ბრძოლას. ჩემთვის ევროპული კულტურა არის პირველი და, შესაძლოა, ბოლო პასუხი მნიშვნელოვან კითხვაზე – შესაძლებელია თუ არა ცვლილება მსოფლიოში, შესაძლებელია თუ არა, რომ ბორკილდადებულ მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა, წარმოდგენილმა და ჩამოყალიბებულმა ბორკილებით, შეძლოს, ამოვიდეს ამგვარი მდგომარეობიდან, განვითარდეს, ამაღლდეს და კონკრეტულ, არასრულყოფილ ფორმებში განახორციელოს უსასრულობა, – ადამიანის იდეალი.

ადამიანი ის ქმნილებაა, რომელიც მუდამ საკუთარი თავის შექმნის მდგომარეობაშია და მთელი ისტორია ეს არის ადამიანად გახდომის მცდელობის ისტორია. ადამიანი არ არსებობს, იგი იქმნება. ამით მე მსურს ვთქვა, რომ თქვენ, – დასავლეთის ადამიანები, და ჩვენ, – აღმოსავლეთის ადამიანები, ერთსა და იმავე ისტორიულ მომენტებში ვარსებობთ (ისტორიული მომენტები არ ემთხვევა ქრონოლოგიური მომენტების თანმიმდევრობას). ჩემთვის ხდება რაღაც იმავე ბუნებისა, რასაც აზრობრივად წარმომადგენინებს პირველი მსოფლიო ომი, რასაც თვალწინ მიყენებს მეორე მსოფლიო ომი – ჩვენ ვცხოვრობთ იმავე ზღვარზე, რაზედაც ეს კატასტროფები წარმოიშვა.

არის რაღაც, რაც ხდება ევროპული კულტურის, როგორც მადნის ძარღვებში, ის ახლა ხდება და ჩვენ ვდგებით იმავე საფრთხისა და იმავე პასუხისმგებლობის წინაშე. როგორ განვსაზღვრო ეს პასუხისმგებლობა კიდევ სხვა მნიშვნელობით? პასუხი ამ კითხვაზე მრავალჯერ გაიცა, – ეს არის მოდერნული, თანამედროვე ბარბაროსობა – აი, რა არის საფრთხე! ბარბაროსს არ აქვს ადამიანის ენა, მეტყველება (სწორედ ეს გახლავთ ბარბაროსის ბერძნული განსაზღვრება), ე. ი. ეს არის ვინმე ისეთი, ვისაც არ აქვს ენა. სრულიად ცხადია, რომ ბერძენთა ირგვლივ მოსახლე სპარსელებს და სხვა ხალხებსაც ჰქონ-

დათ ენა, მაგრამ სიტყვაში „ენა“ ბერძნები გულისხმობდნენ სივრცეში ყველაფერი იმის გამოთქმას, რასაც ადამიანები განიცდიან, რაც სურთ და რასაც ფიქრობენ, აგრეთვე, გულისხმობდნენ ენის გამოყენებას სახალხო აგორაზე. მათი აზრით ეს იყო ენა, მეტყველება.

მაშ, როგორ შეგვიძლია „ვაღიარებდეთ“ იმ ფაქტს, რომ ადამიანი არსებობს შიშველი და მარტო სიტყვის წინაშე, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ არის ადამიანი, როდესაც არსებობს სივრცე ცოცხალი აგორისა, – სავსე სამეტყველო არტიკულაციით, როცა უძლური ინდივიდი მიმართავს განსჯა-მედიტაციას ადამიანური სირთულის მისაღწევად, რაც მას საშუალებას აძლევს ჩამოაყალიბოს თავისი წინარე აზრები, ნებას რთავს იფიქროს ის, რასაც ფიქრობს? ადამიანის ძირითადი თვისება არის ის, რომ თავისი თავი განახორციელოს, შვას ის, რაც დაბადების, წარმოქმნის მდგომარეობაშია და ეს, – მე თქვენ გარწმუნებთ, თუმცა ვიცი, რომ თქვენ ეს კარგად იცით, – ძალზე ძნელია. ყველაზე ხშირ შემთხვევაში ისტორია არის სასაფლაო ჩანასახშივე მკვდარი დაბადებისა, თავისუფლების უნიათო ნდომისა, აზროვნების დუნე სურვილისა, სიკვდილის, ღირსების, პატივის წადილისა, ისტორია არის სასაფლაო იმისა, რაც დარჩა არშობილ სულთა ენაში.

მაშ ასე, ამგვარ ექსპერიმენტს რაღაცის არდაბადებისა, მე ბოლომდე განვიცდიდი, როგორც ჩემს პირად გამოცდას; ამით მე მივხვდი, რომ ადამიანის მისწრაფება ესაა საკუთარი თავის რეალიზება. მაგრამ საკუთარი თავის რეალიზება ხდება მხოლოდ სამეტყველო სივრცით, არტიკულირებული სივრცით და ეს რეალიზება არის ჩვენი ამოცანა, საქმე (საკმაო დაგვიანებით რომ მოგვიწია) და მისი შესრულება. აქვე მე გამოვიყენებდი პოლ ვალერის სიტყვებს: მთლიანი ადამიანი არ არის ადამიანში.

და სწორედ ეს იყო ჩემი იდეა; ადამიანის უდიდესი ნაწილი *მისი ადამიანობის მიღმაა* იმ სივრცეში, რომელზეც მე ვილაპარაკე და განვსაზღვრე, როგორც მეტყველების სივრცე. ნათქვამს დავამატებდი იმას, რომ ადამიანი არის მთლიანი ადამიანი. ამდენად, უნდა გქონდეთ მხნეობა და უნარი იმ ძალისხმევისა, რომლის სიმტკიცითა და ცხოველმყოფლობითაცაა დაღდასმული ევროპული აქტები, რათა ეს უკანასკნელი შეაჩეროთ და – დაიცადოთ: დაველოდოთ საკუთარ თავს იმავე ძალისხმევით.

კიდევ ვიმეორებ: ადამიანი არის მთლიანი ადამიანი. გმადლობთ.

აზროვნების სტატუსი და ინტელექტუალები[1]

ჩემი თემა გახლავთ „აზროვნების სტატუსი და ინტელექტუალები“. მსურს, წინასწარ გამცნოთ ორი ვარაუდი, რომლებიც არ ეხება ჩემი თემის შინაარსს. მე მათ ვაცხადებ ცოტა „არაოფიციალურად“. ვიმედოვნებ, რომ არ ჩამითვლიან ბოძებული დროის ფუჭ გამოყენებად იმას, რომ უნდა ვისაუბრო აზროვნების სტატუსზე ორი სისტემის კონფრონტაციისა და შედარების სავარაუდო, დასაშვებ ჩარჩოებში. მაშ ასე, ჩემი პირველი წინასწარდაშვება იქნება ის, რომ თავად ამ კონფრონტაციას არ შეიძლება ახასიათებდეს კონცეპტუალური მეტყველება, ანდა შეეძლოს ამგვარი მეტყველების აგება, – სწორედ ამას ვაცხადებ ჩემს წინასწარდაშვებად – პრესუპოზიციად, რადგან არ არსებობს ორი შესადარებელი ან დასაპირისპირებელი სისტემა.

კაპიტალისტური სისტემა არ არსებობს, სოციალისტური სისტემა არსებობს. კაპიტალისტური სისტემა არ არსებობს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომელიც ჩვენს წინაშეა: მოვლენა, რასაც ეწოდება კაპიტალიზმი, – რაც არის თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი სახე, – დაიბადა რენესანსის მწვერვალზე. მკაცრად დეფინირებული კაპიტალიზმის, როგორც მოვლენის, გვერდით არსებობს სხვა მოვლენებიც, სხვა ფორმები, სხვა ინსტიტუციური მოწყობანი, რომლებიც თავიდან კაპიტალიზმთან ერთად კი არ წარმოქმნილან, არამედ დროსა და სივრცეში კაპიტალიზმისაგან დამოუკიდებლად გაჩნდნენ. ეს უკანასკნელნი საზოგადოებრივ არსებობაში კაპიტალიზმის წყალობით შიგნიდან არ ჩანერგილან და ისინი არც კაპიტალიზმს „გადაუყლაპავს“ ან შეუცვლია.

თანამედროვე მოდერნულ საზოგადოებაში კაპიტალიზმთან გადახლართულია დღევანდელი სამოქალაქო საზოგადოების მრავალი

[1] წინა მოხსენების მსგავსად, ეს მოხსენებაც წაკითხულია ბარსელონაში 1989 წელს, ასევე, ფრანგულ ენაზე.

ელემენტი, მრავალი ფორმა, რომლებიც ასიმილირებას ახდენენ ან ცვლიან კაპიტალიზმს. ამ უკანასკნელმა ანგარიში უნდა გაუწიოს მოდერნული საზოგადოების სხვა ელემენტებსა და ფორმებს, რომლებიც არ არიან შეთვისებული კაპიტალიზმის მიერ.

სოციალისტური სისტემა არსებობს, იმიტომ რომ შეიძლება დანახვა ყველა სოციალური ელემენტისა, რომელთა არსებობაც კანონიერია სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც ყველა ფორმა შიგნიდან არის გაჟღენთილი სოციალისტური შინაარსით; ისინი თავიანთ კანონიერ არსებობას სოციალისტურ სინამდვილეში ხარჯავენ. სწორედ რუსეთის ისტორიული ამოცანა არის, კვლავ ააშენოს სამოქალაქო საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი ელემენტი იქნება სოციალიზმი.

მეორე წინასწარდაშვება – ხშირად სოციალიზმზე ან სოციალისტურ სისტემაზე ლაპარაკობენ იდეალურსა და რეალურს შორის მიმოქცევადი შედარებებით, შედარებისათვის გამოსადეგი სიტყვებით. ჩვეულებრივი სამეტყველო ენით ყოველთვის გამოითქმის, რომ რეალურად არ არსებობს სოციალიზმი, ე. ი. არ არსებობს სოციალიზმის იდეალი და სოციალისტური თეორია. აქ მე მინდა თქვენ გაგაცნოთ ერთი შენიშვნა ამ თვალსაზრისთან და ჩვენს ისტორიულ გამოცდილებასთან დაკავშირებით: რუსეთში ააშენეს, ზუსტად განახორციელეს ის, რისი განხორციელებაც უნდოდათ, შექმნეს ის, რაც რუსეთში თავიანთ თავს შესთავაზეს განსახორციელებლად – ე. ი. სოციალიზმი. სხვაგვარად – ჩნდება იდეოლოგია, სადაც ნათქვამია, რომ საჭიროა მარად გამეორება, თავიდან შექმნა სოციალისტური სიწმინდისა, რისთვისაც აუცილებელია რეალურად მოსალოდნელი სოციალიზმის დეფორმაციების მოშორება, მათი ლიკვიდაცია, ეს ცოტაოდენ ჰგავს სამხედრო თეორიას, რომელიც ძალაში იყო ნაპოლეონის დროს. ავსტრიელი და გერმანელი გენერლები ეყრდნობოდნენ თეორიას, რომელსაც თვლიდნენ სწორ, მართალ თეორიად, რისი უკუგდების, გაბათილების შესაძლებლობაც კი გამორიცხული იყო. მაგრამ, რაკი რეალობა არ დაემთხვა აღნიშნულ თეორიას, მათ წააგეს ბრძოლა. ჩვენი რეზიუმე სოციალიზმზე ან არასოციალიზმზე, ნამდვილ სოციალიზმზე ან მცდარ სოციალიზმზე გვახსენებს სწორედ ამ გერმანულ სამხედრო თეორიას.

ახლა ვუბრუნდები თავად თემას, ჩემი თემის არსს. რა არის ჩვენი პრობლემა? პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ახლა ცდილობენ, ეს

არის დიალოგის პრობლემა (ცხადია, თუ აქვთ გაცნობიერებული... თუმცა, ასეთი მოსაზრება არსებობს), ან სხვაგვარად – ეს არის პრობლემა, რასაც სახელმწიფო იწვევს. არადა, მიჩქმალვის და პრობლემის გაღრმავების ნაცვლად უნდა ხდებოდეს დიალოგი საზოგადოებასთან, დამოუკიდებელ სოციალურ ძალებთან, რომლებიც სახელმწიფოს მეშვეობით არ ეწევიან თავიანთი არსებობის მედიაციას. ეს არის დიალოგის მცდელობა სახელმწიფოსი საზოგადოებასთან და სახელმწიფოს პარტნიორობისა საზოგადოების რეალურ და ავტონომიურ ძალებთან, საზოგადოების დამოუკიდებელ ძალებთან, იმ ვარაუდით, რომ ამ გზით მოახერხებენ სამოქალაქო საზოგადოების აშენებას.

ჩვენი მხრივ – დიალოგი დასავლეთთან ან ევროპასთან, ეს არის ამ მცდელობის შემადგენელი ნაწილი. თითქმის ერთი და იგივეა: საბჭოთა სახელმწიფოს დიალოგი რუსულ ან საბჭოთა საზოგადოებასთან და საბჭოთა კავშირის დიალოგი დასავლეთის ან ევროპულ ქვეყნებთან.

მეორე მხრივ – ეს არის აზროვნების სტატუსისა და განათლების ან კულტურული აზროვნების პრობლემა, მოაზროვნე ინიციატივისა საბჭოთა საზოგადოებაში. აზროვნების ელემენტი, კულტურული რეფლექსიის ელემენტი, მოაზროვნე ინიციატივის ელემენტი იყო სწორედ ის, რაც უფრო და უფრო შეავიწროვა ხელისუფლებამ, გვერდი აუქცია მას, რის გამოც ვეღარ ახერხებდა თავისი განვითარების კვალდაკვალ წარემართა საზოგადოებაში არსებული მოაზროვნე ელემენტი. ეს ელემენტი კი არსებობდა, რადგან სიცოცხლე გრძელდება და ვიდრე სიცოცხლე არსებობს, არავის შეუძლია ის ჩაკლას: სიმღერებს მაინც იმღერებენ, პოემებს დაწერენ, იფილოსოფოსებენ, იაზროვნებენ... ე. ი. ხდება ხელისუფლების მიერ უკუგდებული, შევიწროვებული აზროვნების დაგროვება, აკუმულაცია პასუხისმგებელ მოხელეთა *მიღმა,* იმ ოფიციალურ მოხელეთა მიღმა, რომლებიც სულ უფრო და უფრო დაჩლუნგებულან და იდიოტებად ქცეულან; ეს არის გათიშვა, ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, მეორე მხრივ, გათიშვა ოფიციალურ სტრუქტურებში, თვით ოფიციალურ მოხელეთა აზროვნებაში. არსებობს, აგრეთვე, ოფიციალურ იურისდიქციის გარეთ არსებული აზროვნება არაოფიციალურ სტრუქტურებში.

აქ ხდება მიწიდან მოწყვეტა, რომელიც ყოველ წამს იზრდება და აფეთქებისათვის ქმნის დასაბამს; ძალებმაც სწორედ ამ უკანასკნელ-

ში იჩინეს თავი. ჩემი აზრით, თანამედროვე მსოფლიოს, – თავისი ატომური ბომბებით და ა. შ., – არ ძალუძს თავის წიაღში კიდევ აიტანოს ისეთი დეფორმირებული, მოუქნელი, სინათლისათვის შეუღწევადი რამ, რაც საბჭოთა სახელმწიფოებრივი ძალაუფლებაა, – ნაპრალი სწორედ ამ სუსტ, ნახსენებ დასაბამში ჩნდება.

ვიმეორებ, ერთმანეთს სცილდებიან, ერთი მხრივ, ძალაუფლება და არაოფიციალური კულტურა, ხოლო, მეორე მხრივ – სახელმწიფო და დამოუკიდებელი სოციალური ძალები. ამ დაცილებისაკენ, ამ ნაპრალისაკენ სვლა ქვეყნის ინფანტილიზმიდან გამოსვლის ტოლფასია.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ განმანათლებლობის ძალზე ძველ დეფინიციას (მოვლენა, რომელიც ასომთავრულით აღინიშნება ინდოევროპულ ენებში). კანტის განსაზღვრების თანახმად, „განმანათლებლობა კაცობრიობის მოწიფულობის მდგომარეობაა, ე. ი. ეს არის რეალური უნარი, რეალური ძალა დამოუკიდებელი აზროვნებისა, – გარეგანი ავტორიტეტების გარეშე გაძლების რეალური უნარი, ძალა უყავარჯნოდ, სხვათა დაუხმარებლად, საკუთარ კიდურებზე დაყრდნობით სიარულისა; უნარი იმისა, რომ აღარ დაგვჭირდეს, ხელჩაკიდებული გაგვიძღვეს ვიღაც, რომ აღარ გვმართონ სხვებმა. ეს არის მოწიფულობის მდგომარეობა“. ჩვენ არ ვიმყოფებით მოწიფულობის ამ მდგომარეობაში, ჩვენი ყოფიერება უფრო ბავშვობის ასაკის მსგავსია.

მეორე მხრივ, გამოსვლა ინფანტილიზმიდან, რომელიც ჭარბად აგროვებს პიროვნებაში ძლიერ აგრესიას, რადგან თქვენ ძალზე კარგად გესმით, რომ ბავშვი, რომელმაც ვერ მიაღწია წარმატებას მოწიფულ ეტაპზე, ე. ი. ვერ გახდა ძლიერი (იმ აზრით, როგორც მე განვსაზღვრე), ხდება აგრესიული, მზად არის მსოფლიოს ასაფეთქებლად – ინფანტილიზმიდან სხვა სახით გამოსვლა ეს არის დაბრუნება წარმოსახვითი, წარმოდგენილი სიცოცხლიდან რეალურ სიცოცხლესთან, ნივთიერ სიცოცხლესთან. ჩვენში ევროპულ სიტყვებს: „სახელმწიფო“, „საზოგადოება“, „დემოკრატია“, ცენტრალიზაცია“, „დეცენტრალიზაცია“, „ეკონომიკა“, „სარგებელი“ და ა. შ. აქვთ (აქ ფრანსუა ვიონს დავესესხები) – „სიცოცხლის გარეშე წარმოდგენებით ცხოვრება“. ხსენებული ევროპული სიტყვები მხოლოდ ხატებია, რომლებიც ცხოვრობენ, არსებობენ, არსებობენ სიცოცხლის გარეშე. მაგალითად, მე ამ ხატებში თავს არ ვგრძნობ ცოცხლად, ეს უფრო სიზმარში ყოფნას ჰგავს.

ახლა დავუბრუნდეთ აზროვნების (აზრის) საკითხს, მის მიმართებას რეალობასთან. ეს არის ყველაზე რთული ნაწილი ჩემი თხრობისა, რომლის თაობაზეც ფილოსოფოსობენ. სათქმელთან ძალზე ახლოს, ორიოდე ნაბიჯზე ვარ და ვგრძნობ, ვკარგავ კონტაქტს (თუკი მქონდა) თქვენთან. სწორედ ამიტომ მოვიშველიებ იმ ავტორს, რომელიც ძალიან უყვარს მაქსიმილიან რუბლს და ხშირად მიმართავს ხოლმე მის ციტირებას. ეს ავტორი გახლავთ სიმონა ვეილი. თავისი ცხოვრების ერთ მომენტში მან თქვა: „სიცოცხლე, როგორც Sensus strictus, შეუძლებელია“. Sensu stricto[2] – ეს ფილოსოფიური ნათქვამია, ეს არის ის, რაც ემპირიულად არ არის გაცხადებული. მაგრამ თუ თქვენ ეს გესმით ან თუ მე თავადაც მესმის (თავად მეც მიჭირს იმის გაგება, რასაც ვამბობ) – სიცოცხლე შეუძლებელი რამ არის, იგი Sensu stricto – აზრიც (აზროვნებაც) ასევე შეუძლებელია.

აზრი ყოველთვის არის ფიქრი „შესაძლო შეუძლებლის შესახებ“, ამის ილუსტრირებას მეორე მხრიდან მოვახდენ. მართლაც, ეს არის რთული და ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომელთაც მე თქვენ მიყენებთ ჩემს მოხსენებაში და რომელიც ობიექტურად არსებობს ინტელექტუალთა წინაშე. ეს არის ინტელექტის, აზროვნებისა და ა. შ. პრობლემები. მე მივმართავ მონტენის სიტყვას. იგი ამბობდა, რომ ყველაზე ძნელი და ყველაზე უმაღლესი, ეს არის ცხოვრება დროულად, ცხოვრება ვითარების, დროის, ადგილის შესაბამისად.

სწორედ ეს გახლავთ ის, რისი თქმაც მსურს სიტყვით, „შეუძლებლობა აზროვნებისა და სიცოცხლისა“. აზროვნება ყოველთვის აზროვნებაა, ის არის აზრის დროულობა და შესაბამისობა; და ეს არის გაუგონარი კომბინაცია, ერთობლიობა გარემოებებისა, რომელიც დასტურდება, აღმოჩნდება აზროვნების ანუ აზრის დაბადების შემთხვევაში; ესაა შეხამება გარემოებებისა, რაც არ გამეორდება; შეუძლებელია აზროვნების დადგენა, როგორც რაიმე ნივთისა, მისი ქონა და ჯიბეში დება; აზრი არის რაიმეზე ფიქრი, რაც შეუძლებელია რეალობაში, ნოსტალგიურად შეუძლებელი და რაც არის *თავად რეალობა*. ე. ი. რაიმეს შესახებ აზრს, აზროვნებას არა აქვს ძალაუფლება რეალობაზე. და მხოლოდ მაშინ ხდება! აზრი რეალო-

[2] „მკაცრი აზრით“, „პირდაპირი მნიშვნელობით“ (იხ. ლათ.).

ბაზე, – სხვაობა აზროვნებასა და ზმანებას შორის, – გადის სწორედ ამ ზღვარზე.

მე რეალურად ვაზროვნებ, როდესაც არ შემიძლია რეალობის ხელახლა შედგენა, ნოსტალგიის გამორიცხვა, როცა შეუძლებელია აზრის შინაარსის ხელახლა დახატვა. სხვათა შორის, ეს იყო დეკარტის პოზიცია. cogito-ს საწყისი ეს არის გონებაჭვრეტით ნიშნის მანამდე არქონა ნივთის მდგომარეობის შესახებ მინიშნებებში, ვიდრე ადამიანში არ გაიღვიძებს წარმოსახვის ძალა, ვიდრე ადამიანის აზროვნებაში არ წარმოიქმნება – *აზრის არსებობის არავერბალური მდგომარეობა სამყაროში,* რომელიც არასოდეს ემთხვევა ვერბალურ გამოხატვას.

მოდერნული საზოგადოების დასაწყისში ყოველთვის სწორედ ამიტომ იყო განსაზღვრული „ცოდნა“, როგორც *ძალა*; სრულიადაც არ იყო ეს დეფინიცია უტილიტარული ან მესაკუთრის აზრი ბუნების მიმართ, როგორც ეს ესმით ახლა. მე ვიცნობ ამ ინტერპრეტაციას. დღეს ამბობენ, რომ ევროპულ აზროვნებას სურდა ბატონობა მსოფლიოზე, ბუნებაზე და ამ სურვილს სწორედ ამ ფორმულით გამოხატავდა. *ცოდნა* და *შესაძლებლობა.* მე მინდა მოგაწოდოთ ის ინტერპრეტაცია, რაც ძევს ამ ფრაზის შინაარსში რეალურად: ცოდნა არის ის, რაც თავად თავის თავში შეიცავს *განხორციელების* ძალას, როგორც რეალურ მდგომარეობას მოაზროვნე სუბიექტში, სამყაროში. ე. ი. აზრი ეს არის შემთხვევითობა, შესაძლებლობა, რომელიც თავად თავის თავში შეიცავს თვითრეალიზაციის, საკუთარი შესაძლებლობის განხორციელების ძალას; თვითრეალიზაცია კი არის რეალური მდგომარეობა სუბიექტისა, *რომელიც ფიქრობს იმას, რასაც ფიქრობს.* ლუთერის ფრაზა აზროვნების ამ აქსიომის ილუსტრაციაა. იგი ამბობს: „მე ვარ იქ და სხვაგვარად არ ძალმიძს“. ეს არის ცოდნა, რომელიც იმავდროულად არის ძალა, უნარი და მხოლოდ ამ აზრით სიტყვა „შესაძლებლობა“, ანუ ძალა და უნარი გამოყენებულია აზროვნების მიმართ; აზროვნება ყოველთვის არის ძალა შესვლისა, შეღწევისა ცოდნის რეალურ მდგომარეობაში; აზროვნება ადამიანისათვის არის გარდამქმნელი ძალა. ადამიანი *არის ის, რაც მან, ამ ადამიანმა იცის.* მაგალითად, ბუდიზმის მიხედვით: „თუ მე თავად ვიცი ჩემი თავი, როგორც ცხოველი ღმერთის წინაშე, მე ვარ ცხოველი; თუ ვიცი, რომ მე ძალმიძს ყველაფერი, მე ვარ ღმერთი“. ე. ი. *მე ვარ ის, რაც მე ვიცი, რომ ვარ.* ე. ი.

ცოდნაა თავად პიროვნების გარდამქმნელი – პიროვნული ცოდნა, ინდივიდუალური ჭეშმარიტება იმავდროულად უნივერსალურია იმიტომ, რომ, თუკი *ადამიანები აზროვნებენ*, ისინი იმყოფებიან იმ აზრის ველში, რომელსაც აქვს თვითრეალიზაციის ძალა.

მოდერნული აზროვნების რაციონალობა ნიშნავს იმას, რომ სუბიექტის წინაშე მდგარ ყველა საკითხთან მიმართებით თავად სუბიექტს შეუძლია შექმნას ხელახლა „ცოდნა", როგორც ძალა, როგორც ძალაუფლება. ე. ი. მას შეუძლია შექმნას საკუთარი პიროვნული არავერბალური არსებობა, რაც არ არის აბსტრაქცია ან იდეა, არამედ არის არსებობა, აქტიური ყოფიერება და არც ერთი წერტილი, – **ყურადღება მიაქციეთ ამას,** – არ არის რომელიმე სხვა მთლიანობის შემადგენელი ნაწილი.

მაშ ასე, ვიმეორებ, – რაციონალური ან უნივერსალური არის ის, რაც არ არის სხვა მთლიანობის, სხვა ფინალობის (როგორც მთლიანობის) შემადგენელი ნაწილი. მაგალითად, მე მაქვს რაღაც აღქმა, რომელიც ჩემია, მაგრამ ის ღმერთის მიერაა ჩემში შემოტანილი. ამ შემთხვევაში მე კმაყოფილი ვარ რაღაც ისეთით, რაც ჩემშია, მაგრამ, იმავდროულად, ეს სხვა ფინალობის მქონე მთლიანობის შემადგენელი ნაწილია. იმასაც დავსძენ, რომ რუსეთში აზროვნების, მასის ცნობიერების რეალური ფუნქციონირება სწორედ ამგვარ სიტუაციაში ხდება: თითქმის ყველა ჩვენი აზრი, ყველა ჩვენი სულიერი მდგომარეობა სხვა მთლიანობის შემადგენელი ნაწილია – ის, შეიძლება, შემოვიდეს ჩვენს ცხოვრებაში, როგორც ისეთი მოვლენა, რომელზეც ვერანაირ კონტროლს ვერ ვახორციელებთ, ან ისე, რომ ამ მოვლენას არანაირი კავშირი არ ჰქონდეს რომელიმე წინა მოვლენასთან.

ამგვარ შემთხვევაში მიზეზებისა და შედეგების ჯაჭვი გაწყვეტილია სწორედ „ირაციონალური რაციონალობის" ძალის ზეწოლით. ეს სწორედ ის მოვლენებია, რომლებიც არსებობენ ჩემს ველში და იმავდროულად არიან ნაწილები, ელემენტები სხვა მთელისა, რომელთაც მე არ ვიცნობ. რომლებიც მე არ მემორჩილებიან, მისხლტებისან და ჩემში შემოდიან. აი, ამ შემთხვევაშია აზროვნების ხელოვნება სწორედ კონტროლი და „*შეუძლებლის შესაძლებლობის მდგომარეობის შექმნა*".

ცხოვრება მიდის. რას ვგულისხმობ, როდესაც მე ვამბობ: „სიცოცხლე შეუძლებელია?" – ცხოვრება არის სიცოცხლე როგორც მთელი. არსებობს ჩემი ცხოვრების მრავალი მომენტი, როდესაც მე

არ მეკუთვნის სრულად თავად ჩემი თავი. მაგალითად, აუცილებელია, ახლა გავიხსენო რაღაც გარკვეული რამ, მაგრამ მე იგი დამავიწყდა ე. ი. მე არ ვარ სრული, – ცხოვრების დინება შეჩერებულია. ან, მე მსურს დავეხმარო მეგობარს, იგი ჩემგან ერთი-ორი მეტრის მოშორებითაა... სწორედ ეს ორი მეტრი მიშლის, რომ მე მეგობარს ხელი გავუწოდო და გადავარჩინო; გადარჩენის აქტის შესრულება შეუძლებელია, – არადა, ჩემთვის სასიცოცხლო აქტია მეგობრის გადარჩენა, რომელიც მე მიყვარს.

მაშ ასე, ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ სამყაროში, სადაც არც სიცოცხლისეული ძალები და და არც ჭეშმარიტი აზრი რაციონალური ზრახვებით კონტროლს არ ექვემდებარება. საქმე ისაა, რომ აზრის გამოგონება ან შეთხზვა შეუძლებელია. აზრი იბადება და ეს არის მისი ბუნებრივი დაბადება ან დამოუკიდებლად იღვიძებს იმ ცალკეული სასიცოცხლო ანუ ორგანული ფორმებისაგან, რომლებიც არასდროს არიან რეალობასთან იდეის კონსტიტუციური მისადაგების შედეგი.

მაშასადამე, ამ აზრით აზროვნების ონტოლოგია, რომელსაც მე ვაგებ თქვენს თვალწინ, ლოგიკურად *გამორიცხავს* ყოველგვარ სოციალურსა და სულიერ კონსტრუქტივიზმს. არსებობს აკრძალვები. ჯერ ერთი, თავად აკრძალვა არის შემდეგი ფაქტი: როდესაც უკვე აქვთ ნაფიქრი, რომ ორი მეტრით არიან დაცილებული მეგობრისაგან, რომლის ხსნაც უნდოდათ (საფრთხეში თავის ჩაგდების სურვილი ძალზე, ძალზე გვიან ჩნდება), რომ არსებობს ორი მეტრი და ხელს კი გაწვდენა შეუძლია მხოლოდ ერთ მეტრზე. და მეორე აკრძალვა გახლავთ ის, რომ არც ერთ თავში აზრს არ შეუძლია შესვლა გარედან; ეს ნიშნავს, რომ მე არ შემიძლია ცხოვრების მოწყობა სხვისთვის მხოლოდ იმ აზრის საფუძველზე, რაც მის შესახებ მაქვს. ეს ორი აკრძალვა ლოგიკურად გამორიცხავს სოციალურსა და სულიერ, სპირიტუალურ, კონსტრუქტივიზმს. მე ვსაუბრობ იმ სოციალურსა და სულიერ კონსტრუქტივიზმზე, რითაც რუსული და ევროპული ინტელიგენცია თითქმის საუკუნის განმავლობაში ერთმანეთთან იყო დაკავშირებული.

მაშასადამე, თუ ადამიანები უღირსებო და არალოკალიზებადი ცოდვის სამყაროში ცხოვრობენ, ე.ი. – *ღირსების გარეშე* ცოცხლობენ. მე ხაზს ვუსვამ, რომ სამყაროში, რომელსაც აღვწერ (რაკი წილად მხვდა ეს ბედნიერება, თუმცა, არა იმიტომ, რომ მე ამას ვიმსახურებ), ჩემი ღირსება არ არის ჩემი ბედნიერების მიზეზი, –

მე შეიძლება ვიყო მხოლოდ იმ ბედნიერების ღირსი, შეიძლება გავხდე ან ვაქციო საკუთარი თავი იმ ბედნიერების ღირსად, რაც წილად მხვდა (ასევეა უბედურების შემთხვევაშიც). სამყაროში არ არსებობს ლოკალიზებადი უბედურების გამომხატველი ნიშანი. მაგალითად, ის არ არსებობს კლასებში, ან – ადამიანურ აგენტებში, რომელთაც ჩემთვის, გინდა თუ არა, ბოროტების მოტანა სურთ.

საჭიროა, იცოდე ცხოვრება ქვეყანაში, სადაც არ შეუძლიათ ლოკალიზება და მიზეზებად გარდაქმნა არც ღირსებისა და არც ნაკლისა, სადაც თავადვე შეგიძლია, შექმნა საკუთარი თავი უბედურების მატარებელ კერპად. ამ შემთხვევაში ეს ნიშნავს იმის თქმას, რომ აზროვნება არის ხელოვნება ან, სხვაგვარად, აზროვნება არის შეუძლებლის მამაცობა. საჭიროა თავის შენარჩუნება (შეკავება) აზროვნებაში, რადგან იგი არ ბატონობს რეალობაზე, ვერ შეიქმნება ხელახლა იმიტომ, რომ ის არის შეუქცევადი და აზროვნების ელემენტებიც ასევე შეუქცევადი არიან; მიზეზების ჯაჭვის კრისტალიზებაც ასევე შეუქცევადია, – როგორც რეტროაქტიული ქმედების ძალა. რაიმე ფორმის გაჩენა ქმნის, აყალიბებს ამ ფორმის წარმოქმნის მიზეზებს. ამ შემთხვევაში მოაზროვნენი, ფილოსოფოსები უნდა დარჩნენ მარადისობაში, მათ უნდა შეაჩერონ თავიანთი თავი სიცოცხლის, ადამიანური არსებობის ტრაგიკულობაში. მათ აზრადაც არ მოსდით, არ ძალუძთ წარმოიდგინონ, რომ შეუძლიათ მაგიურად შეაერთონ ერთმანეთს გარემოებები და წარმოშვან ის, ვინც შეძლებს შეუძლებელი აზრის რეალიზაციას.

მაშ, მე ვინარჩუნებ შეუძლებლის ძალაუფლებას – ეს არ არის რაიმე ხრიკის ძიება თავის დასაძვრენად, არც მიხვედრის მოშველიება რაიმეს გასაგებად, არც აღგზნება-აღფრთოვანების გამოყენება და არც ოჯახისა თუ ნათესაობის კეთილმოსურნეობის მოპოვება. როდესაც არ გააჩნიათ შეუძლებლის ვაჟკაცობა, ხან ოჯახის მარწუხებში ვარდებიან, ხან – პარტიის, ხან – რა ეწოდება ისლამურ ერთობას? – ჰო, უმა – ან უმას მარწუხებში. ასეთი ქცევა თავის დაძვრენაა. მე ვიტყოდი, რომ ამ ტიპის რევოლუციონერები არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც არ შესწევთ მარტო ყოფნის, მარტოობის უნარი, – მარტო ყოფნისა აზროვნებაში, ღირსებაში, მარტო ყოფნისა პატიოსნებაში.

„მე, მე მსურს ვიყო პატიოსანი, ოღონდ, სხვებიც პატიოსანნი უნდა იყვნენ!“

„დემოკრატია ნაციონალისტურ ლოზუნგებს ვერ დაეფუძნება...“[1]

— საქართველო ემზადება თავისი მომავლის გადამწყვეტი არჩევნებისათვის. თქვენი აზრით, არის იგი მზად დამოუკიდებლობისათვის და დემოკრატიული რეჟიმის დასამყარებლად?

— ყველა რესპუბლიკას დამოუკიდებლობა სურს და ყველა თავს დემოკრატად აცხადებს. მაგრამ ჯერ სანახავია, რა იფარება ამ სიტყვების უკან. სამოცდაათი წლის განმავლობაში ჩვენში საბჭოთა რეჟიმი ბატონობდა. ამ ფაქტის გამო, ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური ფენა ბევრად უფრო კორუმპირებულია, ვიდრე, მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებში. ჩვენს პოლიტიკურ, სოციალურ და, განსაკუთრებით, მენტალურ სივრცეში საბჭოური ყოფა — სოვიეტიზმი — როგორც ცხოვრების, წარმოების, აზროვნების წესი, კვლავ გაბატონებულია. ჩვენ ვიქეცით ორსახოვან ხალხად: ერთი მხრივ, ნიადაგ უკმაყოფილო, კრიტიკული ვართ, საკუთარი ღირსების დამფასებელი, საკუთარი ნაციონალური კულტურის გადასარჩენად შეფარვით მებრძოლი. მეორე მხრივ კი, თვითგადარჩენის მძაფრმა სურვილმა ქართველებს კარგად შეაძლებინა სისტემით სარგებლობა, საკუთარი მიზნებისადმი მისი მისადაგება, რის შედეგადაც ისინი გაებნენ ხსენებული წყობისათვის დამახასიათებელი კორუფციის, ქრთამის, მაქინაციების ხაფანგში. მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური კეთილდღეობისაკენ სწრაფვა მთელი საზოგადოებრივი სივრცის ნგრევით სრულდება. სისტემასთან შეგუების ასეთი ფორმა ერთდროულად იწვევს მკვეთრ ზნეობრივ დაცემას და იოლი გზის ძიების კონსერვატიზმს — ჯობია, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის. ასე კი ძნელია დემოკრატიისაკენ გზის გაკვლევა.

— და მაინც, თბილისის გამოსვლებმა, ნაციონალისტურმა მოთხოვ-

---

[1] ***Le Nouvel Observateur***, №1335, 7 ივნისი, 1990. საუბარს უძღვებოდა ჟურნალისტი ფრანსუა შლოსერი.

ნებმა, პროტესტებმა ხომ ნათელყო, რომ ეს იყო პოლიტიკური აქტივობის ერთგვარი აღორძინება?

— ამგვარი ნაციონალიზმის სახით გვიბრუნდება სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც დაანგრია ტოტალიტარიზმმა. ეს სოციალური ავტონომიის ერთგვარი აღორძინებაა. სამწუხაროდ, ზოგიერთებისათვის პოლიტიკური ბრძოლა მხოლოდ ეროვნული ლოზუნგებით შემოიფარგლება, რაც არ არის საკმარისი ნამდვილი დემოკრატიული მოძრაობისათვის. „სოვიეტიზმს“ მხოლოდ ჩვენი ეროვნული ვინაობა არ უარუყვია. მისგან თავსმოხვეულმა ცხოვრების წესმა ღრმა ჭრილობა მიაყენა ჩვენს პიროვნულ ღირსებას. ეს იარები უნდა განიკურნოს, ხოლო ღირსება — აღდგეს. ყოველივე ამის დაყვანა ეროვნული გრძნობების მარტივ მანიპულაციამდე საკმარისი არ არის დემოკრატიული მოძრაობისათვის. ამასთან დაკავშირებით ქართული ოპოზიციის ერთი პლატფორმა კარგად აყალიბებს იმ პოზიციას, რომლის თანახმადაც, საძირკველშივე უნდა მოიკვეთოს ყოველგვარი მცდელობა, რომ ეროვნულმა მოძრაობამ, დამოუკიდებლობის თუ ეროვნული ინტერესის სახელით, ჩაგვრის ერთი ფორმა სხვა ფორმით შეცვალოს.

— ეს გაფრთხილება საქართველოში რომელიმე გარკვეული ჯგუფისკენაა მიმართული?

— ცხადია, დემოკრატიული მოძრაობიდან ჩვენ არავის გამოვრიცხავთ. მაგრამ ვფიქრობ, რომ არიან ნერვულად აღგზნებულ ადამიანთა ჯგუფები და პიროვნებებიც, რომლებიც ზედმეტ ყურადღებას იქცევენ ხოლმე. მაგალითად, ისეთი პიროვნება, როგორიცაა ზვიად გამსახურდია, არც საქართველოს წარმოადგენს და არც ქართული ოპოზიციის ძალთა რჩეულს. იგი პრიმიტიული აგრესიული ნაციონალიზმის წარმომადგენელია. მართალია, იგი ჰელსინკის ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფიდან მოდის, მაგრამ იყენებს დაუშვებელ მეთოდებს ოპოზიციის სხვა წევრების მიმართ, აცხადებს რა მათ „ქართველი ერის მოღალატეებად“ და ა. შ. მე განსაკუთრებით გამაოგნა იმ სიძულვილმა და აგრესიამ, რაც ზოგიერთ მის ზეპირ თუ წერილობით გამოსვლებში ვლინდება. როდესაც მოვლენებს გარედან ვუყურებთ, ნაციონალისტური აფეთქების მხოლოდ ეს უკიდურესი ფორმები იკვეთება.

— გსურთ თუ არა, რომ საქართველომ ძირეულად გაწყვიტოს კავშირი საბჭოთა კავშირთან?

— ის, რაც ჩვენ გვინდა, თავისუფლებაა. ჩვენ გვინდა, რომ თავი დაგვანებონ, რათა ვიმუშაოთ ჩვენებურად, ცენტრიდან განკარგულებების გარეშე. ჩვენ გვინდა, ეკონომიკურ ორგანიზაციაზე კონტროლი დავიბრუნოთ. ეს არ ნიშნავს ავტარკიას ანუ იმას, რომ ჩვენ ქვეყანას სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა არ ესაჭიროება. რაკი ბოლოს და ბოლოს, დამოუკიდებელნი ვიქნებით, ჩვენ თვითონვე დავამყარებთ საჭირო გაცვლა-გამოცვლასა და თანამშრომლობას ჩვენ მოსაზღვრე სამყაროსთან: რუსებთან, უკრაინელებთან, აზერბაიჯანელებთან, სომხებთან... და ეს მოხდება ორივე მხარის ურთიერთინტერესების შესაბამისად. ტოტალურ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს. ევროპულ ბაზრებზე გასასვლელად ქართველებს, ისევე როგორც ლიტველებს, ამჟამად არაფერი გააჩნიათ. მე არ ვიცი, როგორი ფედერაციული მოწყობა დაგვაკავშირებს მოსკოვსა თუ ლენინგრადთან, — ამას დრო გვიჩვენებს. გეგმებმა, რომლებიც ამჟამად მუშავდება, სხვა, ყოფილ რესპუბლიკებთან კავშირების დასამყარებლად თითოეულ მათგანს მოქნილი მექანიზმები უნდა შეუქმნას.

რეალობა და პერსპექტივები აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში[1]

ერიკ ჰობსბაუმი: ჩვენი სახით აქ შეიკრიბა პოლიტიკით დაინტერესებულ ინტელექტუალთა ჯგუფი. გვინდა განვიხილოთ ისეთი მწვავე საკითხი, რომლის ამოწურვასაც ინტელექტუალები ერთი შაბათ-კვირის განმავლობაში ვერ შეძლებენ. საკითხი ეხება საბჭოთა კავშირის, ცენტრალური ევროპის, ბალკანეთის, გერმანიის, ერთი სიტყვით, მსოფლიოს დიდი ნაწილის მომავალს, რაც აინტერესებს ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე. ჩვენთან ბრძანდება მერაბ მამარდაშვილი, ფილოსოფოსი, საქართველოს სახალხო ფრონტის ერთ-ერთი დამფუძნებელი. ხომ არ ისურვებთ გამოსვლას?

მერაბ მამარდაშვილი: საოცრად ძნელია საუბარი ასეთ უაღრესად რთულ და ბუნდოვან, იქნებ, შემაძრწუნებელ საკითხზე. მიუხედავად ამისა, დავიწყებ შარლ ურევიჩის თეზისით, რომელიც ეხება ამიერკავკასიაში სოციალისტური აზროვნებისა და პარტიის სპეციფიკურ პოზიციას. საქართველოდან როდესაც ვუყურებთ, შეიძლება ითქვას, რომ პერიოდი, რომელშიც ამჟამად ვცხოვრობთ საბჭოთა კავშირში, ეს არის ევროპის ხვედრის, ევროპის გარკვეული სოციალური და იდეალური ტრადიციის ხვედრის შებრუნებული ხატი. ეს ხვედრი მუშათა საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობაა. ჩვენ გავდივართ უკანასკნელ გაკვეთილს, ბოლოს და ბოლოს ვარკვევთ, თუ რა იყო და რა არის მსოფლიო სოციალიზმი. ეს ხატი კი, – შესაძლოა შებრუნებული, – არის სარკიდან მიღებული ერთგვარი პასუხი, ანარეკლი იმისა, რაც იყო სოციალიზმისა და მუშათა სოციალისტური მოძრაობის რეალური, ჭეშმარიტი აზრი.

ამავე დროს არ მჯერა, რომ დღეს საქართველოსა ან ბალტიისპირეთის ქვეყნებში მართლაც ნაციონალური მოძრაობაა. სომხეთსა და აზერბაიჯანში პრობლემას ართულებს ისტორიული და შინაგანი

[1] საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის კონფერენცია (12-13/05/1990, საფრანგეთი).

სიძულვილი, რასაც ორი ხალხი ერთიმეორის მიმართ განიცდის. ამის გამო მასზე მსჯელობა მხოლოდ მოვლენის წმინდა გაგებით არ შეიძლება. მე ვამბობ, რომ ჩამოთვლილ ქვეყნებში არ არის ნაციონალისტური მოძრაობა იმ აზრით, რაც შეიძლებოდა გამოგვეყენებინა განთავისუფლებული ან თავისუფლების გზაზე მდგარი ინდოეთისა და აფრიკის ქვეყნების მიმართ. საქართველოში ჩვენს მოძრაობას სოციალური მოტივი უძევს საფუძვლად, მაგრამ უფრო ფართო მნიშვნელობით, ვიდრე ზოგადად იყენებენ მას. ეს არის მოდერნულობისა და სამოქალაქო საზოგადოების პრობლემა. არც სომხეთში, არც საქართველოში არ მომხდარა ნორმალური გადასვლა უკვე ჩამოყალიბებული ერი-სახელმწიფოდან მოდერნულობაში.

კლასიკური ევროპული გზა მოდერნულობისაკენ შემდეგია: თავდაპირველად არსებობს ერი-სახელმწიფო, ეროვნული ნიშნის მქონე ყველა გადაჭრილი პრობლემით, შემდეგ ეს სახელმწიფო გადადის მოდერნულობაში. მაგრამ ჩვენ 80 წლის განმავლობაში პრაქტიკულად არ გვიცხოვრია! ამ ხნის დასაწყისშივე გავიყინეთ და ჩვენ ქვეყანაში, როგორც ფრანსუა ვიიონი ამბობდა „გვქონდა არსებობა უსირცხვილო აჩრდილებისა“! ასეთი ყოფის შემდეგ როდესაც ადამიანები ფხიზლდებიან, გონს ეგებიან, ასე თვქვათ, „ლღვებიან“, – იმყოფებიან საწყის წერტილში, თითქოს, არც უცხოვრიათო და იგივე პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი.

არადა, სინამდვილეში საქმე გვაქვს განსხვავებულ პრობლემათა ხასიათსა და რიტმთან. სახელმწიფოში ერის ფორმირებისა და მოდერნულობის რიტმები ერთმანეთში ირევა და ერთმანეთს ემთხვევა და ხდება ინტერფერენცია, როგორც ფიზიკაში. ეს არის მოვლენის დარმატული მდგომარეობა. ამ საფუძველზე ორ რამეს დავსძენდი: *ყოველივე ის, რაც ჩანს როგორც ნაციონალისტური ან ნაციონალური მოძრაობა, რეალურად არის სოციალური ავტონომიურობის მოძრაობა, რომელიც იმავდროულად ნაციონალურია.* ჩვენში სოციოლოგები და პოლიტოლოგები აბსტრაქტულად აცალკევებენ მოვლენის ორ მხარეს; ერთს განიხილავენ და აანალიზებენ როგორც სოციალურ მოვლენას, ხოლო მეორეს, როგორც – ნაციონალურ მოვლენას. მაგრამ შეუძლებელია აბსტრაქციათა რეონტოლოგიზაცია და დაჯერება, რომ სიცოცხლეში, ე. ი. რეალობაში არიან აბსტრაქციები, რომლებიც ცოცხლობენ, ღელავენ და იბრძვიან. ასეთი რამ სუფთა აკადემიური იდიოტიზმია, რაც ასე ახასიათებთ სოციოლო-

გებსა და პოლიტიკოსებს, ისინი გინდ ევროპელები იყვნენ, გინდ – საბჭოთა კავშირიდან, გინდ – სომხები, ქართველები ან სხვები. *მაშასადამე, ამჟამად ეს არის ბრძოლა ნაციონალური რეალობისათვის და ბრძოლა ხელახლა შექმნისათვის, – უბრალოდ განახლება ან თავიდან დაბადება სამოქალაქო საზოგადოებისა, რაც იქნება აბსოლუტურად სპეციფიკური შენაძენი ევროპული კულტურისა და ისტორიისა. ეს კი ჩვენთვის მნიშვნელოვანია.* (მე არ შევუდგები სამოქალაქო საზოგადოების განსაზღვრებას ჩვეულებრივ საზოგადოებასთან შედარებით). მართლაც, ეს დრამატული პროცესი – ორი განსხვავებული რიტმის ინტერფერენცია ერი-სახელმწიფოს შექმნასა და მოდერნულობას შორის, პრობლემას ქმნის, *რადგან მოდერნულობა თავად არის სამოქალაქო საზოგადოება.*

ახლა დავუბრუნდეთ იმ პარადოქსს, რომელიც ეხება სოციალიზმსა და სამოქალაქო საზოგადოებას. საქართველო ახლა მიხვდა, რომ სოციალიზმი შინაარსითაც და დეფინიციითაც არის სამოქალაქო საზოგადოების მტერი. სოციალიზმის სისხლიანი ისტორია დასაწყისიდანვე ამის დემონსტრაციაა. სხვათა შორის, ჰიტლერსა და ლენინს ჩინებულად ესმოდათ, რომ მთავარი დასამარცხებელი მტერი სამოქალაქო საზოგადოება იყო. პარადოქსია, რომ ჩვენ გამოვფხიზლდით *სამოქალაქო საზოგადოების მეშვეობით* და *სამოქალაქო საზოგადოებისათვის*, ევროპული საზოგადოებისათვის. ყოველივე ეს მოხდა ბუნებისა და განსაზღვრების თანახმად ანტისამოქალაქო სოციალისტური მითოლოგიის სიტყვების კვალდაკვალ და მათი მეშვეობით. დღეს ტოტალიტარული სახელმწიფო დაიშალა. ჩვენ გასავლელი გვაქვს მრავალი უბედურება და ტკივილი, რაც ახლავს სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ტოტალიტარიზმის საპირისპირო რეალობის დაბადებას. თუ ამას არ გავითვალისწინებთ, ვფიქრობ, ვერაფერს გავუგებთ ვერც ამიერკავკასიის ისტორიასა და რეალობას, ვერც საბჭოთა კავშირის ისტორიასა და რეალობას.

ერიკ ჰობსბაუმი: ვთხოვ მერაბ მამარდაშვილს, სხდომის დახურვამდე მოკლედ შეეხოს სოციალისტური აზროვნების საკითხს.

მერაბ მამარდაშვილი: მე ცოტაოდენ შეძრწუნებულიც კი ვარ ადამიანების წაყრუებით, თითქოს, სოციალისტური აზროვნება უძლეველია, ისინი თვლიან, რომ ვერასოდეს შეძლებენ, ჩასწვდნენ ამ აზროვნებას; მათ შეუძლიათ, ყოველთვის ჰპოვონ თავშესაფარი, სხვებისაკენ მიბრუნდნენ და არასოდეს არ შეხედონ საკუთარ თავს.

ყოველთვის თავის მოტყუებაა იმის თქმა, რომ ჩვენ კი არა ვართ, არამედ სხვები არიან, რომ ეს სოციალიზმი კი არაა, არამედ ლენინიზმია... იმასაც ამბობენ, რომ ლენინიზმი არის არა *სოციალიზმი, როგორც ასეთი*, არამედ ერთ-ერთი სოციალიზმთაგანი. ეს გახლავთ სოციალისტური აზროვნების განცხრომა, რითაც თავს ასე იწონებენ მემარცხენეები. ისინი არასოდეს სვამენ კითხვებს, რომელიც ეხება სიღრმისეულ პრობლემებს, რაც ხდება ევროპის ტექტონიკაში. ზერელედ დასმული პრობლემები უფრო დიდია მოცულობით, გაბერილია, ვიდრე წლის ან ათწლეულის კონკრეტული მოვლენები. ევროპულ ნიადაგზე სოციალისტური მოძრაობა გამოიხატა ჯერ პირველი, შემდეგ მეორე მსოფლიო ომებით და აგრძელებს არსებობას იმით, რომ თავს გვახსენებს ნაციონალიზმითა და შოვინიზმით – მოვლენებით, რომლებიც რეალურად სრულიად სხვა რამეს გამოხატავენ. იგივე ითქმის ლე პენის ფენომენზეც საფრანგეთში. რაღაც ხდება თვით ევროპული ცივილიზაციის საფუძველშიც, რის დანახვასაც ვერავინ შეძლებს ნათლად, თუ გააგრძელებენ განცალკევებას საკუთარი პრობლემისაგან და იმის თქმას, რომ ეს სხვების პრობლემაა. ერთმა სოციალისტმა თქვა, რომ ლენინიზმი ან მარქსიზმი მხოლოდ და მხოლოდ სოციალიზმის კერძო გამოხატულებაა. საქმე ეხება სოციალისტური იდეის, როგორც ასეთის, ანალიზს და, ვიმეორებ, სწორედ ეს მიმაჩნია ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხად. საკმარისია დააკვირდეთ, თუ რა მოხდა იქ, სადაც განხორციელდა ეს იდეა კონკრეტულად: ეს არის საბჭოთა კავშირი, სადაც ექსპერიმენტის სახით – ე. ი. სხვა ინსტიტუტების ზეგავლენის გარეშე, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ სოციალისტურ ტენდენციებზე, როგორც ეს მოხდა ევროპის შემთხვევაში – წმინდა იდეა, ასევე, წმინდა, თითქმის ექსპერიმენტული ფორმით განხორციელდა. ისე როგორც ლაბორატორიის პირობებში იოცნებებდნენ ამაზე.

ერიკ ჰობსბაუმი: ამ პრობლემებს შესვენების შემდეგ დავუბრუნდებით...

ერიკ ჰობსბაუმი: ნაშუადღევის სხდომაზე ჩვენ გვყავს სამი მომხსენებელი: მერაბ მამარდაშვილი, რომელსაც უკვე გაეცანით, ისაუბრებს თემაზე: „საკუთარი თავის შემეცნება და პოლიტიკური კულტურა საბჭოთა კავშირში“; ქალბატონი კლოდი ვაი ილაპარაკებს თემაზე – „უმცირესობათა უფლება“ და ბატონი ივ დელაეი – „ევროპა ახალი ფორმებით“.

დიდი სიამოვნებით გადავცემ სიტყვას ჩვენს მეგობარ მერაბ მამარდაშვილს – თბილისელ ფილოსოფოსს, საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველი კომიტეტის წევრს.

მერაბ მამარდაშვილი: გამოსვლისათვის ეს თემა იმიტომ ავირჩიე, რომ ჩემი ქვეყნის გაჩანაგების პარალელურად ხდება კულტურისა და შემეცნების გაჩანაგებაც. ამრიგად, მე ვისაუბრებ კულტურისა და შემეცნების პრობლემებზე, ოღონდ მათ სიმბოლური კუთხით განვიხილავ, უფრო ზუსტად, იმ ადგილისა და როლის მიხედვით, რასაც ასრულებს სიმბოლიზმი ადამიანთა საზოგადოებაში და მათი ცნობიერების სტრუქტურაში; აქ იგულისხმება მოქალაქეობრივი ანუ ცივილური შემეცნებაც.

დავიწყებ მტკიცებით, რომ ძალზე ხშირად ჩვენ აზროვნებისა და კულტურის მეტაფიზიკური მხარე გვავიწყდება. მე მსურს ვთქვა, რომ არსებობს თავისუფლებისა და აზროვნების მეტაფიზიკა. რადგანაც თავისუფლება და აზროვნება არ არის ბუნებრივი მოვლენები, არსებობს მეტაფიზიკა. ადამიანები, მათი საქმიანობის მიუხედავად, საკუთარი თავის რეალიზებას ან ახდენენ, ან – არა. ადამიანის რეალიზაცია, მისი განხორციელება, იმის მიუხედავად, თუ რა საქმიანობას ეწევა იგი – საქონელს ყიდის, მიწას ამუშავებს თუ ფილოსოფოსობს, ეს ყოველთვის არის ადამიანური ყოფნა მარადიულ *ახლა-ში*; ეს უკანასკნელი არის ვრცელი სამფლობელო, ფართო განზომილება, რომელშიც კრისტალდება პიროვნების ადამიანური, ნიშანდობლივი თვისებები, მისი სოციალურობა, მისი კულტურული დონე. განვიხილოთ მოვლენა ამ კუთხით. მოკლედ გაგაცნობთ იმ სტილს, რომლის მიხედვითაც გავაშუქებ საკითხს და მოგაწვდით ერთ მაგალითს იმ ჭეშმარიტებისა, რითაც დაკავებულია ფილოსოფია – ეს არის უხილავი, არახატოვანი ჭეშმარიტება.

სახარებაში ნათქვამია, რომ ვისაც დიდძალი ქონება აქვს, ღვთის საუფლოში ვერ შევა. ჩვენი ყოფითი აზროვნება ჩვენი ყოველდღიური მეტყველება ამას განმარტავს, მე ვიტყოდი, საგნობრივი ფორმით, თითქოს, ეს ფრაზა გულისხმობდეს ხილულ სიმდიდრეს ან სიღარიბეს. ამ ფრაზაში გამოთქმული აზრი და ჭეშმარიტება სულ სხვა გახლავთ. ჭეშმარიტება გახლავთ ის, რომ *პიროვნება, როგორც მფლობელი, ვერ შევა ღვთის საუფლოში*; შესაძლებელია სიღარიბის ფლობაც და ამით სიამაყეც. მაგალითად, ხართ მუშა და იმიტომ, რომ ხართ მუშა და სიღარიბე გაგებულია როგორც თვისება, უკეთ

შეგიძლიათ სამყაროს გაგება, ვიდრე ბურჟუებს, რომელთაც არაფერი ესმით. ამ შემთხვევაში, პროლეტარი ის მდიდარია, ღვთის საუფლოში რომ ვერ მოხვდება. აი, აქ გვაქვს ისეთი ჭეშმარიტება, ვთქვათ, უსასრულო, რომლის დეფინიციაც სასრული სიტყვებით გადმოიცემა. ყოველი სიტყვა გულისხმობს რაღაც საგანს, რეფერენტს; სწორედ ამიტომ სიტყვას განვმარტავთ ამ სიტყვაში ნაგულისხმევი რეფერენტის მიხედვით და ვუშვებთ შეცდომას. ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენ მიერ გამოთქმულ უბადრუკ სიტყვებს სურთ რაღაცის თქმა, რაც არ ეთანხმება წარმოდგენას. ფილოსოფია არის საშუალება, რომელიც აგვაცილებს ამ სახის შეცდომებს. ფილოსოფიურად აზროვნებენ მაშინ, როდესაც ამ სახის შეცდომებს არ უშვებენ, ე. ი. როდესაც საკუთარი აზროვნებიდან, გონებიდან გამორიცხავენ სურათებს, როდესაც მათ არ ხედავენ. სწორედ მაშინ, როდესაც სურათებს არ ხედავენ, ხედავენ ჭეშმარიტებას.

მაგალითად ხშირად ლაპარაკობენ კულტურაზე და თანაც ისე, რომ იმის თქმა, ფული კულტურის ფენომენიაო, იქნებოდა პარადოქსი. დეფინიციის თანახმად, კაცი რომელმაც იცის ფულის გამოყენება, არ არის კულტურული, ის არ შედის კულტურაში! ყოფით მეტყველებაში კულტურის სახით ჩვენ გვესმის რაღაც უფრო მაღალი, დიდებული, ამაღლებული, სულიერი; ეს სავსებით მცდარია. ფულის მაგალითი, რომელსაც მე ვიყენებ, არის კულტურული ინსტიტუციის მაგალითი. ენა, როგორც ასეთი, არის მხოლოდ ნიშანთა სისტემა, მაგრამ აქ (ენაში) არსებობს სიმბოლური საგნები. ფული არის სიმბოლური საგანი, რომელიც ინფორმაციას აზუსტებს, ადგენს კულტურის წარმოსახვით პროდუქტს, რომელიც ქმნის არა ფიზიკური, არამედ კულტურული დროის ველს და არა ფიზიკური, არამედ კულტურული სივრცის ველს. ამ დრო-სივრცეში გადის ინფორმაცია, კომუნიკაცია, ხდება ენერგიების გაცვლა-გამცვლა.

მინდა, ერთი მაგალითი მოგიყვანოთ. ჩვენთვის, ქართველებისათვის, შავი ზღვის სანაპიროს პრობლემა ზუსტად ფულს ეხება. რა აზრით? ვაცხადებ, რომ ამ ზღვის სანაპირო არის ქონება, დოვლათი, რომელიც ეკუთვნის კორპორაციებს. ეს კი შენიღბულია პატერნალიზმით, კლიენტელიზმით, პრივილეგიებით, პატარა კერძო ბაღებით, რაც კორპორაციის წევრებს აქვთ შავი ზღვის სანაპიროზე. ეს არის პრივილეგიები მათ აბსოლუტურ განზომილებაში, მინიმალურში, მინიმალურზე მცირედში, მაგრამ მაინც რეალური პრივილეგია,

– შეფარდებითი მნიშვნელობით, – იმათთან მიმართებით, ვისაც არ გააჩნია იგივე პრივილეგია.

მე ვიტყოდი, რომ აქ ეს არის კერძო საკუთრების ყველაზე ცუდი ფორმა: პრივილეგია. თვით პოლიტიკური პრობლემაც, რომელიც დგება ჩვენს წინაშე, ეს გახლავთ შემდეგი: როგორ დაისაკუთრონ ზღვის სანაპირო როგორც დემოკრატიული ქონება, რომელიც მიეკუთვნებოდა Res Publica-ს, რესპუბლიკის მოსახლეობას და რასაც იგი დაესაკუთრებოდა დემოკრატიულად. აღნიშნულის განსახორციელებლად ერთ-ერთი საშუალება სანაპირო ზოლისათვის ფულისაკენ გზის გახსნაა იმ პრივილეგირების გავლის სანაცვლოდ, რომლებიც მაიძულებენ მოსკოვი გავიარო, – თბილისიდან გამგზავრების ნაცვლად, რომელიც სანაპიროდან რამდენიმე კილომეტრზეა – რათა ავიდე *ჩემ საკუთარ კუთხეში*, რომელიც მე არ მეკუთვნის, იმიტომ რომ ის კორპორაციების კუთვნილებაა! ეს არის თანამედროვე საზოგადოების მთელი პრობლემა. *ჩვენ მხოლოდ მაშინ გვექნება მოდერნულობა, თუ გამოვრიცხავთ ყველა პრივილეგიას, რომელიც უძღვის და აპრიორი ურთიერთქმედებაშია იმ ნივთთან, რომელიც კეთდება, მზადდება.* სწორედ ამიტომ იყვნენ პირველი ევროპული დემოკრატიები, საქმისა და წამოწყების, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, დემოკრატიები და აზრით, რომ ერთადერთი კრიტერიუმი იყო თავად იმ ნივთის კრიტერიუმი, რასაც აკეთებდნენ, რომ გარეგანი კრიტერიუმები, მაგალითად, პრივილეგიები, პირადი ურთიერთობები და ა. შ., – არ მიიღებოდა მხედველობაში, ხდებოდა მხოლოდ თითოეულის შრომის გათვალისწინება. სწორედ ეს არის თავად დემოკრატიის საფუძველი და მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ამ აზრით ფული არის ერთადერთი დემოკრატიული ინსტიტუტი, რაც ჩვენ გვაყენებს თანასწორობის მდგომარეობაში და სპობს პრივილეგიათა არსებობას.

ენის ამ ფუნქციის გასაგებად, საჭიროა თავიდან მოვიშოროთ ის სურათი, გონებაში რომ გვაქვს აღბეჭდილი. ასეთი სურათია, მაგალითად, როდესაც ამბობენ – ფული, და ხედავენ ისეთ ადამიანს, რომელიც ქაღალდის ფულის დასტებს ატრიალებს, არის ღიპიანი, ან ისეთ ქუდს ატარებს, როგორც ბიძია სემის კარიკატურებზეა წარმოდგენილი – ქუდს ამერიკული დროშის ვარსკვლავებით. ეს არის სუფთა იდიოტიზმი! ვიდრე ამგვარი სურათები აქვთ ადამიანებს თავში, ყოველთვის სხვების სამართავნი, საბრალო სულელები, ნამდვილი კრეტინები იქნებიან. ძალზე ხშირად ეს არის სოციალისტური

აზროვნების შემთხვევა, აზროვნებისა, რომელშიც სიმბოლური მხარე, არა მხატვრული თვალსაზრისით, – მთელი ადამიანური ქცევისა და მთელი ადამიანური აზროვნებისა – მთლიანად გამორიცხულია ხოლმე. ჯერ კიდევ მარქსმა ჩაუყარა საფუძველი ამგვარ აზროვნებას, როდესაც სამოქალაქო საზოგადოებას განიხილავდა. ეს უკანასკნელი ის გამოთქმაა, რომელსაც მარქსი ძალზე ხშირად იყენებს, თანაც, საკმაოდ უცნაური ფორმით, მე ვიტყოდი, თითქმის გერმანული და რომანტიკული ფორმით, – იმ ფორმით, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების კონტექსტიდან საერთოდ გამორიცხავს კერძოს, როგორც მოვლენას. კერძო ეს არის რაღაც ერთგვარი შინაგანი დაბეჯითებით მოთხოვნა ნივთისა, საგნისა და ადამიანისა, გარეგანი მზერით აღქმული არაკუმშვადი დისტანცია და ამიტომაც, საშიში სოციალისტური, კომუნისტური თუ რაციონალისტური ცნობიერებისათვის, რომელმაც ყველაფერი იცის, სხვების ნაცვლად ხედავს, თუ რა არის სასიკეთო და ამ სიკეთეს ქმნის დანარჩენებისათვის.

ეს დისტანცია არის ერთობ გამძლე, იგი შინაგანი დისტანციაა და ადამიანი მას საკუთარ თავში გადის; ეს სწორედ დისტანციის დუმილი, მისტერიული გავლენაა, რომელიც პიროვნებას აშორებს თავისსავე თავთან. არსებობს დისტანცია ადამიანში; ეს დისტანცია საკუთარ თავში შეიძლება გაიაროს მხოლოდ თავად ადამიანმა, სხვა საშუალება არ არსებობს. მარქსისტული ან კომუნისტური აზროვნებისათვის, განსაკუთრებით მარქსისთვის, ეს დისტანცია ყოველთვის მიჩნეული იყო, როგორც მტრული სამფლობელო. როგორც ბუხარინი ამბობდა გლეხების ფენაზე – „გლეხური ქაოსი“, „გლეხური წყვდიადი“, რომელიც სახიფათოა, რადგან აქ დემონები მზაკვრობებს აწყობენ. გლეხები ე. ი. ის არსებები, რომელთა შეცნობაც არ ძალუძთ მარქსისტული აზროვნების გამჭვირვალობით, რომელთა შეგონებაც არ ძალუძთ *გარედან.*

ეს არის სოციალისტური თეორია, ლენინის განსაზღვრება, რომელიც იმეორებს მარქსის მიდგომას: *სოციალიზმი არის ინტელექტუალთა მიერ შემუშავებული სოციალისტური თეორიის მუშათა კლასში შეღწევის შედეგი.* სოციალიზმი არასდროს არ არის მუშათა კლასის უშუალო ცნობიერება, მათი შინაგანი დისტანცია, თუ გავბედავ ახლა ამ სიტყვის გამოყენებას, რომელიც ახლახან უკვე შემოვიტანე, რასაც ასე იგულვებენ აღნიშნულ კლასში. დისტანცია, რომელზეც მე ვსაუბრობ არის კულტურა.

როდესაც ვიყენებ სიტყვას „კულტურა“, მე თავს ვაყენებ სიმბოლურ დონეზე და ვგულისხმობ კულტურის სიმბოლოთა სფეროს. ძალზე ნათლად ჩანს, რომ ტოტალიტარული მცდელობა ყოველთვის ძალის გამოყენებით ამ შინაგანი დისტანციის შემოკლებაა. მან არ უნდა დაუშვას ამგვარი დისტანცია, რადგან ყოველგვარი კერძო დისტანცია სახიფათოა ტოტალიტარული განზრახვისათვის. მარქსი, გეგონებათ, ბრმა იყო კერძოს, როგორც მოვლენის, წინაშე. ეს დასტურდება მის მიერ გამოყენებული კონცეპტით: ეს არის *გამჭვირვალების, ანუ ნივთთა ფუნქციონირების საჯაროობის კონცეპტი, რომლის მიხედვითაც, ნივთების ურთიერთქმედება, მათი წარმოება მთლიანად საჯარო – აბსოლუტურად გამჭვირვალე უნდა იყოს...* იცნობთ თუ არა თქვენ ამ „დიად“ კონცეპტს, რომელსაც ეფუძნება მთელი მარქსიზმი და მთელი სოციალისტური ძალისხმევა, მთელი სოციალისტური მცდელობა? ლენინამდე და ჰიტლერამდე, ბოლშევიზმამდე და ფაშიზმამდე გერმანულმა სოციალ-დემოკრატიამ ძალზე კარგად აჩვენა ამ კონცეპტის ეფექტურობა და შექმნა ორგანიზებული საზოგადოების მდგომარეობა. თუ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა – „სოციალ-დემოკრატია“, ან „ფაშიზმი“ მიმზიდველი ან დრამატული მახვილების გარეშე გამოვიყენებთ (ასე ვთქვათ, არასენსიტური მახვილებით), თუ მათ გამოვიყენებთ როგორც სოციალური და კულტურული ცხოვრების გარკვეული ფორმების აღმნიშვნელ ცნებებს, მაშინ დავინახავთ, რომ ტოტალური საჯაროობის, გამჭვირვალების, ნივთის უშუალოობას (არადა, დეფინიციის თანახმად ნივთი არაუშუალო, ყოველთვის გაშუალებული გახლავთ, მათ შორის, ფულიც, ის გაშუალებულია სიმბოლოებით, წარმოსახვებისა და სოციალური რეალობისათვის სიმბოლური სტრუქტურული ფორმის მინიჭებით) კულტურათა ნგრევა და განადგურება მოჰყვება.

რას ვგულისხმობ მე ამით? თუ კულტურას მივუდგებით მისი სიმბოლური კუთხით (ეს არ არის კულტურის ერთადერთი მხარე), ძალიან კარგად დავინახავთ, რომ კულტურა არის ცოდნის ერთ-ერთი სახე, არა მეცნიერული ცოდნა, არამედ შეუცნობელის (გამოუცნობის) პირისპირ დგომის ხელოვნება. *ყველგან, სადაც არის კულტურა, არის რაღაც შეუცნობელი და აუცილებელია, რომ ის დატოვო უცნობად.* არავინ იცის ფულის ბუნება, ფულის მოქმედების პირობაა მხოლოდ ის, რომ მისი ბოლომდე გაგება არ უნდა მოხდეს. სხვაგვარად არასოდეს გექნებათ ფული. ჩვენში ჰგონიათ, რომ გაი-

გეს, რა არის ფული. ის არ გააჩნიათ, მაგრამ აქვთ პატივისცემა ფულისადმი! არავინ ისე დაინტერესებული არ არის ფულით, როგორც საბჭოთა ადამიანი! ეს თქვენ ძალზე კარგად შეგიძლიათ დაადგინოთ, თუ დააკვირდებით საბჭოთა ტურისტების ქცევას ევროპაში. სხვათა შორის, ტერმინი Homo Sovieticus პირველად ზინოვიევმა როდი გამოიყენა?! 1940-50-იანი წლების გერმანელმა პოლიტოლოგმა მენჰარტმა შემოიღო ტერმინი Homo Sovieticus...

ვიმეორებ, თუ ბოლომდე განსაზღვრავენ იმას, რაც უნდა აკეთოს გლეხმა მიწაზე, – ე. ი. თუ გამორიცხავენ გლეხურ კულტურას, – და ეს ასეც მოხდება, თუ მას თავს მოახვევენ რაღაც რაციონალურ ცოდნას, თუ ქმედების ყველა ელემენტს მას წინასწარ განუსაზღვრავენ, თუ ადგილს არ დაუტოვებენ იმას, რაც უცნობია და საძიებელი, – გლეხობას ჩაკლავენ და ეს მოხდება იმიტომ, რომ გლეხის მიმართება მიწასთან არის კულტურული. ამ შემთხვევაში კულტურა (ცხადია, თუ მას ნერგავენ) – ეს არის უცნობის წინაშე თავისუფალი ყოფნის ფორმა, ესაა ჰაერი, რომლითაც სუნთქავენ და ეს მოვლენაც კულტურაა. შემიძლია დავადასტურო, რომ, მაგალითად, ჩვენში, ჩემ ქვეყანაში, არ არსებობს ეკონომიკური კულტურა, სოციალური კულტურა, აზროვნების კულტურა, კულტურის კულტურა. ეს არ გახლავთ პარადოქსი. თუ კულტურას აღიქვამენ როგორც კულტურულ სიკეთეთა ჯამს, რომელსაც მოიხმარენ და რაც გახლავთ ერთგვარი დანამატი მატერიალური ცხოვრებისა, ეს ნიშნავს, რომ ადამიანებმა კულტურის კულტურა დაკარგეს, რომ მათ აღარა აქვთ კულტურა.

მთელი იდეოკრატია, – და ეს არის სოციალისტური გეგმის აზრი, – საზოგადოებას აშენებს ცოდნაზე; მაშასადამე, მთელი იდეოკრატია კულტურისათვის დამანგრეველია. ავიღოთ ეკონომიკის მაგალითი. ჩვენში აწარმოებენ იმ პირობით, რომ წინასწარ იქნას განსაზღვრული პროდუქტის შემადგენელი ყველა ელემენტი. სხვათა შორის, ეს იყო ლენინის დიდი გეგმა – *„კონტროლი და დისციპლინა“*, როგორც თვითონ უწოდებდა. სწორედ ამიტომ პირველი, რაც 1917 წლიდან შექმნეს საბჭოთა კავშირში, იყო სახელმწიფო ხაზინა. საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ნამდვილი პატრონები არიან ბუღალტრები, – საბრალო ადამიანები დაბალი ანაზღაურებით; ისინი არიან ყოველი ეკონომიკური და მატერიალური აქტის მოდარაჯე ძაღლები. წარმოების მომავალი პროდუქტის ყველა შემადგენელი

ელემენტი წინასწარ არის განსაზღვრული იმის შიშით, რომ ვინმემ რაიმე არ მოიპაროს ან არ მიითვისოს. შედეგი არის ის, რომ არაფერს აწარმოებენ, რადგან არავითარი საფუძველი არა აქვთ, რომ აწარმოონ, რაკი მათი საკუთარი შრომის პროდუქტი უკვე განაწილებული და მოხმარებულია. სწორედ ასე ვართ ჩვენც მოხეტიალენი ამ პარადოქსულ წრეში (მოძრავი პარადოქსი წრის კვადრატულისა), ასეთი გახლავთ საბჭოთა ეკონომიკის საიდუმლო. აქ უსარგებლოა დიდი დისკუსიის გამართვა ბაზრის ქონასა თუ არქონაზე, ღრმა კაპიტალისტურ თეორიებზე და ა. შ. რეალურად, პრობლემა არის იმ *სოციალური ნივთების, როგორც კულტურული ნივთების, ბუნებაში, რომლებიც ყოველთვის არის ორგანული პროდუქტი, რომელიც ვითარდება ბუნებრივად და ორგანულად.* პრობლემა სხვაგვარად არ დაისმის.

მე გთხოვთ, წარმოიდგინოთ ისეთი ეკონომიკა, როცა 70 წლის განმავლობაში, 1917 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, არსად არავის შეუსრულებია ამაზე უმარტივესი ეკონომიკური აქტი. ეს მარტივი, მიკროსკოპიული აქტი არის კონცენტრული წრის ცენტრი, საიდანაც შესაძლებელია, ამ აქტის კონცენტრული აფექტის წყალობით, მაკროსკოპული ეკონომიკის წარმოება. რა არის ეს აქტი? აი, ჩემს წინაშეა დანიელი. მას ესაჭიროება საფერფლე; მე შემიძლია საფერფლის გაკეთება. მაშასადამე, მე საფერფლეს ვამზადებ დანიელისთვის. მთელი ეკონომიკური საიდუმლო ამაშია, — ესაა ფაქტი, რომ ჩემი შრომის პროდუქტი შეიძლება მოხვდეს შრომის დაყოფის, კოოპერირების და ა. შ. რთულ სისტემაში. ეს არის ჩემი შრომის შედეგი ან კონცენტრული გამსხვილებები ამ ელემენტარული წრისა, რაც ხორციელდება ყველგან, სადაც არის ცივილიზაცია ან წარმოების კულტურა. მაგრამ ასეთი აქტი ერთხელაც არ განხორციელებულა საბჭოთა კავშირში. აქ ითქვა, რომ ჩვენში კომერცია აკრძალული იყო; დიახ, ეს სწორედ ის არის, რისი თქმაც მე მსურს. ცხადია, პროდუქცია იქმნება; მაგალითად, მე ვიცი საფერფლის გაკეთება, დანიელს ესაჭიროება ეს საფერფლე, მაგრამ მე მას არ ვქმნი დანიელისათვის, რომელიც ჩემი თვალთახედვის ჰორიზონტზეა. ამგვარად, უკვე არსებობს ბუნებრივი გაცვლა-გამოცვლის მიმართება, ჩვენს შორის მოძრაობს სისხლი, სოციალური სისხლი. მაგარამ არა! მე შევქმენი პროდუქტი მისტერიული, ფარული ცენტრისათვის, რომლის გარკვეული ადგილიც არასოდეს არ არის დად-

გენილი. თითქოს, ცენტრის ლოკალიზება ხდება, როდესაც ამბობენ „მოსკოვი“, მაგრამ ეს გამოთქმის ერთი ფორმაა, ეს არ ნიშნავს, რომ ცენტრი მაინცა და მაინც მოსკოვია.

(სომეხ კაჰაიანს მერაბის საფერფლე თავის მაგიდაზე გადააქვს).

ოჰ! ქართველებს ყოველთვის სომხები გვწაპნიან ნივთებს. აი, ეს გახლავთ ჩვენი ურთიერთობების ილუსტრაცია! (სიცილი **დარბაზში**).

დავუბრუნდეთ ჩემს მიერ გაკეთებულ საფერფლეს. მაშ ასე, იქიდან, მოსკოვიდან საფერფლე დანიელს, რომელიც მას სჭირდება, ან დაუბრუნდება ან — არა; უფრო ხშირად — არა. ეს ხდება იმიტომ, რომ ჰიპოთეტურადაც კი შეუძლებელია ისეთი ძლიერი გონების ქონა, რომლითაც გათვლი მილიონობით ეკონომიკურ აქტს და დასამყარებელ მიმართებებს, რათა უპასუხო დანიელის მოთხოვნილებებს; მაგრამ მე, რომელიც ვიყავი დანიელის თვალთახედვის ველში, ძალზე კარგად შევძლებდი ამ საქმის შესრულებას: ამით ჩემ თავსა და ოჯახსაც ვარჩენდი და დანიელის მოთხოვნილებებსაც დავაკმაყოფილებდი.

შემდეგ წარმოიდგინეთ ამ ნორმალური აქტების მილიონობით გამრავლება და თვალწინ გექნებათ რეალობა, ასევე, ამ აქტის მილიონობით შეუსრულებლობაც, რომლის შედეგადაც იქმნება ერთგვარი რეალური არარეალურობა. ახლა მითხარით, როგორ *დავანგრიოთ ეს რეალობა*, თუ უეცრად ამას გადაწყვეტენ, თანაც თუ თავისუფლად შემეძლება ამ ნორმალური, პრიმიტიული, ელემენტარული საქმიანობის, ანუ ეკონომიკური კულტურის აქტის შესრულება? მაგრამ ეს იგივეა, რაც მიცვალებულთა სამყაროდან სიცოცხლესთან დაბრუნება! შესაძლოა, ძალზე გვიანაა, შესაძლოა, გადავცდით შეუქცევადობის საზღვარს, შესაძლოა, გავცდით დაუბრუნებლობის ზღვარს და ვეღარც შევძლებთ ხელახლა გაცოცხლებას! რუსული ანუ საბჭოთა საკითხი სწორედ ეს არის: შევძლებთ თუ ვერ შევძლებთ ხელახლა გაცოცხლებას? უდავოდ, ასე არის კულტურის კულტურული საკითხიც.

თუ საკმარისი კულტურა გვექნება, ე. ი. წარმოსახვის უნარი და სიმბოლოს გრძნობა, რათა დავიჯეროთ უცნობი [ელემენტი] ურთიერთობათა სიმბოლური ხელოვნების მეშვეობით, მათ შორის, — ფულითაც, ან წარმოების აქტითაც, რომელშიც ყველა ელემენტი ფარული და გამოუცნობი რჩება, შესაძლოა, შევძლოთ ხელახლა გაცოცხლება. მაგრამ ვიმეორებ, პროდუქტის ელემენტები და შემადგე-

ნელი ნაწილები განისაზღვრება მას შემდეგ, რაც პროდუქტი შეიქმნება. თუმცა, მარქსი და ენგელსი დაჟინებით ითხოვდნენ პროდუქტის შემადგენლობის წინასწარ განსაზღვრას, რათა თავიდან აეცილებინათ ზედმეტი ღირებულება, – მეორე ფარული რამ, რაც ასევე არის მხატვრული აზროვნების ნაყოფი... ეს მართლაც ძალზე ორიგინალური რამაა! მაგალითად: მე ვმუშაობ ექვს საათს, გამოვიმუშავებ ჩემი სამუშაო ძალის საზღაურს და, თუ მე მაიძულებენ, განვაგრძო მუშაობა კიდევ ერთი ან ორი საათით, სწორედ მაშინ მე ვქმნი ზედმეტ ღირებულებას. მომისმინეთ, ეს ხომ სუფთა იდიოტიზმია! აქ ჩვენ მოჯადოებული ვართ სურათით, იმ სურათით, რომელიც „აშკარა თავისთავადობაა“ – სიცხადე საკუთარი თავისა. მაგრამ ეს არის მცდარი სიცხადე, მცდარი ინტუიცია. არ იციან აზროვნება და არ აზროვნებენ, იმიტომ, რომ არ გააჩნიათ ეკონომიკური კულტურა, იმიტომ, *რომ არ გააჩნიათ წარმოების კულტურა, რომელსაც ფუნქციონირებისათვის არ ესაჭიროება მოქმედების ყველა ელემენტის მეცნიერული სურათი.*

ვიმეორებ, რომ კულტურული მოქმედება არის უცნობი, [ის შეიცავს უცნობ ელემენტს]; ამას ვერც ფიზიკური ძალით მიაღწევთ, ვერც – ცოდნით; ეს მიიღწევა მხოლოდ კულტურით, ანუ დროსა და სივრცეში – ოღონდ, კულტურის დროსა და კულტურულ სივრცეში, რომელიც განსხვავდება ფიზიკური დროისა და სივრცისაგან შეძენილი ცოდნითა და გამოცდილებით. ასეთივე მდგომარეობაა სიღარიბისა და სიმდიდრის პრობლემასთან დაკავშირებითაც. ჩვენში მაშინვე იმას ითვლიან, რაც სხვების ჯიბეშია. არ გააჩნიათ კულტურული უნარი თავის შენარჩუნებისა (გაძლებისა) კულტურის დიდ დროში; ეს უკანასკნელი არ არის დრო უშუალო, ფიზიკური სურვილების შესრულებისა და რეალიზაციისათვის, რეაქტიული დრო, ფსიქიკური და ფიზიკური რეაქციის დრო; ეს არის კულტურასა და დიდ კულტურულ სივრცეზე დამოკიდებული დრო. იქ, იმ სივრცეში, შენ უნდა შეძლო და უნდა გქონდეს წარმოსახვისა და ხასიათის ძალა, რათა გაიგო, რომ რაღაც, რასაც ვქმნი, რასაც შენ ხედავ, რაც შენს წინაა, ეკუთვნის ან უბრუნდება ვიღაც სხვას იმ დროს, როდესაც შენ მას ქმნი. მაგრამ ეს რაღაც იმავდროულად შენც ასევე მოგიტანს სარგებელს. მაშასადამე, ნაცვლად იმისა, რომ მანამ გადაწყვეტ და იმოქმედებ, ე. ი. ვიდრე დათვლიდე, რაც სხვების ჯიბეშია და განაწილებულია თანასწორობის პრინციპით, – რის შესა-

ხებაც აფანასიევმა უკვე ილაპარაკა დილის სხდომაზე –, საჭიროა შესვლა კულტურულ დროში, მოქმედების კულტურულ დროსა და სივრცეში. *ჩემს ქვეყანაში მე ვერ ვხედავ ადამიანებს, რომელთაც აქვთ ეს კულტურა. მე ვერ ვხედავ ადამიანებს, რომელთაც აქვთ ეს წარმოსახვა. ეს არის სიმბოლური ცნობიერების სრული რღვევა.*

მე არ ვლაპარაკობ სოციალურ მეცნიერებებზე. მე ვლაპარაკობ იმ ცოდნაზე, თუ რა არის *კულტურა*, რაც არის მოქალაქის გონებაში და არა აკადემიის ან უნივერსიტეტის დეპარტამენტში, სადაც იკვლევენ სოციოლოგიას, სოციალურ ფილოსოფიას და ა. შ. მე ვლაპარაკობ საზოგადოების იმ გაგებაზე, რომელიც თავშია, აგრეთვე საზოგადოებრივი სუბიექტების კულტურულ უნარზე, მოქმედების აგენტებზე, სოციალურ, მატერიალურ, ინტელექტურ არსებობაზე და ა. შ. როდესაც სინამდვილესთან აზროვნების მიმართებით მთელი არსებით დაჟინებით უთითებენ იდეოგრაფიულ საწყისზე, სამყარო წარმოდგება როგორც წმინდა მაგიის სფერო, რაც ძალზე საინტერესოა. ჩვენში არის ისეთი მოვლენები, რომლებიც რეალურია, მაგრამ რეალური მხოლოდ ლიტერატურული მეტაფორების რეალიზაციის აზრით. მე ვიტყოდი, რომ არსებობს ისეთი რეალური მოვლენები, რომლებიც თავს ძალას ატანენ წარმოადგენდნენ ლიტერატურული ხერხებისა ან მეტაფორების მატერიალიზაციას.

როდესაც ვსაუბრობდი კულტურაზე, მე ასევე ვლაპარაკობდი აზროვნების კულტურაზე (ცოტაოდენ პარადოქსულია, მაგრამ ამის აღნიშვნა დამავიწყდა კულტურის ჩემეულ დეფინიციაში). მაგალითად, ისეთი მეცნიერი, როგორიც ლისენკოა, არის ლიტერატურული შემთხვევითობის რეალიზაცია, გოგოლის გმირის ერთგვარი სახე რეალობაში. რეალობა მოქმედებაშია და შეიცავს ფანტასმების მიხედვით მწერალთა მიერ გამოგონილ ლიტერატურულ გმირებს, – ამ შემთხვევაში კი გოგოლის მიერ შექმნილ გმირს! თუ საბჭოთა სინამდვილის ეს ფანტომური მხარე არ ესმით, საერთოდ ვერაფერს იგებენ. დასავლური სიტყვების ან რაციონალური კონცეპტების წმინდა და უბრალო გადატანის შემთხვევაში, საბჭოთა მოვლენები გაუგებარია, ისინი არ არის რეალობა; ამ მოვლენათა მთელი არსი არის ხორცშესხმა იმ ფანტასმებისა, მწერლებმა თავიანთი მხატვრული სტილის მოთხოვნილებისამებრ რომ გამოიგონეს, ე. ი. გააკეთეს სტილისტური სვლა; ეს ასეა გოგოლთან, სადაც, ცხადია, გადმოცემულია რუსული სულის პოტენცია. მაშინ, სწორედ ამგვარ პოტენ-

ციურობას ბაძავენ, – მოქმედების შემდეგ. ვიმეორებ, თუ არ გაითვალისწინებენ ამ ფანტასმურ მხარეს, – არადა, ამ ფანტასმური მხარის გაგება შესაძლებელია მხოლოდ კულტურული ფაქტის სიმბოლური გაგების შემთხვევაში, მაშინ არაფერი ესმით რეალობის შესახებ და ყველა კამათი სხვა არაფერია, თუ არა მხოლოდ კარგოს ტრანსპოზიცია ევროპული რაციონალური კონცეპტებითა და პრობლემებით, რომლებიც ამავე კარგოს არ ცდებიან. *სწორედ ამგვარად ვიქეცით ამ დასკვნების მსხვერპლად სათანადო კონცეპტუალურ ველში ისე, რომ ჩვენთვის არასდროს ყოფილა ხელმისაწვდომი რეალობა, რომელიც არის ის ცხოველი, რასაც ტოტალიტარული საზოგადოება ერქვა. ახლა კი მას პოსტ-ტოტალიტარული საზოგადოება ეწოდება, იმ აზრით, რომ დღეს ამ საზოგადოების ყველა გარეგანი ჯაჭვი გაწყვეტილია, მაგრამ დაშლილ კულტურასა და გაუქმებულ ცნობიერებაში მისი სტიგმები იარებად გვაჩნევია, ხოლო შინაგანი ჯაჭვები კვლავ მთელი გვრჩება.*

ერიკ ჰობსბაუმი: მადლობას ვუხდი მერაბ მამარდაშვილს უაღრესად საინტერესო მოხსენებისათვის არა მხოლოდ მისი შინაარსის გამო, არამედ იმის გამოც, რომ ძალზე კარგად წარმოგვიდგინა გაუგებრობის არსი იმათ შორის, ვინც აღიზარდნენ საბჭოთა კავშირის წიაღში, და მათ შორის, ვინც მის საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ. მიუხედავად ამისა, ერთი აზრი მებადება: მერაბი ვარაუდობს – რუსეთში ხომ არ მიაღწიეს იმ ზღვარს, საიდანაც დაბრუნება შეუძლებელია. ჩემთვის, ისტორიკოსისათვის, ერთი დასკვნა აბსოლუტურად უდავოა; კერძოდ, ისტორიას არა აქვს დასასრული, იგი გრძელდება. ამრიგად, კითხვაზე – „იქნება კი მომავალი?“ პასუხი ყოველთვის ცალსახად დადებითია; ხოლო როგორი მომავლისაკენ მივდივართ? ამ კითხვაზე პასუხს ვეძიებთ და, შესახლოა, დისკუსიის მსვლელობაში კიდეც მივაკვლიოთ მის რაღაც მონახაზს. აქამდე მე ვეძებდი, მაგრამ ვერ ვიპოვე კონკრეტული ახსნა იმისა, თუ რა უნდა იყოს შესაძლო მომავალი როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირისათვის, ისე – მისი შემადგენელი ერებისა და ხალხებისათვის. მაგრამ დღენახევრის სამუშაო კიდევ წინ გვაქვს და, შესაძლოა, საკითხის გადაწყვეტის გზაზე მივიდეთ რაიმე ნათელის გამოვლენამდე.

ჟუჟა ჰეჟედუში: მე ვფიქრობ, რომ ის, რაც ახლახან ბრძანა მერაბ მამარდაშვილმა, ძალზე საინტერესოა. იგი ძალზე კარგად ასახავს აზროვნებისა და განსჯის მოდელის ცვლილების სირთულეს

ისეთ ვითარებაში, როდესაც მომსწრე გავხდით არა მარტო სოციალიზმის საბოლოო კრახისა, არამედ — საბჭოთა სტრუქტურისაც მთელი მისი კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთიკური და ა. შ. შემადგენლობით. მიუხედავად აშკარა პროცესებისა, მაინც ძალზე რთულია ერთიანი ორიენტაციის, ერთი პერსპექტივის პოვნა. სწორედ პოზიციაშია ერთი, ჩემი აზრით, ორაზროვანი ორიენტაცია. ეს არის ის, რასაც იგი უწოდებს „კულტურას", ამასთან გვიხსნის იმას, რომ ამ „კულტურას" ფილოსოფოსები, ტრადიციის თანახმად, უწოდებენ „დედაბუნებას", რუსულ სულს, ქართულ სულს, ფრანგულ სულს და ა. შ. მე კი მას „ინდივიდუალურ ცნობიერებას" დავარქმევდი. სოლჟენიცინის ნოველა „ივან დენისოვიჩის ერთი დღე" გვიჩვენებს, რომ საკონცენტრაციო ბანაკშიც კი არ ძალუძთ მოსპონ აზროვნებისა და შემეცნების თავისუფლება. ჩვენი მომავალი არის იმაში, რასაც ვაცლავ ჰაველი „პერსონალურ ცნობიერებას" უწოდებს. ამ მომავლის გადასაწყვეტად ივ დელაიეს თანახმად, გამოსავალს უნდა ვეძებდეთ არა წარსულში, არამედ უმალ წინ უნდა გავიჭრათ.

როგორ წარმოგიდგენიათ მსოფლიო, რომელიც მუდამ სავსე იქნება კონფლიქტებით, მაგრამ არასოდეს არ მივა სხვის გაძევებამდე, მოსპობამდე? ეს, იქნებ, შესაძლოა იმით, რასაც ეთიკა ჰქვია; ის, რაც ჩვენ, მთელს დასავლეთს გვაქვს თანაზიარად და უგზო-უკვლოდ არასოდეს გამქრალა არც აღმოსავლეთში.

კარგად მესმის, რატომ მიუთითებენ ყოველთვის ნაციონალურ იდენტობაზე ან რატომ ემყარებიან კულტურას. იმიტომ, რომ ასეთი მიდგომა უთუოდ გამოდგება თავის დასაცავად. მაგრამ ამ ტიპის დაცვით ბევრი უბედურების ჩადენამდეც მიდიან. რომ დავუბრუნდეთ კლოდტ ვეისა და შარლ ურევიჩის გამოსვლებს, შემდეგს ვიტყოდი: მართალია, ავსტრია-უნგრეთის მონარქია გამგებლობის ძალზე რთული კონსტრუქციისა გახლდათ, მაგრამ უნგრელებს არასოდეს შეუწყვეტიათ რუმინელების ხოცვა-ჟლეტა, ხორვატებს — სერბებისა, ავსტრიელებს — ჩეხებისა. ჩანს, ძალზე რთული ვითარებებიდან მარტივი გამოსავალი არ არსებობს.

ერიკ ჰობსბაუმი: დიდი მადლობა. ცხადია, შეგიძლიათ უპასუხოთ, ოღონდ ძალზე სწრაფად.

მერაბ მამარდაშვილი: შევეცდები პასუხი გავცე რამდენიმე ძალზე არსებით შეკითხვას. თავდაპირველად ჟუჟას მივმართავ. შევეც-

დები მის ქალურ მხარეს შევეხო ყვავილებზე საუბრით. თქვენ წამოჭერით ინდივიდუალური ცნობიერების დაუმსხვრევლობის პრობლემა. მე თქვენ გეთანხმებით, რადგან შეუძლებელია მისი დამსხვრევა ისევე, როგორც ეს შეუძლებელია უჭკნობ-უკვდავი ყვავილის, სიცოცხლის ყვავილის შემთხვევაში. შეიძლება, მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ მის მოკვლას, სიცოცხლის მოსპობას, მაგრამ ამას ვერასოდეს მიაღწევენ. ეს არ გახლავთ იმის დამსახურება, ვინც შეეცადა სიცოცხლის ხელყოფას! რაც შეეხება ინდივიდუალურ ცნობიერებას, ახლა მივმართავ ივ დელაჰაის. იგი მართალია, როცა ამბობს, რომ სამუშაოს რაღაც ნაწილი ტექსტშივე უნდა დგინდებოდეს. მე მივუთითებ იმ ინდივიდუალურ მცდელობაზე, რაც შეგიძლიათ ნახოთ პოლიტიკურ ტექსტში. ივი იხსენებს თანამედროვე თხზულებათა მაგალითს, მაგრამ გულახდილი თხზულება უკვე არსებობს პოლიტიკური აზრის სფეროში და იგი, სხვათა შორის, სოციალისტურ აზროვნებაში გვხვდება. მე ვგულისხმობ ორუელსა (ის სიცოცხლის დასასრულამდე სოციალისტად დარჩა) და მის „ესპანურ დღიურებს“, რომელიც იყო ტექსტის ისეთ სივრცეში გადანაცვლების მცდელობა, სადაც ინდივიდუალური არსებობა, ინდივიდუალური ცნობიერება, ინდივიდუალური სიცხადეები ხელახლა იქმნება, ხელახლა აიგება, და შემდეგ ტექსტის სრულყოფილების, მისი მყარი, მე ვიტყოდი, კლასიკური ფორმის იქით თანდათან იხსნება ასეთ სივრცეში და სოციალისტური იდეის, როგორც ასეთის, დაფარული სუბსტრატი მთელი სიცხადით ვლინდება. ამიტომაც, ორუელმა შეძლო შეემჩნია სოციალიზმის ტოტალიტარული სახე. აი, ის, რის გამოც ვერ ახერხებენ ინდივიდუალური ცნობიერების დანგრევას. საკამათოდ არ მითქვამს, უბრალოდ ზოგიერთი საკითხი დავაზუსტე.

დავუბრუნდეთ საკონცენტრაციო ბანაკის თემას და სოლჟენიცინის ნოველას, რომელმაც თქვენ სრულიად საფუძვლიანად მოგაჯადოვათ. სწორედ აქ ჩანს ბანაკების ექსპერიმენტის მწვავე საკითხი, რაც მწერალსაც ასეთივე სიმწვავით აქვს დახატული. აქ, – ბანაკების გამოცდილებაში, – ჰუმანისტური აზროვნების ილუზიებსა და ცრურწმენებს აწყდებიან, მათ შორის, სოციალისტური აზროვნების ცრურწმენებსაც. მეორე მწერალმა, სოლჟენიცინის კოლეგამ, შალამოვმა, ზუსტად დასვა მახვილი ამ დრამატულ საკითხზე როგორც ევროპისათვის, ისე – რუსეთისათვის. მან ნათელყო, რომ *ბანაკის ექსპერიმენტი არ არის სიცოცხლის გამძლეობის დამადასტურებე-*

ლი, არამედ ეს არის ამ ექსპერიმენტის უსარგებლობის, გამოუსადეგრობის ილუსტრაცია. ამ ტრაგიკულმა ექსპერიმენტმა მილიონობით ადამიანის სიკვდილი გამოიწვია, მისგან შეუძლებელია რაიმეს სწავლა, მისგან სიბრძნისდაგვარიც კი არაფერი გვეძლევა. პოეტი და ესეისტი ჩესლავ მილოში ამ ტიპის მაგალითზე, ექსპერიმენტზე ფიქრობდა, როდესაც *მწარე და უსარგებლო ცოდნაზე* ლაპარაკობდა. შალამოვს, მართლაც გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მწარე ცოდნა უსარგებლოა. თავის კორესპონდენციებში, მიმოწერაში, იგი ამაში რუსულ ლიტერატურას სდებდა ბრალს, რომელიც ჰუმანისტური აზროვნების, მორალური ცნობიერებისა და ეთიკური ქცევის მწვერვალია. იგი ბრალს სდებდა რუსული ლიტერატურის ტრადიციას, დიდ კლასიკურ ლიტერატურას: „ჩვენ მოგვატყუეს, როცა ადამიანის თაობაზე წერდნენ და აი, ადამიანი! რუსულმა კლასიკურმა ლიტერატურამ ჩვენ არ გაგვაფრთხილა, წინასწარ არ გვაცნობა“. ორუელმა კი პოლიტიკურ ტექსტში არაკლასიკური თხზულებით დასვა მახვილი ტოტალიტარულ საფრთხეზე, რაც რუსულმა ლიტერატურამ, შალამოვის აზრით, ვერ შეძლო გაეკეთებინა. ეს ძალზე მნიშვნელოვანია და ძალზე საკამათოც, მაგრამ ვიმეორებ, – ეს არის ცენტრალური საკითხი ჩვენი, როგორც თავისუფალი ადამიანების, მგრძნობელობისა, თუნდაც გულჩვილობისა, ჩვენი, ვინც ვცდილობთ ცოტაოდენ ფილოსოფოსობასა და გაკვეთილებიდან დასკვნების გამოტანას.

ერიკ ჰობსბაუმი: დავსძენ, რომ ჯორჯ ორუელი სიკვდილამდე სოციალისტი დარჩა. ეს ასეა, ამას აღნიშნავს ორუელის ბიოგრაფოსი – ბერნარდ კრიკი – ჩემი მეგობარი და კოლეგა.

ახლა დავხუროთ სხდომა და შევისვენოთ 17 საათამდე.

შაბათი 12 მაისი, 1990 წელი, 17 საათის სხდომა.

ანტონინ ლეიმი: დიდი მადლობა. მოვუსმინოთ მერაბს, რომელიც, ალბათ, მხიარულ თემაზე ისაუბრებს, მაგალითად, „შავ ჭირზე“ ოდესაში.

მერაბ მამარდაშვილი: დიახ, ვიღებ ჩემ თავზე იმ პირის როლს, ვინც ოდესაში შავი ჭირის შესახებ ისე საუბრობს, როგორც რაღაც ყველაზე მხიარულ რამეზე!

მე ახალ განსაზღვრებას მივცემ საბჭოთა კავშირის მდგომარეო-

ბას და ვიტყვი, რომ ეს ქვეყანა არ არის ადამიანის საცხოვრებელი ადგილი. პრობლემის პასუხს მიკროსკოპული დონე ესაჭიროება. ქვეყანაში უნდა შექმნილიყო მილიონობით და მილიონობით პატარა locus-ები, – საცხოვრებელი ადგილები ადამიანთათვის, მათი ყველაზე უფრო მარტივი და ბუნებრივი გამოხატულებებითა და მოთხოვნილებებით. საბჭოთა კავშირში კი სრულიად მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი მდგომარეობაა – ადამიანები გატანჯული არიან წმინდა და მარტივი ირაციონალიზმით, რადგან ტოტალიტარულ სისტემაში ბუნებისა და საზოგადოების სპონტანურ ძალთა ირაციონალობაც სახელმწიფოს მიერ „იმართება“. არადა, სწორედ სახელმწიფო, სახელმწიფოებრივი სტრუქტურა ავრცელებს თავის გარშემო ირაციონალურობას და არვის ძალუძს ამის შეჩერება. ამიტომაც, როცა საბჭოთა პრობლემის გადასაწყვეტად გამოსავალს ეძებენ, ყოველთვის ტრიალებენ მთელი საზოგადოების მომცველი რაციონალური მართვის არტახებში.

აქ არალის ზღვის მაგალითი დაასახელეს. ადამიანური აზროვნებისა და ჩვენი პოლიტიკური გამოცდილებისათვის *საკმარისი უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი საფრთხის, კატასტროფის დადგენა, რომ შეცვლილიყო ადრინდელი გადაწყვეტილება.* ეს ერთი წელია, რაც დაადგინეს ამ ტბის სავალალო მდგომარეობა, მაგრამ მე გარწმუნებთ, მისი გამომწვევი მიზეზები, პროცესები კვლავაც გრძელდება. თითქოსდა, ჩვენ გვმართავდეს შეშლილი მანქანა, რომლის გაჩერებაც არ ძალუძთ მთელი იმ გამაფრთხილებელი ინფორმაციისა და მხილებების მიუხედავად, რაც წინასწარ იქნა გაკეთებული. მეორე მაგალითი: ჩერნობილი, ატომური კატასტროფა. იმ დღეს, როდესაც ეს უბედურება მოხდა, ჩემს თავს ვუთხარი: აი, ნამდვილი ჩერნობილი! როგორია ჩერნობილის შესახებ სიმართლე? ეს არის ის სინამდვილე, რომელიც ავლენს რეჟიმისა და სისტემის ნამდვილ ბუნებას. მომხდარი ფაქტის შემდეგ როგორი იყო რეჟიმის გადაწყვეტილება? ეს იყო სასწრაფო გეგმა მთელი იმ რაიონის ჩაკეტვისა, რომელიც ატომურმა კატასტროფამ მოიცვა, სადაც საფრთხე შეექმნა მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს; ოღონდ არავის არაფერი არ უნდა გაეგო, არ უნდა გაჟონილიყო რაიმე ცნობა. ეს არის სისტემის ნამდვილი სახე, ჭეშმარიტი სახე რეჟიმისა. ამ განზრახვამ არ გაჭრა, რადგან ამჟამად მსოფლიო ჩაკეტილი აღარ გახლავთ, ნურც ღრუბლებს დავივიწყებთ, ერთი საზღვრიდან მეორეზე რომ გადადიან.

მართალია, შემდგომ ყველაფერი გამჟღავნდა, მაგრამ ეს უგუნურება ოთხ დღეს გაგრძელდა; ამ უგუნურების საჭირბოროტო მიზეზები კვლავ წარმოიქმნება და ანგარიშგასაწევია.

თითქოს ყველაფერი ითქვა, ყველაფერი გავიგეთ, მაგრამ ეს მიზეზები განაგრძობს მოქმედებას. ხელისუფალნი მოქმედებენ ტოტალიტარული სიჩუმის გამანადგურებელი კანონის მიხედვით, მილიონობით მსხვერპლთა მიმართ ტოტალური ზიზღის გრძნობით. ერთი მშვენიერი, სავსებით ფროიდისტული ლაფსუსიც კი მოხდა, ჩემი ყურით გავიგონე ტელევიზიის დიქტორისაგან. მას უნდა ეთქვა – *„კატასტროფის შედეგების ლიკვიდირება“* და ამის ნაცვლად თქვა: *„კატასტროფის მსხვერპლთა ლიკვიდირება“*. ეს იყო ლაფსუსი, მაგრამ სიმართლე.

სისტემის მანქანას ვერც სოფლის მეურნეობაში აჩერებენ. მე მინდა ვთქვა, რომ, რაკი რაღაც ერთი სისტემა ჩამოყალიბდა გარკვეული პირობების საფუძველზე, – არადა, ეს იყო ჩვენში ცხოვრების ყველაზე დაბალი პირობები, ე. ი. მონობის ყველაზე ვრცელი ბაზა, მთელი სოციალური ფორმაცია ილტვის რომ მისი პირობები და საფუძვლები კვლავ შეინარჩუნოს, ან აღადგინოს, როგორც მისივე აქტიურობის შედეგი. მაგალითად, აღარ შეუძლიათ მდინარეებისათვის კალაპოტის შეცვლის დიდი პროექტის შეჩერება, მიუხედავად იმ მხილებებისა, რაც იყო პრესაში, მიუხედავად იმ კრიტიკისა, – განსაზღვრების თანახმად ულტრა-დემოკრატიულ მცდელობად რომ იწოდება, – არ შეუძლიათ და რატომ? იმიტომ, რომ თავად ეს გეგმები ოციან წლებში შეიქმნა საკონცენტრაციო სამყაროსა და მონური შრომის გამოყენების გეგმის საფუძველზე.

ამჟამად მონობის ბაზა მატერიალურად გაქრა, მაგრამ სტრუქტურა რჩება და კვლავ იქმნება, როგორც იმ რაციონალური მანქანის გეგმა თავისსავე რაციონალურობაში რომ დაკარგა გონი. მთელი ირაციონალიზმი გადატანილია სოციალურ და ეკონომიკურ ორგანიზაციაზე. ამის შესაჩერებლად სხვა არავითარი საშუალება არ არსებობს, გარდა ერთადერთი საშუალებისა – ესაა შეუმჩნევლად მოქმედება სისტემის საპირისპირო მილიონობით ქმედებაში, რაც რეალიზდება ყველაზე უმარტივესში – ეკონომიკურ გაცვლა-გამოცვლაში, აზრთა გაცვლა-გამოცვლაში. ცხოვრება ითხოვს, რომ ჩვენი გარემომცველი გარემო საცხოვრებლად ვარგისი გავხადოთ, ჩვენში კი ეს ასე არ არის. მაგალითისათვის, წადით და ნახეთ საბჭოთა ქვეყნის

შიდა აეროპორტი, სადაც ადამიანები პირუტყვივით გადაჰყავთ. როგორ შევცვალოთ ეს? აქ არის ჩემი ქვეყნის პრობლემა და არა დიდ დისკუსიებში იმპერიათა თაობაზე. თითოეული ეს წვრილმანი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის ცხოვრებაში. ახლახან მე თქვენ გეუბნებოდით, რომ საბჭოთა პირობებში პირადი ცხოვრება არ იყო კერძო ცხოვრება; ასეთი გაგება მარქსიზმმა და სოციალიზმმა თავიდან აიცილა. მე მინდა დავძინო, რომ *სიცოცხლე, როგორც ასეთი, არის გენიალური განსაკუთრებულობა ან ფამილიარობა; ეს არის მხოლოდ ერთი გენიალური დეტალი (წვრილმანი) და სხვა არაფერი.* ჩვენ ვცდილობთ, დავუბრუნდეთ სიცოცხლეს, მაგრამ ამის გაკეთება ხდება სრულ სასოწარკვეთილებაში. ამ უკანასკნელს იწვევს „დიდი გეგმა“, რადგან ამგვარი „დიდი გეგმით“, „დიდი ზრახვებით“ სოციალისტური ცხოვრების დიდ მანქანას ვერ გააჩერებენ. საჭიროა გადანაცვლება ყოველდღიურობაში, ყოფითობაში, საჭიროა ახალი სოციალური და ეკონომიკური ქსოვილის ხელახლა, აგურ-აგურ შექმნა. ეს, მართლაც, უიმედო საქმეა!

გადავიდეთ ევროპელთა ურთიერთობებზე საბჭოთა კავშირთან. ჯერ ერთი, ლიტველებს უფლება აქვთ *არაფრად ჩააგდონ* საბჭოთა კავშირის დიდი პრობლემა, რომლის განხორციელებაზედაც ისინი არ არიან პასუხისმგებელნი, მათ არ ეხებათ გორბაჩოვის შიდა პრობლემა. რა არის მათი ამოცანა, დაეხმარონ საბჭოთა სისტემას და მისი არსებობის საძირკველს ძირი არ გამოუთხარონ? ეს სისტემა ხომ მათთან მივიდა, რათა მათ ქვეყანას დაუფლებოდა?! მაშ რატომ და რით არიან ისინი ვალდებულნი, მონაწილეობა მიიღონ იმ სისტემის შეცდომების გამოსწორებაში, რომელიც მათი არ არის? მე გეთანხმებით, აშკარაა, რომ ამ პატარა ხალხს, რომელიც ორ ძლიერ სახელმწიფოს შორისაა მოქცეული, მსხვერპლად წირავენ ისე, რომ მას არ უტოვებენ უკან დასახევ გზას და ეს ყოველივე ხდება ღრმა თეორიული ანალიზის გარეშე. საქართველოსთვისაც ასევეა, მაგრამ სხვაობა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ქართველები, თუ შეიძლება ითქვას, ბევრად უფრო პასუხისმგებელნი არიან თანამედროვე სიტუაციაზე, ვიდრე – ლიტველები. საჭიროა ვაღიარო, რომ ქართველმა ხალხმა აქტიურად მიიღო მონაწილეობა საბჭოთა სტრუქტურების შექმნაში თავისი ადამიანებით, თავისი ენერგიით, ინიციატივითა და წარმოსახვით. სწორედ ამიტომ, ჩვენ, ქართველებმა, საკუთარ თავს უნდა შევხედოთ სარკეში და პასუხისმგებლობის რა-

ღაც წილი ჩვენს თავზე ავიღოთ. თუ შეიცავს ირაციონალურობას ის აზრი, რაც მე ახლა გამოვთქვი, ევროპელთა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან შესაძლებელია, ოღონდ ეს უნდა იყოს ურთიერთობა მხოლოდ ჰეროიკული სტოიციზმის სფეროში. იგი იქნება შემდეგი სახისა: *საჭიროა, ისწავლო ან ხელახლა ისწავლო სიკვდილი.* თეორიულად არსებობს ისეთი მოვლენები, რომლებიც ჩვენთვის გარკვეულ საფრთხეს შეიცავენ. მაგალითად, აგური, რომელიც შეიძლება თავზე დაგეცეს. მაგრამ, რადგან არ შემიძლია დიალოგი გავმართო აგურთან, რომელიც არ არის შესაბამისობაში ადამიანურ არსებობასთან და არ გააჩნია შინაგანი ცხოვრება, მე არ შემიძლია აგურის ან აგურის შესახებ ჩემი აზრის გადაქცევა ჩემი შინაგანი ფსიქოლოგიური ცხოვრების მუდმივ ელემენტად და აგურის შესახებ აზრთან ერთად ცხოვრება. ეს მე აბსოლუტურად მომსპობდა. აგური ჩემთვის, ადამიანისათვის, შეუღწეველია, რაკი მას არა აქვს ჩემს წინააღმდეგ რაიმე განზრახვა მაშინაც კი, როცა მას შეუძლია მომკლას. მსგავსად ამისა, ავიღოთ საბჭოთა კავშირი, რომელიც შეიძლება თქვენ ან ჩვენ აგურივით დაგვეცეს თავზე, მაგრამ შეუძლებელია, ეს აგური ვაქციოთ ევროპული შინაგანი სამყაროს რეფლექსების შინაგან ნაწილად, რადგან ნგრევა გარდუვალი იქნება.

სოციალური ფსიქოლოგიის სტრუქტურები ინდივიდუალური ფსიქოლოგიის სტრუქტურების მსგავსია. ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ჩატარებული ცდები მოწმობენ უკიდურეს ვითარებაში ადამიანის მიერ შეგრძნების დაკარგვას. როდესაც ინდივიდი დგას ტელევიზორის ეკრანის წინ და ეკრანი უჩვენებს ამოსახსნელ დავალებას, რაც მოკლებულია მწყობრ, სტრუქტურულ წყობას. ამ დროს არც ერთი სტრუქტურა პრინციპულად გასაგები არ არის, მაგრამ ეკრანის წინ მყოფ სუბიექტს აიძულებენ, მოახდინოს კონცენტრირება, რათა გაიგოს ის, რაც პრინციპულად გაუგებარია; ამგვარ პროცესში ხედავენ, რომ სუბიექტის ცნობიერების სტრუქტურები ირღვევა და ისპობა კიდეც. ეკრანის წინ მდგომმა საბრალო, ბეჩავმა ადამიანმა შედეგად რა მიიღო? არაფერი! იმიტომ, რომ მან დაჟინებით მოინდომა ზეწოლა მოეხდინა თავისი გაგების უნარზე, მიხვედროდა ამოსახსნელის სირთულეს, მისი მცდელობა კი გაუგებარმა, ამოუხსნელმა ობიექტებმა დაანგრიეს. სწორედ ასე შეუძლია საბჭოთა კავშირს, დაანგრიოს ევროპის ინტელექტუალური უნარი, თუ ერთ მშვენიერ დღეს არ გადაწყვეტენ, რომ თავიდან ააცილონ თავიანთ

შინაგან სტრუქტურებს აგური, რომელსაც, – და ეს სრულიად შესაძლებელია, – შეუძლია, მათ თავზე დაეცეს და ატომური ბომბივით აფეთქდეს; აქედან გამოსვლას კი ვეღარ შეძლებენ. *საჭიროა ვისწავლოთ ან ხელახლა ვისწავლოთ სიკვდილი. და მაშინ, იქნებ, ვაჟკაცური სიკვდილით ხელახლა გახსნილ სივრცეში ვიპოვოთ ისეთი რაიმე, რაც სიცოცხლის განგრძობას შეგვაძლებინებს.*

ერიკ ჰობსბაუმი: სიკვდილი თუ მოკვლა?! თითოეული პასუხს აგებს საკუთარ სიკვდილზე, მაგრამ თუ მისი სიკვდილი იწვევს მილიონობით სხვათა განადგურებას, მაშინ მორალური პრობლემა განსხვავებულად დგება.

ანტონინ დიემი: ალბათ, საჭიროა ითქვას, რომ ოდესაში შავი ჭირი საბჭოთა იმპერიის დეზინტეგრაციის პრობლემაზე მართლაც ბევრად უფრო მხიარული მოვლენა არ არის, – თუ მე კარგად გავიგე.

მერაბ მამარდაშვილი: რა თქმა უნდა, ეს ასეა! სწორედ ამიტომ მინდოდა, წინასწარ მეთხოვა თქვენთვის პატიება...

მსურს ერთი შენიშვნის დამატება ნაციონალურ პრობლემაზე. აქამდე საგულდაგულოდ ავარიდე თავი ამ საკითხს, მაგრამ თავს მოვალედ ვთვლი, როგორც ქართველი, ამის შესახებ რამდენიმე სიტყვა მაინც ვთქვა. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რაც ძალზე კარგად თქვა იური აფანასიევმა და რაც, შესაძლოა, შეუმჩნეველი დარჩა. მან შენიშნა, რომ ყოველთვის მოსკოვში ეძებენ უნივერსალურ გადაწყვეტილებებს. ამით იგი აღნიშნავდა, რომ კოლონიზატორული აზროვნება გრძელდება. დიახ, სწორედ ეს არის ნაციონალური პრობლემა. ყოველთვის ამტკიცებენ, რომ მოსკოვშია დაფუძნებული ცენტრალური აზროვნება, რომლითაც ხელისუფალთ სურთ განსაზღვრონ ერთა უფლებები, რესპუბლიკათა უფლებები; რომ ცენტრში, – მოსკოვში, უნდა შეიმუშაონ რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა და მათი ეროვნული ცხოვრების გეგმა; ეს უდავოდ ხდება იმ გარკვეული თეორიების საფუძველზე, თუ რა არის ერი. ეს იგივე ირაციონალური ძალაა, რომლის შესახებაც მე ვლაპარაკობდი: ერთა ხელახალი მოწყობა ისეთივე უნივერსალური გეგმაა, როგორიც მდინარეთა ბუნებრივი დინების შეცვლა, რის გაკეთებასაც ამჟამადაც ცდილობენ საბჭოთა კავშირში. ეს მომდინარეობს იმ კომუნისტური ოცნებიდან, რომლის თანახმადაც, ბუნება სრულად ემორჩილება გნოსტიკური ფორმით ადამიანურ წამოწყებას.

ჯერ ერთი, მე მჯერა, რომ ერი არის ისეთი ნივთი ან საგანი,

რომელზეც არ შეიძლება თეორიის შექმნა. არ არსებობს ერის თეორია, იმიტომ, რომ, როგორც რენანი ამბობდა: „ერი არის ისეთი სუბიექტი, რომელიც იქმნება გამუდმებით, ყოველ დღე, ყოველ წუთს პლებისციტის საშუალებით“.

ეთნოსის თეორია, იქნებ, შესაძლებელია, მაგრამ ერის თეორია – არა, რადგან ერი არის ის, რადაც იქცევა ეთნოსი კონსტიტუციური მოწყობის პროცესში, მაშინ, როცა იგი ერთვება კამათში, რომელიც აგორაზე მიმდინარეობს, ამ სიტყვის ბერძნულენოვანი მნიშვნელობით; როდესაც იგი მიმართავს კრიტიკულ რეფლექსიას საკუთარ თავზე, რაც ევროპის შემთხვევაში გადის განსაკუთრებით დიდი ქრისტიანული იდეალების მიჯნაზე, ხოლო სხვა შემთხვევებში, ალბათ, რომელიმე სხვა რელიგიის იდეალების კვალდაკვალ. ამ პროცესების შედეგად ეთნოსი იძენს შინაარსს, რასაც ერი ეწოდება. ეს არის ისტორიული ერთობა ან ისტორიული ხვედრი, რომელიც იქმნება ეთნოსის ამგვარი საქმიანობით; ამ უკანასკნელის გარეშე, ეს საგანი არ არსებობს. სწორედ იმ სამუშაოს წიაღში, რასაც *პლებისციტი* ან *კონსტიტუცია* ეწოდება, იძენს არსებობას ერი. როგორ გინდა შექმნა მასზე თეორია? როგორ უნდა გაიგო, რა არის ქართველი ერი? რა უფლება ექნებოდა ამ თეორიას ლიტვაში ან რომელიმე სხვა რესპუბლიკაში ეს კონსტიტუციური პროცესი რომ გამოეწვია ან აემუშავებინა?

თუ არ გაჩნდება ისეთი ძალა, რომელიც *გაბედავს, გარისკავს* და დაუშვებს, რომ ისტორიამ იაროს თავისი ბუნებრივი გზით და არა სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიმართულებით (რაც მიზნად ისახავდა, გამოეწვია ისეთი საყოველთაო მოძრაობა, როგორიც იყო აქამდე), თუ არ შეწყდება „ხალხების მაგივრად გადაწყვეტილებების მიღება“, ჩვენ ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის არავითარი შანსი არ გაგვაჩნია. საკუთარი თავის დადგენა კონსტიტუციის შექმნის პროცესის კვალდაკვალ, ერთდროულად ქმნის სუბიექტებსაც და კონსტიტუციასაც. ეს არის უეჭველობა; ეს არის ევროპული გამოცდილება, რომელიც გვიჩვენებს, რომ კონსტიტუცია არის ისეთი სამყარო, სადაც „კონსტიტუციის ღირსი ადამიანები იქმნებიან და იბადებიან“. ჩვენ წინაშეა ამოცანა – დავბადოთ ქართველი ერი. როგორ გავიგოთ აპრიორი ის, თუ რას მოგვცემს ქართველი ერი, ან როგორია ქართველთა უფლებები? როგორ უნდა განსაზღვრონ მოსკოვში ის, თუ ვინ იქნება სომეხი ერი, ლიტველი ერი... მაშინ

მოსკოვში თავმოყრილი უნდა იყოს ისეთი ძალები, რომელთაც ექ-ნებათ უნარი, შექმნან უნივერსალური გეგმა, რომელიც დღეს სრუ-ლიად ირაციონალურად ქცეულა და ვისაც შეეძლება რესპუბლიკე-ბის ნდობა მოიპოვოს. ამ პერსპექტივაში ჩანს საპრეზიდენტო ძალა-უფლების სიმბოლო. ცხადია, მე არ შემიძლია თავდებობა გორბაჩო-ვის შინაგან მენტალიტეტზე, მაგრამ მისი ძალაუფლება იმდენად, რამდენადაც იგი გაგებულია როგორც არა-პარტიის ძალაუფლება და თავსდება პარტიის კონტექსტის მიღმა (ეს მაშინ, როდესაც საბჭო-თა სახელმწიფო ეს არის სახელმწიფო-პარტია), წარმოადგენს ახა-ლი ტიპის ძალაუფლებას, რომლის ბუნებრივი მოკავშირეები არიან რესპუბლიკაში არსებული ავტონომიური ძალები. რატომ? იმიტომ, რომ ეს ავტონომიური ძალები შექმნიან თავიანთ საკუთარ კონსტი-ტუციებს. გორბაჩოვს შეიძლება ჰყავდეს მოკავშირეები იმ სპონტა-ნური მოძრაობებით, როგორიცაა უმცირესობათა მოძრაობა საბჭოთა კავშირში.

მაშასადამე, თუ პრეზიდენტი, რომელიც იდგება ნომენკლატურა-ზე მაღლა, არსებულ პოლიტიკურ კლასზე მაღლა, ალიანსს შექმნის რესპუბლიკებთან, (ამ უკანასკნელთ ჯერ კიდევ არა აქვთ კონსტი-ტუცია), ტოტალიტარული კლასის ბუნებრივ მტრებთან – ე. ი. მუშების, მაღაროელების ან სხვების არატრადიციულ სპონტანურ მოძრაობებთან. ასეთ დროს სწორედ ეს ძალები შეძლებდნენ – ჩა-ექროთ არსებული პოლიტიკური კლასის წინააღმდეგობა. ამ უკანას-კნელს საფუძვლად ედო *ინერტულობა*; Homo Sovieticus-ში იყო საბჭოთა ტოტალიტარული ძალაუფლების სოციალურ-ადამიანური საფუძველი; სწორედ ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა სახელმწიფო არის ხალხის სახელმწიფო, თუ ხალხში იგულისხმე-ბენ Homo Sovieticus-თა ერთობლიობას.

მერაბ მამარდაშვილი: ერთ კითხვას, რომლითაც ჩეზარე რიკი დი ანჯელომ იური აფანასიევს და მე მოგვმართა, ჩვენ ნაწილობრივ უკვე ვუპასუხეთ ადრე; იგი ეხება ევროპის მონაწილეობას საბჭოთა კავშირში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს. იგი ახსენებს სახელ-მწიფო კაპიტალდაბანდებებს, რაც შეიძლებოდა შეფასებულიყო და გამოყენებულიყო საერთო ეკონომიკურ გეგმაში. მე მსურს, მას ვუ-პასუხო: თუ ფორმულა: *მდიდარი სახელმწიფო – ღარიბი ხალხი* – ღირებული იყო საბჭოთა კავშირისათვის წარსულში, ამჟამად ფორ-

მულა: *ღარიბი სახელმწიფო – ღარიბი ხალხი* – არის ის, რაც მას დღეს შეესაბამება. სახელმწიფოს არ გააჩნია კაპიტალდაბანდებები იმ აზრით, რომ „საბჭოთა სახელმწიფოს ყველა კაპიტალდაბანდება არის მკვდარი კაპიტალდაბანდება“. ეს კაპიტალდაბანდებები ჩადებულია რკინის ნამტვრევებში, – მათ შორის, სამხედრო ნამტვრევებშიც, – მიწაში, რომელიც არ იძლევა შემოსავალს, დიდ კონსტრუქციებში, რომლებიც არასოდეს მიდის ბოლომდე. ეს არის გამოუყენებელ ნივთებში დატყვევებული კაპიტალდაბანდებები. ეს სახელმწიფო, რომელიც ასე მდიდარი ჩანს, თავის რესურსებს თავისსავე მკვდარ ნაწილში ამწყვდევს.

სხდომის ერთ-ერთი მონაწილე: ვფიქრობ, რომ ეს ერთობ საინტერესო კოლოქვიუმია და ყველას მადლობას ვუხდი. მაგრამ თქვენში ძალზე ჭარბადაა პესიმიზმი, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის რეალური მდგომარეობით და რაც კარგად იქნა წარმოჩენილი. მაგრამ თქვენ, როგორც მეცნიერებმა, უნდა დასძლიოთ ეს სასოწარკვეთილება. საჭიროა, იმედი ჩაუნერგოთ ახალგაზრდობას და იმ მასწავლებლის ბავშვებს, ახლახან რომ მოითხოვეს სიტყვა. რაღაც ხომ უნდა აშენდეს! მე ასევე მეჩვენება, რომ პერესტროიკის მიმართ გამოთქმულ კრიტიკაში საკმარისად არ უწევდით ანგარიშს დროში ევოლუციას. ძალზე ჩქარი სვლა საუკეთესო საშუალებაა თავ-პირის დასამტვრევად. აღნიშნულის შემთხვევაში გაიგებდით სიმართლეს. ნუ ივლით ძალზე სწრაფად! მე არქიტექტორი ვარ და ოცსართულიანი სახლი რომ ავაშენო, ათი მეტრის სიღრმეზე ვასხამ ფუნდამენტს. ასეთ წუთებში მთელი არსებით საძირკველში ვარ, ვასხამ ბეტონს ისე, რომ გადახურვაზე არ ვფიქრობ. სახურავი თავის დროზე უნდა გაკეთდეს და ფიქრიც მის შესახებ მაშინ მოვა. ის, რაც მე ვთქვი, თქვენ, ალბათ, ცოტა მიამიტურადაც კი მოგეჩვენებათ, შესაძლოა, ცოტა კატეგორიულადაც, მაგრამ არ ვისურვებდი, რომ ასეთი სასოწარკვეთილი სევდის განწყობილებით დაგვეტოვებინა შატოვალონი.

მერაბ მამარდაშვილი: მე თანახმა ვარ, იმედი არ დავკარგოთ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ სხვებისათვის იმედის მიცემა ეს არის საბჭოთა ადამიანების თითქმის პროფესიული საქმიანობა მთელი ამ ხნის განმავლობაში. ეს 1917 წელს დაიწყო! სწორედ ამიტომ დღეს ჩვენ შევეცადეთ ცოტაოდენ დაგვენახვებინა სხვა სახე იმისა, რაც თქვენ საიმედოდ მიგაჩნიათ – იმისი სახე, რაც დუმილის მიღმაა, რაც იმ ზღურბლს იქითაა, რასაც ჩვენ ჩვენი ევროპული ყურით

აღვიქვამთ. მაშინ, როდესაც აქ იმედის საყვირების ხმა სწვდებოდა ადამიანთა სმენას, ჩვენ ჯვარცმულებად გამოვიყურებოდით ევროპელთა თვალში, ჩვენ ვეგონეთ ბედნიერები და მშვენიერები, განწესებულნი წინასწარ განსაზღვრული, ყველასათვის იმედის მომტანი ცხოვრებისათვის. ეს სწორედ ისაა, რაც მე მსურდა მეცნობებინა, – ამ იდეალური იმედის სხვა სახე. მე ოპტიმისტი ვარ სიტყვის ნიცშესეული აზრით. იგი ამბობდა: „მხოლოდ იმ პირობით, რომ უნდა მიაღწიოთ უკიდურეს სასოწარკვეთილებას, მაშინ იშლება თქვენ თვალწინ სიცოცხლით სავსე ველი Heiterkeit-ისა (მხიარულებისა), – იმ ტრაგიზმისა“. მერწმუნეთ, მე ძალიან მხიარული ადამიანი ვარ!

13 მაისის სხდომაზე ოთხი მომხსენებელი გამოვიდა. მათი საუბრის თემები ეხებოდა ორი გერმანიის – ფედერაციულისა და დემოკრატიულის პრობლემებს. კამათში მონაწილეობა მიიღო მერაბ მამარდაშვილმაც.

მერაბ მამარდაშვილი: ერთ საკითხს შევეხები, რათა უკეთ გავიგოთ ჰაინც ვაისმანის გამოსვლა. როგორია ცნობიერების პრობლემის გავლენა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში? ფედერაციული გერმანიის მოსახლეობამ, მათ შორის ინტელექტუალებმაც, ცნობიერების ნამდვილი კრიზისი გაიარა. მას ნაციზმისაგან თავის დაღწევა უწოდეს. დემოკრატიული გერმანიის შემთხვევა კი სრულიად სხვაა. როგორი იქნება მომავალში ამ პრობლემის მნიშვნელობა პოლიტიკურ მოვლენებში, განსაკუთრებით, თუ გაითვალისწინებენ, რომ *ეს არის კონკრეტული და კერძო შემთხვევა პრობლემისა, რაც უფრო ფართოა, ვიდრე აუთვისებელ წარსულთან შეხვედრის პრობლემა.* ეს ისეთი შემთხვევაა, რომელიც, შესაძლოა, ძალზე მტკივნეული და ფეთქებადი იყოს.

ამავე საკითხის ერთი ნაწილი ეხება ინტელექტუალთა როლის განსაზღვრას. მათ შეუძლიათ თქვან: „ჩვენ ვართ ხალხი“, ასევე შეუძლიათ თქვან: „ჩვენ ვართ ერთი ხალხი“. მაგრამ აქ არის ერთი ნიუანსი, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია პრობლემის დასადგენად. ფრაზა, რომელსაც მე მოვიტან, გაჩნდა რუსეთში; იგი ჩეხოვის ბაგეთაგან წამოვიდა. მე მას ასე ვთარგმნი: „ჩვენც, ინტელექტუალებიც, ხალხი ვართ“.

ჰანს ვაისმანი: დასკვნის სახით ვიტყოდი, რომ გერმანიის ფედე-

რაციულმა რესპუბლიკამ უნდა აიტანოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთა ზომაგადასული ემოციურობა და სევდა.

მერაბ მამარდაშვილი: მაშინ, ნაცვლად იმისა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და ფედერაციული რესპუბლიკა გავაერთიანოთ, გთავაზობთ, – იგი რუსეთს შეუერთონ, რათა თქვენ მიერ წამოჭრილი პრობლემა გადაწყდეს. აქ, რუსეთში, თქვენ დაგხვდებათ აბსოლუტურად ისეთივე სითბო და ოჯახური სოლიდარობის იგივე ტიპი, რომელიც თქვენ ახლახან აღწერეთ.

ანტონინ ლეიმი: აღმოსავლეთი-დასავლეთი – ეს პრობლემა, მართლაც, ძალზე საინტერესოა, მაგრამ დრო აღარ გვაქვს განსახილველად. მერაბ, სიტყვის თქმა გსურს?

მერაბ მამარდაშვილი: არის მოსაზრება აღმოსავლეთში განვითარების სხვა ფორმების შესაძლებლობის თაობაზე? დიახ, არის! მაგრამ პასუხი იმის სრულიად საპირისპირო იქნება, რასაც თქვენ ჩემგან ელით. დაბალგანვითარებული მესამე მსოფლიოს ქვეყნების პრობლემა, დანახული იმ პირთა თვალით, ვინც მდიდარი ევროპისა და შეერთებული შტატების გამო თავს იდანაშაულებენ და ამბობენ, რომ თავიანთი სიმდიდრე ღარიბი ქვეყნების ხარჯზე შექმნეს – ეს პრობლემა სიმეტრიულია იმ პრობლემისა, რაზეც მტკივნეულად ფიქრობენ საბჭოთა კავშირში. ეს არის რუსი ინტელიგენციის მიმართების პრობლემა რუს ხალხთან. *სწორედ რუსი ინტელექტუალების ბრალეულობის გრძნობამ შექმნა საბჭოთა ქვეყნის მომავალი კრახის საფუძვლები.* ეს სამწუხარო სტერეოტიპი დასაგმობია, საჭიროა მისი უარყოფა და ძირფესვიანად ამოგდება საკუთარი სულიდან, რათა მოხდეს გზის გაკაფვა მსოფლიოს რეალობისაკენ, თავისუფლებისაკენ. ამ გზით შეიძლება მომავლის დანახვა. ეს ორი პრობლემა, – მდიდარი ქვეყნების ბრალეულობა და ინტელექტუალთა ბრალეულობა, – აბსოლუტურად სიმეტრიულია.

ინტელექტუალთა როლის ანალიზისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ სიტყვა „ორჭოფობა“. საჭიროა ლაპარაკი „სისაძაგლეებზე“, რომლებიც აქ (აღმოსავლეთში!) ისევე ბინადრობენ, როგორც ჩონჩხები და ფანტომები სახლობენ საკადრისად ძველ ბრიტანულ სასახლეში. საჭიროა, ვიპოვოთ ეს ჩონჩხები. ჩემი აზრი რომ გაგაგებინოთ, ერთ ჩვენებურ ხუმრობას გეტყვით: „ერთი რუსი ეკითხება თავის თანამოსაუბრე ქართველს: „– ლენინი წაგიკითხავს? არა. პლეხანოვი? – არა. მაშ, გორკი გექნება წაკითხული? – არა. აბა,

თომას მანი? – არა. სტალინი? – არა“. კითხვებით გატანჯულმა ქართველმა უპასუხა რუსს: „მომისმინე, შენი კითხვებით გული ნუ გამიწყალე... შენი კომპანია შენ გყავდეს, მე – ჩემი!“ როდესაც სიტყვა „ინტელექტუალს“ წარმოთქვამენ, პარადოქსულად ყოველთვის რაღაც კომპანიაში არიან. ვის კომპანიაში? ძველი მებრძოლებისა! ესენი არიან ადამიანები, რომელთაც იდეალად აქვთ მოტყუება, სხვისი შეყვანა შეცდომაში. ეს კომპანია არ არის ჩემი კომპანია. უბედურება ის არის, რომ მათ არასოდეს აინტერესებთ ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ საკუთრივ რეალობაში, დამოუკიდებლად უკვე დადგენილი თუ წინასწარ შემუშავებული ტექსტებისაგან ჰუმანისტი ინტელექტუალები დაუსრულებლად, რომ ქმნიან და რომელთა ხვედრსაც კარგად მოწმობს აღმოსავლეთ-გერმანელ ინტელექტუალთა ისტორია. ესენი არიან ძველი მებრძოლები, იდეალისტი აქტივისტები. სწორედ ამაშია მათი ინტელექტუალობა.

ზუსტად აღნიშნულ შემთხვევაში კმაყოფილდებიან ინტელექტუალთა კომპანიით, რომლებიც, შეიძლება, მივიდნენ აბსოლუტურად იდიოტური ფრაზების შექმნამდე. აი, ეს ხდება დღეს ჩვენში, განსაკუთრებით ახლა, როდესაც თავი სტალინიზმისაგან განთავისუფლებულად მიაჩნიათ. როდესაც პირველი საბჭოთა მთავრობების სურათებს უყურებენ, სიამოვნებისაგან დორბლმორეულნი ამბობენ: „გვყავდა ქვეყნად ყველაზე ინტელექტუალური მთავრობა, რაც კი ცნობილია ისტორიაში!“ აქ თქვენთვის ყველასთვის ცნობილია, რა შედეგებიც მოჰყვა ამას! ინტელექტუალობის დონეზე ეს ადამიანები მხოლოდ ინტელექტუალური ჭკუასუსტები იყვნენ, რადგან *ინტელექტის ღირებულება მხოლოდ ჭეშმარიტების ძიებაა და ამ ძიების საშუალებები პასუხისმგებლობით უნდა გამოიყენონ – პასუხისმგებლობით თავად საშუალებებთან მიმართებით და პასუხისმგებლობით იმ პრივილეგიასთან, რომ აქვთ უფლება (შესაძლებლობა?) იკითხონ, წერონ და იაზროვნონ.* სწორედ აქ არის დიდი საფრთხე თავის დადანაშაულებისა ხალხის წინაშე, თავის დაჯერებისა, რომ ინტელექტუალების, – ანუ საზოგადოების ისტორიული ცნობიერების ან მორალური ცნობიერების, – გარეშე, ასე ვთქვათ, საზოგადოება მოკლებული იქნებოდა ცნობიერებას და ჭეშმარიტების თუ ჭეშმარიტებების საძებრად თქვენთან და ჩემთან, ინტელექტუალებთან, მოვიდნენ. ასე მივიდოდნენ სარტრისა ან გერმანელი ტერორისტების ქცევამდე. ეს უკანასკნელნი ამბობდნენ: „ჩვენ გვსურს ტერორიზმით

გერმანული საზოგადოებიდან მასში დაფარული ფაშიზმი გამოვავ-ლინოთ, რათა შემდეგ საზოგადოება ჩვენთან მოვიდეს რჩევისა და სიბრძნის საკითხავად". იმავე იდეებს ვაწყდებით სარტრის ნაწერებ-ში და სიმონ დე ბოვუარის მემუარებში. ისინი ფიქრობდნენ, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი მათთან მივიდოდნენ ჭეშმარიტებისა და რჩევის საკითხავად, რადგან მათ შეეძლოთ ფიქრი სხვების მაგივ-რად, ფიქრი სხვებისათვის. სწორედ ამაზე უნდა ვიფიქროთ. ჩვენში ზოგიერთები, რა თქმა უნდა, ცოტანი, მიმართავენ ამას. ეს ძალზე მტკივნეულია: საჭიროა შეხედო საკუთარ თავს სარკეში და გული აგერიოს საკუთარი ხატის შემხედვარეს. მხოლოდ ამის ფასად შე-იძლება, რაიმე გაიგო.

ანტონ ლეიმი: ეს არ იქნება ჩვენი დებატების ურიგო დასასრუ-ლი! შეიძლება მისი დამახსოვრება, როგორც ძალზე მართებული დასკვნისა!

ნაციონალიზმი და პოსტტოტალიტარული საზოგადოება[1]

მე მსურდა მხოლოდ რამდენიმე საკითხი დამეფიქსირებინა, რამდენიმე მარტივი სიცხადე. მათი გათვალისწინება აუცილებელია იმ ფენომენის გასაგებად, რომელსაც ემპირიულად აღიქვამენ როგორც ნაციონალიზმის მოულოდნელ აღორძინებასა და ნაციონალიზმის აღმავლობას. ვფიქრობ, საჭიროა დავუბრუნდეთ ძალზე ხშირად დავიწყებულ ამ სიცხადეებს, ვინაიდან ნაციონალიზმზე საუბარი თავისთავად ნიშნავს მისთვის, როგორც მოვლენისათვის, მყარი იარლიყის მიკვრას, მის შეფასებას, თეორიულ მხილებას. ეროვნებათა საკითხის ამგვარი თვალთახედვით განხილვა უპრიანია იმდენად, რამდენადაც იგი საწყისია სხვა, მისი მსგავსი ევიდენციებისა, და ტოტალიტარულ სახელმწიფოში სოციალური და სულიერი ძიების რეალურ აზრს განაპირობებს.

უპირველესი ევიდენცია გახლავთ ის, რომ ტოტალიტარული სახელმწიფო, მისი არსებითი ნიშნების თანახმად, ანტისაზოგადოებაა იმავე აზრით, როგორიც თეორიული ფიზიკის ტერმინებს აქვს — ანტიმატერია, ანტისამყარო. ტოტალიტარული სახელმწიფო გახლავთ პირუკუ ხატი სამოქალაქო საზოგადოებისა; ტოტალიტარული სახელმწიფო სამოქალაქო საზოგადოებას გამუდმებით და გეგმაზომიერად უარყოფს სხვადასხვა იმიტაციების წარმოქმნით. ყოველი ტოტალიტარული ფენომენის პირობა სამოქალაქო საზოგადოების გაუჩინარება, მოკვდინება და მოსპობაა. თუმცა, ასეთივე ჭეშმარიტება გახლავთ საპირისპირო მოვლენა: ძლიერი და ცხოველმყოფელი სამოქალაქო საზოგადოება გამორიცხავს ტოტალიტარიზმს, როგორც საზოგადოების შესაძლო ფორმას.

ზემოთქმულიდან შეგვიძლია გავაცნობიეროთ ერთი ასეთი ევიდენციაც: ამგვარად განსაზღვრული ყოველი ტოტალიტარული საზოგა-

[1] წინამდებარე მოხსენება მერაბ მამარდაშვილმა 1988 წელს პარიზში წაიკითხა.

დოება უნინაციონალური ანუ მონონაციონალურია. როდესაც ტოტალიტარულ სახელმწიფოს ხელეწიფება საზოგადოების მართვა საკუთარი რედუქციული ძალის მეოხებით, ასეთი საზოგადოების სულისკვეთება ყოველთვის რასისტულია; იგი ჩქეფს მის სისხლძარღვებში, ვლინდება ეთნიკურად გაბატონებული ჯგუფის წადილში, მენტალობაში და ჰუმანურობის დონეში. შესაძლოა, ამ საზოგადოების სამეტყველო ენა, – ისე როგორც ეს იყო გერმანიაში, – არ იყოს მკვეთრად რასისტული და თავის ფარულ სტრუქტურას ნიღბავდეს ისეთი ტერმინებით, რომლებიც შეესაბამებიან საზოგადოების განვითარებას, მის სოციალურ და ისტორიულ აღმავლობას უმაღლეს საფეხურზე; ასეთი დონიდან ეთნიკურად გაბატონებული ჯგუფი, თავისი უპირატესი მდგომარეობის წყალობით, დანარჩენ საზოგადოებრივ ჯგუფებს წირავს დრომოჭმული, ჩამორჩენილი, მანკიერი წყვდიადისთვის. ტოტალიტარული საზოგადოების ამ ფერშეცვლილ ენას ის უპირატესობაც აქვს, რომ მას წუნს ვერ დასდებთ. მაგრამ ამ ენის საფუძვლებიც და ხატებიც (გამოხატულებებიც) ისტორიის მამოძრავებელი ძალა გახლავთ, სურვილთა კრისტალიზაციებისა და აქტიურ ფსიქიკურ ძალთა კოაგულაციების მსგავსად. რეალობაში მათი ქმედება გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ სივრცეთა განსხვავებათა თუ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ენათა არჩევანის მიღმაა.

თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ამას, გაცხადდება კიდევ ერთი ევიდენცია: ერთ-ერთი ფორმა, რომლის მეშვეობითაც ფხიზლდება სამოქალაქო საზოგადოება და უბრუნდება სიცოცხლეს, სწორედ იძულებით თავსმოხვეული მონონაციონალიზმის მსხვრევა გახლავთ ე. ი. ეროვნულ-განმანთავისუფლებელ გრძნობათა და მოძრაობათა აღორძინება. სამოქალაქო საზოგადოების გამოფხიზლება, მისი ძალღონის აღდგენა და მომძლავრება ხორციელდება კონკრეტულ სინამდვილეში და არა – თეორიულ აბსტრაქციათა სფეროში. ტოტალიტარული რეჟიმის მარწუხებში მყოფი სამოქალაქო საზოგადოება, რომელმაც სიკვდილისდარი სიცოცხლით იცხოვრა, ამავე რეჟიმის უმთავრესი მტერია, მან იგი უნდა დაამარცხოს და კიდევაც დაამარცხა!

ამ ფაქტს ნათელს ჰფენს „საჯაროობის“ („გლასნოსტის“) შედეგად ტოტალიტარული ენის ფანტომურ ფორმათა, მწყობრ, დაუსრულებელ ლინგვისტურ ფიქციათა და დეფორმაციათა, ტოტალიტარიზმით რიტუალიზებული სიცრუის რეჟიმის რღვევა და გაუჩინარე-

ბა. ამგვარი ტრანსფორმაციის ფონზე ხელახლა იბადება სიცოცხლის გრძნობა, ნამდვილი სიცოცხლისა, მისი ბუნებრივი მრავალფეროვნებითა და სირთულით. ნაცვლად იმისა, რომ იდეებს ემყარებოდნენ, სოციალური სუბსტანციები ცდილობენ დაუბრუნდნენ თავიანთ ნორმალურ, საუკუნეთა მანძილზე ისტორიულად ჩამოყალიბებულ ცირკულაციას სასიცოცხლო სისხლძარღვების მეშვეობით. შესაბამისად, ეროვნულ პრობლემას წყვეტს მულტინაციონალური სამოქალაქო საზოგადოების შექმნა, რაკი, განსაზღვრების თანახმად, ადამიანთა ტოტალიტარული სახელმწიფო, რომელიც ანტისაზოგადოებაა, გახლავთ უნინაციონალური. ისტორიისა და დროის მიღმა მოგზაურობიდან, მანდელშტამის თქმით, „უსქესო სივრცეში“ (no vherre) სიურეალისტური ყიალიდან, ვუბრუნდებით ისტორიულ სინამდვილეს აქამდე ჩამორთმეული ეროვნული თავისუფლების გზით. ეროვნული ცნობიერების აღორძინების, ეროვნული დამოუკიდებლობის და თვითმყოფადობის დაბეჯითებითი მოთხოვნით, უშუალოდ მივემართებით იქით, რომ საზოგადოებრივი მატერიის არიტიკულაციისა და დიფერენციაციის რთული პროცესი მოვაქციოთ მისსავე კალაპოტში, ანუ სამოქალაქო საზოგადოებაში განსხვავებულობისა და მრავალფეროვნების რეალური განხორციელება ადასტურებს სწორედ ინდივიდის ცივილიზებულობას, ანუ იმას, რომ იგი არის წევრი ისეთი განვითარებული სამოქალაქო საზოგადოებისა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების ინდივიდუალობას, მის დამოუკიდებელ არსებობას.

ზემოთქმულის თანახმად, ასევე შეიძლება განვაცხადოთ, რომ ეკონომიკაც ერთგვარი კულტურაა. ის არ გახლავთ მხოლოდ მატერიალური ინტერესებით თამაში[2], ანდა ფულის ოქროდ ქცევა. ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოებისაკენ შემობრუნება იმავდროულად კულტურისა და ცივილიზაციისაკენ მობრუნებაც გახლავთ.

მაგრამ დახეთ! თითქოსდა მოგვარებული ეროვნული პრობლემა კვლავ წამოიჭრა. რატომ? თუ სამოქალაქო საზოგადოება აღდგება ჩემს მიერ განსაზღვრული პროცესის თანახმად, მაშინ არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მცდელობისას საბჭოური სივრცის ეთნოსები, რომლებმაც ოქტომბ-

[2] „თამაში“ ფრანგულ ენაზე გარკვეულ სარგებელსა და ზარალთან დაკავშირებულ ქმედებასაც გულისხმობს. მერაბ მამარდაშვილი სიტყვას სწორედ ამ აზრით ხმარობს (*მთარგმნელის შენიშვნა*).

რის რევოლუციამდე ვერ აუბეს მხარი დროს, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

„მოდერნულობის“ ცნება დასავლეთ ევროპის საზოგადოებისათვის დამახასიათებელია. იგი ჩამოყალიბდა დაახლოებით XVII საუკუნისათვის, მას შემდეგ, რაც დასრულდა ეროვნულ სახელმწიფოთა ფორმირების პროცესი. ეს ის სახელმწიფოები გახლავთ, რომლებიც მოგვარებული ეროვნული პრობლემებით შეხვდნენ სრულიად ახალი ბუნებისა და განსხვავებული რიტმის მქონე ეპოქის მაჯისცემას. სამწუხაროდ, საბჭოურ სივრცეში ეროვნულ სახელმწიფოთა ყოფისთვის დამახასიათებელი კანონები და რიტმი კიდევ უფრო ართულებს და ამძაფრებს მოდერნიზაციის პრობლემებს: ინდუსტრიული დემოკრატიები საზოგადოებას და საზოგადოებრივ ხელშეკრულებას აფუძნებენ დამოუკიდებელი და თავისუფალი ინდივიდის ფენომენზე. მაგრამ სწრაფვა პიროვნების მოდერნიზაციისაკენ საქმეს იიოლებს ეროვნული დამოუკიდებლობის აღორძინების სურვილის მეოხებით. ეს მართლა სირთულეს უქმნის პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებს, ვინაიდან ჩვენ ერთდროულად ვყალიბდებით ერად და სამოქალაქო საზოგადოების მოქალაქეებად. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მთელი ეს პროცესი მიმდინარეობს პოსტტოტალიტარული საზოგადოების ბურუსში, სადაც, თითქოსდა, გაუვნებელყოფილი და ბლოკირებული ტოტალიტარული სტრუქტურები, კვლავ არსებობენ სოციალურ და მენტალურ სივრცეში. არსებითად, ეს გახლავთ რეფორმის პირობები, რომლებიც მიზნად ისახავს, საზოგადოებას ორიენტირად დაუბრუნოს თავისუფლება და დამოუკიდებელი ინდივიდუალური კეთილსინდისიერება, მეორე მხრივ კი – მყარი და იერარქიული ინსტიტუციური ნორმები დაუწესოს ადამიანის შემოქმედებით მოღვაწეობას.

ინტერვიუ გაზეთისთვის „LE MONDE“[1]

მერაბ მამარდაშვილი: ჩემი პირველი საკითხი გახლავთ ეროვნული აფეთქების პრობლემისა და ერთა შორის ურთიერთობების პრობლემა. აღნიშნული საკითხის განსჯის დაწყებას ვამჯობინებ ამ კუთხით, რადგან ნაციონალიზმზე ლაპარაკის დაწყებაც კი უკვე ნიშნავს, რომ მოგვაკერონ გარკვეული იარლიყი. ყველაფერი გამომდინარეობს ერთი უდავო აზრიდან, რომელიც მომდინარეობს სხვა ასევე უდავო აზრიდან – ევიდენციიდან, რომელიც ეხება საზოგადოების რეალურ არსებობას ტოტალიტარული სახელმწიფოს წიაღში. აი, ბირთვულ ფიზიკაში ხომ ხმარობენ გამოთქმას ანტი-ფორმა, ანტი-არსებობა; ამის ანალოგიით ამბობენ, რომ ტოტალიტარული სახელმწიფო წარმოშობს ანტი-სახელმწიფოს, ანტი-სახეს სამოქალაქო საზოგადოებისას, რომელიც *უარყოფილია.* ტოტალიტარიზმის მთავარი პირობა სამოქალაქო საზოგადოების დათრგუნვა, მისი გაქრობა, სიკვდილი, მკვლელობაა. ამ სახით განსაზღვრული ყოველი ტოტალიტარული საზოგადოება არის უნი-ნაციონალური ან მონონაციონალური; ეს კი ნიშნავს, რომ ტოტალიტარულ სახელმწიფოში წარმოქმნილ საზოგადოებას საფუძვლად უდევს რასიზმი, რომელიც ჩქეფს საზოგადოების სასიცოცხლო ძარღვებში და არის ეთნიკურად გაბატონებული ჯგუფის სურვილის, მენტალიტეტის, განვითარების, „ცივილურობის“ დონის გამოხატულება. მეტყველება შეიძლება უშუალოდ არც ამჟღავნებდეს რასიზმს, განსხვავებით იმისაგან, რასაც თავის დროს აკეთებდა გერმანული ენა გერმანიაში, მაგრამ არსებობს სოციალური მეტყველებაც, სავსე სოციალური პროგრესის ტერმინებით, ან, უფრო ზუსტად – ანტი-რასიზმით შეფერილი ტერმინებით, რომელსაც „არა-ეროვნულობის“ [ზეეროვნულობის] გამომხატველი სიტყვები გადააქვს მაღალი სოციალური განვითარების სიბრტყეში. საქმე ისაა, რომ ამ ენის მატარებელნი კაცობრიობის

[1] Le Monde, 1990, №24.

სათავეში არიან მოქცეულნი. ისინი ყველაზე პროგრესულ საზოგადოების მკვიდრნი არიან, მაგრამ ამ უპირატესობის მიუხედავად, იგივე სუბსტრატები ხატებისა (რაც ისტორიის მამოძრავებელი ძალაა), ნებათა კრისტალიზაციისა, – ნებათა ქმედითი კოაგულაციის მსგავსად, – ამ საზოგადოებაში აბსოლუტურად იმგვარი შეიძლება იყოს, როგორიც რომელიმე სხვა ქვეყანაში, რომელიმე სხვა ეპოქაში, სხვა გეოგრაფიულ თუ გეოპოლიტიკურ სივრცეში, თუმცა, შესაძლოა, სხვა ფორმით. ეს არის ამ პრობლემის წინასწარი დაშვება. დიახ, ეს გახლავთ უდავო აზრი, რომელიც მოდის იმის გაცხადებიდან, რომ გამოფხიზლება ანუ გზა, რითაც სამოქალაქო საზოგადოება სიცოცხლეს უბრუნდება, ეს არის მონონაციონალობისა და მონოეთნიკური ნაჭუჭის მსხვრევა; ე. ი. ეს არის ეროვნული გრძნობების გამოღვიძების გზა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განახლება. ვიმეორებ, ის ფაქტი, რომელიც შეიძლება პარადოქსალურად ჩანდეს, გახლავთ შემდეგი: ეროვნულმა მოძრაობებმა დაძაბა თანამედროვე საზოგადოების მიერ უკვე გადალახული ეროვნული პრობლემა და ეს სწორედ ის ფორმაა, რომელიც მსჭვალავს სინამდვილეს, აღვიძებს და გარდაქმნის, ხელახლა აყენებს ფეხზე სამოქალაქო საზოგადოებას, მას შემდეგ რაც ამ უკანასკნელმა იცხოვრა სიკვდილით. ეს სიკვდილის სადარი სიცოცხლე საზოგადოებამ გაიარა ტოტალიტარული რეჟიმის ხელში, რომლის მთავარი მტერი და ბოლოს მომღები სწორედ სამოქალაქო საზოგადოებაა, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი გამოხატული.

ჟურნალისტი: თქვენ ფიქრობთ, რომ „გლასტნოსტის“ პოლიტიკამ სამოქალაქო საზოგადოებას მხნეობა შთაბერა და შესაძლებელი გახადა მისი აღორძინება?

მერაბ მამარდაშვილი: უდავოდ, მაგრამ არა იმ აზრით, რომ „გლასტნოსტმა“ უკვე შეცვალა რეალობა, არამედ იმ გაგებით, რომ მან მეტყველების სამყაროს ჭიშკარი გაუღო და ჩვენ, – ცოცხალი და სოციალური არსებები, ანუ ადამიანები, – უკვე ვაცნობიერებთ საკუთარ თავს, ჩვენს პრობლემებს, რეალობასა და მისაღწევ მიზნებს. ამ ღია სამყაროში ჩვენ ისე შევედით, რომ რეალობა ჯერ კიდევ არ შეცვლილა. ჩვენ ამ სამყაროში შევედით მთავარი გზით, რომლის გაყოლებაზე უჩინარდება ტოტალიტარული მეტყველების ფანტომური ფორმები, სასაუბრო ფიქციები, სამეტყველო კონვენციები; აქ ქრება ტოტალიტარიზმის ლინგვისტური რეჟიმი და იბადება

რეალური სიცოცხლის გრძნობა. ეს ხდება სასიცოცხლო და სოციალურ ნივთთა გაცვლა-გამოცვლით, რაც დამახასიათებელია სიცოცხლისათვის, ე.ი. რაც საუკუნეთა მანძილზეა დადგენილი, ტრადიციულია, ბუნებრივი ურთიერთობებია და წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პრინციპს. ის შეიძლება არსებობდეს და არც არსებობდეს, მაგრამ თუ იგი არსებობს, მაშინ მისი არსებობა ეფუძნება ბუნებრივი ურთიერთობების პრინციპს და არა — იდეას, როგორც საფუძველს. მოდით, საუბარი გადავიტანოთ, მაგალითად, კომერციაზე. ფული არის რეალობა, რეალური კონცეპტი, რომელიც გულისხმობს გადახდის აუცილებლობას; ფულის გამოყენება იცის ხალხმა. ადამიანებმა იციან, რომ ფულითა და ბაზრის მეშვეობით ხდება გაცვლა-გამოცვლითი ურთიერთობის დამყარება ერთიმეორესთან. ეს არის ყოველდღიური ცხოვრების ნორმა, რითაც ხალხმა იცხოვრა და ცხოვრობს. ეს ყოველდღიურობა საოცარი მოვლენაა, თავისთვისაა, იდეოლოგიურად არ არის დატვირთული. თუ აქვს რაიმე დატვირთვა, ეს უმალ ადამიანური მოთხოვნილებების ბუნებრივი განხორციელებაა, გარკვეული მიმართებაა საკუთარ თავსა და სიცოცხლეს შორის. ამ მიმართებაში ადამიანები ერთმანეთს შეიცნობენ, პატივს სცემენ და ავლენენ თავიანთ ადამიანურ ღირსებას; ეს არსებობის ერთგვარი ღირსებაა მოცემული ცხოვრებისეულ ფორმაში. ტოტალიტარიზმი კი უარს ამბობს სიცოცხლის ამ ფორმაზე.

ტოტალიტარიზმის მიერ შემოღებულ სიცოცხლის ფორმაში ადამიანებს არ შეუძლიათ, თავი შეიცნონ, არ შეუძლიათ გათანაბრება ვინმე პიროვნებასთან, ვისაც შეიძლება პატივს სცემდნენ, რაკიღა ხედავენ ცხოვრების იმ წესს, რომელსაც ის ეწევა, ან — ვინმე ისეთთან, ვინც ადამიანური ღირსების მატარებელია. დაჟინებით ვაცხადებ, რომ *სწორედ ყოველდღიურობაშია წარმოდგენილი ადამიანური ღირსების ღირებულებები* — მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ ამ საკითხს, რადგან ეს ის უპირველესი გრძნობაა, რომლის წყალობით ადამიანი შეიძლება დაუბრუნდეს სიცოცხლეს არაცოცხალი სამეფოდან, ფანტომების სამეფოდან, იმ ცხოვრების სამეფოდან, რომელშიც ცხოვრობენ უსიცოცხლო და უსხეულო ხატები. ტოტალიტარიზმს არა აქვს სოციალური აგებულება. მისი სხეული ფიქციურია და ნიშნებით მართვადი. ამ სხეულის არსებობა რეაქტიულია და რეალიზდება მოკლე დროში. იგი მოქმედებაში მოჰყავთ ნიშნებს და

არა – ხატებსა და რეალურ კონცეპტებს ისტორიულ დროში, რაც კულტურული განვითარების ხანგრძლივი პერიოდის მაუწყებელია. ხანგრძლივ დროში მოქმედება *აქტიურობაა*; ნიშნებით მართულ მოკლე ტოტალიტარულ დროში კი *რეაქტიულობაა*, ანუ გიჩხვლეტენ და შენც ხანმოკლედ რეაგირებ. ხანმოკლე პერიოდი არ უშვებს პროგრესული ძალების ჩამოყალიბებას, – ცხოვრების ევოლუციის ძალების, რომელთაც დიდი დრო სჭირდება; ეს პროგრესული ძალები ყოველთვის დროში არიან „ჩამოკიდებული" და მოითხოვენ ადამიანურ მცდელობას, ძალისხმევას, მხარდაჭერას. „დროში ჩამოკიდებული" ფიზიკური მეტაფორაა: შენ თავად შენ თავზე ხარ ჩამოკიდებული და შენ ახდენ ტრანსცენდირებას ხანმოკლე პერიოდებისას, რეაქციის იმ პატარა, დანაწევრებული და დაშლილი რიტმებისას, რომლებიც არაფერს ცვლიან.

აი, ეს არის, რაც ძალიან გვიმძიმებს სიცოცხლისაკენ მიბრუნებას, ხელახლა დაბადებას. იქნებ, ეს შეუძლებელიცაა; იქნებ, ჩვენ უკვე გავცდით არდაბრუნების ზღვარს?! სიცოცხლესთან დაბრუნება აღარ შეუძლია იმას, ვინც სიცოცხლის სურვილი დაკარგა ან საერთოდ არ შეუგრძვნია სიცოცხლის გემო. თუ პროგრამებითა და აბსტრაქტული ხედვებით ვიხელმძღვანელებთ, ჩვენ ვერ შევძლებთ სიცოცხლესთან დაბრუნების ლტოლვის საკუთარ თავში ხელახლა დაბადებას.

რუსი ეთნოსის გამო განსაკუთრებულად ჩავძიებივარ ხოლმე საკუთარ თავს: აქვს კი მას უნარი, დაუბრუნდეს სიცოცხლეს? როდესაც ადამიანი დიდხანს ფეხების გაუნძრევლად ზის, ანკილოზი ანუ სახსრების უძრაობა ემართება. როდესაც კვლავ იწყებს სიარულს, სისხლის ამოძრავება საშინელ ტკივილს აყენებს. საზოგადოებასაც ასე ემართება. ფსიქო-ფიზიკური ტკივილის, – ეგზისტენციური ტანჯვის გამო ისეთმა შიშმა შეიძლება შეიპყროს ადამიანი, რომ გაუნძრევლად ჯდომა ამჯობინოს: „ჯდომა მირჩევნია, ვერ შევძლებ ამ ტკივილის ატანას", – ეტყვის ის საკუთარ თავს. ეს არის გაუსაძლისი მდგომარეობა... როგორც გერმანელები ამბობენ, ისეთი მდგომარეობა, ისეთი ტანჯვა, რომ ველარ აცნობიერებ, რა გაწამებს. ამგვარი ტანჯვა ფიზიკურთან ერთად ფსიქიკურიცაა, – ადამიანის მოძრაობა ადრე ქმედითი იყო, ის საკუთარი ინტერესებისა და ღიღსების განხორციელებას ემსახურებოდა, ახლა კი შეუძლებელია, შეიქმნას მისი შესაფერი ფიზიკური გარემო, მაგალითად, – ლამაზი

მაგიდა, გემრიელი ვაშლი, კარგად შესრულებული სამუშაო, დასუფთავებული ტროტუარები და ა. შ.

ყველასთვის თვალში საცემია, რა დაბალ დონეზეა რუსეთში ყოველდღიურობა. ადამიანებმა დაკარგეს ყოველგვარი ინტერესი ღირსეული ფიზიკური გარემოს შესაქმნელად: თუ კაცი აღარ ჭამს ქაშაყს გაზეთის ნაგლეჯზე და მაგიდას სუფრას აფარებს, ეს უკვე ტრანსფორმაციის დასაწყისია. ასეთი უმნიშვნელო რამეების რიცხობრივი ზრდა შეიძლება დიდი სოციალური პრობლემების თვისებრივი მახასიათებელი გახდეს. როდესაც მილიონობით ადამიანი გადაწყვეტს, „არა, თუნდაც ამ რთულ სიტუაციაში, მე მაინც ვიჯდები შიშველი საჯდომით ტრიალ მინდორში“! – მაშინ, შესაძლოა, მოვლენები შეიცვალოს. მაგრამ ამგვარ სურვილსა თუ გადაწყვეტილებას ვერ ვხედავ საბჭოთა კავშირში. სხვა ეთნოსები ამ მხრივ ცოტა სხვაგვარად ამჟღავნებენ თავს. ცხადია, მაგალითად, ბალტიისპირელებს არ დაუკარგავთ საკუთარი დამოკიდებულება სიცოცხლესთან. ისინი შინაგანად არ არიან დაჩაჩანაკებულნი; ამ ხალხში სიცოცხლესა და სიკვდილთან საფუძვლიანი მიმართების ჯაჭვი არ გაწყვეტილა, როგორც – არც, კავკასიის, არც სამხრეთის ხალხებში. მე არ ვიცნობ ცენტრალურ აზიას და, ამდენად, მის შესახებ ვერაფერს ვიტყვი.

სწორედ ეროვნული ცნობიერების გამონათების და განახლების კვალდაკვალ სამოქალაქო საზოგადოებაში იდგმება პრაქტიკულად სწორი ნაბიჯი სოციალური საკითხის მოწესრიგებისა და დიფერენციაციისაკენ. დიფერენცირების საკითხი ერთობ რთულია და გულისხმობს იმ პირთაგან, რომლებიც ცხოვრობენ რთულსა და მრავალფეროვან პირობებში, ცხოვრების ხელოვნების, ცხოვრების უნარის გამოვლინებას; Know-how-ს გარკვევას განსხვავებულ ინტერესთა სტრუქტურიზაციის პირობებში, როცა ეს ინტერესები და მათი განსხვავებულობაც კანონიერად არის მიჩნეული. ამგვარი სიმრავლის და ნაირგვარობის პრაქტიკული გამოყენების ცოდნა – სწორედ ეს არის *კულტურა, სამოქალაქო კულტურა, ანუ ცივილიზაცია ე. ი. სამოქალაქო საზოგადოება – სწორედ ის, რაც სუბიექტს ქმნის.* იმავე აზრით, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკაც კულტურაა; ის არ არის მხოლოდ მატერიალურ ინტერესთა განხორციელება, ეს არ არის მხოლოდ ფული, ფიზიკურ სურვილთა და სხვა ეგოისტურ ლტოლვათა დაკმაყოფილების საგანი. ასე რომ, შეიძლება ითქვას, სამოქალაქო საზოგადოებისაკენ დაბრუნება არის დაბრუნება კულ-

ტურასა და ცივილიზაციასთან. სწორედ ამ აზრით არის შესაძლებელი ტრანსფორმაცია.

და აი, პრობლემა, რომელიც გადაწყვეტილი ეგონათ, დგება დღის წესრიგში. რატომ? თუ ამ პროცესის კვალდაკვალ, რომელზეც ესეს არის ვისაუბრე, ხელახლა განხორციელდება სამოქალაქო საზოგადოება, ეს არ იქნება შემთხვევითობა; მაგრამ საბჭოური სივრცის ეთნოსებში, – ეთნოსებში, რომელთაც ვერ მიაღწიეს მოდერნულობას ოქტომბრის რევოლუციამდე, სამოქალაქო საზოგადოება ვერ შედგება, ვერ განხორციელდება. მოდერნულობა არის კონცეპტი, რომელიც ახასიათებს დასავლეთ ევროპის საზოგადოებას XVII საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული. მას შემდეგ ერი-სახელმწიფოები [ნაციონალური სახელმწიფოები], რომელთაც მოგვარებული ჰქონდათ ნაციონალური პრობლემები, შევიდნენ მოდერნულობის მდგომარეობაში. ამ უკანასკნელს განვითარების სულ სხვა რიტმი ახასიათებს. ჩვენში ეთნოსები მხოლოდ ახლა შედიან მოდერნულობაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია დამოუკიდებელი და თავისუფალი მწარმოებელი ინდივიდი სოციალური და კულტურული სახით. მოდერნულობაში შესვლა დამოუკიდებელი ნაციონალური ცხოვრების ხელახალი აგების სურვილით არის გპანპირობებული. ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი შიშობს კიდეც, მაგრამ თავისუფალი მწარმოებელი სხვა პირებს უკავშირდება საზოგადოებრივი ხელშეკრულებებით, რაც მოდერნულობის ყველაზე პრინციპული მხარეა. სამოქალაქო საზოგადოებაში ეროვნული პრობლემის რიტმს ემატება მოდერნულობის რიტმიც. აღნიშნული ორი რიტმი განსხვავებულია, რადგან ორივე პრობლემა თავისი ბუნებით ერთმანეთისაგან განსხვავებულია; ისინი ერთვიან პოსტ-ტოტალიტარულ სახელმწიფოს, ე. ი. ანტი-ტოტალიტარულ რევოლუციას, რამაც, შესაძლოა, სირთულეები შეუქმნას პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებს. აღნიშნული პროგრესი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვყალიბდებით როგორც „ერი“ და, იმავდროულად, ვხდებით სამოქალაქო საზოგადოების მოქალაქეები.

ჟურნალისტი: შეიძლება შევაჯამო თქვენი ნათქვამი, რათა შევამოწმო, კარგად გავუგეთ თუ არა ერთმანეთს? ხდება შემდეგი: ერები დაინტერესებულნი არიან სამოქალაქო საზოგადოების შექმნით, მიუხედავად ტოტალიტარული თუ პოსტ-ტოტალიტარული საზოგადოების ბურუსისა და ეს სამოქალაქო საზოგადოება უფრო ნათლად წარმოჩნდა ე. წ. გამჭვირვალების პოლიტიკის წყალობით.

მერაბ მამარდაშვილი: სწორედ ეს არის ბალტიისპირეთის ქვეყნების შემთხვევა.

ჟურნალისტი: ...და, გარკვეულად, სამხრეთის ქვეყნებისაც. მე ვგულისხმობ ამიერკავკასიას. ფაქტია, რომ არის კონფლიქტი საზოგადოებათა შორის, რომელთაგან ზოგმა მიაღწია არ-დაბრუნების ზღვარს – თქვენ გულისხმობთ რუსულ საზოგადოებას – და იმ საზოგადოებათა შორის, რომელთაც ჯერ კიდევ აქვთ პრინციპად ცოცხალი, მოდერნული სამოქალაქო საზოგადოების მიმართება საკუთარ ინდივიდუალობასთან. დაახლოებით გავიგე?

მერაბ მამარდაშვილი: დიახ. შევაჯამოთ, რაც ვთქვი აქამდე. მე განვმარტავ, რომ სამოქალაქო საზოგადოება იწყება არსებული საზოგადოების მულტინაციონალურ საზოგადოებად გარდაქმნით; მოგეხსენებათ, ტოტალიტარიზმი არის მონო-ნაციონალური საზოგადოება. მეორე მხარე ამ რეზიუმესი გახლავთ შემდეგი: მოდერნულობის პრობლემიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ეს უკანასკნელი სახეზეა – და სწორედ ეს არის არსებული მომენტის სპეციფიკურობა და სირთულე, რომ ყოველივე ეს ხდება პოსტ-ტოტალიტარიზმის არგო იგი, ე. ი. განვლილი ტოტალიტარიზმის, ტოტალიტარული ცხოვრების ნარჩენების, ტოტალიტარიზმის მეხსიერების, მაგრამ უკვე დაშლილი ან დაშლის პროცესში მყოფი ტოტალიტარიზმის არგოში. ეს არის რეფორმის პირობები, რეფორმისა *ბრძოლის* მნიშვნელობით. მე არ ვლაპარაკობ რეფორმაზე ეკონომიკური გარდაქმნის პროგრამის მნიშვნელობით, არამედ მხედველობაში მაქვს ისტორიოსოფიული სიტყვა.

ჟურნალისტი: მართლაც, ისე, როგორც დღეს, არასოდეს ყოფილა ამდენი ლაპარაკი საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

მერაბ მამარდაშვილი: დიახ, ღირს ლაპარაკიც და დაფიქრებაც იმ სირთულესა და სპეციფიკურობაზე, ასევე, ამაღელვებელსა და თითქმის სკანდალურ ასპექტებზე, რომლებიც ახლავს ეროვნულის გამოვლინებებს. ეს ასპექტები შემდეგია: ყველა ეროვნება, რომელიც შედის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ერთგვარად დარწმუნებული იყო საკუთარ ნაციონალურ თვითმყოფადობაში, მაშინ, როდესაც მათი ეროვნულობა დატვირთული იყო ოდენ ეგზოტიკური თუ ფოლკლორული შინაარსითა და არსით; ამგვარი ფიქციური ფორმა აკმაყოფილებდა ნაციონალური იდენტობის მოთხოვნილებას და, სა-

კუთარი თვითმყოფადობის ნიშნების კვალდაკვალ, შეიცნობოდა ერი და მას იდენტობაც თითქმის გარანტირებული ჰქონდა. ამჟამად ხდება ამგვარი ნიშნების წაშლა, ჩამოშორება; პოსტ-ტოტალიტარიზმთან ერთად ეროვნული რეალობის ეგზოტიკური და ფოლკლორული ფიქციებიც იშლება ე. ი. ერები იღვიძებენ, უბრუნდებიან საკუთარ თავს.

ჟურნალისტი: მაშასადამე, ქვეყნის სათავეში გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ ამ ნიშნებს ანგრევენ?

მერაბ მამარდაშვილი: დიახ, ეს ასეა. ეს ნიშნები აღარ მოქმედებს, რადგან ტოტალიტარული გარსი დასკდა და დაირღვა; ბლოკირებულია ადამიანთა ფსიქიკაცა და აზროვნებაც. ადამიანები, თითქოს, თავისთავად იღვიძებენ ნაციონალურ რეალობაში და არა იმ ნიშნების სამყაროში, რომლებიც ერთგვარ აღფრთოვანებასა და ეროვნული თვითმყოფადობის ბუნდოვან უსაფრთხოებას იწვევდნენ. ნიშანთა ეს გარსი, ფოლკლორული და ეგზოტიკური დატვირთვის მქონე ეს ნაჭუჭი, დაცული იყო ძალადობის მონოპოლიით, ტოტალიტარული სახელმწიფო რომ ახორციელებდა. ამის გამო იყო, რომ არავინ თავს შეურაცხყოფილად არ გრძნობდა არც ფესვების გარკვევისას, არც საკუთარ ცხოვრებისეულ პროცესებში, არც ეროვნული გრძნობების სფეროში. მაგრამ გამოღვიძებისას ერებს ერთმანეთის მიმართ შიში გაუჩნდათ. თურქებს ანუ აზერბაიჯანელებს ქართველებისა და სომხების შეეშინდათ, სომხებს – აზერბაიჯანელებისა, ქართველებსაც დაეუფლათ აზერბაიჯანელების შიში და ა. შ. ერთა გამოღვიძების პირველი მომენტი არის შიში სხვების მიმართ.

ჟურნალისტი: ტერორი (შიში) აღარ არის პარტიის მონოპოლია?

მერაბ მამარდაშვილი: არა, ახლა თითოეული თავის საკუთარი ძალადობის მეთოდს ახორციელებს. ამით აიხსნება დამნაშავეობის პროცენტული ზრდა.

ჟურნალისტი: იქნებ დამისახელოთ მაგალითი იმ პრინციპისა, რაც ახლა განმარტეთ. მაინც როგორ ხდება გარეგანი ფოლკლორული ნიშნების გაუჩინარება, რაც ეროვნული თვითმყოფადობის ილუზიას ქმნიდა?

მერაბ მამარდაშვილი: მთელი ინფორმაციის ფონი, რომელიც ეხება რეალურ ცხოვრებას, ასევე, კავკასიის მოვლენები ამ საკითხის ნათელი გამოხატულებაა. ამ რეგიონის ერებს ერთმანეთის

მიმართ გაუჩნდათ შიში, თითქოს, არასოდეს უცხოვრიათ ერთად, ერთმანეთის მეზობლად, თითქოს, არც არსებობდა თანაცხოვრების გამოცდილება; ეს არ არის მართალი! ე. ი. ეს ისეთი მომენტია, როდესაც საჭიროა ხელახლა სწავლა, ხელახლა გახსენება ამ ცოდნისა, ამ კულტურისა – ანუ ცოდნა სხვებთან ერთად მშვიდობიანი ცხოვრებისა ან მათთან საომარ მდგომარეობაში ყოფნისა, რადგან, ომიც, ასევე არის ერთგვარი რიტუალამდე აყვანილი მოვლენა ტრადიციულ სამყაროში. ამით იმის თქმა მსურს, თუ კვლავ კავკასიის მაგალითს ავიღებთ, ვნახავთ, რომ ეს არის მთელი სამყარო, სახე თავისთავად – თავისი პოლიტიკით, კულტურით, სოციალური ცხოვრებით. აქაცაა მთელი ხელოვნება სხვებთან თანაცხოვრებისა, მშვიდობისა და ომის წარმოებისა. ეს მემკვიდრეობა გასაახლებელია და დიდ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს. ეს არის გენეტიკური მეხსიერების რთული აქტი, რადგან ცნობიერებისა და მეხსიერების ლინგვისტური სივრცე მოწამლულია ტოტალიტარიზმით.

მოხდა ისე, რომ ეს ხალხები სიცოცხლეს უბრუნდებიან და მოულოდნელად ერთიმეორისა შეეშინდათ, თითქოს არ იცოდნენ, ერთად როგორ იცხოვრონ. ქართული სახელმწიფო ამის აშკარა მაგალითია. აქ წარმომავლობის ასპექტები კვეთდა პოლიტიკურ ასპექტებს. ქართველები ეგუებოდნენ ქართული სახელმწიფოს ტერიტორიაზე თურქებთან თანაცხოვრების წესს მრავალი საუკუნის განმავლობაში; ქართველები ომობდნენ მეზობელ სახელმწიფოსთან, – თურქეთთან, მაგრამ თურქი მოსახლეობა ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე, ე. ი. ქართულ სახელმწიფოს ტრადიციულად ჰქონდა გარკვეული პოლიტიკა, გარკვეული უნარი, გარკვეული *კულტურა თანაცხოვრებისა* მის სახელმწიფოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსთან, – მათთან, ვისაც საერთო არაფერი აქვთ არც წარმომავლობით, არც თავიანთი უშუალო ინტერესით საქართველოს გაბატონებულ ეთნოსთან.

ჟურნალისტი: დღეს ოსეთის პრობლემა მძიმე პრობლემაა?

მერაბ მამარდაშვილი: ოსეთის პრობლემა მაგალითია ამ მოუქნელობისა, შიშისა, რომელიც აიხსნება იმით, რომ ამჟამად ნაციონალურ იდენტობას გამოეცალა საყრდენი – ფიქციური ნიშნების სამყარო. რეალობა კი ცოდნასა და უნარს მოითხოვს, მაგრამ ამჟამად მეხსიერება ცოტათი შესუსტებულია და საჭიროა ამ მეხსიერების აღდგენა, სახელმწიფოსა და ერების ამ ისტორიული მოწოდების

შესაბამისი კუნთების გაჯანსაღება. სრულიად არანორმალურია ქართველისთვის, ოსის ეშინოდეს და – პირიქით. ეს შიში ისტორიულად გაუმართლებელია და შეიძლება იოლად გადაილახოს. ოსები ქართულმა სამეფო დინასტიამ ჩამოასახლა როგორც მეომარი ტომი. მას მერე ისინი ყოველთვის ქართული სახელმწიფოს მოკავშირენი იყვნენ და ამ სახელმწიფოს ფეოდალურ სისტემაში ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ.

ჟურნალისტი: რატომ ხოცავენ ერთმანეთს უფრო ხშირად სამხრეთში, ვიდრე – ჩრდილოეთში? ეს ძალადობის ტრადიციაა? თუ უფრო ცუდად ცხოვრობენ? იქნებ აზერბაიჯანელები არიან ველურები? მე ეს არ მჯერა! ბაქოს მუზეუმი ერთ-ერთი უმდიდრესია საბჭოთა სახელმწიფოში. თქვენი აზრით, რა არის საფუძველი? რაც შეეხება 17 აპრილის ამბებს, – და ამას დავუბრუნდებით, როდესაც ანტირუსულ ნაციონალიზმზე ვისაუბრებთ, – ნუთუ, ეს პროვოკაცია იყო? ის, რაზედაც ჩვენ ვსაუბრობთ, არის ნაციონალიზმის აღმავლობა ორ განსხვავებულ და მნიშვნელოვან რეგიონში: ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სადაც ეს მართლაც რთულად, მაგრამ მოლაპარაკებებით მიმდინარეობს და ამიერკავკასია, სადაც ერთმანეთს ყელს ჭრიან.

მერაბ მამარდაშვილი: საქმე ის გახლავთ, რომ არსებობენ ძალადობით დაავადებულნი და ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა შემდეგი რამ ვთქვა: ამის თაობაზე უკვე ვისაუბრე, როდესაც ვსაუბრობდი ძალადობის მონოპოლიაზე, რომელსაც ტოტალიტარული სახელმწიფო ეწეოდა თითოეული ეთნოსისა თუ ადამიანის წინააღმდეგ. ამ მონოპოლიის ძირები და მექანიზმები, თითქოს, ბლოკირებულია. ბალტიისპირელები შედარებით ახლახან შევიდნენ საბჭოთა ფედერაციის მულტინაციონალურ შემადგენლობაში, თანაც არა სამოქალაქო ომის სისხლიანი გზით, არამედ – გარეგანი რეპრესიით. ადამიანები ყოველთვის ივიწყებენ სამოქალაქო ომს რუსეთში, საბჭოთა კავშირში, რომლის მკვიდრნიც ჩვენ ვართ. ჩვენი ცხოვრების სათავეები იქ ძევს. სამოქალაქო ომი საკუთარ ტყავზეა გამოცდილი – ჩვენ ვართ ამ ძალადობით დაავადებულნი.

ჟურნალისტი: თქვენთან ეს მოხდა არა ორმოციან, არამედ ოციან წლებში და ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

მერაბ მამარდაშვილი: უთუოდ, ეს წლები ისტორიული ხანგრძლივობაა. ამიტომაც ჩვენ ვართ არა მხოლოდ მსხვერპლნი ძალადო-

ბისა, არამედ — მატარებელნიც. ჩვენ ჩვენშივე ვატარებთ ამ დაავადების ნარჩენებს. შემიძლია ვთქვა, რომ საბჭოთა კავშირში შემავალ ერთა უმრავლესობა ისევე მძიმედაა დაავადებული, როგორც თითოეული ინდივიდი შეიძლება იყოს უბრალოდ ავად, იმის მიუხედავად, კეთილია ის, თუ — ბოროტი, კარგი, თუ ავი განზრახვის მქონეა და ა. შ... ასე დავიბადეთ ჩვენ და შეუძლებელია, არ ვატარებდეთ ამგვარი დაავადების კვალსა და წყლულებს; ჩვენ დავიბადეთ ჭუჭყსა და სისხლში, სწორედ ამიტომ, არ შეგვიძლია და არც შეგვეძლო ვყოფილიყავით სხვაგვარნი. ამჟამად ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ დამკვიდრებული ძალადობის მონოპოლიის, თითქოსდა, გაუჩინარების პროცესში, ძალადობის სენით დაავადებულებმა აიწყვიტეს, ზედაპირზე ამოცვივდნენ, თითოეულ მათგანს შეუძლია, გამოავლინოს თავისი დასნებოვნებული ბუნება. მათ შეუძლიათ თავისუფალ დინებაზე მიუშვან რისკი და საფრთხე, ლტოლვა ძალადობისაკენ. ეს, როგორც ვთქვით, ახასიათებს დაავადებულ სახელმწიფოსა და ერს.

ეს პროცესი ვლინდება ყოველდღიურობაში. ყოფილი საბჭოთა ადამიანები გაბოროტებულნი, გაავებულნი არიან. ამიტომაც, იზრდება დამნაშავეობის პროცენტი. ჯარში რაც ხდება, ისტორიულად ავადმყოფი ადამიანის ზნეთა გამოვლინებაა. მე არ ვლაპარაკობ იმ დაავადებებზე, რომლებიც შეიძლება დაადგინოთ სამედიცინო გამოკვლევით, ან ინდივიდუალურად, სხეულის მდგომარეობის მიხედვით, მე ვლაპარაკობ სოციალური ცნობიერების, კულტურისა და ადამიანების, როგორც გარკვეული კულტურისა და სოციალური ცხოვრების ფორმების, გარკვეული პრაქტიკის სუბიექტების დაავადებაზე. ეს ავადმყოფური მდგომარეობა მოიცავს ძალადობის საწყისებს, — თავისუფალს სახელმწიფოს ძალაუფლებისა და იძულებისაგან. ეს სახელმწიფო თავად იყო უკანონო, მაგრამ აკანონებდა ძალადობას. რა დაუპირისპირდა სამართლებრივ სახელმწიფოს? ძალადობა. საკითხი ასე დგას: ვცხოვრობთ კანონებით, ან — თავაწყვეტილი ძალადობით. ახლა თითოეულს შეუძლია, ეწეოდეს ძალადობას საკუთარი რისკისა და საფრთხის გათვალისწინებით. ჩნდება კანონის გარეგანი ნიშნები. ფორმალურად ვლინდებიან დამნაშავეებიც. მაგრამ შეხედეთ კავკასიის რეალობას. ხდება ძალადობები, რომლებზეც იურიდიული ნორმები არ ვრცელდება; არ არსებობს სათანადო იურისდიქცია, რომელიც გამოიყენებდა სამართლებრივ ნორმებს იმის მიმართ, რაც დღეს იქ ხდება.

დავუბრუნდეთ საწყის წერტილს. ისევ კავკასიის თემას შევეხები. გახდება თუ არა კავკასია ბარბაროსული? – საჭიროა, კარგად ჩავიბეჭდოთ თავში, რომ აქ ადგილი აქვს მოდერნულობის პრობლემას, რაც ფუძნდება და მყარდება პოსტ-ტოტალიტარიზმის გარემოში. მოდერნულობა ხანგრძლივი დროის საქმეა, მცდელობა კი, რომელიც თავს გვეხვევა, არის რეფორმა *ბრძოლის* გზით. შესაძლოა, დაადგნენ იმ გზას, რომელიც არ არის პრე-მოდერნულ ეროვნულ სახელმწიფოდ გახდომის გზა, მაგრამ არის გზა ეროვნულ სახელმწიფოსი, რომელიც ცხოვრობს ერში, მოდერნულობაში. ე. ი. ერი-სახელმწიფო, რომელიც იქნება მოდერნულობის ბირთვის გარშემო: ერი გამოიკვეთება ინდივიდთა შორის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის საფუძვლებში, ინდივიდის, როგორც ისტორიული და სოციალური კატეგორიის გამოვლინების, თავისუფალი მწარმოებლისა და ისეთი სტრუქტურის გამოკვეთის საფუძველზე, რომელიც ნაკარნახევია საზოგადოებრივ ხელშეკრულებათა ძალითა და ბიძგით. კონფლიქტებისა და შიშების თავიდან აცილების გზა გადის კონსტიტუციასა და კანონმდებლობაზე. საჭიროა, მოქალაქის მოქმედება ექვემდებარებოდეს კანონს ე. ი. საჭიროა Res Publica. ეს არის ერთადერთი გზა, რომელმაც შეიძლება თანდათან შექმნას თანამედროვე ერები, ე. ი. ერები, რომლებიც შედგებიან მოქალაქე-ინდივიდებისაგან. ამით, მართლაც, შესაძლებელია ასატანი გახდეს ფორმა იმ სწრაფვებისა, რასაც იწვევს სამოქალაქო საზოგადოება ადამიანთა ნებაში. ეს სწრაფვა არის ისტორია, – ჭეშმარიტების ისტორია, როგორც ზოგიერთები უწოდებენ მას.

აი, ეს უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის არსებობისა გზა და ეს უნდა იყოს ერთადერთი გზა. იგი უნდა იყოს მხოლოდ საკონსტიტუციო ანუ კანონიერი კანონებით აღჭურვილი, ე. ი. რომლის სათავეც არის ხალხის, ინდივიდთა დამოუკიდებელი ჯგუფის ძალაუფლება – სუვერენიტეტი. ადამიანის უფლებათა განხორციელებით მიღწეული ერთადერთი სუვერენიტეტი, რაც შეიძლება წარმოდგენილი იყოს სახელმწიფოს დონეზე, არის ხალხის სუვერენიტეტი. ამ მიმართებით, იყო სუვერენული, ნიშნავს სუვერენულად ყოფნის ცოდნას. საჭიროა უნარი, რომ ეს იცოდე. ეს არის კულტურა, ეს ერთგვარი ხელოვნებაა, რომელიც ძალისხმევას საჭიროებს. ამრიგად, ერთი მხრივ, საჭიროა კონსტიტუციის შექმნა ძალაუფლების არტიკულაციითა და კაცობრიობისათვის მისაღები საკონსტიტუციო

სახელმწიფოს კლასიკური დაყოფით და, მეორე მხრივ, – და ეს მხარე ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც ამას ისტორია მოწმობს, – ერთგვარი ონტოლოგიური სიმეტრიის საფუძველზე საკუთარი თავის ჩამოყალიბება უკვე შექმნილი კონსტიტუციის მეშვეობით. კონსტიტუციის შექმნით ჩვენ ვქმნით დულაბს, რომლითაც ვაშენებთ და ვქმნით საკუთარ თავს. ადამიანები ქმნიან კონსტიტუციას და კონსტიტუცია ქმნის ადამიანებს. ეს არის ონტოლოგიური სიცხადე თავად ისტორიისა, ისტორიის სტრუქტურისა და ადამიანისა, ადამიანური სულისა და არსებობისა. კონსტიტუცია ჩვენ გვესაჭიროება არა მხოლოდ, როგორც ჩამოყალიბებულ სამართლებრივ ნორმათა და კანონთა სფერო, არამედ როგორც სიცოცხლისუნარიანი ორგანო, რომელიც მოქალაქეებსაც მიანიჭებს სიცოცხლეს. უნდა დაიბადო კონსტიტუციის წიაღში. ეს არის ერთადერთი გზა, რითაც შეძლებენ აფხაზეთის, ოსეთის და, რომელიც გნებავთ იმ ეთნოსის პრობლემის მოგვარებას, რომელიც თავისი დასაბამით და ბუნებით, ფარული თუ აშკარა აზრით, გაბატონებული ეთნოსის, ე. ი. ქართული ეთნოსის, მოკავშირე ეთნოსია. მაგალითად, ტერიტორიები, სადაც აფხაზები და ოსები სახლობენ, არ გახლავთ ქართული სამხედრო ექსპანსიის შედეგად მოპოვებული, რამდენადაც შესაძლებელია ამის გახსენება საქართველოს ისტორიის რამდენიმე ათასწლოვანი არსებობის მანძილზე.

კონსტიტუცია თავიდან უნდა დაიწეროს, ან ხელახლა გადამუშავდეს იმ მიმართულებით, რომ ჩამოყალიბდეს ერთმნიშვნელოვანი უფლებები ადამიანისა და მოქალაქისა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ფიქრობენ, რომ კონსტიტუციის შექმნით ჩვენ თავადაც ვყალიბდებით არსებებად, რომელთაც შესწევთ უნარი კონსტიტუციური ცხოვრებისა, იმგვარად ცხოვრებისა, რაც განსაზღვრულია კონსტიტუციაში ან კონსტიტუციით. ამავე დროს, შესაძლოა, დაადგინონ ამ გზის ალტერნატივა, რომელიც რეალურად არც არის ალტერნატივა, რადგან საერთოდ არ არსებობს სიცოცხლის ალტერნატივა, მაგრამ სიკვდილს მაინც აქვს ერთი ალტერნატივა! ის აქ არ არის, რადგან ადამიანები ყოველ წამს ცოცხლობენ. როდესაც ვამბობ სიტყვას „სიკვდილი“, ვგულისხმობ რეალობას, რომელიც, თითქოს, სიკვდილის სახით ძევს ჩვენი სოციალური, ფსიქოლოგიური, ლინგვისტური თუ კულტურული რეალობის სიღრმეებში; ისაა სათავე ბევრი რამისა, მათ შორის, დაუმთავრებელი სამოქალაქო ომებისაც. სამო-

ქალაქო ომი არ დასრულებულა 1922 წელს. სამოქალაქო ომის გადაგვარებულ შედეგებში, იმ უფსკრულში, რომელიც ჩნდება სამოქალაქო ომის კვალდაკვალ ფიქციური ცნებების რიდეთი, არის ისეთი კოაგულაციები, რომლებიც ერთიანდებიან და თავიანთი შეუქცევადობით იძენენ კანონთა მნიშვნელობას. მათი საერთო ნიშანი არის ცხოვრების ფანტომურობა – სამოქალაქო ომში სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის ერთგვარი სახე. თუ არ შევაშველებთ აღქმის გამახვილებულ უნარს ან ინტუიციას ცხოვრების ამ ფანტომური ხასიათის რაციონალურ აღწერას, რასაც რუსეთს გარედან სთავაზობენ და რაც შეადგენს ევროპული ინტელექტუალური საშუალებების ერთობლიობას, ვერაფერს გაუგებენ საბჭოთა რეალობას; ეს შეუძლებელია ფართო ტრადიციული ევროპული პრაგმატიზმის გარეშე. აღნიშნულ საშუალებებს აქვთ საგანგებო კონცეპტები, რომლებსაც ზემოთ ნახსენებ ფანტომურ თვისებებს უმატებენ, რათა საბჭოთა სოციალური და ისტორიული ტოტალურობის, როგორც მოვლენის, გაგება გახდეს შესაძლებელი; საჭიროა გაცხადდეს მოჩვენებითობა და აბსურდულობა კონცეპტუალურ მეტყველებაში, სპეციალურად რომ შეიქმნა ამ შემთხვევისათვის. მასში კანონი არის თანხმობის შეუძლებლობა, სიცოცხლე დაფარულია სიცოცხლის ფიქციებით ან იმიტაციებით, – იმ იმიტაციებით, რომლებიც არარსებულ სიცოცხლეს ბაძავენ მიმიკით, ეს არის სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. გაუჩინარებული სიცოცხლის ადგილზე ხელახლა იქმნება ახალი სიცოცხლე, როგორც მოჩვენება. მაგრამ ადამიანები ფიზიკურად მაინც სიცოცხლეში რჩებიან და, როდესაც სხვა გზა არა აქვთ, ფანტომების განდევნას იწყებენ, ეს არის სიცოცხლის ნარჩენი სიკვდილის შემდეგ, დაკნინებული და დამახინჯებული სიცოცხლე, რომელიც ზედაპირულად არის გარდაქმნილი, ეს არის ისტორიული უკანდახევა, რომელიც იწვევს მხოლოდ ზედაპირულ გარდაქმნას. ეს ყველაზე არქაული ისტორიული უკანდახევაა. ეს სრულებითაც არ გახლავთ ბარბაროსობა, როგორც ასეთი, რადგან ბუნებრივად შეუძლებელია ბარბაროსობა ცივილიზაციის შემდგომ, როგორც შეუძლებელია, მთელი სიცოცხლე სიცოცხლის იმიტაცია იყოს. უკანდახევა სიცოცხლისა, რეალური უკანდახევა სიცოცხლის ნაწილებისა ჩნდება მაშინ, როდესაც გარეგანი ჯაჭვები წყდება და ყველაზე არქაულ, ბრმა და მძაფრ ლტოლვებს ეძლევათ ფართო გასაქანი. ეს განახლებული ლტოლვები, როგორც ბორხესი ამბობდა, მიწის, სისხლისა და

გრძნობის კერპები, ხელახლა დაფარავს ჭეშმარიტების იდუმალ და გამჭვირვალე გზებს. ეს არის, მე ვიტყოდი, ყველაზე ბნელი ბუნება ადამიანისა, რომელიც, თითქოს, გაურკვეველ მდგომარეობაში დარჩა და მხოლოდ თავს გვაჩვენებს სხვაგვარად; ამას ემატება ტოტალიტარულ სახელმწიფოში (ამაზე უკვე ვისაუბრე) ძალადობის მონოპოლიისა და უკანონობის დაკანონების რღვევაც.

აი, ასე მიიღებთ ბენზინის ფეთქებად კასრს. ეს არის კავკასიის ლიბანიზაციის საფრთხის რეალობა. ვფიქრობ, რომ აზერბაიჯანელებმა და სომხებმა, – სასიკვდილოდ გადაწნულ-გადახლართულებმა, – უკვე მრავალი ნაბიჯი გადადგეს კავკასიის ლიბანიზაციის უფსკრულისაკენ მიმავალ დაღმართზე. ვიღებთ აბსოლუტურად გადაუჭრელ პრობლემათა ისეთ კვანძს, როცა ყველა მართალია და ყველა შავ დღეშია.

თითოეულ ცალკე აღებულ პროტესტს თავისი რაციონალური გამართლება აქვს, ერთობლიობაში კი გამოუვალი და უგუნური ფსიქოზია. მათ შეუძლიათ ამ ციცაბოზე ჩაითრიონ კავკასიის სხვა ხალხებიც, – გენოციდისა და სიკვდილის ხატით მონუსხულები. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ისეთი მოვლენაა, რომელმაც ჩვენში უნდა გამოაცოცხლოს პასუხისმგებლობის გრძნობა, აღადგინოს საქართველოს ისტორიული და გეოპოლიტიკური მოწოდება, – იყოს მშვიდობის დამამყარებელი და შუამავალი ძალა კავკასიის ეთნოსებსა და სახელმწიფოებს შორის. კავკასია, როგორც ახლახან გითხარით, ეს არის მთელი ცალკე სამყარო, რომელსაც არ მიესადაგება რუსი დემოკრატების ნალოლიავები სქემები; მე ამ სქემებს რუსული „მატრიოშკის პრინციპს“ ვუწოდებ. კავკასიის პრობლემების გადასაჭრელად ამ პრინციპების გამოყენება იქნებოდა პროვოკაციული მოქმედების ნაღმი, რომელიც გამოიწვევდა ორგანულად ერთმანეთთან დაკავშირებული სამყაროს, კავკასიის, აფეთქებასა და ნგრევას. ამ სამყაროში სხვაგვარი სიბრძნე, სხვა სქემა, სხვა პრინციპი მოქმედებს. არსებობს მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური გამოცდილებაც და არ არის საჭირო კავკასიის ამ შიდა, ინტიმური რეალობის ხელყოფა; არ კმარა აბსტრაქტული პრინციპების, ადამიანის უფლებების ქონა, საჭიროა, გაგაჩნედეს კონკრეტული რეალობის ინტუიციაც და კავკასიისათვის დამახასიათებელი მულტინაციონალიზმის, კოსმოპოლიტიზმისა და გენეტიკური უნარის დალექილი შრეების ნდობა და მაშინ იქ, სადაც უკიდურესი საშიშროება ჩნდება, იქნებ, ხსნის გზაც

გამოჩნდეს. იმედი მაქვს, ეს სიტუაცია გამოაღვიძებს ქართველებში მათი ისტორიული და გეოპოლიტიკური დანიშნულების შეგნებას, – იმას, რაც გენეტიკურად ძევს ჩვენში – ვიყოთ კავკასიის ხალხებისათვის მშვიდობის მომტანი შუამავალი; ეს არის ის მოწოდება, რომლითაც უნდა გამოფხიზლდეს ქართული სახელმწიფო, როგორც კავკასიის გასაღები. ვინც ფლობს საქართველოს, კავკასიასაც ფლობს.

ამჟამად საქართველო არის მთელი ამიერ და იმიერ კავკასიური სამყაროს სტაბილურობის საყრდენი, მშვიდობის გასაღები, კავკასიის ხალხთა ერთად ცხოვრების გასაღები. საჭიროა, ამას დაემატოს რელიგიური შემწყნარებლობა, რაც ასე ტრადიციულია ქართული სახელმწიფოსათვის. ქართულ კულტურასა და ზნეში ყოველთვის არის ადგილი გარკვეული სახის ეკუმენიზმისათვის. ჩვენ, ქართველებს, გაგვივლია მუსულმანებთან ერთად ცხოვრების გზა, უფრო მეტიც, – ჩვენ ჩვენი საკუთარი ქართველი მუსულმანები გვყავს. ეს მხოლოდ ახლა, როცა ცნობიერება სოვიეტიზმით დეფორმირებულია, გვეშინია ჩვენივე საკუთარი მუსულმანი ძმებისა; ესენი არიან მესხები, მათი სპეციფიკურობის პრობლემა არასდროს მდგარა ქართველების წინაშე, ამჟამად, საჭიროა, საკუთარ თავზე ავიღოთ ქართველი ხალხის ამ ნაწილზე პასუხისმგებლობა.

იგივე ითქმის აფხაზეთზე, რომელიც არის, და ეს არავის უნდა დაავიწყდეს, ლინგვისტურ და სიმბოლურ სიბრტყეზე, თვით საქართველოს, როგორც ისტორიული სახელმწიფოს, სინონიმი. არც ერთ ქართველს არ შეუძლია, გამოეთიშოს სიტყვა „აფხაზს“. ყველა ქართველისათვის მიუღებელია ვარაუდი – შეიძლება, აფხაზეთი ტერიტორიულად ჩამოცილდეს საქართველოს; ამგვარ დაშვებას არავითარი საერთო არა აქვს აფხაზების, როგორც ეთნიკური, სოციალური და კულტურული ჯგუფის ავტონომიის პრობლემასთან. ავტონომიურობის პრობლემა საპარლამენტო და საკონსტიტუციო გზით არის გადასაწყვეტი, როგორც ცხოვრების ნებისმიერი სხვა პრობლემა ადამიანთა ეთნიკური ერთობის შესახებ. ეს უნდა მოხდეს სამართლებრივ საზოგადოებაში, რომლის შექმნას ვესწრაფვით. საჭიროა საპარლამენტო და სამართლებრივი გზებით გადავუკეტოთ გზა კორპორაციულ ინტერესებს კავკასიის სანაპიროს მიმართ; საჭიროა, საწარმოები, საკურორტო ადგილები და მეურნეობები, რომლებიც ეკუთვნის ცენტრალურ ხელისუფლებას, გადაეცეს საქართველოს

რესპუბლიკისა და ადგილობრივი ხელისუფლების იურისდიქციას. ეს იქნება როგორც, საზოგადოდ, სახელმწიფოს, ისე ადგილობრივი აფხაზური სინამდვილის განვითარების გზაც. აფხაზი ხალხის პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად საჭიროა, დაიშალოს მონოპოლიებისა და კორპორაციების სისტემა, რაც აფხაზთა საგარეო რეალობის უკან მალავს მოსკოვს. ეს ჩვენ გვაბრუნებს კონსტიტუციის პრობლემასთან, რომელიც უკვე განვიხილეთ. ახლა, მინდა განვსაზღვრო, რას ვგულისხმობ ნაციონალურ დამოუკიდებლობაში. აქ მე არ გამოვიყენებ სიტყვას *ნაციონალიზმი* ან *ნაციონალური მოძრაობა*. ჩვენ საქართველოში არა გვაქვს ნაციონალური მოძრაობა, სამაგიეროდ, გვაქვს ბრძოლის გამომხატველი სიტყვები, გამოთქმები, როგორც ანაბეჭდი სიტყვებისა, რომლებიც ახასიათებენ ნამდვილ ნაციონალურ ბრძოლებს. ეს სიტყვები შესაძლებელია განვიხილო მხოლოდ მოძრაობის შიგნით, სადაც მე შემიძლია მოძრაობის მონაწილეები წარმოვადგინო *ნაციონალისტებად*. ეს შესაძლებელია მაშინ, თუ ამაში ვგულისხმობთ რეალური პრობლემების გარკვეულ კონცეფციას. მაგრამ აღნიშნული სიტყვები არ შეიძლება გარედან მიესადაგოს მთლიანი მოძრაობის განსაზღვრას და რეალურ პრობლემატიკას. თავად მოძრაობის შიგნით არიან მაქსიმალისტები, რომლებიც იკვებებიან საკუთარი ნაციონალური განსაკუთრებულობის გრძნობით, მაგრამ არიან, ასევე, კონსტიტუციონალისტები, რომლებიც უფრო ახლოს არიან რეალურ პრობლემებთან. ფაქტი, რომ ქართული მოძრაობა, სინამდვილეში, არ არის ნაციონალისტური მოძრაობა, დასტურდება მისი მიმართებით რუსეთისადმი ინდივიდუალურ, ყოფითსა და კულტურულ დონეზე. საქართველოში არ არსებობს ანტირუსული გრძნობა; ადამიანები მხოლოდ ადამიანური, სამოქალაქო თავისუფლებისათვის ბრძოლის აზრით არიან პოლიტიკურად ანტი-საბჭოურები, ე. ი. რუსების მიერ თავს მოხვეული ძალაუფლების წინააღმდეგნი.

იმ სიტუაციაში, როდესაც ორი განსხვავებული — ერი-სახელმწიფოს და მოდერნულობის — პრობლემა ჩნდება, როცა ეს ორი პრობლემა ერთმანეთის მიმართ დისჰარმონიულ ურთიერთობაშია და თითქმის გამოუვალი მდგომარეობაა შექმნილი, ძირითადი რგოლი, საიდანაც აიგება მთელი ჯაჭვი, უნდა იყოს შემდეგი: მონახოს დამოუკიდებელი ქცევებისა და უნარების მაგალითები და რეალურად განხორციელდეს საქმეში. აი, ეს იქნება თავისუფლება, არა როგორც

რაღაც გარეგანი საბოძვარი, არამედ – შინაგანი ნიჭი, უნარი, რაც თავისთავად დამკვიდრდება თითოეულის სულსა და ხორცში.

საჭიროა, იცოდე დამოუკიდებლობის პრაქტიკულად გამოყენება ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ საქმეებში. ეს გულისხმობს ქართველი პოლიტიკური კლასის ჩვევებისა და ადათების ამოძირკვას, კლასისა, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო, როგორც მოსკოვის მონა. მე ვიმეორებ, საჭიროა, შეიქმნას დამოუკიდებელი ცხოვრების რეალური სივრცე, ხოლო რა დაერქმევა ამ დამოუკიდებლობას, არა აქვს მნიშვნელობა; სიტყვების, სახელდებების მიღმა უნდა შეიქმნას თავისუფალი საქართველო. შესაძლოა, ჩვენ გამოვიდეთ საბჭოთა კავშირიდან, თუ თავად რუსეთი არ დაადგება კონსტიტუციისა და დემოკრატიის გზას. ვნახოთ! არ შეგვიძლია ჩვენი სული და ნიჭი დავიმახინჯოთ სიტყვების გამო ბრძოლით. ყოველგვარი საერთაშორისო ხელშეკრულების ხელახალი ფორმულირების საფუძველი, იქნება ეს ფედერალური თუ კონფედერალური ხელშეკრულება, არის რესპუბლიკის მიერ საქმეში განხორციელებული თავისუფლება. დიდ თეორიებს აქ არა აქვს მნიშვნელობა. არც იმაზე ვინაღვლებთ, რას დაგვიძახებენ! რაკი გვეცოდინება დამოუკიდებლად ცხოვრება, ვიქნებით თავისუფალი ადამიანები და ადამიანურ ურთიერთობებს დავამყარებთ მთელ სამყაროსთან, ვნახავთ, როგორ აღსრულდება ეროვნული თავმოყვარეობითა და სიამაყით ნაკარნახევი ჩვენი სურვილები.

საჭიროა, მთელი ნაციონალური ცხოვრება, – ქალაქებისა თუ სოფლების მშენებლობა, განათლება, ჯანმრთელობის სამსახური, კულტურული მოღვაწეობა და ა. შ. – წარიმართოს ერთი მოვლენის კვალდაკვალ – ეს არის თავისუფალი შრომა. ეს იმასაც გულისხმობს, რომ უნდა ვისწავლოთ მუშაობა, შრომა მოდერნული ანუ თანამედროვე მსოფლიოს დონეზე. ამისათვის საჭიროა, ხელახლა მოვიპოვოთ ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური უფლება – უფლება, და არა მოვალეობა შრომისა. ესაა – ინდივიდუალური და შრომაში სხვებთან დადგენილი წესით თანამშრომლობა – შრომის უფლება, რაც გამომდინარეობს თავისუფლად გასაკეთებელი ნივთიდან. პოლიტიკურ დონეზე ამგვარი შრომისათვის დაშვებულია მოხერხება, მანევრირება, თვალთმაქცობა, კომპრომისი და სიმარჯვე პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან იქნება ეს, თუ ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისას. ეს ყოველივე საჭიროა, თუ სურთ,

მოიპოვონ გამარჯვება, რაც ყოველთვის არის ბრძოლის ერთადერთი მიზანი. ბრძოლა არავის სჭირდება ბრძოლისათვის, ბრძოლაში გამარჯვებისათვის ებმებიან. უშუალოდ ბრძოლის წარმოებისას საჭირო არ არის გორბაჩოვის შინაგანი მენტალიტეტის გამოცნობა, საკმარისია, დადგინდეს სიტუაცია, გორბაჩოვის მოქმედებათა შედეგები და ისინი გამოყენებულ იქნას საკუთარ მოქმედებაში. ეს ერთგვარი საფეხურებია, რომელთაც შემიძლია დავეყრდნო ჩემს გზაზე სვლისას. მაგალითად, მე შემიძლია დავადგინო, რომ მისი ქმედებანი საფუძველს ქმნიან იმისათვის, რომ ჩვენი ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდეს.

ჩვენ არ შეგვიძლია, წარმატებით განვსაზღვროთ ჩვენი საჭირო ენერგია ჩვენსავე ბრძოლაში, იმიტომ, რომ ჩვენ გვჯერა, ან არ გვჯერა, ვხვდებით ან ვერ ვხვდებით ისეთი ადამიანების ფსიქოლოგიას, როგორებიც არიან გორბაჩოვი, ელცინი და სხვანი. მაგალითად, მე არ მჭირდება გორბაჩოვის რწმენა, – ისევე, როგორც, სხვათა შორის, ქართველი ეროვნული გმირებისა. მისი უმალ მადლიერი ვარ იმ ფიზიკური, მატერიალური ფაქტების გამო, რომლებიც მე საკუთარ მოქმედებას მიადვილებენ. მე მაინტერესებს მხოლოდ ის, რომ გორბაჩოვმა და მისმა ელიტამ გაიცნობიერონ მათ წინაშე არსებული ისტორიული მომენტი, – ეს არის საპრეზიდენტო მომენტი. ცხადია, თუ ხვდებიან, თუ ესმით, პარტიულობისა და მისი იდეოლოგიის გარეშე არსებული საპრეზიდენტო ძალაუფლების ახალი ტიპი, რომლის ბუნებრივი მოკავშირეებიც იქნებიან რესპუბლიკები, საკონსტიტუციო პროცესები რესპუბლიკებში და არაფორმალური მომენტები მასების ცხოვრებისა, როგორიცაა მუშათა კლასისა და კოოპერატივების პროფკავშირული მოძრაობები. ასეთ დროს ძირითადი ამოცანა გახლავთ შუალედური კორპუსის დანგრევა პრეზიდენტს, როგორც ხალხის მსახურის სიმბოლოსა, და ხალხს შორის. ამგვარივე შუალედური რგოლების დამსხვრევაა საჭირო რესპუბლიკებთან და ხალხთა მოძრაობასთან – ნომენკლატურის, პარტიის ძალაუფლების, იდეოკრატიული ძალაუფლების, მმართველი საბჭოთა კლასის გარეშე. ამ ურთიერთქმედებისას იქმნება არტიკულაციისა და დიფერენციაციის გზაც, ერთობ ხელსაყრელი სამოქალაქო საზოგადოებისათვის.

ანტი-რუსული ლოზუნგები, სინამდვილეში, მხოლოდ პოლიტიკური ლოზუნგებია, ანუ ისინი მიმართულია რუსული პოლიტიკური

ძალაუფლების წინააღმდეგ. ჩვენში არასდროს ყოფილა ეთნიკური სიძულვილის გამომხატველი ლოზუნგები. არასოდროს ყოფილა რუსული მოსახლეობის დარბევის მცირედი ნიშანიც კი, თვით ცხრა აპრილის ტრაგიკური კონფლიქტის შემდეგაც კი. ყოველდღიურობის თვალსაზრისით (ქუჩაში, ქალაქსა თუ დაბაში) რუსების მიმართ, რომლებიც იმ დროისათვის საქართველოში ტურისტებად იმყოფებოდნენ, არავითარი ნიშანი მტრობისა, ანდა ძალადობისა არ გამოვლენილა. ქუჩებში არც ერთი რუსისათვის „თავ-პირი არ დაუმტვრევიათ". მაგრამ არის ერთი რამ, რაც რუსებმა უთუოდ უნდა გაიგონ და თანაც შეეგუონ: ქართველებს სურთ დამოუკიდებლობა. ქართველს, როგორც ქართველს, შეუძლებელია, არ სურდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და თავისუფლება. არ შეიძლება, იგი არ ისწრაფვოდეს ამისაკენ. ეს არის თავისთავადი მოცემულობა, ეს არის ისტორიული ლტოლვა, რომელიც ძალზე შორიდან მოდის, რომელიც ძევს გენეტიკაში და რომელიც შეუქცევადია. ეს ის ბასრი ისარია, უხსოვარი დროიდან რომ გამოტყორცნილა და დღეს აღარ შეუძლია ფრენის მდგომარეობაში დარჩენა; იგი არაა მიმართული ვინმეს წინააღმდეგ, იგი არავის უმიზნებს, მას არა აქვს ასეთი განზრახვა – იგი მხოლოდ და მხოლოდ ფრენის მდგომარეობაშია; ეს არის ის, რაც რუსებმა უთუოდ უნდა გაიგონ და ამაში არ უნდა დაინახონ ცუდი ზრახვები, უმადურობა, ინტრიგები და ა. შ. ეს ის ყვავილია ტროტუარის საფარს რომ გააპობს და მაინც ამოვა. მტრულად რად უნდა შეხვდნენ ამ ყვავილის გაშლას?! მისი ამოსვლა ხდება არა იმიტომ, რომ ჩვენ სიამოვნება ან უსიამოვნება მოგვანიჭოს, არამედ – სიცოცხლის დაუძლეველი ძალის წადილით. ყვავილის თავისთავადობა, დამოუკიდებლობა ღირსეული მოვლენაა ყველა ჩვენი სიამოვნების გამომხატველი რეაქციების მიუხედავად, ზრახვათა გამოვლინების მიუხედავად, ყოველივე იმის მიუხედავად, რაც ხდება ჩვენ თავში, როდესაც ყვავილს ვუყურებთ. ამრიგად, დიახ, ასეთი რამ პრობლემას უქმნის ყველას, ვინც არ არის საკმარისად განვითარებული და მომწიფებული, საკუთარი თავის გვერდით აიტანოს ამგვარი ავტონომია, ამგვარი მიზანსწრაფულობა, – დაფუძნებული მხოლოდ საკუთარ კანონებზე.

ახლა მე მივმართავ რუსებს და მე მათ ვუბიძგებ კულტურისაკენ, ე. ი. ვაჟკაცობისაკენ, ცოდნისა და იმის უნარისაკენ, შეიცნონ ავტონომიურ მოვლენათა სირთულე მრავალფეროვან პირობებში. ეს მათ

არ სურთ, მაგრამ არ შეუძლიათ, წაშალონ ეს ყოველივე ადამიანურ შესაძლებლობათა რუკიდან. ჩვენს ირგვლივ ავტონომიური მოვლენებია, რომლებიც აღმოცენდნენ საკუთარ საფუძველზე და საკუთარი კანონის ძალით. ამიტომ საჭიროა, იცოდე მათთან მეზობლობა და იქონიო მათთან ურთიერთობა. ამისათვის თავად უნდა იყო მომზადებული, მრავალმხრივი და ჩამოყალიბებული. თუ თავად არ გაგაჩნია საკმაო ვაჟკაცობა, საკმაო ძალა, რათა აიტანო შენს ირგვლივ დამოუკიდებელი მოვლენები, ზემოთ რომ განვსაზღვრეთ, ან გაგიჟდები, ან იქცევი სასტიკ მკვლელად. ყოველთვის დაეჭვდები, რომ მტრებს მიზნად მხოლოდ შენი განადგურება აქვთ. აქედან, როგორც აფეთქებული ატომიდან, წამოვა შიში და აგრესია იმ მარტივი მიზეზით, რომ შენ არა ხარ მრავალმხრივი და რთული ელემენტების ერთობლიობა, შენ მოკლებული ხარ საკმაო სიმხნევესა და გონების სინათლეს. ამ აზრით, რუსულ სოციალურ კულტურასა და პოლიტიკაში არის გარკვეული უკმარისობა. ამის გამო რუსები არსებულ ავტონომიურ მოვლენებში ბოროტ ზრახვებს ჭვრეტენ. მათ ეჩვენებათ მხოლოდ უფსკრული, სადაც დემონები იმალებიან. უდავოდ, ეს განწყობა ერთვის ძალადობის, სადიზმის და სიბრმავის კაპიტალს, რაც უკვე ძევს საბჭოთა ხალხთა სულებში იმ ატმოსფეროს წყალობით, რომელშიც სუნთქავდნენ ათეულობით წლების განმავლობაში. მათში განსაკუთრებით დალექილია კრისტალები სამოქალაქო ომისა, არასდროს რომ არ დამთავრებულა ადამიანთა ზნეში, ადათ-წესებში, ცნობიერებასა და კოლექტიური თანაცხოვრების კულტურაში.

საჭიროა ბრძოლა ყოველივე ამის წინააღმდეგ, ე. ი. რუსების ბრძოლა საკუთარი თავის წინააღმდეგ, ამ ისტორიული და გენეტიკური მემკვიდრეობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით იმ რეაქციული სტრუქტურის წინააღმდეგ, მათ სულში რომ არის ჩაკირული ყოველგვარი უცხო, ავტონომიური და რთული მოვლენის მიმართ. მე ვლაპარაკობ პოლიტიკური კულტურის უნარზე. ნახავენ, როგორი იქნება ხელშეკრულება იმ ხალხებს შორის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში რომ არიან. ეს მოხდება მას შემდეგ, როცა ყველა ხალხი, და, განსაკუთრებით, რუსი ხალხი, თავად გაივლის კულტურული, საკონსტიტუციო და საპარლამენტო ფორმაციის ღია პროცესს. ამაზე ყველამ ბევრი უნდა იფიქროს და არ უნდა ჩამოეკიდონ ლოზუნგებს, რაოდენ მიმზიდველადაც არ უნდა ეჩვენებოდეს ისინი ეროვნულ თავმოყვარეობასა და სულისკვეთებას.

ცნობიერება და ცივილიზაცია

(სტატიები და მოხსენებები)

ცნობიერება და ცივილიზაცია

თემა, რომელიც სათაურად გამოვიტანე, რასაკვირველია, ძალიან მრავალმნიშვნელოვანია, უამრავ ასოციაციას იწვევს, მაგრამ ჩემთვის ის კონკრეტულია და თანამედროვე ვითარების შეგრძნებას უკავშირდება; ვითარების, რომელიც მაღელვებს და რომელშიც რომელიღაც სტრუქტურის მსგავს ნიშნებს ვხედავ, რაც შეიძლება შეუქცევადი აღმოჩნდეს და ამით შიშის ზარს მცემს. იმავდროულად, სურვილი მიჩნდება, რომ დავფიქრდე და მის მიღმა რაღაც ზოგადი კანონი დავინახო. და შიშის და ცნობისმოყვარეობის შერეული გრძნობით მინდა კიდეც გამოვთქვა ჩემი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

მსჯელობის ელფერი რომ მიეცეს, შეიძლება ასე დავახასიათოთ მათი არსი. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ იმ უამრავ კატასტროფას შორის, რომლითაც ცნობილია და გვემუქრება მე-20 საუკუნე, ერთ-ერთი მთავარი და ხშირად თვალისთვის უხილავი მათ შორის არის ანთროპოლოგიური კატასტროფა, რომელიც სულაც არ ვლინდება ისეთ ეგზოტიკურ მოვლენებში, როგორიცაა დედამიწის და ასტეროიდის შეჯახება; არც მისი ბუნებრივი რესურსების ამოწურვას ან მოსახლეობის რაოდენობის მეტისმეტ ზრდას ვგულისხმობ; არც ეკოლოგიურ ან ატომურ ტრაგედიაზე ვსაუბრობ. მხედველობაში მაქვს მოვლენები, რომლებიც თვით ადამიანის თავს ხდება და ცივილიზაციას უკავშირდება იმ გაგებით, რომ, შესაძლოა მასში რაღაც სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი საბედისწეროდ განადგურდეს, სიცოცხლის პროცესის ცივილიზებული საფუძვლების ნგრევის ან, უბრალოდ, მათი უქონლობის გამო.

ცივილიზაცია მეტისმეტად ნაზი ყვავილია, ძალიან მყიფე კონსტრუქციაა და მე-20 საუკუნეში სრულიად ნათელია, რომ ამ ყვავილს, ამ კონსტრუქტს, რომელსაც ყველგან ბზარები გაუჩნდა,

დაღუპვა ემუქრება. ცივილიზაციის საფუძვლების ნგრევა კი ადამიანურ ელემენტზეც, ცხოვრების ადამიანურ მატერიაზეც როგორღაც მოქმედებს, რაც ანთროპოლოგიურ კატასტროფაში ვლინდება, რომელიც, შესაძლოა, ნებისმიერი სხვა, შესაძლო გლობალური კატასტროფების პროტოტიპია.

ის შეიძლება ნაწილობრივ მოხდეს კიდეც, იმ კანონზომიერებების დარღვევის გამო, რომლის მიხედვითაც მოწყობილია ადამიანური ცნობიერება და მასთან დაკავშირებული „მინაშენი", რომელსაც ცივილიზაციას უწოდებენ.

როდესაც სახელგანთქმული მწერალი-ფანტასტის, ა. აზიმოვის მიერ შედგენილ გლობალური კატასტროფების სიაში ათობით სხვა კატასროფასთან ერთად ვხვდები დედამიწის შავ ხვრელთან სავარაუდო შეჯახებას, უნებლიეთ ვფიქრობ, რომ ამგვარი ხვრელი უკვე არსებობს, თანაც ძალიანაც ჩვეულებრივი, ჩვენთვის კარგად ნაცნობი მნიშვნელობით; რომ საკმაოდ ხშირად ვყვინთავთ მასში და ყველაფერი, რაც მისი ჰორიზონტის გადალახვის შემდეგ მასში ხვდება, მაშინვე ქრება, მოუხელთებელი ხდება, როგორც უნდა იყოს კიდეც შავ ხვრელში მოხვედრის შემთხვევაში. აშკარად არსებობს ცნობიერების რაღაც ფუნდამენტური სტრუქტურა, რომლის წყალობითაც განსხვავებული, გარეგნულად ერთმანეთთან დაუკავშირებელი მიკროსკოპული, მაკროსკოპული და კოსმიური მოვლენები შორს მიმავალ ანალოგიებად წარმოგვიდგება. გარკვეული თვალსაზრისით, ეს მოვლენები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ცნობიერების თვისებების მეტაფორები.

ჩემი აზრების განსამარტავად „მიუწვდომლობის", „გაქრობის", „ეკრანირების" ამ მეტაფორებს გამოვიყენებ კიდეც. მაგრამ მანამდე გ. ბენის ერთი ლექსის ჩემეულ, ფაქტობრივად, ბწკარედულ თარგმანს მოვიხმობ. ამ პოეტის გასხივოსნების სიღრმე გარკვეული სისტემის, გამოცდილების პირობებში, პირადად განვლილ რეალობას და მის მიერ შინაგანად განცდილ ცხოვრებისეულ გამოცდილებას უკავშირდება, რაც, პრინციპში, გარეგან, გამიჯნულ დამკვირვებელს არ გააჩნია. აი, როგორია ამ „შინაგანი ცოდნის" და მისი მატარებლის, – ადამიანის ხვედრი ლექსში, რომელსაც შემთხვევით როდი ეწოდება „მთელი":

ნაწილი მთვრალი იყო, ნაწილი – ცრემლებს ღვრიდა,
ხან – ბრწყინვალების კაშკაში, ხანაც – წყვდიადი ბნელი,
ზოგჯერ – ყველაფერი გულში იყო, სხვა დროს –
მძვინვარებდნენ ქარიშხლები. რომელი ქარიშხლები, ვისი?

მუდამ დაღვრემილი, იშვიათად სხვასთან ერთად,
სულ უფრო ერჩია თავშესაფარი, ეს ყოველივე ხომ სიღრმეში
დუღდა,
და ამოხეთქილი ნიაღვრები ივსებოდა, ძლიერდებოდა
და რაც მიღმა იყო, ყოველივე წიაღს უბრუნდებოდა.
ერთი მკაცრად გიყურებდა, მეორე იყო მშვიდი,
ერთი ხედავდა, რასაც შენ ქმნიდი, ხოლო მეორე –
პირიქით – რასაც ანგრევდი.
მაგრამ ყოველივე, რასაც ხედავდნენ – ზმანების ნამსხვრევებია:
მთელი ხომ მხოლოდ შენ გიპყრია.

გეგონებოდა მიზანი ახლოა:
და მომავალი წინ ნათელია.
მაგრამ ჩვენ წინაშეა ის, რაც უნდა მომხდარიყო,
და ის ახლა გაქვავებული მთელიდან გვიმზერს:

არც ბრწყინვალება, არც სხივია გარედან,
რომ საბოლოოდ მიიჯაჭვონ შენი მზერა –
თავშიშველი ქვეწარმავალი სისხლის ტბაში გდია
და წამწამზე ობოლი ცრემლი შერჩენია.

ამ ლექსში დამასრულებელი სახე და მისი შინაგანი კავშირები შემოწნულია „მთელის“ ან „მთელის“ შეგრძნების ირგვლივ, რომელსაც პოეტი განიცდის, როგორც განსაკუთრებულ ამაღლებულ განწყობილებას და სამყაროს საიდუმლოს არსის ფლობას, რასაც განყენებული, გარედან დამკვირვებლისთვის განსაკუთრებული ტიპის უცნაური სისტემების „შინაგანი გამოცდილებით“ მიუწვდომელს ვუწოდებ კიდეც; გამოცდილებაში, – და ესაა აქ მთავარი – ადამიანი, მისი მატარებელი, საკუთარი თავისთვისაც კი მიუწვდომელია. ეს იმიტომ, რომ ადამიანი, თავისი არსით, მთლიანად შინაგანში (სხეულში, ტვინში, აზრში) დანთქმული როდია, საკუთარი თავისკენ

შორიდან მოდის და მოცემულ შემთხვევაში, ვერასდროს აღწევს მას. ლექსში ასახული ეს კავშირები ამა თუ იმ სახით მომდევნო მსჯელობისას გამოჩნდება.

სამი „კ“-ს პრინციპი

ყველაფერ დანარჩენს გარკვეული პრინციპის გარშემო მოვუყრი თავს; პრინციპის, რომელიც, ერთი მხრივ, საშუალებას იძლევა, რომ დავახასიათოთ სიტუაციები, რომლებსაც აღწერადს ან ნორმალურს ვუწოდებ (მათში არ არის „მთლიანის“ მისტიკა, რაც წარმოდგენილი იყო ლექსში, თუმცა, ისინი თვითონ მთლიანი არიან), მეორე მხრივ კი – სიტუაციებს, რომლებსაც აღუწერელს, ან „უცნაურ სიტუაციებს“ ვუწოდებ. სიტუაციის ეს ორი ტიპი მომიჯნავე ან სარკისებურად ურთიერთამრეკლავია, მათ შორის იმიტომაც, რომ ყველაფერი, რაც მათში ხდება, შეიძლება ერთი და იმავე ენით, ანუ საგნობრივი ნომინაციების (სახელდებების) და ნიშნობრივი აღნიშვნების ერთი და იმავე შემადგენლობით და სინტაქსით გამოიხატოს. „შინაგანი ცოდნა“ ორივე შემთხვევაშია, თუმცა, მეორე შემთხვევაში ის, ფაქტობრივად, გადაგვარდება თვითიმიტაციის სისტემაში. თუმცა, ენა იგივეა, მაგრამ მკვდარია („ცუდი სუნი ასდის მკვდარ სიტყვებს“, – წერდა ნ. გუმილიოვი).

აღუწერელ სიტუაციებს (ის, რაც აღწერას არ ექვემდებარება) შეგვიძლია პრინციპული განუზღვრელობის სიტუაციები ვუწოდოთ. წმინდა სახით ამ თავისებურების განკერძოებისა და რეალიზაციისას, ისინი არიან კიდეც ის „შავი ხვრელები“, რომლებშიც შეიძლება აღმოჩნდნენ მთელი ერები და ადამიანური ცხოვრების ვრცელი სფეროები.

პრინციპს, რომელიც ამ ორი ტიპის სიტუაციას არეგულირებს, სამი „კ“-ს პრინციპს ვუწოდებ – კარტეზიუსის (დეკარტის), კანტის და კაფკას. პირველი „კ“ (დეკარტი): სამყაროში ადგილი აქვს და ხდება რომელიღაც უმარტივესი და აშკარა ყოფიერება – „მე ვარ“. ის ყოველივე დანარჩენს ეჭვქვეშ აყენებს და ამ დროს, არამარტო აღმოაჩენს კონკრეტულად ადამიანის ქმედებების გარკვეულ დამოკიდებულებას ყველაფერ იმასთან, რაც სამყაროში ხდება (მათ შორის ცოდნის სფეროშიც), არამედ ნებისმიერი დასაშვები ცოდნის აბსო-

ლუტური დამაჯერებლობის და სანდოობის ამოსავალი წერტილიცაა. ამ გაგებით, ადამიანი არის არსება, რომელსაც შეუძლია თქვას: „მე ვაზროვნებ, მე ვარსებობ, მე შემიძლია“; და არსებობს იმ სამყაროს შესაძლებლობა და პირობა, რომლის გაგებაც მას შეუძლია, რომელშიც ადამიანურად შეუძლია მოქმედება, რაიმეზე პასუხისგება და რაიმეს ცოდნა. შესაბამისად, სამყარო შექმნილია (საკუთარი „ქმნის კანონის“ გაგებით) და ახლა უკვე საქმე შენზეა, ვინაიდან იქმნება ისეთი სამყარო, სადაც შენთვის ყველაფერი შესაძლებელია, როგორიც არ უნდა იყოს ბუნების ხილული წინააღმდეგობები, სტიქიურ-ბუნებრივი მოვლენები და გარემოებები.

ამ ფორმულირებებში ადვილად ამოსაცნობია პრინციპი „cogito ergo sum“, რომელსაც ოდნავ განსხვავებული ფორმა მივანიჭე, რომელიც მის ნამდვილ შინაარსს პასუხობს. თუკი პირველი „კ“-ს პრინციპი არ ხორციელდება ან ყოველ ჯერზე ხელახლა დგინდება, მაშინ ყველაფერი გარდაუვლად ნიჰილიზმით ივსება, რომელიც მოკლედ შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც „მხოლოდ მე არ გამომდის“ (დანარჩენებს – სხვა ადამიანებს, ღმერთს, გარემოებებს, ბუნებრივ აუცილებლობებს და ა.შ. გამოსდით). ანუ ასეთ ვითარებაში შესაძლებლობა უკავშირდება რაღაც თავისთავად მოქმედის, ჩემ მაგივრად მოქმედი მექანიზმის დაშვებას (თითქოს, ის ბედნიერების, სოციალური და ზნეობრივი კეთილდღეობის, უმაღლესი განჭვრეტის, წინასწარმეტყველების და ა.შ. მექანიზმი იყოს). პრინციპი cogito ამტკიცებს, რომ შესაძლებლობის განხორციელება მხოლოდ მე შემიძლია იმ შემთხვევაში, თუკი თვითონვე ვიშრომებ და სულიერ ძალისხმევას არ დავიშურებ საკუთარი გათავისუფლების და განვითარებისთვის (ეს, რასაკვირველია, ყველაზე რთული რამაა ამქვეყნად). მაგრამ მხოლოდ ასე შეიძლება, სულმა მიიღოს და აღმოაცენოს „უმაღლესი“ თესლი, საკუთარ თავზე და გარემოებებზე ამაღლდეს, რისი წყალობითაც ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდება, შეუქცევადი, საბოლოო, მთლიანად და სრულად მოცემული არ აღმოჩნდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არასაიმედო არ აღმოჩნდება. მუდმივქმნად სამყაროში ჩემთვის და ჩემი ქმედებისთვის ყოველთვის არის ადგილი, თუკი მზად ვარ, რომ ყველაფერი თავიდან, საკუთარი თავით, იმით დავიწყო, რაც ვარ.

მეორე „კ“: სამყაროს წყობაში არის განსაკუთრებული „ინტელიგიბელური“ (გონებით საწვდომი) ობიექტები (განზომილებები),

რომლებიც, იმავდროულად, უშუალოდ, ცდის გზით შეცნობადი არიან, მაგრამ შემდგომში მთლიანობათა დაუშლელი სახეები, განვითარების ერთგვარი ჩანაფიქრები ან პროექტებია. ამ პრინციპის ძალა იმაშია, რომ ის მიგვითითებს პირობებზე, რომელთა საშუალებითაც სივრცესა და დროში სასრულ არსებას (მაგალითად, ადამიანს) ცდის გზით გააზრებულად შეუძლია განახორციელოს შემეცნების აქტები, ზნეობრივი ქმედებები, შეფასება, სიამოვნება მიიღოს ძიებისგან და ა.შ. ვინაიდან სხვაგვარად არაფერს არ ექნებოდა აზრი – წინ (და უკანაც) უსასრულობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ სამყაროში ხორციელდება პირობები, რომლებშიც ხსენებულ აქტებს, როგორც ასეთებს, ენიჭებათ მნიშვნელობა (ყოველთვის დისკრეტული და ლოკალური), ანუ დაშვებულია, რომ სამყარო შეიძლებოდა ისეთიც ყოფილიყო, რომ ამ პირობებს დაეკარგათ მნიშვნელობა.

ზნეობრივი ქმედებების განხორციელებას, შეფასებებს და მისწრაფებებს მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ სასრული არსებისთვის. უსასრულო და ყოვლისშემძლე არსებისთვის მათი გააზრებულობის საკითხი თავისთავად გამოირიცხება და, ამგვარად, წყდება. მაგრამ სასრული არსების შემთხვევაშიც ყოველთვის და ყველგან, მაშინაც კი, როცა შესაბამისი სიტყვები აქვს, ვერ შევაფასებთ „კარგია“ და „ცუდია“-თი, „მშვენიერია“ და „მახინჯია“-თი, „ჭეშმარიტია“ და „მცდარია“-თი. მაგალითად, თუკი ერთი ცხოველი მეორეს შეჭამს, აბსოლუტური უეჭველობით ხომ ვერ ვიტყვით, ეს სიკეთეა თუ ბოროტება, სამართლიანობაა თუ არა. ისევე, როგორც ადამიანის რიტუალური მსხვერპლშეწირვის შემთხვევაში. როდესაც თანამედროვე ადამიანი აფასებს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქ უკვე ფარულად იგულისხმება, თითქოსდა, პირობების შესრულებულობა, რაც მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენს პრეტენზიას იმაზე, რომ შემეცნების, ზნეობრივი შეფასების და ა.შ. აქტები განვახორციელოთ. ამიტომაც მეორე „კ“-ს პრინციპი ამტკიცებს კიდეც: თვით სამყაროს წყობაში არსებობს განსაკუთრებული „გონებით საწვდომი ობიექტები“, რომლებიც ამ უფლებას და გააზრებულობას გააზრებულად უზრუნველყოფენ.

და ბოლოს მესამე „კ“ (კაფკა): იმავე გარეგანი ნიშნებისა და საგნობრივი ნომინაციებისა და მათი ნატურალური რეფერენტების (საგნობრივი შესატყვისების) დაკვირვებადობის პირობებში არ

სრულდება ყველაფერი ის, რაც ზემოხსენებული ორი პრინციპითაა მოცემული. ეს ზოგადი კ-ს პრინციპის განხორციელების გადაგვარებული ან რეგრესული ვერსიაა – ადამიანის მსგავსი „ზომბი“-სიტუაციებია, მაგრამ სინამდვილეში ადამიანებისთვის მიღმურია და მხოლოდ და მხოლოდ ბაძავს მას, რაც, ფაქტობრივად, მკვდარია. მათი პროდუქტი, Homo sapiens-ისგან, ანუ იმისგან განსხვავებით, რაც სიკეთისა და ბოროტების ცოდნას გულისხმობს, არის „უცნაური ადამიანი“, „აღუწერელი ადამიანი“.

სამი „კ“-ს პრინციპის ზოგადი მნიშვნელობის თვალსაზრისით, ადამიანური ყოფიერების მთელი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ რაღაც კიდევ (ისევ და ისევ) უნდა გარდავქმნათ სიტუაციად, რომელიც, მაგალითად, ეთიკისა და პიროვნული ღირსების ტერმინების საშუალებით გააზრებულ შეფასებას და მოგვარებას ექვემდებარება, ანუ თავისუფლების ან მისი უარყოფის, როგორც მისი ერთ-ერთი შესაძლებლობის, სიტუაციაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზნეობრიობა გარკვეული ზნეობის ზეიმი კი არ არის (ვთქვათ, „კარგი საზოგადოება“, „მშვენიერი ინსტიტუცია“, „იდეალური ადამიანი“), რომელიც შეგვიძლია რაიმე საწინააღმდეგოს შევადაროთ, არამედ ეს არის ისეთი სიტუაციის შექმნა და მისი აღდგენის უნარი, რომლის მიმართაც შეიძლება გამოვიყენოთ ზნეობრიობის აღმნიშვნელი ტერმინები და მათ (მხოლოდ მათ) საფუძველზე უნიკალურად და სრულად აღვწეროთ ის.

მაგრამ ეს, შესაბამისად, იმას ნიშნავს, რომ არსებობს ზოგიერთი პირველაქტები ან მსოფლიო მომცველობის აქტები (აბსოლუტები), რომლებიც კანტისეულ ინტელიგიბელურს და დეკარტესეულ cogito sum-ს განეკუთვნება. სწორედ მათი საშუალებით და მათში, – საკუთარი განვითარების შესაბამისად, – ადამიანს შეუძლია მოაქციოს სამყარო და საკუთარი თავი, როგორც მისი ნაწილი, რომელსაც ეს სამყაროვე აღადგენს ადამიანური მოთხოვნილებების, მოლოდინების, ზნეობრივი და შემეცნებითი კრიტერიუმების და ა.შ. სუბიექტის სახით. მაგალითად, მხატვრის მზერა არის მომცველობის და ბუნების, როგორც პეიზაჟის პირველაქტი (ამ შეუქცევადი მდგომარეობის გარეშე ბუნება თავისთავად ვერ იქნება შესაბამისი ადამიანური გრძნობების წყარო).

ფაქტობრივად, ეს შემდეგს ნიშნავს: ვთქვათ, უსამართლობის, ძალადობის და ა.შ. აქტების არავითარი ნატურალური აღწერა საკუ-

თარ თავში არ მოიცავს ჩვენი აღშფოთების, რისხვის, ზოგადად ფასეული განცდების რაიმე მიზეზს; არ შეიცავს ფაქტობრივი („პრაქტიკული“) შესრულებულობის ან გონებრივი მდგომარეობის მოცემულობის დამატების გარეშე; იმის გარეშე, რასაც კანტი „გონების ფაქტებს“ უწოდებდა: არა კონკრეტული აქტების გააზრებული ცოდნით, მათი, ასე ვთქვათ, ანარეკლებით, არამედ თვით გონებით, როგორც განხორციელებული ცნობიერებით, რომლის წინასწარ განსაზღვრა, დაშვების გზით შემოტანა, „ყოვლისშემძლე გონებით“ ჩანაცვლება და ა.შ. შეუძლებელია. და, თუკი ასეთი „ფაქტი“ არსებობს, ის ყოველგანმყოფი და ყოველჟამიერია.

მაგალითად, კ-პრინციპის პირველი და მეორე ნაწილების განხორციელების გარეშე, ვერ ვიტყვით, რომ აფრიკაში რომელიმე ტომი უზნეოდ ცხოვრობს ან ინგლისში რაიმე ზნეობრივია და რუსეთში – უზნეო. მაგრამ, თუკი არსებობს და განხორციელდა პირველმომცველობის აქტები და მათ მიმართ მემკვიდრეობით კავშირში ვართ, ჩართული ვართ მასში, მაშინ შეგვიძლია რაიმეს გააზრებულად თქმა და, იმავდროულად, აღწერის სისრულისა და უნიკალურობის მიღწევა.

განუზღვრელობის სიტუაცია

მესამე „კ“-ს სიტუაციებში კი, რომლებსაც აბსურდის სიტუაციებს უწოდებენ და რომლებიც გარეგნულად იმავე საგნობრივი და ნიშნობრივი ნომინაციებით აღიწერება, პირველმომცველობის აქტები არ არსებობს ან ისინი რედუცირებულია. ამგვარი სიტუაციები საკუთარი ენის მიმართ უცხოა და ადამიანური თანაზომადობა არ გააჩნია (ეს ისეა, ერთი ბუნების განუვითარებელი „სხეული“ საკუთარ თავს რომ გამოხატავდეს და სრულიად უცხობუნებოვან „თავში“ ვლინდებოდეს). ისინი საშინელი სიზმრის კოშმარებს ჰგავს, რომელშიც საკუთარი თავის გაგების და აზროვნების ნებისმიერი მცდელობა, ჭეშმარიტების ნებისმიერი ძიება, თავისი უაზრობით, საპირფარეშოს ძიებას ემსგავსებოდა. კაფკასეული ადამიანი იმ ენას იყენებს და საკუთარი ძიების პათოსს მიჰყვება იმ მდგომარეობებში, სადაც თავიდანვე ცხადია, რომ პირველმომცველობის აქტების შესრულება შეუძლებელია. ძიება მისთვის წმინდად მექანიკური გამოსა-

ვალია სიტუაციიდან, მისი ავტომატური მოგვარების ტოლფასია — იპოვა, ვერ იპოვა! ამიტომაც ეს უაღრესად უცნაური ადამიანი ტრაგიკული კი არ არის, უსაზრისოა, სასაცილოა, განსაკუთრებით თავისი კვაზიამაღლებული აღმაფრენის დროს. ეს არის ტრაგედიის შეუძლებლობის კომედია, გარკვეული მიღმური „ამაღლებული ტანჯვის“ ნიღაბი. შეუძლებელია, სერიოზულად აღიქვა სიტუაცია, როდესაც ადამიანი ისე ეძებს ჭეშმარიტებას, თითქოს, საპირფარეშოს ეძებდეს და, პირიქით, სინამდვილეში მხოლოდ საპირფარეშოს ეძებს, მაგრამ ეჩვენება, რომ ეს არის ჭეშმარიტება ან სამართლიანობაც კი (ასეთია, მაგალითად, ბატონი კ. კაფკას „პროცესში“). სასაცილოა, უაზროა, არაბუნებრივია, აბსურდულია, რაღაც ძილისმიერი არარაობაა, რაღაც მიღმურია.

ეს განსხვავებულობა, უკვე სხვა კუთხით, კაფკასთან გამოხატულია საყოველთაო შინაგანი გაშეშების მეტაფორით, მაგალითად, როცა გრეგორ ზამზა რომელიღაც საზიზღარ ლორწოვან არსებად გარდაიქმნება, რომელსაც საკუთარი თავიდან ვერ იშორებს. რა არის ეს, რატომ მიმართავს კაფკა ამგვარ მეტაფორებს? უფრო ნაცნობ მაგალითს მოვიხმობ.

შეიძლება თუ არა, ვთქვათ, ისეთი ცნებების გამოყენება, როგორიცაა „სიმამაცე“ და „სიმხდალე“, ან „გულახდილობა“ და „მატყუარობა“ ისეთი სიტუაციების მიმართ, რომლებშიც ხვდება „მესამე“, აღუწერელი ადამიანი (ამ სიტუაციებს ვუწოდებ ისეთს, რომლებშიც „უკვე ყოველთვის დაგვიანებულია“). მაგალითად, ამგვარ სიტუაციად ბოლო ხანამდე ითვლებოდა საბჭოთა ტურისტის უცხოეთში გამგზავრება. ის შეიძლებოდა ისეთ ვითარებებში აღმოჩენილიყო, როდესაც მისგან მხოლოდ პირადი ღირსების, ბუნებრიობის გამოვლენა იქნებოდა საჭირო; უბრალოდ, უნდა გამოგეჩინა სიმამაცე და არ გამოგევლინა, რომ მითითებებს ელოდი, როგორ უნდა მოქცეულიყავი, რა უნდა გეპასუხა ამა თუ იმ კონკრეტულ შეკითხვაზე და ა.შ. ზოგიერთები იმ დროს ფიქრობდნენ, რომ ტურისტი, რომელმაც თავი არ წარმოაჩინა, როგორც ნამდვილმა ცივილიზებულმა ადამიანმა, მშიშარაა, ხოლო ვინც ცივილიზებულ ადამიანად წარმოაჩინა თავი, — მამაცია. თუმცა, ამ ტურისტზე ვერ იტყვი, მამაცია თუ მშიშარა, გულახდილია თუ არ არის გულახდილი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საზღვარგარეთ ის გარკვეული პრივილეგიის საფუძველზე მოხვდა და ამიტომაც უკვე გვიანია საკუთარი მხრიდან

რაიმეს გამოვლენა. ეს უაზრობაა, ამაზე შეიძლება მხოლოდ გაიცინო.

აბსურდის სიტუაციის აღწერა შეუძლებელია, მისი გადმოცემა მხოლოდ გროტესკით, სიცილითაა შესაძლებელი. სიკეთის და ბოროტების, სიმამაცის და სიმხდალის ენა მას არ მიესადაგება, ვინაიდან ის არ არის იმ სფეროში, რომელიც პირველმომცველობის აქტებითაა შემოხაზული. ენა ხომ, უმთავრესად, სწორედ ამ აქტების საფუძველზე აღმოცენდება.

ან, ვთქვათ, ცნობილია, რომ გამოთქმა „საკუთარი უფლებების მტკიცება“ იმ ადამიანის ქმედებებს განეკუთვნება, რომელიც ფორმალურად ცდილობს სამართლიანობის მიღწევას. მაგრამ, თუკი ადამიანის ყველა ქმედება უკვე „შეკავშირებულია“ იმ სიტუაციით, სადაც კანონის პირველაქტი არ ყოფილა, მაშინ ადამიანისგან სამართლიანობის ძიებას (ის ენის საშუალებით ხდება, რომელიც ყველას ერთი და იგივე გვაქვს – ევროპული, რომელიც მონტესკიედან, მონტენიდან, რუსოდან, რომის სამართლიდან და ა.შ. იღებს სათავეს) ამ სიტუაციასთან არავითარი კავშირი არ აქვს. ჩვენ კი, ვინც ერთ სიტუაციაში ვცხოვრობთ, მაინც ხშირად ვცდილობდით და ვცდილობთ მის გაგებას სხვა ტერმინებით და ამ დროს „პროცესიდან“ ბატონი კ.-ს გზაზე ვდგებით და ამ გზას გავდივართ. მართლაც, თუკი არსებობს გონების მარცვლები, მაშინ გონების თმის წარმოდგენაც შეგვიძლია. წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანს თმა თავის შიგნით ამოდის (იმის ნაცვლად, რომ, როგორც წესია, გარეთ იზრდებოდეს), წარმოვიდგინოთ ტვინი, რომელიც თმითაა დაფარული, სადაც აზრები უგზო-უკვლოდ დაეხეტებიან, როგორც ტყეში, ერთმანეთს ვერ პოულობენ და ვერც ერთი მათგანი ვერ ყალიბდება. ეს სამოქალაქო აზრის პირველყოფილი მდგომარეობაა. ცივილიზაცია კი, უპირველესად, ერის სულიერი სიჯანსაღეა და ამიტომაც აუცილებელია, უპირველესად, იმაზე ფიქრი, რომ მას ისეთი ზიანი არ მივაყენოთ, რომ შედეგად ველარაფერი შევცვალოთ.

მაშ ასე, ჩვენ წინაშეა გაურკვეველი სიტუაციები და პირველი ორი „კ“-ს სიტუაციები, რომელთაც ერთი და იგივე ენა გააჩნიათ. სიტუაციების ეს ორი ტიპი მთლიანად განსხვავდება ერთმანეთისგან. ის მოუხელთებელი, რისი გარჩევა და გამოხატვაც გარეგნულად შეუძლებელია და რითაც გამოირჩევა ამ სიტუაციებში, მაგალითად, სიტყვა „სიმამაცე“, არის კიდეც ცნობიერება.

ცივილიზაციის ფორმალური სტრუქტურა

ცნობიერებასა და ცივილიზაციას შორის კავშირის შემდგომი გაგებისთვის გავიხსენოთ დეკარტის მიერ ჩამოყალიბებული აზროვნების სხვა კანონი, რომელიც ყველა ადამიანურ მდგომარეობას უკავშირდება, მათ შორის იმათაც, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სამყაროში მოვლენათა მიზეზობრივი კავშირები. დეკარტის თანახმად, აზროვნება განსაკუთრებით რთულია, აზრში უნდა გავმყარდეთ, ვინაიდან აზრი მოძრაობაა და არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ ერთი აზრიდან მეორე განვითარდეს რომელიღაც გონებითი აქტის ან გონებრივი კავშირის შედეგად. ყველა არსებული უნდა აღემატებოდეს საკუთარ თავს, რომ დროის მომდევნო მონაკვეთში საკუთარი „მეობა“ მოიპოვოს. ამასთანავე, ის, ვინც ახლა ვარ, არ მომდინარეობს იმისგან, რაც მანამდე ვიყავი და ის, რაც ხვალ ან დროის მომდევნო მონაკვეთში ვიქნები, არ მომდინარეობს იმისგან, რაც ახლა ვარ. მაშასადამე, აზრი, რომელიც მომდევნო მონაკვეთში აღმოცენდება, იქ იმიტომ როდია, რომ მისი საწყისი ან ნაწილი ახლა იღებს სათავეს.

ცივილიზაცია არის აზროვნების ამგვარი „საყრდენების“ უზრუნველყოფის საშუალება. ის უზრუნველყოფს კონკრეტული აზრებისა და შინაარსებისგან განყენების სისტემას, ქმნის განხორციელებისთვის აუცილებელ სივრცეს და შესაძლებლობას იძლევა, რომ აზრი, რომელიც დროის A მონაკვეთში დაიწყო, დროის შემდგომ B მონაკვეთში აზრად იქცეს; ან ადამიანური მდგომარეობა, რომელიც დროის A მონაკვეთში დაიწყო, დროის შემდგომ B მონაკვეთში ადამიანურ მდგომარეობად გარდაიქმნას. მოვიხმობ მაგალითს.

დღესდღეობით გახშირდა სპეციალური აზროვნებით ტკბობა. ითვლება, რომ სწორედ ეს არის ნამდვილი აზროვნება, რაც, თითქოსდა, თავისთავად ხორციელდება. ასეთ გამორჩეულ აზროვნებას შეგვიძლია მივაკუთვნოთ ხელოვნება და ეგრეთ წოდებული სულიერი შემოქმედების ნებისმიერი სხვა სფერო. თუმცა, აზროვნების უნარი რომელიმე ერთი პროფესიის პრივილეგია როდია. აზროვნებისთვის აუცილებელია ადამიანთა უმრავლესობისთვის დაუკავშირებელი საგნების დაკავშირებისა და მათი შეკრული სახით შენარჩუნების უნარი. სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობას, ძველებურად, როგორც ყოველთვის, დამოუკიდებლად ნაკლებად შესწევთ რაიმეს უნარი და

არაფერი იციან ქაოსის და შემთხვევითობის გარდა. მათ მხოლოდ ბუნდოვანი სახეებისა და ცნებების ტყეში ნადირის ნაკვალევის გაკვალვა შეუძლიათ.

იმავდროულად, პირველი „კ“ პრინციპის თანახმად („მე შემიძლია“), აზრში განმტკიცებისთვის აუცილებელია „აზრის კუნთების“ ქონა, რომლებიც ზოგიერთი პირველაქტის საფუძველზე ვითარდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აზროვნებისთვის დალაგებული სივრცის ბილიკები უნდა გავკვალოთ, რომლებიც საჯაროობის, განხილვის, ურთიერთატანის, ფორმალური წესრიგის ბილიკებია. ამგვარი წესრიგი ქმნის კიდეც სივრცეს და დროს თავისუფალი ინტერპრეტაციისთვის, საკუთარი თავის გამოცდისთვის. არსებობს საკუთარი სახელით სახელდების კანონი, სახელის დარქმევის კანონი. ის ისტორიული მნიშვნელობის მქონე პირობაა, ფორმაა, რომელიც, არსებითად, ერთადერთია, რაც თავისუფლებას საჭიროებს. ამ გაგებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანონები მხოლოდ თავისუფალი არსებებისთვისაა. ადამიანური ინსტიტუტი (აზრიც ინსტიტუტია) შრომა და თავისუფლების ატანაა. ცივილიზაცია (სანამ ადამიანი შრომობს და ფიქრობს) სწორედ უზრუნველყოფს, რომ რაღაც ამოძრავდეს და მოწესრიგდეს, საზრისი დადგინდეს და ადამიანმა შეიტყოს, რას ფიქრობდა, რა უნდოდა, რას გრძნობდა, – ამ ყველაფრის შესაძლებლობას იძლევა ცივილიზაცია.

მაგრამ ამით ცივილიზაცია, შესაბამისად, ითვალისწინებს საკუთარ თავში შეუცნობელის უჯრედების არსებობასაც. თუკი ის არც თუ ისე შესაცნობის გამოვლინებისთვის ადგილს არ დატოვებს, ცივილიზაცია, კულტურის მსგავსად (რაც, არსებითად, ერთი და იგივეა), გაქრება. მაგალითად, წარმოების ეკონომიკური კულტურა (ანუ არა მხოლოდ კეთილდღეობის მატერიალური კვლავწარმოება, რომელიც მოხმარების აქტის შედეგად კვდება) ნიშნავს, რომ არაკანონზომიერია მართვის ისეთი სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს, როდის უნდა დათესოს გლეხმა და ამ ცოდნის განაწილება მოიცავს მთელი მისი საქმიანობის სივრცეს. ვიმეორებ, ზოგიერთ ადგილას ავტონომიურად უნდა გამოვლინდეს საგნები, რომლებსაც ჩვენ არ ვიცნობთ და წინასწარ ვერც გავიგებთ, ან მის არსებობას რომელიმე ყოვლისმცოდნე გონებაში ვერ დავუშვებთ.

კიდევ ერთი მაგალითი: კ. მარქსი ამბობდა, რომ ფულის ბუნების შესახებ იმდენივე სისულელე თქმულა, რამდენიც სიყვარულის ბუ-

ნებაზე. მაგრამ, დავუშვათ, ფულის ბუნება უცნობია და ფორმალურ ცივილიზებულ მექანიზმშია ჩართული; ადამიანებმა იმდენად გაითავისეს ფული, როგორც კულტურა, რომ მათი არა მხოლოდ თვლა არის შესაძლებელი, არამედ მათი საშუალებით რაღაცეების წარმოებაც შეიძლება. რატომ არის ეს შესაძლებელი? ერთი მარტივი მიზეზის გამო: ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ შესასყიდ საქონელზე ფულის გაცვლა, თავის მხრივ, არ მოითხოვს დროს, ვინაიდან მათში უკვე იგულისხმება შრომითი დრო. ამგვარი საქციელი ცივილიზებულია. ამგვარი აბსტრაქცია თვით ცივილიზაციის მიერაა ჩადებული ადამიანური გამოცდილების ცივილიზებულ მოწყობაში. მსგავსი, მაგრამ „სარკისებური" საქციელი კი – არაცივილიზებულია. როდესაც ფულის კულტურული მექანიზმი არ არსებობს, ჩნდება და არსებობს ფულის მიმართ სარკისმიღმური საქციელი, რაც შემდეგს გულისხმობს: თუკი, ვთქვათ, გამომუშავებულია 24 მანეთი (ანუ ჩადებულია 8-საათიანი შრომა), მაშინ მისი დახარჯვისთვის კიდევ 10 საათი, ანუ 30 მანეთია საჭირო. ასეთ ცნობიერებაში, ბუნებრივია, არ არსებობს ფულის, როგორც ფასეულობის გაგება. ასეთ შემთხვევაში, ფულადი ერთეულის ნიშნის გამოყენებით შეუძლებელია ეკონომიკის გათვლა, ეკონომიკური წარმოების რაციონალური სქემის შემუშავება. ჩვენ კი ამ ფულადი ერთეულებით ვსარგებლობთ. მეტიც, ამ ფულად სარკისმიღმურ სამყაროში, თითქოსდა იმავე საგნებით მოხვედრისას, „წრის კვადრატურა" ამოვხსენით – ფულის ყადრის ცოდნის გარეშე, მოვახერხეთ და ანგარებიანი და თვალთმაქცები გავხდით.

მაშასადამე, ცივილიზაცია გულისხმობს მოწესრიგებული, სამართლებრივი საქციელის ფორმალურ მექანიზმებს და არა ვიღაცის მოწყალებაზე, იდეასა თუ კეთილ ნებაზე დაფუძნებულ მექანიზმებს. ეს არის კიდეც სოციალური, სამოქალაქო აზროვნების პირობა. „თუნდაც მტრები ვიყოთ, მოდით, ცივილიზებულად მოვიქცეთ, ნუ მოვჭრით იმ ტოტს, რომელზეც ვსხედვართ", – შეიძლება ამ თავისი არსით მარტივი ფრაზით არის კიდეც გამოხატული ცივილიზაციის, კულტურულ-სამართლებრივი, ზესიტუაციური ქცევის არსი; ვინაიდან სიტუაციის შიგნით ყოფნისას, შეუძლებელია იმაზე მარადიული შეთანხმება, რომ ერთმანეთს ზიანი არ მივაყენოთ, ვინაიდან ვიღაცისთვის ყოველთვის იქნება „ცხადი", რომ მან უნდა აღადგინოს დარღვეული სამართლიანობა. ამ აშკარა სწრაფვის გარეშე ისტორი-

აში არ განხორციელებულა ბოროტება, ვინაიდან ყოველგვარი ბოროტება საუკეთესო მიზნებით ხორციელდება და ეს ფრაზა სულაც არ გახლავთ ირონიული. ბოროტების ენერგია ჭეშმარიტების ენერგიით, ჭეშმარიტების ხილვის სინამდვილით საზრდოობს. ცივილიზაცია კი ახშობს მას და იმდენად აფერხებს მას, რამდენადაც ჩვენ, ადამიანებს, შეგვწევს საამისო ძალა.

ერთი სიტყვით, ნგრევა, „ცივილიზაციის ძაფების“ დაწყვეტა, რომლის საშუალებითაც ადამიანის ცნობიერება მოასწრებდა ჭეშმარიტების კრისტალიზაციამდე მისვლას (თან, არა მხოლოდ ცალკეულ გმირებთან), ადამიანსაც ანადგურებს. როდესაც მიღმური სრულყოფილების სახელით გამოირიცხება ყველა ფორმალური მექანიზმი სწორედ იმ საფუძველზე, რომ ისინი ფორმალურია და მაშასადამე, აბსტრაქტულია უშუალოდ ადამიანურ სინამდვილესთან შედარებით და იოლად გასაკრიტიკებელია, მაშინ ადამიანები თვითონვე ამბობენ უარს ადამიანად ყოფნის შესაძლებლობაზე, ანუ იმაზე, რომ ურღვევი, არა მხოლოდ ნიშნური ცნობიერება ჰქონდეთ.

მონოპოლია და ცნობიერების ნგრევა

ამგვარი ნგრევის სხვა მაგალითს მოვიხმობ. ცნობილია, რომ სისტემა, რომელსაც მონოპოლიას უწოდებენ, ცივილიზაციის მიღმაა, ვინაიდან ადამიანური სამყაროს ტოტალური დაცარიელების წარმოქმნით მის სხეულს ანგრევს; არა მარტო იმ გაგებით, რომ მონოპოლია აფართოვებს ყველაზე პრიმიტიულ და ასოციალურ ინსტინქტებს და მათი გამოვლენისთვის არხებს ქმნის. აზრის მიღწეული მდგომარეობა ჯერ უნდა „გამოიწრთოს“, როგორც აგორაზე, უნდა შეიბას კუნთები, როგორც თოვლის ბაბუა იძერწება თოვლისგან, საკუთარი შესაძლებლობების განსახორციელებლად ძალა უნდა მოიკრიბოს. თუკი არ არსებობს აგორა, ის, რაც ხელს შეუწყობს მის განვითარებას, მაშინ არც ჭეშმარიტება არსებობს.

თუმცა, ადამიანის წინაშე უხსოვარი დროიდანვე დგას საკუთარი ბუნების სიველურის, სისასტკის, ეგოიზმის ალაგმვის ამოცანა, მის ინსტინქტებს, სიხარბეს, გულის სიბნელეს, უსულობას და უმეცრებას თავისუფლად შეუძლია სააზროვნო უნარების, გონების აკომოდირება და მათი საშუალებით განხორციელება. მასთან დაპირისპი-

რება მხოლოდ მოქალაქეს შეუძლია, რომელსაც საკუთარი გონებით აზროვნების ძალა შესწევს და ამ უფლებას ახორციელებს. ეს უფლება ან კანონი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიზნის მიღწევის საშუალებები, თავის მხრივ, კანონიერია, ანუ საკუთარ თავში განზავებულად მოიცავენ თვით კანონის არსს. შეუძლებელია თვითნებური და ადმინისტრაციული, ანუ უკანონო საშუალებებით კანონის დანერგვა, თუნდაც ამ დროს საუკეთესო მიზნებით და მაღალი მოსაზრებებით, „იდეებით" ხელმძღვანელობდეთ, ვინაიდან მისი გამოყენება (და რაც უფრო ფართოდ ვრცელდება ის, მით უფრო მტკივნეულია) უკანონობის პრეცედენტად და ნიმუშად იქცევა, რასაც ამგვარი ხერხები გულისხმობს. და ეს ყველაფერი – მიზნების და იდეალების მიუხედავად, „სიკეთისა" და „ხსნისთვისაა". ეს ცხადია ნებისმიერი მონოპოლიის შემთხვევაში. ვთქვათ: თუკი შემიძლია, თუნდაც საზოგადოებრივი სიკეთის ყველაზე ამაღლებული მიზნებისთვის, ერთ მშვენიერ დღეს გარკვეულ საქონელზე საგანგებო ფასი დავაწესო, დავმალო და საიდუმლოდ გავანაწილო შემოსავლები, დავაწესო შეღავათები, გავანაწილო საქონელი, გეგმიური მაჩვენებლების სახელით შევცვალო მშრომელებთან შრომითი ხელშეკრულებები და ა.შ. და ა.შ., მაშინ იმავე დღეს (და შემდგომშიც, მარადიული პარალელის მიხედვით), იმავეს გააკეთებს სხვა სხვაგან (ან იგივენი, იქვე), სრულიად სხვა მოსაზრებებით; პირადი ანგარების გამო, სპეკულაციის, მოტყუების, ძალადობის, ქურდობის, ქრთამის გზით. კონკრეტულ მიზეზებს და მოტივებს სტრუქტურებში მნიშვნელობა არ აქვს, ისინი ურთიერთჩანაცვლებადია, ვინაიდან კანონი ერთიანია და სივრცისა და დროის ყველა წერტილში განუყოფელია; სივრცის და დროის, – სადაც მოღვაწეობენ ადამიანები და ერთმანეთთან კავშირს ამყარებენ. მათ შორისაა საზოგადოებრივი სიკეთის კანონებიც. შესაბამისად, კანონთა მიზნები მხოლოდ კანონიერი გზებით მიიღწევა! და, თუკი ეს უკანასკნელი ირღვევა, მათ შორის იმიტომაც, რომ სამართლიანობის წესრიგს, როგორც წესი, იდეის, „ჭეშმარიტების" წესრიგით ანაცვლებენ, თითქოს კანონი თავისთავად არსებობს და არა ადამიანურ ინდივიდებსა და საკუთარი საქმის, მათეულ გაგებაში. ინდივიდის გვერდის ავლის შესაძლებლობა გამორიცხულია არა ჰუმანური უპირატესობის ან ადამიანზე ზრუნვის გამო, არამედ თვით ყოფიერების, ცხოვრების გარდაუვალი მოწყობის გამო. მხოლოდ ინდივიდთა არსობრი-

ვი თანასწორობის დონეზე შეიძლება რაიმე მოხდეს. აქ არავის არაფერი არ ეკუთვნის, ყველამ თვითონ უნდა გაიაროს გზა და საკუთარი მოძრაობა განახორციელოს „ბუნებაში“, როგორც თავის დროზე წერდა დერჟავინი; მოძრაობა, რომლის მიღმაც არავითარი მონაპოვარი და დადგენილება არ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაინგრევა ჭეშმარიტება, მისი ონტოლოგიური საფუძველი და ბუნება. და სიცრუე გაბატონდება, რომელსაც სხვა მიზეზები წარმოშობს. მაგრამ ეს მიზეზები უკვე ადამიანურს მიღმური და ტოტალურია, რომელიც სოციალური სივრცის ყველა წერტილს იკავებს და ნიშნებით ავსებს მათ. ეს არის სარკეებით თამაში, რაღაც სხვის სიურრეალისტურ-ნიშნობრივი ანარეკლი.

სარკისებური სამყარო

რასაკვირველია, ამგვარი სარკისებური თამაშის წარმოშობა მის განსაკუთრებულ, შინაგან „სარკისმიღმურ“ მნიშვნელობებს უკავშირდება, როდესაც გვეჩვენება, რომ ისინი რაღაც უმაღლესი სიბრძნის მატარებლები არიან. ადამიანები ხომ ამ დროს მთლიანობას ხედავენ. მათთვის გარეგანი დამკვირვებელი ხომ ყოველთვის ცდება. გავიხსენოთ გ. ბენის სიტყვები: „..მთლიანობა ხომ მხოლოდ შენს ხელშია“.

ერთი დამკვირვებელი ხედავს იმას, რასაც ანგრევენ, სხვა ხედავს იმას, რასაც აშენებენ, დიდი ნაწილი კი უყურებს და თვალს უკრავს ერთმანეთს: ჩვენ კი ვიცით, რაც „სინამდვილეში“ ხდება, „მთლიანობა ჩვენს ხელშია“. აი, რა არის „შინაგანი“. მაგრამ ჩემთვის ეს შინაგანი, საკუთარ თავში ჩაღრმავებული ცხოვრება აგორას გარეშე იგივეა, რაც ჭეშმარიტების ძიება საპირფარეშოში. კაფკას ნიჭი რომ მქონდეს, აღვწერდი დღეს ამ შინაგან სულიერ ძიებებს, როგორც ჭეშმარიტების ფანტასტიკურ, უცნაურ ძიებებს იქ, სადაც ადამიანის ცხოვრების ონტოლოგიური კანონების მიხედვით, უბრალოდ, შეუძლებელია იყოს ის.

ამ გაგებით განუზღვრელი სიტუაციების ან ტოტალური ნიშნობრივი სხვა ყოფიერების ადამიანები იმათ მაგონებენ, ვისაც ფ. ნიცშე შემთხვევით როდი უწოდებდა „უკანასკნელ ადამიანებს“. მართლაც (სწორედ აქედან მომდინარეობს მისი ავადმყოფური ქრისტიანული

სინდისის ძახილი), ან „ზეკაცები“ ვიქნებით, რომ ადამიანები დავრჩეთ („კ“-ს პირველი ორი პრინციპი არის კიდეც ადამიანურისადმი ადამიანის თვით მის წიაღშივე ტრანსცენდენციის პრინციპები), ან „უკანასკნელი ადამიანები“ აღმოვჩნდებით; ორგანიზებული ბედნიერების ადამიანები, რომლებსაც საკუთარი თავის სიძულვილიც კი არ შეუძლიათ, ვინაიდან ისეთ სიტუაციაში ცხოვრობენ, სადაც ცნობიერება და ადამიანური მატერია დანგრეულია.

შესაბამისად, თუკი სადმე ადამიანური მოვლენები ხდება, ისინი ცნობიერების მონაწილეობის გარეშე არ არსებობს; მათი შემადგენლობიდან უკანასკნელის თავიდან აცილება შეუძლებელია და ვერაფერ სხვამდე ვერ დაიყვანება. ეს ცნობიერება ორმაგია შემდეგი ფუნდამენტური მნიშვნელობით. სამი „კ“-ს პრინციპის შემოტანისას, ფაქტობრივად, ორი ურთიერთგადამკვეთი შრე შემოვიტანე. იმის შრე, რასაც ონტოლოგიას ვუწოდებ და რომელიც სხვა ვერავის რეალური განცდა ვერ იქნება, მაგრამ მაინც არსებობს; მაგალითად, ამგვარი განცდა არ შეიძლება იყოს სიკვდილი, სიკვდილის სიმბოლო კი ადამიანის ცნობიერი ცხოვრების პროდუქტიული მომენტია. და მეორე – „კუნთოვანი“, რეალური შრე – ამ სიმბოლოთი ცხოვრების უნარი პირველმომცველობის აქტების საფუძველზე. ამ შრიდან ვერც ერთს ვერ უგულებელვყოფთ: ცნობიერება, თავისი საფუძვლით, ორმაგია. სარკისმიღმურ სამყაროში კი, სადაც მარცხენა და მარჯვენა ადგილს უცვლიან ერთმანეთს, ყველა მნიშვნელობა შებრუნდება და ადამიანური ცნობიერების ნგრევა იწყება. ანომალიური ნიშნობრივი სივრცე საკუთარ თავში ითრევს ყველაფერს, რაც მას ეხება. ადამიანური ცნობიერება ნადგურდება და განუზღვრელობის სიტუაციაში მოხვედრისას, სადაც ყველაფერი არა ორაზროვანი, არამედ მრავალმნიშვნელოვანია, ადამიანიც ნადგურდება: არც სიმამაცე, არც ღირსება, არც სიმხდალე, არც უღირსობა. ეს „ცნობიერი“ აქტები და ცოდნა აღარ მონაწილეობს მსოფლიო მოვლენებში, ისტორიაში. მნიშვნელობა არ აქვს, რა არის თქვენს „ცნობიერებაში“, საკმარისია ნიშნის მიცემა. ამასთანავე, ზღვარზე ქრება იმის აუცილებლობაც, რომ ადამიანებს საერთოდ ჰქონდეთ რაიმე მრწამსი. მნიშვნელობა არ აქვს, გწამს თუ არა მომხდარი, ვინაიდან მიცემული ნიშნის წყალობით საზოგადოებრივი მექანიზმის მოქმედებაში და წრებრუნვაში ერთვები.

მე-20 საუკუნეში ამგვარი სიტუაციები კარგადაა გააზრებული

ლიტერატურაში. აქ არა მარტო კაფკას ვგულისხმობ, არამედ, მაგალითად, დიდ ავსტრიელ მწერალს, რომანის „უთვისებო კაცის“ ავტორს, რ. მუზილსაც. მუზილს შესანიშნავად ესმოდა, რომ იმ ვითარებაში, რომელიც ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ნგრევის საფრთხის პირობებში ხდებოდა, რადგან ყველაფერი დაგვიანებული იყო, რაც არ უნდა გაგეკეთებინა, რაღაც უაზრობაში გადაიზრდებოდა. სიმართლის თუ ტყუილის ძიება სულერთია – მაინც უაზრობის უკვე მოცემული გზებით მოგიწევდა სვლა. მან კარგად იცოდა, რომ ამგვარ სიტუაციაში მოქმედება და აზროვნება შეუძლებელია – მთავარია მისგან თავის დაღწევა.

მკითხველი ძალიან სერიოზულად რომ არ დავაფიქრო ზოგიერთ ტერმინზე (ვგულისხმობ მხოლოდ ტერმინებს და არა პრობლემებს; პრობლემაზე ღირს სერიოზულად დაფიქრება, მაგრამ ჩემს ტერმინებზე აუცილებელი არ არის), „სარკისმიღმური არსებობის“ საკუთარ გამოცდილებას ასე გამოვხატავ. მთელი ჩემი ცნობიერების „თეორია“ შეიძლება ერთ ადრეულ განცდაში ერთ მარცვლამდე დავიყვანო; ერთი მხრივ, ცივილიზაციასთან და, მეორე მხრივ – ყრუ ცხოვრებასთან შეხვედრის წერტილის პირველად შთაბეჭდილებამდე. ვგრძნობდი, რომ ჩემი მცდელობა, აღწერილ ვითარებაში დავრჩენილიყავი ადამიანად, გროტესკულია, სასაცილოა. ცივილიზაციის საფუძვლები იმდენად ძირგამოთხრილი იყო, რომ შეუძლებელი გახდა საკუთარი დაავადებების გარეთ გამოტანა, განხილვა, გააზრება. და რაც უფრო ნაკლებად შეგვეძლო მათი გარეთ გამოტანა, მით უფრო ღრმად გვიჯდებოდნენ ისინი და თანდათან იდუმალი, შეუმჩნეველი ხრწნა გვეპარებოდა, რაც ცივილიზაციის დაღუპვას და უაგორობას უკავშირდებოდა.

1917 წელს დაინგრა დამპალი რეჟიმი, ჩვენ კი ისევ მოგვყვება გახრწნილი იმპერიის მტვერი და ჭვარტლი, „სამოქალაქო ომი“, რომელიც გრძელდება. სამყარო ისევ სავსეა დაუტირებელი მსხვერპლით, გამოუსყიდველი სისხლითაა გაჯერებული. ბევრი, კაცმა არ იცის, რისთვის, დაღუპული ადამიანის ბედი, მომხდარის გამო ახსნას ითხოვს. ერთია დაღუპვა და საკუთარი დაღუპვით აზრის პირველად დადგენა და დასრულება (მაგალითად, განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს), სრულიად სხვა რამეა – ბრმა გაველურებით გაქრობა, ისე, რომ სიკვდილის შემდეგ კიდევ დასადგენია მისი მნიშვნელობა. მაგრამ სისხლი მაინც მოედინება ხან იქ, ხან აქ, როგორც

ლეგენდებში წმინდანების საფლავის ქვიდან, სრულიად მოულოდნელ ადგილებში და რაიმე ცხადი მიზეზის გარეშე.

და ჩვენ, ყველანი ვცხოვრობთ, როგორც ამ „სხივური“ დაავადების შორეული მემკვიდრეები, რაც ჩემთვის ნებისმიერ ჰიროსიმაზე საშიშია. უცნაური მემკვიდრეები ვართ ისინი, ვინც ჯერ კიდევ ცოტა რამ გაიგეს და ცოტა რამ ისწავლეს საკუთარი განსაცდელისგან. ჩვენ წინაშეა თაობები, რომელსაც თითქოსდა, არ მოუცია შთამომავლობა, ვინაიდან მან, ვინც საკუთარ თავში არ დაბადა, არ შექმნა ნიადაგი, ზრდისთვის აუცილებელი ცხოვრებისეული ძალები, შეუძლებელია, რომ მომავალს მისცეს დასაბამი. და, აი, დავეხეტებით უენოები სხვადასხვა მხარეში, არეული მეხსიერებით, გადაწერილი ისტორიით და ზოგჯერ არც ვუწყით, რა ხდებოდა სინამდვილეში და ჩვენს ირგვლივ თუ ჩვენს არსებაში. არ ვგრძნობთ თავისუფლების და იმის პასუხისმგებლობის ცოდნის უფლებას როგორ გამოვიყენოთ ის. სამწუხაროდ, დღესაც დედამიწის ჯერ კიდევ უზარმაზარი, განკერძოებული სივრცეები უკავია ამ „სარკისმიღმურ ანტისამყაროს“ და ადამიანის გადაგვარებული სახის ველურ სანახაობას გვთავაზობს. სარკისმიღმური სამყაროდან მოსული „უცხოები“, რომლების წარმოდგენაც მხოლოდ მარტორქისა და კალიის ეგზოტიკური ნარევის სახით შეიძლება, ბოროტ ფერხულში ჩაებნენ და ირგვლივ სიკვდილს, შიშს და გაუნათებელი წყვდიადის გაშეშებას თესავენ.

მათ, მღამიობებს და კუზიანებს,
მოაქვთ მხრებით
შიშის ქვიშიანი ქარბორბალა
და დუმილის წებოვანი ბინდი.

ამიტომაც, როდესაც ეკოლოგიური უბედურებების, მოსალოდნელი კოსმოსური შეჯახებების, ატომური ომის, გამოსხივების დაავადებისა თუ შიდსის შესახებ მესმის, ყველაფერი ეს ნაკლებად საშიშ და უფრო შორეულ მოვლენებად მეჩვენება, – იქნებ ვცდები, იქნებ წარმოსახვა არ მყოფნის, – ვიდრე ის, რასაც აღვწერდი და რაც სინამდვილეში ყველაზე საშინელი კატასტროფაა, ვინაიდან ის ადამიანს ეხება, მას, ვისზეც ყველაფერი დანარჩენია დამოკიდებული.

„მესამე“ მდგომარეობა

მინდა, ჩვენი სოციალური აზროვნების ხასიათის განსაზღვრით დავიწყო, რაშიც სოციალური მეცნიერებების პროფესიული დეპარტამენტების საქმიანობას კი არ ვგულისხმობ, არამედ ადამიანების სოციალურ აზროვნებას მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზოგადმოქალაქეობრივი განათლების მდგომარეობა მაქვს მხედველობაში. პირდაპირ და მოკლედ რომ ვთქვა, დღესდღეობით ამ მხრივ მდგომარეობა, უბრალოდ, საშინელია. მაგრამ, ცხადია, სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ხალხი, რომელიც ამოვარდა ისტორიიდან და ცხოვრებიდან (ყველა ხალხს ვგულისხმობ, ვინც რუსეთის სივრცეში ცხოვრობს), შეუძლებელია, არ დაავადებულიყო. თვითონ ადამიანები არიან დაავადებული. ეს მიმდინარე მოვლენებზე, საკუთარ თავზე, ხელისუფლებაზე, გარემომცველ სამყაროზე მათი რეაქციებიდან ჩანს. აშკარაა, აქ საქმე გვაქვს დეზორგანიზებულ, დაბნეულ, გაველურებულ ცნობიერებასთან, რისი წარმოდგენაც მხოლოდ ფანტასმაგორიულ სახეებში შეიძლება, ვთქვათ, ადამიანს თმა გარეთ კი არა, შიგნით რომ ეზრდებოდეს. წარმოიდგინეთ ამგვარი ველური ბალახი, რომელშიც ყველაფერი არეულია, სადაც აზრის ერთი ნაწილი მეორეს ვერასდროს პოულობს, რომ მთლიანი, დასრულებული, კანონიერი აზრი შექმნას. ადამიანებს ისევ სწყურიათ სისხლი, ისევ ყველგან მავნებლებს ხედავენ და ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ისეთ გაურკვევლობის მდგომარეობაში არიან, როდესაც ნებისმიერ მუტაციას, ნებისმიერ ბიძგს შეუძლია, ისინი კრისტალში გადაისროლოს, რასაც ოცდაჩვიდმეტ წელს ვუწოდებთ. როგორც ჩანს, ვერ შევძლებთ ან ვერ დავეხმარებით ამგვარ ცნობიერებას გამოჯანმრთელებაში, თუკი, როგორც პროფესიონალები, ისევ და ისევ გამოვიყენებთ ისეთ ტლანქ, მახინჯ სიტყვებს, როგორიცაა „შეცდომები“, „გადახრა“, „უსაფუძვლო რეპრესიები“ (თითქოს საფუძვლიანი რეპრესიები არსებობდეს?!), „ცრუ ცილისწამება“,

„გადახვევები“ და ა.შ. სიტყვების ეს უაზრო გროვა, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, საბედისწეროდ მიგვანიშნებს, რომ მთელ ამ ღვთისმოსავ, კეთილშობილურ მდგომარეობაში ყოფნისას, სადაც მსგავსი სიტყვებით ოპერირებენ, ძალა არ შეგვწევს, რომ ერთხელ და სამუდამოდ გამოვიტანოთ აზრი იქიდან, რა დაგვემართა, რა განვიცადეთ. ამიტომაც ტანჯვა, – შეურაცხყოფილი მგრძნობელობა, რომლებიც ამგვარი სიტყვების მიღმა დგას, მარადიულად გაგრძელდება. და ყოველთვის, როდესაც რომელიმე მოვლენის შეფასებას დავიწყებთ, ისევ და ისევ ვიტყვით, რომ ეს არის ძალადობა, განუკითხაობა და ა.შ. ჯერ კიდევ სალტიკოვ-შჩედრინმა შენიშნა თავის დროზე, რომ რუსი ხალხი (გნებავთ, რუსეთის ხალხი) მზად არის მარადიული ტანჯვისთვის, თითქოს თვლის, რომ აქ, რუსეთში, კარგია, ვინაიდან აქ უფრო მეტს იტანჯება. მაგრამ მეტაფიზიკური გაგებით, იმ გაგებით, როგორც არის მოწყობილი სამყარო, არ არსებობს ტანჯვა მრავლობით რიცხვში, ისევე, როგორც არ არსებობს სიკვდილი მრავლობით რიცხვში. თუკი მართლა იტანჯებიან, ეს ერთხელ ხდება, ერთი ეგზემპლარის სახით. ეს არის ერთადერთი გზა, რომლის საშუალებითაც შეიძლება, განცდილიდან რაღაც დასკვნა მაინც გამოვიტანოთ; ერთხელ და სამუდამოდ დავასკვნათ, რომ ისტორიულ არსებობაში შევიდეს ის, რაც ერთხელ უკვე განვიცადეთ. მრავალტანჯული გამუდმებით უბრუნდება ჩრდილების სამეფოს, საკუთარ თავს წრებრუნვისთვის წირავს, სადაც ჩვენი ცხოვრების და ცნობიერების ნაკადი მარადიულად ახეტიალებს დაუსრულებელ საქმეს, ჭეშმარიტების დაუღეჭავ ლუკმას. შემთხვევით არ ვაკეთებ ასეთ აქცენტს „სიტყვებზე“. დაავადებული ცნობიერების პრობლემა ხომ ენობრივი პრობლემაცაა. ჩვენ ვცხოვრობთ სივრცეში, რომელშიც აზრისა და ენის წარმოების ნარჩენების უზარმაზარი მასაა დაგროვებული. ეს სივრცე უკიდურესად დანაგვიანებულია ნორმალური სააზროვნო და სულიერი საქმიანობის გვერდითი, მეორადი პროდუქტებით, მათი მითოლოგიზებული ნამსხვრევებით. ამიტომაც, მაშინაც კი, როდესაც აზროვნება გვინდა, როდესაც აზრი გვიხმობს, მოგვიწოდებს, არაფერი გამოგვდის. თვით ენაშივე, მის საფუძველშივეა უკვე რაღაც დარღვეული.

მაგრამ სანამ ამ დაავადების მიზეზების გარკვევას დავიწყებდეთ, მინდა ამ ტექსტის აღქმის თავისებურებაზე გავაფრთხილო მკითხველი. საქმე ისაა, რომ თავისი არსით პროფესიული ფილოსოფიური

აზროვნება დროისა და სივრცის უფრო მსხვილი ერთეულებით უნდა ოპერირებდეს. მისი ლოგიკა ასეთია: დღევანდელობიდან აზრის გამოსატანად მსხვილი ერთეულებით უნდა ვიაზროვნოთ, რომელიც მოიცავს და უკავშირებს ერთმანეთს, მაგალითად, მე-20 საუკუნესა და მე-18 საუკუნეს; უნდა ვიაზროვნოთ ხანგრძლივმოქმედი ტერმინებით, რუსეთის, ასე ვთქვათ, ისტორიის გამჭოლი ძალებით. ამისთვის კი საჭიროა მათი, თუნდაც, გამოვლენა, ამ ისტორიის შესახებ ჩვენი (შესაძლო) აზრის ნამდვილი დროითი და სივრცობრივი განზომილების დადგენა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ დავინახოთ, მაგალითად, ის, რომ პრობლემების ჯამი, რომლებზეც დღეს ასე ბევრს ვლაპარაკობთ, სინამდვილეში შეგვიძლია ერთ – სამოქალაქო საზოგადოების პრობლემამდე დავიყვანოთ.

მოკლედ რომ ვთქვა, მისი არსი სახელმწიფოსა და საზოგადოების მტკიცე ერთობის გახლეჩას, გაყოფას, დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ელემენტის განვითარებას გულისხმობს, რომელიც, ერთი მხრივ, ხელისუფლების ბუნებრივი მიჯნა იქნებოდა, ხოლო მეორე მხრივ, არ დაეფუძნებოდა არავითარ სახელმწიფოებრივ გარანტიებს და სახელმწიფოს კმაყოფაზე არ იქნებოდა. მაგრამ ეს არის ახალი დროის დასაწყისის, საზოგადოების ბურჟუაზიამდელი ან ბუნებრივ-სამართლებრივი მდგომარეობის პრობლემა. იმაში დასარწმუნებლად, რომ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ასეთია, სულაც არ არის საჭირო რაიმე განსაკუთრებული საბუთის ძიება. საკმარისია ენობრივი პრობლემის სიბრტყეს დავუბრუნდეთ.

ჩვენს ცნობიერებაში მოქალაქეობამდელობის ერთ მარტივ ელემენტს დავასახელებ. მაგალითად, ვამბობთ – „საზოგადოებრივი შრომა“ და, იმავდროულად, ვგულისხმობთ საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ შრომას შორის სხვაობას. დაახლოებით ასე ვმსჯელობთ: ჯერ უნდა ვიმუშაოთ საზოგადოებისთვის და მხოლოდ ამის შემდეგ – საკუთარი თავისთვის. მაგრამ ეს არის კიდეც ცნობიერების სწორედ ის „ჩაცემენტება“, „კეკლუცი სიტყვა“, საიდანაც ჩვენი ნებისგან დამოუკიდებლად, უნებურად სრულიად სხვა რამ ვლინდება. კერძოდ კი ის, რომ ჩვენი შრომა ბატონისთვისაა განკუთვნილი, დღიური მუშაობის შრომაა, სადაც ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ გამომუშავებაზე ვართ ორიენტირებული. მაგრამ ეს არის კიდეც სიტუაცია, რომელიც ახალი დროის დაწყებისგან, აღმოცენებული ახალევროპული საზოგადოებისა და კულტურისგან განსხვავდება. გან-

მანათლებლობის ხანაში უკვე მსგავსი აღარაფერი არსებობს. კაცობრიობის განათლებული მდგომარეობა განვითარების იმ საფეხურს შეესაბამება, როდესაც შრომას ახორციელებენ თავისუფალი მწარმოებლები, რომლებიც ერთმანეთსა და დამქირავებელს შორის ხელშეკრულებრივ ურთიერთობას ამყარებენ. და აქ შეუძლებელია საკუთარი თავისა და საზოგადოებისთვის მუშაობას შორის რაიმე სხვაობის არსებობა. და, თუკი ამგვარი სხვაობა არსებობს, ის სინამდვილეში არსებული ეკონომიკური მატერიის ბატონყმური მდგომარეობის ამსახველია, რაც ჩვენს დროში სრულ აბსურდად ითვლება. მაგრამ ისევ და ისევ არ უნდა დავივიწყოთ ის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი, რომელშიც ვიმყოფებით.

თავის დროზე პუშკინი შეეკამათა ჩაადაევს, რომელმაც ჩვენს ფილოსოფიურ ტრადიციაში პირველმა დაამკვიდრა „ისტორიულსა“ და „არა ისტორიულ“ განათლებას შორის ოპოზიცია. ამ დროს ჩაადაევს მხედველობაში ჰქონდა რუსეთის, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენის, თავისებურებები. იგი მისი განსაზღვრის მცდელობისას, ძალიან უცნაურ რამეს შეეჯახა, რასაც „აღუწერლობას“ ვუწოდებდი; იმ გაგებით, რომ არსებობს საგნები, რომელთა აღწერაც შეიძლება, მაგრამ არსებობს რაღაც, რაც აღწერას არ ექვემდებარება. სწორედ ამგვარ ამოუცნობ ფენომენად იქცა ჩაადაევისთვის რუსეთი.

მართლაც, „რუსეთის შესახებ ამბობენ, რომ ის არც ევროპას ეკუთვნის და არც აზიას, წერს ჩაადაევი, რომ ეს განსაკუთრებული სამყაროა. კი ბატონო, ასე იყოს. მაგრამ ისიც დასამტკიცებელია, რომ კაცობრიობას, თავისი ორი მხარის გარდა, რომელსაც სიტყვებით — დასავლეთი და აღმოსავლეთი — განსაზღვრავენ, მესამე მხარეც გააჩნია“, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ეს მომენტი ძალიან ზუსტადაა დაჭერილი ჩვენს ენაში. ვამბობთ, „ერთი მხრივ“ და „მეორე მხრივ“ და არასდროს ვამბობთ — „მესამე მხრივ“. თუკი ამას ახლა ჩაადაევის სხვა დაკვირვებებს და ჩვენს საკუთარ გამოცდილებას დავუკავშირებთ, მივხვდებით, რომ სინამდვილეში არ შეიძლება არსებობდეს „მესამე მხარე“. მაგრამ შეიძლება ის *ირეალობაში*, სარკისებურ სამყაროში არსებობდეს.

ჩაადაევისთვის, როგორც ჩანს, რუსეთი იყო კიდეც ასეთი აღუწერელი ქვეყანა „სარკისმიღმური სამყაროდან“. მან შემთხვევით არ უწოდა ამ ქვეყანას „ხარვეზი გაგებაში“, ანუ ის, რაც დანაწევრებუ-

ლი ფორმების, საფუძვლების, ტრადიციების, მკაფიო არტიკულაციის ისტორიულ სამყაროში არ არსებობს. პუშკინი ამ მოსაზრებას უპირისპირდებოდა, მაგრამ, ფაქტობრივად, საკუთარი ცხოვრებით ამ აზრის სიმართლეს ადასტურებდა. ის ხომ საკუთარი ძალისხმევით ცდილობდა რუსეთში ტრადიციის, სახლის, ოჯახის საფუძვლების შექმნას. ირეალურ სამყაროში კი ამისთვის საკუთარი ცხოვრებით უწევთ ზღვევა, ვინაიდან ცნებები, რომლებსაც იქ იყენებენ ადამიანები, ფანტასმაგორიულია. ისინი ავადმყოფი, გაველურებული ცნობიერების პირმშოებია. სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი ამას გოგოლი მიხვდა. სწორედ მან განავითარა ამ მიღმურობების ლიტერატურული აღწერის სპეციალური ხერხი. ამ თვალსაზრისით, მთელი რუსული ლიტერატურა, მართლაც, გოგოლის „შინელიდან“ გამოვიდა. ჯერ კიდევ ნაბოკოვი, რომელიც თვითონვე მგრძნობელობით ეკიდებოდა მიღმურობათა თემას, აღნიშნავდა: „...რა თაღლითია ჩიჩიკოვი! მისი თაღლითობის საგანი ირეალურია“. ის ისეთივე აღუწერელია, როგორც თანამედროვე მოსკოველი ან ქართველი მილიონერი. შეეცადეთ ის მხატვრულ-ტიპოლოგიურად აღწეროთ, ვთქვათ, გობსეკის, შეილოკის ან რუგონ-მაკარის მსგავსად. არაფერი გამოგივათ, ვინაიდან მისი მისწრაფებათა საგანი ისეთივე ირეალურია, როგორი ირეალურიცაა საბჭოთა ფული.

მე-20 საუკუნის დასაწყისში პუშკინის და ჩაადაევის კამათში ო. მანდელშტამიც ჩაერთო – თანამედროვე რუსულ ტრადიციაში იმ პოეტებიდან ერთ-ერთი მცირეთაგანი, რომელიც გამოხატულად ისტორიოსოფიურად და მეტაფიზიკურად აზროვნებდა. ის ბევრ რამეში ეთანხმებოდა ჩაადაევს, მაგრამ, იმავდროულად, ამტკიცებდა, რომ რუსეთი მაინც „ისტორიული წარმონაქმნია“, ვინაიდან იქ, მინიმუმ, ერთი ორგანული სტრუქტურა მაინც არსებობს, რომელიც საკუთარ ფეხზე დგას, საკუთარი კანონებით ცხოვრობს, თავისი ტრადიციები და საფუძვლები აქვს. ეს არის რუსული ენა.

მაგრამ ვითარების მთელი ტრაგიზმი ის იყო, რომ მანდელშტამმა აზრი იმ დროს გამოთქვა, როდესაც ჩვენი ისტორიიდან სწორედ ენის ამოვარდნის პროცესი იყო დაწყებული, როდესაც თანდათან ხორცი ესხმებოდა ბლოკის წინათგრძნობას თვით ჰარმონიის შინაგანი სათავეების ნგრევის შესაძლებლობის შესახებ და არა ამ სათავეების გარეგანი პროდუქტების მიმართ, უბრალოდ, ბარბაროსულ დამოკიდებულებაზე. ეს მანდელშტამსაც ესმოდა. ჩაადაევთან მთელი

მისი კამათი ერთ უცნაურ ფრაზაშია გამოხატული იმის შესახებ, რომ თუკი ჩვენ ენიდანაც ამოვარდნილი ვართ, მაშინ საბოლოოდ ნიჰილიზმის უფსკრულში გადავეშვებით. ასეც მოხდა. მაგრამ აქ საინტერესო სხვა რამეა. სწორედ ამ ისტორიულ პუნქტში, უფსკრულის პირას, რუსეთში, ყველაფრის მიუხედავად, გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც უკვე არსებული ლიტერატურული ტრადიცია გააგრძელეს. უპირველესად, ვგულისხმობ ზოშჩენკოს, ზაბოლოცკის, პლატონოვს. ისინი პირველნი იყვნენ, ვინც უცნაური ადამიანების აღწერა დაიწყეს, რომლებიც „სახლმმართველების ენაზე", ანუ ადამიანური არსების იმ ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც ბულგაკოვმა თავის „ძაღლის გულში" გამოიყვანა.

ეს ენა რაღაც მიღმური უძრავი ბლოკებისგან შედგება და კიბოსებური წარმონაქმნია. სინამდვილეში, როგორ შეიძლება აზროვნება, მაგალითად, ასეთი სიტყვათშეთანხმებით: „ქვეყნის ბოსტნეულის კონვეიერი"? ამ ენობრივი მონსტრის მიღმა მაშინვე ჩნდება კონვეიერთან კუნთიანი, პლაკატური ახალგაზრდების სახე. იმის დანახვა ან გაფიქრება, რა ემართება ამ დროს ბოსტნეულს, სრულიად შეუძლებელია. მაშინვე, თითქოსდა, მაგნიტურ ველში აღმოჩნდებით და მასში მიექანებით იმ მიმართულებით, რომელსაც მისი ძალთა წირები გკარნახობენ.

აქ საგანგებოდ ვუვლი გვერდს სოციალურ პრობლემებს. მე მაინტერესებს სააზროვნო მექანიზმი და ენის მდგომარეობა, რომელშიც უკვე *ყველაფერი* არის. მხოლოდ ის დაგვრჩენია ამ ენობრივი მარაგის შეგრძნება მოვასწროთ, მასში საკუთარი გრძნობები და აზრები ჩავწეროთ. ამგვარი ცნობიერება ძალიან ჰგავს ოთახს, რომელშიც ფანჯრების ნაცვლად მთლიანად სარკეებია, და ამ დროს გარეგან სამყაროს კი არ ხედავთ, არამედ საკუთარ გამოსახულებას. თან, ეს გამოსახულება მიანიშნებს არა იმაზე, როგორიც ხართ, არამედ იმაზე, როგორი უნდა იყოთ. ცნობიერების ნებისმიერი ნაპერწკალი, შეიძლება, კაფსულის სახით ჩამონტაჟდეს ამ გამოსახულებებში და ჭკუიდან შეიშალოს. ამგვარი ცნობიერების მქონე ადამიანს, შეიძლება, მხოლოდ ერთი რამ უნდოდეს — საკუთარი თავის აფეთქება, ანუ თავის მოკვლა და სამყაროს განადგურება, ვინაიდან ადამიანის გულბოროტება — ეს არის საკუთარ თავში რაიმე უუნარობის მიმართ სიძულვილი. ადამიანი მხოლოდ ამის შემდეგ პროეცირდება გარეგან სამყაროზე.

რაღაც ამის მსგავსი დაემართა ფილოსოფიის ენასაც. აიღეთ მარქსისტული ფილოსოფიის ნებისმიერი სახელმძღვანელო და დაინა-

ხავთ, რომ ის მთლიანად იმავე მიღმურობებისგან შედგება. შეუძლებელია მათი ამოძრავება. შეუძლებელია მათი საშუალებით პროფესიულად ოპერირება. ისინი აზრის არავითარ განვითარებას არ ექვემდებარება. ეს ენა კი საკმაოდ მარტივი მექანიზმის კანონების თანახმად ყალიბდებოდა.

წარმოიდგინეთ სოციალ-დემოკრატთა წრე, სადაც „სწავლულმა ადამიანმა" მთელი სამყარო უნდა მიიტანოს მსმენელების გონებამდე, — სამყარო, მთელი თავისი ურთულესი პრობლემებით და შემადგენლობით; თან ისე მიიტანოს, რომ მსმენელს ძალისხმევა არ დასჭირდეს, არ დაიძაბოს, არ იფიქროს და არ დაიტანჯოს. ამის მიღწევა ერთადერთი საშუალებით — სამყაროს მთელი სირთულის მარტივ სქემებამდე დაყვანით შეიძლებოდა. მაგალითად, ასეთ სქემამდე: „რატომ არსებობენ ღარიბები? — ღარიბები იმიტომ არსებობენ, რომ მდიდრები არსებობენ. რა უნდა გავაკეთოთ, რომ ღარიბები აღარ იყვნენ? უნდა გავანადგუროთ მდიდრები".

მინდა მკითხველის ყურადღება მივაპყრო არა ამ მტკიცების საეჭვო შინაარსზე, არამედ იმაზე, რასაც ის უკავშირდება მსმენელის ცნობიერებაში და რაც საბოლოოდ წარმოიქმნება მისგან. უპირველესად, ის ადამიანს დამოუკიდებელი შრომის მოთხოვნილებას ართმევს. ანუ შთააგონებს მას, რომ აზრი არის ის, რის მოსაპოვებლადაც არავითარი გონებრივი ძალისხმევა არ არის საჭირო, საკმარისია მხოლოდ გაგონება, წაკითხვა. ამავე დროს, ადამიანის მიერ საკუთარი თავისადმი პატივისცემის მექანიზმი არსებობს. არსებობის, შედგომის, ან, როგორც ფილოსოფოსები ამბობენ, მყოფობის აუცილებელი მოთხოვნილების გარდა, მას გაგების მოთხოვნილებაც აქვს. საზოგადოდ, ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს სამყაროში, რომელიც მისთვის გაუგებარია. მაგრამ ამგვარი გაგების პრინციპი ყოველთვის შეზრდილია საკუთარი თავისადმი ადამიანის ფუნდამენტურ დამოკიდებულებასთან და საკუთარი თავის იდენტიფიცირების და საკუთარი თავის პატივისცემის უნართან. თუკი გამარტივებული სქემების საშუალებით ის საკუთარი თავის პატივისცემის საფეხურს აღწევს, მაშინ ადამიანი უმალ მზად იქნება, გაანადგუროს ყველა, ვინც მისი სქემების დანგრევას შეეცდება, ვიდრე დათმოს ისინი. ეს გასაგები უნდა იყოს, ვინაიდან რთული სამყაროს მისეული გამარტივებული გაგება უკვე შეეწება ნებისმიერი ადამიანისათვის არსებით სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხებს.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ ამ „ფილოსოფიური“ ენისგან გათავისუფლებას ვცდილობთ, გვინდა აზროვნების სწავლა და სტალინს ვუპირისპირებთ ისეთ მოაზროვნეებს, როგორებიც არიან პლეხანოვი, ბუხარინი, ლუნაჩარსკი ან ვიღაც სხვა. მაგრამ აქედან არაფერი გამოვა. ამ მოაზროვნეთა დონე უმნიშვნელოა. ხომ უნდა გაგენადგურებინა ირგვლივ რუსეთის ჰუმანიტარული აზროვნების გიგანტები, რომ გათავისუფლებულ სივრცეში ფილოსოფიური აზრის მონბლანად გამოჩენილიყვნენ ასეთი ადამიანები?! მათი ტექსტები არა მარტო საშინლად მოსაწყენია, არამედ სრულიად მოუქნელი, მკვდარი ენითაა დაწერილი. ისინი თავიდანვე გამორიცხავენ ცოცხალ, თავისუფალ აზრს. ამიტომაც, ჩვენს თემას თუ დავუბრუნდებით, ვიტყვი, რომ, საზოგადოდ, ენობრივი და, კერძოდ, ფილოსოფიური სივრცის გაწმენდის ამოცანის მოგვარების გარეშე ადგილიდან ვერ დავიძვრებით. ჩვენ ხომ მუდმივად ვცხოვრობთ სიტუაციაში, რომელიც ერთი ფრაზით ზუსტად აღწერა პლატონოვმა. ერთ-ერთ მის გმირს „სულის ხმის“ ნაცვლად „ცნობიერების ხმაური“ ესმის, რომელიც რეპროდუქტორიდან იღვრება. თითოეული ჩვენგანი, საკუთარი შიშის და რისკის ფასად, თავის კონკრეტულ საქმეში, შინაგანად როგორმე წინ უნდა აღუდგეს ამ „ხმაურს“, ვინაიდან, როგორც უკვე ვთქვი, ადამიანს, რომელსაც გაველურებული ცნობიერება, სოციალურ სინამდვილეზე და მის კანონებზე გამარტივებული წარმოდგენა აქვს, მე-20 საუკუნეში ვერ იცხოვრებს. ის არა მარტო საკუთარი თავისთვის ხდება საშიში, არამედ მთელი სამყაროსთვისაც. დღეს კი იმაზე ვლაპარაკობთ, რომ ჩვენს საერთო ევროპულ სახლზე ზრუნვაა აუცილებელი. მაგრამ ამისთვის, მინიმუმ, საჭიროა ამ სახლში საკუთარი წევრობის აღდგენა. მთავარი ამოცანა, რომელიც სოციალური აზროვნების, საბჭოთა მოქალაქეების წინაშე დგას, საკუთარ სამშობლოსთან გაერთიანებაა, რაც შეუქცევადად ევროპულ ოჯახში გაერთიანების საწინდარი იქნება რუსეთისთვის. მართალია, ჯერ „მესამე“, ფანტასმაგორიული მხარე განვახორციელეთ და „სამოქალაქო საზოგადოების“ პრობლემა დიდი ხნით ამოვარდა ჩვენი მხედველობის არიდან.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ „სამოქალაქო საზოგადოების“ პრობლემის არსი სახელმწიფოსა და საზოგადოების მტკიცე ერთობის გახლეჩას და დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ელემენტის განვითარებას გულისხმობს. სოციალური და ეკონომიკური თეორიებიდან გა-

დავუხვევ და შევეცდები ამ თვალსაზრისით განგიმარტოთ ნებისმიერი სამოქალაქო საზოგადოებისთვის პრინციპული სიტყვა „კერძო“.

საქმე ისაა, რომ ევროპული კულტურა, უპირველესად, ქრისტიანული კულტურაა და ის სრულიად არ არის დამოკიდებული იმაზე, რამდენი ადამიანი დადის ეკლესიაში და რამდენი ადამიანი ასრულებს კონფესიურ ან საეკლესიო რიტუალს. საქმე ისაა, რომ ქრისტიანობამ ევროპული სამოქალაქო საზოგადოების ყველა ინსტიტუციაში შეაღწია და მათში უკვე კრისტალიზებული სახით არსებობს.

თვით ქრისტიანული კულტურის იდეა ფუნდამენტური და მარტივია. ეს კულტურა ეკუთვნის ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ, კერძო საქმიანობით ხორცი შეასხან უსასრულობას და ღვთაებრიობას. აქ „კერძო“-ში ვგულისხმობ ხარაზის, ვაჭრის, მუშის და ა.შ. საქმეს. საპირისპირო კულტურულ სიტუაციაში ჩვენ წინაშეა ფენომენი, რომლის არსიც საკუთარი საქმისადმი ადამიანის ფანტასტიკურ გულგრილობას გულისხმობს. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ნებისმიერი საქმე არასდროს არ ემთხვევა რაღაც მისტიკურ აბსოლუტურ და უსასრულო წერტილს. ამ სქემის თანახმად, იმას, რასაც ვაკეთებ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომაც დღეს შემიძლია უსინდისოდ მოვიქცე, რომ ხვალ უმწიკვლო გავხდე. ევროპული კულტურისთვის კი არავითარი ხვალინდელი დღე არ არსებობს. არის მხოლოდ ის, რაც ახლაა, კონკრეტულად გაფორმებულ შესრულებულ სამუშაოში. სხვათა შორის, აქედან ზოგიერთი სოციოლოგი ეკონომიკური თეორიის ერთგვარ გადატრიალებას და ქვაკუთხედის მწვერვალზე რელიგიური ცნობიერების ფაქტის მოთავსებას ცდილობს კიდეც. მე არ ვიზიარებ ამ თვალსაზრისს, მაგრამ ამ აზრთა მსვლელობის საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოვიხმობ.

არსებობს მაქს ვებერის ცნობილი თეორია. მაქს ვებერი თვით კაპიტალიზმის ფენომენის გამოჩენას იმას უკავშირებდა, რასაც „პროტესტანტულ ეთიკას“ უწოდებდა. ის თვლიდა, რომ კაპიტალიზმის განვითარებისთვის საჭირო იყო, რომ აქტი, მაგალითად, ვაჭრობის აქტი, ანუ კერძო საქმის აქტი, რომელიღაც ძალიან ამაღლებული ღირებულებების მატარებელი გამხდარიყო, მათ შორის ღმერთთან დამოკიდებულების, პასუხისმგებლობის და ა.შ. ასეთ დროს, მისი აზრით, ჩნდება კაპიტალისტების, მეწარმეების, ვაჭრების კლასი, ანუ ისეთი სიტყვები ჩნდება, როგორიცაა „ბიურგერი“,

„კერძო ადამიანი“ და ა.შ. რუსულ ენაში ამის ანალოგი არსებობს – „მეშჩანი“. სწორედ ამ გაგებით იყენებდა ამ სიტყვას პუშკინი თავის ცნობილ ლექსში. მაგრამ ჩვენთვის სიტყვები „ბიურგერი“, „ბურჟუა“, „მეშჩანი“ და ა.შ. დიდიხანია უხამსობის, ობივატელობის სიმბოლოდ იქცნენ.

ვიმეორებ, ვებერის თეორია არ მიმაჩნია მართებულად კაპიტალიზმის აღმოცენების მიზეზების ანალიზის თვალსაზრისით. მის მიმართ ჩემი პრეტენზიები მაქვს, მაგრამ მისი აზრთა მსვლელობა, მოცემულ შემთხვევაში, საკმაოდ საგულისხმოა და ბევრი რამ სწორედ ევროპული ქრისტიანული კულტურის ხასიათზე მიუთითებს. თუკი ახლა მე-20 საუკუნის დასაწყისის რუსეთს შევხედავთ, დავინახავთ, რომ მისი ხალხის ცნობიერება ღრმად სულაც არ შეუძრავს სახარებას. ჯერ კიდევ როზანოვი მიუთითებდა თავის დროზე ქვეყანაში, პირველ რევოლუციასთან ერთად, „ცოცხალი ქრისტეების“ და „ცოცხალი ღვთისმშობლების“ გავრცელებაზე, რაც ნებისმიერი წიგნიერი რელიგიური ცნობიერებისთვის სრულიად მიუღებელია. აქ სხვა ძალები მოქმედებს. „რუსეთზე საუბრისას, – წერდა ჩაადაევი, – ყოველთვის წარმოიდგენენ, თითქოს, ისეთივე სახელმწიფოზე საუბრობენ, როგორიც სხვებია; სინამდვილეში სულაც არ არის ასე. რუსეთი მთელი სამყაროა, რომელიც ერთი ადამიანის ნებას, თვითნებობას, ფანტაზიას ემორჩილება. მნიშვნელობა არა აქვს, პეტრე ჰქვია მას თუ ივანე, ეს არ არის მთავარი: ყველა შემთხვევაში ერთნაირია ის, რომ რუსეთი თვითნებობის განსახიერებაა“. სხვა სიტყვებით, ჩაადაევს, როგორც მოაზროვნეს, თანამედროვე დისკუსიებში რომ მიეღო მონაწილეობა, ასევე ჩათვლიდა, რომ არავითარი სტალინიზმი არ არსებობდა, რომ ეს გამონაგონია, რომლის საშუალებითაც შეუძლებელია იმის გააზრება, რასაც ამ სიტყვით მოვიხსენიებთ. სინამდვილეში სტალინი მილიონების „თვითმპყრობელობის“ შედეგია, ან, უფრო სწორად, მათი ფოკუსირებული ანარეკლია. სხვათა შორის, ამის შესახებ თვითონაც ლაპარაკობდა, როდესაც აღიარებდა, რომ პარტიამ თავის სახედ და ხატად შექმნა იგი. მილიონობით „სტალინი“ – ეს არის სოციალური სინამდვილე, რომელშიც მბრძანებელთა მასა ცხოვრობს. ეს არის კიდეც ის, რასაც ჩაადაევი „თვითნებობის განსახიერებას“ უწოდებდა. ახლა ვცდილობთ იმ დროში გამოვყოთ ინტელექტუალური, პარტიული და, თუნდაც, სულიერი „ოპოზიციის“ მსგავსი რამ. მაგრამ სინამდვილე-

ში ასეთი რამ არ არსებობდა და არც შეიძლებოდა არსებულიყო. უბრალოდ, იგივე ბუხარინს ოდნავი დისონანსი შეჰქონდა იმ სახესთან, რომელსაც მილიონობით „თვითმპყრობელი“ თავს მიაკუთვნებდა. მათი ცნობიერებისთვის ადეკვატური აღმოჩნდა სტალინი. ამიტომაც იქცა იმად, რადაც იქცა.

მაგრამ ეს ისტორია ჯერ არ დასრულებულა. ჯერ კიდევ არ გვისწავლია განცდილისგან დასკვნის გამოტანა. სხვა შემთხვევაში არ ვილაპარაკებდით ბრეჟნევის კულტზე, რომელიც სინამდვილეში ასევე არ არსებობდა. არსებობდა „ბრეჟნევის კულტი“, რომლის საშუალებითაც ასრულებდნენ რიტუალურ ცეკვას და ადამიანების გარკვეული ჯგუფი საკუთარი თავის ქებით იყო დაკავებული. მისი საშუალებით საუბრობდნენ საკუთარ თავზე, საკუთარ ავტორიტეტზე, საკუთარ ძალაზე და ა.შ.

მინდა ეს მსჯელობა დავასრულო ჩვენთვის ისევ აქტუალური აზრით, რომელიც ჩაადაევს ეკუთვნის და რომლითაც ასრულებს ზემოთ მოხმობილ მსჯელობას იმის შესახებ, რომ რუსეთი უბრალოდ სახელმწიფო როდია, სხვა სახელმწიფოების მსგავსად. „ადამიანთა თანაცხოვრების ყველა კანონების საპირისპიროდ, — წერს ჩაადაევი, — რუსეთი მხოლოდ საკუთარი თავისა და მეზობელი ხალხის დაპყრობის მიმართულებით მიდის. ამიტომაც, სასარგებლო იქნებოდა, რომ მისთვის ახალ გზაზე დადგომა ეიძულებინათ, არა მხოლოდ სხვა ერების ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ თვით მის საკეთილდღეოდაც“.

ოდესღაც ამ ამოცანის განხორციელება დაიწყო, მაგრამ მიმართულება შევიცვალეთ და გაველურდით. ახლა, თუკი მართლაც გვინდა, რომ დედამიწაზე ცივილიზაციები ვიხსნათ ან მისი ხსნის პროცესში ჩავერთოთ, თუკი გვინდა, რომ ჩვენს ევროპულ სახლს დავუბრუნდეთ და მასზე დამცველის როლში საუბრის უფლება მოვიპოვოთ, ჯერ ჩვენ თვითონ უნდა გავხდეთ ცივილიზებული — უფრო ცივილიზებული ან უბრალოდ ცივილიზებული ადამიანები, ანუ სხვა, ახალ გზას დავადგეთ.

აზრი კულტურის სივრცეში

მსურს განვიხილო აზრის პრობლემა კულტურის სივრცეში. ვგულისხმობ აზრს, როგორც სასწაულს, რადგანაც სასწაულის გარეშე აზრი კულტურის სივრცეში ვერ მოხდება, ვერ შედგება. განხორციელებული აზრისთვის იქვე, როგორც ანტისამყაროში, არსებობს რაღაც ჩრდილები ან სახეები, რომლებსაც თვითონ არ გააჩნიათ ჩრდილები და ფრანსუა ვიიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უსიცოცხლოდ“ ცოცხლობენ. კერძოდ, ამ სახეების განხილვისას, დაფიქრება გვიწევს აზრზე, როგორც საკითხზე, „თუ როგორ დავაღწიოთ თავი ამ წყვდიადს?“ განსაკუთრებით მაშინ, თუკი ეს წყვდიადი ხშირად ეპიდემიურ ხასიათს ატარებს; უეცარი და მასობრივი ეპიდემიის ხასიათს, რომლის მიღმაც გარკვევით იკითხება, ჩემი აზრით, რაღაც შინაგანი თვითმკვლელობა; ანუ ბევრი თვალსაზრისით, აზრთან დაკავშირებული საკითხი, იმავდროულად, თვითმკვლელობის საკითხზე პასუხის ძიებაცაა, მაგრამ არა მთლად იმ გაგებით, როგორც ამაზე საუბრობდა, ვთქვათ, კამიუ, არამედ სხვა გაგებით, როგორც ძველი ფილოსოფოსები ამბობდნენ, ადამიანის ბუნებაში დასაბამიერი ბოროტების არსებობის გაგებით. ეს თავდაპირველი ბოროტება, ცხადია, იმ შეუძლებლობაში იგულისხმება, რომელიც თვით ადამიანისთვისაც კი მიუწვდომელია. ის ხიჭვის მსგავსადაა ჩამჯდარი და ადამიანს მისგან სასწრაფოდ თავის დაღწევა სურს. მაგრამ მანამდე ის მზადაა, მთელ სამყაროს დასწამოს არასრულყოფილება და ამ დროს ვერ შენიშნოს, რომ თვითმკვლელობის აქტს სჩადის ჯერ თავის ირგვლივ სამყაროს განადგურებით და შემდეგ საკუთარი თავის ფესვიანად ამოძირკვით. სხვა სიტყვებით, იმის თქმა მინდა, რომ სწორედ ეს ფესვია აუტანელი.

და ამ აუტანლობის ხიჭვის ამოღება, როგორც ჩანს, მხოლოდ აზროვნების აქტითაა შესაძლებელი.

შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა: ამ დროს ხომ არ ამოქმედდება „მაღალი სულიერება“?

ვფიქრობ, სიტყვებს „მაღალი სულიერება“ დელიკატურად უნდა მივუდგეთ, ვინაიდან ის შეიძლება ძალიან „დაბლა“ იყოს, ეს არავინ იცის, ისევე, როგორც არავინ იცის, სად არის სხეული (მხედველობაში მაქვს ამ პრობლემისადმი კანტისეული მიდგომა). გაწონასწორებულობის, ჰარმონიის შეგრძნება, რაც ადამიანის უმარტივეს კაპრიზებში, მათ შორის, ვთქვათ, სიზარმაცეშიც ვლინდება, მხოლოდ Post Factum ემსგავსება ერთგვარი სულიერების აქტს. ანუ მთელი პრობლემა ისაა, რომ სულიერების ლოკალიზება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ადამიანის ყველაზე დიდი ცდუნება ამაღლებული ცნებებით ოპერირებაა. ეს არის ცდუნება, რომელსაც ადამიანი სიამოვნებით ემორჩილება და ამ დროს ფიქრობს, რომ უკვე თვით მათი გამოყენების ფაქტი ამაღლებს მას. სინამდვილეში კი პრობლემა ისაა, რომ, საზოგადოდ, ცნებები, როგორც ასეთი, ანალიტიკური თვალსაზრისით, არ შეიცავს აზრის, აზროვნების მდგომარეობებს.

აზრის მდგომარეობა ყოველთვის ერთგვარი დამატებითი ცოცხალი აქტია, რაც ცნების (მათ შორის ამაღლებული) მნიშვნელობასთან ერთად ხდება. მას შემდეგ, რაც მოხდება, ასეთი მდგომარეობა განურჩეველია იმ ცნებისგან, რომელშიც ის, სამწუხაროდ, არ არის. ცოცხალი რამ საკუთარი არსებობის შესახებ თავისი ყოფნით გვამცნობს, ხოლო ცოცხალსა და მკვდარს შორის სხვაობის მოხელთება არ შეგვიძლია.

ის, რასაც ვამბობ, ძალიან მნიშვნელოვანი მეჩვენება იმიტომაც, რომ საშუალებას გვაძლევს, იმის გაგებას მივუახლოვდეთ, რაზეც სინამდვილეში ვფიქრობთ, ან რაც სინამდვილეში გვაღელვებს, როდესაც კულტურაზე ვსაუბრობთ. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კულტურა ამაღლებული ცნებების ან მაღალი ფასეულობების ერთობლიობა არ არის. ეს ასე არ არის თუნდაც იმიტომ, რომ მოცემულ შემთხვევაში, არავითარი ღირებულებები, არავითარი მიღწევები და არავითარი მექანიზმები არ არის გარანტია. კულტურის ნებისმიერი სიმაღლიდან შეიძლება უფსკრულში გადავეშვათ.

შესაბამისად, ის, რასაც კულტურულ მდგომარეობას, ან, ვთქვათ, აზრის მდგომარეობას ვუწოდებთ, რაღაც ისტორიული წერტილია; წერტილი, რომელიც საკუთარ თავს თვითონვე ეყრდნობა და ცოცხალია წარმოუდგენლად დაგრეხილ მრუდეზე. მას უკულტურობისთვისაც თავი არ დაუღწევია. კულტურა როდია ისეთი რამ, რაც ქაოსიდან ჩნდება. ქაოსი და უკულტურობა არც უკანაა, არც წინ, არც

გვერდით, არამედ თითოეულ ისტორიულ წერტილს გარს აკრავს, ისევე, როგორც მათემატიკაში რაციონალური რიცხვები ყოველ წერტილში გარშემორტყმულია ირაციონალური რიცხვებით იმიტომაც, რომ თვით ჩვენი აზრების არსებობის კულტურული ფორმა (ვინაიდან ფორმის გარეშე არაფერი არსებობს), თავისი საფუძვლით, საკუთარ თავში ვარაუდობს არცოდნას, ანუ ონტოლოგიური მექანიზმის მიერ დატოვებულ ერთგვარ სიცარიელეს და სამყაროს, აზრს იმისთვის, რომ ის ცოცხალი აქტით, ცოცხალი, დაჭიმული, ნებელობითი მდგომარეობით შეივსოს. აზრის არსებობისთვის აუცილებელია ამის ნება. სხვათა შორის, ამას ეწოდება კიდეც წმინდა აზრი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ტერმინი „აზრი“ თითქოსდა მოჭარბებულია, რამდენადაც აზრი მექანიკურად არ იქმნება. შევეცდები ზემოთქმული (ანალოგიის საშუალებით) რწმენის მაგალითზე განვმარტო.

ყველასთვის ცნობილია გამოთქმა, რომელზეც, როგორც წესი, იცინიან ხოლმე, კერძოდ: „მწამს, რამეთუ აბსურდულია“, „მწამს, რამეთუ შეუძლებელია“ (ორი ვერსიაა). ის ვინც ეს თქვა, შესანიშნავად ესმოდა, რას ნიშნავს რწმენის მდგომარეობა. სინამდვილეში, როგორ შეიძლება გწამდეს ის, რასაც რომელიღაც მექანიზმი აწარმოებს, თვით რწმენისგან დამოუკიდებლად. ამგვარ მდგომარეობებთან დამატების სახით ტერმინ „რწმენის“ გამოყენება, უბრალოდ, ზედმეტია – ოკამის თანახმად, ის აფორიზმი უნდა იყოს. რწმენაზე, მართლაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება საუბარი, თუკი ლაპარაკია იმაზე, რისი არსებობაც შეუძლებელია თვით რწმენის აქტის გარეშე; მაშასადამე, ის, რაც შეუძლებელი ან აბსურდულია სხვაგვარად, შეიძლება იყოს რწმენის საგანი ან რწმენა. მისტიკოსებმა ეს დიდი ხნით ადრე იცოდნენ, მშვენივრად ესმოდათ საქმის არსი, ცნობიერების იმ აქტების არსი, რომლებიც აქ ხდება, როდესაც ვამბობთ, რომ რწმენის ფაქტობრივი საგანი თვით რწმენაა, რომ ეს თვით რწმენის უნარის და ძალის განახლება, აღორძინებაა. სხვა საქმეა, რომ ამგვარი აქტები, უკვე მოხდენის მომენტში, განზავებულია რაღაც შინაარსთან, რომელიც ამავე აქტების საფუძველზე იხსნება ჩვენთვის და ამიტომაც ვერ ვამჩნევთ თვით აქტს წმინდა სახით, მაგრამ ამისთვის (მის მოსახელთებლად) არსებობს კიდეც სპეციალური ხერხი – რელიგიური და ფილოსოფიური აზროვნების ხერხი.

მაშასადამე, კულტურას რომ დავუბრუნდეთ, ფაქტობრივად, მისი პრობლემა ის კი არ არის, თუ რა მოვუხერხოთ ადამიანის სულის,

ადამიანური უნარის არსებულ და ისეთ ქმედებებს, რომლებიც გვახსოვს, არამედ ის, თუ რამდენად გვესმის, რომ ეს ყველაფერი არათვითკმარია, თვითონ არ დალაგებულა, რომ ქაოსი, როგორც ვთქვი, უკან კი არ არის, თვით კულტურის წიაღში კულტურული არსებობის თითოეული წერტილის ირგვლივაა. კულტურის დამატებითი, გამუდმებით შევსებადი პირობა არის, ყოველთვის შემთხვევითი, სწორედ ისეთი სახის ცოცხალი მდგომარეობების ან ცოცხალი აქტების აღსრულება, რომლებსაც თავისთავად არა აქვთ ღირებულება, არ არიან სასარგებლო და არიან ის, რასაც კანტმა „უსასრულო ღირებულებები“, ან „უმიზნო მიზნები“ უწოდა. განსაზღვრების თანახმად, ფასეულობა ხომ რაღაც სასრულია, ჩვენ კი „ღირებულების უსასრულობაზე“, ანუ იმაზე ვსაუბრობთ, რასაც არასდროს, დროის არც ერთ მოცემულ მონაკვეთში არა აქვს რაიმე კონკრეტული, გაზომვადი ღირებულება და არის წყვეტა, ძვრა.

ასე რომ, თუკი ეს აქტები არ სრულდება, თუკი კულტურაში არ არის ადამიანების საკმარისი რაოდენობა, ვისაც მისი მხარდაჭერა საკუთარი ძალისხმევით შეუძლია, მაშინ არაფერი არ არსებობს. და თუკი რაიმე არსებობს, ის მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილებია, რომლებიც ცოცხლისგან არაფრით განსხვავდება. ჩვენი ადამიანური არსებობის უღირსობის ერთ მაგალითს მოვიხმობ.

მხედველობაში მაქვს საკითხი იმის შესახებ, დავლიოთ თუ არა ღვინო. მოგეხსენებათ, ერთ დროს ჩვენი კინოფილმებიდან, ტელეგადაცემებიდან უმარტივესი ადამიანური ჟესტების გაქრობა დაიწყო, რომელთა საშუალებითაც ადამიანი ჭიქას წევდა, უჭახუნებდა, პირთან მიჰქონდა და სვამდა. ამიტომაც აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია პუშკინის ტექსტიდანაც ამოვიღოთ და გადავაგდოთ „პუნშის ალი ცისფერი“ ან „მივუჭახუნოთ ჭიქები“. რა არის ეს, თუ არა ჩრდილების უხეირო ფერხული? ორი დაბაკუნება, სამი ტაში. თითქოს ყველა ადამიანი ვალდებულია, უხეირო ფერხულში ჩაებას.

თითოეულ ამ „აუცილებლობის“ აქტს, რა თქმა უნდა, კონკრეტული ახსნა აქვს. ამ ფერხულში ჩაბმას ყოველთვის კონკრეტული და ადამიანურად გასაგები მიზეზები აქვს. ასევე გასაგებია ისიც, რომ, ვთქვათ, სადაც გაგების ყველაზე ნაკლები აქტი ხორციელდება, იქ ყველაზე გავრცელებული სიტყვაა – ენის სიხშირის ლექსიკონი რომ შევადგინოთ – „გესმის“: „ხომ გესმის“, „რა თქმა უნდა, მესმის“, „გვესმის“.

და ეს ერთმანეთზე გადაწნული მინიშნებები, იდუმალი, ყველასთვის ნაცნობი ურთიერთგაგება არის კიდეც ამ ჩრდილების სამეფოს ლოგიკა, რომელში ცხოვრებაც, თუკი ადამიანს რაიმე მგრძნობელობა აქვს, შეუძლებელია, ვინაიდან საქმე ის კი არ არის, რომ გვცივა ან ფეხშიშველნი ვართ, არამედ ის, რომ უპირველესად დაჭრილი ვართ ყოფიერებით. და როდესაც ეს უხეირო ფერხული უზარმაზარი ქვეყნის მასშტაბში სრულდება (ქვეყნის, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობაზე აქვს პრეტენზია) და ამ გზით, თითქოსდა, უხილავი, მაგრამ სინამდვილეში საკმაოდ საგრძნობი იარები ადგება ყოფიერებას, რით შეიძლება ეს დამთავრდეს? რა შეუძლიათ ადამიანებს, რომლებიც, აი, ასეთი, თითქოსდა, ადამიანური კანონებით ცხოვრობენ? ასეთ ადამიანებს, თავის დროზე, ნიცშე (რომელსაც საოცრად გამახვილებული მგრძნობელობა ჰქონდა), ალბათ, შემთხვევით არ უწოდებდა „უკანასკნელ ადამიანებს“. საერთოდ, როცა ნიცშეზე საუბრობენ, მისი „ზეკაცი“ ახსენდებათ, მაგრამ მხოლოდ ის როდია ნიცშესეულ სიმბოლიკაში. მას ერთგვარი სამსაფეხურიანი სიმბოლო აქვს: „ზეკაცი“, რომელიც რომელიმე რეალური არსება ან ადამიანების რეალური ჯიში როდია, ვინც სხვაზე მაღლა იდგებოდა, არამედ ესაა ადამიანის რაღაც უკიდურესი მდგომარეობა, რომლისკენ სწრაფვითაც შეუძლია ადამიანს ადამიანად ქცევა.

ფორმულის მეორე წევრი არის არსება, რომელსაც შეუძლია იყოს ადამიანი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის ზეკაცის მიმართ ტრანსცენდენტურ მდგომარეობაში იქნება, ვინაიდან ყველაფერი არსებული, როგორც ერთმა თქვა, უნდა აღემატებოდეს საკუთარ თავს, რომ თვითობა შეიძინოს.

ფორმულის მესამე წევრია „უკანასკნელი ადამიანი“, ანუ სწორედ ის, რომელიც საკუთარ თავზე აღმატების აქტს არ ახორციელებს.

უკანასკნელი ადამიანი ასეა აღწერილი: „ასეთმა ადამიანებმა აღარც კი უწყიან, რა არის ვარსკვლავი, საკუთარი თავის სიძულვილიც არ შეუძლიათ და თან იმეორებენ: „ბედნიერი ვართ, ბედნიერი ვართ და ერთმანეთს თვალს უკრავენ“, — ეს, ფაქტობრივად, ნიცშეს სიტყვასიტყვითი ციტატაა.

ასე მგონია, აქედან ძალიან ბევრი კულტურული რეალიის და, ფაქტობრივად, კულტუროლოგიის მთელი პრობლემატიკის და, რაც მთავარია, მისდამი ჩვენი ინტერესის მიზეზების გამოყვანა შეიძლება. არა კულტურის პრობლემებისადმი, არამედ კულტურაში ადამიანის

ადგილის პრობლემისადმი. ანუ ამ შემთხვევაში საუბარია კულტურის განვითარებისა და არსებობის რომელიღაც ფარულ წანამძღვრებზე. ის, რაც ნაწილობრივ აღვწერე, როგორც ჩრდილების სამყარო, რასაკვირველია, პირდაპირ უკავშირდება ამ წანამძღვრებს, იმ რეალურ კატასტროფას, რომელსაც ყველა განვიცდით და რომელიც ყველა სხვა კატასტროფაზე საშინელია. ვგულისხმობ ანთროპოლოგიურ კატასტროფას. ეს არის გადაგვარება, რომელიც ხორციელდება ადამიანური ცნობიერების გარდასახვის რომელიღაც თანმიმდევრული რიგის მიხედვით, ჩრდილების ან სახეების (რომლებსაც, თავის მხრივ, ჩრდილი არა აქვთ) ანტისამყაროს მიმართულებით, გადაგვარება სარკისმიღმურ სამყაროში, რომელიც ცხოვრების იმიტაციებისგან შედგება. ამ თვითიმიტირებულ ადამიანში, რა თქმა უნდა, ისტორიულმა ადამიანმა, შეიძლება, საკუთარი თავი ვერ ამოიცნოს.

თან, რეალური კულტურა სულაც არ არის მუზეუმებში და იქ სიარულამდე არ დაიყვანება, არამედ ყოფიერების ან არყოფნის ის განცდაა, რომლის აღწერასაც შევეცადე.

მაშასადამე, ეს ყველაფერი ფუნდამენტურად უკავშირდება აზრს, ჩვენ მიერ აზროვნების აქტის შესრულების შესაძლებლობას.

რადგანაც კულტურის პრობლემებზე კი არა, მეტაფიზიკასა და ონტოლოგიაზე ვსაუბრობთ, ასე ვიტყოდი: კულტურები უკვდავია. ნებისმიერი კულტურის სიბრტყეზე არასდროს ჩნდება სიკვდილი. ნებისმიერი კულტურის ასპარეზი უსასრულოა. ეს იმას ჰგავს, რასაც თავის დროზე ვიტგენშტაინი ამბობდა თვალის შესახებ — „თვალსაწიერი უსასრულოა". რაც არ უნდა დავინახოთ, ნებისმიერი მანძილიდან, ამას თვალი დაინახავს; თვალი ხედავს იმას, რასაც ხედავს. კულტურაშიც იგივე ხდება. კულტურა უსასრულოა. თუმცა, ამგვარ უსასრულობას, რასაკვირველია, უხეირო უსასრულობის ელემენტიც აქვს. მეტიც, მისგან ამოვარდნა, აზრისკენ მიმართვა აუცილებლად უკავშირდება სიკვდილის სიმბოლოს გამოჩენას, ვინაიდან აზრამდე მისვლა შეგვიძლია მხოლოდ გარდაქმნის გზით, როდესაც ისეთი აღარ ვართ, როგორიც წინათ. შესაბამისად, ყოფიერების ონტოლოგიური წყობა საკუთარ თავს აღადგენს მხოლოდ ჩვენი ძალისხმევის ჩართვით, როდესაც, პირველ რიგში, სხვად გარდავიქმნებით, ვიდრე მანამდე ვიყავით და, მეორე მხრივ, აქამდე ჩვენ მიერ საკუთარი თავის უწყვეტი გაგრძელებებით მივდივართ. აქ არის რა-

ღაც ვერტიკალი, რომელიც კულტურულ სიბრტყეებს კვეთს. ამ ვერტიკალზე არის რაღაც სიმბოლიკა, რომელიც თვით სიბრტყეებში არასდროსაა მოცემული.

თითოეული კულტურა უკვდავია. მხოლოდ ვერტიკალური კვეთა ანიჭებს მას ამ ახალ მდგომარეობას, ანუ სიკვდილის ნაცნობი და გააზრებული სიმბოლო, როგორც მდგომარეობა, რომლის შემდეგაც გადაიშლება ყოფიერება და ჩვენ შეგვიძლია აზროვნების მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ. ვარჯიშის ან ჩვენი ლოგიკური და კულტურული საშუალებების მარტივი გაგრძელებით ამის გაკეთება არ შეგვიძლია. აქედან ვუბრუნდები იმ სულიერებას (რომელზეც დასაწყისში ვსაუბრობდი), ტრანსფორმირებულ მდგომარეობებს (რომლებშიც ხელახლა იქმნება რეალობის მთლიანობა), ყოველთვის *სხვა*, ვიდრე ჩვენი წარმოდგენები და მათგან პროეცირებული ლოგიკური შესაძლებლობები.

აშკარაა, სამყაროში მოქმედებს რაღაც ძალა, რომელიც ჩვენზე დიდია და იქ, სადაც საკუთარ თავზე უარი ვთქვით, ჩვენში ამ ძალამ რაღაც მდგომარეობებს მისცა დასაბამი, რომ იმის ღირსი ვყოფილიყავით, რაც შეიძლება გადაგვხდეს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხოლოდ გარკვეულ საზღვრულ მდგომარეობებშია იმის გაგება და დანახვა შესაძლებელი, რაც სინამდვილეშია. კანტის დიად მოსაზრებას შეგახსენებთ, რომელიც ძალიან ხშირად არასწორად ესმით.

ის, რასაც კანტი შემეცნების საზღვრების შესახებ ამბობდა, როგორც წესი, ისე ესმით, რომ არსებობს გარკვეული საზღვრები, რომლის იქითაც ადამიანს გასვლა არ შეუძლია: ჩვენი გონების, ქმედების და ა.შ. საზღვრები. მაგრამ ის, რომ ამგვარი საზღვრები არსებობს, თავისთავად ცხადია, მაგრამ კანტისთვის მთავარი ეს არ ყოფილა. არსებითი ადამიანის გონების და შესაძლებლობების საზღვრები როდია. კანტისეული პრობლემა — საზღვრული, ანუ იმ მდგომარეობების პრობლემაა, რომლებიც, პრინციპში, მხოლოდ საზღვრებზე არსებობს. ველის, დაძაბულობის პრობლემა, რასაც თვით ამ საზღვრების არსებობა განაპირობებს. მაგალითად, წმინდა ნება არის ზღვრული წარმოდგენა ან ზღვრული მდგომარეობა, რაც არასდროს არაა იმ სამყაროს ნაწილი, რომელიც შემოწერილია საზღვრით, თუმცა, მისი წყალობით, თვით სამყაროში შეიძლება რაღაც მოხდეს. ან, ვთქვათ, იდეალი ზღვრული მდგომარეობაა. აქ არ ვგულისხმობ, რომ ის არარეალურია, ვინაიდან სამყაროში არ არსებობს სამართ-

ლიანი, იდეალური საზოგადოება, რაც რაღაც რეალური ფაქტი იქ-ნებოდა, რომელზე ორიენტირებასაც და რომელთან დაახლოებასაც შევძლებდით. ენგელსმა, თავის დროზე, ჩემი აზრით, საკმაოდ უხე-ირო მეტაფორა მოიფიქრა, რაც ყოველდღიური მეტყველებიდან ისესხა – ასიმპტოტების, ანუ შედარებით შეჯამებადი ჭეშმარიტებე-ბის თავმოყრის გზით აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან გარკვეული მიახლოების მეტაფორა. ასე რომ, ასეთი რამ შეუძლებელია თვით ცნებების ბუნებიდან, იქიდან გამომდინარე, როგორცაა მოწყობილი, ზოგადად, ადამიანური მისწრაფებები. იმისთვის, რომ სამყაროში იყოს რაიმე, რაც იმის ღირსი იქნებოდა, რომ მშვენიერი, სამართ-ლიანი და ა.შ. ეწოდოს, უნდა არსებობდეს აღნიშნული გაცნობიერე-ბული მდგომარეობები. სამყაროში არ არსებობს მსგავსებები ან რაიმე მიახლოებები; ნებისმიერი მდგომარეობა ერთნაირად ზღვრუ-ლი და დაშორებულია უსასრულობისგან.

არ არსებობს უფრო დიდი და უფრო პატარა სრულყოფილება. აღ-მატებული ყოველთვის ისევე აღმატებულია, როგორც ნებისმიერი სხვა აღმატებულება. სამყარო ასეა მოწყობილი. ჩვენი ტვინი, სამწუხაროდ, სხვაგვარადაა მოწყობილი. ჩვენი ტვინის მოწყობიდან გამომდინარე (ჩვეულებრივი წარმოდგენების გაგებით), არ ძალგვიძს, რომ საკუთარი ძალების, ფიზიკური, საგნობრივი ხედვის გაგრძელების გზით მივიდეთ აზრამდე. ვიმეორებ, ამისთვის საჭიროა დროის მომდევნო მონაკვეთში (წინანდელი) საკუთარი თავის პროეცირებაზე უარის თქმა.

შესაბამისად, კულტურის (სხვებზე უფრო წარმატებულის) მთე-ლი პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: შესაძლებელია თუ არა სამ-ყაროში ცვლილება. შეგვიძლია მხოლოდ ისეთი ვიყოთ, როგორიც ვართ, თუ სამყაროში შესაძლებელია ცვლილებები, კერძოდ, ადამი-ანის საკუთარ თავზე ამაღლება? არსებითად ხომ აქამდე დაიყვანება ევროპული კულტურის სწრაფვა. ამიტომაც, ბევრი თვალსაზრისით, ჩვენი ამოცანაც არა მხოლოდ კულტურას, კულტურულ-ისტორიულ რეალიებს ეხება, არამედ ჩვენს რეალურ სულიერ მოთხოვნილებებს ან „ადამიანის ადგილს კულტურაში“. მასზე პასუხი საბოლოო, დას-რულებული ვერ იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ შეკითხვას საკუთარ თავს თვითონვე ვუსვამთ. მაგრამ იმის თქმა მინდა, რომ, თუკი ჩვენ მას საკუთარ თავს ვუსვამთ, გამოდის, რომ საკუთარ თავს ჩვენივე საფუძვლების შესახებ ვეკითხებით, ანუ ჩვენს სულიერ სამშობლოს-თან, კერძოდ, ქრისტიანულ ევროპულ კულტურასთან გაერთიანებას

ვესწრფვით. თან, სიტყვა „ქრისტიანულს“, რასაკვირველია, კონფესიური გაგებით არ ვიყენებ, მხედველობაში მაქვს ცვლილების ჩვენეული უნარი. ამავე დროს: სადაც ადამიანს არ ძალუძს, იქ ამოქმედდება რაღაც პირველადი განმასხვავებელი გაგება, რაღაც ნაპერწკალი, როგორც გარკვეულ შინაგან წყაროზე და სახეზე მითითება, რაც თვით ადამიანშია მოცემული და ამ სახეზე ორიენტაცია, ნებისმიერი გარეგანი ავტორიტეტის, მითითების და ნებისმიერი იდეალური იერარქიის გარეშე. უბრალოდ, ორიენტაცია ან გზა. საკმარისია, ამ გზას დავადგეთ, რომ რაღაც დაგვეხმარება. მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, მთავარია, ღირსება შევინარჩუნოთ. ეს არის ახალი დროის კულტურის საძირკველი ან საფუძველი. ადამიანის სამყაროსთან პირისპირ არსებობა, ყოველგვარი გარანტიის გარეშე, რაც ადამიანისთვის და ადამიანური ცნობიერებისთვის შინაგანი იქნებოდა, რაღაც ღია სივრცე, რომელშიც იკვეთება მხოლოდ გზა, შენი გზა, რომელიც თვითონ უნდა გაიარო. სხვათა შორის, ეს განსაზღვრება განმანათლებლობის განსაზღვრებასაც ემთხვევა.

როგორც ცნობილია, განმანათლებლობა წმინდად ნეგატიური ცნებაა, ანუ ეს არის ცნება, რომელიც პოზიტიური ცოდნის ისეთ ერთობლიობაზე არ მიგვანიშნებს, რომლის გავრცელება და ადამიანებისთვის გადაცემაც შესაძლებელი იქნებოდა. კანტის სიტყვით რომ ვთქვათ, განმანათლებლობა ადამიანის ზრდასრული მდგომარეობაა, როდესაც ადამიანებს საკუთარი გონებით ფიქრი და მოქმედება შეუძლიათ და ამ დროს ამისთვის არ სჭირდებათ ავტორიტეტები გარედან და აჭიმებით არავინ მართავს მათ. ჩნდება კითხვა: განათლებული ვართ თუ არა ჩვენ?

და მეორე შეკითხვა: რას ვეძებთ, როდესაც კულტურაზე ვლაპარაკობთ, რატომ ვსაუბრობთ მასზე?

ნათელია, როდესაც კულტურაზე ვსაუბრობთ, განმანათლებლობის ამოსავალ საზრისს ვუბრუნდებით, რაც ახალი დროის საფუძვლად იქცა, ანუ ვუბრუნდებით მის ისეთ ნიშნებს, როგორიცაა პიროვნების აქტივობა, მისი უფლებები, საკუთარი აზრების საზოგადოდ გამოხატვა და ა.შ. და მეორე წანამძღვარი, რომელიც აქ ასევე მნიშვნელოვანია – არის განსხვავება ფიზიკურად შესამჩნევ არსებობასა და იმას შორის, რასაც ფილოსოფოსები უწოდებენ არსებობას; ანუ განხორციელებულ არსებობას, რომელიც ისეთ ზმნებში იგულისხმება, როგორიცაა „სუფევა“, „ისტორიულ არსებობაში შესვ-

ლა“, რაც აშკარად განსხვავდება განზრახვისგან, ისევე როგორც, ვთქვათ, მოვალეობის განზრახვა განსხვავდება თვით მოვალეობისგან, აზრის განზრახვა განსხვავდება თვით აზრისგან, გულახდილობის განზრახვა განსხვავდება გულახდილობისგან, ღირსების განზრახვა განსხვავდება ღირსებისგან. საგნობრივ განზომილებაში ჩვენთვის შეუძლებელია, ვთქვათ, ღირსების გამიჯვნა ღირსების განზრახვისგან (მით უმეტეს, რომ თვით ამ განზრახვის მატარებელთან ის გამოიხატება ცნებებისა და წარმოდგენების მენტალურ შინაარსში). საქციელი აზრის მომხდარი მდგომარეობაა. და რადგანაც ის მოხდა, ველარაფერს შევცვლით. კანტი ასეთ დროს იტყოდა: „წმინდა ნებამ საკუთარი თავი განსაზღვრა“. ის დამოკიდებული არ არის თვით ქმედების შედეგებზე, წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე. თუკი რაიმე მოხდა, ქმედების „სიწმინდეზე“ მითითება ჯერ კიდევ არაფერს გვეუბნება ნების შესახებ; ისევე, როგორც საკანონმდებლო სისტემის უსამართლო ქმედებაზე მითითება ვერაფერს გვეუბნება თვით საკანონმდებლო სისტემის ხასიათზე. რატომ? იმიტომ, რომ კანონის მიზანი კანონია. კანონის მიზანი არის კანონი და არა კანონიერების დადგენის ესა თუ ის შემთხვევა, ისევე, როგორც რწმენის მიზანი და საგანი არის რწმენა, ან აზრის მიზანი და საგანი არის აზრი.

მაგალითად, ყველამ ვიცით, განზრახვის თანახმად, კანონიერი მიზნების უკანონო განხორციელების შესახებ, როდესაც სიმართლე ან სოციალური სამართლიანობა ძალადობის გზით მყარდება. სწორედ ეს არის სამყაროს არსებითი ყოფიერებისმიერი და ონტოლოგიური წყობის რღვევა; სამყაროსი, რომელშიც კანონები მხოლოდ კანონების გზით მიიღწევა და არა განზრახვებით, რამდენად ამაღლებულიც არ უნდა იყოს ისინი. იგივეს თქმა შეიძლება თავისუფლებაზეც. ზოგჯერ ამბობენ: „სად არის ჭეშმარიტი სასამართლო, ჭეშმარიტი სამართლიანობა“. და როდესაც მას ვერ პოულობენ, როგორც წესი, პასუხობენ: „აი, ხომ ხედავთ, რაღა ამერიკა და რაღა რუსეთი, ყველგან ერთი და იგივეა. ადამიანები ყველგან იტყუებიან.“ ბუნებრივია, რადგან სამყაროს ყოფიერებისმიერი მოწყობის მიხედვით, თავისუფლება მხოლოდ თავისუფლებას წარმოშობს და არაფერს სხვას. მისი საგნის სახით ჩვენება შეუძლებელია, მით უმეტეს შეუძლებელია მისი ჯიბეში ჩადება.

ამგვარი საკითხების გადასაწყვეტად არსებობს *ფორმები*. სამარ-

თალი არის ფორმა – მხოლოდ და მხოლოდ ფორმა. ის მანამდე ცოცხლობს, სანამ არ ვცდილობთ ადამიანებს შორის შინაარსის მიხედვით მის განაწილებას რაიმე სამართლიანობის ნიშნით: ფორმა არის მხოლოდ იმის მიღწევის შანსი, რაზეც მასშია საუბარი.

მაშასადამე, მართლწესრიგის ფორმა.

ხელოვნება ფორმაა. მეცნიერება ფორმაა. ფილოსოფია ფორმაა. რისი ფორმა?

ამ სააზროვნო წყობას პირობითად „დროის მანქანებს" ან „აზროვნების მანქანებს" ვუწოდებ. რატომ დროის? ბუნებრივია, თუკი კულტურული სიბრტყეების გამკვეთი ვერტიკალი ვახსენეთ, მაშინ ამ ვერტიკალზე წერტილები თითოეული კულტურული სიბრტყის მიმართ (რომლებიც უსასრულობის პროექციაში არიან განლაგებული) დროის დგომა იქნება, რომელიც წამის ფორმით გვეძლევა, წამი კი შეიძლება მთელი მარადიულობა იყოს. მისი განზომილება არ ემთხვევა ჩვენეულ განსხვავებას წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის. იმ განსხვავებებს დავუბრუნდები, რომლებითაც აზრის გამოთქმისას უკვე ვიხელმძღვანელე.

მაშასადამე, ვთქვი, რომ ტერმინ „აზრს", სულ მცირე, ორი მნიშვნელობით ვიყენებთ; ის აუცილებლად ორმხრივია. ერთი მხრივ, ის აღნიშნავს აზროვნების განზრახვას, ან, ასე ვთქვათ, აზრის წინასწარ განზრახულ მდგომარეობას, რაც ნიშნობრივ-საგნობრივ სფეროს განეკუთვნება; მეორე მხრივ, ეს არის გარკვეული ცოცხალი მდგომარეობა. პირველ შემთხვევაში აზრის ლოგიკური შესაძლებლობები იგულისხმება. აზრის განზრახვა მისი ლოგიკური შესაძლებლობაა. მეორე შემთხვევაში კი ეს არის ცოცხალი აზრის თანდასწრება, რაც ცნების დონეზე პირველისგან არ განსხვავდება. ან ეს არის აზრის პოტენცია, რომელიც შესაძლებლობისგან განსხვავდება. შესაძლებლობისგან განსხვავებული პოტენცია არის შესაძლებლობა, რომელსაც იმავდროულად, გააჩნია ძალა, რომ განხორციელდეს. ცოცხლად განხორციელებადი აზრი. მაგრამ ორივეს აზრს ვუწოდებთ. თუმცა, მეორე მნიშვნელობით (აზრის მდგომარეობა) ის, ანალიტიკური თვალსაზრისით, არ შედის იმ ცნების შინაარსში, რომელიც იმავეს აღნიშნავს. ვთქვათ, სიკეთის მდგომარეობა, ანალიტიკური თვალსაზრისით, არ შედის სიკეთის ცნებაში. მისი ხდომილებისას ის უკავშირდება ცნებას, მაგრამ შეუძლებელია კონკრეტული ქმედების შეფასების მიღება სიკეთის ცნების გზით, სიკეთის ცნების დამატებით.

ამასთან დაკავშირებით ერთ კანტისეულ ფორმულას შეგახსენებთ, ის ცოტა განსხვავებულია. როდესაც კანტი აზრით გამუდმებით სხვადასხვა ორბიტაზე ტრიალებს და ისევ ერთ წერტილს უბრუნდება, ამბობს, რომ „იდეების საშუალებით იდეათა შეცნობა შეუძლებელია“, ან როდესაც ამბობს, რომ გონებას ყოველთვის „მხოლოდ ალბათობა“ აქვს, მხედველობაში აქვს სწორედ ის, რასაც ანალიტიკური შიგთავსის არარსებობა ვუწოდე, ანუ ის, რომ, ანალიტიკური თვალსაზრისით, გონების ცნება არ შეიცავს გონების გარკვეულ ფაქტს.

ფაქტობრივი მხარე არის კიდეც ცხოვრების მხარე, ანუ შესაძლებლობის ცოცხალი ძალა და არა უბრალოდ ლოგიკური შესაძლებლობა ან განზრახვა. მაგრამ ორივე შემთხვევაში ვსაუბრობთ აზრების შესახებ და ტერმინ „აზრს“ ვიყენებთ.

და მეორე მხარე, რომელსაც ვგულისხმობდი: აზრი მიემართება მხოლოდ იმისკენ, რაც დროის მოცემულ მონაკვეთში და აზრის წიაღში არსებობს. როგორც ერთგვარი ცოცხალი მოძრაობის მომენტი მოცემულ მომენტში.

მარტივი რამეა. არსებობს მუსიკალური ბგერის ნოტების სახით ჩანაწერი. მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ბგერა მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც მას ასრულებენ. კულტურის ყველა მოვლენა ასეთია: წიგნს კითხულობენ და ის არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას კითხულობენ. სხვაგვარი არსებობა მას არ გააჩნია. სიმფონია არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ასრულებენ. პეიზაჟი არსებობს, როდესაც მას ამჟამად ხილული სურათის თვალით უყურებენ, ვინაიდან თვითონ ბუნება პეიზაჟი არ არის. ის ქვების გროვა, ბალახების, წყლისა და ხეების სიმრავლეა.

იგივე შეიძლება ითქვას საზოგადოებაზეც. ადამიანთა თანაცხოვრება ჯერ კიდევ არ არის საზოგადოება. საზოგადოება არის ის, რაც დროის იმ მონაკვეთში არსებობს, როდესაც სრულდება ისეთი აქტი, რასაც ადამიანის ცნება იტევს, ანუ ფორმები, რომელთა საშუალებითაც საზოგადოებრივი მოვლენები ვითარდება. საზოგადოება მხოლოდ მათი წყალობით არსებობს. მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ეს მოვლენები ან მოხდეს, ან არ მოხდეს; ისევე, როგორც სიტყვები, რომლებიც შეიძლება იყოს მხოლოდ უსისხლხორცო ნიშნები და, ასეთ შემთხვევაში, ეს არის ასლები. ჯერ ანბანში, ნიშანში ვკვდებით, შემდეგ ვიწყებთ „ცხოვრებას“ ან ცხოვრების იმიტაციას. მოვიხმობ მაგალითს, უფრო სწორად – ორ მაგალითს.

მსგავსი კვაზიარსებობა, ან, როგორც უკვე აღვნიშნე, სარკისმიღმური არსებობა, რომელშიც აზროვნების აქტის განხორციელება არ ძალგვიძს, გამომდინარეობს იქიდან, რომ თვით აზრის შინაგანი წყაროები დარღვეულია, თან, არა რაიმე ცენზურული აკრძალვების გამო, არამედ იმიტომ, რომ ყველაფერი, თითქოს, უკვე შესრულებულია. სულის ნებისმიერი მოძრაობა, რომელიც სწორედ ახლა ხდება, უკვე გამოხატულია და ჩვენ მხოლოდ ნიშნის ნიშანზე, ან აჩრდილის აჩრდილზე ვართ ორიენტირებული. როგორც ჩანს (ვინაიდან ამგვარი რეგრესია ყოველთვის გარდაუვალია), აქედან მომდინარეობს ჩვენს კულტურაში, – და აქ გადავდივარ მაგალითზე, – მიცვალებულთა კულტის აღორძინება, მათ შორის ის ინტერესი ფიოდოროვის მიმართ, რომელიც ოდესღაც ცოცხლებს მკვდრების აღდგომისკენ მოუწოდებდა. გამაოგნებელია, რომ მე-20 საუკუნეშიც რუსული ინტელიგენცია, რომელიც სახალხო ინტელიგენციაა, არ ასრულებს თავის ინტელექტუალურ პასუხისმგებლობას, აზრის ღირსების შენარჩუნების თვალსაზრისით.

არც ისე დიდი ხნის წინ გაზეთში აღწერდნენ, თუ როგორ აღმოაჩინეს პიონერებმა ომის დროს დაღუპულ მეომართა გვამები. ეს მასალა დაღუპულთა ხსოვნისა და პატივის მიგების კონტექსტში იყო განხილული. მაგრამ, აღწერის კონკრეტულმა მასალამ და ადამიანის მდგომარეობამ, რომელიც ამას აღწერდა და იმანაც, რასაც აღწერდა, პირადად მე, უბრალოდ, შემძრა.

და კიდევ, მაგალითი რომ დავასრულო, დავამატებ, რომ დიდი ხანია ეს შეგრძნება მაქვს. ეს დეტალი არ ვიცოდი, მაგრამ ის იმდენად მეტყველია, რომ საკუთარ თავზე თვითონვე ლაპარაკობს. ჭეშმარიტებას ხომ ძალიან ხშირად უნებლიეთ წარმოთქვამენ. მას არ გულისხმობენ და უცებ ის ჩვენ წინაშე ჩნდება. ლენინის დაკრძალვის დოკუმენტურ კადრებს ვგულისხმობ, სადაც ერთმა პლაკატმა გამაოგნა. ანუ თავისთავად კი არ გამაოგნა, არამედ დამთხვევის, იმის პირდაპირი გამოხატვის გამო გამაოგნა, რაც აზრად მომდიოდა და ვფიქრობდი. პლაკატზე დიდი ასოებით ეწერა: „ლენინის საფლავი კაცობრიობის აკვანია“. აი, იმის გამოხატულება, რაც მაღელვებს: სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. სიცოცხლე, რომელიც სიცოცხლის იმიტაციაა. და ამას უკავშირდება ის, რასაც ენობრივ დაჩქარებას ვუწოდებდი, მაგრამ საპირისპირო მიმართულებით, როდესაც სიცოცხლეს სიკვდილის შემდეგ ვიწყებთ, გოგოლის ბაშმაჩკინივით,

რომლის სულიერი ცხოვრება აშკარად პროვოცირებული იყო ანბანის მკვდარი ასოებით, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. და დაიწყო ლირიკული თამაში ანბანის სიკვდილის შემდეგ. ანბანი, სიტყვა, როგორც წესი, სულის ცხოვრების დაგვირგვინებაა, აქ კი ყველაფერი პირიქითაა, თუმცა, არის მასში თავისებური პოეზია, თავისებური რაღაც ადამიანობა, გარკვეული ლოგიკა და, ამასთანავე, უკუდაჩქარება. ჩვენ ხომ ჯერ ვკვდებით დიდი სიჩქარით, ანუ იმის შეუსრულებლობის გამო, რაც თავის დროზე თავს გადაგვხდა, განვითარებაში ჩვენი დროის ხელიდან გაშვების გამო, საბოლოოდ ვდეგრადირდებით. ცნობილია, რომ არებობს ისეთი საგნები, რომლებიც, თუკი მას ბავშვი 5 წლის ასაკში არ გამოცდის, აღარასოდეს შეემთხვევა. შემდგომ წლებში ამის კომპენსაცია შეუძლებელია; ერთგვარი ლაიბნიცისეული პეტიციაა, რომლის ანაზღაურება ყველაზე მძლავრი ტვინის საშუალებითაც კი შეუძლებელია, თუკი ის თავისთავად არ არსებობს ან არ მოხდა.

ასეთ საგნებს აქვთ დროის ნიშანი „ახლა". ოდესღაც არ მოხდა, და მორჩა.

ვფიქრობ, რუსეთის ისტორიაში, ასევე, ბევრი რამ არ მომხდარა თავის დროზე — და ამიტომაც აღმოჩნდა მკვდარი. საბოლოო ჯამში — ჩვენ წინაშე, ჩვენ თვალწინ განვითარდა ევროპა და თავისი ნაყოფი (მათ შორის უარყოფითიც) გამოიღო. ჩვენ კი ერთგვარი ევროპის შემდგომი მდგომარეობისკენ წავედით და ისე გავუშვით ხელიდან შესაძლებლობა, არ განგვიცდია არავითარი, — არა მხოლოდ თანამედროვე ევროპული, არამედ წინაევროპული მდგომარეობები. ფაქტობრივად, ჩვენი მომავალი საზოგადოების მშენებლობის სიჩქარე არაადამიანური აღმოჩნდა და უფრო იმის ენობრივი მოშლით იყო ნაკარნახევი, რაც არ გადაგვიტანია და თვითონ არ განგვიცდია, ვინაიდან ჩვენი ენა ხომ ევროპულია. ჩერნიშევსკი და სხვები ევროპულ ენაზე მეტყველებდნენ, მაგრამ მათთვის კაპიტალიზმი, ბიურგერობა, სამოქალაქო საზოგადოება — ეს ყველაფერი ისეთი განვლილი ეტაპები იყო, რომლებიც შეიძლება არ გაიარო. სინამდვილეში კი სოციალისტურ გარდაქმნათა სიჩქარე ხელიდან გაშვებულის გამოდევნების სიჩქარით განისაზღვრებოდა. ეს იყო არაადამიანური სიჩქარე, ოღონდ უკუმნიშვნელობით. ეს ხომ აზრის საშუალებით ხდებოდა. ამ შემთხვევაში აღვწერ აზრს, რომელიც აზრის კანონებს არ ასრულებს.

კანონების შესრულება კი მხოლოდ გამართული „მანქანების“ – „დროის მანქანების“ საშუალებითაა შესაძლებელი. და უკანასკნელი მაგალითი:

ყველაფერი, რაც გამომსახველობითია, ყველაფერი, რაც საგნობრივია, უკვე სხვაგვარი, ასლის სახით გვევლინება. ვთქვათ, თეატრი. როდესაც სპექტაკლზე მივდივართ, – იდეალურ შემთხვევას მოვიხმობ, – წინასწარ ვიცით ტექსტი. ყველაფერი ცნობილია. რაღა საჭიროა თეატრი? რა ხდება? ხდება ის, რომ თეატრში იმის პირისპირ აღმოვჩნდებით, რაც სხვაგვარად ვერ მოგვეცემოდა, რასაც სხვაგვარად ვერ გავიგებდით. თეატრი არის ჩვენი იმ მდგომარეობაში შეყვანის „მანქანა“, რომელიც მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც სრულდება. თითქოსდა, ტექსტში წერია, საკმარისია, მხოლოდ წაიკითხო, მაგრამ გაგება, თუკი ასეთი რამ მოხდა, თეატრში ხდება. გაიგე, შენში ცვლილება, კათარზისი მოხდა, მაგრამ სიტყვები გაქრა, ვინაიდან ორგანიზებული ძლიერი ფორმა ამუშავდა.

ასეთივეა მეცნიერება; ანუ მთელი ეს „მანქანები“, რომლებიც ისეა მოწყობილი, რომ მათ შეუძლიათ ჩვენში გააღვივონ ის, რის მიღებასაც ბუნებრივი გზით ვერ შევძლებდით და სადამდეც ვერასდროს მივიდოდით საკუთარი თავის მარტივი გაგრძელებით, ჩვენი იმ ბუნებრივი მენტალური და ფიზიკური ძალის გაგრძელებით, რომლებიც მოგვეპოვება.

ასეთი „მანქანები“, რასაკვირველია, საჭიროებს საზოგადოებრივ, საჯარო სივრცეს, ვინაიდან, როდესაც ის ქრება, მასთან ერთად აზრიც ქრება. სწორედ საჯარო სივრცე არის თვით აზრის პირობა. ის იმიტომ კი არ არსებობს, რომ ვინმეს თავი მოაბეზროს, ვიღაც გაანაწყენოს ან გაახაროს. აზრი არსებობს მხოლოდ შესრულების აქტში, მხოლოდ სივრცეში, რომელიც არავითარ ცრურწმენას, აკრძალვას და ა.შ. არ უკავია.

ეს აზრის ყველა შინაგანი პირობაა, ვინაიდან, ჯერ ერთი, ის ადამიანის თავში არ არის, ის სივრცობრივია, სხვაგვარად არტიკულირება არ შეუძლია და ამ გაგებით, შეუძლებელია საიდუმლო ცოდნის არსებობა – ცოდნისა საკუთარი თავის შესახებ, რომ თითქოს, გარეგანი სივრცე წაგვართვეს, მაგრამ შინაგანად ჭკვიანები ვართ და ყველაფერი გვესმის. თვით აზრის კანონებიდან გამომდინარე, სინამდვილეში არაფერი გვესმის.

შინაგანი სივრცის ნგრევა არის ჰარმონიის შინაგანი წყაროების

ნგრევა, ამბობდა ბლოკი. ის ასეთ შესაძლებლობას ვარაუდობდა. ანუ არა მაშინ, როდესაც ჰარმონიის ნაყოფი დამახინჯებულია ან იდევნება, არამედ როდესაც შინაგანი წყაროები, აზრის შინაგანი შესაძლებლობებია დანგრეული, თვით აზრიც ინგრევა, ვინაიდან არსებობს კანონი: ადამიანი მთლიანად საკუთარ არსებაში როდია. ჩვენ საკუთარ თავთან შორიდან მოვდივართ, ძალიან შორიდან. სხვათა შორის, ამ ხნის (და სივრცის) მანძილზე, სანამ საკუთარ თავთან მოვდივართ, ბევრი რამ შეიძლება მოხდეს — შეიძლება საკუთარ თავს ვერც მივაღწიოთ, იმ სიჩქარის მიხედვით, რომლითაც ვმოძრაობთ.

და მეორე: შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ აზრისთვის მთელი აზროვნება საკმარისი არ არის, თუნდაც ერთი შემთხვევითი აზრისთვისაც კი. დამატებით საჭიროა ის საგნები, რომლებსაც დამატებითი ან ცოცხალი აქტები, ცოცხალი მდგომარეობები ვუწოდე, რომლებსაც შესაძლებლობების საკუთარი ონტოლოგიური ან ყოფიერებისმიერი პირობები აქვთ. ამ პირობების ნგრევა შესაძლებელია. და მაშინ არასაკმარისია, მაგალითად, მეხსიერების სურვილი, ვინაიდან შეიძლება ადამიანმა იცოდეს, რომ უნდა ახსოვდეს, მაგრამ მთავარი ეს არ არის. ჩვენში გამუდმებით ლაპარაკობენ, რომ უნდა გვახსოვდეს, უნდა არსებობდეს მეხსიერება, ტრადიცია და ა.შ. წიგნიერი აზროვნების თვალსაზრისით, ეს ყველაფერი უგუნურებაა, ანუ ის პირობები, რომლის მიხედვითაც რაღაც საერთოდ შეიძლება არსებობდეს.

ვიმეორებ, არსებობს აზრის განზრახვასა და აზრს, ან ხსოვნის განზრახვასა და ხსოვნას შორის სხვაობა. აქ მთავარი არ არის, რომ შეიძლება ადამიანს ხსოვნის სურვილი ჰქონდეს. ხსოვნის სურვილი ჯერ კიდევ არ არის ხსოვნა. როგორც ერთ დროს ვოლოშინმა თქვა:

ბოდვაშიც არ ძალუძს თავდავიწყება,
არც გაღვიძება ძალუძს ძილიდან.

ბოდვაში თავდავიწყება, როდესაც თვლემაც შეუძლებელია და გაღვიძებაც, როგორც ჩანს, ეს შუალედური მდგომარეობა არის კიდეც ჩვენი მდგომარეობა, თუკი საკუთარი „დროის მანქანა“ არ გაგვაჩნია.

სახელთა საძიებელი

ა

აზიმოვი 270
ალევი 35
ალტიუსერი 7
ანდრეე ვალენტინ 12
არტო ანტონენ 69
არუთინოვი სერიოჟა 16
აფანასიევი იური 226, 235, 237

ბ

ბენი 270, 284
ბერდიაევი 194
ბერგსონი 179
ბერკლი 17
ბლოკი 181, 292, 314
ბოდლერი 47
ბორხესი 260
ბრეჟნევი 298
ბულგაკოვი 293
ბუხარინი 220, 295, 298

გ

გერიონი 20
გოეთე 15, 40, 67
გორბაჩოვი 233, 237, 254, 265
გუმილიოვი 82, 272

დ

დანტე 20, 21, 87, 92, 109, 112, 115, 122, 151, 155, 171, 175, 183, 190
დეკარტი 7, 8, 14, 17, 46, 148, 159, 161, 178, 191, 192, 193, 206, 272, 275, 279
დერიდა ჟაკ 7
დერჟავინი 284
დოსტოევსკი 143, 144

ე
ენგელსი 225, 306
ეროფეევი ვენედიქტ 120

ვ
ვაისმანი ჰაინც 239
ვალერი პოლ 41, 200
ვებერი მაქს 296, 297
ვეილი სიმონა 205
ვიიონი ფრანსუა 73, 74, 214, 299
ვერგილიუსი 20, 112, 122
ვიტგენშტაინი ლუდვიგ 45, 304
ვოლოშინი 314

ზ
ზაბოლოცკი 293
ზაიცევი ვარფოლომეი 68
ზოშჩენკო 293

ი
იუმი 17

კ
კამიუ 299
კანტი 7, 8, 17, 18, 187, 192, 204, 272, 275, 276, 302, 305, 307, 308
კარტეზიუსი 272
კაფკა 8, 272, 274, 276, 277, 284 286
კირკეგორი 107, 108, 110, 151, 154
კრიკი ბერნარდ 230
კრომველი 17
კურციუსი 70

ლ
ლაიბნიცი 312
ლაკანი 7
ლენინი 215, 220, 221, 222, 240, 311
ლუნაჩარსკი 295
ლუთერი 206

მ

მანდელშტამი 165, 166, 167, 170, 172, 179, 184, 194, 245, 292
მარკუზე 7
მილოში ჩესლავ 230
მონტენი 191, 205, 278
მონტესკიე 278
მუზილი 75, 118, 147, 286

ნ

ნაბოკოვი 27, 48, 54, 56, 292
ნერვალი 47
ნიცშე 11, 12, 186, 239, 284, 303

ო

ოკამი 301
ორლოვი 180
ორუელი 229, 230

პ

პასკალი 157, 159, 176, 177, 193, 197
პასტერნაკი 33, 67, 194
პეგი 191
პერსი სენ-ჟონ 39
პითაგორა 109
პლატონი 109, 192
პლატონოვი 293, 295
პლეხანოვი 240, 295
პუშკინი 14, 15, 93, 194, 291, 292, 296, 302

რ

რასტინიაკი 192, 193
რენანი 236
როზანოვი 297
რუბლი მაქსიმილიან 205
რუსო 278

ს

სალტიკოვ-შჩედრინი 289
სარტრი 241, 242
სახაროვი 195
სეზანი 55, 56, 61
სვედენბორგი 15
სიმონ დე ბოვუარი 242
სმირნოვი იგორი 11
სოკრატე 109
სოლოვიოვი 14, 15
სპინოზა 17
სტალინი 241, 294, 297
სტენდალი 87
სტოლიპინი 184, 185

ტ

ტოლსტოი 152, 153, 164, 165
ტურენი 196

უ

უსპენსკი ბორის 11
ურევიჩი შარლ 213, 228

ფ

ფიოდოროვი 310
ფლობერი 40, 60, 142
ფოლკნერი 26, 41, 178, 183
ფურიე 71

ქ

ქსერქსე 45, 119

შ

შალამოვი 229, 230
შექსპირი 131, 153
შესტოვი ლევ 108, 109, 177
შრედინგერი 94, 95

ჩ

ჩაადაევი 14, 180, 183, 194, 291, 292, 297, 298
ჩერნიშევსკი 312
ჩეხოვი 123, 239
ჩეზარე რიკი დი ანჯელო 237

ჭ

ჭავჭავაძე 184

ჯ

ჯოისი 8, 160
ჯონსონი სემუელ 11

ჰ

ჰეგელი 7
ჰერაკლიტე 19, 39, 55
ჰუსერლი 7, 8